ბორის დარჩია

სალაღობო და ნაღვლიანი ამბები

„ინოვაცია“
თბილისი
2012

წიგნის ძირითადი და უმთავრესი ნაწილი იუმორისტულ, გონებასხარტ, კურიოზულ და სხვა სახალისო ნ ა მ დ ვ ი ლ ამბებს შეიცავს. გარკვეული ადგილი უჭირავს ფელეტონებსაც, რომლებიც, ცხადია, გამოგონილი, ფანტაზიით შექმნილია, მაგრამ შინაარსობრივად ისინიც მეტ-ნაკლებად რეალურს შეესაბამება და მაშინდელ საჭირბოროტო სინამდვილეს ასახავს. ნამდვილსა და მომხდარ ნაღვლიან, დამაღონებელ, ცხოვრებისეულ ტკივილებს გადმოგვცემს ტექსტის მცირე, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო ნაწილი.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის და ეძღვნება ჩემი ბებიისა და ბაბუის

კესა (კესარია) ვადაჭკორიასა

და

ელისო დარჩიას

ნათელ ხსოვნას.

წიგნი გამოდის ჩემი ბებიისა და ბაბუის რამდენიმე შთამომავლის დაფინანსებით, რომელშიაც თანასწორი მონაწილეობა მიიღო თბილისიდან ამერიკაში გადასახლებულმა ჩემმა მეკობარმა ებრაელმა ქალმა **სოფა (სიფარა) ჩაჩანაშვილმა**.

რედაქტორი — **მურმან თავდიშვილი**

საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. თბილისი. 2012.

წინასიტყვა

აქ მოთხრობილ ამბებს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მეცნიერული კვლევა-ძიების პარალელურად ვაგროვებდი. გული მწყდება, რომ ამ საქმეს ხელი ადრევე არ მოვკიდე. არადა, ერთმანეთს რამდენ სახალისო ამბავს სიცილ-ხარხარით ვუყვებოდით, რომელთა აღდგენას აწ ვეღარ ვახერხებ. მათ შორის საკმაოდ იყო დროის გამომხატველი საზოგადოებრივად ღირებული იუმორი და სატირა.

ანოტაციაში მივუთითე და აქაც ხაზგასმით უნდა აღვნიშნო: ყურადღებას არ ვაქცევ და გვერდს ვუვლი ანეკდოტებს, მომყავს მხოლოდ ის, რაც მინახავს და ჩემი ყურით მომისმენია, ან თვითმხილველთაგან ვიცი. ამიტომაა, ყველგან საგანგებოდ ვუთითებ, ვინაა მთქმელი და ვის ეხება მონათხრობი ან კიდევ რამდენად შეესაბამება ის სინამდვილეს. ვგრძნობ, ასე დაწვრილებით, სახელითა და გვარით, მათი წარმოდგენა ზოგჯერ ზედმეტია და შეიძლება, მკითხველის გაღიზიანებაც გამოიწვიოს, მეტადრე, როცა იგი ისეთ ადამიანებს ეხება, რომლებიც საზოგადოებისათვის ყოვლად უცნობია. მაგრამ ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ისინი ჩემი ახლობლები არიან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ადგილობრივი ღირებულებისაა და მინდა, სხვა მხრივ ამ უჩინარი ხალხის სახელები და ნამოქმედარი მათ სოფლებსა და მათ მომავალ თაობებს შემოვუნახო. ესაა მიზეზი, რომ ცალკეული მასალები შინაურული და საალბომო ხასიათისაა.

ვფიქრობ, მკითხველი გაითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დროის ცვლილებასთან ერთად ხშირად ესა თუ ის ამბავი აქტუალურობას, სიმძაფრესა და იუმორისტულ ძალას კარგავს. ეს ითქმის უპირველესად ფელეტონებსა და, საერთოდ, სოციალური მოვლენების ამსახველ მასალებზე. შეიძლება, დღეს ვინმეს არარეალურად ეჩვენოს და გლახა გამოგონებად ჩამითვალოს ფელეტონში მონათხრობი პროფესორის შიმშილით გარდაცვალების შესახებ. მაგრამ იქ მხოლოდ სიუჟეტია დამატებული და სახელი და გვარი შეცვლილი. ნამდვილად კი ჩემი ნაცნობი ერთი გამოჩენილი პროფესორი სწორედ შიმშილით, უწამლობითა და უმწეობით დაიღუპა. სიუჟეტიც სინამდვილეს ასახავს: თხრობა მიმდინარეობს მეტროს გვირაბში გაჩხერილ, ჩაბნელებულ ვაგონში. 90-იან წლებში დღე

იშვიათად ჩაივლიდა, რომ მეტროში დენი არ გამორთულიყო, ხან რამდენიმეჯერაც კი, და მგზავრებს სიბნელესა და უჰაერობაში საათობით უხდებოდათ ცდა.

მეორე მაგალითი: საბჭოთა პერიოდში დიდ სიცილსა და მხიარულებას იწვევდა ჩემს სოფლელ მენავე კაცზე, **კილაძეზე,** მონათხრობი: იგი, როგორც ძველი პარტიული, პერსონალურ პენსიას ღებულობდა, რომელიც ჩვეულებრივზე თითქმის ორჯერ მეტი იყო. როცა ხრუშჩოვის დროს სტალინის კრიტიკა დაიწყეს და მას ეხუმრნენ, *ხელისუფლებაში მენშევიკები მოდიან და მაგ პენსიას წაგართმევენო*, მა „პატიოსნად" უპასუხა: *მე იმ ნავით ბოლშევიკები თუ გამყავდა, მენშევიკებიც გამომყავდაო.* ეს იუმორი იმიტომ გახუნდა, რომ ბოლო დროს მრავალმა „მტკიცე" ბოლშევიკმა თავისი ამგვარი ორმაგი ქმედებანი არა მარტო აღიარა, არამედ თავმომწონედ კიდეც დაიქო და დაიტრაბახა.

ვცდილობდი, წიგნი ერთი გარკვეული გეგმით ამეგო, მაგრამ თემატიკური და ქრონოლოგიური სქემა ერთმანეთს ვერ შევუხამე. კაცმა რომ თქვას, როგორც საჭირო იყო, თავი ამისთვის მაინცადამაინც არ შემიწუხებია, თუნდაც იმიტომ, რომ მგონია, დროითა და შინაარსით ერთმანეთისაგან დიდად დაშორებული ამბები მკითხველს ზოგჯერ ერთფეროვნებისაგან რამდენადმე კიდევაც იცავს.

თუ წიგნს თვალს ერთიანად გადავავლებთ, შევამჩნევთ, რომ იგი მნიშვნელოვანწილად და არსებითადაც ასახავს ჩემი ცხოვრების განვლილ გზას, გარემოს, სადაც ცხოვრება მიხდებოდა; იმ „აურას", ირგვლივ რომ მერტყა, და, თუ ძალიან ხმამაღლა ნათქვამი არ არის, წარმმართავდა. ამიტომ თავს უფლება მივეცი, აქვე წარმომედგინა ზოგიერთი იმგვარი ბიოგრაფიული, ჩემი აზრით, საინტერესო მასალაც, სადაც არც სასაცილო, სახალისო-სალაღობელი და არც სევდა-ნაღვლის მომგვრელი ამბებია გადმოცემული.

ამ წიგნის ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია: გაზეთებში — „საქართველო", „ახალი საქართველო", „საქართველოს რესპუბლიკა", „ლიტერატურული საქართველო", „სოფლის ცხოვრება", „ნაკადულის სალიტერატურო გაზეთი", „შარავანდედი", „ფორუმი", „XXI საუკუნე", „კრიმანჭული" და სხვა; ჟურნალებში —

„ნიანგი“, „საბჭოთა ქალი“, „ქართული მწერლობა“, „ჩვენი მწერლობა“. რამდენიმე მათგანი ჩემი სამეცნიერო წიგნებიდანაა გადმობეჭდილი.

რადგან ეს უკანასკნელი ვახსენე, პირდაპირ უნდა განვაცხადო: კურიოზული, სამწუხარო რომ არ იყოს, სასაცილო და სახარხარო ამბებითაა სავსე ჩემი წიგნები: *„უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“* (2008), *„იაკობ შემოქმედელი“* (2009) და *„რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I“* (2010), სადაც აღწერილია, რა ურცხვად და სადისტური ჟინით მდევნიდა და სამსახური დამატოვებინა, ლიტერატურის ინსტიტუტიდან გამაძევა, „მეცნიერთა ბანდამ“ – ჯალათობას კარგად მორგებულმა ელგუჯა ხინთიბიძემ, მეცნიერების აშორდიამ თუ კვაჭი კვაჭანტირაძემ, დაბალი მეცნიერული ზნეობის მქონე რევაზ სირაძემ, ქართულ ლიტერატურაში სრულიად უვიცმა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა (!) ირმა რატიანმა და მეცნიერებაში არაფრით გამორჩეულმა მათმა ხელქვეით-მონებმა[1].

მეტი კურიოზი რაღა იქნება, რომ ლიტერატურის ინსტიტუტში რუსთველოლოგიის (დიახ, რუსთველოლოგიის!) განყოფილებასა და შემდეგ ცენტრს ათზე მეტი წლის განმავლობაში „ხელმძღვანელობდა“ კაცი, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსიც კი (დიახ, შინაარსი!) არ იცის, ხოლო რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურას, მათ შორის ამ დარგის სამაგიდო წიგნებსაც, ხომ არ იცნობს და არ იცნობს! მეტიც, სწორედ ამ კაცმა ე. წ. რუსთველოლოგიის ცენტრიდან

---

[1] აი, ლიტერატურის ინსტიტუტში ე. წ. სამეცნიერო რეფორმის გამტარებული კომისია: ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ირმა რატიანი, ძმები აკაკი და ელგუჯა ხინთიბიძეები, ელგუჯას ხელქვეითები – მაკა ელბაქიძე, თამარ შარაბიძე და ელისო კალანდარიშვილი.

ინსტიტუტის ე. წ. სამეცნიერო საბჭო: გაგა ლომიძე (თავმჯდომარე), მაია ნინიძე (მდივანი), მანანა კვაჭანტირაძე, თამარ ლომიძე, დარეჯან მენაბდე, რევაზ სირაძე, რუსუდან ჩოლოყაშვილი.

გამაგდო მე, პროფესიონალი რუსთველოლოგი, რომელსაც ოთხი რუსთველოლოგიური წიგნი მაქვს შექმნილი და აქედან სამი გამოცემული. დიახ, დიახ რევაზ სირაძეზეა საუბარი, რომელსაც საქართველოს ეროვნულ აკადემიაში ირჩევენ მაშინ, როდესაც აკადემიის პრეზიდენტი ფილოლოგი თამაზ გამყრელიძეა!

მეორე: რ. სირაძის ადგილას – რუსთველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელად – რ. სირაძისავე მონდომებით, ირჩევენ თუ ნიშნავენ ივანე ამირხანაშვილს, რომელთანაც შედარებით რ. სირაძეს აკადემიის წევრ-კორესპონდენტობა ნამდვილად ეკუთვნის!

მესამე: ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად ნიშნავენ ქალს, ირმა რატიანს, რომელმაც XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე დაწერილი მამამისის სტატიის ასავალ-დასავალიც არ იცის!

მეოთხე: ამ გმირთა თახსირ ქმედებებს რა ტრიუმფით ჰქონდა და აქვს გასავალი XXI საუკუნის პირველი ათწლეულის „დამოუკიდებელ“ საქართველოში.

ჩამოთვლას აქ შევწყვეტ და ვიტყვი: დასახელებული ჩემი წიგნებიდან აქ მხოლოდ მცირეზე მცირე ნაწილი, ანუ რამდენიმე ეპიზოდი, გახლავთ შემოტანილი.

¤

წიგნის ნაწილი კომპიუტერში ააწყვეს ჩემი ბიძაშვილის შვილის **ნუკრი (პაატა) გივის ძე ჩაჩავას** დაწესებულებაში კომპიუტერზე მომუშავე დებმა **რუსიკო** და **თინიკო ხუხუნებმა**. უმეტესი ნაწილი მე ავაწყვე და მთლიანი წიგნიც მე დავაკაბადონე. წიგნის ნაწილ-ნაწილ და მთლიან ამობეჭდვაში მეხმარებოდა მერაბ ცინცაძე და ამით ჩემთვის („ჩარეცხილი“ პროფე-სორისათვის) მნიშვნელოვანი თანხების გაღებას გადამარჩინა. ანოტაცია ინგლისურად თარგმნა **მზია მელიტონის ასულმა მუხაშავრიამ.** ამისთვის მათ უღრმეს მადლობას ვწირავ.

უღრმეს მადლობას ვუხდი წიგნის რედაქტორს, ჩემს მეგობარ მურმან თავდიშვილს, რომელიც ამ საქმესაც ისევე გულიანად მიუდგა, როგორც ჩემს წინა ოთხ წიგნს და მას დიდი შრომა და ენერგია მიახარჯა.

¤

ზემოთ უკვე მივუთითე, რომ წიგნი გამოდის ბაბუაჩემის შთამომავლების ერთი ნაწილის დაფინანსებით. ჩვენდა სამწუხაროდ, ვერც ერთი ჩვენგანი ამ დროებას ვერ მოვერგეთ და რომელიმე, ასე თუ ისე, მდიდარი არ გამოგვერია. ამიტომაა, მხოლოდ მწირი თანხების თანაბრად შეგროვება და წიგნის მცირე ტირაჟით გამოცემა შევძელით[2]. ესენი ვართ: შვილიშვილებიდან მხოლოდ **მე**. შვილთაშვილებიდან — **მელიტონ სერგოს ძე მუხაშავრია, კახა და პაატა (ნუკრი) გივის ძე ჩაჩავები, ზაირა, ქეთინო** და **გელა ვადაჭკორიები**, და–ძმა **ნინო** და **ილო (ილია) დარჩიები**.

განზრახული გვაქვს, ეს წიგნი საჩუქრად დავურიგოთ ბებიისა და ბაბუის იმ შთამომავალთა ოჯახებს, რომლებსაც წიგნიერება სცხიათ და სურთ იგი ჰქონდეთ.

ანოტაციაში ისიცაა აღნიშნული, რომ ამ წიგნის გამოცემაში იმგვარად, როგორც ჩვენ, თავისი წვლილი შეიტანა ჩემმა მეგობარმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ებრაელმა ქალმა **სოფა (სიფარა) ჩაჩანაშვილმა**.

სოფა თბილისში დაიბადა და ქართულ ყაიდაზე გაიზარდა. დაამთავრა მაშინდელი პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის (რუსული ენა და ლიტერატურის) ფაკულტეტი. ჩვენ ერთმანეთი ბიბლიოთეკაში გავიცანით და დავმეგობრდით. იგი ჩვენს წრეს ამშვენებდა თავისი უაღრესი პატიოსნებით, წრფელობითა და გულითადობით. განუზომლად უყვარდა

---

[2] 1911 წელს ჩემმა წიგნმა *„იაკობ შემოქმედელი“* მიიღო სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია, რომლითაც ამავე წელს დავბეჭდე მონოგრაფია *„ბაგრატ ბატონიშვილი“*. ამ პრემიიდან დამრჩა გარკვეული თანხა, მაგრამ თავს უფლება არ მივეცი იგი აქ, არასამეცნიერო ნაშრომში, გამომეყენებინა. მას მხოლოდ და მხოლოდ, რამდენსაც გასწვდება, ჩემი შემდგომი წმინდა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი წიგნების გამოცემას მოვახმარ, რომლთაგან რამდენიმე ძირითადად დაწერილი მაქვს და უმეტესობა სტატიების სახით გამოქვეყნებული.

თბილისი და საქართველო. ეს გრძნობა, ვხედავ, უცხოეთში არათუ განელებია, კიდევ უფრო გაძლიერებია და გამძაფრებია.

სოფა დედასა და ძმის ოჯახთან ერთად ამერიკაში 1980 წლის მაისში გადასახლდა. მის შესახებ აქამდე არაფერი ვიცოდი. რამდენიმე თვეა, ინტერნეტის მეშვეობით ვიპოვე. გავიგე: ამერიკაში აქედან მალე საქმროც ჩასვლია, დაქორწინებულან, საცხოვრებლად ისრაელში გადასულან, მაგრამ მეუღლე ადრე გარდაცვლია, შვილი არ დარჩენია და ისევ დედასა და ძმასთან ამერიკაში დაბრუნებულა. შემდეგ დედა და ძმაც გარდაცვლია. ჰყავს რძალი და ორი დაოჯახებული ძმიშვილი. იმყოფება პენსიაზე (სხვათა შორის, თვეში 900 ამერიკული დოლარი ჰქონია. მითხრა, *დედის ავადმყოფობის გამო პენსიაზე ადრე გავედი, თორემ მეტი მექნებოდაო*. თუ მას ჩვენს ძალოვანთა და სამართალდამცველთა კი არა, მ ე ც ნ ი ე რ თ ა აკადემიურ სტიპენდიებსა და პენსიებს შევადარებთ, თანაბრად შეგვიძლია, კიდეც ვიცინოთ და ვიხარხაროთ და კიდევაც — ვიტიროთ და ცრემლი ვღვაროთ!).

აი, ამ **სოფა ჩაჩანაშვილის** მიერ გამოგზავნილი ფულიც მისი სურვილისამებრ ამ წიგნის გამოცემაში ჩაიდო.

¤

წიგნის ყდის პირველ გვერდზე ვბეჭდავ ბაბუაჩემის, **ელისო**[3] **ალექსანდრეს ძე დარჩიას**, ფოტოსურათს.

ყდის ბოლო გვერდზე ჩემ მიერ გადაღებული ჩემი მშობლიური სოფლის, **სილაურის**, ცენტრის („თემის“) ნაგებობათა ნანგრევების ფოტოსურათებია. ადრინდელი, მთელი სახით გადაღებული ვეძიე სოფელში, ოზურგეთის მუზეუმსა და არქივში, მაგრამ ვერ მოვიპოვე. მახსოვს, თავის დროზე გაზეთებში იყო დაბეჭდილი, მაგრამ ახლა ნაუცბათევად ვერ მივაგენი.

ზ ე მ ო თ ა ა: მარცხნივ — კლუბის ფასადის მეორე ნახევარი, შუაში — ადმინისტრაციული სახლის ნანგრევი, მარჯვნივ — სკოლა.

ქ ვ ე მ ო თ ა ა: მაღაზიის, სასადილოსა და აბანოს სურათები.

20. 11. 2011

---

[3] ასე ერქვა. სოფელში იყო ამ სახელის მქონე ბაბუის თაობის კაცი, გვარად სარიშვილი და მასაც სწორედ **ელისო** ერქვა და არა **ელისე**.

შ ე ს ა ვ ლ ი ს მ ა გ ი ე რ

წერილი გაზეთ „ერის“ რედაქციას

ბატონო რედაქტორო! უდავო, თვალნათლივი ჭეშმარიტებაა და კარგად მოგეხსენებათ, რომ კომიზმი, იუმორი სიდინჯესა და სიდარბაისლესთან ერთად ქართველი ხალხის ერთ-ერთი უპირველესი და განუყოფელი ნიშან-თვისებაა. მისთვის იგი ისეთივე ძველი, მარად ცოცხალი და მყარად ჩამოყალიბებული სულიერი სიმდიდრეა, როგორიც გახლავთ ჩვენი მხატვრული სიტყვა – ლექსი და, საერთოდ, მწერლობა, სიმღერა და ცეკვა, შრომისა და ბრძოლის, ჭირისა და ლხინის მრავალფეროვანი ტრადიციები. არ მოიძებნება ჩვენი ცხოვრების არც ერთი მხარე, ცხოველმყოფელი, კეთილი იუმორით, მახვილი სატირით, ჯანსაღი ღიმილითა და სიცილით არ იყოს გაჯერებული და დამშვენებული. საუკუნეთა მანძილზე ქართველი კაცი ამ სწორუპოვარი, მასტიმულირებელი საშუალებით გაჭირვებაზე მაღლდებოდა, ძლევდა სიძნელეებს, იმარჯვებდა მტერზე, იმსუბუქებდა შრომასა და უსიამოვნებას, ეშხსა და სილამაზეს აძლევდა ლხინს.

გენიოსი რუსთველი ამბობდა:

„ამოა კარგი ლაღობა, ლაღსა შე-ვე-იქმს ლაღებად!“

დიდი კომიკოსი ჩარლზ ჩაპლინი ავტობიოგრაფიაში წერს: „*როცა ადამიანს ათასი უბედურება და იმედის გაცრუება დაატყდება თავს და სულით მაინც არ დაეცემა იგი, ამ ადამიანს ან ფილოსოფია შველის, ან იუმორის გრძნობა*“ (თბ., 1972, გვ. 567).

მთიელ კაცს უთქვამს:

„არც არა მარგო ტირილმა,
არც არა ცრემლის დენამა,
აჯობა ისევ სიცილმა
ლაქარდიანმა ენამა“.
(ხალხური პოეზია, ტ. VII)

ჩვენი ემიგრანტი დიდი მეცნიერი ვიკტორ ნოზაძე წერდა: „*ქართველს რომ ხუმრობისა და სიცილის უნარი არ ჰქონოდა და დარდიმანდი არ ყოფილიყო, როგორ გაუძლებდა სისხლით წარმღვნელ თავის ისტორიას?!*" (თამ. ჩილაია, საქართველოს საკითხი, 1962, გვ. 48).

რომ არაფერი ვთქვათ ინტელიგენციაზე, საქართველოს რომელ კუთხეში არ შეხვდებით ჩვეულებრივ გლეხებსა და მუშებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო საჭირო განათლება ვერ მიუღიათ და წიგნიერების კვალი ნაკლებად ემჩნევათ, მაგრამ თავიანთი თვითნაბადი ნიჭის წყალობით, ცინცხალი, კოლორიტული კომიზმით, გონებაგამჭრიახობითა და მახვილსიტყვაობით გამოირჩევიან და გეხიბლავენ. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ ძველი და ახალი თაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც ფოლკლორულ საღამოებზე ჩვენმა მეცნიერებმა ვახუშტი კოტეტიშვილმა, ალექსი ჭინჭარაულმა, გიზო ჭელიძემ და სხვებმა სცენაზე გამოიყვანეს. ერთი ძირბთადი შტრიხი, რითაც მათი გამოსვლები სიამოვნებას გვგვრიდა, სწორედ იუმორი იყო.

ისიც საყოველთაოდ ცნობილია, კომიკურის სხვადასხვა სახეობის ზემოქმედება მარტო ესთეტიკური ხიბლით არ ამოიწურება და მას მძლავრი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ სულ პატარა სატირულ-იუმორისტულ ან გროტესკულ თქმასა თუ სიუჟეტში მთელი ეპოქა და მისეული მოვლენები უფრო ხატოვნად, შთამბეჭდავად და დამაჯერებლად ისახება, ვიდრე ეს საგანგებო ვრცელ გამოკვლევებსა და ტრაქტატებშია წარმოჩენილი. ერთი სიტყვით, ბევრი მტკიცება არ უნდა, ჩვენი ხალხის იუმორი ისეთივე ეროვნული სიმდიდრეა და მას ისევე სჭირდება მოვლა, გამოყენება და ხალხის სამსახურში ჩაყენება, როგორც ჩვენს სხვა სულიერ და ნივთიერ ფასეულობებს.

ვერ ვიტყვით, რომ ამ საქმეს ჩვენში ყურადღება არ ექცევოდეს ან ცოტაა გაკეთებული. ამ დარგსაც ემსახურებიან ქარ-თველი ფოლკლორისტები, რომლებიც ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრთან ერთად იუმორისტულ მასალებსაც სწავლობენ, აგროვებენ და აქვეყნებენ. ბოლო დროს ამას ფოლკლორული საღამოებიც დაემატა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების, მათ შორის ილია ჭავჭავაძის

„იეერიის", ფურცლებზე არაეროი ამგვარი მასალა – ცოცხალი, მოსწრებული თქმები, ნაკვესები, ანეკდოტები – დაიბეჭდა. მსგავს შემთხვევებს აქა-იქ ახლაც ვხვდებით ხოლმე. მაგალითად, გურამ ფანჯიკიძის რედაქტორობის დროს ალმანახ „განთიადში" რუბრიკით *„ბაღის კიდის დიალოგებიდან"* რამდენიმე თანამედროვე ანეკდოტმა პოვა ასახვა. „ახალგაზრდა იეერიელში" ზოგიერთ იუმორისტულ, უფრო ბავშვთა გონებასხარტ, გამოთქმებს აქვეყნებს ამ გაზეთში შექმნილი სარედაქციო კლუბი *„ილიკო და ილარიონი"*. არაფერს ვამბობთ ჟურნალ „ნიანგზე", რომელშიც ძირითადად პროფესიონალები თანამშრომლობენ.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ იმ უხვ სამკალთან შედარებით, რაც მოგვეპოვება, გაკეთებული სრულებითაც არაა საკმარისი. განა ნორმალურია ის ვითარება, როდესაც თითქმის ყველა ჩვენს ჟურნალ-გაზეთში შემოღებულია რუბრიკა *„უცხოური იუმორი"*, სადაც სისტემატურად ქვეყნდება შესაბამისი ნიმუშები. ჩვენს მშობლიურ იუმორზე კი ამგვარი არსად არაფერი გაგვაჩნია. და ეს მაშინ, როდესაც, ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული იუმორი, უბრალო ხალხისაგან ყოველდღიურად რომ მოედინება და იკარგება, უცხოურს თუ არა სჯობს, არაფრით ჩამოუვარდება. ასეა თითქმის ყველაფერში, რაც ბუნებისაგან ძღვნად მიგვიღია, იმაში კი, რაც ჩვენი ხელითაა შესაძლებელი, რასაც შრომა სჭირდება, სამწუხაროდ და სავალალოდ, პირიქით არის!

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ ვიტყვით: ვფიქრობთ, ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმე გაკეთდება, თუ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და რადიო-ტელევიზია ქართულ იუმორს ჯეროვან ადგილს დაუთმობენ, შემოიღებენ შესაბამის რუბრიკებს (ვთქვათ, ასეთებს: *„ჩვენი ღიმილი"*, *„ქართული იუმორი"*, გაზეთი „სოფლის ცხოვრება" – *„სოფლის ღიმილი"* და სხვა) და დროდადრო გაგვაცნობენ იუმორისტულ ეპიზოდებს ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან, მის ხუმრობებს, მახვილსიტყვაობას, სატირულ გამოთქმებს და ა. შ. ეს უნდა იყოს არა გამონაგონი (ამგვარს თავისი ადგილი აქვს!), არამედ ძველი თუ ახალი ნამდვილი ამბები, სადაც ზუსტად აღინიშნება ავტორი, მოქმედი პირნი, სად მოხდა ეს და ვინ ჩაიწერა იგი. რა თქმა უნდა, სათანადოდ უნდა შევინარჩუნოთ

კუთხის დამახასიათებელი რეალიები, ენობრივი თავისებურებანი... უეჭველია, თუ ამგვარ რუბრიკებს შემოვიღებთ, ენთუზიასტები ბლომად გამოჩნდებიან და ხალხის წიაღში მოპოვებული, საჭირო ტაქტითა და გემოვნებით შესრულებული მასალები ულევი იქნება.

არ უნდა შეგვაკრთოს იმან, თუ ვინმე გვისაყვედურებს, – რა გვეხუმრება, რა დროს ხუმრობა და სიცილია, როცა კარს ახლა ასე მძიმე დღეები გვიმტრევსო. ამას ის იტყვის, ვისაც იუმორი, ხუმრობა და სიცილი უსაგნო თავის შექცევა და ლაზღანდარობა ჰგონია. ჭკვიანნი და მცოდნენი სხვაგვარად ფიქრობენ. ზემოთ ნათქვამს აქ დავუმატებთ: როგორც გაზ. „კომუნისტი" იუწყებოდა (17, 08, 1975), ამერიკელ იურისტს ალფრედ დევიდსონს, რომლის ინიციატივითაც იუმორის საერთაშორისო ასოციაცია შექმნილა, უთქვამს: *„რაც უფრო უბედურია ადამიანი, მით უფრო ეტანება იუმორს, რათა მტანჯველი ფიქრები დაივიწყოს"*-ო. იმავე გაზეთის ცნობით, *„ურეხტის (ჰოლანდია) უნივერსიტეტის პროფესორმა კორნელიუს ვან გრიემა აღძრა შუამდგომლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე, რათა შეიქმნეს იუმორის კათედრა. მას იმედი აქვს, რომ ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტი, რაც, პროფესორის აზრით, ქმედითი წვლილი იქნება ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნებაში. ერთ–ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ, მისი აზრით, იუმორის გრძნობა აახლოებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს და ხელს უწყობს მათს ურთიერთობას"* (16. 10. 1973, № 242, გვ. 4).

გაზ. „თბილისი" იუწყებოდა: *„ზოგიერთები ამტკიცებენ, სიცილი სიმხნევეს გვმატებსო, და მიაჩნიათ, რომ ბევრი უნდა იცინონ. ამას ურჩევს აბონენტებს ტელევიზია, რადიო, გაზეთები, ჟურნალები და... ნორვეგიელი ექიმი კარლ როდალი. იგი ამტკიცებს, რომ სიცილი სამი წუთის განმავლობაში იგივეა, რაც 15-წუთიანი ვარჯიში. ჩვეულებრივი სიცილი ავითარებს მუცლისა და მკერდის კუნთებს, ააქტიურებს თირკმლების მუშაობას. ძლიერი და ხანგრძლივი სიცილი ადამიანის თითქმის ყველა კუნთზე ზემოქმედებს და ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას. ახლა ექიმები არჩევენ მოკლე იუმორისტულ კინოფილმებს, რომლებიც ვარჯიშისა და წამ-*

ლების მაგივრად იმოქმედებენ ავადმყოფებზე. ასეთი ფილმები ექიმების ზედამხედველობით გამოიწერება რეცეპტის ნაცვლად“ (06. 09. 75, № 209, გვ. 3).

იუმორის საშუალებით კრიზისის დაძლევაც კი განუზრახავთ. ზემორე ნახსენები ამერიკელი ალფერდ დევიდსონი, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა იუმორის საერ-თაშორისო ასოციაცია, წინასწარმეტყველებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და დასავლეთ ევროპაში კრიზისის გამწვავებასთან ერთად ასოციაციის მომხრეთა რიცხვი გაიზრდება. ასოციაციამ, – წერს საფრანგეთის ყოველკვირეული «ექსპრესი», – უკვე მისცა თავისი პირველი პრიზი – 100 ათასი ცენტი ხურდა – ამერიკელ იუმორისტს არტურ ბუხვალდს. პრიზის წონა 215 გირვანქა იყო“ (გაზ. „კომუნისტი“, 17. 08. 1975, № 192, გვ. 4).

იმავე ავტობიოგრაფიაში ჩარლზ ჩაპლინს უწერია: „*იუმორი სიცოცხლის უნარიანობას გვიცხოველებს, საღი გონების შენარჩუნებას უწყობს ხელს. იუმორის წყალობით უფრო ადვილად ვიტანთ ხოლმე ცხოვრების მუხანათობას. იგი გვეხმარება, სწორად აღვიქვათ საგანთა და მოვლენათა თანაფარდობა. იუმორი გვიჩვენებს, რომ გადაჭარბებულ სერიოზულობაში სასაცილო აბსურდულობა იმალება*“ (გვ. 261).

დასასრულს, წარმოგიდგენთ ზოგიერთ იუმორისტულ ნიმუშს, რომლებიც ჩემს მშობლიურ და მეზობელ სოფლებში ჩავიწერეთ. იმედია, სხვაგან კიდევ უფრო უკეთესი მასალები იქნება დაუნჯებული.

1991 წ.

მინაწერი: ამ პუბლიკაციის შემდეგ გავიდა წლები. გამოდის უამრავი ქართული ჟურნალ-გაზეთი და თითქმის ვერ ნახავთ ისეთს, ქართულ იუმორს ადგილს არ უთმობდეს. აქ ვაქვეყნებთ ჩემ მიერ წლების განმავლობაში შეგროვებულ მასალებს.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი

სოფლებისა და რაიონული ცენტრების ამბები

ვინაიდან ცალკე მაქვს გამოყოფილი თბილისი, აქ თავი მოვუყარეთ სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში შეგროვებულ მასალას.

დავიწყებ ჩემი სოფლისა და ჩემიანების ამბებით.

ს ი ლ ა უ რ ი
(ოზურგეთის რაიონი)

რას ნიშნავს „სილაური“?

სილაური ჩემი მშობლიური სოფელია. **მამია ებრალიძემ** მიამბო, *ჩემი ახალგაზრდობისას ლანჩხუთში მღეროდნენო*:

„დასილოსება რომ შემევიდა,
სილაურის საქონლები ჯანზე მევიდა“.

და ამას მოჰყვებოდა მისამღერი: *„ვარალე, ვარივარალეო“*.

სილაურში ამ სიმღერის შესახებ არავინ არაფერი იცის. ჩანს, იგი თავსიტყვების ბგერული მსგავსების გამო შეიქმნა.

სილაურისა და მისი ადგილების სახელწოდებათა შესახებ ვრცელი გამოკვლევა მაქვს გამოქვეყნებული (ჟურნალი „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1991, № 1). ჩემი განმარტებით, *„სილაური“* წარმოდგება ჩ ი ტ ი ს ძველქართული სახელიდან – ს ი რ ი (ძველ საბუთებში მას ეწოდება ს ი რ ე უ ლ ი): შესაძლებელია, ამ სიტყვიდან წარმოშობილი ადამიანის სახელის ან გვარისაგან — ***სირა****სეული*, ***სირია****სეული*, ***სირაძი****სეული* და ა. შ. მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობის გამო უფრო გვგონია, მისი პირველადი მნიშვნელობიდან მოდიოდეს – ს ა ჩ ი ტ ე, ჩ ი ტ ი ა ნ ი ადგილი.

როცა ეს ახსნა გავაცანი ჩემს სილაურელ მეგობარ **თამაზ (მიხეილ) მექვაბიშვილს**, მან მიამბო ასევე ჩვენი სოფლელი **ემენი**

გოგუაძის მონათხრობი. ემენი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო და ომის დამთავრების შემდეგ რამდენიმე თანამებრძოლს წელი-წადში ერთხელ კარგახანს სვდებოდა მორიგეობით ხან აქ, სოფელში, და ხან მათთან. ერთხელ ერთ-ერთის შეკითხვაზე, რას ნიშნავს შენი სოფლის საბელიო, ემენიმ იგი ხუმრობით რუსულად აუხსნა: „**სილა და ურაო**“.

ძროხა და ღორი

იასონ დარჩიამ და მამაჩემმა, **შაქრო დარჩიამ**, აბაშაში საქონელი იყიდეს, მამაჩემმა – ხბოიანი ძროხა, იასონმა – მაკე ძროხა და ღორი, მოერეკებიან და მოდიან. ხბო კუდში მისდევს დედას. ღორი სულ უკან არის. გზაში ბავშვები შემოხვდათ. ერთმა იასონის საქონელს შეხედა და იკითხა: ამ ძროხას ხბო არ ჰყავსო?

– არა, ბაბუა, მაგან ღორი ქნა! – დაუფიქრებლად მიუგო იასონმა და ღორზე ანიშნა.

იასონ დარჩიას ოცნება

აკაკი დარჩია მაღალი და წარმოსადეგი კაცი იყო. პირველი ცოლი გარდაცვალა სამი შვილი დარჩა, მეორე ცოლთან კიდევ სამი შეეძინა. თოხი, ბარი და, საერთოდ, ფიზიკური შრომა ეზარებოდა, არც რაიმე ხელობა იცოდა, მაგრამ ქეიფი და დროსტარება, მოგეცათ ლხენა, ძალიან უყვარდა. ყოველთვის ხელმოკლედ. ცხოვრობდა. სოფელში „უმუშევარი“ (ანუ მუშაობა რომ ესარება) კაცის სახელი ჰქონდა.

იქვე ახლოს მცხოვრები **იასონ დარჩია**, პირიქით, საშუალო ტანის, თიაქრით დაავადებული, მაგრამ საოცრად მუყაითი და მშრომელი კაცი გახლდათ. იასონმა თიაქრის გამო ცოლი გვიან შეირთო (33 წლის ვიყავიო, – მითხრა) და სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი (**პროკობი**) შეეძინა. როკობიც ასევე სამი ქალისა და ერთი ვაჟის (**ვაჟას**) მამა იყო. იასონი იმდენად განიცდიდა გვარის გამგრძელებელი ბიჭების ნაკლებობას, რომ, როცა ვაჟა გაჩნდა, სიხარულით აღტაცებულმა თქვა: ამ ბადიშს ისე გაეზრდი, არ ვამუშაევებ, აკაკიასავით „უმუშევრად“ იაროსო!

მეტი სინათლე

წამიკითხავს: როცა **გოეთე** კვდებოდა, მოსჩვენებია, რომ ჩაბობნელდა და, *მეტი სინათლეო*, მოუთხოვია. მსგავს ამბავს **იასონ დარჩიას** გარდაცვალებისას შევესწარი. იასონი 107 წლისა გარდაიცვალა. მიწაზე თოვლი იდო და ზამთრის მზიანი დღე იდგა. ერთისა და მეორის სინათლე კარგად ანათებდა იმ ოთახს, სადაც მომაკვდავი იწვა. უცებ იასონი ამბობს: *აანთეთ სინათლე, ვერ ხედავთ, ჩამობნელდა.* შვილმა, **პროკობიმ**, მაშინვე ჩართო შუქი. ცოტა ხნის შემდეგ იასონი ისევ კითხულობს: დაღამდა, ელექტრონი არ აანთეთ?

იასონი იმ ღამეს გარდაიცვალა. არაფერია უცნაური იმაში, რომ გენიოსები და რიგითი ადამიანები ამ ქვეყნიდან ერთნაირად მიდიან!

სამაგიერო მოტყუება

სოფელში ყოველთვის „ამოწმებენ" ერთმანეთს, რამდენად „ფხიზლად" ხარ და არ ტყუვდები. ამ მიზნით მიმართავენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოსაფხიზლებელ გონებასხარტ ხუმრობატყუილს.

იასონ დარჩია ჰყვება: ცოლი რომ შევირთე, ეზოს ერთ ყურეში, კუნტრუცაზე, ტყე გავკაფე და სიმინდი დავთესე. არნახულად იხარა. გავთოხნე და შევხაროდი, ავ თვალს არ ენახვებოდა. მერეშიაც მქონდა სიმინდის ყანა და, იქ რომ ვმუშაობ, **დიანოსა როყვა** ჩამოვიდა და მითხრა: ზემოთ ვიყავი, შენს ეზოსთან რომ ავიარე, ვნახე, ყანაში ორი ძროხა ჩასულიყო, გადმოვდენე, მაგრამ, რომ ჩამოვიარე, ისევ ჩასულიყო. კვლავ გადმოვდენე, ვიძახე შენთან, მაგრამ არავინ გამომძახებია.

სასწრაფოდ შინ წამოვედი. ვნახე, ჩემს ეზოში ჩიტიც არ ჩაფრენილა. ცოლი სახლის წინ იჯდა და რაღაცას ხელსაქმობდა. დიანოსასთვის არაფერი მითქვამს.

იმ წელს, კალანდობის წინა დღეს, ცხემლისჭრა საღამოს, ფოთიდან ამოვედი. თემში დიანოსა შემომხვდა. *სუფსაში ნალიებს* (სასიმინდეებს) *თუ შეხედეო*, მკითხა.

— აგაშენა ღმერთმა, შენთან უნდა ამოვსულიყავი და კიდევ კარგი, რომ აქ გნახე. ქარს შენი ნალიე წაუქცევია, კარი გაღებუ-

ლიყო და საქონლები ესეოდნენ. კარი მივხურე და ჯოხით დავამაგრე, მეტი ვერაფერი ვქენი.

სულ მალე დავინახე, დიანოსა და მისი ძმა, ზურგზე გოდრებმოკიდებულნი, სუფსისაკენ მიიჩქაროდნენ.

ჩავიდნენ და ნახეს, ნალიაზე ყვავიც არ შემომჯდარიყო. დიანოსას ასე გადავუხადე სამაგიერო და კალანდობა გარეთ გავათენებინე. მეორე თუ მესამე დღეს მისი ძმა დასარტყმელად ჩემკენ გამოიწია. ვუთხარი: შენთან საქმე არა მაქვს. *ეს ამბავი შენს ძმას მოჰკითხე-მეთქი.* თავი დამანება. დიანოსას არაფერი უთქვამს, რომ შემხვდა, გამიცინა.

პირველ კლასში

1943 წელს სილაურის 8-წლიანი სკოლის პირველ კლასში შევედი. კი არ შემიყვანეს, სწორედ შევედი. მაშინ ჩემს მეზობელსა და განუყრელ მეგობარ **ბუხუ (ბუხუტი) ლომაძეს**, რომელიც ჩემზე 9 თვით უფროსია, სწავლა დააწყებინეს. დილიდან საღამომდე ერთად ვიყავით. სანამ სწავლა დამთავრდებოდა, მარტოდმარტოს რა უნდა მეკეთებინა და მოვითხოვე, სკოლაში მეც გავეშვი. მამა ფრონტზე იყო, დედა საავადმყოფოში იწვა (ორივე გვერდის ანთება ჰქონდა) და იქიდან უარი შემომითვალა. გადაწყვეტით განვაცხადე: *თუ არ გამიშვებთ, სკოლაში დილიდანვე წავალ, მთელი დღე კიბეზე ჩამოვჯდები და, როცა სკოლა გამოვა, სახლში მაშინ წამოვალ-მეთქი.* მაშინ დედაჩემს ეთქვა: *გაუშვით, რამდენიმე დღეს ივლის, მოსწყინდება და თავს დაანებებსო.*

მარკელისა მამიდამ, რომელიც იმ დროს სოფელში იმყოფებოდა, დაპატარავებული და გახუნებული მოკლეშარვლიანი „მატროსკა“ გამირეცხა (მეზღვაურის ტანსაცმელსა ჰგავდა და ამიტომ ეძახდნენ ამ სახელს). გამირეცხა აგრეთვე „ბაბაინები“. ასე ერქვა პრიმიტიულად შეკერილ წაღებს, რომელსაც ძირებად ავტომანქანის გადაგდებული საბურავის ნაჭრები და უხეში რეზინის პირი ჰქონდა. მასში წყალი დაუბრკოლებრივ შედიოდა და გამოდიოდა. წინდა და ქვეშ ჩასაცმელი არაფერი მქონდა, შიშველ ტანსა და ფეხებზე ისინი ჩამაცვა და სკოლაში გამისტუმრა.

გადის რამდენიმე კვირა. რადგან მაშინ სკოლაში რვაწლისანებს იღებდნენ და მე შვიდისა ვიყავი, სკოლიდან მაგდებდნენ.

დედაჩემის ვარაუდი არ გამართლდა: სკოლაში სიარული არათუ მომწყინდა, პირიქით, გაუნელებელ მოთხოვნილებად მექცა. საავადმყოფოდან გამოსული დედაჩემი ცალკე სკოლასა და ცალკე სოფლსაბჭოს ეხვეწებოდა, გამონაკლისი დაეშვათ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სხვა რომ ვერაფერი იღონეს, სოფლსაბჭოს ჩანაწერში დაბადების წელი შემიცვალეს, 1936-ის ნაცვლად 1935 ჩამიწერეს, რაც დღემდე მომყვება და ყველა საბუთში ასე მიწერია.

ბებია და ბაბუამ ფანქარი, კალმისტარი, სამელნე და მელნის დასამზადებლად ქიმიური ფანქარი მიყიდეს, მაგრამ მელნიანი სამელნე, რომელიც შესვენებისას სასკოლო ოთახში დავტოვე, მომპარეს (ფანქარსა და კალმისტარს შესვენების დროსაც ხელით ვატარებდი, თუმცა ერთხელ, ბავშვები კიბეზე ჯგროდ და ჟრიამულით რომ ავდიოდით, უკანიდან ვიღაცამ კალმისტარი ისე გამომტაცა, ვინ იყო, ვერ დავინახე). ახალი სამელნე რომ მეყიდა, არც ფული გვქონდა და ყიდვასაც აზრი არ ჰქონდა, — ისევ მომპარავდნენ. რატომღაც უფლებას არ გვაძლევდნენ, ჭიაფრისგან დამზადებული მელანი გამოგვეყენებინა. არადა, ასე მეჩვენებოდა, მისგან მშვენიერ მელანს ვღებულობდით.

ჩემ წინ მეოთხე მერხზე იჯდა ერთი ჩვენზე დიდი ბიჭი, რომელიც სწავლას იყო ჩამორჩენილი. მას მოპარვას ვერ უბედავდნენ, სამელნე ჰქონდა, ყოველდღე მისთვის მსხალი ან ვაშლი მომქონდა და უფლებას მაძლევდა, მისი მელნით მესარგებლა. კლასში რომ რაიმეს გვაწერინებდნენ, ავდგებოდი, მასთან, მეოთხე მერხზე, მივდიოდი და კალამს მის მელანში ვაწებდი. ასე გაგრძელდა ოქტომბრის 20-25 რიცხვამდე. შემდეგ ხილი აღარც მე მქონდა და წერას ვეღარ ვახერხებდი (ფანქრით წერის უფლებას კი არ გვაძლევდნენ).

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შემექმნა იმ მხრივ, რომ სახელმძღვანელოები არ იშოვებოდა. კლასში ძველი სახელმძღვანელოები რამდენიმე მოსწავლეს ჰქონდა, არც ერთი ჩემთან ახლოს არ ცხოვრობდა და მათგან თხოვება ძალიან ჭირდა. სწავლას ჩამოვრჩი და ჩამოვრჩი. პირველი მეოთხედი რომ დამთავრდა, მასწავლებელმა „საშუალოები“ კი დამიწერა (ისე მახსოვს, მაშინ ჯერ კიდევ ნიშნების ციფრებით გამოხატვა მიღებული არ იყო), მაგრამ გამაფრთხილა: *თუ ასე გააგრძელებ, „ცუდები“ გექნებაო.*

საშვიდნოემბროდ ბებია და ბაბუა (**კესა** და **ელისო**) თბილისში შვილებთან სტუმრად იყვნენ. რომ ჩამოვიდნენ, ჩამომიტანეს ჩემი ბიძაშვილის ნახმარი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, აგრეთვე წიგნები – „დედა-ენა“ და არითმეტიკის სახელმძღვანელო. არ მავიწყდება, „დედა-ენას“ ყდა უკუღმა ჰქონდა შემოკრული.

გაკვეთილად მქონდა ნამცეცა მოთხრობა *„მურია და ღორი“*. სავალდებულო იყო წაკითხვით, ხოლო, ვინც შეძლებდა, მოყოლით. მთელი გატაცებით დავეწაფე ამ წიგნებს და იმ რამდენიმე დღეში, რაც საშვიდნოემბროდ, პირველი მეოთხედის დასრულების აღსანიშნავად მოგვეცა, დავისწავლე არა მარტო ბოლო გაკვეთილები, არამედ განვლილებიც.

განახლდა სწავლა. მასწავლებელმა გაკვეთილი რომ მოითხოვა, ამ ჩემი მოსწავლეობისას ხელი პირველად ავწიე. მაშინვე მკითხა. ავდექი და **„მურია და ღორი“** სულმოუთქმელად ჩავარაკრაკე. *ყოჩაღ*, – შემაქო მასწავლებელმა – *აბა, ახლა შინაარსის მოყოლა თუ შეგიძლიაო.*

მაშინაც წიგნში ტყუილად ვიხედებოდი, სინამდვილეში ზეპირად ვამბობდი და ახლა იგივე თავაწეულად გავიმეორე.

შემაქო და შემაქო მასწავლებელმა და „ფრიადი“ დამიწერა. თუ მანამდე ზოგიერთი, როცა გავაბრაზებდი, „ცუდოსანს“ მეძახდა, ამის შემდეგ სულ წარჩინებით ვსწავლობდი.

მეორე მეოთხედის ბოლოს, ახალწლის წინა დღეს, ნიშნების გამოცხადებაზე ელისო ბაბუა წავიდა. რომ გათენდა და გამომელვიძა, სასთუმალთან ას-მანეთიან-შემოხვეული დიდი დემირა ვაშლი დამხვდა. ბაბუამ კარგი სწავლისათვის ასე დამაჯილდოვა. მერე ჰყვებოდა: *რომ გამოაცხადეს, ფრიადოსანი და ჩვენი სკოლის თვალიაო, ისე ავმაღლდი, თავი „პატალოკზე“ ავარტყი, მეგონაო.*

კომკავშირში მიღება

1948 წელს, კომკავშირში რომ მიმიღეს, თორმეტი წლისა ვიყავი და მეექვსე კლასში ვსწავლობდი (ვინაიდან წესდებით 14 წლისაზე უმცროსის მიღება არ შეიძლებოდა, ანკეტაში ორი წლით უფროსად ჩამწერეს). ჩვენი სკოლა 8-წლიანი გახლდათ და მალე სკოლის კომკავშირის მდივნადაც „ამირჩიეს“. ბავშვური სიცელქე აქაც გამოვიჩინე: როცა კომკავშირში ახალ წევრებს მივიღებდით და

ოზურგეთში კომკავშირის რაიკომში დასამტკიცებლად ჩამყავდა, ბიუროზე გაყვანის წინ ისინი ... ს ა პ ი რ ფ ა რ ე შ ო შ ი (!) შემყავდა.

მაშინ კომკავშირელად გახდომა დიდ ღირსება და პატივი იყო, მიღება-დამტკიცებას გულის ფანცქალით ველოდით და ვხვდებოდით. განსაკუთრებით გვაშინებდა კომკავშირის რაიკომის ბიუროზე გასვლა, — ვაითუ, ისეთი რამ ეკითხათ, ვერ გვეპასუხა და არ მივეღეთ. ჩვეულებრივ მომზადებული გვქონდა პასუხები: როდის და ვის მიერ დაარსდა კომკავშირი საბჭოთა კავშირსა და საქართველოში? კომკავშირი რა და რამდენი ორდენით იყო დაჯილდოებული, როდის და რისთვის? და ა. შ. მაგრამ ხომ შეიძლებოდა, გაუთვალისწინებული შეკითხვაც დაესვათ?!

მაშინ ოზურგეთში პარტიისა და კომკავშირის რაიკომები ერთ ლამაზ, კარგა მოზრდილ, ორსართულიან, კაპიტალურ შენობაში იყო მოთავსებული და შესანიშნავად მოვლილ, უზარმაზარი ჭადრებით დამშვენებულ ბაღს გადაჰყურებდა. სოფლელ ბავშვებს ყოველივე ეს უზომოდ გვხიბლავდა და კიდევაც გვარიანად გვთრგუნავდა (ჩვენს სოფელში მაშინ არც ერთი ქვის შენობა არ იდგა და არც ელექტრონი იყო შემოსული).

აი, დასამტკიცებლად წამოყვანილ ორ-სამ მეშვიდე-მერვე კლასელთან ერთად ფეხი რაიკომის ქათქათა (ყოველ შემთხვევაში, ასე გვეჩვენებოდა მაშინ) შენობაში შევდგით, განიერი კიბით ავდივართ მეორე სართულზე, გავიარეთ ელექტრონით განათებული გრძელი და ფართო დერეფანი: გავედით ბოლოში, სადაც შედარებით სიბნელეა. გავხედავ ბავშვებს, — ყველას დამფრთხალი თვალები აქვს და მიტკლის ფერი ადევს.

— *აბა, შევდივართ, მოიხადეთ ქუდები!* — წავჩურჩულებ და მოკრძალებით, ფეხის წვერებზე შემდგარი შევუძღვები საკმაოდ მოუწყობელ და მოუვლელ, ჭერთან მდებარე, პატარა, ღია სარკმლებით მკრთალად განათებულ, რამდენიმედ გადატიხრულ საპირფარეშოში.

ჩემი თანმხლებლები იქაურობას ერთს თვალს მოავლებენ, სახეზე გაოცება გადაურბენთ და ერთბაშად გამოფხიზლებულები მხიარული ფხუკუნით წინ მისწრებენ და გარეთ გარბიან.

თუ გოგონებიც გვახლდნენ, მათ ჯერ გარეთ, რაიკომის შესასვლელთან, ვტოვებდი. კარგ გუნებაზე ვბრუნდებოდი, ბიჭები მიიღეს-მეთქი. ახლა მათ ბიჭებთან ერთად ქალების საპირფარეშომდე მივაცილებდი და „*შედით, შედით, ნუ გეშინიას*“ ძახილით შიგ შევლალავდი.

ამ „მეთოდმა“ იმდენად გაჭრა, რომ უკვე ბიუროზე გასვლისას შიში მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც ეხსნებოდათ.

სკოლაში დაბრუნებისას ისინი მომხდარს სიცილით თავად ჰყვებოდნენ. მსმენელები კიდევ მეტს იცინოდნენ, *ასე როგორ მოტყუვდითო*. მაგრამ შემდეგაც ყველა ახალ მიღებულს იგივე ემართებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სოფლად ყველგან, მათ შორის ჩვენს სკოლაშიაც, საპირფარეშო ცალკე, ეზოში იდგა და ვერც ერთს ვერ წარმოედგინა, თუ იგი შენობაში იქნებოდა.

აქვე დავსძენ: პირველად ჩემს სოფელში საპირფარეშო საცხოვრებელ ბინაში ლერი კილაძემ რომ გამართა (როცა მან დიდი, ორსართულიანი ოდა წამოჭიმა), მამამისი, აკაკი, მეზობლებს შესჩიოდა, — *გადამერია ბიჭი, ფეხსადგილი სახლში შემოიტანაო*.

„ეშმაკის“ შემოხტომა

ლიუდიკა („ლიუდიკა“, ალბათ, „ლუდოვიკო“ სახელიდან თუ მოდის) **კილაძე** (1909–1991) მუყაითი მშრომელი, დოვლათიანი ოჯახის მქონე, გონება-გამჭრიახი კაცური კაცი იყო. უზარმაზარი ტრაგედია გადაიტანა: 19 წლის ვაჟი, **ჯუმბერი**, თანატოლმა ბიჭებმა წალაპარაკებისას ტყუილუბრალოდ მოუკლეს. მიუხედავად ამ საშინელებისა, ის არასოდეს გაბოროტებულა და თავისი სათნო და კეთილმოსურნე ხასიათი არასდროს შეუცვლია. იცოდნენ და გრძნობდნენ რა მის მოსიყვარულე ბუნებას, მასთან შეხუმრებასაც არ ერიდებოდნენ.

ერთხელ, ახალდაღამებულზე (მაშინ ჯუმბერი ცოცხალი ჰყავდა), ლიუდიკა ბიძია, კარგად შექეიფიანებული, შინ ღიღინით რომ მიდიოდა, მისმა ახლო მეზობელმა **ნევრო კილაძემ**, ბნელი ადგილი შეარჩია, ტანზე გაიხადა და ზურგზე მოახტა. ლიუდიკას უფიქრია, ეშმაკიაო, ხმის ამოუღებლად გაქცეულა და ტანმორჩილი ნევრო უკან მოუხედავად კარგა მანძილზე უტარებია.

ჩასაფრება

მამაჩემი და **ლიუდიკა** ბიძია თანატოლები და გულითადი მეგობრები იყვნენ. მის კარმიდამოსთან ახლოს ტრიფოლიანტით შეღობილი ოროკას საკოლმეურნეო ჩაის პლანტაცია იყო გაშენებული. გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჩაის ბუჩქების რიგებს შორის კარგი ბალახი ამოდის. ვინაიდან საქონლი ახალამოსულ ჩაის დუყებსაც (ნორჩ ყლორტებს) ეტანება, ჩაის პლანტაციებში მისი ჩაშვება მკაცრად იკრძალებოდა. ზოგი ამ აკრძალვას არ ეპუებოდა და, როგორც კი დროს იხელთებდა, უფრო ღამღამობით, თავის ძროხებს, ხარებსა თუ ცხენებს ჩიგ ჩააპარებდა ხოლმე. ჩვენი ლიუდიკა ბიძიაც ხანდახან ასე იქცეოდა.

მამაჩემი მეველე იყო და ერთ დღეს ხმა გაავრცელა, ამ საღამოს ცოლოურს (მეზობელ სოფელში) სტუმრად მივდივარო, შებინდებისას კი ოროკას ჭიშკართან ძმაკაცს თოფით ჩაუსაფრდა.

კარგად რომ დაბნელდა, ლიუდიკა ბიძია მასზე გაპიროვნებული კოლმეურნეობის ხარებით ოროკას ჭიშკარს მიადგა და, ის იყო, ხარები უნდა ჩაერეკა, მამაჩემის თოფმაც იგრიალა, — *ვინ არის ეს მამაძაღლი, ჩაიში საქონელს რომ უშვებსო*!

— მომკლა ამ შეჩვენებულმა! — მისებურად იკივლა ლიუდიკა ბიძიამ და მოკურცხლა.

მეორე დღეს ეს ამბავი ზოგმა მამაჩემისა და ზოგან ლიუდიკა ბიძიას მონაყოლით მთელმა სოფელმა იცოდა და იცინოდნენ.

აფრასიონის ოინი

ჩვენს მეზობელ **ზაქრო დარჩიას** სახლის მშენებლობის დროს, ე. წ. ხურვაზე, **აფრასიონ ლომაძეც** ემსახურებოდა. ქალებმა მას ნასაკირალიდან ბრინჯისა და სხვა რაღაცების მოტანა დაავალეს. ნასაკირალის ცენტრი ჩვენგან ხუთ კილომეტრზე მაინც იქნება დაშორებული და გზად ოროკას ჩაი და ხაშიის სიმინდის ყანები უნდა გაიაროს. ოროკაში რომ ჩავიდა, წინ ცხენით მამაჩემი შემოხვდა. აფრასიონმა უცებ მოიფიქრა და მამაჩემს ეუბნება: *მამია სარიშვილმა (კოლმეურნეობის თავმჯდომარემ) შემოგითვალა, ცხენი მაქ დააბი და მნახეო.*

მამაჩემი თვალს რომ მიეფარა, აფრასიონი ცხენს შემოახტა, ნასაკირალში წავიდა, საყიდლები იყიდა და ცხენი თავის ადგილას

დააბა. მამაჩემს თავმჯდომარე ვერ ენახა. აფრასიონმა მას თავისი ეშმაკობა გაუმჟღავნა: *ნახვა აღარ გინდა, საყიდლები უკვე მოვიტანეო.*

დამწვარი ჩირაღდნები

გური ქილიფთარის მონაყოლი: **დათიკო სარდიონის ძე ქილიფთარის** ქორწილია. მაშინ სოფელში ელექტრონი არ იყო და ჭიშკრიდან დაწყებული ას მეტრზე მეტ მანძილზე შარაგზის ორივე მხარეს ნავთში დასველებული სიმინდის ნაგულებით ჩირაღდნები გააკეთეს. მაშინდელი წესით, ქორწილები გვიან, ნაშუაღამევს, იმართებოდა. ქორწილში არ დაუპატიჟებიათ **კოკოლა (ნევრო) გოგუაძე**, ალბათ, იმის გამო, რომ სიმთვრალეში ჩხუბი იცოდა. კოკოლა ძალიან ნაწყენი დარჩა და ოჯახს სამაგიერო ამით გადაუხადა: შეგვკრიბა თემში მყოფი ახალგაზრდები და მაყრების მოსვლამდე ცოტა ადრე მოშორებით მაყრულის სიმღერით მექორწილეთა სახლისაკენ გავემართეთ. თვითონ კოკოლა შესანიშნავი მოკრიმანჭულე იყო. ხიდს რომ მივუახლოვდით, მასპინძლებს ეგონათ, დედოფალი მოიყვანესო, და ჩირაღდნები ააბრიალეს. მაშინვე უკან გავიქეცით.

ცოტა ხანში ნამდვილი მაყრები მოვიდნენ, მაგრამ ჩირაღდნები სადღა იყო!

¤

ერთ ასეთ ანგლობაში მონაწილეობა მეც მიმაღებინეს. აღწერილი ამბიდან კარგა ხნის შემდეგ, მოსწავლე ვიყავი, **მამია დარჩიას** ქორწილი იყო. იქაც ისეთივე ჩირაღდნები მოემზადებინათ. ჩემზე უფროსმა ბიჭებმა **კაკო დარჩიამ, გური ქილიფთარმა** და სხვებმა კლუბიდან გამოგვიყვანეს (კრებას ვესწრებოდით), თავი მოგვიყარეს, მაყრული წამოიწყეს და მამიას უბნისაკენ დავიძარით. კაკო და გური შესანიშნავი მომღერლები არიან. პირადად მე არ ვიცოდი, თუ რა ხდებოდა. გამეორდა იგივე, რაც ზემორეა აღწერილი.

ამას წინათ, 2011 წლის ნოემბერში, დიდი ხნის დაშორების შემდეგ, ბათუმში მცხოვრებ 80 წლის კაკო დარჩიას ტელეფონით ველაპარაკე და ეს ამბავი გავახსენე. მითხრა: ეს მე გავაკეთე. მე და მამია, თუმცა ჩემზე კარგა უფროსი იყო, ძალიან ახლოს ვიყავით,

ხშირად ერთად ვქეიფობდით და გავბრაზდი, ქორწილში რომ არ დამპატიჟესო. ისიც დასძინა: ჩირაღდნები მოამზადა და აანთო **მალაქი კილაძემო**.

„აბოიმი“

კოლმეურნეობის კრებაზე **გერონტი ლეჭავას** რაღაც დავალებას აძლევდნენ. გერონტიმ იუარა: არ შემიძლია, ინვალიდი კაცი ვარ, ძლივს დავდივარ, ერთი ტყვია კოჭში მაქვს მოხვედრილი, მეორე – წვივში, მესამე – მუხლში...

ოლეგი ქილიფთარმა დაუძახა: *„აბოიმის" დაცლას უცდიდი, ვერ გამოწიე ეს ფეხი აქეთო!?*

გაფიცხებული ხაჭაპური

ჩემმა მეზობელმა და მეგობარმა **ზაურ ქილიფთარმა** ცოლი რომ შეირთო, სოფელში დიდი ქორწილი გადაიხადა. „ნამცეცობაზე“ მეზობლებმა მასთან მესამე დღესაც ბლომად მოვიყარეთ თავი. ზაურის დედა, **კატუშა** ბიცოლა, და რამდენიმე მეზობლის ქალი შუაცეცხლთან ტრიალებენ და საჭმელს აცხელებენ. მე ცეცხლზე მიფიცხებით გამთბარი (ანუ, როგორც აქ ეძახიან, გაფიცხებული) ხაჭაპური მიყვარს და თუმცა ვხედავდი, მათ ხელს ვუშლიდი, ცეცხლთან მაინც ვტრიალებდი.

კატუშა ბიცოლა მიჯავრდება: რა გინდა აქ, სუფრასთან მიდი და ყველაფერს იქ მოგართმევთო.

მე **ოლეგ ქილიფთარს** ვეძახი:

– მოდი, კატუშა ბიცოლას გაფიცხებისაგან მიხსენი და გაფიცხებულ ხაჭაპურს გაჭმევ-მეთქი.

წყალი და ღვინო

შალვა (შაკურა) ქილიფთარი (1927-2011) კოლორიტული, ყოჩაღი და ენამოსწრებული კაცი გახლდათ. იმხანად, როდესაც ის თავის საყვარელ ბიძაშვილს გამოსაჯავრებლად „უმტკიცებდა", ჩემი ღვინო სჯობს, შენი შაქარწყალიაო, ამ ბიძაშვილმა და მისმა მეზობლებმა მახლობელი მთიდან საუ-

კეთესო წყაროს წყალი გამოიყვანეს. შალვა ესტუმრა ბიძაშვილს, უმალვე წყალი დააჭაშნიკა, მოსვა, ჭიქას გახედა და დინჯად თქვა:

– აწი, ჩემო ძმაო, შენი ღვინო დაილევა!

ყვავილის „გაფრთხილება“

ჩემს მეზობლად, **ლადიკო (ვლადიმერ) ქილიფთარის** ოჯახში, მშვენიერ სუფრას ვუსხედვართ. ერთ-ერთმა თანამეინახემ მწვანილი ბლომად აიღო, დაახვია, მარილს ამოუწო და პირისაკენ გააქანა. **შაკურამ** ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ დეკორატიულ მცენარიან ქოთანს ხელი წაავლო და დიასახლისს გასძახა:

– *კატუშა, ეს ყვავილი აქედან წაიღე, თორემ შეგიჭამენ!*

კარგად ყოფნა?

შაკურა ყოველმხრივ ბედნიერი და მხიარული კაცი იყო, მაგრამ ხანში შესულს დიდი უბედურება ეწია. როცა მისი ვაჟიშვილი **გელა** ეზოს ცელავდა, ხელზე ბაზმა უკბინა და 15-20 წუთში გაათავა.

2010 წლის აგვისტოში მისი ბიძაშვილის, ლუბას, გასვენებაში ვნახე. მაგრად მოტეხილიყო. მოკლე-მოკლე ნაბიჯებით ძლივს დადიოდა. მივესიყვარულე, როგორ ხარ-მეთქი? ჩვეული იუმორით მიპასუხა: *ძალიან კარგად ვარ, რომ წავიქცევი, ჩემით ვდგებიო.*

ცოტა ხნის შემდეგ, მესმოდა, სხვას ამავე შეკითხვაზე ასევე იუმორით უთხრა: *ძალიან მაგრად ვარ, ჩემნაირი კაცი ხელს ვერ მახლებსო.*

ერთი წლის შემდეგ, სწორედ აგვისტოში, შაკურა გარდაიცვალა. მაშინაც სოფელში ვიყავი, სამარემდე მივაცილე და ყურში მისი სიცოცხლით სავსე, მხიარული გამონათქვამები მესმოდა.

ანგარიში შეეშალათ

(ვაჟა დარჩიას ნაამბობი)

ათი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი (ომი ახალდამთავრებული), **ბიჭიკო ქილიფთარმა** კარგი კახამბალი მაჭამა და მითხრა: *ეს*

ბალი ძეგორაზეა, თუ გინდა, ხვალ წაგიყვან და გაჭმევო. ბიჭიკო ჩემზე 3–4 წლით უფროსია, ჩემთვის ავტორიტეტი იყო და გავყევი.

გავიარეთ ზეგნის ტყე, ავედით ძეგორაზე. გზიდან გადავუხვიეთ, ბარდებში გავძვერით და ასე ავუარეთ გვერდი პავლე როყვას ავ ძაღლებს. მივადექით მაშო როყვას ეზოს.

— *აი, ამ ბალზე უნდა ავიდეთ!* — დამანახვა ბიჭიკომ მაშოს სახლის გვერდით მდგომი უშველებელი ბლის ხე.

მაშო ჩვენგან შორს ცხოვრობდა. მაშინ არ ვიცოდი, რომ ის, დედაჩემის ტოლა ქალი, მარტოდმარტო იმყოფებოდა. წინა დღეს ოზურგეთში, ბაზარში, წასულა და ბიჭიკოს ამით უსარგებლია.

შევშინდი და ხეზე ასვლასა და ეზოში ჩასვლაზეც უარი განვაცხადე.

— ვაი, შე გლახა! — შემარცხვინა ბიჭიკომ, სწრაფად ეზოში ჩახტა და, ის იყო, ხეზე უნდა ამძვრალიყო, ქალის შეძახილი და ძაღლების ყეფა ერთად გაისმა: *ეცით, ძაღლებო, ქურდებსო!* ვხედავ: დაფეთებული ბიჭიკო თავქუდმოგლეჯით გამორბის და ორი უშველებელი ნაგაზი მოსდევს.

უკან გაქცევა არ შეიძლებოდა, რადგან იქ პავლეს ძაღლები გვიყელებდენ. ამიტომ ვუგანეთ და უგზო-უკვლოთ ეკალ-ბარდებში ლუხმელას ხევისაკენ დავეშვით. ფეხშიშველები ვართ, მაგრამ ამას ყურადღებას ვინ აქცევს. სირბილ-სირბილით, სულმოუთქმელად, დაკაწრულ-დასისხლიანებულები, როგორც იქნა, ლუხმელას ჭალაზე ჩავედით.

აქეთ პირველად მოვხვდი და სად ვიყავი, არ ვიცოდი. ბიჭიკომ გამაფრთხილა: *თუ ვინმემ გკითხოს, ვისი შვილები ხართო, ვუთხრათ...* და დაასახელა კაცი, რომელსაც ბევრი შვილი ჰყავდა.

სამშვიდობოზე თავი რომ დავიგულვეთ, მინდორზე დავსხედით და ფეხისგულებიდან ეკლების გამოღებას შევუდექით. იქვე წისქვილი იყო. მეწისქვილე გამოვიდა, გამოგველაპარაკა, ბოლოს ვინაობა გვკითხა. ჩვენც დათქმული სახელი და გვარი ერთხმად ვუთხარით. გულში ბიჭიკოს წინდახედულობა შევაქე. თვითონვე მომეწონა, ისე ერთად შევძახეთ ჩვენი ვინაობა, ნათქვამში ეჭვს ვერავინ შეიტანდა. მეწისქვილეს არაფერი უთქვამს, გაიარ-გამოიარა, გვერდზე მომიჯდა, უცებ მეტაკა, მიწაზე წამომაგორა და, რაც მეცვა, — ძველმანი მოკლე შარვალი და „მაიკა“ — ერთბაშად

გამხადა: — *დედაშენმა რომ ჩემგან ფქვილი ისესხა, სანამ არ დამიბრუნებთ, ამ ტანსაცმელს ვერ ელირსებიო!*

ოჯახი, რომლის შვილადაც თავი გავასაღეთ, ჯარშვილიანობის გამო კარგად შევარჩიეთ, მაგრამ იმას ვინ გაითვალისწინებდა, რომ ეს ოჯახი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა (კაცი ჯარიდან ახალჩამოსული იყო), ცოლ-ქმარი ფქვილს, ყველს, კვერცხს, ფულს ხშირად სესხულობდნენ, მაგრამ ჩასესხება უჭირდათ, ამიტომ სოფელში „უპირო ხალხის“ სახელი ჰქონდათ გავარდნილი და ეს საფრთხეს შეგვიქმნიდა.

ბიჭიკო გაიქცა, მე სადღა წავიდოდი!

მეწისქვილეს მთელი დღე ვეველრე და ვემუდარე: ფქვილს ხვალვე ჩემი ხელით მოგიტან, ოღონდ შიშველს ნუ გამიშვებ-მეთქი. ბოლოს, საღამოს პირას, როგორც იქნა, *შენს სიტყვას ვენდობიო,* ტანსაცმელი დამიბრუნა.

შინ რომ მშიერი და გაუბედურებული დავბრუნდი, იქ ახალი უბედურება დამხვდა: მაშო ჩამოსულა, ჩემს ეზოსთან ზემოდან მომდგარა და მამაჩემს ხმამაღლა ელაპარაკება: *შენი და ნესტორ ქილიფთარის ბიჭი ჩემს ეზოში დაიარებიან. გუშინ იყვნენ, ბლის ტოტები დამიმტვრიეს, დღესაც იყვნენ და გამომექცნენო...*

მაშინ იმხელა სიმწარე ვნახე, ბავშვობის დანარჩენი დრო ისე გავატარე, სხვისი ეზოსაკენ ერთხელაც არ გამიხედავს.

მეწუნია მათხოვარი

ომის დროს და ერთხანს შემდეგაც რვეულებს, კალამს, კალმისტრებს, ფანქრებსა და სხვა ნივთებს, მათ შორის თოფის ტყვია-წამალს, **ივანე (ივანკა) ქილიფთარისაგან** ვყიდულობდით. ეს მოხუცი კაცი, ძველად მასწავლებლად ნამუშევარი და მენშევიკობისათვის დიდხანს ციმბირში გადანასახლები, მეუღლესთან, რუსის ქალ მარუსიასთან, ერთად სოფელში კარჩაკეტილად ცხოვრობდა და თავს ვაჭრობით ირჩენდა (ეტყობა, ამ ნივთებით ვიღაც რუსეთიდან ამარაგებდა). ხალხი შიმშილობდა, სიმინდი ძალიან ძვირი ღირდა, მაგრამ ბავშვები უკანასკნელ მარაგსაც შინ ვიპარავდით და ფილთა თოფისა და „ფიშტოებისათვის“ ივანესაგან ტყვია-წამალს ვყიდულობდით.

ერთ დღეს ვაჟა დარჩიას, მე-6 თუ მე-7 კლასის მოსწავლეს, ტყვია-წამალში მისაცემი სიმინდი რომ დაფშვნა, ნაგულების (ნაქურჩელის, ნაქუჩის, ქეჩეჩის) დამალვა დაავიწყდა.

– *რეიზა დაგიფშვნია სიმინდი?* – ნაგულები რომ ნახა, ჰკითხა ვაჟას მამამისმა, პროკობიმ (პროკობი, დაჭრილი და ფეხებმოყინული, შინ ომის დამთავრებამდე დაბრუნდა).

– *მათხოვარს მიეცი!* – ნირშეუცვლელად უპასუხა ვაჟამ (მაშინ მათხოვრები, უმეტესად ბოშები, სოფლად ხშირად დადიოდნენ).

– *ყვითელი სიმინდი ვერ მიეცი?* – სერიოზული სახით კითხულობს პროკობი, თუმცა მშვენივრად იცის, რაც მოხდა.

– *ვაძლიე და არ წაიღო.* – იხტიბარს არ იტეხს ვაჟა.

პროკობიმ ხელი შოლტს წამოავლო: – *ვის უნახავს მათხოვარი და მეწუნიეო?!*

უმაღლესისკენ ჰერი, ჰერი!

იმავე პროკობი დარჩიაზე მისი დისწული, ზურაბ ტუღუში, ჰყვება: უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად თბილისში რომ მივდიოდი და დიდ ჩემოდანს მივათრევდი, პროკობი ბიძია შემომხვდა და მკითხა, სად მიდიხარო. პასუხი რომ მოისმინა, დინჯად, სერიოზულად მითხრა: *კარგია, წელს თუ შენ მიგიღეს, გაისად მეც წამოვალო* (პროკობი მაშინ 70 წელს იყო მიტანებული).

იმედიანი სიტყვა

პროკობი დარჩიას გულნატკენი ეუბნება: პროკობი ბიძია, რა არის ეს, თმა სულ გაგთეთრებია?

– არა უშავს, ბიძია, ბოლოს გაშავება იცის! – „მაიმედებს“ იგი.

მარქსმა და ენგელსმა ვერ უშველეს

მილორსი როყვა უაღრესად პატიოსანი, მშრომელი კაცი გახლდათ. მის მიერ მოვლილი სიმინდის ყანა შინ და კოლმეურნეობაშიც ერთნაირად გამორჩეული იყო. თუ სხვები კოლმეურნეობის ყანას ორზე მეტად არ თოხნიდნენ, მილორსი მას

მესამე თოხის გაუტარებლად არასოდეს ტოვებდა და ზოგჯერ, სადაც სიმინდს გაჭირვებას შეამჩნევდა, თოხს მეოთხეჯერაც შეავლებდა.

მილორსის გაუთაებელი დავა ჰქონდა კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან სილოსის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ გურიაში მესაქონლეობა წამგებიანი დარგი იყო, საბჭოთა ხელისუფლების განუხრელი მოთხოვნის შესაბამისად, საქონლის ფერმა ყველა კოლმეურნეობას ჰყავდა. ამიტომ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები სასილოსედ ყველაზე კარგ მიწებს გამოყოფდნენ ხოლმე. ამაში სილაურის თავმჯდომარეს ენერგიულად უჭერდა მხარს ფერმის გამგე **ომარ კანდელაკი**, რომელიც იქვე, ახლოს, მეზობელ სოფელში, ჯუმათში, ცხოვრობდა. მილორსის მასთანაც დიდი კამათი ჰქონდა.

ერთხელ კოლმეურნეობის კრებაზე მილორსიმ განაცხადა: მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, რომ ყველაზე დიდი კაპიტალი ადამიანიაო, ომარი ამბობს, ძროხააო. მითხარით, რომელს დავუჯეროთ?!

მაშინ მარქსსა და ენგელსს განუზომელი ავტორიტეტი ჰქონდათ, მაგრამ მილორსის ვერა და ვერ უშველეს!

ბრიგადირების სიმღერა

კოლმეურნეობის ახალგაზრდა ბრიგადირები უფროსებისაგან ფარულად ღიღინებდნენ: *ვენაცვალე ჩაის გამჩენს, არ ემუშაობთ, მაინც გეარჩენს.*

ბოლშევიკი და მენშევიკი

დედაჩემის დეიდის მეუღლე **სამსონ კილაძე** ბოლშევიკი იყო, მისი მეზობელი **ვასილა კილაძე** – მენშევიკი. კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და ერთმანეთს ჩასჩიჩინებდნენ, ჩემს მხარეს გადმოდიო. საბჭოთა პერიოდში ვასილს ოფიციალურად რომ მოსთხოვეს, რწმენა შეიცვალეო, მან უპასუხა: **კრუხი არა ვარ, რომ მოვიქცეო** (გადავკრუხდეო). ვასილი რამდენიმეჯერ გადაასახლეს და იქ დაიღუპა.

სილაურში ციტრუსები მხოლოდ მაღლობ ადგილებში ხარობს. კარგად ხარობს სამსონის ეზოში. საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველა მეციტრუსეს ციტრუსების ჩაბარების გეგმა ჰქონდა შეწერილი და რომელიმეს უფლება არ ჰქონდა, თავის ეზოში მოწეული მანდარინი და ფორთოხალი თავის ჭკუაზე მოეხმარა, ბაზარში გაეყიდა, ვიდრე სახელმწიფო მისი დამზადების გეგმას არ შეასრულებდა.

ერთხელ სამსონმა მითხრა:

— ხედავ, რაფერ ასრულდა ვასილას სიტყვა? ამბობდა, იმისთანა დრო მოვა, შენი ეზოს ხილს ჩუმად, ღამე მოიპარავ და ისე შეჭამო!

თადარიგიანი მენავე

ვლადიმერ (ლადიმა) კილაძემ თავისი ცხოვრება მდინარე სუფსაზე მენავეობაში გაატარა. როგორც ძველ კომუნისტს, პერსონალური პენსია — 120 მანეთი დაუნიშნეს. შოფლად ჩვეულებრივი პენსიები იმდენად დაბალი იყო, ყველა ვლადიმერს შენატროდა. როცა ხრუშჩოვის დროს სტალინის კრიტიკა დაიწყეს, ვლადიმერს გაეხუმრნენ: *გეტირა ყოფა, მენშევიკები მოდიან და მაგ პენსიას ჩამოგართმევენო.*

— გაჩერდი, ბიჯო, შენ! იმ ნავით, ბოლშევიკები თუ გამყავდა, რავა ფიქრობ, მენშევიკები არ გამომყავდა? — არ დაიბნა ვლადიმერი და შემონახულ „კოზირებს“ ანაზდად წამოაველო ხელი.

ვარლამ კილაძე

დედაჩემის დეიდის მეუღლის, **სამსონ კილაძის**, ძმა, როგორც მას ეძახდნენ, **ვალამა კილაძე**, წიგნის მოყვარული კაცი იყო. რამდენადაც ვიცი, ბათუმში სამასწავლებლო ჰქონდა დამთავრებული და ერთ ხანს სოფლის მასწავლებლადაც მუშაობდა.

ერთ დღეს სამსონ ბიძია გაოცებული ჰყვებოდა:

— ამ დიდი გვალვების შემდეგ, როგორც იქნა, გაწვიმდა, სიმინდის დათესვის ამინდი დადგა. ეს საქმე მოსასწრებია. ვინ იცის, კიდევ როგორი ამინდები წავა. ამ დროს მივედი ვალამასთან, ჭილოფზე წამოწოლილა და წიგნს კითხულობს. ვუყვირე: რა დროს წიგნია, ყანა დაუთესავი დაგრჩება! ის ყურსაც არ აპარტყუნებს. წიგნი ხელიდან გამოვგლიჯე, დავინტერესდი, რას კითხულობდა.

ცოტა წავიკითხე და მართლაც ისე საინტერესო მეჩვენა, შევშინდი, ეს დამლუპავს-მეთქი და მაშინვე მოვიშორე.

ჭირვეული სიძე

ჯაბულო დარჩიამ დიდხანს, 120 წლამდე იცოცხლა. ძალიან რომ დაჩაჩანაკდა, ეზოში გამოიყვანდნენ და, ამინდისდა მიხედვით, მზეში ან ჩრდილში დასვამდნენ.

– ტერეზი! – წამდაუწუმ ეძახდა ჯაბულო ცოლს. ამ დროს ტერეზი, მისი მეორე მეუღლე, მასზე ბევრად უმცროსი, ოჯახურ საქმეებში იყო გართული და ზოგჯერ ვერ ეხმიანებოდა ქმარს. ჯაბულო გაჯავრდებოდა და დაემუქრებოდა ცოლს:

– ტერეზი, ჩემი არ გესმის, ხომ? იცოდე, დღეიდან აღარ ვარ შენი პატრონი, წაგიყვან და ჩაგაბარებ შენს ჭირისუფალს!

კალისტონ დარჩია – „მარჩიელი“

კალისტონ დარჩია ოზურგეთის ბაზარში ამხანაგთან ერთად სიმინდს ყიდის. რაღაცაზე ხალხში გაიარა და ერთ ადგილას ესმის, ვიღაც კაცი მეორეს უყვება: *ერთი თვეა, ცხენი დავკარგე, ვეძებ და ვერ ვპოულობო.* ისიც თქვა, *წითელი, გულთეთრა, ჭაკი ცხენიაო.* შეუმჩნეველად გამობრუნებულმა კალისტონმა თავისი მხლებელი იმ კაცთან გაგზავნა და ათქმევინა, აგერაა კარგი მარჩიელიო. მოსულს კალისტონმა 21 ცალი ლობიოს მარცვალი მოსთხოვა. ლობიო წითელი ფერისა აღმოჩნდა და თეთრი ლაქები დაჰყვებოდა. კალისტონმა ისინი ტორში აათამაშა და გაშლილ ყაბალახზე დაყარა. მერე ხელით დააგრძელა.

– შენი ცხენი ჭაკი, წითელი და გულთეთრა ყოფილა, – „ახსნა“ კალისტონმა და მარჯვნივ ხელი გაიშვირა, – აქეთაა წაყვანილი, მაგარი ძებნა უნდა და აუცილებლად ნახავო.

მოსულმა დიდი მადლობა და „მარჩიელობის საფასურიც“ გადაიხადა. კალისტონმა იმ ფულით იქვე არაყი შეიძინა და იმ კაცის სადღეგრძელოც თქვა: *ღმერთო, აპოვნინეო!*

*

კალისტონს ეს „ხელობა“ სხვა დროსაც გამოუყენებია. ფოთში მიმავალს, სადაც მასა და მის ორ ამხანაგს თითო საპალნე ღვინო გასაყიდად მიჰქონდათ, ერთ კარგად ჩრდლიან-ეზოიან ოჯახში დასასვენებლად შეუვლიათ. მასპინძლები ძალიან შეწუხებული იყვნენ, – დიასახლისს ნიშნობის ბეჭედი დაეკარგა და წინა დღეს მათთან ნამყოფ ბათუმიდან ამოსულ მაზლიშვილს აბრალებდა.

კალისტონმა ბროლის ჭიქა მოითხოვა, შიგ წყალი ჩაასხა და ნელ-ნელა რამდენიმე ხურდა ფული ჩაყარა. ჭიქას ხან აქედან შეხედა, ხან – იქიდან და ბოლოს თქვა: *მოპარული არ არის, ქათმის გადაყლაპულიაო.*

მასპინძლებმა ვეღარ მოითმინეს და დიდ სახლის მამალს[4] მაშინვე თავი წააგდებინეს. მამალს, რა თქმა უნდა, კუჭში ბეჭედი არ აღმოაჩნდა, მაგრამ შინაურები მაინც კმაყოფილები დარჩნენ: *რადგან კაცის ხელი არ ურევია, საქათმეში ან სადმე ეზოში იქნება და ვიპოვითო.*

რაკი დაკლული იყო, მასპინძლებმა სტუმრები მანამ არ გაუშვეს, სანამ მამალი კარგად არ ჩახრაკეს და მშვენიერი სუფრა არ გაშალეს. შინაური ღვინოც მოიტანეს, მაგრამ კალისტონმა ტიკიდან თავისი ღვინო ჩამოასხა და სუფრაზე ჩამოდგა.

ცოლის შერთვის სირთულეები

პროკობი დარჩიას მონაყოლი: ერთ ჯუმათელ ქალს მირიგებდნენ (ეს ხდება XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში). ყველაფრით კარგი გოგო იყო, მაგრამ ერთი რამის გამო დავიწუნე: ... ბათუმში იყო ნამყოფი!

როგორც თვითონ განმარტა, ის დედასთან ერთად ბათუმში საკერავი მანქანის საყიდლად ჩასულა.

– შემდეგ ეს ქალი ჩემზე ბევრად უკეთესმა კაცმა შეირთო და თბილისში დიდებულად ცხოვრობს. – დასძინა პროკობიმ.

ძველად ჩემს სოფელში რომ ასე მარტო პროკობი არ სჯიდა, ზაურ ქილიფთარმა დამიდასტურა. მიამბო: ბავშვი ვარ.

---

[4] გურიაში სხვა მამლებიდან გამორჩეულ უპირველეს (სამომავლო, სანჩხვე) მამალს **სახლის მამალს** უწოდებენ.

დედაჩემთან მეზობლის ქალები შეკრებილიყვნენ და მასლაათობდნენ. შორიახლოს ვიჯექი და მათი საუბარი ძალაუნებურად მესმოდა. სიტყვა გაათხოვებაზე ჩამოვარდა და ერთმა ერთზე იკითხა: რა კარგი გოგოა და, მიკვირს, რომ ვერ თხოვდებაო. მეორემ უპასუხა: მაგას ვინ წაიყვანს, ბათუმშია ნამყოფიო!

*

ამგვარი უხიაგობის გამო **თამარ კილაძე** სულაც გაუთხოვარი დარჩა. თამარი ძალიან ლამაზი ქალი გახლდათ და სილაურში გამოთხოვილმა მისმა ბიცოლამ მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნებულ თავის ბიძაშვილს შეახვედრა. შასიძოს, „საუბედუროდ", „შიპლეტები" სცმია.

– მე კი მეგონა, გადაჭრილი ჩექმები ეცვა და გული მომიეიდა: საცოლის გადასანახულებლად გადაჭრილი ჩექმები რამ ჩააცვა-მეთქი და უარი ესტკიცე. – იცინის თამარი.

... ეს სასიძო შემდეგ კარგა ხანს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო, ხოლო თამარი სილაურს არ გასცდენია. ახლა (2006 წ.) მას, 80 წელს გადაშორებულს, სოფლის ხელმრუდე ბიჭები ხან თხილს ჰპარავენ, ხან – ყველსა და ხან კიდევ – რას.

*

ამგვარ ვითარებაში ყოჩაღად მოიქცა **რეზო მეგრელიშვილი**. იგი თავის ბათუმელ საცოლეს პირველად გალიფე შარვალსა და რბილ ჩექმებში („ცარსკებში") გამოწყობილი წარუდგა (ეს უკვე XX საუკუნის 60-იან წლებში ხდება). საპატარძლომ პირდაპირ უარი მიახალა: *ახლა გალიფესა და „აზიაცკებს" არავინ იცმევსო!*

– მე ეს ტანსაცმელი ტანზე შემოკერებული კი არ მაქვს, დღესვე გავიხდი და, რაც შენ მოგეწონება, იმას ჩავიცმევო! – არა დაიბნა რეზო, ქალაქელი ქალი სილაურში წამოიყვანა და მშვენიერი ოჯახი შექმნა.

აურზაური არაფრის გამო

საბჭოთა ხელისუფლების დროს სილაურის კლუბში ტაშკენტის ცირკი წარმოდგენას მართავდა. სილაურს შესანიშ-

ნავი კლუბი აქვს (უფრო ზუსტად, ჰქონდა. ახლა უსახსრობის გამო დიდად დაზიანებულია და კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს). სოფლად ცირკის მსახიობები იშვიათად გამოდიოდნენ (სილაურს ისინი ახალი და კარგი კლუბის გამო ეწვივნენ). ამიტომ იყო, იმ დღეს ახლომახლო სოფლებიდან უამრავი მაყურებელი მოვიდა და დარბაზი გაიჭედა. მაშინ ელექტრონის პრობლემა არც სოფელს ჰქონდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ, როცა სცენაზე ორი უშველებელი გველი გამოიყვანეს, მოულოდნელად სინათლე ჩაქრა. ვიღაცამ დაიძახა, *გველები გაექცათო*. ატყდა დიდი რიარია და აურზაური. ამ დროს კობა დარჩიამ კლუბის გამგეს, თითქმის ბაბუისტოლა კაცს, კოჭებთან ხელი მოუცაცუნა და მერე უჩქმიტა. გამგე შეხტა და სასოწარკვეთილი ხმით შეჰყვირა. ამან კიდევ უფრო გადარია ხალხი, ყვირილითა და კივილით კარებსა და ფანჯრებს მიაწყდა, შეიქმნა დიდი ჯგლეთა და ზედახორა.

სეილან ლომაძის ჯავრი

სეილან ლომაძემ ღრმად მოხუცებულობამდე იცოცხლა. ომი რომ დამთავრდა და ხილის „*ბალიშა კამფეტები*“ ისევ გამოჩნდა, მისმა შვილიშვილმა ციალა დარჩიამ ეროი კილოგრამი კანფეტი უყიდა და მოხუც ბაბუას მიუტანა. სეილანი წუწნის და წუწნის მონატრებულ კანფეტებს და ამბობს: *იმდენს ვჭამ, ნამდვილად მაწყენსო. რძალი გამოეპასუხა: დაანებე, მამა, თავი და დანარჩენი სხვა დროს მიირთვიო.*

– ამ ხნის კაცი ვარ და ვიცი, ხვალ ცოცხალი ვიქნები? – შესჩივლა სეილანმა.

– კი, მაგრამ, მამა, ამ ქვეყანაზე მაგის მეტი არაფერი გრჩება?! – გამოეპასუხა რძალი.

ღორის ყურები

მამაჩემმა მიამბო: მე და **მიშა დარჩია** ცხენებით ბუკისციხეში ღვინის საყიდლად ვიყავით. ის ღამე იქ, მასპინძლის ოჯახში, გავათიეთ. საღამოს გაწვიმდა და მთელი ღამე და მეორე დღეც გადაუღებლად წვიმდა. მეორე დღეს ერთ ხანს წვიმის გადაღებას ველოდეთ. რომ აღარ იცრიალა, წამოვედით, მაგრამ სუფსა ადიდებული დაგვხვდა და იძულებული გავხდით, ის ღამე სუფსის

ჭალაში მეწისქვილესთან გაგვეთია. ღვინო ჩვენ გვქონდა, მასპინძელმა მჭადი გამოაცხო, მაგრამ მისაჭმელი არაფერი გაგვაჩნდა.

ამ დროს ერთი დიდი, ბრტყელყურება ღორი ღრუტუნით რამდენიმეჯერ წისქვილის ღია კარს მოადგა. გავდენით, ისევ გვაკითხავს.

მიშა პატარა ტანის, კენჭივით მკვრივი და მაქვა კაცი იყო. უცებ გარეთ გავარდა, ღორს ეტაკა, წამოაქცია, ქამარზე დამაგრებული ქარქაშიდან დანა იძრო და ორივე ყური მოათალა. ღორი ჭყვირილით გავარდა და მერე აღარ გამოჩენილა. ჩვენ კი მშვენიერი ვახშამი გამოგვივიდა. ვინ მოთვლის, ჩემს ცხოვრებაში რამდენი ღორი და გოჭი დამიკლავს, მაგრამ იმ ღორის სიცოდვით მაშინდელი ვახშამი ახლაც ყელზე მადგას.

ამაზე მეც მიფიქრია და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ სულ სხვაა, როცა ადათ-წესებით დანერგილს აკეთებ და სულ სხვა — როცა უჩვეულოსა და მტკივნეულსა სჩადიხარ!

ტვირთის სიყვარული

1954 წელს, როცა სტუდენტი გავხდი, შემოდგომაზე, მამაჩემი შაქრო დარჩია თბილისში ჩამოვიდა და დიდი ხორაგიც ჩამოიტანა. მე და ჩემი დეიდაშვილი იური კუკულაძე ვაგზალში დავხვდით. რადგან ბარგი ბევრი გვქონდა, მუშა დავიქირავეთ. მან საგანგებო ღვედით 4-5 შეკვრა ზურგზე მოიკიდა და მაინც ამბობდა: *აი, ეს შეკვრა აქ დამადეთ, აი, ეს — აქაო.*

— ამ კაცს ხომ არ გაჰყიდიან? პირველად ვნახე ადამიანი, ტვირთი მომიმატეთო, რომ ამბობდეს! — ჩაილაპარაკა მამაჩემმა.

გლეხი და მთავრობა

თბილისში ჩამოსული მამაჩემი ჩვენმა ნათესავმა **გრიშა კილაძემ** ქალაქის დასათვალიერებლად წაიყვანა. მთავრობის სახლი რომ აჩვენა, მამაჩემმა შენობას თვალი კი შეავლო და ნაბიჯს აუჩქარა.

— სად გარბიხარ? — ეკითხება გრიშა.

– წამოდი, თუ ძმა ხარ, სირცხვილია, ვიღაცა გადმოიხედავს და გაიკვირვებს, ამ მოძალებული სამუშაოს დროს ეს კაცი ქალაქში რამ ჩამოიყვანაო?!

ამ რწმენით იყო მამაჩემი აღზრდილი და ამ შეგნებით გაატარა მთელი ცხოვრება.

გულგრილობისათვის დახვრეტა

ავქსენტი სარიშვილი, მამაჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი და მისი თანამოაზრე, მამაჩემს ეკითხება: *ახლა რომ სტალინი გაცოცხლდეს, რას იზამსო?*

– მე და შენ, აქვსენტია, ორივეს დაგვხვრეტს!

– ჩვენ რას გვერჩის, კაცო? – შეხტა ავქსენტი.

– რას და, გვეტყვის: ქვეყანას რომ ანგრევდნენ, თქვენ რას შეებოდითო?!

ვის უნდა დავუჯერო?

მამაჩემი, რომლის ზურგზე თანასოფლელებთან ერთად გადაიარა საკოლმეურნეო მშენებლობამ, ჩაის, ციტრუსების, ტუნგის პლანტაციებისა და ვენახის გაშენებამ, ქარსაფარი და წყალსამაგრი ზოლების შექმნამ, გზების გაყვანამ, დიდი კაპიტალური ადმინისტრაციული შენობის, მაღაზიის, კლუბის, აბანოს, ჩაისა და ხილის მიმღები პუნქტების, ბოსლების აშენებამ, მეორე მსოფლიო ომმა და ასე შემდეგ, ბოლომდე სტალინისტად დარჩა. ჰყვებოდა მასზე გაგონილ, ზოგჯერ ფანტასტიკურ, საქებარ ამბებს და ეკამათებოდა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც, პირიქით, საბჭოთა კავშირის დანგრევის პირველ წლებში, სანამ სოფელში საშინელ სიდუხჭირეს ჯერ კიდევ არ დაესადგურებინა, სტალინის მიმართ დიდი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. ოთხმოც წელს გადაშორებულ ამ მაშვრალ ხალხს აბუჩად იგდებდნენ: *არაფერი გაგიკეთებიათ, ყველაფერი მოსპეთო.* საქმე იქამდე მივიდა, ჩვენი მეზობლის, მამაჩემის ბავშვობის მეგობრის, შვილიშვილმა, შეზარხოშებული რომ იყო, შეიგინა: *სტალინის დედაც... და მისი მაქებრისაცაო.*

მამაჩემს მაშინ ხმა არ ამოუღია. მოგვიანებით კი ერთერთი თავშეყრისას უთქვამს:

– დაბნეული ვარ. ჩერჩილი, მოსისხლე მტერი, პირადად რომ იცნობდა სტალინს, მასზე ამბობდა, გენიოსი იყოო. აქ კი, სკოლა რომ ძლივს დაამთავრეს, მეუბნებიან, სულელი და გიჟი იყოო... რომელს დავუჯერო, აღარ ვიცი!

ასპროცენტიანი ბაბუა

ჩემი ნათლიის შვილმა **ყირიმა ქილიფთარმა**, ორი ქალისა და ორი ვაჟის მამამ, უმცროსი ვაჟის **გელასაგანც** რომ შვილიშვილი, **გიორგი**, შეეძინა (მანამდე თითოეული შვილისაგან თითო შვილიშვილი, ვაჟები ჰყავდა. მერე კიდევ ორი შვილიშვილი შეემატა), ძეობაში, სამადლობელო სადღეგრძელო'ში, თქვა: აქამდე 75-პროცენტიანი ბაბუა ვიყავი, ახლა 100-პროცენტიანი გავხდიო.

წინ ღორი?

ყირიმას შვილები გია და გელა ქილიფთრები 30 წელს გადაცილებული, ცოლშვილიანი, ჯანმაგარი ბიჭები არიან და ღვინოსა და არაყს იმდენად და გადამეტებით ეტანებიან, ზოგჯერ თავი ხიფათშიაც ჩაუგდიათ. ამის გამო მათთვის რამდენიმეჯერ საყვედური მითქვამს და შემდეგ მინანია, ბიჭებს თავი შევაძულე-მეთქი.

ერთხელ მთვრალმა გელამ ფეხი ისე გაიჭრა, ოზურგეთის საავადმყოფო'ში წაყვანა, რამდენიმე ნაკერის დადება და ფეხის თაბაშირში ჩადება დასჭირდა. რა თქმა უნდა, ამან ძალიან შემაწუხა და მის ამბავს შინაურებთან შეხვედრისას ყველას ვეკითხებოდი.

იმ დღეებში გელას მშობლებს გოჭებმოსაყვანი ღორი დაეკარგათ და ტყეში გამალებით დაეძებდნენ. საშიშროება იყო, ტურებს მისთვის გოჭები არ შეეჭამათ.

ამ დროს შემომხვდა გელას მეუღლე ლალი და პირველი ის ვკითხე, ღორი იპოვნეს თუ არა, შემდეგ – გელასთვის ძაფები უნდა ამოეღოთ და *რა ქნა-მეთქი*. ასე რომ რამდენიმე შეხვედრაზე გამეორდა, ლალის ეუბნები:

– გელას ჩემზე გადაეცი, ჯერ ღორის ამბავს კითხულობს და მერე – შენსას-თქო.

გადაბმული ქეიფი

გრამიტონ როყვას უმცროსი ვაჟის, ნუგზარის, საქორწილო სუფრა რამდენიმე დღე არ აღაგებულა. მისი ვაჟების მეგობარი და შორიახლო მეზობელი ტარიელ ლეჟავა იმ დღეებში შინ საერთოდ აღარ წასულა, თვრებოდა და გრამიტონის ლოგინში იძინებდა. მესამე დღეს, დაღამებას კიდევ ბევრი უკლდა, გრამიტონი ლოგინში მწოლიარე ნახეს. მოსამსახურე მეზობლები შეწუხდნენ, *კარგად ხომ ბრძანდებითო.*

– რაღა კარგად ვარ, – პასუხობს გრამიტონი, – ჩემს ლოგინში დაწოლა ახლაც რომ ვერ მომესწრო, ამაღამაც უძინარი დავრჩებოდი.

საღამოთი, როცა თავისი ვაჟების მეგობრების სიმღერა გაიგონა, „*ვაი, ეულარ ეხედავ მზესო*“, გრამიტონმა მიაძახა:

– ჭიშკარს თუ კი ხედავთ, ბიძიებო, აწინ ქი წაით შინო!

ქვეყანაზე გადაჯდომა

ადრე დისერტაციის დაცვის დროისა და ადგილის შესახებ განცხადება გაზეთში ქვეყნდებოდა. ჩემს საკანდიდატო დისერტაციაზე ცნობა რომ ჩემს სოფელში წაუკითხავთ, ჩემი მეზობელი **სოფორე დარჩია**, ხანშიშესული ქალი, ორღობეში მიდის და ხმამაღლა იძახის, თურმე:

– ჰო, ჰო, ჰო–ჰო, გადააჯდა აი ბიჭი ქვეყანას, გადააჯდა!

ქურდი ბალზე, პატრონი ტყემალზე

– კარგა მოზრდილი ვიყავი, – გვიამბოს **გიორგი დარჩია**, – **მასიკო ქილიფთარის** ბალზე ავიპარე. მასიკო უკვე ხანდაზმული კაცი იყო, გამიგო, ქვეშ შემოვიდა და მკვახე ტონით მკითხა, რომელი ხარო. რატომღაც უცებ ასე გადავწყვიტე: ხმა შევიცვალე და, ბესარიონი ვარ-მეთქი, ვუთხარი, ზევით-ზევით ავიწიე და ფოთლებში შევიმალე

– რომელი ბესარიონიო? – მეკითხება.

– რომელი ბესარიონი ვიქნები, –ქილიფთარი-მეთქი.

მასიკო ცოტათი შეყოვნდა, მერე ლმობიერი ხმით მეუბნება, *ფრთხილად იყავი, არ ჩამოვარდეო.* შემდეგ მესმის:

– ბესარიონ, ბოდიშს გიხდი, ფული დაგიგვიანე, მაგრამ ამ დღეებში მოგართმევ.

– რასა ბრძანებთ, ბატონო, არ მეჩქარება, როცა იშოვნით, მაშინ იყოს, ერთი, ორი, სამი თვის შემდეგ!

მივხედი, მასიკოს ბესარიონის ვალი ჰქონია, მე კი რა მენაღვლებოდა, ვიუხვე.

– ამდენს არ გაგიჩერებ, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ მაცალე. – უფრო დაუტკბა ხმა მასიკოს.

– როცა გენებოთ. – ისევ დავამშვიდე და ბალიც ჩამოვუყარე.

– ძირს მშვიდობით ჩამოდი! – დამემშვიდობა მასიკო და წავიდა.

სამი კვირის მერე გავიგე, ბესარიონი და მასიკო წაჩხუბებულიყვნენ. ბესარიონს უთქვამს, უპირო კაცი ყოფილხარ, ფულს რატომ არ მაძლევო. მასიკოს გაჰკვირებია: *აკი მითხარი, ნუ ჩქარობ, გადროვებო?* ბესარიონი აბობოქრებულა, *როდის გით-ხარიო?*

– როდის და ჩემს ბალზე რომ იყავიო. ამაზე ბესარიონი მთლად გაგიჟებულა, – შენს ბალზე რა მონდოდაო?!

მაშინ ვერ გავბედე. კარგა ხნის შემდეგ, როცა კაცობაში ფეხი შევდგი, ორიევს გამოვუტყდი, რომ მათი ჩხუბის მიზეზი მე ვიყავი. – ასრულებს თხრობას გიორგი.

ღვინის „ვერაგობა“

სილაურში კაცი გარდაიცვალა და კუბოსთვის ხელოსან **ერმილე ტუღუშთან**, სოფელ მამათში, **გიორგი დარჩია** გაგზავნეს. ერმილეს სახლამდე სამ კილომეტრამდე იქნება, მაგრამ სიძნელეს ის ქმნიდა, რომ მუხლებამდე თოვლი იდო, საცალფეხო გზით ტყეში სავალი იყო და ძეგორას კარგა მაღალი აღმართი უნდა აევლო. ძეგორაზე რომ ავიდა, მამათის საზღვართან გიორგის იქვე მცხოვრები **პავლე როყვა** შემოხვდა, რომელიც პურღვინიანობით და, განსაკუთრებით, კარგი შავი ადესა ღვინით იყო სახელგანთქმული. პავლემ გიორგი შინ შეიყვანა და შუაცეცხლთან სუფრა გაუშალა. მიცვალებული ჯოხით გაეზომათ და ეს ჯოხი გიორგიმ კარებთან კედელზე მიაყუდა. Iქვე, გვერდით, დაჩეხილი შეშა და ფიჩხი ელაგა. როცა შეზარხოშებული გიორგი გარეთ გამოვიდა, ჯოხი აღარ

დახვდა, – ბავშვებს ფიჩხებთან ერთად ისიც ცეცხლზე შემოდოთ.

შეწუხდა გიორგი. უკან დაბრუნების დროც აღარ იყო და თვალის ზომით ახალი ჯოხი გამოჭრა. სიმთვრალის გამო ჯოხი იმდენად დიდი მოსვლოდა, ერმილეს მისთვის უკითხავს: *რამდენი მიცვალებული გყავთო.*

გიორგიმ გულწრფელად გაანდო თავისი გასაჭირი. ერმილემ გაამხნევა იგი, – ნუ გეშინია, ყველა სილაურელის ზომა ვიციო. მაგრამ გიორგის გულის კანკალი მანამდე არ მოშორებია, სანამ მიცვალებული კუბოში არ ჩაასვენეს.

როცა გიორგი ამ ამბავს მოჰყვებოდა, დააყოლებდა: ღვინომ ამფერი სიაბდლე გამაკეთებიაო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე და თხები

ციალა დარჩიამ ოზურგეთის პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა და სოფელში ერთხანს საბავშო ბაგის გამგე იყო, შემდეგ – სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი. ბაბუამისისა (იასონის) და მამის (პროკობის) მსგავსად, გამოირჩევა დიდი გონებასისხარტით, იუმორითა და მახვილსიტყვაობით.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ციალას ბრიგადე-რის პირით შეუთვალა:

–შენი თხები მოგვაშორე, „თემის ეზოში“ ხტებიან და ყველაფერი გახრეს და შეჭამესო.

ციალამ პასუხად დააბარა:

– რაც თქვენ ამ კოლმეურნეობაში გახარით და შეჭამეთ, იმასთან შედარებით ჩემ თხას ასეთი რა უნდა გაეხრა და შეეჭამაო?!

დროშა ტარით

სილაურის კოლმეურნეობის ერთი თავმჯდომარე მოხსენების წერაში წაიზარმაცებდა. რომ დაატყო, ამ საქმეში სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი **ციალა დარჩია** ოსტატობას ამჟღავნებდა, კოლმეურნეობის მუშაობის მონაცემებს შეაგროვებდა და წლიური ანგარიშის დაწერას კოლმეურნეობის გამგეობის მდივანს კი არა, მეგობრულად ციალას ავალებდა.

გადის ხანი. ციალა ხედავს, თავმჯდომარე მის დაწერილს იმდენად ენდობა, წინასწარ აღარც კითხულობს და მემანქანეს პირდაპირ გადასაბეჭდავად აძლევს. ამიტომ ერთხელ გადაწყვიტა, შეხუმრებული თავმჯდომარისთვის „ოინი ეყო“ და მოხსენებაში დაწერა: *„წელს სოფელმა მიიღო რაიონული გარდამავალი **დროშა ტარით**“.*

და, აი, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ საზოგადო-საანგარიშო კრებაზე რომ წაიკითხა „დროშა ტარით“, შეცბა, შეყოვნდა და თვალი დარბაზისაკენ გააპარა. „ტარიანი დროშა“ ყურში არავის მოხვედრია, მხოლოდ რაიკომის წარმომადგენელმა გივი ეასაძემ პირზე ხელი მოიფარა და ჩაიფრუტუნა.

კანონიერი ქურდი

ციალა კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში შედის. ხელში ქაღალდები უჭირავს და სოფლის მეურნეობის თავკაცს მიმართავს:

— ეს გრაფები შევავსე. — საუბარია რაიაღმასკომიდან გამოგზავნილ კითხვარზე: ვინ არის სოფელში მუქთახორა, ზარმაცი, ლოთი, ნარკომანი და ა. შ. ოცდაათზე მეტ კითხვაზეა პასუხი გასაცემი.

— ყველაფერი გასაგებია, — შეწუხებული ხმით განაგრძობს ციალა, *— მესმის, რას ნიშნავს ხულიგანი, მორფინისტი, ქურდი... მაგრამ არ ვიცი, ვის ჰქვია „კანონიერი ქურდი“, ვინ ჩავწერო... თქვენ და ბუღალტერი ხომ არ იგულისხმებით აქ?*

— ოჰ, ციალა, შენ რომ არ იტყვი, ისეთი რაა! — იცინის თავმჯდომარე.

— ყოველ შემთხვევაში, მე თქვენ ჩაგწერთ და, თუ სწორი არ იქნება, რაიონში ამოგშლიან! — კვლავ სერიოზული სახითა და საქმიანი ტონით თავისაზე დგას ციალა.

ვინ ვის ასულელებს!

ციალა დარჩია ოზურგეთის ბაზარზე ხაპებსა და ხაპერებს ყიდის. გურიაში ეს ორი ჯიში ერთმანეთისაგან კარგად არის გარჩეული. იმერეთში ორივეს კვახი ჰქვია, აღმოსავლეთ

საქართველოში – გოგრა. გურულები მაგარკანიან ხაპერასაც განარჩევენ და მას ხაპროკას ეძახიან.

– ჩემი ხაპები და ხაპერები უნჭილი (ზრდადაუსრულებული, უმწიფარი) იყო. – ჰყვება ციალა. – მოვიდა ერთი დარბაისელი კაცი, ადგილობრივი ექიმი, ჩემგან რამდენიმე ხაპი და ხაპერა იყიდა. მანამდე იქვე, გვერდით, ვაშლი შეიძინა და თქვა: ეს შეუხედავი ვაშლი ყველანაირ ვაშლს ჯობიაო.

– ჭკვიანი კაცი ყოფილხართ, ასეაო, – დაემოწმა ვაშლის გამყიდველი.

– არა, ჭკვიანი არა ვარ, – ამბობს იგი, – ჭკვიანი რომ ვყოფილიყავი, მამაჩემს ეს ვაშლი ედგა, გავაახლებდი და ახლა საყიდელი აღარ მექნებოდაო.

– ცოტა ხნის შემდეგ ეს კაცი ისევ დაბრუნდა და ჩემგან კიდევ რამდენიმე ხაპი და ხაპერა იყიდა. – აგრძელებს თხრობას ციალა.

– მოგიწონათ ცოლმა? – ვეკითხები მას.

– ჰო, მომიწონა და მითხრა: რადგან ასე აბდალი გამყიდველი გიპოვნია, ასე იაფად რომ ყიდის, მიდი, რამდენიმე ცალი კიდევ გამოართვიო და, აი, მოვედი, – იცინის ის.

– მაგათ რომ შეწვავთ ან მოხარშავთ და მიირთმევთ, მერე ვილაპარაკოთ, ვინ არის ჭკვიანი და ვინ აბდალი, – გამყიდველი თუ მყიდველი! მეც სიცილით მიეუგე. – სიცილითვე ამთავრებს ციალა საუბარს.

გამომლაპარაკებელი ძაღლსაც სჭირდება?

ციალას ძმიშვილ **ზაალ დარჩიას** ჩემი სახლკარი აქვს ჩაბარებული. იქვე, გვერდით, ცხოვრობენ და ჩემს ეზოში ხშირად უხდებათ ყოფნა. ზალიკო ჩემს სახლში ღამესაც ხშირად ათევს. გვყავს ძალიან ჭკვიანი და ერთგული ძაღლი. როცა მე იქ არა ვარ (და ბევრჯერ მაშინაც, როცა ვარ), საჭმელსაც ესენი აძლევენ. აჭმევენ ყოველთვის ჩემს ეზოში. ამიტომაა, იგი მათ ეზოში არასოდეს გადადის.

როცა ზაფხული დამთავრდა და თბილისში მოვდიოდი, ციალამ ძაღლი შეიცოდა, *გამომლაპარაკებელი აღარავინ რჩებაო.*

შემწვარი ვაშლი

ერთხელ ვაშლი შევწვი და **ციალას** შევთავაზე: *მაქვე ტაფაზეა და მიირთვი-მეთქი. უარი მითხრა, არ მინდაო.*

კარგახნის შემდეგ მეუბნება: *ერთი ვაშლი ავიღე და ძებნა არ დაუწყოო.*

ორიგინალური დატირება

ვინც ჩემს სამეცნიერო მუშაობას თვალს ადევნებს, იცის, რომ ჩემმა ყოფილმა მეგობარმა **აკაკი ხინთიბიძემ** იაკობ შემოქმედელზე ჩემი გამოკვლევის მითვისება მოინდომა. ამ ამბავზე 2000 წელს გამოვაქვეყნე ბროშურა – *„ერთი პლაგიატობის კვალდაკვალ“* (64 გვ.). ამის გამო მან და მისმა ძმამ **ელგუჯა ხინთიბიძემ** მიყელეს და 2006 წელს, ე. წ. სამეცნიერო რეფორმის დროს, სამსახურიდან, ლიტერატურის ინსტიტუტიდან, გამაგდეს. თუ როგორ მოხდა ეს, აღწერილი მაქვს 2008 წელს გამოსულ წიგნში – *„უვიცობის, პლაგიატობისა და განუ-კითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“* (330 გვ.). 2009 წელს ამას მივაყოლე ერცელი მონოგრაფია *„იაკობ შემოქმედელი“* (575 გვ.).იქ აღნიშნული ბროშურაც შევიტანე.

ეს წიგნები გურიაში, ჩემს სოფელში, ჩავიტანე და მეგობრებსა და ახლობლებს ვაჩუქე. **ციალა დარჩიამ** მკითხა, როგორ შეხვდა ამ წიგნებს აკაკი ხინთიბიძეო? ვუთხარი: *სამწუხაროდ, ვერ მოესწრო, ბატონი აკაკი შარშან, აპრილის ბოლოს, გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა გული ძალიან დამწყვიტა, თუნდაც იმიტომ, რომ, კარგი იყო, თავმოყრილად ენახა, რა ნამუშევარს მეცილებოდა-მეთქი.* მერე მკითხა: *გასვენებაში თუ იყავიო?* გაეიკვირვე: *ვისთან ან რისთვის უნდა მივსულიყავი, მათ ხომ სასიკვდილოდ გამწირეს-მეთქი.* ციალამ თანაგრძნობით გამიღიმა და მისთვის ჩვეული იუმორით „ამიხსნა“: *უნდა მისულიყავი და, რაც ეკადრებოდა, ისე დაგეტირებია, როგორც ეს გოგია ქათამიძემ მეზობლის დაკრძალვისას ქნაო.*

ჩემსა და ახლომახლო სოფლებში **გიორგი ქათამიძის** ამბები ყველამ იცის. ის მეზობელ სოფელში, ბაილეთში, ცხოვრობდა. ჩემი სოფლიდან მეორე ცოლი ჰყავდა და აქ ხშირად დადიოდა. გიორგი განთქმული მებუხრე იყო, მუშტარი მუდამ ჰყავდა, ფულიც ბლომად ჰქონდა და დარდიმანდულ

ცხოვრებას ეწეოდა. ხალხში ყოველთვის გამოწკეპილი დადიოდა. იცვამდა გალიფე შარვალს, გაპრიალებულ „აზიაცკებსა“ და კიტელს. ზაფხულის გარდა, თავზე ბოხოხი ეხურა და ყელ-ზე თეთრი ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული. ერთხელ, თურმე, სოფელში წასასვლელად გიორგიმ ოზურგეთში ორი ტაქსი დაიქირავა. ერთში ბოხოხი ჩადო, მეორეში თვითონ ჩაჯდა და ისე იმგზავრა (გამიგონია, ამას ეტლით მგზავრობისას თავა-დები აკეთებდნენ).

გიორგი დიდი პურმარილიანი და მოქეიფე კაცი იყო. ახალგამოსული მსუბუქი მანქანა „მოსკვიჩი“ ჩვენს სოფლებში პირველმა მან შეიძინა. მახსოვს, ჩემი სოფლის ცენტრში მანქანასთან დგას და შექეიფიანებული ხმამაღლა ქადაგებს. მერე მანქანას ზემოდან მუშტი დაჰკრა და ძლევამოსილად დაიძახა: *გოგიე ვარ, ქათამიძე, ამ მანქანას ახლა დავამტვრევ და ახალს ვიყიდიო.*

აი, ამ გიორგიმ გარდაცვლილი მეზობელი, თავისი სახლიდან მესამე თუ მეოთხე მოსახლე, სასაფლაოზე ასე „დაიტირა“:

... პურმარილი არ გიყვარდაო, ამას შენზე ვერავინ იტყვის, გიყვარდა და ძალიანაც გიყვარდა, მაგრამ ... არა შენსას, არამედ სხვისას. ქონებით ვერ ძღებოდი, ოზურგეთი რომ მოეცათ, ქობულეთს მოითხოვდი. ქობულეთი რომ მოეცათ, ბათუმს მოინდომებდი. ჰოდა, ახლა იწექი აქ, ამ ორ მეტრ მიწაშიო და მიწას ფეხი დაჰკრა.

...ციალას ამ შედარებაზე კი გამეღიმა, მაგრამ იგი ჩემს ყოფილ მეგობარს გლახად მახსენებდა და გული მაინც მეტკინა.

დაქირავებული თამადა

2009 წლის შემოდგომაზე **ციალა დარჩიას** ძმის შვილიშვილმა **გიგა დარჩიამ** ცოლი შეირთო და დიდი ქორწილი გადაიხადა. თამადად იყო ამ საქმეში სახელგანთქმული დაქირავებული ბათუმელი კაცი. იგი ოჯახსა და ნათესაობას არ იცნობდა და ზოგად ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს ამბობდა. მერე ამ სადღეგრძელოებზე ზოგ-ზოგი კიდევაც იცინოდა. ერთ სადღეგრძელოში უთქვამს: ამ ქორწილს რომ ვუყურებ, ვხედავ, საქართველოში რაც ლამაზი ქალებია, აქაურები

ყოფილანო. ციალა მაშინ 80 წელს მიტანებული იყო და კარგა ხმამაღლა ჩაულაპარაკია: *ამ შეჩვენებულმა სად მომკრა თვალიო?!*

თეთრი, შავი და სისუფთავე

– ოზურგეთში, სასაუზმეში, ვსხედვართ, – ჰყვება **ციალა,** – შემოვიდა რამდენიმე ზანგი. ორი განსაკუთრებით შავი იყო.

– ფუ, რასა ჰგვანან! – ჩაილაპარაკა გვერდით მაგიდასთან მჯდომმა ახალგაზრდა ქალმა.

ერთ-ერთი, უფრო შავგვრემანი ზანგი, მისკენ წამოვიდა, ქათქათა თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, შუაზე გაკეცა, ამ ქალს შუბლზე მოუსვა და დაახედა. მერე ცხვირსახოცის მეორე მხარე თავის შუბლზე მოისვა, ისევ დაახედა და ამაყი ნაბიჯით განშორდა.

ფული არ არის

1996 წელს იანვარ-თებერვალი და იელის-აგვისტო სილაურში გავატარე და ეხედავდი, ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა, თითქმის ნახევარი სოფელი ადრე დილიდანვე ფოსტის წინ გროვდებოდა და პენსიის თუ ხელფასის მისაღებ რიგში დგებოდა. ზამთარში ცოცხალი რიგი ჰქონდათ. რომ გამოზაფხულდა და სამუშაოები მოეძალათ, სიებს ქმნიდნენ და ნაშუადღევს, ავტობუსის მოსელის დროს. ისევ თავს იყრიდნენ.

ფოსტის გამგე, ჩვეულებრივ, გარდა თითო-ოროლა ბედნიერი დღისა, ავტობუსიდან თავს გადმოყოფდა და შემოზავებულ ხალხს ხელის გაქნევით გადმოსძახებდა:

–ფული არ არის!

ნახევრად მოშიმშილე ხალხი ბუზღუნით, ლანძღვა-გინებითა და წყევლა-კრულვით იშლებოდა.

–შაქრო ბიძია, სიაში ჩაეწერე? – ეკითხება ახალგაზრდა ქალი მამაჩემს, 87 წელს მიტანებულ გლეხკაცს, რომელიც სულ მალე გარდაიცვალა კიდეც.

– ამ მთავრობას გაუწყრეს გამჩენი, გაგვამწარა და ***სა-სიებოდ*** გაგვიხადა საქმე. შემეძლოს, კარგად ***გავასიებდი*** მაგათ! – ნერვებს ვერ იოკებს ბერიკაცი.

აი, რატომ სჯობს ქორწილს ქელეხი

მეზობელ სოფელ ბაილეთში კაცი გარდაიცვალა. მისი შვილი რაიონის პროკურორი იყო.

– ახლა ერთ კვირას, ვიდრე დაასაფლავებდნენ, დენი გვექნება, – ითქვა სილაურში და ახდა კიდეც. ამან ბევრი წაახალისა და უდავიდარაბოდ გადაიხადეს ის ხუთი ლარი, რასაც თვიურ საფასურად თითოეული ოჯახისაგან ელექტრომრიცხველზე დაუხედავად თხოულობდნენ, მაგრამ მალე, უშუქო დღე და ღამე ერთმანეთს რომ წაეწყო, ხალხი აყაყანდა:

– გვლანძღავენ, ელექტრონს იპარაეთო, „უსოჩიკოდ“, მოჭრით ფულს გვახდევინებენ, დენს კი არ გვაძლევენ, გავინძრეთ, მეზობლებო, ხელმძღვანელობას მივმართოთ, რაღაც გავაკეთოთ!

– არაფერი გამოგვივა, – თქვა ერთმა, – ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ისევ ღმერთს შევეხვეწოთ, რომ რაიონში ვინმე დიდი კაცის ახლობელი გარდაიცვალოს!

– ქორწილი არ გვიშველის? – იკითხა მეორემ.

– ქორწილი არა! დიდკაცობა სამდღიანს ქორწილს კი იხდის, მაგრამ შინ – არა, რესტორანში მართავს!

ვანგას პატიოსნების ამბავი

– ხალხო, გაიგეთ? „ალიონმა“ გადმოსცა, ვანგა გარდაიცვალა და, იცით, რა დაუბარებია? – გულზე ქართული მიწა დამაყარეთო! – აგვისტოს მშვენიერ დილას „თემში“ თავშეყრილ ხალხს აუწყა ერთმა, რომელიც მათ თხილის კნატუნით შემოუერთდა.

– აუ, რა გულშემატკივარი დაკარგა საქართველომ! – იცინის მეორე, – მარა, მაგი მთლად პატიოსანი არ უნდა ყოფილიყო.

– რეიზა? – გაიკვირვა ვიღაცამ.

– რეიზა და, გახსოვს, ჯაბა იოსელიანმა რომ ჩამოიტანა ამბავი: ვანგასთან ვიყავი და თქვა: ამ საუკუნის ბოლოს საქართველო ყველაზე აყვავებული ქვეყანა იქნებაო. ის დალოცვილი ამ საუკუნის ბოლოსაც თუ კი ხედავდა, ეს ჩვენი

ჯაბა ვერ გააფრთხილა, სულ მალე დაგიჭერენო? – ისევ ეშმაკურად იცინის იგი.

– ვანგას პატიოსნებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ვისაც ამბები ჩამოჰქონდა, ვანგამ საქართველოზე ასე და ასე თქვაო, მაგათი პატიოსნების საკითხი, მართლაც, საკითხავია! – სერიოზულად შეაჯამა მესამემ, რომელიც ქვაზე იჯდა, ხელი ჩაიქნია, წამოდგა და წავიდა.

თითი და მურაბა

ჩემი ნათლული პატარა **ზალიკო დარჩია** (ახლა – ოთხი შვილის მამა) მუხლებზე მიზის. აქაოდა დათვლა ვიციო, ნეკიდან დაწყებული, თითებს დაჯერებით ითვლის და კეცავს: *ელთი, ოლი, სამი, ოთხი, აგი მურაბაში ვსტიკე*! – უცებ გამართულ საჩვენებელს მიჩვენებს და კისკისებს.

სუფთა ქართველები

სუფრაზე **ჯემალ როყვამ** ქართველი ერი სოფლის ხელმძღვანელების – კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და პარტორგანიზაციის მდივნის მეთაურობით – ადღეგრძელა.

– მათი მეთაურობით იმიტომ, რომ, – თვითონვე განმარტა, – სუფთა ქართველები არიან, არც ერთმა და არც მეორემ ერთი ღერი რუსული არ იციან!

სუფსის ტერმინალი გვიშველის?

ენვერ გოგუაძე, მაშინ 60 წელს მიტანებული, **ამირან ჭილიფთარის** ეზოს ზემოთ ცხოვრობს. ერთხელ, როცა სოფლის გაჭირვებაზე საუბრობდნენ, ამირანმა (მაშინ ის 70 წელს გადაშორებული იყო) გაიმეორა ტელევიზორიდან არაერთხელ ნათქვამი: *აი, ეს სუფსის ტერმინალი დამთავრდება, ბაქოს ნავთობი ჩამოიცლის და გვეშველებაო.*

– არა, ამირანა, არ დაიჯერო! – შეეკამათა ენვერი მეზობელს, – შენი ჭიშკრის წინ დღეში 4–5-ჯერ ხომ ჩამოგივლი, მაგრამ გიტოვებ რამეს?... ეს ნავთობიც ასე იქნება!

სამწუხაროდ, ენვერ გოგუაძე მართალი გამოდგა.

ბენზინს ცეცხლი მოეკიდება?

სასადილოს წინ რამდენიმე შეზარხოშებული კაცი დგას. იქვე დაბალი და ვიწრო თხრილი ჩამოდის, რომელიც 50-ოდე მეტრის დაშორებით, მომაღლო ადგილას, სომხური სქელი ტუფით ნაშენები და სანახევროდ მიწაში მდებარე ბენზინის საწყობიდან იღებს სათავეს. შეამჩნიეს, რომ თხრილი სველია. ზოგმა თქვა, *ბენზინიაო*, ზოგმა – *წვიმის ნაშთიაო*. **ვარლამ გოგუაძემ** სანაძლეო დადო, *ნახეთ, ბენზინი თუ არ არისო* და ანთებული ასანთი შიგ ჩააგდო. ფიქრობდა, *თუ ცეცხლი წაეკიდება, ფეხით ჩავაქრობო*. მაგრამ ეს ველარ მოახერხა. დაბალი ალი თხრილს სწრაფად გაჰყვა და თვალის დახამხამებაში საწყობის აფეთქების ხმამ იქაურობა გააყრუა.

ოზურგეთის რაიკომის პირველმა მდივანმა პლენუმზე აღნიშნა: *სილაურში ცდა ჩაატარეს, ბენზინს ცეცხლი თუ მოეკიდებაო და კოლმეურნეობის ბენზინის საწყობი დაწვეს.*

„აფერა“

ივანე კუნჭულია, სილაურში ამ გვარის მქონე ერთადერთი კაცი, გამორჩეული გარეგნობისა ყოფილა. ჰყვებიან: ტანად ბრგეს ხელის მტევნების ნაცვლად ტორები ჰქონდა და უშველებელი ცხვირი ძლიერ და მკაცრ იერს აძლევდაო.

ერემი დარჩიას უყვარდა გახსენება: ივანესთან ერთად სოფელ სუფსაში მდგომი (შემდეგ მთაში მიერეკებოდნენ) ჩვენი კოლმეურნეობის საქონლის ფერმაში ვმუშაობდი. ბინაში, შუაცეცხლის გვერდით, დიდი ხაშარი გამხმარი ტარანი გვეკიდა. როცა ვხმარობდით, ტანს მოვაწყვეტდით და თავს თოკზე ვტოვებდით. დილით, ბოლო ტარანი რომ მოვწყვიტე, ივანე გავაფრთხილე: ვახშმად მისაჭმელი აღარაფერი დაგვრჩა-მეთქი. მითხრა: *შენ ღომი დაამზადე და დანარჩენი მე ვიცი*ო.

იქვე, ჩვენ გვერდით, სამეგრელოს რომელიღაც კოლმეურნეობის საქონლის ფერმა იდგა და მათაც დიდი და ბომბორა ძაღლები ჰყავდათ. საღამოს ივანემ ამ ძაღლებს თევზის თავების ასხმა წაუგდო და ყვირილითა და თოფით გამოუდგა: *ხომ დამტოვეს ამ წუწკებმა მშიერიო*.

პატრონები გამოცვივდნენ, – *ძაღლებს ნუ დაგვიხოცავ და ზარალს გადაგიხდითო*. და... ივანემ მავთულზე აცმული 10 შებოლილი სულგუნი მოიტანა.

წამგებიანი „აფერა“

ესეც **ერემი დარჩიას** მონაყოლია: ბაღანა ვარ და სუფსის პირას ძროხას ვაბალახებ. შუადღეზე იქვე სიმინდის ყანაში მომუშავე კაცები დასასვენებლად და სადილის საჭმელად თხემლების ჩრდილში შემოვიდნენ. დიდი *მწარე ხაპა* (კვახის, გოგრის სახეობა, დამუშავების შემდეგ წყლის ჭურჭლად იყენებდნენ) მომცეს, *საცივიდან* (წყაროდან) *წყალი მოგვიტანე და საღამოს კამფეტს გიყიდითო.*

მივუტანე. თურმე, მოულაპარაკებიათ და ვხედავ: კალისტონ დარჩიამ ხაპი პირზე მოიყუდა, წყალი კარგა ბლომად სვა და უცებ ... უკან გადაწვა. აკაკი დარჩია მივარდა და ყვირის: *კალისტონა ძმაო, ამ ერემია შეჩვენებულმა მოგწამლა ხომ?*!

– ვაიმე, დამიჭერენ-მეთქი, – ვიფიქრე და, რაც ძალა და ღონე მქონდა, შინისაკენ მოვკურცხლე. იმდენად შევშინდი, მაღალი სიცხე მომცა და ბოდვა დამაწყებინა.

საღამოს თავიანთი ხუმრობით საშინლად შეწუხებული კალისტონ და აკაკი შინ გვესტუმრნენ, ბლომად კამფეტები მომიტანეს და მეფერენ და მეფერენ: *შენ კაი ბიჭი ხარ და ჩვენ ყველაფერს გიყიდითო.*

კალისტონსა დ აკაკის ეს ხუმრობა ძვირად იმადაც დაუჯდათ, რომ მთელი ნახევარი დღე ერემის მიტოვებული ძროხა მათი სამწყემსავი გახდა და ყანას მორიგეობით თოხნიდნენ.

ცხენის ქურდების მოთხოვნა

2008 წლის გაზაფხულზე **ვაჟა დარჩიას** მერეში (ჭალაში) გაშვებული ცხენი დაეკარგა. სილაურში, ისე როგორც მეზობელ სოფლებში, კარგა ხანია, ღორების, საქონლებისა და ცხენების ქურდობა ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ვინც ამას სჩადის, საეჭვო პირები, დაახლოებით იციან, მაგრამ ქურდობაზე ვერ ასწრებენ და ამ თავზე ხელაღებულ ახალგაზრდებთან დაპირისპირებას ყველა ერიდება. რაიონის ხელმძღვანელობიდან გამკითხველი და მშველელი არავინაა.

ვაჟამაც გუმანით იცოდა, თავისი ცხენი რომელ სოფელში უნდა ჰყოლოდათ მოჩიხული. ამიტომ იქ ყოველდღე

დადიოდა და თავის გასაჭირს ნებისმიერ შემხვედრს შესჩიოდა.

ასე გავიდა თვეზე მეტი. ერთ დღესაც ცხენი შინ თავისით დაბრუნდა. ქურდებს იგი უსმელ-უჭმელი იმდენად დაუზოგავად ეხედნათ, გაეძვალტყავებინათ, ოღონდ, ძველი ნალები რომ გაცვეთოდა, ახლით დაეჭედათ. ჩანდა, ქურდებს გაყიდვა ვერ მოეხერხებინათ და საბალახოდ გაშვებული საცოდავი ცხენი გამოქცეოდათ.

რამდენიმე დღის შემდეგ ორმა ცხენოსანმა, ასე 18-19 წლის ბიჭებმა, ვაჟას შინ მიაკითხეს: *ჩვენს ცხენში შენი შეგვეშალა, დაჭედეთ და ნალებისა და დაჭედვის ფული მოგვეციო* (სხვათა შორის, მათი ერთი ცხენი ვაჟას ცხენს მართლა ჩამოჰგავდა). ვაჟას ერთი კი გასცინებია, მაგრამ შემდეგ მოსულებისთვის შეუტევია: *სანამ არ გამიკოჭხართ, აქედან მოუსვითო.* ბევრი ლაპარაკი არც მათ დაუწყიათ, ისე გაბრუნებულან.

გაუგებარი გამოთქმა

წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როცა საბჭოთა წყობამ ყველგან რღვევა დაიწყო, წესრიგი მოიშალა. ბევრგან სახელმწიფო მოხელეებს კაბინეტის კარებს უჭედავდნენ და იქვე მსხდომარე აქციებს უმართავდნენ. სილაურში ახალგაზრდების ჯგუფი ამგვარადვე მოექცა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. კანტორის კიბეზე ჩამომსხდარი ამ ახალგაზრდებიდან კოლმეურნეობაში მუშაობით არც ერთი თავს არ იკლავდა. ამიტომ ზოგიერთი მშობელი შვილს მიუვარდა: *შენ რაღა გინდა აქანაო?!* მათი *ლიდერი* კი სოფლის ერთ განათლებულ კაცს განცხადებას აჩვენებს და ეკითხება: *აქ რომ ბოლოს წერია – „პასუხს მოვითხოვთ არა უგვიანეს სამი დღისაო“, – რას ნიშნავს* გამოთქმა „არა უგვიანესო“ (აშკარა იყო, მათ ეს განცხადება ვიღაცისაგან ჰქონდათ გადაწერილი!).

წითელი ცხენი

მირიან ქილიფთარი უაღრესად კეთილი, მხიარული, ენამოსწრებული და ... ოდნავ მწითური კაცი იყო. ერთხელ ჩიოდა: *ცუდად ვარ, ფეხზე ძლივს ვდგავარო.*

– რა გიგავს ავადმყოფს, ლოყები გიღაჟღაჟებს. – „შეედავა“ ერთი.

– ჭალაში მკვდარი წითელი ცხენი არ გინახავს?! – უმალვე უპასუხა მირიანმა.

დედაა უფროსი თუ შვილი?

მირიან ქილიფთარის დედამ **ვერიჩქა დარჩიამ, ჯაბულო დარჩიას** შვილმა, მამამისისამებრ არა, მაგრამ საკმაოდ დიდხანს იცოცხლა, 90-ს გადაშორდა. მის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე მირიანს ვკითხე, *დედა როგორ არის-მეთქი?* მომიგო:

– ფიზიკურად არა უშავს, ოღონდ სკლეროზი მოეძალა. ამას წინათ მასთან ვიყავი. რომ მოვდიოდი, ჭიშკრამდე მომაცილა და მკითხა: *ბიჯო, მე ვარ უფროსი თუ შენო?* მე ვუთხარი: *შენ ჩემი დედა ხარ და მე უფროსი როგორ ვიქნები-მეთქი?* მაშინვე მიპასუხა: *ეს რა სიაბდლე ეთქვიო.*

ხურდა

დათიკო დარჩია (1920–2011) საბარგო მანქანის მძღოლად მუშაობდა. ქუთაისის ცენტრში მანქანა გაუჩერდა. გადმოვიდა, შეკეთება დაუწყო და შესამოწმებლად ერთი სიგნალი მისცა. უმალვე მილიციელი გაჩნდა და, *აქ სიგნალის მიცემა აკრძალულიაო*, 3-მანეთიანი ჯარიმა გამოუწერა. დავა ამაო გამოდგა და დათიკომ 5-მანეთიანი გაუწოდა. მილიციელმა ფული ჯიბეში ჩაიდო და, ისე წავიდა, ხურდა არ დაუბრუნებია. მილიციელს რამდენიმე ნაბიჯი ექნებოდა გადადმული, დათიკომ ისევ დაასიგნალა. გაგულისებული წესრიგის დამცველი ისევ მობრუნდა, *არ გესმის, კაცო, აქ სიგნალის მიცემა არ შეიძლებაო?!*

– იმ ორი ლარისა დავასიგნალე, რომელიც არ დაგიბრუნებიაო. – განმარტა დათიკომ.

გულალალი

სილაურში ძველები ღიმილით იგონებენ **დესპინე ქილიფთარის** ერთ გულუბრყვილო ნათქვამს.

იყო დრო, როცა გურულები ოჯახში ინახავდნენ და შემდეგ ყიდდნენ სამგლოვიარო გვირგვინებს, ანუ, როგორც მაშინ და ახლაც ეძახიან, „ვენოკებს“.

ერთი ასეთი „ვენოკის“ *ნისიად* მყიდველი დესპინეს ებოდიშება: *ახლა ხელზე ფული არა მაქვს, მაგრამ ამ ერთ კვირას არ გადაგიშორებ და ნუ გამაწბილებ, „ვენოკი“ გამატანეო.*

– რასა ბრძანებთ, საბოდიშო რა არის, – დესპინე მუშტარს ამხნევებს, – თუ გნებავთ, მეორესაც გაგატან-თო.

– მეორე „ვენოკი“ რათ უნდოდა?! – იცინის მთხრობელი.

საბლაყუჩო

დედაჩემის დეიდაშვილი **გრიშა (გრიგოლ) კილაძე** კარგი ინჟინერი, უაღრესად გულითადი, მოსიყვარულე და პურმარილიანი კაცი იყო. ერთხელ, ოზურგეთიდან თბილისში რომ საქმეზე იყო ჩამოსული, მე და ჩემი ამხანაგი სასაუზმეში მწვადებზე დაგვპატიჟა. მწვადებს სხვა რამეებიცა და ექვსი დაბეჭდილი ღვინო მოაყოლა. ორი ბოთლი წინ დაიდგა და ორ-ორი ჩვენ ჩამოგვირიგა. მე და ჩემი ამხანაგი მაშინ სტუდენტები, 22-23 წლისანი, გახლდით, სმაში გაწვრთნილები არ ვიყავით და ვიუარეთ, *ამდენი ღვინო რად გვინდაო?!* გრიშამ გვითხრა: *რამდენიც გინდათ, იმდენი მიირთვითო,* თან გაგვაფრთხილა: *რაც დაგრჩებათ, თქვენდა ს ა ბ ლ ა ყ უ ჩ ო დ მე დაველევო.* სიტყვა „ბლაყვი“ გურიასა და აჭარაში ჩოფანო კაცსა ჰქვია. აქედანაა კნინობითი ფორმა „ბლაყუჩა“. ჩვენმა მასპინძელმა რომ თავისი ორი ბოთლი დაცალა, ჩვენ ბოთლში თითო ჭიქა თუ ჭიქა-ნახევრამდე დაგვრჩენოდა. გრიშამ ისინი თავის ჭიქაში დაისხა და რამდენიმე ჩვენი „საბლაყუჩო“, მსუბუქი გასაბიაბრუებელი, სადღეგრძელოც გვითხრა. ერთ-ერთი ასეთი იყო: *ახლა იმ ქალებს გაუმარჯოს, თქვენ რომ თავს გაქცევინებთო.*

„უზაკუსკობა“

ერთხანს იყო, თბილისში მთვრალს რომ ნახავდნენ, იჭერდნენ, ღამეს „გამოსაფხიზლებელში“ ათევინებდნენ, აჯარიმებდნენ და მეორე დღეს უშვებდნენ. „გამოსაფხიზლებელში“ მოხვდა სილაურიდან ჩასული დედაჩემის დეიდაშვილი **ჟორა კილაძე**. როცა ნახეს, რომ ხელები დაკოჟრილი ჰქონდა, მიხვდნენ, სოფლელი მშრომელი კაცი იყო და ისე გამოუშვეს, აღარ დაუჯარიმებიათ. როცა ეს გავიგეთ, ძალიან შევწუხდით და ვუსაყვედურეთ: როგორ მოგივიდა ესო? მანვე „გვანუგეშა“:

— მეტი რა, „უზაკუსკოდ“ დამტოვეს მაგ უნამუსოებმაო!

თბილისში ყოფნისას ჟორა ყოველთვის ადრე დილით ხაშზე გარბოდა და ახლა მხოლოდ უხაშობაზე დარდობდა.

წავიდა... და ხორცი და კარაქიც თან წაიყოლია

პროკობი დარჩია ჰყვება: დღეს ოზურგეთში ვიყავი და გული გამინათლდა, — მაღაზიებში ხორცი, კარაქი, თევზი, შაქარი, რაც გინდოდა, სულო და გულო, ყველაფერი იყო. გამიკვირდა და ამ-იხსნეს: დღეს შევარდნაძე ჩამოდისო (მაშინ ბატონი ედუარდი საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი გახლდათ).

— ვიფიქრე, რა მაჩქარებს, — განაგრძობს პროკობი, — ბაზარში გავივლი-გამოვივლი და მაღაზიებს მერე მივაკითხავ-მეთქი. ასეც ვქენი, მაგრამ სადღა იყო რამე! ისევ ამიხსნეს: *შევარდნაძე იყო და წავიდაო!*

კარგი ბიჭები

პროკობი დარჩია ოზურგეთიდან სოფელში კარგა შექეიფიანებული გამოვიდა. თავისი ვაჟის, **ვაჟასთვის**, რაღაც დაეკალებინა და, შეუსრულებელი რომ დახვდა, წაეჩხუბა:

— უვარგისი კაცი ხარ. შენი ტოლა ბიჭები დღეს ოზურგეთში როგორ თავაზიანად შემხვდნენ! რომ დაინახეს ფეხი მეშლებოდა,

ხელი მომკიდეს და ავტობუსში ამიყვანეს. შემეხარბა, რა ბედნიერია მაგათი მშობლები–მეთქი!

ცოტა ხნის შემდეგ პროკობიმ ჭიბე გაისინჯა და რა ნახა: „კაი ბიჭებს“ ფული მთლიანად ამოეცალათ!

და მაინც, ვივა ლობიო!

თუმცა მთელ საქართველოში ლობიო ერთ–ერთი ძირითადი საკვებია, ამ მადლიან საჭმელს კეთილად იშვიათად ახსენებენ. ასეა გურიაში და ჩემს სოფელშიაც.

გურიაში ლობიანების ცხობა არ იცოდნენ. ბოლო ხანს, როცა გაუჭირდათ, ზოგიერთმა დაიწყო.

— როგორაა, ბიძია, სოფელში საქმე? — ეკითხება **დიმიტრი დარჩია** სილაურიდან თბილისში ჩამოსულ **ბენია დარჩიას**.

— როგორაა, ბიძია, და გადაირიენ ქალები: ყველის მაგივრად ხაჭაპურს ლობიოს უშვებიან!

სოფელში ლობიოსთვის **ღჯის** (ანუ სარის) **ქათამი** შეურქმევიათ.

მაშინ, როდესაც სოფელი შიმშილობის ზღვარზეა, ლობიოს შესახებ ამბობენ: გამოვრეცხავთ ლობიოიან ქვაბს, ჩავყრით ახალს, ის რომ გათავდება, კვლავ — ახალს. ბენია დარჩიამ კი თქვა:

— ისე მომაძულა ლობიომ თავი, ლობიოს სარზე შეხება „ტოკს“ მარტყამს.

მაგრამ, ვაი, რომ ლობიოს მოყვანაც ჭირს!

ოლეგის „ნასკი“

ოლეგ ქილიფთარი იუმორით დაჯილდოებული კაცია. აქ მოყვანილი ზოგი ამბავი მისგან მაქვს გაგონილი. თუმცა ვერც ის გადაურჩა თანასოფლელთა ენაკვიმატობას.

შუა სოფელში ჩამოდის ყველაზე დილი ღელე, რომელიც *მამათიდან* მოედინება და ამიტომ *მამათის ღელეს* ეძახიან. მას ერთი ცუდი თვისება აქვს, — ერთდღიანი წვიმის დროსაც კი საშინელი ადიდება იცის, ტალახისფრად გადაიქცევა და გამძვინვარებულს ხე და მიწა გრიალით მოაქვს.

წვიმის გადაღების შემდეგ მალე იკლებს, ორ-სამ დღეში თავის კალაპოტს უბრუნდება, მაგრამ დაწმენდას კიდევ რამდენიმე დღე სჭირდება. როცა დაიწმინდება, ანკარა და კრიალა ხდება.

ერთხელ ბანაობას მონატრებულ ბიჭებს ღელის პირას თავი მოუყრიათ და ბუზღუნებენ: *არ იქნა, ამ ღელის დაწმენდას საშვული არ დაადგაო.* ერთ-ერთმა ახსნა: *ალბათ, ზევით სადმე შვაია* (ე. ი. მეწყერია) *და წყალი მიწას ნელ-ნელა რეცხავსო.*

– არა, კაცო, ზევით ოლეგი არის წასული და „ნასკებს" რეცხავს! – სერიოზული სახით „განმარტავს" ნუგზარ გოგუაძე.

საერთო სიცილს ოლეგი ღიმილით შეხვდა და ნუგზარს ალმაცერად გახედა.

– არა, არა! – „გაასწორა" ნუგზარმა, – ოლეგი აგერ ყოფილა, მაგრამ ჩანს, ნასკები დასალბობად აქვს წყალში დატოვებული.

ამას კვლავ ბიჭების უდარდელი ხორხოცი მოჰყვა.

კარგი ზნე

ოლეგ ქილიფთარმა სიმთვრალეში ხანდახან სუფრაზე ჩამოძინება იცოდა. ამაზე **ლევან კილაძე** ეხუმრა:

– ოლეგია, სიმთვრალეში რა კარგი ზნე გაქვს, – გამოღვიძებისას ტირილი არ იცი! (გამოღვიძებისას ტირილი ჩვილ ბავშვებს ახასიათებთ).

რა უნდა იცოდეს წყალში ჩამსვლელმა?

მამათის ღელე მოსახვევებში იმდენად მოზრდილ მორევებს ქმნის, რომ ზოგან წყალი საშუალო ტანის კაცს მკერდამდე სწვდება. სოფლის განაპირას მდინარე სუფსაც ჩამოდის, მაგრამ, რადგან დიდია და დასახლებული ადგილიდან მოშორებითაცაა, საბანაოდ იქ უფრო დიდები დადიან, პატარები კი ღელეს ეტანებიან. ღელეში მათ რამდენიმე ადგილი აქვთ არჩეული, რომლებიც ზაფხულობით იმ უბნის გოგო-ბიჭებით არის სავსე.

– გამოდით, გეყოფათ! – გამუდმებით ისმის იქვე მყოფი უფროსების, უფრო მეტად დედებისა და ბაბუების, ძახილი, მაგრამ

ბავშვები მათ მოწოდებას ნაკლებად ემორჩილებიან და იხვეწნებიან, — ცოტა ხანს კიდევ ვიქნებიო.

მე ისედაც მიყვარს ბავშვებისათვის გამოცანების თქმა და ახლა მათთვის ახალი გამოცანა მოვიგონე:

— აბა, ვინ იტყვის, რა უნდა იცოდეს წყალში ჩამსვლელმა?

— ცურვა! — არის ერთობლივი პასუხი.

— არა! განა არ შეიძლება, ცურვა არ იცოდე და ნაპირას, დაბალ წყალში, ჭყუმპალაობდე?!

— მაშინ, ყვინთვა! — ამასაც თითქმის ყველა ერთხმად ამბობს. ამის უარყოფა კიდევ უფრო იოლად შევძელი.

ვერვინ გამოიცნო. ბოლოს, დიდი ხვეწნის შემდეგ მევე ვუხსნი:

— წყალში ჩ ა მ ს ვ ლ ე ლ მ ა უნდა იცოდეს ა მ ო ს ვ ლ ა!

— ოო! — ატყდა ერთი ჟრიამული, მეთანხმებიან, მაგრამ, ვატყობ, არ მოსწონთ, გული ეთანაღრებათ.

წყალს ვინ დააკავებს?

სილაურელი **ვაჟა გოგუაძე** ადგილობრივი 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მამათის საშუალო სკოლაში სწავლობდა. ერთხელ მასწავლებელი ვაჟას გამოსაჯავრებლად ეუბნება:

— რა სოფელია ეს შენი სილაური, ერთი ღელე გაქვთ და იმასაც მამათის ღელე ჰქვია?!

— აბა, თუ ბიჭი ხართ, დააკავეთ და ნუ გამოუშვებთ! — იმავე ტონით მისცა ვაჟამ პასუხი.

მამათი ჯობია თუ სილაური?

ვაჟას ეს მოსწრებული პასუხი მეც გამომადგა. ჩვენი მეზობლის რძალი **ლელა დარჩია** ქვედა მამათიდანაა, რომელიც სილაურს უშუალოდ ესაზღვრება და მისგან ტყითაა გამოყოფილი. ორი შესანიშნავი შვილი **ია** და **სანდრო** ჰყავს, რომლებიც მამათში ბებიასთან (ბაბუა იური დარჩია, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა) ხშირად არიან.

მეოთხე-მეხუთე კლასებში იქნებოდნენ, იაკოსა და სანდრიკას „რთულ“ კითხვას ვაძლევ: სილაური ჯობია თუ მამათი?

ორივემ უპირატესობა მამათს მისცა, *იქ უკეთესი ჰაერია, დილით ნისლიც იცისო.* შევეკამათე და ჩამოვუთვალე სილაურის „უპირატესობანი“: მამათში არ არის და ჩვენ გვაქვს მდინარე სუფსა, მამათს ადგილზე სიმინდის საყანე ფართობი არ მოეპოვება, აქვს შორს, ხაშიას და, იქ რომ მივიდნენ, ჩვენი სოფელი უნდა გადაჭრან-მეთქი და სხვა. ვერა და ვერ ვაჯობე, სანამ ვაჟა გოგუაძის არგუმენტი არ მოვიშველიე:

— მამათი რომ სჯობდეს, მამათის ღელეს შენ ასწავლი, სილაურში რომ მორბის-მეთქი!

სალომე გოგოები

სოფელში ჩემი სახლიდან რამდენიმე მეზობლის შემდგომ ცხოვრობდნენ დები — **გვანცა** და **სალომე დარჩიები**, კიდევ ზევით — **ნატო გოგუაძე**. მაშინ ისინი მაღალ კლასებში სწავლობდნენ, ახალშეღერებული, თვალ-ტანადი გოგონები იყვნენ და ცოტ-ცოტას კიდევაც იპრანჭებოდნენ. ზაფხულში სოფლად ჩასულს შემომხვდება გვანცა და ვესალმები:

— გამარჯობა, სალომე!

გვანცა მისწორებს: — სალომე ჩემი და არის, მე გვანცა ვარ.

— ჰოო, სალომე მეგონე. — „ვღებულობ“ შენიშვნას.

მაგრამ ისევ და ისევ შემომხვდება გვანცა ან ნატო და იმავე სიტყვებით მივმართავ:

— გამარჯობა, სალომე!

ისინიც, ვინ იცის, მერამდენედ მიხსნიან: სალომე არა ვარ, გვანცა მქვია, ნატო ვარო და ა. შ. მე კი ნირშეუცვლელად ვაძლევ პასუხს:

— მე სალომე მგონიხართ.

არა და არა, ჩემსას არ ვიშლი. ჩემმა ამ „დაბნეულობამ“ უფროსებში გაჟონა. ერთმა მეზობლის ქალმა ამაზე კიდევაც მკითხა: *ასე რატომ მიმართავო.* „გავიკვირვე“: აბა, ასე კარგ გოგოებს „სამგლეს“ ხომ არ დავუძახებ-მეთქი.

ამის შემდეგ გოგონებისთვისაც გასაგები გახდა, „სალომე“ თუ რად ყოფილან.

გინესის რეკორდი

ნინო მაჩალაძე ბათუმელია. იქ დაიბადა და ბავშვობაც იქ გაატარა. სილაური მისი დედულეთია და ზაფხულობით ჩვენთან ხშირად იყო.

სტუდენტობისას (სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში) ლექტორმა რაღაცასთან დაკავშირებით გინესის რეკორდი ახსენა და აღნიშნა, რომ ვიღაცას ისე ფენომენური მეხსიერება ჰქონია, რომ 70 ადამიანის სახელს ზუსტად ერთი და იმავე თანმიმდევრობით ჩამოთვლიდაო.

— ეს რა გასაკვირია, ეს მეც შემიძლიაო. — თქვა ნინომ და 93 სახელი ზუსტი თანმიმდევრობით გაიმეორა.

ნინომ თურმე ასეთ ეშმაკობას მიმართა: მიჰყვა ჩვენი კუთხის მცხოვრებელთა ჩამოთვლას ქვევიდან ზევით ასეთი თანამიმდევრობით: ბაბუა, ბებია, მამა, დედა და უფროსიდან უმცროსი შვილები. აღმოჩნდა 93 სული.

ვინ ვის?!

ტიტე გოგუაძე სოფელში ყველაზე მაღალი კაცი იყო, — ორ მეტრამდე მაინც იქნებოდა. **თამაზ სარიშვილი,** პირიქით, — მომცრო ტანისა გახლავთ. ერთხელ, აღმართზე მიმავალმა თამაზმა ზემოდან მომავალი ტიტე დაინახა და პირდაპირ მისკენ აჩქარებული ნაბიჯებით გასწია. ტიტე შეჩერდა, ალბათ, რაიმე საქმე აქვსო. თამაზი მის წინ ჯიქურ შეჩერდა, თითქმის მიეტყუპა, როგორც ხის კენწეროს, ისე ახედა და ტიტეს „შეუყვირა“:

— გვერდზე გაიწიე, კაცო, ფეხებში რას მებორკები!

გაყალბდა თუ არა არჩევნები?

დიდი ვაიუშველებელი მოჰყვა 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს. საზღვარგარეთიდან მოწვეული დამკვირვებელი პირები და ორგანიზაციები ამტკიცებდნენ: ცოტ-ცოტა დარღვევები იყო, მაგრამ ძირითადად და არსებითად არჩევნები სამართლიანად ჩატარდაო. ოპოზიცია კი თავს იკლავდა, ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბაო.

სილაურში ვიკითხე: თქვენთან როგორ ჩატარდა, ვინ გაიმარჯვა-მეთქი? აღმოჩნდა, მნიშვნელოვანი უპირატესობით

მიხეილ სააკაშვილს გაემარჯვა და ამ მხრივ სილაური რაიონში მესამე ადგილზე გასულიყო.

გამიკვირდა, ზაფხულობით სოფელში რომ ჩავდიოდი, მიხეილ სააკაშვილის გინების მეტი არაფერი მესმოდა. მიხსნეს: არჩევნებამდე ოზურგეთში გამგეობის შენობის წინ 5 ტრაქტორი დაუყენებიათ. სოფელში გამგებლის რწმუნებული და რაიონის დეპუტატი ენერგიულად ტრიალებდნენ, თანასოფლელებს თავგამოდებით არწმუნებდნენ და მოუწოდებდნენ: ხმა სააკაშვილს მიეცეთ და ტრაქტორს მოგვცემენო (იყო სხვა დაპირებებიც!).

ამ იმედით 21 მაისს საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდა, მაგრამ, ტრაქტორი თუ ვის ერგო, სილაურში ვერავინ გამაგებინა.

სიბერე და ასაკი

დედაჩემს ასაკში შესვლის დროს ერთი უცნაურობა დასჩემდა: მე და თავისი თავი ერთი წლით უმცროსებად გამოჰყავდა, მამაჩემის ასაკს ზუსტად ანგარიშობდა. ერთხანს ამას იმით ვხსნიდი, რომ ერთადერთი ასაკოვანი შვილი უცოლშვილოდ ვყავდი და, ალბათ, ამით თავს ინუგეშებს–მეთქი. ერთხელაც გავუსწორე და კიდევაც დავუსაბუთე, რომ ის 56–ისა კი არა, იმ წელს 57–ისა გახდა და მე კი ამდენისა ვარ–მეთქი.

— ხოო, — ჩაილაპარაკა დედამ და მეტი არაფერი უთქვამს. ორი–სამი დღის შემდეგ, არაფერ შუაში რომ არ იყო, მეუბნება:

— აბა 57–ისა ვარ?! — და პატარა შეყოვნების შემდეგ დააყოლა, — გავმხდარვარ 60–ისა!

დედამ ეს ისე ნაღვლიანად თქვა, გული ჩამწყდა. *რა სიმართლე აგიტყდა–მეთქი*, გუნებაში თავი დავტუქსე.

¤

გადის წლები. ბათუმში **მარო მამიდასთან** ვარ. საღამოს სუფრას ვუსხედვართ. უცებ ერთ–ერთი მამიდაშვილი მეკითხება, *მამაშენი რომელ წელს არის დაბადებულიო*. ვუპასუხე: 1909 წელს–მეთქი. ამან დანარჩენ ორ მამიდაშვილშიაც დიდი გამოცოცხლება გამოიწვია და სამივე დედამისს დაესია: *ხომ გითხარით, ხომ გითხარითო*!

თურმე, მამიდაჩემს (მაშინ ის 75 წელს იყო გადაცილებული) დაჩემებული ჰქონია, *1909 წელს ვარ დაბადებულიო* და იქვე მამაჩემის შესახებ იმასაც ამბობდა, *მასზე სამი წლით უფროსი ვარო.*

ახლა შვილებმა რომ მამიდა სამი წლის მოკლებაში „გამოიჭირეს“ და ერთი ამბავი აუტეხეს, — *ხომ გეუბნებოდითო*, დედაჩემის სევდიანი სახე თვალწინ დამიდგა და, არც ვაცივე, არც ვაცხელე, ჩემი ნათქვამი უტეხად შევცვალე:

— დიახ, სწორედ მამიდა არის 1909 წელს დაბადებული და მამაჩემი მასზე სამი წლით უმცროსია.

ახლა მამიდაშვილები (ორი ჩემზე უფროსი იყო) მე დამესივნენ: *ამ წუთას სხვა არ თქვიო?* არა და არ ვიტეხე, *თქვენ ვერ გაიგეთ, თორემ 1909 წელი მამიდაზე ვთქვი–მეთქი.*

მამიდას ცალი თვალით გავხედე. მომეჩვენა, ცოტა გაკვირვებით, მაგრამ აშკარად კმაყოფილი სახით მიყურებდა.

¤

როცა ბაბუაჩემს (დედის მხრიდან), **გიორგი ანდღულაძეს,** სადღეგრძელოში ეტყოდნენ, *ასი წელი იცოცხლეო,* იგი ყოველთვის უკმაყოფილოდ და გაღიზიანებულად დაჩივლებდა: *სიცოცხლეს რას მისაზღვრავო?!*

რძლის, ბიცოლაჩემის, მიმართ მისი ამგვარი საყვედური რამდენიმეჯერ მომისმენია. ჩანს, ბიცოლას მამამთილის უკმაყოფილება არ ესმოდა და თავის „კეთილშობილურ“ სადღეგრძელოს არ იშლიდა.

ბაბუა 80 წლისა გარდაიცვალა.

ნაადრევი პომიდვრები

20011 წელს ბაზარზე გამოჩნდა სათბურის პომიდვრები, რომლებსაც გრძელი ყუნწები ჰქონდა. **ზაალ დარჩიამ**, რომელსაც ჩემი სახლ–კარი აბარია, რადგან გვერდით მეზობელ **ოლეგ ქილიფთართან** ერთად მოშორებით მცხოვრები **შაქრო ქუტიძე** უნდა სტუმრებოდა, იქვე, ჩემს ბოსტანში, მის მიერვე დარგულ წამოზრდილ პომიდვრის ღეროებს ეს ნაყიდი ყუნწიანი პომიდვრები ოსტატურად მიაკრა.

ივნისი იდგა. შებინდებისას, როცა ზალიკო სუფრას შლიდა, შაქროს სთხოვა: *შემეშველე, ბოსტანში ჩადი და პამიდვრები და მწვანილი გადმომიტანეო.* გაოცებულმა შაქრომ, — *არ მეგონა, თუ ახლა ჩვენს სოფელში ვინმეს ასე ნაადრევი პამიდვრები ექნებოდაო,* — დავალება შეუსრულა.

მეორე დღეს ეს „სენსაციური“ ამბავი სოფელს მოედო: *ზალიკოს უკვე მწიფე პამიდვრები აქვსო,* და ეს მაშინ, როდესაც იგი დიდ მეურნედ არ მიიჩნეოდა. შემდეგ მხიარულობდნენ: *ზალიკოს შაქრო ასე მოუტყუებიაო.*

დამარხული ... არაყი

მიხეილ გოგუაძე, რომელსაც ყველა *ჭუკულოს* სახელით იცნობდა, ტანმორჩილი, მაგრამ ჩაფსკვნილი, დაკუნთული სპორტსმენი იყო. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო ფიზკულტერის ინსტიტუტი, თავის დროზე წარმატებული მოჭიდავეც გახლდათ, სილაურში ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობას, მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდა. კოლმეურნეობაში ერთ ჰექტარ სიმინდის საყანე მიწას დაუხმარებლად მარტოდმარტო ამუშვებდა. ამავე დროს, ოზურგეთსა და ნასაკირალში ახალგაზრდებს ჭიდაობას ასწავლიდა. მისმა აღზრდილმა ბევრმა მოჭიდავემ რესპუბლიკურ, საკავშირო და მსოფლიო ასპარეზზე თავიც გამოიჩინა. მაგალითად, მან აღმოაჩინა და ჭიდაობაში გზა გაუკვლია ბაილეთში მცხოვრებ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სახელგანთმულ სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვახტანგ ბლაგიძეს, რომელიც იყო საბჭოთა კავშირის (1981), ოლიმპიური თამაშების (1980) ჩემპიონი და საერთაშოორისო ტურნირებში ხუთგზის გამარჯვებული.

ჭუკულოს სოფელში ყველა პატივისცემით ეპყრობოდა. პირადად მე ძალიან მიმაჩნდა და მასთან საუბარი მიყვარდა. მან ცოლი გვიან შეირთო და უშვილოდ გადაეგო. გარდაიცვალა 80 წელს გადაშორებული. დაკრძალვას თბილისიდან ჩამოსული ვეტერანი მოჭიდავეებიც დაესწრნენ და, ამბობენ, მეუღლეს სოლიდური ფულიც გადასცესო.

მალე მისი მეუღლეც აღესრულა.

წავიდა ამ ქვეყნიდან ეს ამაგდარი, საოცრად მშრომელი კაცი და დატოვა დიდებულად მოშენებული კარ-მიდამო, კარგი სახელი

და ... ერთიც დიდად გასაკვირი ამბავი. მეუღლემ გარდაცვალების წინ თავმდგურ ახლობებს აცნობა, რომ ეზოში, ამა და ამ ადგილას, დამარხული იყო ... არყიანი ბოცები!

გათხარეს და აღმოჩნდა 19 ბოცა საუკეთესო, ძალიან მაგარი უმთავრესად ხილის არაყი. ამოღებისას სამი ბოცა გაუტყდათ. დანარჩენები ჭუკულოს ძმიშვილმა ახლობლებსა და მეზობლებს დაურიგა.

გაოცებულ თანასოფლელებს ვერ აუხსნიათ და ერთმანეთს ეკითხებიან, ეს ჭკვიანი, ხანდაზმული კაცი ამდენ არაყს რისთვის, ვისთვის ინახავდა და იმასაც ... მიწაშიო?!

მამაჩემის ბებიის გარდაცვალება

მამაჩემის ბებია **მატა ქილიფთარი** ბებიაქალი გახლდათ და ჩვენი კუთხის (და არა მარტო ჩვენი კუთხის) ბავშვები მისი აყვანილი იყო. ძველები ერთხმად ჰყვებოდნენ: ერთ დღეს მან თავის აყვანილ ბავშვებს ჩამოუარა და, ხვალ მივდივარო, გამოემშვიდობა. საღამოს ტანი დაიბანა და იმ ღამესვე აღესრულა.

ბებია და „შვილო გოგია“

ადრე დილაა. ვხედავ, 85 წელს გადაცილებული ბებიაჩემი, **კესა (კესარია) ვადაჭკორია**, საკუთარი თავის წყევლით: — *მიწა ჭამა ჩემმა პირმა, მიწაო*, — გარბის. სამზარეულო სახლში შეირბინა, იქვე, კარებთან, მდებარე სამარილეში ერთ კვნიწი მარილს ხელი დასტაცა და პირში იტაკა.

— ხომ მაჯობა ამ შეჩვენებულმა! — ჩაილაპარაკა, შეწუხებული გარეთ გამოვიდა, აღმოსავლეთისკენ შებრუნდა და ლოცვა დაიწყო: *ღმერთო, ნუ მიკანონებ ამასო*!

მაშინ პირველად გავიგე თქმულება ჩიტზე (არასოდეს მინახავს და დღესაც არ ვიცი, როგორი ჩიტია), რომელიც თითქოს „*შვილო გოგია, შვილო გოგიაო*“, — იძახის და ამიტომ მას „*შვილო გოგიას*“ უწოდებენ. მიაჩნიათ, რომ იგი თავის მკვდარ შვილს დაეძებს და, თუ მან დილით უზმოზე, ანუ უჭმელზე, „შვილო გოგიას“ დაძახება დაგასწრო, შვილი მოგიკვდებაო.

ღმერთო ჩემო, დედებს ცხოვრებაში რამდენი მოუშორებელი გულსახეთქი აქვთ! ბებიას რვა შვილი ჰყავდა, მაშინ ყველა დაოჯახებული, საღსალამათი, და ისინი ამ პატარა, უწყინარი ჩიტისაგანაც დედის დასაცავი გამხდარიყვნენ.

კესა ბებია

1965 წლის ახალწლის წინა დღეებში ფოთში ბიძა, მამაჩემის უფროსი ძმა **კოსტა (პოსტე) დარჩია**, გარდამეცვალა. მას მოულოდნელად დედაჩემის მძიმე ავადმყოფობაც ზედ დაერთო. სილაურში უმალვე ჩაველი, დედა თბილისში წამოვიყვანე და მაშინვე საავადმყოფოში დავაწვინე. დარჩა მამაჩემი სოფელში მარტოდმარტო, ახალწელჩამწარებული, საშინლად შეწუხებული და აფორიაქებული. იქით გარდაცვლილი ძმა, აქეთ ძალზე ავადმყოფი ცოლი, მორჩება თუ არა, არავინ იცის. ერთბაშად ზურგზე დააწვა მთელი ოჯახური საქმე, რომლის დიდი ნაწილი ადრე არ ეხებოდა და მიუჩვეველი იყო.

ბიძაჩემი ნაახალწლევს დაასაფლავეს. მამაჩემი მარტო ჩაიდა დაკრძალვაზე. მე ჩასვლა ვერ მოვახერხე. დედა ისე ცუდად იყო, არ დაიტოვებოდა. მარო მამიდამ და მისმა ოჯახმა გარისკეს და შვილის სატირლად ბათუმიდან იმჟამად მათთან მცხოვრები ბებიაჩემიც თან წაიყვანეს.

კესა ბებიას, დიდი და ძლიერი ოჯახის შემქმნელს, რვა შვილის აღმზრდელს, უამრავი შვილიშვილისა და შვილთაშვილის პატრონს, დიდხანს ბედნიერი ქალის სახელი ჰქონდა, მაგრამ სიბერეში მაინც მოუხდა რამდენიმე უბედურების გადატანა. ჯერ იყო და, ომში ორი უფროსი, მათრახის ღვედივით მოქნილი შვილიშვილი, როგორც მოფერებით ეძახდნენ, კუკურა და კუჭუნა, დაკარგა. რამდენიმე წლის შემდეგ ყალმით ნახატი, გარეგნულად უზადო ვაჟკაცი, ნამდვილად კი ომისაგან ჯანგატეხილი უმცროსი ვაჟიშვილი ილია დარჩია სისხლის ჩაქცევით ერთ საღამოს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხელიდან გამოეცალა. ორი წლის თავზე სიმსივნისაგან თვეობით ნატანჯი უფროსი ქალიშვილი მატრონე, მოუკვდა. წლინახევრის წინ მეუღლე ელისო დარჩია, გარდაეცვალა და ახლა 105 წელს მიტანებულ დედაბერს მესამე შვილის, უფროსი ვაჟიშვილის, სიკვდილის სიმწარეც უნდა ეწვნია.

ბებიას გულმდუღრად დაუტირია შვილი. რომ შესულა, როგორც ბავშვობისას, ისე მიუმართავს: რას შვები, ნენა, რა გიყო, ბიჭოო? ხან გასწყრომია, ხან მოჰფერებია. ყველაფერი ეს ამ უსწავლელ, მთელი ცხოვრება რომ სოფელში ჰქონდა გატარებულ, სიბერისაგან ერთ მუჭადქცეულ ქალს ისე დარბაისლურად გაუკეთებია, ყველა გაოცებული დარჩენილა.

დაკრძალვის შემდეგ მამაჩემი ნატანებამდე მარო მამიდასა და მის თანმხლებლებს გამოჰყოლია. ნატანებში, სადაც ოზურგეთსა და ბათუმში მიმავალი მათი გზები იყრებოდა და ახალგაზრდები მამაჩემისათვის ოზურგეთში მიმავალი ავტობუსის ძიებაში იყვნენ, წულში მოხრილი ბებიაჩემი თავისთვის ჩაფიქრებულ, განმარტოებით მჯდომ მამაჩემს მიახლოებია და უთქვამს: — *ა, ბიჭო, აგერ ფული მაქვს, მშიერი იქნები და ჭამე რამეო.* მამაჩემს შეუღრენია: — *რომ მშიოდეს, სამაგისო ფული მე არა მაქვს, რად მინდა შენი ფულიო?!*

შემდეგ, როცა დამშვიდებულ გუნებაზე მამაჩემმა ეს ამბავი მოიგონა, დედის მიერ მასზე გამოჩენილ ზრუნვაზე კი აღარ ფიქრობდა, ის ანაღვლებდა, რომ სუფრიდან დიდი ხნის ამდგარი არ ვიყავით, მაგრამ, ვაითუ მოხუცს თვითონ შიოდა და პირდაპირ ვერა თქვაო.

ადვილი შესაძლებელია, ასეც ყოფილიყო. ბებია ყოველთვის და ყველაფერში საოცრად ფაქიზი და მორიდებული ქალი გახლდათ, მეტადრე სასმელ-საჭმელში. ხილი რომ ხილია, მთელი ზაფხულისა და შემოდგომის მანძილზე ეზოში უხვად რომ გვქონდა, ბებია მე, ბავშვს, ერთხელაც არ მეტყოდა, მომიტანე, მაჭამეო. ასე შემოვლით იცოდა თქმა: ნახე, ბიჭო, ბაღში რა მისისხინებული ატამია, ძირსაც მუხლებამდე ჰყრია, აი, კოთხო, ჩადი, გადმოიტანე და ჭამეო. მე ბებიას ენა ზედმიწევნით ვიცოდი, წავიდოდი, გადმოვიტანდი და დავდებდი. შემდეგ ვხედავდი, ბებია მისჯდომია კოთხოს, ატამს ნება-ნება თლის და მიირთმევს.

არც მამაჩემისთვის ყოფილა ბებიას ეს ხასიათი უცნობი, მაგრამ მაშინ, განერვიულებულსა და სასოწარკვეთილს, მოხუცისთვის ჯეროვანი ყურადღება ვერ მიუქცევია.

იმ წლის ივლისში ბებია გარდაიცვალა.

რა ხანი გავიდა მას შემდეგ და, რაც უფრო ასაკში შევდივარ, ეს შემთხვევა რომ მომაგონდება, უფრო და უფრო

ვრწმუნდები: ბებიას მაშინ მართლაც შიოდა და, როგორც ადრე სჩვეოდა, სიღარიბეგამოვლილი ბევრ რამეს რომ ითმენდა და იკლებდა ცხოვრებაში, სიბერითა და მწუხარებით დაბეჩავებულმა ქალმა ახლაც მოითმინა და შიმშილის გრძნობა უსიტყვოდ ჩაიკლა. მერე რა, რომ სუფრიდან ახალ-ამდგარი იყო. ეს სუფრა ხომ შვილის ქელეხი იყო; ანდა პატარა ბავშვსა და ღრმა მოხუცს, ვინ იცის, როდის წამოუვლის შიმშილის გრძნობა!..

დიახ, რაც ასაკში შევდივარ და ეს ამბავი მომაგონდება, სიბრალულისა და სინანულისაგან გულ-მუცელი უფრო და უფრო მეწვის.

1987 წ.

„რეჩი“

1965 წელს ბათუმში **კესა ბებია** გარდამეცვალა. გასვენებაზე რომ ჩავედი, იელისის ცხელი, პაპანაქება დღე იდგა. ბებია 105 წელს გადაცილებული გახლდათ, მაგრამ ჩემი სისხლ-ხორცი მაინც ამეწვა და გულიანად ვიტირე. თუმცა ჩემი და ჩვენიანების ცრემლი რა სათქმელია, როცა გარეშეთაც სველი თვალები ბევრს შევნიშნე. ბებია რვა შვილის აღმზრდელი, შვილიშვილებზე გადაყოლილი, ყველასთვის კეთილის მთესველი, მუდამ მოფუსფუსე და გამრჯელი, უცნაურად ფაქიზი, ანუ, როორც ზოგიერთ თავისნაირზე თვითონ იცოდა თქმა, დიდი ფარცაგი, ქალი იყო და არც გამკვირვებია, მის დაკრძალვაზე უამრავი ხალხი რომ მოვიდა.

ნაშუადღევს მიცვალებული გამოასვენეს, ეზოში დაასვენეს და შავხალათიანმა, ახმახმა, შუახნის კაცმა ხმამაღლა გამოაცხადა, *სიტყვის თქმა ვის სურსო.*

ზუსტად ასე იყო ორი წლის წინათ ბაბუაჩემის დაკრძალვისას. ისიც 105 წლისა გარდაიცვალა და აქვე ამ კაცმა იგივე გამოაცხადა. მაშინ წელში მოხრილი ბებია კუბოს მიუახლოვდა, ძგიდეზე ხელებით დაეყრდნო, თავი ოდნავ აწია და მიცვალებულის სახისათვის თვალი არ მოუშორებია, დინჯად და მკაფიოდ დაიწყო...

გაოგნებული შევყურებდი ხან ბებიას და ხან ჩემს მოპირდაპირე მხარეს მდგარ ბიძაჩემს. სიჩუმეს მხოლოდ ქალების ყრუ ქვითინი და ამოკვნესა არღვევდა.

დღესაც დიდ სინანულს განვიცდი, რომ ეს სიტყვა ვერ ჩავიწერე. შემდეგ მე და ბიძაჩემმა ტარასიმ ვცადეთ მისი აღდგენა, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, – ნიუანსები და ის პეწი ქაღალდზე ვერ გადავიტანეთ. არადა, საოცარი, უშუალობით აღსავსე, ორატორული სიტყვა იყო, – ძვირს ამბობდა ქმარზე, მაგრამ მისი ქება კი გამოდიოდა. ეუბნებოდა: ოჯახზე წელმოწყვეტილი არასდროს ყოფილხარ, მუდამ პურმარილზე და სტუმრის პატივისცემაზე ფიქრობდი. შენი სიხარული ის იყო, შენგან წასული სტუმარი სიმთვრალით ტრიფოლიანტის ღობეში თუ ჰკრავდა თავს... მაგრამ ბედნიერი კაცი გამოდექი, შვილები კარგები გამოგივიდნენ და კარგი მეოჯახე კაცის სახელი შეგრჩაო.

სამი წელი ტყეში ფირალად გავარდნილი იყავი, წვრილშვილი მიტოვებული გყავდა, ვერც ერთ მთავრობას შენ ვერ ეწყობოდი... მაგრამ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული აღმოჩნდი, კიდეც გადარჩი, დიდხანსაც იცოცხლე, შვილები კარგები დაგეზარდნენ და შენი თავზეხელაღებულობა საზიანოდ აღარ გექცაო.

აი, ასე ამდაგვარ სასაყვედუროს ეტყოდა, მერე ამას რეფრენივით შვილების ქებას მოაყოლებდა და ამით სამდურავს გააქარწყლებდა.

ახლა კი ვის უნდა ეთქვა ბებიასთვის სიტყვა? გადავხედე ჩემიანებს და უცებ გამახსენდა...

მარტის მზიანი დღე იდგა. ომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ სიღარიბეს სოფლიდან ფეხი მაინც არ მოეცვალა. ე-ხუთე კლასში ვიყავი, ქართულის მასწავლებელმა გაზეთ „*ლიტერატურა და ხელოვნების*“ აკინძული დასტა მომცა და ერთ-ერთი ნომრიდან *ალექსანდრე ჭავჭავაძეზე* დაბეჭდილი წერილის გადაწერა დამავალა, რომელიც შემდეგ, ვითომც ჩემი რეფერატი, ლიტერატურულ წრეზე უნდა წამეკითხა.

ამდენი გაზეთი ერთად რომ დაინახა, ბებიას თვალები გაუფართოვდა (თავიდან ბებია და ბაბუა სოფელში, სილაურში, ცხოვრობდნენ. ბათუმში ბოლოს, სიბერის ჟამს გადავიდნენ ერთ-ერთ უფროს შვილთან, მარო მამიდასთან). რა არ გვაკლდა მაშინ, მაგრამ ბებიას ყველაფრის უქონლობასთან ერთად უქაღალდობაც აწუხებდა, ყველის გაყიდვისას გასახვევად რომ სჭირდებოდა.

– სად იყო, ბიჭო, ამდენი გაზეთი? – გაკვირვებითა და დაინტერესებით მკითხა.

გაზაფხულზე უხილობით პირი აწყლიანებული მქონდა და არც დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე: – მაჭამე თხილი და ამ გაზეთებს, ყველას, გაჩუქებ-მეთქი.

ბებიას ყველაფერი ჩვენთვის, შვილიშვილებისათვის, ემეტებოდა. თხილსა და ხილს როგორ დაგვიჭერდა, მაგრამ კაკლის ხემ ჩვენს ეზოში არ იხარა, თხილს საჭმლის საკმაზად იყენებდა და იმდენი თხილი სად იყო, ხილად რომ გვეჭამა!

ბებიას არაფერი უთქვამს, უმალვე შებრუნდა, აჩქარებით ბელლისაკენ გაეშურა, კალთით თხილი გამომიტანა და წინ ბლომად დამიყარა.

ვაკნატუნე და ვახრამუნე ეს თხილი, გული კარგად ვიჯერე, შეჭმაც გამიჭირდა, მაგრამ მოსატოვებლად ვეღარ გაეიმეტე. ჭამას რომ მოვრჩი, გავიკრიჭე და ბებიას განეუცხადე: ეს გზეთები სკოლისაა და ვერ მოგცემ-მეთქი.

– მომატყვილე ხომ? – ნაწყენი კილოთი მკითხა.

– ნამდვილად მოგატყუე, ბებია, მაგრამ, სამაგიეროდ, რაც გინდა, დამავალე და ყველაფერს შეგისრულებ! – ცოტა არ იყოს, დარცხვენით, მაგრამ გულწრფელად მივუგე.

– შემისრულებ? – უცებ თვალებში შემომატყდა.

– აუცილებლად! – რიხით წარმოვთქვი.

ან რა მქონდა საყოყმანო! როგორც თვითონ იცოდა თქმა, „*გამგონე ბაღანა*“ ვიყავი და მისი ძროხის, ხბოს, თხებისა, ღორებისა და გოჭების, ბატებისა დ იხვების (ესენი ბებიას და ბაბუას ყველა ჰყავდა) საბალახოზე გარეკვა და გამორეკვა ისედაც ჩემი საქმე იყო და სხვა კიდევ რაღა უნდა დაემატებინა!?

– ნამდვილად შემისრულებ და არ მომატყუილებ? – თვალებს არ მაშორებდა ბებია.

– ნამდვილად! – ასევე მტკიცედ, ოღონდ ცოტა დაბნეულად ვუპასუხე. მაკვირვებდა და მაბნევდა ეს დაჟინებული ცქერა და კითხვები.

– მაშინ, რომ მოვკვდები, „რეჩი“ მითხარი! – წამოწითლებულმა რაღაც ნერვიული ხმით წარმოთქვა ჩემთვის ეს ყოველად მოულოდნელი სიტყვები.

ბებიას ძალიან მოსწონდა, მიცვალებულს სამგლოვიარო სიტყვას რომ ეუბნებოდნენ. გასვენებიდან დაბრუნებისას ხშირად აღტაცებით ჰყვებოდა ხოლმე: ამან და ამან, ქმარმა, შვილმა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რაიკომის მდივანმა, საშინელი კარგი „რეჩი“ უთხრაო („საშინელი“ გურიაში ძველი მნიშვნელობით იხმარება და „საუცხოოს“, „საუკეთესოს“ ნიშნავს).

„რეჩი მითხარიო!“ – ერთბაშად ამოვისუნთქე, დავალება ძალიან მეიოლა. ჯერ ერთი, როდის მოკვდება ბებია და, მეორე, ვინ იყო იმის გამკითხავი, შევასრულებდი თუ არა დანაპირებს!? მაშინ ასე გავიფიქრე და პირობა უმალვე მივეცი:

– კი, ბებია, მაგას რა უნდა!

– ჰოდა, ახლა დამიწერე, რასაც მაშინ მეტყვი! – კიდევ უფრო მოულოდნელი და განსაცვიფრებელი გამოდგა ბებიაჩემის თადარიგი.

კარგა ხანს ვივაჭრეთ, მაგრამ მაინც ჩემსაზე დავდექი: დაწერით ახლა ვერ დავწერ, მაშინ კი „რეჩს“ აუცილებლად გეტყვი-მეთქი.

რაღა ექნა ბებიას, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და ბოლოს მითხრა: აბა, შენ იცი, თუ არ დაგავიწყდებაო.

ეს სათხოვარი ბებიაჩემისაგან შემდეგ არასოდეს გამიგონია და, სიმართლე უნდა ვთქვა, არც ოდესმე მომგონებია.

და აი, ახლა, როდესაც შავხალათიანმა გამოაცხადა, სიტყვის თქმა ვის სურსო, პირველად აღდგა თავში ამ 19 წლის წინანდელი ამბავი. რამდენიმე ნაბიჯი წინ წავდგი, ბებიას დამჭკნარ და გაყვითლებულ სახეს თვალი შევავლე, შემდეგ საზოგადოებას გადავხედე და დაბალი ხმით დავიწყე: *„მარტის მზიანი დღე იდგა“* და გავიხსენე ის შემთხვევა, რაც ზემოთ აღვწერე. ბოლოს მისი დიდი ქალობა აღვნიშნე, გულწრფელი და უღრმესი მადლობა გადავუხადე დაუვიწყარი და განუმეორებელი ბებიობისათვის.

ისე, როგორც მაშინ, ბებია რომ ბაბუაჩემს გამოსათხოვარ სიტყვას ეუბნებოდა, ახლაც ყველა სმენად იყო ქცეული, ღიმილი არავისთვის შემინიშნავს, ბევრი კი ცხვირსახოცით იმშრალებდა თვალებს.

1990 წ.

ცხენი – ძალა და ხიბლი სოფლისა

ახლა, რამდენსაც თვალს შევაელვებ ძლიერსა და სიცოცხლით სავსე ჯიშიანი ცხენების სურათებს (აღმოსავლური კალენდრის შესაბამისად ცხენის წელიწადის აღსანიშნავად რომ მომრაველდა ჩვენში), უმალვე თვალწინ წარმომიდგება ჩემი სოფლის ჭალებში ჯგუფ-ჯგუფად ნებივრად მობალახე ცხენები და იმ გარდასულ თანასოფლელთა ნათელი და შთამბეჭდავი სახეები, რომელთა ცხოვრება და შრომა ამ ჭკვიან და გონიერ ცხოველთან განუყრელად იყო დაკავშირებული.

ცხენის სიკეთის თაობაზე ბევრი რამ წამიკითხავს და მომისმენია: ცხენი – გამწევი ძალა და სოფლის მეურნეობაში ადამიანის უებრო თანაშემწე, მხნეობისა და ვაჟკაცობის შთამაგონებელი და გამომკვლინებელი, ჯანმრთელობის მომცემი, სულიერი მეგობარი, ოჯახის წევრი და ა. შ. მაგრამ სულ სხვაა წაკითხული და გაგონილი და სულ სხვა – საკუთარი თვალით ნანახი და უშუალოდ განცდილი.

აი, დღის ცხენებზე ლაღად ამხედრებული, შეზარხოშებული, ჯანღონიანი ვაჟკაცები – ფამფალეთში მცხოვრები ბიძაჩემი **ილია დარჩია** და ნასაკირალში მომუშავე **კარლო დარჩია**, მშობლიურ სოფელში საქეიფოდ ერთად მოდიან და მთავარ შარაგზაზე ამაყად მოაგელვებენ თავიანთ ბედაურებს; მეორე მხრივ, ხანდაზმული **ანთიმოზ სარიშვილი**, ფუტკარივით მოფუსფუსე მშრომელი და ტკბილმოუბარი კაცი, ხურჯინგადაკიდებულ თავის თვინიერ ცხენს ორღობეში წინ მიუძღვის და აუჩქარებლად მიდის შინისაკენ; გონებასხარტი და ენაკვიმატი **პროკობი დარჩია** გუთანში გაწვრთნილ თავის ცხენს საგულდაგულოდ ურჩევს საბალახო ადგილს; პირადად არ მოვსწრებივარ, მაგრამ მონაყოლით ცოცხლად მეხატება თეთრი ცხენით დინჯად მოარული, თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, თეთრი წვერით დამშვენებული ოლიმპიური სილამაზის **პეტრე კილაძე**...

მაგრამ ცხენთან დაკავშირებით ყველაზე კოლორიტულ ფიგურებად ჩემს მეხსიერებას მაინც ბაბუაჩემი **ელისო დარჩია** და მისი კარის მეზობელი და გულითადი მეგობარი **იასონ დარჩია** შემორჩნენ. ორივემ დიდხანს იცოცხლა და ორივესთვის ცხენი მთელი სიცოცხლის მანძილზე განუყრელი თანამ-

გზავრი იყო (ბაბუაჩემი 1963 წელს გარდაიცვალა 105 წლისა, იასონი – 1973 წელს 107 წლისა).

ბაბუაჩემი და იასონი გლეხკაცები იყვნენ. ცხენით ხნავდნენ საყანე მიწებს და ცხენი იყო მათი ტრანსპორტი, კარგა ხანს ჩალანდრობასაც (ჩალვადრობას) ეწეოდნენ, რასაც, ჩემი ფიქრით, უნდა განესაზღვრა ცხენისადმი მათი ინტერესი.

ბაბუაჩემმა ცხენის მკურნალობაც იცოდა და ამ მიზნით შორიდანაც ხშირად მოდიოდნენ მასთან.

რა გატაცებითა და სიყვარულით მიყვებოდა ბაბუა თავისი ცხენების ამბებს, განსაკუთრებით კი ერთზე, *ლურჯაზე*. აბაშაში უყიდია ურა კვიცი. გზაში ყველა მას უყურებდაო. დიდი ჯაფა დასდგომია გახედნაზე. მთელი კვირის განმავლობაში სილით სავსე ტომრებგადაკიდებული მუხლებამდე ლაფ-ში უტარებია. ყოველდღიურად 4–5 ცხენი ძლივს აუდიოდა ამ საქმეს. ბოლოს ისე გამოეზარდე, მარჯვენა მუხლზე ხელს რომ შემოვკრავდი და ყურში ჩავჩურჩულებდი, დაწექიო, მა-შინვე დაწვებოდა და მანამდე არ გაინძრეოდა, სანამ ნებას არ მივცემდიო.

– ერთხელ ქორწილში მაყრად ვარ, – სიამით იგონებდა ბაბუა, – სისხამ დილას, ვიდრე მაყრები აიშლებოდნენ, ჩუმად გარეთ გამოვედი, ლურჯა დავაწვინე და ყვირილი მოვრთე, – *ვილაცას ჩემი ცხენი მოუწამლავს-მეთქი*. ყველანი გარეთ გამოცვივდნენ, შეიქნა დიდი ალიაქოთი და გნიასი. მაშინ ჩემს მშვენებას შევძახე: ადექი ლურჯა! ისიც წამოხტა, ზურგზე მოვეელე და ყალყზე შევაყენე. დაჰკრეს ტაში და ატყდა სიცილი და მხიარულება!

ბაბუაჩემი 3 წელი ტყეში ფირალად იყო გავარდნილი. რომელიმე პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა, თუმცა მემამულეებისათვის, კერძოდ, გურიელისათვის მიწების ჩამოსართმევად გაჩაღებულ ბრძოლებში თავიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული. ამ მიზნით მან სუფსიდან სოფელში ცხენზე შემოსმული ქალურად გადაცმული სტუდენტი ჩამოიყვანა და კრება ჩაატარა.

ეს ამბები ბაბუას ჩემთვის რამდენიმეჯერ უამბია. **თეოფილე დარჩია** წერს: „სილაურის მცხოვრებმა, 105 წლის იასონ დარჩიამ მიამბო, რომ 1902 წელს სოფლის არალეგალური სოციალ-

დემოკრატიული წრის დავალებით ელისო დარჩიამ ჩამოიყვანა სუფსიდან **კონსტანტინე გურგენაძე**, რომელიც გამოვიდა კრებაზე მოხსენებით. კრება მოწვეული იყო სილაურში, ტყეში, მასიკო ქილიფთარის ეზოს ზევით. კრებაზე შემუშავდა გლეხთა ბრძოლის ღონისძიებანი. გლეხობამ მოითხოვა, რომ მემამულეს შეემცირებია საიჯარო გადასახადი. მოთხოვნა წარედგინა გურიელის ქვრივს – ნინო დადიანს, რომელმაც უარი თქვა მის შესრულებაზე“ (გაზეთი „ლენინის დროშა“, 18 მარტი, 1967, გვ. 2).

მაშინ ჯუმათ-სილაურისა და მახლობელი სოფლების გლეხობა გაიფიცა და მათ მდინარე სუფსის ჭალებში (მერეში) სიმინდი დაუთესავი დატოვეს. გურიელმა თათრები (ასე ეძახდა ბაბუა, - ალბათ, აჭარლები) მოიყვანა და ყანები მათ დაათესვინა. გაფიცულებმა წელამდე გაზრდილი სიმინდი, ყველა ფართობი, ძირშივე მოცელეს.

ამისთვის და კიდევ სხვა მიზეზების გამო ბაბუა დააპატიმრეს, მაგრამ ხუთი შვილის მამამ ტყეს შეაფარა თავი (სულ ბაბუამ რვა შვილი გამოზარდა). მაშინ იმედად და შემწედ მას ლურჯა პყოლია.

ბაბუა მიყვებოდა: როცა ჯუმათში დამიბარეს და დავინახე, აღარ მიშვებდნენ, ლურჯასაკენ გავიწიე, რომელიც იქვე, კანცელარიის ეზოში, ხეზე მება. მოვიმიზეზე, – ვინმეს ცხენს შინ გავატან-მეთქი. ცალი ფეხის უზანგში შეყოფა რომ მომესწრო, მეტი არაფერი მინდოდა, მაგრამ განზრახვას მიმიხვდნენ და ცხენამდე არ მიმიშვეს.

და რამდენ ასეთ ამბავს ჰყვებოდა ბაბუა. მეზობლები დღესაც გაკვირვებითა და აღტაცებით იგონებენ ერთ შემთხვევას:

1944 წელს ბიცოლაჩემს, **სონია ინწკირველს**, ფამფალეთში ძმა, **კარაპეზი**, გარდაეცვალა. მამაჩემი და ბიძაჩემი (ამ ბიცოლას ქმარი, **ილია**) ომში იმყოფებოდნენ. ბაბუა ამ დროს 86 წლისა იყო, მაგრამ არც სიბერესა და არც შიმშილობამდე მისულ გაჭირვებას არ შეჰპუებია და ადათწესისამებრ, ძირეულ ოჯახს რომ ეეალებოდა, გასვენებაზე ათიოდე თანმხლებით, ანუ, როგორც გურიაში ეძახიან, *ჯარით, წამყოლით*, წასულა. კაცები სადღა იშოვებოდა, მეზობლის ქალები და ორიოდე ჭაბუკი დაუპატიჟებია, სუფრა გაუშლია და ისე წაუყვანია. ჩემი სოფლიდან ფამფალეთამდე, თუ მეტი

არა, 30 კილომეტრი მაინც იქნება, მაგრამ რა ჩარა იყო, ფეხით დასდგომიან გზას, ბაბუა კი თავისი ცხენით წინ გასძღოლია. ნასაკირალიდან გადასულან და ამით ცოტაოდენი გზა მოუჭრიათ.

უკან დაბრუნებისას შემთხვევით საბარგო ავტომანქანა შეხვედრიათ და თანამხლებლები მას გამოჰყოლიან. ბაბუას ცხენი არავისთვის უნდვია და მანქანას ცხენით დასდევნებია. ამ ხნის კაცი ჭაბუკურად მოაჭენებდა, თურმე, ცხენს, მანქანას დაეწეოდა, მეზობელთა და სხვა მგზავრთა ყიჟინას ხელის აწევით უპასუხებდა, გაუსწრებდა, დაწინაურდებოდა და, სანამ მანქანა ისევ დაეწეოდა, ჩორთითა და ლაფშურით მიუშვებდა ცხენს. აი, ასე ვაჟკაცური, ლამაზი რბოლით გამოუვლია მთელი გზა და შინ თავის მხლებლებთან ერთად დაბრუნებულა.

ახლა, რაც ჩემი თვალით მინახავს: ომის წლებია. ოსურგეთიდან დაბრუნებული ნაბახუსევი ბაბუა მოთქმით ჩამოვიდა ეზოში და მუშტს გულზე იბრაგუნებდა. დაფეთებული გამოვარდა ბებია, – სამი ვაჟი, ორი სიძე და ორი შვილიშვილი ომში ჰყავდა.

– ეს რა უქნიათ, – ბობოქრობდა ბაბუა, – არაბა დროგში შეუბამთ, დროგის ცხენია არაბა?! ომი რომ დაიწყო, ბაბუას ცხენი არაბაც ომში გაიწვიეს. ბაბუამ დიდხანს ვერ გაძლო უცხენოდ. ერთი წლის თუ ცოტა ხნის შემდეგ საიდანღაც წითელი კვიცი მოიყვანა და თავის ხასიათზე გახედნა, მაგრამ არაბაზე ფიქრი არ განელებია. მის ბედზე არაფერი იცოდა და, აი, იმ დღეს უცებ ჯაგვში შებმული ნახა იგი.

– მან მიცნო, მან დამიძახა, – სერიოზულად ამტკიცებდა ბაბუა, – მის ხვიხვინს ათასი ცხენის ხმაში ვიცნობ! მივვარდი, ჩავეხვიე, ვკოცნეთ ერთმანეთი. გულზე ცეცხლი მომეკიდა, გავცოფდი კაცი, დროგში შესაბმელი ცხენია არაბა?! ვეტაკე მედროგეს, ერთი ძველ შინელში ჩაფართხუნებული ჯარისკაცი იყო. ვიფიქრე, ქვას ჩავარტყამ თავში ამ უნამუსოს-მეთქი, მაგრამ გამაკავეს. ის მამაძაღლი კი იკრიჭებოდა, მოახტა დროგს და გარეკა. რა საწყალი თვალებით მომხედა საცოდავმა არაბამ!

ბაბუა არა ცხრებოდა და მხოლოდ იმას ნაღელობდა, პატივი რატომ აჰყარეს, დროგში რატომ შეაბესო ჩემი ფეხმარდი ცხენი.

ამ ოცდახუთი თუ ცოტა მეტი ხნის წინათ, ხრუშოვის დროს, ცხენის აკრძალვის დადგენილება რომ გამოვიდა, იგი ჩემს სოფელშიც მტკიცედ შესრულდა. სოფელში რომ ჩავედი, მითხრეს, იასონს ცხენი ჩამოართვეს და ძალიან ცუდ გუნებაზეა. ვის არ ეხვეწა, მაგრამ მაინც ჩააბარებინესო. მივედი სანუგეშებლად და ვუთხარი: იასონ ბაბუა, შენ ახლა ცხენის არც მხედნელი ხარ და არც მომვლელი, მის შენახვა-პატრონობაზე სხვებს აწუხებდი და რას იკლავ თავს-მეთქი. დაღონებულმა ამიხსნა: მართალი ხარ, ბაბუა, რაღა დროს ჩემი ცხენია, მაგრამ მთელი ცხოვრება ცხენთან გამიტარებია, დღეს თუ ხვალ მოვკვდები და მინდოდა ჩემზე მგლოვიარე პროცესიას წინ შავგადაფარებული ცხენი წასძღოლოდაო.

ეს სურვილი იასონმა ვერ შეისრულა!

ცხენი და ადამიანი სითბოს, სიყვარულსა და რწმენას უნერგავდნენ ერთმანეთს. ჩემს სოფელში მამათელ **ივანე დობორჯგინიძეზე** ღიმილით იტყვიან ხოლმე: ვანოს ოღონდ ცხენის ძვირს ნუ ეტყვი და შენგან სხვა არაფერი უნდაო. ასევე, ღიმილით იგონებენ: ერთხელ, **ანთიმოზ სარიშვილისათვის**, თავის ცხენს რომ დაეძებდა, მიუსწავლებიათ: ამა და ამ ადგილას ჭალაში ვნახეთო.

ანთიმოზს სერიოზულად უკითხავს, პირი საით ჰქონდაო. იმდენად იყო თავის ცხენის გონიერებაში დარწმუნებული, სჯეროდა, – საითკენაც ის გეზს აიღებდა, ადვილად არ შეიცვლიდა.

ახლა ეს სითბო და სილამაზე, ადამიანთა ცხოვრებაში ცხენს რომ შეაქვს, ჩემს სოფელს დიდად აკლია. ჯერ ამ ავადსახსენებელმა კანონმა და შემდეგ ტრაქტორმა და ავტომანქანამ სოფლიდან ცხენები გააძევეს. ბოლო დროს კანონი შეიცვალა და თითო-ოროლა კაცი, – **ალია კილაძე, ვალოდი (ბიჭია) ლომაძე, ვაჟა დარჩია, გენო ლომაძე, ზურაბ სოსელია** და სხვებიც ცდილობენ, იყოლიონ ცხენი, მაგრამ ერთხელ მოშლილი ტრადიციის აღდგენა ძნელი ხდება.

ეს, რაც ჩემს სოფელზე მოგახსენეთ, მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია საქართველოს ბარის თითქმის ყველა სოფლისათვის.

ქვამ და რკინამ შეჭამა ადამიანი, გული გაუქვავა, სითბო და სიფაქიზე დაუკარგა. კარგა ხანია, ყველა ჩვენგანი

ცხადად თუ ქვეცნობიერად ვგრძნობთ, რომ ტექნიკისა და პროგრესის გვერდით საჭიროა დავუბრუნდეთ ბუნებას, მის სიწმინდესა და სილაღეს. ერთი ამათთაგანია ცხენი – ძალა და ხიბლი ჩვენი სოფლისა, ადამიანისა.

1991 წ.

მინაწერი: როცა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან ჩვენში ყველაფერი მოიშალა, სოფელი საყოველთაო სიღატაკემ მოიცვა, ძველი ტექნიკა – მანქანები, ტრაქტორები გაცვდა და განადგურდა, ხარსა და ცხენს ფასი დაედო, მაგრამ, ვაი, რომ გაღატაკებულ გლეხობას მათი შეძენა და ყოლა უსაშველოდ უჭირს.

ბაბუას იმედი ვერ გავუმართლე

ბაბუა **ელისო დარჩია** ფიზიკურად და სულიერად ძლიერი პიროვნება იყო. **ეგნატე ნინოშვილის** „სიმონას“ რომ ვკითხულობდი, **სიმონა ძალაძე** ახალგაზრდა ბაბუის სახით წარმომიდგებოდა ხოლმე. და აქ მსგავსება მარტო ფირალობაში როდი იყო. მახსოვს, ომის პერიოდში ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაბუას რაღაც ძალის პოზიციიდან დაელაპარაკა. ბაბუას ხელში წალდი ეჭირა, მისკენ წაიწია და მიაძახა: *ზევიდან რომ დაგარტყამ, ბოლომდე გაგაპობო.* ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ არ დაეკავებინათ, შეიძლებოდა, მართლაც დაერტყა.

მეზობლები ჰყვებოდნენ: ლელო ბურთის დროს, ბურთს რომ ხელში ჩაიგდებდა, ვერავინ ეწეოდაო. ერთხელ, მის ნათლულ **იაკინთე ქილიფთარს** რამდენიმე ხანჯლიანი კაცი დასევია. ბაბუას სარი მოუგლეჯია, მივარდნილა და თავდამსხმელები დაუბეგვავს და მიმოუფანტავს.

ბაბუა საღამოს დამიწვენდა ლოგინში და საგმირო ზღაპრებს მიამბობდა. მისი მთავარი პერსონაჟები მკლავმაგარი, გულოვანი გმირები იყვნენ, რომლებიც სატრფოსთვის იბრძოდნენ. ყველა ზღაპარი ასე მთავრდებოდა: *მერე იმ ბიჭმა იი გოგო მეიტაცა, შინ მეიყვანა, დეიწვინა და მოჩინჩლა.*

ბაბუას მონაყოლი ზღაპრები, არც ერთი, ლიტერატურაში არ შემხვედრია. ისინი წაკითხული ხომ არა და არა, ალბათ, არც გაგონილი ჰქონოდა, ყველა მისი მოგონილი უნდა ყოფილიყო.

ამ ზღაპრებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს. ამან უთუოდ ჩემი პროფესის არჩევა, ლიტერატორობა, განსაზღვრა. ეს კიდევაც აღვნიშნე იმ ნაწერში, რომელიც უნივერსიტეტში შესვლისას, როგორც მედალოსანს, ე. წ. გასაუბრების დროს განცხადების სახით დაგვაწერინეს: *„რატომ ავირჩიე ეს პროფესია“.*

ბაბუა ამაყი კაცი იყო. როცა მარო მამიდა დანიშნეს, სადედამთილომ იკითხა: *ელისო, ამ შენს შვილს მზითევად რა ექნებაო?* ბაბუამ იფეთქა: *რა და ერთი გიტარა აქვს და მეტი არაფერი.* მამიდას ნიშნობის ბეჭედი ხელიდან წააძრო და ეზოში მოიქნია:

— დღეს ჩემი სტუმრები ბრძანდებით და ვიქეიფოთ, ქალს აღარ გატანთ!

შეიქმნა ერთი ამბავი და ბოდიშის მოხდა. ბაბუა კარგა ხნის შემდეგ ძლივს დააშოშმინეს. მამიდა შემდეგ ამბობდა: ძმები დამეხმარნენ. მათ სასიძო (დალმანტი ბიძია) ძალიან მოეწონათო. მაშინ გარეთ თოვლი იდო და ბეჭედი თოვლის ადნობის შემდეგ იპოვეს.

ბაბუამ ერთხელ რაღაცასთან დაკავშირებით თქვა: ხუთი რძალი მოვიყვანე და მზითევი არა თუ მომითხოვია, მასზე არც ერთხელ არ მიფიქრიაო.

ბაბუა ღვინით ვაჭრობდა. უკვე ვთქვით, კარგი ცხენი ყოველთვის ჰყავდა, მთიან გურიასა (ვაკიჯვარი, მთისპირი, ასკანა, ბუკისციხე) და იმერეთში (სვირი) ღვინოს ყიდულობდა და ფოთში ჰყიდდა. ეზოშიაც კარგი მოვლილი ვენახი — ცოლიკაური (რაც ადრე იშვიათი შემთხვევა იყო), ჩხავერი და „ადესა“ ჰქონდა. მამულებს ადრე ბლომად ფლობდა. ერთხელ მითხრა: ძველად სიმდიდრე მიწა იყო. მეც მას ვყიდულობდი და ვყიდულობდიო. ვფიქრობდი, რომ მოვხუცდები, ჩემს ეზოშივე, შარაგზის პირას, ღვინის დუქანს გავხსნი, შვილები ღვინოს მომიტანენ და ვივაჭრებო. ეს ოცნება ბაბუას არ აუხდა, — საბჭოთა ხელისუფლებამ იგი გააკულაკა, მიწები ჩამოართვა და ერთ ჰექტრამდე დაუტოვა.

ბაბუას სასმელი შინ ყოველთვის მოეპოვებოდა და სტუმრის, სმისა და ქეიფის დიდი სიყვარული სიბერეშიაც შეინარჩუნა. მე მახსოვს, ზაფხულობით ღვინო ჭაში „ჩეთვერით“ მუდამ ჰქონდა ჩაკიდებული და სადილს უღვინოდ არ გადაიტანდა. დილას უზმოზე

ღვინის ჭიქით არაყს გადაჰკრავდა, ცოტას მოიტოვებდა, ხელის გულზე დაისხამდა, მეორე ხელის გულს გაუსვ-გამოუსვამდა და შეისუნთქავდა. ეს წესი მას ბოლომდე არ დაუგდია.

მეუბნებოდნენ, ფუთ ღვინოს სვამდაო. იასონ დარჩიამ ვიღაცაზე მომიყვა: მაგარი მსმელი იყო და ერთხელ ისე დამათრო, შინ როგორ მივედი, არ მახსოვდა. ერთი სული მქონდა, სამაგიეროს როდის გადავუხდიდი. და ეს კაცი რომ მესტუმრა, ელისოს შევუთვალე: იჯდე, ადექი, ფეხზე იყო, არ დაჯდე, სასწრაფოდ მოდიმეთქი.

და ეს ჩემი სტუმარი არხეინად რომ იყო და ელისო კარებს მოადგა, დავინახე, ფერი როგორ ეცვალა. ელისომ ისე დაათრო იგი, ფორთხვა-ფორთხვით წავიდა.

7-8 წლის ვიქნებოდი, ბაბუამ გუდის შტვირით (ტიკის მილით) ღვინო დამალევინა. გამიკვირდა, ჭიქაში რატომ არ დამისხა და ასე დამალევინა. ორიოდე კვირის შემდეგ ბაბუა იასონ დარჩიას ჩემზე ეუბნება: დიდი ღვინის მსმელი დადგება, — შტვირი პირიდან ძლივს გამოვგლიჯეო.

არავითარი ამის მსგავსი არ ყოფილა. მერე და მერე მივხვდი: ბაბუას ოცნება იყო, მასავით მსმელი გამოვსულიყავი, მაგრამ, ვაგლახ, ვერც ამ მხრივ გავუმართლე!

მატრონე მამიდა

ბაბუას უფროსი ქალიშვილი **მატრონე** ხანდაზმული მახსოვს. თბილისში ცხოვრობდა და სოფელში იშვიათად ჩამოდიოდა. როცა სტუდენტი გავხდი და თბილისში ჩამოვედი, ძალიან გაიხარა: *დანარჩენ ძმებსა და დებს ყველას ეწვდებოდი, თქვენ ვერაფერი პატივი გეცით და ახლა რაიმეს ვიღონებო.* მართლაც, მისმა მეუღლემ, **სევერიან შალიკაშვილმა,** მამაჩემისა და ილია ბიძიას გარდა, ყველას უპატრონა და გზაზე დააყენა: პოსტე ბიძია ფოთში წაიყვანა და ვაჭრობაში ჩართო; ფილიპეს კონდიტრობა ასწავლა; მარო მამიდას — კერვა და ხელის საკერავი მანქანა „ზინგერი“ უყიდა (ეს მანქანა მარო მამიდას შვილიშვილ **ზაირას** აქვს და ახლაც მუშაობს); ტარასი ბიძია მილიციაში მოაწყო; მარკელისა მამიდა თბილისში წამოიყვანა. ამიტომ იყო, ეს ჩემი ბიძა-მამიდები ქა-

ლაქებში — ბათუმში, ფოთში, ლანჩხუთში, თბილისში — ცხოვრობდნენ და სოფლად მხოლოდ მამაჩემი და ილია ბიძია დარჩნენ.

ერთხელ, სტუდენტობა ახალდაწყებული რომ მქონდა, ჩემს კლასელ **დემური ჩხაიძესთან** ერთად მატრონე მამიდას შინ გავუარე. ინდაური ჰქონოდა დასაცივებული და იგი ღომთან, სულგუნსა და ერთ ბოთლ ღვინოსთან ერთად მოგვართვა; სხვა ნაჭრებთან ერთად თეფშებზე ერთი ბარკალი მე დამიდო და მეორე — დემურის.

მამიდა ტრაგიკული, მაგრამ გაუტეხელი პიროვნება იყო. ორი უფროსი შვილი — **ამირანი** და **ტარიელი**, ულამაზესი ვაჟკაცები — მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაეკარგა. მოესწრო მომდევნო ორი შვილის — **მზიასა** და **ცისანას** — ბედნიერებას.

სამწუხაროდ, მატრონე მამიდა, თბილისში რომ ჩამოვედი, ხუთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. მუცლის ღრუს ოპერაცია ახალგაკეთებული ჰქონდა. თვე-ნახევარს არაუშავს იყო, მერე ტკივილებმა უმატეს და უმატეს. 1955 წლის მარტის დასაწყისში დავასაფლავეთ. მაშინ პირველად ვნახე და ძალიან მესიამოვნა, რომ სამგლოვიარო პროცესიის დანახვაზე ქუჩაში ხალხი ჩერდებოდა და ქუდს იხდიდა.

მამიდა ძალიან ლამაზი და მოხდენილი ქალი ყოფილა. ბევრი მთხოვნელი ჰყოლია, განსაკუთრებით მონდომებული და აქტიური ყოფილა სილაურში მოსული კაცი, სოფლის სკოლის დირექტორი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, გვარად ჟვანია. ბაბუამ მიამბო, ამ ჟვანიას უთქვამს: როდესაც ჯვარისწერიდან ბრუნდებოდით, მე დუქნის უკან თოფმომარჯვებული, ჩასაფრებული ვიყავი, — სიძე უნდა მომეკლა. მაგრამ რომ შევხედე, ჩემზე ბევრად უკეთესისათვის მიგიცია, გადავიფიქრე და გაგეცალეთო.

ბარემ აქვე მოვყვები: **სევერიანე ბიძია** ვაჭრობის დარგში მუშაობდა. რაღაც გაფლანგვისათვის დაიჭირეს და ცოტა ხანს კიდევაც იჯდა. როდესაც მამიდა მის სანახავად დადიოდა, ბიძია მამიდას აქეთ ატანდა: ხან შემწვარ გოჭს, შესუნელებულ ქათამს, ხაჭაპურებს და ა. შ. მამიდამ იცოდა, რომ ბიძიას საყვარელი ჰყავდა, მაგრამ ითმენდა. მხოლოდ ეს იყო, როცა კვდებოდა, დაიბარა: *სევერიანეს აუცილებლად ცოლი შერთეთ, ოღონდ ის ქალი არაო.* ბიძიამ კი სწორედ ის ქალი შეირთო, ბინა გაყიდა, ქალიშვილები გაისტუმრა და ერთი პატარა ოთახი თავისთვისაც შეიძინა. ამის

გამო ტარასი ბიძიამ და მარკელისა მამიდამ იგი გარიყეს. მახსოვს: ტარასი ბიძიას აივანზე ვსხედვართ, ჩვენთანაა სევერიანეც. ვილაცამ ამბავი მოიტანა, ტარასი მოდისო. სევერიანე ბიძია მაშინვე ადგა და უსიტყვოდ გაგვშორდა.

იმხანად დეიდის ბინის გვერდით, სადაც მე ვცხოვრობდი, თბილისის რაღაც სავაჭრო დაწესებულება იყო. ერთ დღეს, სევერიანე ბიძია აქ საქმეზე მოსულიყო და ვნახე, სოფლიდან ჩამოტანილი პურმარილი მქონდა და დეიდასთან მივიპატიჟე, კარგად ვაპურმარილე და სურათებიც გადავუღე. ძალიან გაიხარა. გამანდო:

— ბიძია, მოხუცებული კაცი ვარ, ქმრად ვისღა ვუნდივარ. მივეკედლე იმას, ვისაც ჩემი ახალგაზრდობა ახსოვს. მიკვირს, რომ ეს ვერ გამიგეს და გამრიყეს!

ჯიბიდან ამოიღო ორი მაღალფეხიანი რომის სასმისი („რონკა“) და მაჩუქა, რომლებიც სოფელში წავიღე და სამახსოვროდ ვინახავ.

ამის შემდეგ სევერიანე ბიძია არც მე და არც რომელიმე ჩვენიანს აღარ გვინახავს. როცა 1963 წელს გარდაიცვალა, ყველანი მივედით და გავცქიდით, როცა მისი გერი ვნახეთ, — იგი სევერიანე ბიძიას ძმას, ირაკლის, გაჭრილი ვაშლივითა ჰგავდა!

ბიძიას, თურმე, ძალიან უწვალია, ლოგინად კარგა ხანს ყოფილა ჩავარდნილი. ცოლმა დაატირა:

— რამდენი ჭიშკარი გაჭრიალდებოდა (კერძო, ეზოიან სახლში ცხოვრობდა), იმდენს წამოიწევდი, ვინმე ჩემიანი ხომ არ მოსულაო.

სევერიანე ბიძია ვაკის სასაფლაოზე მატრონე მამიდასთან ერთად განისვენებს. მისი მეორე ცოლისა და შვილის შესახებ არაფერი მსმენია.

აზოტი

საბჭოთა ხელისუფლების დროს სოფლად მინერალური სასუქების პრობლემა არასოდეს ყოფილა. თუ ახლა იგი იმდენად გაძვირებულია, რომ მოსახლეობას მისი შეძენა ძალიან უჭირს, მაშინ მას, ფაქტობრივად, რომ იტყვიან, ფასი არა ჰქონდა, კოლმეურნეობაში უხვად ეყარა და, რამდენიც გნებავდა, შეგეძლო მოგეხმარა. ვიმეორებთ, იგი უფასო იყო თქვენზე გაპიროვნებულ

სიმინდის, ჩაის, ციტრუსებისა და სხვა კულტურათა საკოლმეურნეო ფართობებში გამოსაყენებლად, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთებისათვის უნდა გეყიდა, თუმცა იმდენად იაფი იყო, სათქმელადაც არ ღირდა.

ჩვენი ეზო თემის (ცენტრის) ეზოს უშუალოდ ეკვრის, საერთო ღობე გვაქვს. ამ ღობესთან იდგა კოლმეურნეობის საწყობი და ღია ფარდული, სადაც რამდენიმე სახის მინერალური სასუქი დაუცველად ეყარა.

იცოდნენ რა მამაჩემის უსაშველო პატიოსნება, რომ იგი, პატრონისათვის რამდენადაც უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო, სხვისას ხელს არაფერს მოჰკიდებდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მამია სარიშვილმა** ასეთი ხუმრობა მოიგონა: ახალ ნაწვიმარზე, როცა მამაჩემი და დედაჩემი შინ არ იმყოფებოდნენ, რამდენიმე ბიჭს იქ მდებარე ჩვენს სიმინდის ყანაში აზოტი მოაყრევინა. მამაჩემი რომ გამოჩნდა, მამიამ მას „შემოსული განცხადება“ გააცნო, — *შაქრო დარჩიამ ისარგებლა იმით, რომ სასუქი მისი ეზოს გვერდით ინახება, მოიპარა იგი და საკუთარ სიმინდის ყანას მოაყარაო.*

მამამ არხეინად უპასუხა, *აგერ არის ეს ყანა და ნახეთო.*

„გამოიყო“ 5-კაციანი კომისია. „შეამოწმეს“ და ყანა მოთეთრებულია!

— ვინც ეს გააკეთა, მისი დედაო! — გაჭრილად შეიგინა მამაჩემა.

მერე მამია იცინოდა: შაქროს ყანას — სასუქი, ჩვენ — გინება.

კონტრმოთხოვნები

სილაურში ოზურგეთის რაიკომის მითითებით კოლმეურნეობის საერთო კრება ჩატარდა, რომელსაც ოზურგეთის მილიციის განყოფილების უფროსი **იური სიორიძე** ესწრებოდა. მომხსენებელმა, ბატონმა იურიმ, ილაპარაკა რაიონში მართლწესრიგის დარღვევებსა და იმ ღონისძიებებზე, რასაც რაიონის ხელმძღვანელობა და, კერძოდ, მილიცია ახორციელებდა. ბოლოს სილაურსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ძეგორაზე მანდარინის ნერგები დაიკარგა, რომელიც ამ უბნის ბრიგადირმა და მეველემ უნდა აანაზღაურონო.

მეველე მამაჩემი, **შაქრო დარჩია**, გახლდათ და პირველი სიტყვაც მან აიღო.

— მართალი ბრძანდებით, სირცხვილი ვჭამეთ, ქურდები აქამდე ვერ აღმოვაჩინეთ. პირადად მე დამნაშავე ვარ და, ჩემს წილს კი არა, მთელ საფასურს მე გადავიხდი. ოღონდ წინა კვირას ოზურგეთში ავტობუსზე ასვლისას 100 მანეთი რომ ჯიბიდან ამომაცალეს, მილიციამ იგი უნდა ამინაზღაუროსო (მანდარინის ნერგების ფასი 50 მანეთს ოდნავ თუ აჭარბებდა).

ამას დარბაზში სიცილი, ტაში და შეძახილები მოჰყვა, *სწორია, სწორიო*. მერე გამოვიდა **გიორგი დარჩია** და თქვა:

— ამას წინათ ოზურგეთში, მაღაზიაში, ვიყავი. საკმაოდ ასაკოვანი კაცი იქ გასაყიდად გამოფენილ ლენინის სურათზე მიუთითებს (სადაც ლენინს ცალი ხელი ჯიბეში აქვს) და ხმამაღლა, ყველას გასაგონად ამბობს: *ა, ბიჭო კაცი, ხელი თავის ჯიბეში ჩაუყვია, ჩვენს მთავრობას კი არა ჰგავს, ჩვენი ჯიბიდან რომ ხელებს არ იღებსო!* რას ნიშნავ ეს?!

ამასაც დარბაზის დიდი მხიარულება მოჰყვა. მერე ითქვა: მაშინ, თურმე, იური სიორიძე მიუბრუნდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე **იური დარჩიას** და ყურში ჩასჩურჩულა: *დახურე კრება, გამწი აქედანო*.

მაინც პატიოსნება ჯობია

ეს ამბავი კოლმეურნეობის მაშინდელმა აგრონომმა **გაიოზ ქილიფთარმა** მიამბო:

მამაჩემს სილაურის კოლმეურნეობის ციტრუსებში ჩამოსული მამათის კონჭკათში მცხოვრები ვინმე კილაძის თხები დაუჭირავს და პატრონი დაუჯარიმებია. ფული რომ სალაროში ჩასაბარებლად მიუტანია, კოლმეურნეობის თავმჯდომარე **იური დარჩიას** მისთვის უთქვამს: *არ ღირს მაგის შეტანა, ყველას აჯობებს, სადილი ვჭამოთო*.

— მიდით სასადილოში და მოვალ. — უთქვამს მამაჩემს.

სილაურს შესანიშნავი სასადილო ჰქონდა (სამწუხაროდ, ჰქონდა და აღარა აქვს). სილაურის აღმასკომის თავმჯდომარე **ტიტე გოგუაძე** თბილისში ჩავიდა და „ცეკავშირში“ მომუშავე სილაურელ **ჟორა კილაძეს** სოფელში სასადილოს აშენება და გახსნა სთხოვა.

მან თხოვნა პირნათლად შეასრულა (სხვათა შორის, ჟორას მამა **მალაქიც** სოფლისთვის თავდადებული კაცი იყო. მან თავისი გარდაცვლილი შვილის, შალვას, სახელზე სილაურში ავტობუსის მგზავრებისათვის ლამაზი მოსაცდელი ფარდული ააშენა, რომელიც სოფელს ათეული წლების განმავლობაში ემსახურებოდა).

ეს სასადილო შესანიშნავი იყო თავისი მომსახურებითაც. აქ წლების განმავლობაში მზარეულებად იყვნენ ცოლ-ქმარი **გივი ქილიფთარი** და **შუშანა ლეჟავა**, რომლებიც დიდებულ ოჯახურ კერძებს აკეთებდნენ. მაშინ ყველაფერი იაფი იყო და, ასე გასინჯეთ, აქ არა მარტო ახლო-მახლო სოფლებიდან, ოზურგეთიდან და ბათუმიდანაც კი მოდიოდნენ.

— როცა შაქრო სასადილოში შემოვიდა, — გვიამბობს გაიოზი, — ჩეკი გვაჩვენა, *ფული შევიტანეო*. ჩვენ სამნი ვიყავით და დანახარჯი მან გადაიხადა. გავიდა ორი თუ სამი კვირა და ჩვენთან წერილობითი საჩივრით მოვიდა თხების პატრონი და ლანჩხუთის მილიციელიც მოიყოლია: *მეველე შაქრო დარჩიამ ფული გამომართვა და ჯიბეში ჩაიდოო*. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაჩვენეთ, რომ ფული სოფლსაბჭოში უკლებლად იყო შეტანილი. მაშინ მილიციელმა მას ჩვენს თვალწინ უსაყვედურა: შე კაი კაცო, ჯერ შეგემოწმებია და მერე წამოგეყვანეო.

გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფო ტყეში

1994 წლის გამარტებაზე სილაურში წასასვლელად ოზურგეთს ძლივს ჩავაღწიე.

ეს ის დროა, სოფლად ავტობუსების მოძრაობა შეწყვეტილია, როცა ადრე დღეში შვიდ-რვაჯერ დადიოდა. ამ დღეს ბედად ჩემი სოფლელი მეზობელი **სერგო ლომაძე** შემხვდა და თავისი მანქანით შინ მიმავალმა თან გამიყოლია.

გავცდით სოფელ ოზურგეთს, ბაილეთი დაიწყო, სიერცეს გავყურებ და უცებ დავიბენი: წინ და მარცხნივ უცნობ გარემოს ვხედავ. მარჯვნივ მივიხედე, ვერაფერი მითხრა — უსახო ფერდობია. ვერა და ვერ მოვისაზრე, სად ვარ. ვატყობ, თავბრუსხვევა მეწყება. სერგოს მანქანა გავაჩერებინე და ჩემი გასაჭირი ვუთხარი. მან მაშინვე გამიგო და ნაღვლიანად ამიხსნა, თუმცა, გარეთ რომ გამოვედი და კარგად მივიხედ-მოვიხედე, რაღა ახსნა მჭირდებოდა: მარცხნივ გზის გაყოლე-

ბაზე გადაჭიმული ვეებერთელა თხემლების ტყე პირწმინდად გაეკაფათ და ახლა აქედან უკვე გაღმა სოფელი, გურიანთა, მოჩანდა. თითქმის ნახევარი საუკუნეა, წელიწადში რამდენჯერმე ამ გზაზე დავდივარ და არასოდეს აქედან ის სოფელი არ დამინახავს.

ქვეყნის გულშემატკივარმა ადამიანმა, შეუძლებელია, ამ სურათს გულგრილად უყუროს. ამგვარი სურათი კი ყოველ ფეხის ნაბიჯზეა!

აგერ ხუთი-ექვსი წელია, შეშად და სავაჭრო მასალად უმოწყალოდ იჩეხებოდა და იჩეხება ჩვენი სიცოცხლისათვის ეგზომ აუცილებელი გარემოს შემქმნელი ტყეები. უსახსროდ და უსაწვავოდ დარჩენილი ხალხი, დიდი და პატარა, ვისაც ნაჯახისა და ხერხის ხმარება შეუძლია, ბარბაროსული აღტყინებით შესევია თავიანთ მასულდგმულებელ ამ უსიტყვოდ მეტყველ მეგობრებს და უსულგულოდ, დაუზოგავად ანადგურებს მათ. ვისღა აქვს ის თბილი, სათუთი განცდა, პოეტ **ზაურ ბოლქვაძეს** რომ დაუფლებია და ლექსად გამოუხატავს:

„გრამატიკულად უსულო
ბალახო და ხეო,
ქვეყნად თქვენზე სულიერი
მე ჯერ ვერ ვნახეო“.

არადა, როგორ აშენებდნენ, უელიდნენ და ელოლიავებოდნენ ჩვენი მამები და პაპები ამ ტყეებს! დიახ, – ისეთივე გატაცებითა და თავდადებით, როგორც ვაზს, ჩაის, ციტრუსებს, ტუნგოს... უგეგმოდ და უნებართვოდ ერთ ხესაც ვერვინ შეეხებოდა!

გავყურებ ჩემს სოფელში ხუთიოდე წლის წინათ შესანიშნავი ტყით დამშვენებულ, ახლა კი თავგადაპარსულ ბოგნარისა და ნაციხურის გორებს, მოტიტვლებულ შუაღელასა და ძეგორას ფერდობებს, ქარის საფარისა და ნიაღვარდამცველი ცოცხალი ჯებირების გარეშე დარჩენილ ციტრუსებს, ჩაის პლანტაციებსა და სიმინდის ყანებს, მდინარე სუფსისა და პატარ-პატარა ღელეთა ნაპირებს, წვიმების დროს რომ გადარევა იციან...

გავყურებ და უნებლიეთ მაგონდება მამაჩემის ერთი მონათხრობი, რომელიც სხვებისაგანაც მსმენია და იმ თაობის განწყობილებას გამოხატავს.

სილაურის კოლმეურნეობას ნასაკირალის ტერიტორიაზე ჩაის პლანტაციასთან ერთად ტყეც ჰქონდა, რომელსაც ამ ბოლო დროს სხვა დაეპატრონა. ომიდან დაბრუნებული მამაჩემი ერთხანს მეველედ მუშაობდა და ამ ტყის დაცვაც ევალებოდა. ტყე კი სოფლიდან საკმაოდ შორს მდებარეობდა.

– ერთ დღეს, მივედი, – ჰყვება მამაჩემი, – და ვხედავ: ვიღაცას მოუჭრია და წაუღია გამხმარი, ღრუიანი ბლის ხე, რომელიც ისე მსხვილი იყო, ორ კაცს გაუჭირდებოდა ხელების შემოწვდენა. ის სხვად არაფრად გამოდგებოდა, თუ არა წისქვილის კოდად. მოსაზღვრედ მელექედურის ტყე იყო. მას საუკეთესო ვაჟკაცი და მონადირე **მათე ღლონტი** იცავდა.

– ამ ხეს ვინმე დუაბზუელი ან ბახველი წაიღებდა, – მეუბნება მათე, – მაგათ ეზოებს წინ ბახვისწყალი ჩამოუდით და ბევრს საკუთარი წისქვილი აქვს.

შევაჯექი ცხენს და ამ შორს მდებარე სოფლისაკენ გავწიე. ჩამოვყევი და ყველა ოჯახს ვეკითხები: წისქვილის საკოდე ხე მაქვს გასაყიდი და ვინმეს ხომ არ გჭირდებათ-მეთქი.

ვერაფერს მივაგენი. გადავედი სოფელ ბოხვაურში. ერთ ოჯახში მითხრეს: ამა და ამ ბიჭებს უნდოდათ, მაგრამ ამ ორი დღის წინათ მოიტანესო.

მივადექი მათ ეზოს. დაძახებაზე ლამაზი, ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. ვეუბნები: თურმე, საკოდე ხეს ეძებთ და მე ვყიდი-მეთქი.

– ვხედები, ვხედები, რაზეც მობრძანებულხართ, ჩამობრძანდით შინ! – უხერხულად იღიმება იგი და ჭიშკარს აღებს, – კი, ის ხე ჩვენ წამოვიღეთ, გთხოვთ, ჩამობრძანდეთ!

ჩავედი. დედამისს დაუძახა, არაყი და ჩურჩხელა გამოატანინა. მალე მეორე ძმაც გამოჩნდა. მამა ომში დაღუპოდათ. ძმები სტუდენტები ყოფილან.

– როგორ მოახერხეთ ასე მსხვილი ხის წამოღება? – ვეკითხები მე.

ასე და ასეო, ამიხსნეს.

– ჰოდა, ასევე დადეთ ეს ხე იმ ურემზე და სილაურის კოლმეურნეობაში მიიტანეთ-მეთქი.

– მაგას ნუ გვიზამთ და, რაც გნებავთ, გადაგვახდევინეო. – მეხვეწება ორივე.

რამდენადაც შეიძლებოდა, იაფი გადავახდევინე და ის ფული კოლმეურნეობაში მივიტანე. ბუღალტერმა მითხრა:

– რა კაცმაც ამდენი იარე და ის ხე აღმოაჩინე, მასში აღებული ფული შენთვის ალალია და ჯიბეში ჩაიდევიო.

– აბა, ამას როგორ ვიზამდი! – დაამთავრა თხრობა მამაჩემმა.

სად გაქრა დღეს ტყისადმი ეს ეროგულება და პატიოსნება?!

სილაურელებს რომ სათითაოდ ესაუბრები, ყველას კარგად მოეხსენება, რა უბედურებაცაა მათთვის ტყის გაჩეხვა. პირველი შედეგები უკვე იწვნიეს. შარშან ადიდებულმა სუფსამ და მამათისღელემ მთელი **მერის** ტერიტორია დატბორეს და წყალსა და ქვიშაში მდგომი სიმინდები დაუმუშავებელი დარჩა, ბევრსაც საყანე ნაკვეთები წარსტაცეს. **მერე** კი სოფლის ძირითადი სასიმინდე-საყანე ფართობია. უტყეოდ დარჩენილი ყვავები მოსახლეობის ეზოებისაკენ დაიძრნენ, მაღალი ხეების კენწეროებზე შემოსხდნენ, შინაურ ფრინველებს დაერივნენ და ოჯახებს ქორსა და მიმინოზე მეტი ზარალი მიაყენეს. ყველას გასაკვირად ეს შაოსნები ქათმის ბუდეებიდან კვერცხებსაც იპარავდნენ...

სილაურელები იმასაც მშვენივრად ხედავენ, რომ კიდევ ერთი თუ ორი წელი და სოფელში საკარმიდამო ნაკვეთების გარეთ მოსაჭრელი ხე აღარ დარჩება. მიუხედავად ამისა, ყველანი დამარქაფებულნი არიან, არ დამასწრონო, ერთმანეთს ეჯიბრებიან და მეტ და მეტ ხეს ჭრიან. მარტო თავიანთ კერაზე ცეცხლის დასანთებად ან საკუთარი მშენებლობისათვის (სადღაა მშენებლობა!) მასალად რომ იყენებდნენ, ტყეების გამოზოგვა რამდენიმე წლით მაინც შეიძლებოდა, მაგრამ უსახსრებოდ დარჩენილი ხალხი ხე-ტყეს გამალებით ყიდის და ჩვენს ქალაქებსა და თურქეთის ბაზარს ერთი ბეწო საქართველოს ტყეები რას აუვა!

– ასე მგონია, – მეუბნება **ზალიკო დარჩია**, ახალგაზრდა კაცი, – მე რომ მთავრობა ვყოფილიყავი, ტყეების ასე სწრაფად მოსპობას რამდენადმე მაინც შევაჩერებდი. როგორც სამეურნეო სავარგულები დავარიგეთ, ასევე დავანაწილებდი

ტყეებსაც და, ნახავდით, ხალხი საკუთარს მეტი მოფრთხილებით თუ არ მოეპყრობოდა.

ვერ გეტყვით, ამგვარი გადაწყვეტა საქმეს უშველიდა თუ არა, არც ის ვიცი, საწვავის უწინდებურად ხელმისაწვდომ ფასებში შემოტანის გარდა, რა შეიძლება გამოგვეყენებინა, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ, რამდენიმე წელია, ჩვენს ტყეებს სახელმწიფოებრივი მზრუნველობა აკლია კი არა, სულაც არა აქვს. მართალია, არსებობს ბუნების დაცვის არაერთი სამსახური, შეექმნით ეკოლოგიური პოლიციაც, პარლამენტისა და მთავრობის სხდომებზე ზოგჯერ ტყეების დაცვა-აღდგენაზე გაისმის ლაპარაკი..., მაგრამ ყველაფერი ეს იყო და არის ფორმალური, უნიათო და ფუჭი, ხოლო მდგომარეობის გამოსწო-რების ნიშანწყალი არ ჩანს.

სად არიან „მწვანეები“? მათ კარგა ხანია, ფერი იცვალეს! ამ ახალგაზრდებმა ხუდონჰესისა და სხვა ენერგორესურსების მოსაპოვებელ ღონისძიებათა დამუხრუჭებაში ლომის წილი გაიღეს. ამით საზოგადოებას თავი პატრიოტებად გააცნეს, ასპარეზზე გამოვიდნენ, ხელისუფლებასა და სარფიან ადგილებზე მოკალათდნენ და ქონების ხელში ჩასაგდებად დაგეშილები ახალ–ახალი საკბილოს მოსაპოვებლად შესაშური ენერგიით ტრიალებენ. ზოგიერთი ისე გასუქდა, ტელევიზიის ეკრანზე ძლივს ეტევა.

– დღევანდელი გადასახედიდან როგორ აფასებთ ხუდონჰესისადმი თქვენ მაშინდელ დამოკიდებულებასო? – ტელეჟურნალისტის ამ შეკითხვაზე „მწვანეთა“ ყოფილი თავკაცი **ზურაბ ჟვანია** თავს მოესიყვარულა: ეს ახალგაზრდული მაქსიმალიზმი იყოო.

ამ კეკლუც სიტყვაობაში კრინტიც არ იყო დაძრული, რომ ეკოლოგიის დაცვის თაობაზე მათმა უმწიფარმა მოსაზრებებმა და უგუნურმა ბრძოლამ რა სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა ან დღეს, როცა მნიშვნელოვანი ძალაუფლება მოიპოვეს, ამ წმინდა ეროვნული საქმის მოსაგვარებლად რას აკეთებენ ან რას აპირებენ.

მკითხველს ალბათ ირონიულ ღიმილს მოჰგერის ის, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ჩემი პატარა სოფლის ტყის დაცვას ვთხოვ, მაშინ როდესაც ყურის ძირში, თბილისშივე,

კუს ტბის შემოგარენის ხელოვნური ნარგავების მოსაველელად ხელი არავის გაუნძრევია.

ისეთებიც ბლომად არიან, ვინც ამბობს: დღეს, როდესაც საქართველოში საშინელი სიდუხჭირეა, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შიმშილობს და ბევრიც შიმშილით იხოცება, რა დროს ხესა და ტყეზეა ლაპარაკიო.

თუ სიმართლეს თვალს გავუსწორებთ, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ მთავრობა, რომელსაც უნარი არ შესწევს ბუნება დაიცვას, ტყეს მოუაროს, ის თავის ქვეყანასა და ხალხსაც ვერ მოუვლის და მისგან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერის ერთიანობის აღდგენასა და შენარჩუნებას არ უნდა მოველოდეთ!

„გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფო ტყეში!“ – ჩვენი სასიქადულო მწერლის, **ნიკო ლორთქიფანიძის**, ეს სახოვანი სიტყვები კვლავ შემზარავ კონკრეტულ სინამდვილესაც გამოხატავს და განმაზოგადებელი სიმბოლური შინაარსიც აქვს.

„გაპრიალებული ნაჯახი“ ერის კისრისკენაა მიმართული და მას თავის წაცლით ემუქრება! გამოჩნდება კი ისეთი მზეჭაბუკი, ვინც ამ ურჩხულს დაამარცხებს?!

1996 წ.

ანუშკი

დედაჩემის დეიდის, ლუბა ჩხაიძის, და მისი მეუღლის, სამსონ კილაძის, ოჯახში სტუმრობა ყოველთვის მიყვარდა. ისინი ჩემსავე სოფელში, ჩვენგან ცოტაოდენი მოშორებით ცხოვრობდნენ. მათი შვილები, ყველანი, ჩემზე უფროსები იყვნენ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა ნათესაურ სიყვარულთან ერთად ერთმანეთთან გულითადი და ხალასი მეგობრობა გვქონდა. ასე იყო თავიდან და ასე გრძელდება ახლაც.

ერთხელ, საკმაოდ შეღერებული ყმაწვილი ვიყავი, მათთან რომ მივედი და დედაჩემის დეიდაშვილებმა, ჟორამ და ლამარამ, სიცილით მიამბეს: დღეს ანუშკი ბებიას შევუსწარით, სარდაფში ხმადაბლა მოთქვამდა, – *მოგიხუცდა, ნენა, შენი უმცროსა ციცაო* (ე. ი. მოგიხუცდა, დედა, შენი უმცროსი ქალიშვილიო). მაშინ მეც მათ მხარი ავუბი და გულიანად და ხალისით საკმაოდ ვიხითხითე.

უნდა გამოვტყდე, ერთხანს შემდეგაც ამ ამბავს მხიარული ღიმილით ვიგონებდი და ვყვებოდი კიდეც. მეცინებოდა, რომ ეს წელში მოხრილი, ქმრის პატივსაცემად შავებგაუხდელი, მოჩიფჩიფე დედაბერი პატარა, განებივრებულ გოგონასავით ისევ უხმობდა დედამისს, რომლის სახელი სხვას აღარავის ახსოვდა, და თავის მოხუცებულობას შესჩიოდა. იმხანად არ დაეფიქრებულვარ, მაგრამ მერე და მერე კი მივხვდი, აქ სასაცილო და სამხიარულო არაფერი იყო...

ანუშკი ბებიამ, **ცინცაძის** ქალმა, მთელი თავისი ყმაწვილქალობა მოჯამაგირეობაში გაატარა. მოჯამაგირე იყო მისი ქმარიც, სილავან კილაძე, როცა მას ცოლად გაჰყვა. წერაკითხვა არც ერთმა იცოდა და არც მეორემ, მაგრამ უსაშველო მუყაითი შრომითა და გარჯით დიდი და მსუყე ოჯახი შექმნეს. ექვსი შვილი აღზარდეს და ყველანი კარგად დააბინავეს.

უთუოდ ბედნიერი დედა და ბებია გახლდათ ანუშკი, მაგრამ სიცოცხლის სიყვარულმა და სიბერის ჭირმა მაინც თავისი გაიტანა და ცხოვრების ჭაპანწყვეტაში ნაწრთობი ეს უტეხი ქალი თავის არსებაზე, პირად სიცოცხლეზე დააფიქრა და ფარულად მწარედ ააკვნესა. მე იმ დროს ის ღრმად მოხუცი, 100 წელზე მეტი ხნისა, მეგონა. თურმე 80-ისაც არ ყოფილა. რამდენიმე წლის შემდეგ, 1957 წელს, კიდეც გარდაიცვალა. მაშინ არც ის ვიცოდი, თუ „ანუშკი“ გოგონას მოფერებითი სახელი იყო. ბებრების სახელად მიმაჩნდა.

გვიან გავაცნობიერე და მივხვდი, რასაც ანუშკი ბებია წუხდა და მოთქვამდა, ის მსოფლიოს სევდა და ტრაგედია, კაცობრიობის განუყრელი საზარელი გასაჭირი და სატირალი ყოფილა. ახლა აღარც მე და აღარც ანუშკის შვილიშვილებს მის საქციელზე აღარ გვეცინება. პირიქით, მის მაშინდელ ასაკამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ მისი სატკივარი, კარგა ხანია, გავითავისეთ და სულსა და გულს გვიშფოთებს. თუმცაღა, რას ჰქვია „ბევრი“ და „კარგა ხანი“, დრო ელვის სისწრაფით მიქრის!...

ჯაბულო გოგუაძე

სილაურში, ტყეში, შუაღელას, ერთ ადგილს, სადაც მსხვილი, კოჟრებიანი რცხილა ჩემს ყმაწვილკაცობაშიაც იდგა, **ჯაბულიეს წისქვილს** ეძახიან. მე არ მოვსწრებივარ, მაგრამ ამ

მოსახლეობიდან საკმაოდ დაშორებულ, ტურებიან და, იმდროინდელი გაგებით, ჭინკებიან ღელის პირას თავისი ხელით გამართული წისქვილი ჰქონია **ჯაბულო გოგუაძეს**. იგი აქედან საკმაოდ შორს, ნაციხურის გორას ძირში ცხოვრობდა, რომელიც მთელ სოფელს გადაჰყურებს, და, შინ რომ მისულიყო, უგზოუკვლო, მაღალი, ციცაბო აღმართი უნდა გაევლო. სულ მიკვირდა და ახლაც მიკვირს, როგორ ახერხებდა ის ამ ტყე-ღრეში სიარულს. თანაც ყოველთვის აქედან გოდრით ან ტომრით ღელის ქვები მიჰქონდა, თურმე, და ეზო ასე ჰქონდა ყორეთი შეღობილი. ეს ღობეყორე ახლაც გაუქანებლად არის.

დღეს მის კარ-მიდამოში ცხოვრობს **იმედა დარჩიას** ოთხშვილიანი ოჯახი. იმედასაც ტრაგიკული წარსული აქვს. მამამისს, **პავლე (პუჭუა) დარჩიას**, ფიზიკურად ძლიერ, ჯირკვივით დაკუნთულ ვაჟკაცს, ორი ვაჟი, **რევაზი** და **ოთარი**, ჰყავდა და ბედნიერად ცხოვრობდა. ერთ უბედურ საღამოს, როდესაც რევაზი მეზობელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში აცილებდა და ბიჭები ნასვამი და გალაღებულები იყვნენ, საბარგო მანქანა, რომლითაც ოზურგეთში მიდიოდნენ, ელექტრონის ბოძს დაეჯახა, ჩამოვარდნილი მავთული რევაზს დაეცა და მყისვე გაათავა. მანქანის უჩვეულო ხმა, ღმუილი, რომ გაიგონა, პავლემ მეორე შვილი, ოთარი, ლოგინიდან წამოაგდო და ნასვამი ბიჭების დასახმარებლად გაუშვა. შარაგზაზე გამოსული ოთარი სიბნელეში დენიან მავთულს წამოედო და ისიც გათავდა. პავლე სახლში ველარ ჩერდებოდა, სვამდა და ღამეებს სასაფლაოზე ათენებდა. ამ ყოფას დიდხანს ვერ გაუძლო და ისიც გარდაიცვალა. რევაზს ორსული ცოლი დარჩა. დაიბადა იმედა და შესანიშნავი ოჯახი შექმნა. დღეს ჯაბულო გოგუაძის კოპწია ეზო, იმედას ოჯახის მზრუნველი ხელის წყალობით, თვალისა და გულის გამახარებლად გამოიყურება.

აი, ჯაბულოს დამახასიათებელი რამდენიმე შტრიხი **ბ. კილაძის** საგაზეთო წერილიდან:

„ჯაბულო 70 წლის ასაკში გარდაიცვალა... ეს მოხუცი თუ ახლო მოვიდოდა, უმალვე შეიგრძნობდი მასთან სიახლოვის აუცილებლობას, აღგიძრავდა გულის გადაშლის წადილს და, თუ საამისოდ რამ გჭირდათ, ფეხზე დააყენებდა თქვენს დაცემულ რწმენას. მას თითქოს თავაწეველობისა და სასოწარკვეთილების აღკვეთის ლაგამი

ეჭირა ხელში. თავის ამ საოცარ ძალას იგი უხვად იყენებდა სხვათა სიზარმაცისა თუ უვარგისი მეურნე კაცის მიმართ. უვარგისობაში შენიშნულ მეურნეს იგი შინ მიიპატიჟებდა, თავის ყანას აჩვენებდა. სადმე საღომე მიწის ნაკვეთს ამოურჩევდა, ან ძნელად ასაბობღებელ წიფელაზე ფუტკრის სკას აჩუქებდა...

„ჯაბულოს არ სწამდა გვალვით, წვიმიანი ამინდების ან უინვების მომიზეზებით წარუმატებლობის გამართლება... სახელმოხვეჭილი მეურნე ცდებით მიიკვლევდა გზას ბუნების საიდუმლოებისაკენ...ჯაბულოს ახალი ჯიშის მცენარეებზე ლეგენდებიც დადიოდა...“ და ა. შ. (გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 8 ნოემბერი, 1970, გვ. 8).

სოფელში დღესაც არიან მისი მომსწრე ხანდაზმულები (მარია დარჩია, დათიკო გოგუაძე...). ისინიც ჯაბულოს ამგვარადვე ახასიათებენ. მის მეზობლად მცხოვრები **კვიროსი გოგუაძე** ჩემზე ორიოდე წლით უფროსია და მან მშობლებისა და მეზობლებისაგან ჯაბულოს შესახებ უამრავი კარგი რამ მიამბო. თვითონ კვიროსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვაჟა-ფშაველას მ ი ნ დ ი ა ს მსგავსი პირია. თავისი ეზო დიდებულად აქვს მოშენებული და ეზოს გარეთაც, სადაც კი სათანადო ადგილს ნახავს, განსაკუთრებით ნაციხურის ტყეში, რგავს და მყნის ნაირ-ნაირ ხეხილის ხეებს.

ჯაბულო, — მიამბობს კვიროსი,' — პატარა ტანის, დაუღლელი, სხვანაირი კაცი იყო. ჰქონდა დაბალზე დადგმული დარაბებიანი ოთხთვალა ოდა. ორი პატარა ოთახი წინ ჰქონდა, ამავე სიდიდის ორი — უკან. ყველაფერი განსაკუთრებელი იცოდა, — წაკატიც კი.

ჯაბულოს ერთი ვაჟი, **გაბრიელი**, განათლების დარგში მუშაობდა. 30-იანი წლების მთელ მანძილზე თანამშრომლობდა საქართველოს განსახკომის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; იყო სკოლების სამმართველოს უფროსი, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, განათლების მინისტრის მოადგილე, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი. დაბეჭდილი აქვს ცალკეული ნაშრომები სწავლა-განათლების შესახებ.

კვიროსი გოგუაძე მიყვება, რომ გაბრიელი უაღრესად თავმდაბალი კაცი იყო. როცა სილაურში ჩამოვიდოდა, უყვარდა თანა-

სოფლელებსა და მეზობლებთან ყოფნა. აინტერესებდა სოფლის წარსული, სახელდობრ, რა საიდუმლოს შეიცავდა ნაციხურის გორა. ეს გორაც ფოსტის როლს ასრულებდა. როცა მტერი მოდიოდა, და გურიანთის კონჭკათის მთაზე კოცონი აინთებოდა, ნაციხურზეც იგივე კეთდებოდა და ასე გადაეცემოდა სიგნალი ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მხარეს.

გაბრიელმა იმედის მომცემი საუბარი იცოდა. ერთხელ უთქვამს, გლახა დრო მოდის, მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვუშველით, თვითონ დრო გამოასწორებსო. გაბრიელი ადრე მენშევიკი იყო და მონაწილეობას ღებულობდა ბოლშევიკებისა და მენშევიკების ცხარე კამათში, რომელიც ჯუმათის, ბაილეთისა და სილაურის საზოგადოებაში გურიელის სასახლესა და ბაილეთის ეკლესიასთან იმართებოდა.

გაბრიელი შეეწირა 1937 წლის რეპრესიებს. როდესაც განსახკომის თავმჯდომარე **მარიამ ორახელაშვილი** დახვრიტეს, მისი მოადგილე გაბრიელიც ზედ მიაყოლეს.

ბარემ აქვე ვიტყვი, ჯაბულოს შვილის, **ანანიას**, შვილიშვილი იყო ჩემი თანაკურსელი და მეგობარი, მწერალი და ქართული ლიტერატურის მკვლევარი **თეიმურაზ მაღლაფერიძე**, რომლის შვილია მეცნიერებიდან პოლიტიკაში გადასული **ვასილ (ვასიკო) მაღლაფერიძე**.

ჯაბულოს უფრო ადრინდელი რეპრესიებიც შეეხო: გააკულაკეს, დაუშალეს ოდა და სოფლის ცენტრში (თემში) ჩამოიტანეს, თუმცა მალე დაუბრუნეს.

მამაჩემმა მიამბო: გაზაფხული იყო, ხარ-ურემი მყავდა და კოლმეურნეობის პირველმა თავმჯდომარემ **აცანდრე (ალექსანდრე) როყვამ** ჯაბულოს გაკულაკებისას მასთან წამიყვანა, ურემი ნალიასთან (სასიმინდესთან) გამაჩერებინა და მითხრა, ნალიის ჭერი გამომეშალა. არ ვქენი. მაშინ მან ჭერს ურმის წინსადგარი აჰკრა და გაურჩეველი, ქუჩეჩიანი სიმინდის ტაროები ჩამოყარა. თქვა: *ხალხი შიმშილით იხოცება და ამას ქუჩეჩიანი სიმინდი აქვს შენახულიო.* სიმინდი თემში ჩამოვიტანეთ.

— კი, მაგრამ, რამდენი იყო ეს სიმინდი? — ვეკითხები მამაჩემს.

— რა იყო, — ნახევარი ურემი!

დიახ, დრომ ეს ყველაფერი წაიღო. ჩვენი ვალია, ჯაბულო გოგუაძის, ამ სოფლის გამრჯე კაცის კეთილი სახე და საქმე, გვახსოვდეს!

აგვისტი ბიძია

ზოგჯერ გურიაში ისე საშინელი ცხელი დღე გამოერევა ხოლმე, ჩეროშიაც ჭირს სუნთქვა. ერთი ასეთი თონესავით თაკარა დღე იდგა. შვებულებას სილაურში ვატარებდი. რამდენიმე მეზობელსა და მეგობართან ერთად მდინარე სუფსას მივაშურე. აქაც კოლმეურნეობის სიმინდის ყანებითა და საძოვრებით გადამწვანებულ ჭალებს აუტანელი ხვატი ჩამოსწოლოდა. სხვა დროს, როცა სოფელში შუადღის მზე დააჭერს, აქ ყოველთვის დანავარდობს შვების მომცემი ნიავი. ახლა ისიც გაავებულიყო და სხეულს გვიწვავდა.

კოლმეურნეობის ყანებში მომუშავეთ თოხი ხელიდან გაეგდოთ და სუფსის ნაპირებზე გაჭიმული ნაპირსაცავი თხემლებისათვის შეეფარებინათ თავი. ასე, ნაშუადღევს, როცა ჯერ კიდევ ყველაფერს ალმური ასდიოდა, მოშორებით ყანაში მომუშავე კაცი დამანახვეს და, ცოტა არ იყოს, გამქირდავად დააყოლეს:

— აი, ის, თავს რომ იკლავს, . ჩვენი აგვისტი ლომაძე გახლავთ, საამისო გაჭირვება ჰქონდეს მაინც!

აგვისტი ბიძია („აგვისტი“, ალბათ, „ავგუსტოს“ სახელიდან მოდის) მამაჩემის მეგობარი, ჩემი თანაკლასელისა და მეგობრის, სერგოს, მამა, დიდი მშრომელი, ხალისიანი, სათნო, მოსიყვარულე, პურმარილიანი, ყოჩაღი გლეხკაცი იყო, რომელსაც სოფელში საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ხუთი შვილის აღმზრდელ კაცს ცოტა გაჭირვება როდი ჰქონდა ცხოვრებაში გამოვლილი. ღარიბ ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილს დიდი შრომითა და ჭაპანწყვეტით გაჰქონდა თავი. მრუდე გზისათვის არასოდეს მიუმართავს. აქტიურად მონაწილეობდა სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, მეორე მსოფლიო ომსა და მისი შემდგომ ყველა მშენებლობაში. თავისი პატიოსანი, მუყაითი შრომით მან სიამტკბილობითა და დოვლათით სავსე ოჯახი შექმნა. შვილებიც დიდ-დიდი ოჯახების, შვილებისა და შვილიშვილების პატრონები, მამის

კვალად ყველანი შრომაში იყვნენ ჩაბმული. ზარმაცი და უქნარა მის შთამომავლობაში არავინ გამორეულა.

მამაჩემს უყვარდა გახსენება: ერთხელაც, აგვისტი ბიძიას სერგო გვერდში ჰყავს ამოყენებული და სიმინდის ყანას თოხნიან. ღამდება, ჩქარობენ, საქმე მოათავონ, რათა მეორე დღეს აქ, სახლიდან კარგა მოშორებით, ჩამოსვლა არ დასჭირდეთ. უცებ სერგომ შესძახა: *ვაიმე, თოხს ტარი წამიძრაო.* აგვისტი ბიძიამ შეხედა და ცარიელ ტარის ბოლო რომ დაინახა, გულზე შემოეყარა. მაგრამ მალე მიუხვდა შვილს ეშმაკობას: სერგოს თოხი შეებრუნებინა, თოხიანი მხარე მეორე გვერდზე მოფარებულად, იღლიის ქვეშ, დაემალა და ქვევით ტარის ბოლო დაეშვა.

აგვისტი ბიძიას შრომისმოყვარე ოჯახის შესახებ ყველაფერი კარგად ვიცოდი. ვიცოდი ისიც, რომ მათ სრულებითაც არ სჭირდებოდა მისი, 81 წლის კაცის, არც კოლმეურნეობაში და არც შინ მუშაობა, მეტადრე, ისე ძნელ საქმეზე, როგორიც ყანის თოხნაა, თანაც ასე საშინელ პაპანაქებაში.

უმალვე მისკენ გავწიე. აგვისტი ბიძია ნელ-ნელა უსვამდა თოხს და დაბალ ხმაზე ღიღინებდა. გულითადად მივესალმეთ და მივესიყვარულეთ ერთმანეთს. მერე ცოტა გაჯავრებისა და გაკვირვების კილოთი შევუტიე:

— რას შვება ჩემი ძმაკაცი, კიდევ გამუშავებს, ისე პურს არ გაჭმევს, ხომ?

მან სერიოზულად მიპასუხა:

— რა ვქნა, ბიძია, ის შენი ძმაკაცი და სხვებიც მეჩხუბებიან, შინ დაჯექი, სირცხვილს ნუ გვაჭმევო, მაგრამ ჩემი ღლე და მოსწრება შრომაში გავატარე და ტყვილა ყოფნა მიჭირს. წელან იქ, ჩრდილში, სული კინაღამ შემეხუთა, მოვითენთე. აქ ნიავმაც უფრო მომხედა და ცოტა გამოვცოცხლდი!

ერთხელ, როცა სიბერესა და შრომაზე ჩამოვარდნილა საუბარი, აგვისტი ბიძიას უთქვამს: ღმერთმა ისეთი ზამთარი ნუ მომცეს, ფეხი რომ არ დამისველდეს და ისეთი ზაფხული, — ოფლი რომ არ გამომივიდესო.

ამ ჯანსაღი დევიზით გაატარა მან მთელი თავისი ცხოვრება. 1984 წლის ბოლოს, ახალ წლის წინა დღეს, შვილებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით დაყურსული, ნათესავებმა, ახ-

ლობლებმა, მთელმა სოფელმა სამუდამო განსასვენებლამდე მივაცილეთ 84 წლის ყოველმხრივ ვალმოხდილი აგვისტი ბიძია. მისი კეთილი სახელი კი მთელ სოფელს ახსოვს.

კაცი, რომელიც სოფელს ძალიან დააკლდა

1988 წელს საზაფხულო შვებულებისას სოფელში მშობლებთან ჩავედი. 80 წელს მიტანებული მამაჩემი დაღონებული დამხვდა. საახალწლოდ დასაკლავ გოჭს ჭირი შეჰყროდა და ერთგვარი კონსილიუმი მოეწვია. შეერჩია და მოეყვანა რამდენიმე კარგი მეოჯახე, პირუტყვის მოყვარული თანასოფლელი, და შეწუხებული შესჩიოდა:

— ეს მესამე საკალანდო გოჭია, წელს რომ ვიყიდე. ერთი თვე არ გავა, ყველას ასე რაღაც ავადმყოფობა ემართება და მიკვდება. ვერც ერთს ვუშველე. ხარჯი და ზარალი ერთია, სირალული — მეორე. დავიტანჯე, ამათ საცოდაობას ვეღარ ვუძლებ!

დინგჩამოშვებული, აბუზული, მოზრდილი გოჭი მართლაც რომ შესაბრალისად გამოიყურებოდა — მთელი სხეულით კანკალებდა.

რაღაც-რაღაცეები გვირჩიეს: ესა და ეს ნემსი გაუკეთეთ, ზეთი დაალევინეთ და ტანზეც წაუსვით, კუჭი ამოურეცხეთო. მამაჩემს ყველაფერი ეს უცდია, მაგრამ უშედეგოდ.

ბოლოს, ერთმა წასვლისას ხელი ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:

— ეჰა, ასეა, ლეო გოგუაძე წავიდა და ჩვენი საყოლის საქმეც წავიდა.

ლეო გოგუაძე სოფლის ვეტფერშალი გახლდათ. ის წინა წელს გარდაიცვალა. მაშინ სოფელში ყველაფერი ისე მოშლილი არ იყო, როგორც 90-იანი წლებიდან დაიწყო და გაკვირვებით ვიკითხე: *ვეტექიმი ან ვეტფერშალი არა გყავთ-მეთქი?*

— გვყავს, როგორ არა, მაგრამ ადგილობრივი — არა. საყოლს, პირუტყვსა და ფრინველსაც, ადამიანივით ყველაფერი — ჭამაცა და მკურნალობაც — თავის დროზე უნდა, ყოველდღიური ყურადღება და ზრუნვა სჭირდება... ისეთი გული სჭირდება, ჩვენს ლეოს რომ ჰქონდა! — მიპასუხა მეორემ და ბოლო სიტყვაზე ხმას აუწია.

უმალვე ბავშვობის ერთი შემთხვევა გამახსენდა: ასე, შვიდი-რვა წლისა ვიქნებოდი, მე და ჩემს თანატოლ ბიჭებს მეზობლისას

მოქეიფე ძიებმა პატარა ჭიქით ღვინო მოგვაწოდეს. მე სადღეგრძელო ვთქვი და ისე დავლიე, ჩემმა მეგობრებმა დაიმორცხვეს და დაულოცველად გადაჰკრეს. კალისტონ დარჩიამ, დიდად ავკარგიანმა, პურმარილიანმა და სოფლის ყარაჩოღელმა კაცმა, შემაქო:

— ნახეთ, ეს რა ბიჭი დადგეს. თავის დროზე ასე ვთქვი ლეო გოგუაძეზე და ხომ გამართლდაო!

ეს სიტყვები ბავშვს მეხსიერებაში ჩამრჩა და, ცოტა არ იყოს, ლეო ბიძიას ინტერესით შევჰყურებდი. ადრე მისი საქმიანობის მნიშვნელობაზე ბევრი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ იმას კი ვხედავდი და ამით მოხიბლული ვიყავი, რომ იგი გამორჩეულად თავმდაბალი, სათნო, კეთილი და ტკბილმოუბარი კაცი იყო, სწორედ ისეთი, რომ იტყვიან: დიდთან დიდი და პატარასთან პატარააო. გულითადობა და საქმისადმი ერთგულება მის ყოველ ნაბიჯში გამოსჭვიოდა.

ერთხელ, ჯერ კიდევ რვაწლედში ვსწავლობდი, ჩვენმა ხბომ მოიწყინა და მამაჩემმა ბატონ ლეოსთან გამაგზავნა. ის ჩვენგან მოშორებით ცხოვრობდა. რომ მივედი, შაბიამნის ხსნარით დათხუნული ძველმანი ეცვა, ზურგზე შესაწამლავი აპარატი ეკიდა და ვენახს წამლავდა. მოვალო — მითხრა. შინ დავბრუნდი თუ არა, ისიც ფეხდაფეხ მომყვა. იმ წამსვე საქმე მიეტოვებინა, გადაებანა, ტანზე გამოეცვალა და წამოსულიყო. შეწუხდა მამაჩემი, რატომ აჩქარდიო?

— სხვანაირად არ გამოვა, — წყნარად თქვა მან, — ის საქმე მოიცდის, ავადმყოფობა — არა!

ხბო გასინჯა, დასიცხულიაო, ნემსი გაუკეთა, ჩრდილში გებათ, ბევრი სითხე მიაღებინეთო. ორ-სამჯერ კიდევ მოვიდა, ნემსი გაუკეთა და ჩვენი ბოჩოლაც გამომჯობინდა.

ლეოს უმაღლესი განათლება არ მიუღია. ადგილობრივი შვიდწლედის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობამ იგი ოზურგეთში ვეტფერშლის კურსებზე გაგზავნა. ეს იყო და ეს. დანარჩენი ცოდნა თავისი მონდომებითა და გამოცდილებით შეიძინა.

ჟორა და ლამარა კილაძეები იგონებენ:

— ომი ახალდამთავრებული იყო. ჩვენი ერთი ხარი სოიომ გაბერა და კვდებოდა. მამაჩემმა სასწრაფოდ ოზურგეთიდან რაიონის მთავარი ვეტექიმი მოიყვანა. მან ხარი გასინჯა და გვითხრა: არაფერი ეშველება, დაკალით და ხორცი მოიხმარეთო. მამაჩემს თვალ-

ში ცრემლი ჩაუდგა. *შვილივით გამოზრდილი მყავს, მაგას დანას ვერ დავაკარებო.* ლეოც იქვე იყო. არაფერი უთქვამს. მორჩილად იდგა. სახელდახელო სუფრა გავშალეთ. სტუმარმა კარგად მოილხინა, ლეომ კი ღვინოს პირი არ დააკარა. სტუმარი რომ წავიდა, ჩვენთან დარჩა და ხარს მთელი ღამე უთია. გვიმრის ძირის ნახარში და კიდევ სხვა რაღაცეები ალევინა. განთიადისას ხარმა შვება იგრძნო და ამოიცოხნა. დიდი და პატარა სიხარულისაგან ცას ვეწიეთ.

მძიმე ცხოვრების გზა განვლო ლეო ბიძიამ. 1915 წელს დაბადებულს მამა ადრე გარდაეცვალა. ღარიბ-ღატაკ ოჯახში ოთხი დაძმა ობლად დარჩა. ბავშვობაში მოჯამაგირეობაც გამოსცადა. სოფლად საკოლმეურნეო მშენებლობამ, მეორე მსოფლიო ომმა და სხვა ათასგვარმა სიძნელემა მის ზურგზედაც გადაიარა. იგი მთელი არსებით იყო შებმული ცხოვრების ჭაპანში და ალალად და ნამუსიანად ინაწილებდა თანასოფლელთა ჭირსა და ლხინს. საერთო საქმისაგან განზე არასოდეს გამდგარა. რა თქმა უნდა, იყო კომუნისტური პარტიის წევრიც. სოფელში ვერავის შეხვდებით, ლეო გოგუაძისაგან წყენა ახსოვდეს. პატიოსანი და ქედუხრელი შრომით მან ღირსეული ოჯახი შექმნა. კოხტა და ლამაზი სახლკარი მოაწყო და სამი ქალიშვილი გამოზარდა, სამივე თავისნაირი მშრომელი და პატიოსანი.

ლეო გოგუაძე თავისი სიდინჯით, სიდარბაისლით, კეთილგონიერებით ყოველთვის ყურადღებას იპყრობდა. ერთხელ ყოველად უჩვეულო, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ხანდაზმული დედა, მასთან რომ ცხოვრობდა და რძალთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მოულოდნელად ... გაუთხოვდა. ალაპარაკდა სოფელი: რა დროს ამდენი და ამხელა შვილებისა და შვილიშვილების პატრონი ქალის გათხოვება იყოო. ომში დაკარგული შვილის სახელს მაინც რატომ არ გაუფრთხილდაო. ზოგი – რას ამბობდა და ზოგი რას. ამტყუნებდნენ ლეოსაც – დედას მაგრად რატომ ვერ დახვდაო.

ლეოც უაღრესად შეწუხებული, პირდაპირ განადგურებული ჩანდა. მეგობრებს კი გაანდო: *რა ვქნა, მსმენია: დედის საშო რომ ყვავს მიჰქონდეს, შვილს „ჰაიო“-ს შეძახების უფლებაც არა აქვსო.*

ეს ანდაზა მაშინ პირველად გავიგონე და სხვაგან არსად შემხვედრია. ბევრი კი მიფიქრია მასზე...

ლეო წყენასა და სოფლის დრტვინვას არ აჰყვა და დედა არათუ მოიკვეთა, პირიქით, მას ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებდა. როცა ღრმად მოხუცდა და ეს მეორე მეუღლეც გარდაეცვალა, გერების ანაბარა არ დატოვა, შინ წამოიყვანა და გაუბზარავი გულით ბოლომდე ემსახურა.

ამგვარივე ბრძენი, მიმტევებელი, კეთილი და სამართლიანი იყო ლეო ბიძია გარეშეთა მიმართაც.

წლებმა თავისი გაიტანა. და იმ დროს, როცა თავის ნაამაგარს იმკიდა, შვილებსა და შვილიშვილებს შეჰხაროდა, ამ გულიან კაცს გულმა უმტყუნა. ერთ ინფარქტს არ შეეპუა, კვლავ ჩვეულებრივი გულითადობით ენერგიულად აგრძელებდა სოფლის სამსახურს. 1987 წლის ზაფხულის იმ ცხელ დღეს კი, მეორე ინფარქტმა რომ უწია და ბოლო მოუღო, მას დილით გულის აბები ჩაუყლაპავს, თავისით წასულა და შინიდან თითქმის ერთ კილომეტრამდე დაშორებული კოლმეურნეობის საქონლის ფერმა მოუნახულებია, თუმცა უკვე პენსიაზე იმყოფებოდა და მასზე ზრუნვა აღარ ევალებოდა.

ლეო გოგუაძე სწორედ ერთი იმ რიგითი, პატიოსანი, ალალი და მუყაითი მშრომელი გლეხკაცთაგანი გახლდათ, რომლებითაც სოფელი და ქვეყანა არსებობს და ხარობს. ამგვარი მშრომელები ჭეშმარიტი მამულიშვილები არიან!

ეჰ, როგორ აკლია დღეს სილაურს ვეტერინარის ხელი!

1993 წ.

მარია მასწავლებელი

მაისის კრიალა დილაა. თბილისი-ოზურგეთის მატარებელი სადგურ ნატანებში გაჩერდა. უამრავი მგზავრი (ზოგი მუხლის გასამართავად) ბაქანზე გამოეფინა.

– **მარია მასწავლებელო**! – შეჰყვირა ულამაზესმა, მდიდრულად ჩაცმულმა ახალგაზრდა ქალმა, ხალხის ტალღა გაარღვია და „მარია მასწავლებელს“ გადაეხვია. „მასწავლებელი“ სახტად დარჩა და დაბნეულად გამოიყურებოდა.

– ვერ მიცანი, მარია მასწავლებელო? ბელა ვარ, ბელა კილაძე!

და ისევ გაჩაღდა (ამჯერად ორმხრივი) ხვევნა-კოცნა.

მარია მასწავლებელი – **მარიამ იასონის ასული დარჩია,** რომელიც ახლახან 93 წლისა გახდა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ოზურგეთის რაიონის სოფელ სილაურის დაწყებითი კლასების მასწავლებელი გახლდათ. დაიბადა 1915 წლის 27 მარტს საშუალო გლეხის ოჯახში. 1930 წელს ადგილობრივი კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლის დამთავრების შემდეგ დედამ ის ოზურგეთის პედაგოგიურ სასწავლებელში შეიყვანა, მაგრამ ორი დღის შემდეგ, როგორც საშუალო გლეხის შვილი, იქიდან გარიცხეს (მის მაგივრად დვაბზუს მცხოვრები ღარიბი გლეხის შვილი მიიღეს).

მამას შეეცოდა გულმოკლული, თვალცრემლიანი შვილი და დასახმარებლად მიმართა საქართველოს განათლების კომისრის მოადგილეს, სილაურელ გაბრიელ გოგუაძეს (იგი შემდეგ, როგორც მარიამ ორახელაშვილის მოადგილე, მასთან ერთად დახვრიტეს). მისი მეშვეობით მარიამი ქ. ბათუმის სამასწავლებლო სასწავლებელში ჩარიცხეს. მაგრამ, როდესაც მეორე კურსზე იმყოფებოდა, მამამისი, როგორც ყოფილი მენშევიკი, დააპატიმრეს, ოჯახი მძიმე სიდუხჭირეში ჩავარდა და განათლებას მოწყურებული ქალიშვილი იძულებული გახდა, სწავლა მიეტოვებინა.

შინ დაბრუნებული მარიამი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ კონსტანტინე გოგუაძემ სოფელში გახსნილი *„მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლაში“* მასწავლებლად დანიშნა, რვა თვის შემდეგ კი სილაურის შვიდწლიანი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლად გადაიყვანა.

ამის შემდეგ მარიამმა მოახერხა, სწავლა ოზურგეთის პედაგოგიურ ტექნიკუმში გაეგრძელებინა (1934 წ.). წარჩინებული სწავლისათვის იგი სხვებთან ერთად მოსკოვსა და ლენინგრადში ექსკურსიაზე წაიყვანეს. 1938 წელს, ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ქალბატონი მარიამი სილაურის არასაშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელია, სადაც, დიახ, ნახევარი საუკუნე იმუშავა.

მარიამის მეუღლე ოლიფანტე ტუღუშიც (1912-1987) მასწავლებელი გახლდათ. დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და ამ საგანს (წლების განმავლობაში გერმანულსაც) ასწავლიდა. 1938-1941 წლებში სილაურის სკოლის დირექტორი გახლდათ. იყო

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. 1943-1951 წლებში სოფელ შრომის (ოზურგეთის რ-ი) საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ბრძანდებოდა.

მარია მასწავლებელი ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭიერებითა და ენერგიულობით, ენამოსწრებულობითა და ხალისიანობით, რაც მთავარია, ახალგაზრდებისადმი გამოკვეთილი სიყვარულითა და თავდადებით.

ბელა კილაძეც ერთი მისი მოსწავლეთაგანი იყო. ბელას დედა ადრე გარდაეცვალა. მამა, მირიან კილაძე, მობილიზაციით თბილისში, მილიციაში, სამუშაოდ გადმოიყვანეს (სადაც შემდეგ ახალი ოჯახი შექმნა). სოფელში ბელა და მისი უფროსი სამი ძმა ობლად დარჩნენ მოხუცი ბებიის ამარა. 30-იანი წლები ისედაც ყოველმხრივ უმძიმესი იყო მთელ საბჭოთა კავშირსა და საქართველოში და ოთხ ობოლსაც ძალიან გაუჭირდა. **მარია მასწავლებელმა ბელა სოფლის მაღაზიაში მიიყვანა, თავისი დანაზოგი ფულით ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შეუძინა, მერე ნოქარს ფული დაუტოვა, ბავშვისთვის რომ ყოველდღე პური მიეცა.**

როდესაც მირიანი ფეხზე დადგა, შვილები თბილისში წამოიყვანა. ბელამ საჭირო განათლება მიიღო, შესანიშნავი ქალი დადგა და ბრწყინვალე ოჯახი შექმნა.

...და ის იყო, იმ დილით მოსწავლე და მასწავლებელი დიდი ხნის გაყრის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ. ბელა ბევრს ეხვეწა მარია მასწავლებელს, ოჯახში გაჰყოლოდა. მაგრამ ქ-ნი მარიამი თბილისში შვილებთან ბრძანდებოდა, შინ მიიჩქაროდა და გულითად მიპატიჟებას ვერ დაეთანხმა. მაშინ ქ-მა ბელამ ხელიდან ოქროს საათი წაიძრო და მასწავლებელს გაუწოდა: – გთხოვთ, ჩემგან სამახსოვროდ ატაროთო. უარი რომ მიიღო, განმარტა: ახალნაყიდია, მოსკოვიდან მოვდივარ და ეს საათები საჩუქრებად მომაქვსო (დასამტკიცებლად ჩემოდანი გახსნა და რამდენიმე საათი ამოიღო).

მარიამი, როგორც მასწავლებელი, საჩუქრებს ყოველთვის გაურბოდა. ეს ხასიათი ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და... ამჯერადაც ასე მოიქცა!

ქ-ნი მარიამი უმწიკვლო მუშაობისთვის, გულითადი მეზობლობისა და სოფლის ერთგულებისათვის მთელ სოფელს უყვარს, მთავრობამ კი დააჯილდოვა მედლებით: „შრომითი

წარჩინებისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“. მინიჭებული აქვს „შრომის ვეტერანის“ წოდება.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ქალბატონი მარიამი თავს მხნედ გრძნობს, ოჯახში ახალგაზრდულად ტრიალებს, მეზობლებს კი ჭირსა და ლხინში ყოველთვის გვერდით უდგას. ხარობს სამი ვაჟიშვილით, ექვსი შვილიშვილითა და სამი შვილთაშვილით. შვილთაშვილები კიდევ ბევრი ეყოლება (სამი შვილიშვილი ახალდაქორწინებულია, სამი – დასაქორწინებელი).

შარშან (2007 წ.) აგვისტოს ბოლოს, მარიამობამდე ორი დღით ადრე, 1955 წელს პირველ კლასში შესულთა ერთმა ჯგუფმა მარიამ მასწავლებელს მხურვალე სიყვარულით სავსე შეხვედრა მოუწყო. ინიციატორი გახლდათ **ჯულიეტა ხელაძე**. სუფრაც მის ოჯახში გაიმართა. ქ-ნ ჯულიეტას გარდა, მასპინძლობდნენ: **ვახტანგ გოგუაძე, ზაირა, როლანდ** და **როინი დარჩიები, გაიოზ ლომაძე, ირა მეგრელიშვილი, ჟორა როყუა, რუსუდან ქილიფთარი** და **ნუნუ ჩხაიძე**. როგორც ყოველთვის, ახლაც თამადობდა გამორჩეული ღვინის მსმელი და სუფრის კაცი როლანდ დარჩია. აქვე ბრძანდებოდნენ მეზობლები – **ვანდა სირაძე** და **გიორგი დარჩია**. ქ-ნი ვანდაც პედაგოგი გახლავთ, იმ დღეს კი თავისი დიდოსტატური კულინარიით მოგვხიბლა, ჭაბუკმა გიორგიმ – მერიქიფობით.

ამგვარი ღონისძიების ჩატარება, ოღონდ მთელი სოფლის მასშტაბით, განზრახული ჰქონდა **გურამ ქილიფთარს**. რაკიღა საქართველოში შექმნილი გაუსაძლისი ცხოვრების პირობების გამო იუბილის ასე ფართო აღნიშვნა ახლა ვერ მოხერხდა, სოფელს გადაწყვეტილი აქვს, მარია მასწავლებელს დაბადების მე-100 წლითავზე შეხვდნენ (მარიამ მასწავლებელმა პირობა მოგვცა, არ გვიღალატებს და კვლავაც ყოჩაღად იქნება).

მოწვეულ სტუმრებში ბრძანდებოდნენ: **გელა უგრეხელიძე, გურამ** და **ზაურ ქილიფთრები** და ამ სტრიქონების ავტორი. მასპინძლებმა დაპატიჟეს ამავე სოფლის ასევე ამაგდარი პედაგოგი, ისიც დაწყებითი კლასების მასწავლებელი, **თამარ მეგრელიშვილი**. მას მანქანით შინ მივაკითხეთ, მაგრამ, ძალიან სუსტად ვარო, წამოსვლა ვერ შეძლო. თამარ მასწავლე-

ბელს ქ-მა ჯულიეტამ სამახსოვრო საჩუქრები მიართვა, მისი ვაჟი კი, **ავთანდილ მეგრელიშვილი**, მოვიტაცეთ და სუფრაზე წამოვიყვანეთ (სამწუხაროდ, რამდენიმე თვის შემდეგ, ახალწლის წინა დღეებში, თამარ მასწავლებელი გარდაიცვალა. 88 წლის შესრულებას სამიოდე თვე დააკლდა).

საიუბილეო პურობა დიდი მხიარულებითა და სიყვარულით ჩატარდა. მასწავლებელი და მოსწავლეები წარსულის სახალისო ამბების გახსენებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. იმღერეს ის სიმღერებიც, რომლებსაც მარია მასწავლებელი მათ სიმღერის გაკვეთილებზე ასწავლიდა. იუბილარმა თავისი ახალგაზრდული შემართებითა და გონებასისხარტით ყველა გაგვაოცა. რისი სკლეროზი, რა სკლეროზი, საუბრისას რის წაბორძიკება, იგი ძველებურად „სხლავდა"! ყველა მის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელო და სამადლობელი სიბრძნითა და იუმორით ... და, ასე გასინჯეთ, თავისებური დიპლომატიითაც გამოირჩეოდა.

მარიამ მასწავლებლის მშობლებმა დიდხანს იცოცხლეს. დედამ, **ოლღა სალუქვაძემ**, 95 წელს მიაღწია, **იასონი** კი 107 წლისა გარდაიცვალა. სუფრაზე ამაგდარ პედაგოგს ვუსურვეთ, და კვლავაც იმედით გავიმეორებთ, სიცოცხლის ხანგრძლივობაში მას დედის კი არა, მამის რეკორდი მოეხსნას!

2008 წ.

მელექსე ნიკოლოზ ქილიფთარი

მელექსეობას გურიაში დიდი პატივით არ ეპყობიან. მეტიც: უბრალო ხალხი, უფრო სოფლად, მას ერთგვარი ირონიითაც კი უყურებს. მიუხედავად ამგვარი განწყობილებისა, გურიაში აქა-იქ მაინც გამოერევა სახალხო მთქმელი და მელექსე, რომელსაც ხალხი უსმენს, მის ნათქვამს იმახსოვრებს და იმეორებს. ერთ-ერთი ასეთი მელექსე სილაურში იყო **ნიკოლოზ**, ანუ, როგორც ეძახდნენ, **ნიკოლოზა ქილიფთარი**. მე მას ღრმა მოხუცს მოვესწარი. საფლავის წარწერით დავაზუსტე, 1953 წელს გარდაცვლილა.

ნიკოლოზი მომაღლო, წელში გამოყვანილი, კოხტა კაცი ყოფილა. ჰყვარებია, როგორც მაშინ გურიის სოფლებშიაც იყო მიღებული, ყაბალახის, გალიფე შარვლისა და მასზე გადაშვებული „ბლუზის" ტარება, რომელზეც ვერცხლის ბალთებით გაწყობილი

წვრილი ტყავის ქამარი ჰქონია შემორტყმული, ქამარზე – ვერცხლის სათამბაქო დამაგრებული.

მირიან ქილიფთარის (1924–2000) ცნობით, ყოველთვის, ზამთარშიაც კი, ხელში ყვავილი სჭერია, ან გულის გარეთა ჯიბიდან მოუჩანდა.

ნიკოლოზმა სამი შვილი – ორი ვაჟი და ერთი ქალი – აღზარდა. უფროსი ვაჟი, **იორდანე**, 1933 წელს ტიფით მოუკვდა. იგი გულითადი, სიყვარულით აღსავსე კაცი ყოფილა, ტიფით დაავადებულ თავის მეზობელ **ვიქტორ (ვიტკა) ქილიფთარს** უვლიდა თურმე და აქედან შეჰყრია ეს საშინელი სენი. მეორე ვაჟი, **გიორგი (ჟორა)**, უცოლშვილო გახლდათ. იგი მეორე მსოფლიო ომში დაეკარგა. ქალიშვილი, **ანიჩქა**, მეზობელ სოფელში ჰყავდა გათხოვილი. მას მამის ნიჭი გამოჰყოლია: მასაც ლექსების გამოთქმა, გიტარაზე დაკვრა და საკუთარი ლექსების დამღერება ჰყვარებია. ნიკოლოზი მეუღლე **ტერეზისთან** ერთად შინ იორდანესგან დანატოვარ სამ შვილიშვილს ზრდიდა.

ჩემს მეხსიერებაში შემორჩა: თეთრწვერმოშვებული, წელში მოხრილი ნიკოლოზი ნელ-ნელა დადის და ათასგვარ ძველ ამბებს გატაცებით ჰყვება, შიგადაშიგ ლექსებსაც გამოურევს, რომელთაგან ბევრი მისი გამოთქმულია. უფრო მეტად მას სოფლის სამჭედლოში შევხვედრივარ.

სამჭედლო მაშინ სოფლის ერთგვარი თავშესაყრელი ადგილი იყო, განსაკუთრებით – ზამთრობით. მდებარეობდა სოფლის ცენტრში, ორი მაგნოლიით დამშვენებულ მომაღლო ადგილას. მჭედელი **სანდრო ლომაძე**, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა, ჩაფსკვნილი, კუნთმაგარი კაცი იყო და იუმორით შეზავებული ტკბილი, მოღუღუნე ლაპარაკი იცოდა.

გადაიარა თვითმფრინავმა და წამოყვინჩილებულებს სანდრო ასე „გვასწავლიდა“: *კარგი თუ გინდა, ქალი, აი, მაგით უნდა მოიტაცო*, – და თვალით ზევით გვანიშნებდა, – *სასიმამრო, რაც უნდა ეცადოს, ვერ დაგეწევაო.*

ერთხელ ქვანახშირში ამოსვრილი ხელები შავ წინსაფარზე შეიწმინდა, მერმე გაშავებულ ხელებსა და წინსაფარზე დაიხედა და, ვითომც დიდ ჭეშმარიტებას ამბობდა, სერიოზულად თქვა: *პრავიზორობა უფრო სუფთა ხელობააო.*

სანდრომ და მისმა მეუღლემ, **სონია** ბიცოლამ, სამი ვაჟკაცი გამოზარდეს, ყველანი მშრომელები და კარგი ოჯახის შემქმნელები. ყმაწვილობისას კი მათ ასე აკრიტიკებდა: *კიბე ჩავდგი ოჭვათოში (სახლის საწვიმარში) გასასვლელ ადგილას, აბა, ვნახავ, რომელიმე თუ აიღებს-მეთქი. შენც არ მომიკვდე, არც ერთმა ხელი არ ახლო, გადააბიჯებდნენ, გადმოაბიჯებდნენ, ისევ ჩემი ასაღები დარჩა.*

ხშირად იცოდა მოყოლა, ახალგაზრდობისას მაგარმა მთვრალმა ოზურგეთში როგორ გამოაჭენა ცხენი და მათრახი გადაუჭირა ... ლენინის ძეგლს, — ამ წვიმაში აქ რას დგახარო. მაშინვე დაუკავებიათ და მეორე დღეს, დილით, მილიციელთა ღამის გასათევი ოთახი დააგვევინეს. როცა საწოლის ქვეშ ცოცხს უსმევდა, საწოლზე მწოლი ერთი მილიციელი კუჭის ხმამაღალი დაცემინებით გამოხმაურებია.

— მაგრამ ცოლის ჭირისუფალი არ მიყურებდა და რა მენაღვლებოდაო! — მოგონილი არხეინობით დაასკვნიდა ბოლოს.

სოფლის რა სამჭედლო საქმეს არ ასრულებდა სანდრო ბიძია! ამზადებდა ნალებსა და სათანადო ლურსმნებს და ჭედდა ხარებსა და ცხენებს, აკეთებდა თოხებს, ცულებს, წალდებს, სამფეხებს... მაგრამ ჩემს თვალში განსაკუთრებული სილამაზით მისი ნახელავი დანები გამოირჩეოდა. ტარებად იყენებდა რქებს. ისე ნატიფად ამზადებდა, ქარვა გეგონებოდა.

ერთ დღეს ნიკოლოზმა კარგა ხანს ატრიალა ხელში სანდროს გამოჭედილი დანა, ფხა გაუსინჯა, ტარს მზეზე გახედა, შემდეგ თქვა:

— უშველებელი ხარის რქა მქონდა, მოგიტანდი და ღორის დასაკლავ დანას გაგაკეთებინებდი, მაგრამ აღარა მაქვს, ამირანამ და ახმედამ მომპარეს.

ძმები **ამირან** და **ახმედ დარჩიები,** მაშინ ბავშვები, ნიკოლოზის კარის მეზობლები იყვნენ.

— ამის გამო, — განაგრძობს ნიკოლოზი, — მათ ლექსი გამოვუთქვი:

„ამირანა და ახმედაო
ძალიანი გახელდაო,
სილაურში რაც კი იყო,

პატრონს აღარ გვახრედაო“.

ამირანი და ახმედა ამ ლექსს შემდეგ თავადვე ღიმილით იგონებდნენ.

მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, სანდრო 41 წლისა იყო და ჯარში გაიწვიეს, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ შინ გამოუშვეს. ამას სოფელი ეჭვითა და მითქმა-მოთქმით შეხვდა. თვითონ სანდრო ასე ხსნიდა: თვალების გამო „დამბრაკესო“, თუმცა თვალებზე რაიმე ნაკლი არ ემჩნეოდა. ნიკოლოზი კი ლექსით გამოეხმაურა:

„სანდრო ამბობს სამჭედურში:
უნდა მოვსპოთ გერმანია,
უნდა დავცეთ თავზარიო.
მე წასვლა არ მეწყობა,
ჩემს მაგივრად
ჩემს მეზობლებს ვაგზავნიო“.

ნიკოლოზი რომ გარდაიცვალა, მეათე კლასში ვყოფილვარ. ახლა, როცა მისი რეპერტუარის შესახებ თანასოფლელებს ვეკითხები და ეს სტრიქონები იწერება, ნიკოლოზის გარდაცვალებიდან 43 წელია გასული. როგორც მისი შვილთაშვილი ვაჟა ქილიფთარი მეუბნება და მეზობლებიც ემოწმებიან, ნიკოლოზის ლექსები ორი სქელი, 100-100-ფურცლიანი, რვეულის მოცულობისა გამოსაქვეყნებლად წაუღია ვალიკო (ვალერიან) ქილიფთარს, რომელიც ჯერ თბილისის რომელიღაც და შემდეგ ოზურგეთის სტამბაში ასოთამწყობად მუშაობდა. მალე ომი დაიწყო, ვალერიანი ომში დაიღუპა და ეს რვეულებიც დაიკარგა. ბევრი ლექსი ზეპირად სცოდნიათ და ხშირად ჰყვარებიათ წარმოთქმა ძმებს, **თეოფილე** და **ბესარიონ ქილიფთარებს**, მაგრამ ისინი, კარგა ხანია, ცოცხლები აღარ არიან. დღეს სოფელში მცირეოდენი ახსოვთ.

ჰყვებიან: ნიკოლოზი ერთს შეხედავდა კაცს ან მის ამბავს გაიგებდა და იმავე წუთში ლექსიც მზად ჰქონდა. ამ ლექსებში ქება ცოტაა, უმეტესობა კრიტიკულია, ზოგჯერ სატირულიც.

დაწყებითი სკოლის მასწავლებელ მარია დარჩიას ნიკოლოზის საკმაოდ ბევრი ლექსი რვეულში ჰქონია ჩაწერილი, მაგრამ

ბავშვებს (შვილებსა და ძმისშვილებს) იგი დაუხვევიათ და გაუნადგურებიათ. ახსოვს მისადმი მიძღვნილი საქებარი სტრიქონები:

„იასონას მარიაო
საქებარი ქალიაო,
ოლიფანტემ რომ დანიშნა,
ჯარში მიმავალიაო.
ყორჩაღ, ქალო, თუ მოუცდი,
მაგი საქებარიაო“.

ოლიფანტე ტუღუშმა მარია დარჩია 1940 წელს დანიშნა და ეს ლექსიც იმდროინდელია.

სერგო ლომაძე მაწერინებს თავის დაზე შეთხზულ ლექსს:

აგვისტიეს საშურაო
მართლა გადაქაჩულაო,
დღეში შრომადღეს ასრულებს,
მაინც არ გატანჯულაო“.

ბევრ მეზობელს ახსოვს **ვაშაში ლომაძე-ქილიფთარზე** ნათქვამი:

„ვაშაშიე ენაგრძელი,
კოლექტივის საძირკველი,
ნაირ-ნაირ კაბებს იცვლის,
სხვა რაღა აქვს საფიქრელი“.

ვაშაში 30 წელზე მეტია, გარდაცვლილია და ვისღა ახსოვს, რომ ერთ დროს იგი, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი, სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ენერგიულად იყო ჩართული.

შემორჩენილია **ნადია სალუქვაძე-ევგენიძეზე** გამოთქმული ორი ლექსი. ნადია ლამაზი ქალი ყოფილა, რომლის მეუღლე **სიბისტო (სილიბისტრო) ევგენიძე** ერთ ხანს ჭიათურაში მუშაობდა. შაკურა ქილიფთარმა გაიხსენა:

„რა ლამაზი ქალიაო

ევგენიძის ნადიაო,
მისი ქმარი სილიბისტრო
ჭიათურას ნადიაო,
შინ მოვიდეს ის საწყალი,
რა ჰყავს შენი ფასიაო“.

მარია დარჩიას ახსოვს:

„ევგენიძის ნადიაო,
ქალი არ გყავს ფარდიაო,
ცოტა ენას მოუკლებდე,
ნამეტანი კარგიაო“.

მერი გოგუაძე-დარჩიამ ჩაგვაწერინა ლექსი სამ დაზე, სადაც გათხოვების თაობაზე განგაშის ზარია შემოკრული:

„ლუბა, კატო, ფლორენცია,
გლახა დროი მოგეწია:
ლუბა გაუთხოვარია,
უმცროსები მოეწია“.

მეზობლებზე შეთხზული რამდენიმე ლექსი ახსოვს ბესარიონის ვაჟს, **ავთანდილ ქილიფთარს**. ერთი მათგანი ჩხუბში მონაწილე ვინმე ეკას ეხება:

„შუაღამეს ატყდა რეკა,
ჩხუბში ჩართულია ეკა,
ძაღლივით კმენა სცოდნია,
აწინ კი დავარქვათ ბეკა“.

„ბეკას“ უკიშო, „უჭკუო“ ძაღლს ეძახიან.
მეორე **კიტა ქილიფთარის** ბავშვობის ერთ ამბავს ასახავს:

„კიტაიამ ოროკაში დაიჭირა შაშვი,
გახარებულმა ბაღანამ მიიყვანა სახლში.
დედამისმა გაპუტა და გაუძახა ქვაბში,
ბეერი წვენი მოუვიდა და ატირა ბაშვი“.

ვალოდი (ბიჭია) ლომაძე გვიამბობს: ერთ ზამთარს სილაუ-რში თათრებს საძოვრად ცხვრის ფარა შემუორეკავთ. მწყემსებს ნიკოლოზისათვის თოხები მოუპარავთ და მისი ტარები თავიანთი წალდების ტარებად გამოუყენებიათ. ამის გამო ნიკოლოზი თავის თავს ეუბნება:

„აი, ნიკა, ხომ გითხარი,
ნუ ენდობი თათრებსაო,
თოხის ტარები მოგპარეს,
გაუყარეს წალდებსაო“.

ნიკოლოზი თავისი ერთგული ძაღლის სიკვდილს ასეთი თბილი სიტყვებით გამოთხოვებია (მთქმელი **შაკურა ქილიფთარი**):

„ჩემო მცველო და მფარველო,
ფინია, ჩემო ბელკაო,
ერთი მაინც დაგეძახა,
სული რომ გადაგეკმაო“.

ხამსა თევზზე, რომელიც სოფელში ბათუმიდან და ფოთიდან ხშირად მოჰქონდათ, უთქვამს (მთქმელი **ალია კილაძე**):

„წვრილო თევზო ქაფშიაო,
დაცურავდი ზღვაშიაო,
დაგიჭირეს, წაგიყვანეს
ფართო ქვეყანაშიაო“.

ნიკოლოზის ლექსები, რომლებიც სოფელში მომხდარ ამბებს ეხმაურება, კოლექტივიზაციასთან დაკავშირებულ სიახლეებსა და სიძნელეებსაც ასახავს. **ნადია ქილიფთარ-კილაძეს** ახსოვს:

„კოლექტივმა დააარსა
სოიო და არახისი;
მჭადი და ღომი მოგვისპო,
ამ ქვეყანას რაღას ვიცდით!“

ახლა სილაურში არავინ იცის, რომ ერთ დროს აქ არაქისის მოყვანაც უცდიათ.

სოფელში აღარავის ახსოვს და ნიკოლოზის ლექსით ვგებულობთ, რომ ახალდაარსებულ კოლმეურნეობას თივის საცელავი მანქანა შეუძენია, რომელიც, თურმე, ხარების მეშვეობით მოძრაობდა. გლეხებს იგი ვერ გამოუყენებიათ, მალე გაფუჭებულა:

„საცელავი მანქანაო
ხარმა წაახახანაო,
ერთი მუჭა თივა მოჭრა,
მერმე წახდა მანქანაო.
ამის მოტანას არ სჯობდა –
ცელი ანდა მაგანაო?!“
(მთქმელი **ავთანდილ ქილიფთარი**).

ადრე კოლმეურნეობის საყანე ფართობებს რაიონის საავტომობილო-სატრაქტორო სადგური ხნავდა და თესავდა. ერთხელ ერთ-ერთ ტრაქტორისტს, გვარად ანდღულაძეს, ტრაქტორი გაფუჭებია, მამათის ღელეში ჩაუყენებია და წყალი მაზუთით დაუსვრია. ამაზე ნიკოლოზს ასეთი ლექსი გამოუთქვამს (მთქმელი **შაკურა ქილიფთარი**):

„ანდღულაძე შოფერიო,
წაწყდა მისი მშობელიო,
წყალში ტრაქტორი ჩააგდო,
დაგვიპილწა სოფელიო“.

მეორე ტრაქტორისტს, იაშვილს, კარგად უმუშავია:

„იაშვილი შოფერიო,
ცხონდა მისი მშობელიო,
სოფელში რომ შემოვიდა,
ააყვავა სოფელიო“.

30-იან წლებში სილაურში გრძელი, შემოვლითი გზის ნაცვლად სუფსის ჭალაში ლარივით სწორი კილომეტრნახევრიანი დედო გზა გაიჭრა. ნიკოლოზს უთქვამს (მთქმელი შვილთაშვილი **თინა ქილიფთარი**):

„მანქანები მიდი-მოდის,
ნაისხარში გზაიაო,
მე კი მახსოვს იგი დროი,
იქ რომ იდგა ტბაიაო“.

სილაურის კოლმეურნეობას ნასაკირალის ტერიტორიაზე ჩაის პლანტაცია ჰქონდა. ჩაიში მომუშავენი ზოგჯერ ნასაკირალის მეურნეობის ცენტრში მდებარე სასადილოთი სარგებლობდნენ. მისი მზარეული ნიკოლოზს ასე გაუკრიტიკებია (მთქმელი **ავთანდილ ქილიფთარი**):

„ნასაკირალის პოვარი, –
ერთხელ მას თვალი მოვკარი, –
ყველა რბილს თვითონვე ჭამდა,
ძვალს მე ვეფერი მოვხარი“.

ნასაკირალში მომუშავეთა პირობების გამო (ცუდი გზა, კარვისა და სასადილოს უქონლობა) ნიკოლოზს უთქვამს (მთქმელი **ავთანდილ ქილიფთარი**):

„ნასაკირალის მამული...
დაშავდა მისი შუაგული,
თუმცა რა მისი ბრალია,
კაცია დანაშაული“.

ნიკოლოზის განსჯის საგანია კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა თვითნებობა. მეორე მსოფლიო ომისა და მომდევნო წლებში სილაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო მეზობელი ჯუმათიდან თბილისში საცხოვრებლად გადასული კაცი, **აკაკი ტაკიძე**, რომელსაც ცოლად ჰყავდა ოზურგეთელი სომეხი ქალი **დარიკო დულაჯოვი**.

– ისინი ერთხანს, – იგონებს **ამირან ლომაძე**, – მდგმურად ჩემს სახლში იყვნენ (შემდეგ მალაქი კილაძის ოჯახში გადავიდნენ). ერთ დღეს დარიკომ ხელთ მომცა ჭილოფისაგან დაწნული კალათი და კოლმეურნეობის ბოსტანში წამიყვანა, სადაც ნიკოლოზი მეულლესთან ერთად მუშაობდა. კალათი მალე ავავსეთ კიტრით, პამიდვრითა და სხვა ბოსტნეულით. დარიკომ დაზრდილ კიტრებს ხელი არ ახლო. სულ პატარები, ქორფაზე ქორფები დაკრიფა. წამოსვლა რომ დავაპირეთ, დარიკოს ნიკოლოზზე ვუთხარი, ლექსის გამოთქმა იცის–მეთქი.

– აბა, ჩემზე თუ იტყვი ლექსსო. – მიმართა დარიკომ ნიკოლოზს.

ნიკოლოზი ცოტათი დაფიქრდა და თქვა:

„ბაღ–ბოსტნებში თარეშობს
სომხის ქალი დარიკო.
კუხე ნესვებს და კიტრებს
კარზინკაში ჩაიწყობს.
იმას კი აღარ ფიქრობს,
საგაისოდ რა იყოს“.

დარიკო სქელი და მსუქანი ქალი გახლდათ. იმდროინდელი სოფლისათვის ეს უაღრესად უცხო და უჩვეულო იყო. ამისთვის ნიკოლოზს ყურადღება მიუქცევია და ლექსად ასე გამოუთქვამს (მთქმელი **ალია კილაძე**):

„ამხანაგო ტაკიძეო,
ვერ მივუხვდებით გგონიაო:
თქვენი ცოლი რომ აწონა,
ცხრაი ფუთი ქონიაო.
იმას ლოგინი გაუტყდეს,
გლეხის მოსაგონიაო“.

ომის დროინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზს ასე „შეუმკია“ (მთქმელი **მერი გოგუაძე–დარჩია**):

„სხვისს ავიწროებ, გეთაყვა,

შენს აფართოებ ეზოსო,
წელზე ლეველი გკიდია,
უკან რომ გამტვრევს თეძოსო“.

ავთანდილ ქილიფთარი ნიკოლოზს მიაწერს ლექსს, რომლის ბოლო სტრიქონები მოარულია და სხვადასხვა დროსთან მორგებით და ვარიანტული სხვაობით ბევრჯერ გაგვიგონია. მისი აზრით, იგი ნიკოლოზმა საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში შეთხზა, როდესაც ქვეყნად შიმშილობა, გაჭირვება მძვინვარებდა და ნიკოლოზ მეფის დრო მოსანატრი გახდა:

„თოხის ტარმა ხელი დამწვა,
ფეხშიშვლობამ ფეხებიო,
სად ხარ, ჩემო ნიკოლოზა,
ეხლა მოგეფერებიო“.

სოფელში მიჩნეულია, რომ კოლექტივიზაციის გამო ნიკოლოზმა ასეთი რამ გამოთქვა:

„უბედურო ყანის მუშავ, რა ცხოვრება დაგეფუშა!“

— ამის გამო, — ჰყვებიან სოფელში, — ომიანობისას ნიკოლოზი შესაშინებლად ოზურგეთში დაიბარეს. აქ მას თავი უმართლებია: *ეს ომის გამო ვთქვი. ომმა მუშა კაცის საქმე გააფუჭა, აბა, ვისიო!*

დამხვდურებს ბერიკაცის მოხერხებულობაზე გაუცინიათ და უთხოვიათ, *ჩვენც გამოგვითქვი ლექსიო*. ნიკოლოზს უარი განუცხადებია. მაინც არ მოეშვნენ: ამ მილიციელებზე გვითხარი რამე, აქ რომ უსაქმურად ყრიანო. ერთგვარი ყოყმანის შემდეგ ნიკოლოზს უთქვამს:

„თქვენისთანა მილიცია ახალციხეს ვირიც კია!“

ეს ლექსები, რომლებიც შეგნებულად სრულად მოვიტანე, რა თქმა უნდა, მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩევა. მაგრამ ისიც ცხადია, მათ უშუალობის ბეჭედი აზის და სოფლის იმდ-

როინდელ ყოფას, ასე თუ ისე, გვიხატავს. თანაც, რადგან დაუმახსოვრებიათ, ჩანს, სოფელში ისინი მოსწონდათ.

დასანანია, რომ ნიკოლოზ ქილიფთარის ლექსები და, განსაკუთრებით, მისი მონაყოლი მისივე თვალით ნანახი ამბები თავის დროზე ჩაუწერელი დარჩა.

შიშმა უშველა თუ მოძრაობამ?

2005 წლის ზაფხულში ჩემი ბავშვობის მეგობარმა **ბუხუ (ბუხუტი) ლომაძემ** უცნაური შემთხვევა მიამბო.

ბუხუ ბავშვობიდანვე ჩაფსკვნილი და რკინასავით ბიჭი იყო, მაგრამ, ამავე დროს, უაღრესად სათნო და რბილი ხასიათი ჰქონდა. არ მახსოვს, ვინმესთან თავისი ფიზიკური სიძლიერე წარმოეჩინოს, – ეჩხუბოს ან ეჭიდაოს. ახლაც, 70 წლის ასაკში, ჩემ წინ კლდესავით ვაჟკაცი იდგა და მერამდენედ იფიცებდა შვილებსა და შვილიშვილებს, ზედმეტს არას ვიტყვიო.

ბავშვობაში ერთმანეთს ათასგვარ ტყუილს ვუყვებოდით. ერთხელ, არ მავიწყდება, სიცრუეში ძალიან რომ შევტოპეთ, ჩვენთან მწოლი ძაღლი ადგა, თითქოს ჩვენს ტრაბახს გამოეხმაურაო, უცნაური მთქნარებით „აუ"-ო გაიზმორა და ჩვენგან მოშორებით წამოწვა. ორივეს გაგვეცინა.

ეს ბავშვობისას იყო. ახლანდელ მონათხრობში ეჭვშესატანი არაფერი შემიმჩნევია.

– ოჯახში **ბადრის** ფეხის ხანგრძლივი ტკივილით შეწუხებული რომ ვიყავით, – ჰყვება ბუხუ, – უცებ, ერთბაშად, ფეხები მეც ამტკივდა (ბადრი ბუხუს ვაჟია, სილაურში სკოლის დირექტორად მუშაობს, მწვავე ართრიტი დაემართა და თვეობით მწოლიარე იყო. მადლობა ღმერთს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა).

– ფეხზე ველარც მე ვდგებოდი, – განაგრძობს ბუხუ. – ვიფიქრე, მამა-შვილს გადამდები სნეულება შეგვეყარა-მეთქი. რამდენიმეჯერ ექიმს ვეჩვენე, რენდგენის სურათიც გადავიღე. ექიმის რჩევისამებრ რამდენიმე თვე ფეხებით ზემოთ აწეული მწოლიარეც ვიყავი, მაგრამ რაიმე საგრძნობი უკეთესობა არ მქონია. იმაზეც ვნერვიულობდი, მუშაობა აღარ შემეძლო და ნათესები მიფუჭდებოდა.

ერთ დღეს თავს ძალა დავატანე, სიმწრით ავდექი და ცელი-თა და „ვილკით“ (რკინის ფიწალი) აღჭურვილი შუაღელას კოჭ-ლობით ჩემს ნაკვეთში წავედი (ბუხუს სახლიდან შუაღელამდე ერთი კილომეტრი იქნება. თითქმის ნახევარი გზა ღელე-ღელე და ქვებზეა სასიარულო).

– მივედი. ორი თვის წინ ამოსაღები კარტოფლი გვიმრებსა და მაღალ ბალახებს დაეფარა. ის იყო, გაჭირვებით ცელვას შევუ-დექი და თან ძველ გამხმარ გვიმრებს „ვილკით“ ვიღებდი და გვერდზე ვალაგებდი, დავინახე, აღებული გვიმრის ქვეშ უშვე-ლებელი, მუცელჭრელი შავი გველი დახვეული წევს და თავაწეული მიყურებს. გული გამისკდა, უნუებურად „ვილკა“ ხელიდან გავაგდე და უკან გადავხტი (მე ბავშობაში თევზაობისას და ისედაც გველს ხელით ვიჭერდი. მიკვირდა, ბუხუს, ყოველმხრივ ჩემზე ბევრად ძლიერს, თავიდანვე გველის პანიკური შიში ჰქონდა).

– ვუყურებ, მიყურებს. – განაგრძობს ბუხუ, – ალესილი „ვილკა“ მაქვს, შემიძლია მოვკლა.

– არ გკლავ, გველო, – ვამბობ გულში, – ეს ტყე შენც გეყოფა და მეც. წადი, შენც იცოცხლე!

– ასე ვიყავით ერთხანს. მერე იგი გაიშალა და გვიმრებში შესრიალდა.

შეშინებულს მუშაობის თავი აღარ მქონდა, იარაღები მხარ-ზე გავიდე და წამოვედი. კარგა მანძილი რომ გავიარე და თვალწინ ისევ ის გველი მიტრიალებდა, უცებ აღმოვაჩინე, – აღარაფერი აღარ მტკიოდა. არ მახსოვს, როგორ გადმოვედი ღობეზე, იქით გადასვლისას იმდენი რომ ვიწვალე, ან ამ ქვებზე რა თავისუფლად მივაბიჯებდი.

მანამდე ფეხის ტკივილთან ერთად დაბალ სიცხეებსაც მაძ-ლევდა, ისიც გამიქრა. იმავე დღიდან ძილიც აღმიდგა და მერე ამდენი თვე გავიდა, კარგად ვარ, აღარაფერს შევუწუხებივარ. – დაასრულა ბუხუმ თხრობა.

მომდევნო წლებში და ბოლოს, 2011 წლის ზაფხულში, ბუხუს ისევ შევხდი. კვლავ არაფერი აწუხებდა.

და-ძმა — აურაცხელი სიმდიდრე

მამაჩემს შვიდი და-ძმა ჰყავდა და, თავთავიანთ გზას რომ დაადგნენ, არავის არაფერი შეხვდა. ამიტომ იყო, დედაჩემმა და მამაჩემმა ოჯახში მეწილე არ გამიჩინეს და მარტო აღმზარდეს. დედაჩემს (**ლიდა გიორგის ასულ ანდღულაძეს** — 1912–1993 წწ.) კარგი ხმა ჰქონდა, მღეროდა და გიტარასაც უკრავდა. რეპერტუარში დედისერთა ბიჭისადმი სატრფიალო რამდენიმე სიმღერაც კი ჰქონდა. რადგან დედისერთა ვიყავი, ყოველთვის ვგრძნობდი, მრავალშვილიანებთან შედარებით თავს როგორ დამკანკალებდნენ.

ჩემმა მშობლებმა დიდი ჭაპანწყვეტით აღმზარდეს და ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, როგორც საჭირო იყო, ვერ გავახარე, — ვერც ოჯახი შევქმენი და, როცა ვითომცდა ფეხზე დავდექი, ვერც ეკონომიურად შევეშველე. ხელფასის მომატებასთან ერთად უკან ინფლაცია მომდევდა. მაგრამ, რის გამოც ისინი ყველაზე უფრო მეცოდებიან, ის არის, რომ საშინლად მოტყუვდნენ, რომ და-ძმა არ გამიჩინეს. მე კი, თბილისში მცხოვრებ კაცს, ის ღარიბული სახლკარი, რომლის მოწყობასაც მათ მთელი ცხოვრება შეალიეს, ბოლოს ტვირთად მექცა. აუ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, იქ ძმა ან და რომ მეგულებოდეს!

სინანული

ცხოვრებაში ზოგი რამ ისეთი ჩამიდენია, მათ შორის უნებლიეთაც, სანანებლად გამხდომია. რამდენიმე მათგანი ძალიან მწარედ მაგონდება.

¤

მეშვიდე კლასში ვიყავი, სკოლის გუნდში ვცეკვავდი. საპირველმაისო კონცერტისათვის ვემზადებოდით და რეპეტიციას ერთერთ საკლასო ოთახში გავდიოდით. კონცერტს ეფექტი რომ არ დაჰკარგოდა, რეპეტიციაზე დასწრებისა და მის ნახვის უფლებას არავის ვაძლევდით.

სკოლის შენობა ხისა იყო და ერთხელაც შევამჩნიე, კედლის ფიცრებს შორის ღრიჭოში ვიღაც იყურება. ბუხრიდან ნაცარი ავიღე, ხელის გულზე დავიყარე, გვერდიდან მივედი და ღრიჭოს პირდაპირ ნაცარს სული შევუბერე. იმის გასაგებად, თუ ვინ იყო, დერ-

ფანში გამოვედი. აღმოჩნდა მეხუთეკლასელი გოგონა, რომელიც თვალებს ისრესდა. შემოხედვა რომ შეძლო, მისმა სახემ მითხრა, ეს რა ჰქენიო. მაშინვე მივხვდი, რა სიავკაცეც ჩავიდინე.

¤

1978 წლის ივლისში 10 მეგობარი მთათუშეთის დასათვალიერებლად ვიყავით. **ნელი შარვაძემ** გიტარა წამოიღო, **გივი პაპელიშვილმა** – სანადირო თოფი. შუაგულ ტყეში კარავი გავშალეთ, გივიმ დაშლილი თოფი ააწყო. ვხედავ, კარგა შორს ხეს კოდალა უკაკუნებს. რა ეშმაკი შემიჩნდა, არ ვიცი, გივის ვეკითხები: *იმ კოდალას აქედან მოკლავ?* კიო, – მითხრა. დარწმუნებული ვიყავი, საფანტი იქამდე ვერ მიაღწევდა. აბა *ესროლე-მეთქი*, – ვუთხარი.

ესროლა და მართლა ჩამოაგდო.

რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ და, ეს რომ მომაგონდება, თავი მძულს. რას ვერჩოდი ამ უწყინარ, სასარგებლო საცოდავ ჩიტს, იყო ტყეში თავისთვის, სადაც თვეში, ისიც ზაფხულში, ერთხელ თუ ვინმე გაივლის. განა სიცოცხლეზე ცდის ჩატარება შეიძლება?!

¤

სილაურში კარგი ძაღლი მყავდა. იგი გარეჯის უდაბნოდან თბილისში სართიჭალელმა **გულვარდი ბიძინაშვილმა** ჩამომიყვანა. ამისათვის მან უდაბნოში ორმოცი კილომეტრი გაიარა და ლეკვი იქაურ მწყემსებს გამოართვა. მიყვარდა ეს ძაღლი და ყველაფრიდან ჩანდა, მასაც ვუყვარდი. ბოლოს დაბერდა, ფეხზე ძლივს დგებოდა (ამ ძაღლზე საუბარი ქვემოთაც მექნება).

ერთ დღეს ქათმის წიწილა მომიკვდა და ერთი ბარის პირის სიღრმეზე დავმარხე. დავინახე, ჩემი ძაღლი მას თხრის. შოლტით მივაშურე. შეშინდა და წაძუნძულდა. წიწილა უფრო ღრმად ჩავფალი. ცოტა ხნის შემდეგ ვხედავ, იგი კვლავ მისულა და ისევ თხრის. იმავე შოლტით მივადექი, მაგრამ უკვე აღარ გაიქცა. ჩავთვალე, ვერ შევაშინე-მეთქი და შოლტი ბარკალზე შემოვკარი. მას წკმუტუნსა და ყმუილს შორის რაღაც საცოდავი ხმა აღმოხდა და დაწვა.

იმხანად დედაჩემს მარილები აწუხებდა და ძლივს დადიოდა. მაშინ მომეჩვენა, ჯოხი ძაღლს კი არა დედაჩემს დავარტყი!

ნგრევა

სახელმწიფო წყობილების ცვლილებებს ჩვენში ყოველთვის ბევრი რამის ნგრევა და განიავება მოჰყვა. ასევე იყო ჩემს სოფელშიაც.

სილაურში, ჯუმათისა და ბაილეთის საზღვარზე, მომაღლო სერზე, რომელიც სუფსის ჭალას (მერეს) გადაჰყურებს, გურიელთა ერთ-ერთი შტოს სასახლე მდებარეობდა, რომელსაც იმ დროისათვის ყველა საჭირო ნაგებობა ჰქონდა. წინ სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი ბაილეთის ეკლესია იდგა. დღეს ამ ადგილს „სასახლეს“ ეძახიან და იგი ჯაგნარითაა სავსე. სამხრეთით შემორჩენილია სუროთი და ბარდ-ეკლებით შემოსილი სასახლის ნარჩენები, ბოძები, ცოტა ზემოთ – გალავნის ნანგრევები.

უფრო ადრეც და განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დროს ყველა ეს ნაგებობა დაშალეს და მოსპეს. ხანდაზმულები ამბობდნენ: ეს მშვენიერი შენობები რომ შეენარჩუნებინათ, მათში სოფლის ყველა საჭირო დაწესებულება თავისუფლად განთავსდებოდა და ახლის აგება საჭირო აღარ იქნებოდაო (ეკლესია კი უგუნურებმა გასული საუკუნის 50-იან წლებში დაანგრიეს).

საბჭოთა ხელისუფლების დროს სილაურიც წელში გამართული მდიდარი სოფელი გახლდათ. არა მარტო მთელი სოფელი, ცალკეული უბნები, ბრიგადებიც კი მილიონერები იყვნენ. გასული საუკუნის 90-იან წლებში გამეფებული საყოველთაო განუკითხაობის ჟამს აქაც წლების განმავლობაში დგროვებული დოვლათი გაქარწყლდა და განიავდა.

1992 წლის დადგომის წინა საღამოს დაიწვა (სოფელში კი ყველას სჯერა, რომ დაწვეს) სოფლის ადმინისტრაციული ორსართულიანი, სომხური ქვით მკვიდრად ნაგები შენობა, სადაც მოთავსებული იყო სასოფლო საბჭო და კოლმეურნეობის გამგეობა (ბუღალტერიის, თავმჯდომარის, აგრონომის კაბინეტებითურთ), ბიბლიოთეკა, სამედიცინო პუნქტი, ფოსტა, რადიო და სატელეფონო კვანძები.

სოფელს ჰქონდა:

– ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, ქვით ნაგები ჩაის სამი მიმღები პუნქტი სოფელში, ერთიც ნასაკირალის ტერიტორიაზე;

– ტყავის გადამამუშავებელი საამქრო;

– ხილის მიმღები პავილიონი;

– საქონლის ფერმის სამი შენობა: ერთი სილაურში, რომელსაც ჰქონდა ძროხების, ბოჩოლებისა და ხბოების ცალ-ცალკე სადგომები, რძის მიმღები ოთახი, ყველისა და სულგუნის საამქრო, ექიმის კაბინეტი და დარაჯის ბინა; მეორე იყო ორმაგი კედლით ნაგები საზამთრო ბოსელი სუფსაში; მესამე – ზაფხულობით მომთაბარე საქონლისათვის ბოსელი ბახმაროში;

– საღორე და ღორის ფერმა;

– ცალკე გარაჟი და სოფლის ცენტრში ბენზინის საწყობი;

– გრძელი საწყობი, სასიმინდეები;

– ქვით ნაგები მაღაზია და სასადილო სოფლის ცენტრში, საველე სასადილო ნასაკირალში;

– ქვით ნაგები აბანო, ფურნე, წყლის ორდოლაბიანი წისქვილი, შემდეგ ელექტროწისქვილი და ა. შ.

ყველაფერი ეს განადგურდა და მიწასთან გასწორდა ან მათგან კედლების ნანგრევებიღა დარჩა.

გავერანდა და გაჩანაგდა ჩაის პლანტაციები. ადრე კოლმეურნეობას ჰქონდა და აღარ შერჩა ბოსტანი და კიდევ უფრო ადრე – ვენახი.

სოფელში სიღარიბემ და გაჭირვებამ დაისადგურა. ამ ოციოდე წლის წინ ვის ოჯახშიაც უნდა მისულიყავი, რომ მასპინძელი შუბლგახსნილი არ შეგგებებოდა, მაშინვე არაყს, ღვინოსა და სათანადო მისაყოლებელს გამოგიტანდა. ჯანჯუხას, ხილს უმალვე ხაჭაპურს მოაყოლებდა... ასეთი ოჯახები სოფელს თითო-ოროლაღა შემორჩა.

საკმაოდ ბევრმა დატოვა სოფელი და საშოვარზე წავიდა.

მაინც რა საოცარი დრო იყო და რას უძლებდა სახელმწიფო! მამაჩემი მოიტანდა სამ სამკილოიან „ბუხანკა“ თეთრ პურს. აქედან ორს დილასა და საღამოსთვის ძროხას ჩაულბობდა.

დღეს სოფელში პური არ ცხვება. ერთმა-ორმა გახსნა ფურნე, მაგრამ იმდენი ნისია დაუგროვდა, იძულებული გახდა, დაეხურა.

ახლახან სოფელში ააგეს პატარა ღარიბული ეკლესია (ისიც — ცუდ ადგილას), მაგრამ ამან ზნეობას ვერ უშველა. საკმაოდ ხშირია ორპირობა და ქურდობა...

სოფელში ათეული წლების განმავლობაში მეფურნედ მუშაობდა შესანიშნავი მშრომელი და მეურნე კაცი **სიმონა კილაძე**. ისეთ პურს აცხობდა, ზედ რომ დამჯდარიყავი, აგაყენებდა. მახსოვს, ბათუმიდან ამოსულმა სტუმარმა შინ წასაღებად აქ იყიდა პური. სიმონ ბიძია რომ მოხუცდა, ერთ ხანს მას თავისი ვაჟი, **გური**, ეხმარებოდა. გურიმ გვიამბო: ყველგან რომ „ხალტურა" დაიწყეს, მე თეთრ პურს „სერი" გავურიე, მამაჩემმა შემიტყო და ტყავი გამაძრო, სულ სამშობლოს მოღალატე მეძახაო!

ყველა ვგრძნობთ, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება, მაგრამ ვერაფერს ვშველით!

მწარეზე მწარე დღეები

1993 წელს სააღდგომოდ სოფელში ჩავედი. მამაჩემმა მითხრა: მე და დედაშენი ღრმად მოხუცები ვართ. დღეს თუ ხვალ დავიხოცებით. შინ კუბოსთვის ერთი ღერი ფიცარიც არა გვაქვს. ესა და ეს რომ გარდაიცვალა, სახლის ღოჯე[5] გამოიღეს და კუბო იმით გამოჩორკნეს. ეს ნაძვი რომ გვაქვს, მოვჭრათ და როგორმე დავხერხოთო!

მამაჩემმა ეს ისე დამაჯერებლად, მტკიცედ და საქმიანად მითხრა, რაიმე გამამხნევებელი საპირისპიროს თქმა არც მიცდია. ვინაიდან ნაძვი პატარა, ახალგაზრდა ხე იყო, მხოლოდ ისღა ამოვილულღულე, *საკმარისი იქნება-მეთქი?*

მეორე დღეს ნაძვის მოჭრას შევუდექით. ხე რომ არ დამოკლებულიყო, ჭრა ძალიან დაბლიდან დავიწყეთ და ნაჯახის მოძრაობისთვის საჭირო სიმაღლე არ მივეცით. ამან კი სამუშაო ერთობ გაგვიძნელა.

ზაფხულში შვებულებით რომ ჩამოვედი, დედაჩემი კიდევ უფრო დაუძლურებული დამხვდა. სადილზე ლოგინიდან ძლივს რომ ავაყენე და სუფრასთან ძლივს მოაღწია, მითხრა: აწინ ჩემი სიცოცხლე აღარ ღირსო.

---

[5] ფიცრული სახლის ერთმანეთში ჩაშენებული კედლები.

ოქტომბრის დასაწყისში მამაჩემმა ჩვენს ნათესავს დაავალა და მან მაცნობა, *დედა ცუდად არის და ჩამოდიო*. მაშინვე ვაგზალზე გავვარდი. ბილეთზე იმ დღისა და მეორე დღისთვისაც უარი მითხრეს. მაშინ არცერთნაირი ავტობუსი არ არსებობდა.

სასოწარკვეთილი უაზროდ მოვაბიჯებ. უცებ ახალგაზრდა კაცი გადამეხვია და მომიკითხა. ვერ ვიცანი. თვითონვე გამახსენა: 1981 წელს ურეკში ვისვენებდი და ჩვენს კოტეჯში ახალგაზრდა ქალი და მისი ორი პატარა ბიჭი იმყოფებოდნენ. ბავშვებს ნაირ-ნაირ ამბებსა და გამოცანებს ვეუბნებოდი და „ფოკუსებს" ვუკეთებდი. ერთ-ერთი იმათაგანი აღმოჩნდა. ჩემი გაჭირვება რომ გაიგო, პოლიციაში ვმუშაობო, 10-15 წუთში იმ საღამოს მატარებლის ბილეთი მომირბენინა და არასდიდებით ფული არ გამომართვა.

მატარებელი დილით უნდა ჩასულიყო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, საღამოს ჩააღწია. ეს ის დროა, ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა ლანჩხუთი აიღეს და ქუთაისისაკენ გალაშქრებას აპირებდნენ. ჯერ კიდევ დღე იყო და მატარებლიდან ვხედავდი, მთავრობის ჯარისკაცები, ავტომატმომარჯვებულები, ერთმანეთისაგან 20-30 მეტრის დაშორებით გზისა და სიმინდის ყანების პირას ჩაწოლილები იყვნენ.

ჩემი სოფელი ოზურგეთიდან 12 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, ფეხით წავედი და, ღამის 12 საათი იქნებოდა, შინ რომ მივედი.

დედა ძალიან ცუდად დამხვდა. საჭმელს პირს აღარ აკარებდა. ადრე იცოდა თქმა, *მე რომ ჭამას თავს დავანებებ, იცოდეთ, კკვდებიო*. ექიმის მოყვანის საშუალება არ იყო. არც საამისო ფული გვქონდა და ტრანსპორტიც არ დადიოდა. ჩვენს სოფელშივე, ჭალაში (მერეში), ყაჩაღები მგზავრებს ძარცვავდნენ და მანქანებსაც ართმევდნენ. ლანჩხუთიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან მკაფიოდ ისმოდა სროლების ხმა.

მოვახერხეთ და ჩვენი სამად დაჭრილი ნაძვის ხე ჩვენგან ოთხი-ხუთი კილომეტრის დაშორებით ბაილეთის ხერხის ქარხანაში ტრაქტორით მივიტანეთ. ამ დროს ელექტრონი დღე-ღამეში სადღაც ერთი-ორი საათით თუ მოვიდოდა. ამიტომ მამაჩემი,

რომელსაც იმ დღეებში 84 წელი უსრულდებოდა, დილაუთენია იქ მიდიოდა და მზერხავს თავზე ადგა.

ნაძვის ხე კუბოსთვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა და არც სამყოფი გვქონია. ერთმა ბაილეთელმა კაცმა პატივი გვცა. მას სახლისთვის სჭირდებოდა და ნაძვი თხემლის ხეზე გადაგვიცვალა, თანაც საჭირო მორიც დაგვიმატა.

ბოლოს და ბოლოს ფიცრები **ამირან როყვამ** თავისი ტრაქტორით შინ მოგვიტანა.

მეორე დღეს, 9 ოქტომბერს, დედა გარდაიცვალა. რამდენიმე დღის ადრე ციალა დარჩიამ დედას ჰკითხა, *რა გინდა, რითი მოგეხმაროთო.* დედამ უპასუხა: *ღმერთმა ქმარ-შვილი კარგად დამატოვებინოს, მეტი არაფერი მინდაო.*

ბალზამის ფულიც არ გვქონდა, მაგრამ, რომც გვქონოდა, ვიცოდი, რაიონში ვარგისიანი ბალზამი არ იშოვებოდა, ამიტომ დედა მესამე დღეს დავასაფლავეთ.

სულ მეშინოდა: დედა და მამა რომ გარდამეცვლებოდა, სულით არ დავცემულიყავი, არ გავფუჭებულიყავი და ისინი სხვისი დასაკრძალავი არ გამხდომოდა. მადლობა უფალს, ორივე შემთხვევაში რკინად ვიქეცი.

შინ ღვინო, სიმინდი, ლობიო, ქათმები, კიტრი, პომიდორი, წვანილეულობა საკმარისი გვქონდა, მეზობლის ბიჭებმა ღელეში თევზიც დაიჭირეს და დედა ჯეროვნად გავისტუმრეთ. ორმოციც ნორმალური გადავუხადეთ.

დადგა ჩემი თბილისში წამოსვლის დრო. ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი **გიორგი ციციშვილი** ბრძანდებოდა და მაშინაც და შემდეგაც ხელს მიწყობდა, რათა მშობლებისთვის მიმეხედა.

27 ნოემბერს ადრე დილით მაცნობეს, რაღაც საქმეზე ოზურგეთში სოფლის საბარგო მანქანა მიდისო და მას გამოვყევი. ხელცარიელი წამოვედი, საგზლად მხოლოდ შინგამომცხვარი ცარიელი პური წამოვიღე.

მივედი ვაგზალში. რამდენიმე დღეა, თბილისის მატარებელი არ ყოფილა და არც არავინ იცის, როდის ჩამოვა. საკმაოდ ციოდა. რკინიგზის გვერდით ორ-სამ ადგილას კოცონია დანთებული და მატარებლის მომლოდინე მგზავრები ასე თბებიან.

დაღამდა. მთელი ოზურგეთი სიბნელემ მოიცვა. ღამის 12 საათამდე მატარებელს ველოდე, შემდეგ სიბნელეს არ შევეპუე და ღამის გასათევად ნათესავთან მივედი.

შევატყვე, არასასურველი სტუმარი ვიყავი, მიუხედავად იმისა, მათი შვილი უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად ემზადებოდა და დედა-შვილი წინა წლის 27 დეკემბრიდან თბილისში ჩემთან, ჩემს ბინაში, ცხოვრობდნენ. აქ შევიტყვე, რომ ორი კვირის წინ ნაქირავებ ბინაში გადასულიყვნენ.

მეორე დღეც ღამის პირველ საათამდე სადგურში გავატარე. წასასვლელი აღარსად მქონდა და ის იყო, ღამის გათევას იქ ვაპირებდი, მოულოდნელად მატარებელი მოვიდა. მგზავრები ცოტანი ვიყავით დარჩენილები. სიბნელეში ჩემი ადგილი ძლივს ვიპოვე. ვაგონი და, მერე, შევიტყვე, მთელი მატარებელი მანდარინებით სავსე ტომრებითა და ყუთებით იყო გატენილი. ჩემს კუპეს ფანჯარა არ ჰქონდა და მის ადგილას სახანძრო დაფა იყო მიჭედებული, რომელსაც ყველა მხრიდან ხელის დადება სიცარიელე ჰქონდა და სიცივეს ვერ იკავებდა. ვისარგებლე იმით, რომ მგზავრები ცოტანი ვიყავით და, ანთება არ დამემართოს-მეთქი, შავი, უბინძურესი ლეიბი (რის გადასაფარებელი!) ერთი დავიგე და მეორე გადავიხურე. რა თქმა უნდა, დავწექი ისე, როგორც მეცვა, ქურთუკიანად.

მგზავრობას სამი დღე და ორი ღამე მოვანდომე . თბილისში პირველი დეკემბრის საღამოს ჩამოვაღწიე. ჩემი ხმელი პური შაქრად მექცა. სიბნელეში ფეხით ვიარე და შინ, მრგვალ ბაღამდე, ასე მივედი.

¤

მამაჩემმა ამის შემდეგ სამი წელი იცოცხლა. მასთან რამდენიმე დღით თითქმის ყოველ თვე ჩავდიოდი. გარდა ზაფხულის შვებულებისა, ზამთრისა რომ არ შეშინებოდა, იანვარ-თებერვალსაც იქ ვატარებდი. ყოველი წასვლა-წამოსვლა უფულობისა და ტრანსპორტის გაუმართაობის გამო ისევ ძნელზე ძნელი და საწვალებელი იყო.

1994 წლის იანვარში სილაურს გამოთხოვილ ჩემს ბიძაშვილს მაზლიშვილი, პატარა ბავშვი, გარდაეცვალა. დაკრძალვა

ნატანებში იყო. იმ დროს ავტომანქანების მძღოლები კუპონს არა, მხოლოდ რუსულ ფულს ღებულობდნენ. ხელფასს კი კუპონებით გვაძლევდნენ. ამის გამო მე დაკრძალვაზე ვერ წავედი. მამაჩემმა ნამუსი მომწმინდა და ხალხში ჩემზე ეთქვა, გაციებულიაო. მე ვუსაყვედურე: – თუ ამ მთავრობას არ რცხვენია, რომ მე, პროფესორს, ნატანებში ჩასასვლელი ფული არა მაქვს, შენ რატომ გრცხვენია-მეთქი?!

მაშინ, იანვრის დამდეგს, სოფელში რომ წამოვედი, მატარებლის ბილეთი 30 ათასი კუპონი ღირდა. თებერვლის ბოლოს თბილისში რომ დავბრუნებულიყავი, იგი 300 ათასი კუპონი გახდა. მე კი გზის ფულად 30 ათასი მქონდა გადადებული. ჩემი გაჭირვება სოფლად ბევრმა გაიგო. ერთ დილასაც ჩემგან მოშორებით მცხოვრებმა **ლერი კილაძემ** ჩემთან მოირბინა და მახარა: სასწრაფოდ მოემზადე, წუხელ **ნევრო კილაძის** ოჯახში კატაფალკიანი მახლობელი მოვიდა (ოზურგეთში ვიღაც ჩამოესვენებინათ), ახლავე მიდის და წაგიყვანსო. ამისი თქმა იყო და მანქანაც გამოჩნდა. მხოლოდ ჩაცმა მოვასწარი და უსაუზმოდ და ხელცარიელი წამოვედი.

პატარა საჯდომებაღებული ავტობუსი იყო. წინა მხარეს ორიოდე საჯდომი დაეტოვებინათ. მძღოლს ერთი კაცი ახლდა. თბილისში პირდაპირ არ წამოსულან. სოფელ ჩოჩხათში ვიღაცასთან გაიარეს. იქ ორ საათზე მეტი დაჰყვეს და ნაპურმარილევი წამოვიდნენ. სხვათა შორის, მასპინძელი ჩემთან მოვიდა და შინ შემპატიჟა. მადლობა გადავუხადე, უარი ვუთხარი და მასაც ჩემთვის ჩოხის კალთის ჩამოხევა არ უცდია. სანამ ლანხუთში შევიდოდით, კიდევ ვიღაცასთან შეიარეს და იქაც საათზე მეტი დაჰყვეს. რიკოთს რომ მივუახლოვდით, მანქანა გაუფუჭდათ და კარგა ხანს უჩხიკინეს. თბილისში ღამე ჩამოვედით და გმირთა მოედანზე დამტოვეს.

მქონდა კიდევ უფრო წარმატებული მგზავრობაც: 1995 წლის ნაახალწლევს აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის დაკრძალვას დავესწარი და იმავე დღესვე, 5 იანვარს, მატარებლით სოფელში გავემგზავრე. არ აღმინიშნავს და, შესაძლებელია, დღევანდელი მკითხველისათვის იმის თქმაც იყოს საჭირო, რომ მაშინ მატარებელში არათუ რაიმე გათბობა არსებობდა, ვაგონს ვერ

ნახავდით, მას რამდენიმე ფანჯარა მაინც არა კლებოდეს. მატარებელი რომ დაიძრა, კუპეში მარტო აღმოვჩნდი. ჩამტვრეულ ფანჯარაში ბალიში იყო გაჩრილი. ავიღე ერთი ლეიბი, ბინძური და სუნიანი, და ტანსაცმელგაუხდელმა გადავიხურე. ტკბილად რომ მეძინა, გორში დანარჩენი სამი მგზავრი ამოვიდა და ჩემი „საბანიც“ „პატრონს“ დავუბრუნე. ისინი ლანჩხუთში ჩავიდნენ და გათოშილმა „საბანი“ ისევ უკან დავიბრუნე.

ოზურგეთში დილის ნაცვლად საღამოს ჩავედი. დღე-ღამე იყრებოდა და ცოტ-ცოტას კიდევაც წინწკლავდა. ხელში მარტო სამი ცალი მრგვალი პური მეჭირა და დაუყოვნებლივ სოფლისაკენ გავწიე. ერთ კილომეტრამდე გავიარე, დავეწიე ორ გოგონას, რომლებსაც იქით-აქედან ხელჩაკიდებული ერთი საშუალო ზომის ჩანთა მოჰქონდათ და ალაგ-ალაგ ისვენებდნენ. ისე ჩქარა მოვდიოდი, სული ყელში მებჯინებოდა და მეც შევჩერდი. ვხედავთ, მსუბუქი ავტომანქანა მოდის. გოგოებმა ხელი აუწიეს. მანქანა გაჩერდა. მძღოლის გვერდით ერთი ბიჭი ზის და გვეუბნება: თუ დაეტევით, წაგიყვანთო. უკანა სავარძელზე უშველებელი ხის ყუთი უძევთ. პირველი მე შევძვერი სალონში და, როგორც კარცერში, მოკუნტული ამ ყუთზე პირჩაღმა დავწექი. ყუთის გვერდით ერთი ადგილი იყო, იქ ერთი გოგონა მოთავსდა, მეორე კი მუხლებზე დაუჯდა. დავიძარით. ბიჭებს გამოველაპარაკე. ჯუმათელები აღმოჩნდნენ და თანაც ერთი — ჩემი მოგვარე. ძალიან გამიხარდა. ჯუმათის გზიდან ჩემს სოფლამდე ორ კილომეტრამდე მანძილია. ბაილეთში გოგონები ჩამოვიდნენ და მათ ადგილას მე მოვთავსდი. წელში გავიმართე. ჩემი სოფლის გადასახვევთან რომ მივედით, ბიჭებმა მითხრეს: *ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს და სილაურში მივდივართო.* თქვენ აგაშენათ ღმერთმა, მეც მაქეთ მივდივარ-მეთქი.

ასე იოლად მივედი სახლში და დასველებასაც გადავურჩი. ისე სიამოვნებით ვიგონებ ამ შემთხვევას, ვითომცდა დიდად კომფორტულად, ტკბილად და ნეტარებით მემგზავროს.

მადლობა ღმერთს, დარჩენილი სამი წლის განმავობაში 84 წელს გადაშორებულ მამაჩემს ერთხელაც რა არის, არც გრიპი შეჰყრია და არც თავი წამოსტკიებია. ბოლოს ასაკმა თავისი მაინც გაიტანა, 1996 წლის ივლისის დამდეგს თავში სისხლი ჩაექცა,

მარცხენა ხელ-ფეხი წაერთვა და მესამე დღეს გონება და მეტყველება დაკარგა. რაც დედაჩემის მიმართ გავაკეთე, იგივე გავიმეორე: იმავე მიზეზით ვერც ექიმი მოვუყვანე და, ჯერ კიდევ აგონიაში იყო, დასაფლავების სამზადისს შევუდექი. ბაილეთის სახერხ ქარხანაში შინ მოჭრილი თხემლის მორები კარის მეზობელ **აფრასიონ ლომაძის** ტრაქტორით წაიღეს. ვინაიდან რიგი იდგა, მხერხავი მოატყუეს, შაქრო გარდაიცვალაო. აფრასიონმა რომ მხერხავს თავისი გულის ტკივილი შესჩივლა, მამაჩემზე უთხრა, გვიკვდებაო, მხერხავმა იყვირა, ცოცხალი კაცისთვის კუბოს რას ამზადებთო. ერთმა მხერხავი გვერდზე გაიხმო და უთხრა, გარდაცვლილია და მაგას არ ვეუბნებითო.

მამაჩემი პირაღმა იწვა და ხროტინებდა. მითხრეს, გვერდზე როგორც კი გადააბრუნებ, მაშინვე გათავდებაო. ამან ძალიან შემაშფოთა და, თუმცა კარგად ვიცოდი, არაფერი ეშველებოდა, ღამეებს შეუცვლელად ვუთევდი, მეც ვწვალობდი და ისიც, უკვე ერთი წუთითაც ვეღარ ვტოვებდი, ვინმემ არ გადააბრუნოს-მეთქი.

მეზობლებმა ტანსაცმელი გაუმზადეს და წინდა მომთხოვეს. ვაძლევ ჩემს წინდას. — *არა, ეს არ შეიძლება, თავისი უნდა იყოსო.* ორი თვის წინ მამაჩემს ორი წყვილი წინდა ვუყიდე (მანამდე არც მე და არც მას წინდის საყიდელი ფული არ გვქონდა!). ახლა რომ ჩავედი, ერთი ეცვა.

როცა მამამ გონება დაკარგა და საჭმელს ვეღარ ვაჭმევდით, მეზობელმა **ამალია დარჩიამ** ფელამუში გამოუგზავნა (თვითონ სიმსივნით ავად იყო და მეორე წელს, ზუსტად მამაჩემის გარდაცვალების დღეს, თვითონაც გარდაიცვალა). მეორე მეზობელმა, ჩემი ნათლიის შვილმა **ეთერ ქილიფთარმა** მოახერხა, ენაჩავარდნილ და თვალდახუჭულ მამაჩემს ხვეწნითა და ფერებით ნახევარი თეფში ფელამუში შეაჭამა.

მახსოვდა ეს და ადრე დილით მამაჩემს რამდენიმეჯერ ჩავძახე: *მამა, მამა!* ვნახე სასწაული — თვალი არ გაუხელია, მაგრამ ხმა გამცა! ვეუბნები:

— მამა, მე რომ „ნასკები" მოგიტანე, ერთი გეცვა, მეორე სადა გაქვს?

— ნასკები? — ყრუდ მეხმიანება, — ზევით არის!

— მამა, ახლა დაბლა არა ხარ, შენს ლოგინში წევხარ.

— ხოო, ფუხართან არის.

მივედი და ეს ჩაუცმელი წინდა ბუხართან მართლაც იდო.

ზემოთ აღწერილი მაქვს, მამაჩემმა როგორ მიაკვლია ტყიდან საწნახლისათვის ღრუიანი ბლის ხის ბოხვაურში წამღები ძმები **ახვლედიანები**. მაშინ შემოწმებული არ მქონდა და ვფიქრობდი, ალბათ, გვარი ეშლება, ბოხვაურში ეს გვარი არ იქნებამეთქი. ახლა შევეკითხე:

—მამა, ბოხვაურში ძმებმა ბლის ღრუიანი ხე რომ წაიღეს, რა გვარისანი იყვნენ?

— იგინი? ახვლედიანები.

გამაცია ტანში, აგონიაში ყოფნისას, თურმე, ყველაფერი ესმოდა და, კიდევ კარგი, იმ დღეებში მასთან სიკვდილზე არაფერი წამომცდენია!

მამა გარდაიცვალა 1996 წლის 12 ივლისს, 87 წელს სამი თვეღა მიუკლდა. როგორც დედაჩემი, ისიც მესამე დღეს მივაბარეთ მიწას. ბალზამის ფული არც მაშინ მქონდა და ხეირიანი ბალზამი რაიონში არც მაშინ იშოვებოდა. მამაჩემის დაკრძალვის დღესვე ბაილეთში დაასაფლავეს პროკურორის მოადგილის მამა. ჰყვებოდნენ, *ეზოში არ ჩაისვლებოდა, ისეთი სუნი იდგაო*. ეს იყო მხოლოდ, მამას პირში ერთი ლიტრა არაყი ჩავასხით.

მარტო დარჩენილ მამაჩემს საკმაოდ ჰქონდა ღვინო, წითელი და პარკი ლობიო, ბოსტანი, ჰყავდა ქათმები, გოჭი და მასაც ნორმალური ქელეხი და ორმოცი გადავუხადე.

ძაღლი

90-იანი წლებიდან დაწყებული სოფელი ეკონომიურად წელში ვერა და ვერ გაიმართა. თუმცა ედუარდ შევარდნაძის პერიოდთან შედარებით უკეთესობა არის, — ელექტრონიც გვაქვს, დიდებული გზებიც გაგვყავს. ორი წელია, ოზურგეთი ბათუმანჩხუთის ტრასას ჩემი სოფლის გვერდზე ჩავლით ბეტონის ბრწყინვალე გზით დაუკავშირდა... მაგრამ საბჭოთა დროინდელი სიუხვისა და კეთილდღეობისაგან ძალიან შორსა ვართ.

სიღარიბე უმალვე იგრძნეს და გამოხატეს ძაღლებმაც. ძაღლი ყოველთვის გვყავდა და მამაჩემი მათ მუდამ მომეტებულად

აჭმევდა. იმდენად მეტ პურს ან მჭადს დაუდებდა, ჭამას ვერ აუდიოდა, იღებდა მას და სადღაც ინახავდა.

მამაჩემი ერთ ამბავს იხსენებდა: *თუმცა მაშინ პურზე გაჭირვება არ იყო, მოხდა ისე, რომ საღამოს პატარა ნაჭერი პური შემომრჩენოდა. ან მე უნდა დავრჩენილიყავი მშიერი ან ძაღლი. ნამუსმა არ გამიჭრა, ძაღლი უჭმელი დამეტოვებინა.*

სიმინდი ყოველთვის საყოფად გვქონდა და იმ უმძიმეს უპურობის ჟამს ჩემს ძაღლს საჭმელი არ მოჰკლებია, მაგრამ მან მაინც იგრძნო, რაღაც მოხდა. თუ მანამდე, სუფრასთან რომ დავსხდებოდით, ის სიახლოვეს არ გვეკარებოდა, უკვე გაჭირვების დღიდან ეზოში გაშლილ სუფრასთან ახლოს მოდიოდა და წვებოდა. წვებოდა ჩვენკენ ზურგშექცევით, ვითომცდა, თქვენი საჭმელი მე არ მაინტერესებსო. სინამდვილეში ჩვენი კატის გამო აკეთებდა ამას. კატა კი სუფრის ქვეშ მიმოდიოდა და ნარჩენები მას რჩებოდა. როგორც კი სუფრას ავალაგებდით, ძაღლი მაშინვე მოირბენდა და კატა გარბოდა.

ვუყურებდი ამას ღიმილითა და აღფრთოვანებით, მაშინ როდესაც ვხედავდი, სხვა ძაღლებმა როგორ დაკარგეს „თავმოყვარეობა“ და „ლაქიობა“ დაიწყეს.

ერთი ჩემი მეზობლის ძაღლს ძალიან აქებდნენ: ეზოში ფეხს ვერ ჩადგამ, თამამად ვერასდროს მოეპყრობი, ვერ მოეფერები, ახლოს არ მიგიკარებსო.

ვიცოდი ეს, მაგრამ იგი არ მენახა.

ერთხელაც ჩემს ეზოში, მინდორში, დაბალ სუფრას ოთხნი ვუსხედვართ. მამაჩემი, ოლეგი ქილიფთარი, ზალიკო დარჩია და მე. სოკო გვაქვს შემწვარი და მჭადზე მივირთმევთ (ღვინო მამაჩემს ყოველთვის ჰქონდა). უცებ ალაგეს (ღობეზე გადასასვლელი ადგილი) ძაღლი მოადგა. კუსი, კუსი-მეთქი, დავუძახე. ოლეგი და ზალიკო უმალვე მეუბნებიან: ეს იმისი ძაღლია, ძალიან ფინთი და საშიშია, ნუ ეძახიო. მე მაინც „მოპატიჟება“ განვაგრძე. მასაც დიდი თავპატიჟი არ დაუდვია, ეზოში ჩამოხტა და კიდევ და კიდევ დაძახილზე მიწაზე გართხმული ფორთხვა-ფორთხვით სუფრასთან ჩემს გვერდით ისე მოვიდა, არ წამომდგარა. გამახსენდა „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონი, როცა ავთანდილი როსტევანს ეუბნება: „მიწაცა თქვენი ავთანდილ...“ ასე წარმოვიდგინე, ახლა ეს

ძაღლი მეუბნებოდა: *შენი მიწა და მტვერი ვარო*. მივეფერე, თავზე ხელი გადავუსვ-გადმოვუსვი და მჭადი ბლომად დავუდევი. არ წასულა, ბოლომდე ჩემს გვერდით იწვა.

კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება. ჩემს ბიძაშვილის შვილებს – **კახა** და **ნუკრი ჩაჩავებს** – მანქანით ბათუმში მივყვები. თბილისიდან ღამე გავედით. ზესტაფონს რომ გავშორდით, გათენდა. კახა და ნუკრიმ საუზმე ამოიღეს და მანქანის „კაპოტზე" გაშალეს. ვხედავ, მოშორებით ძაღლი დგას და გვიყურებს. რაღაცები მოგვრჩა და ძაღლს ვეძახი. ისიც ჩვენთან მიწაზე გართხმული ფორთხვა-ფორთხვით მოვიდა და მიცემული ისე შეჭამა, არ წამომდგარა.

მშიერი რომ ადვილი დასამორჩილებელია, ეს ჭეშმარიტება საყოველთაოდ ცნობილია და მას ბევრი ხელისუფლება „კარგადაც" იყენებს.

ბარემ აქვე მოვიყვან **ჯურხა ნადირაძის** ერთ ნაამბობს: როცა სტალინის გარდაცვალების შემდეგ პოლიტიკურად დათბა და სტალინის ლანძღვა საშიში აღარ იყო, ჩემს სოფელში ერთი მოხუცი კაცი, როგორც საკუთარ თავგადასავალს, ისე გვიყვებოდაო:

კარგი ხარები მყავდა. ზაფხულში ტყეში გავუშვი და შემოდგომამდე იქ ნებივრობდნენ. შემდეგ ურემში რომ შევაბი და შოლტი დავუღირე, გაგიჟდნენ, თავაწყვეტით გაქანდნენ, ურემი გადააბრუნეს, უღელი გატეხეს, აპეურები დაწყვიტეს და გაიქცნენ. ცხვირ-პირდამტვრეული ძლივს წამოვდექი და ხარებს თავი მოვუყარე. ამ დროს ერთი შავულვაშიანი კაცი მოვიდა, აგვხედ-დაგვხედა და მითხრა: *ხარები ძალიან გაგისუქებია, მოაშივე და უფრო დაიმორჩილებო*. მერე ეს კაცი გაზეთში ვნახე დახატული და ქვეშ ეწერა – „სტალინი". სტალინმა, რაც მე მასწავლა, ჩვენზე გამოიყენა და დაგვიმორჩილაო.

მგონია, ჩემი ძაღლი ასე არ დამდაბლებულა და თავისი მაღალი „ზნეობა" და სიმტკიცე ბოლომდე შეინარჩუნა, რაც, ცხადია, მნიშვნელოვანწილად მამაჩემის წყალობით იყო. როცა სოფელში სადმე ქორწილებია ან დიდი სუფრები იშლება, ჩვეულებრივ იქ იმ კუთხის ძაღლები თავს იყრიან. არც მანამდე და არც შემდეგ ჩემს ძაღლს იქ ფეხი არ მიუდგამს.

ატამი

ჩემი ეზოს ერთ პატარა კუთხეში, ტრიფოლიატის ღობესთან, ჩაოში (უმზეო, დაბურულ ადგილას), მიწიდან ამოყრილი ქვების მომაღლო გროვა იყო. ამ ორიოდე კვადრატულ ფართობზე არაფერს ვთესავდით და ვრგავდით, — მუდამ ბარდით იყო დაფარული. მხოლოდ ჩემი ბავშვობისა და ყმაწვილკაცობისას ერთი ატამი ამოდიოდა, ისიც ჩაოს გამო სიმაღლეში ვერ იზრდებოდა, ხან ამ და ხან იმ გვერდად იწვა. 5-6 წლის შემდეგ ხმებოდა და რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ამოდიოდა. ცოტას ისხამდა, მაგრამ თავისებურად კარგი გემო ჰქონდა. სექტემბრის შუა რიცხვებში მწიფდებოდა.

2003 წლის 8 სექტემბერს (მეორე დღეს თბილისში მოვდიოდი) აქ ბარდებში სუსტი ღერო შევნიშნე, რომელსაც სამი ატამი ესხა. ერთი კურკასვე მიხმობოდა, მეორე ვერ გაზრდილიყო და წებო მოსდებოდა, მესამე ნორმალურად გამოიყურებოდა. საღი გავსინჯე და გავვოცდი: ის ძველი ატამი იყო! სიმწიფე აკლდა, მაგრამ ძველებური გემო და არომატი შენარჩუნებული ჰქონდა. ჯირკვზე ჩამოვჯექი, თვალები დავხუჭე და ნელ-ნელა დავუწყე ჭამა. ყველა ერთბაშად გამიცოცხლდა: ბაბუას შინ შეკერილი საზაფხულო ქუდი ახურავს და სიმინდის ყანაში ტრიალებს, ბებია სამზარეულო სახლშია, დედაჩემი და მამაჩემი სამუშაოზე ნასაკირალში მიდიან... ამ ნეტარებაში დავყავი 10-15 წუთი. მომდევნო წელს, ზაფხულში, ვნახე, ეს ატმის ღერო გამხმარიყო. აუ, რამდენი ათეული წელი იყო, იგი აღარ მენახა. ნეტავი, მის გაცოცხლებას კიდევ მოვესწრები?!

ჩემი კუთხე

უკვე ბებერი ვარ. სოფელში მოვესწარი ბაბუაჩემის ტოლა ხალხს. ახლა ჩემს კუთხეში დედაჩემისა და მამაჩემის თაობისაც არავინ შემორჩა. ის კი არა, იმქვეყნად ჩემხელა და ჩემზე უმცროსიც საკმაოდ ბევრი წავიდა. და როგორ მაკლია ისინი?!

¤

ჩემს გვერდით მეზობლად **სანდრო ლომაძე** ცხოვრობდა. მის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ. მისი მეუღლე **სონია სალუქვაძე** დევივით ვაჟკაცი ქალი იყო. რომ ჩურჩულებდა, მთელ კუთხეს ესმოდა. მისი ძუძუ მიწოვია, თუმცაღა ის და დედაჩემი ერთმანეთს მთელი ცხოვრება ემდუროდნენ, თანაც თანატოლები და ერთი სოფლიდან იყვნენ გამოთხოვილი. შვილები რომ წამოვიზარდეთ, შევარიგეთ, მაგრამ ის მეგობრობა, რაც უნდა ყოფილიყო, მაინც არ ჰქონდათ.

სონია ბიცოლა ნაადრევად გარდაიცვალა. არადა, თუ რამე მოერეოდა, არ მეგონა. ოზურგეთში, საავადმყოფოში, ყოველდღე დავდიოდი. მის უმცროს ვაჟიშვილ **აფრასიონს** მეც გვერდით ვედექი. სერგო ლომაძის მანქანით ვიყავით სამტრედიის ებრაელებში დეფიციტური წამლების საყიდლად, ბათუმში – ექიმის წამოსაყვანად.

რომ გარდაიცვალა და სახლში მოვასვენებდით, ტაქსით წინდაწინ წამოვედი. შინ მოსვენებისას შეცხადების საშინელ სურათს რომ არ შესწრებოდა, დედაჩემი (ნაავადმყოფარი იყო, მაგრამ აგვისტოს ხვატი იდგა) უმალვე მამათის ღელეში შევიყვანე, ვითომცდა სასწრაფო სარეცხი მქონდა. აქ ნელ-ნელა შევაპარე ეს ამბავი და მხოლოდ ამის შემდეგ, მოგვიანებით, მივიყვანე მიცვალებულთან. იმდენად მწარედ განიცადა მისი სიკვდილი, მინდოდა მეთქვა და აღარ შევახსენე, – *მთელი ცხოვრება ერთმანეთს ემდუროდით-მეთქი.*

ახლა ვუყურებ სონია ბიცოლას შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს და ყოველთვის მიხარია, როცა მათ შორის რაღაც-რაღაც მსგავსებას შევნიშნავ.

¤

თუ სანდრო ბიძია მჭედელი იყო, იქვე გვერდით ცხოვრობდა დურგალი **ნიტიფო (ნიკიფორე) ქილიფთარი**, ძველი გურული სიმღერების შემსრულებელი და შესანიშნავი მოკრიმანჭულე. მეუღლე **ელცაბედი (ელისაბედი) მექვაბიშვილი**, როდესაც ბახმაროზე მიმავალი ვაჟიშვილისა და რძლისათვის მსხალს ჰკრეფდა; ხიდან

ჩამოვარდა და დაიღუპა. მხოლოდ ის დამამახსოვრდა, გასვენებისას სასულე ორკესტრი უკრავდა. მათ სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი გამოზარდეს.

სოფელში გამორჩეული დინჯი და ჭკუასაკითხავი კაცი ბრძანდებოდა მათი ვაჟი **ლადიკო** ბიძია. მისი მეუღლე **ეკატერინე, კატუშა** ბიცოლა მამათიდან გამოთხოვილი **დარჩია** იყო (მამამისის, დომენტის, შესახებ ქვემოთ მაქვს საუბარი). სულიერად საოცრად ძლიერი ქალი გახლდათ. 90-იანი წლების განუკითხაობის დროს შუაღამისას თავს ყაჩაღები დაესხნენ (ლადიკო ბიძია უკვე ცოცხალი აღარ იყო, შვილები კი თბილისში ცხოვრობდნენ). არ შეშინდა, ყაჩაღებს შეუტია: *არ ამაყენოთ, კარები მოხურეთ, სიცივე შემოდისო*. ყაჩაღებმა მაშინ ლადიკო ბიძიას საათი და სანადირო თოფი გააყოლეს ხელს.

¤

ჩემი კარის მეზობლები გახლდათ **ოლეგი ქილიფთარის** ბაბუა და მშობლები. ბაბუა **ლადიმა** (ვლადიმერ), ბაბუაჩემის ტოლა კაცი, იმით დამამახსოვრდა, რომ ხეზე კარგი სიარული და სუროზე შაშვის სხაპის (მახის) აწყობა იცოდა. მისი მეუღლე **ბაისო დარჩიას** ქალი გახლდათ, მაგრამ მე ის არ მახსოვს. მახსოვს ლადიმეს ქალიშვილის, **ტასიას,** გარდაცვალება.

ოლეგის მამა **არონი** მამაჩემის ტოლა იყო, მეორე მსოფლიო ომში ერთად გაიწვიეს და ერთხანს ჯარშიაც ერთად იყვნენ. ფრონტზე ცალი ფეხი დაკარგა. შინ დაბრუნებული გადაღმა აღარ გადადიოდა და სულ ოჯახში საქმიანობდა. ლამაზი და გამძლე გოდრებისა და კალათების დაწვნა იცოდა. 1999 წელს 90 წლისა გარდაიცვალა. ქელეხში თამადად ვიყავი და ვთქვი: არონ ბიძია ვაჟკაცი კაცი იყო. შეიძლება, ვინმეს ეს შეფასება გაუკვირდეს, რადგან ომიდან დაბრუნებული ეზოდან ერთხელაც არ გადასულა და მისი კუნთების სიძლიერე არავის უნახავს, მაგრამ ვაჟკაცობა უპირველესად სულიერი სიძლიერეა და ეს მას დიახაც უხვად ჰქონდა მომადლებული. ხეიბარი კაცი სიღარიბეს არ შეუშინდა და ერთი ქალიშვილის მამამ ოთხი შვილი გააჩინა-მეთქი.

უაღრესად სათნო ქალი ბრძანდებოდა არონის მეუღლე **სონია ჩხარტიშვილი**. არ მახსოვს, სონია ბიცოლა ვინმეს წაჩხუბებოდეს.

ერთხელ, ბავშვობისას, ჩემს კლასელ მის უფროს ქალიშვილ **ლამარას** დედა შევაგინე. სონია ბიცოლა, თურმე, იქვე იდგა და, არათუ გამჯავრებია, დაყვავებით მითხრა: თქვენ აქ და-ძმასავით იზრდებით და შენთან ლამარას შეგინება სხვამ ვერ უნდა გაბედოსო. ისე შემრცხვა, მერჩივნა, გაველახე.

¤

ჩემი სახლის ზემოთ, რამდენიმე მოსახლის შემდეგ, მომაღლო ადგილას, ცხოვრობდა ნათლიაჩემი, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ბუდუა, **მარგალიტა ცქვიტინიძე**. ქმარი **გოგილა (გიორგი) ქილიფთარი** (მამაჩემსა და მას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და დიდი მეგობრობა ჰქონდათ) ომში დაეღუპა. იმ სიღატაკის დროს მარგალიტა ბუდუამ სამი შვილი პატიოსანი და თავდაუზოგავი შრომით ღირსეულად გაზარდა.

მახსოვს: გოგილა ბუდუას გარდაცვალების ცნობა ნასაკირალის ჩაის პლანტაციიდან შინ გვიან დაბრუნებულ მარგალიტა ბუდუას დაღამებულში გადასცეს. საბჭოს თავმჯდომარემ ჭრაქის ანთების უფლება არ მისცა, გერმანელებს სინათლეზე სოფელი რომ არ დაემბობათ. ოო, ღამის სიბნელეში რა შემზარავად მესმოდა და მაშინებდა მარგალიტა ბუდუას სასოწარკვეთილი კივილი!

მეშვიდე კლასში ვიქნებოდით, იმ კუთხის ბიჭებმა — **ბუხუ ლომაძემ, ვაჟა დარჩიამ** და **მე** მარგალიტა ბუდუას, როცა იგი ნასაკირალში, ჩაიში, იყო წასული, ისე რომ არ იცოდა, ეზოში სიმინდის ყანა გავუმარგლეთ. რაც მაშინ ჩვენ მან გვლოცა! მერე კი ხაჭაპური გამოგვიცხო.

ერთხელ მარგალიტა ბუდუას ღელეში არყის გამოხდაში მივეხმარე. სადილად ჩამოიტანა ხაჭაპური, ღომი და კვაწარახითა და ნიგვზით (თუ თხილით) გაკეთებული ღორის ჯიგრის შავი ყაურმა. ცხოვრებაში ბევრნაირად გაკეთებული ჯიგრის ყაურმა მიჭამია, მაგრამ იმნაირად კარგი — არა.

რამდენიმე წლის წინათ **ოლეგი ქილიფთარმა** დეკეული გაყიდა და ოჯახში თავ-ფეხი და შიგნეული დაიტოვა. მეზობლები დაგვპატიჟა. ვიკითხე, ჯიგრის ყაურმას ვინ აკეთებდა.

— მეო, — მითხრა **მაყვალა როყვამ**.

— შავი ყაურმის გაკეთება თუ იცი, მარგალიტა ბუდუამ რომ იცოდა, ისეთის-მეთქი?

— ვიცი.

მაყვალა ბრწყინვალე დიასახლისია, მაგრამ ოჯახსა და იქ მყოფ სხვებსაც არც თხილი აღმოაჩნდათ და არც კვაწარახი. მაშინ როდესაც ფუთობით ტყემალი მიწაზე ულპებათ, ხოლო ფული იმდენად უჭირთ, ასობით კილოგრამ თხილს ისე აბარებენ, კერძების შესაკმაზავად შინ არ იტოვებენ.

მთელი ბავშვობა მესმოდა, მარგალიტა ბუდუა როგორ ეძახდა და უხმობდა მეზობლებში მყოფ შვილებს: **ლამარა, ეთერა, ყირიმა**!

ბავშვები დაიზარდნენ და დაოჯახდნენ, ბუდუას ძახილიც მიწყდა. ამ ბოლო დროს თბილისიდან ჩასული ბუდუას ხშირად ვეთხოვდი: სანამ სოფელში ვარ, ამ შენს შვილებს, შვილისშვილებსა და შვილთაშვილებს ხანდახან ძველებურად, მთელი კუთხის გასაგონად გასძახე და დაუძახე-მეთქი. ვაი, რომ ამის ძალა უკვე აღარ ჰქონდა.

მარგალიტა ბუდუა 2010 წელს 92 წელს მიტანებული გარდაიცვალა. მე კი მისი, როგორც გურიაში იციან თქმა, ღარღილი (ხმამაღალი ლაპარაკი) ისევ მენატრება.

¤

მარგალიტა ბუდუას სახლის მოპირდაპირე მხარეს, ღელის გაღმა, ტყის პირას, ცხოვრობდა **ბიჭიკო ქილიფთარი**, მამაჩემის ტოლა კლდესავით კაცი. ერთხელაც შემომჩივლა, წნევა მაწუხებსო. წნევის წამალი მივეცი. ოო, რა მადლობელი დამრჩა!

იმ მიდამოებში ხშირად ტურები ჭყაოდნენ. ბიჭიკოს მეუღლე **თებრონემ** საღამოობით, დღე და ღამე რომ იყრებოდა, გადმოძახება იცოდა: *არიქა ეციო, არიქა ეციო!*

ბავშვობაში ეს ძახილი მუდამ შიშსა მგვრიდა და სახლში შევდიოდი. ახლა კი დიახაც მენატრება იგი!

¤

ბიჭიკოს ეზოს ქვემოთ **იორდანე ქილიფთარი** და **გოგოლა ჩხარტიშვილი** ცხოვრობდნენ. იორდანე უფრო გარე-გარე მუშა-

ობდა, ოჯახს კი გოგოლა ბიცოლა უძღვებოდა. ყოველმხრივ დიდებული ქალი ბრძანდებოდა, მაგრამ მაინც უფრო ის მხიბლავდა და მაკვირვებდა, რომ უზარმაზარი ენერგიითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. ისე დიდი და ლამაზი ოდა დაიდგეს, იმგვარი სოფელში მეორე არ მეგულება. სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი გამოზარდეს და ყველა – მუყაითი მშრომელი. მთელი ჩემი ბავშვობის განმავლობაში მესმოდა, გოგოლა ბიცოლა როგორ არიგებდა ან ეჩხუბებოდა შვილებს, განსაკუთრებით ვაჟს, **გურამს**. რამდენსაც ვნახავდი, გოგოლა ბიცოლას ვეხვეწებოდი: *გამიხარდება, გურამიას ხანდახან ძველებურად დაუცაცხანე-მეთქი*!

გოგოლა ბიცოლა 2007 წელს 89 წლისა გარდაიცვალა, თუმცა ამბობდა, მეტისა ვარო.

¤

ჩემი ეზოს წინ ცხოვრობდა ძიმითიდან ჩამოსახლებული კაცი **სოლომონ ცინცაძე**, რომელსაც სილაურელი მეუღლე **ირინე ლომაძე** ჰავდა. სოლომონმა მამათის ღელიდან წყალი გამოიყვანა და ეზოს ბოლოს ორდოლაბიანი წისქვილი გამართა, რომელსაც კეცის ქვისაგან გამოთლილი ორი მაღალი კოდი ჰქონდა. ასეთი მასალისაგან ასე ნატიფად დამზადებული კოდი მეტი მე არ მინახავს. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ, რაც სიყვარულითა და ერთგულებითაა ნაგები, ზედვე ეტყობა. საბჭოთა ხელისუფლებამ სოლომონს წისქვილი ჩამოართვა, მაგრამ მეწისქვილედ მაინც დატოვა.

სოლომონი და ირინე ტრაგიკული მშობლები იყვნენ. უფროსი ვაჟი **არონი** მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა, მეორე ვაჟი **კონსტანტინე** – ავადმყოფობამ. ისინი მე არ მახსოვს. ერთი, ულამაზესი ბიჭი **კოლია**, რომელსაც „მეგობარმა“ უღალატა, მიცემული ფული უუარა და დიდი ვალი დაადო, ციხეში მოხვდა და ფსიქიკურად დაავადდა. მთელი ახალგაზრდობა მესმოდა, დროდადრო ვიღაცას ეჩხუბებოდა და უყვიროდა. ირინე ადრე გარდაიცვალა, ქალიშვილი **ფლორენცია** აღარ გათხოვილა და ოჯახს უვლიდა.

უმცროსი შვილი **დავითი** (1924–1993) ნიჭიერი კაცი იყო, სილაურის სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა; ბოლოს, კარგა ხანს, დირექტორად მუშაობდა. განთქმული თამადა გახლდათ. მახსოვს, ჩიტო ქილიფთარის ქორწილში, რომელიც 22

ივნისს გაიმართა, ნეფე-დედოფალი ასე დალოცა: *დღეს წელიწადის ყველაზე დიდი, გრძელი დღეა და დიდზე დიდი დღეგრძელობა არ მოგკლებოდეთო.*

დავითის უფროსი ვაჟი **მერაბი** თბილისში ცხოვრობს, კომპიუტერის პროგრამისტია და ჩემი წიგნების გამოცემაში მეხმარება.

¤

ზოგიერთი სხვა მეზობლის შესახებ ცოტა რამ ზემოთ აღვნიშნე. ვიმეორებ, ეს ის ხალხია, რომლებთანაც გავიზარდე და მთელი ცხოვრება გავატარე, მათი ხმები სახლშივე მესმოდა, ჭირი და ლხინი ზიარი გვქონდა და ჩემს სულსა და გულში სამუდამო ბინა დაიდეს. ზოგი რამ შეიცვალა და გადაფასდა, მაგრამ, რაც ჭეშმარიტი იყო, დარჩა. ბებიაჩემის თაობა იყო ჩვენს გვერდით მცხოვრებნი **მაკა** და **ეკა** ქილიფთარები, უკვე ვახსენე **ირინე** ლომაძე. მაშინ მეგონა, მ ა კ ა, ე კ ა, ი რ ი ნ ე მხოლოდ ბებრების სახელებია-მეთქი და გაოცებული დავრჩი, რომ ჩემს მომდევნო თაობებში ისინი გაცოცხლდნენ და მოდური გახდნენ.

რა თქმა უნდა, ვატყობ, ჩემი კუთხის მეზობლებზე ეს მონაყოლი რეკვიემად ჟღერს. ალბათ, ამაში სიბერემ თავისი წილი დაიდო. მახსენდება **გურამ ბარნოვისგან** გაგონილი კინომსახიობ **გურამ ლორთქიფანიძის** ნათქვამი: *ახლა, ამ სიბერისას, „ვრემია“ რომ აცხადებს, ამდენი და ამდენი ტონა „ჩუგუნი“ გამოვადნეთ, ამაზეც ვტირიო.*

თუნდაც ასე იყოს, მე ამის გამოც ჩემი მეზობლების მადლობელი ვარ.

მ ა მ ა თ ი
(ლანჩხუთის რაიონი)

ამათი

მამათი უშუალოდ ეკვრის სილაურს. იგი ედუარდ შევარდნაძის მშობლიური სოფელია. ამიტომ ბატონი ედუარდის ზეობის

წლებში მას „*ცარსკოე სელოს*“ ეძახდნენ. რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, იმხანად სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა მისი ოპოზიციონერი გახლდათ. რაკიღა მისი ახლობლების უმეტესობა მდიდარი ბიზნესმენი გახდნენ, ამბობდნენ: „*მამათისთვის*“ *სახელი შეუცვლიათ და* ***ა მ ა თ ი*** *დაურქმევიათო.*

ეცადე!

ქვედა მამათში ცხოვრობდა **დომენტი დარჩია**, რომელიც თავიდან ჯუმათის ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის დიაკვანი გახლდათ (იმასაც ამბობდნენ, თბილისის სასუ-ლიერო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებულიო), საბჭოთა ხელისუფლების ჟამს კი დაწყებით სკოლაში რუსულ ენას ასწავლიდა. დიდი პატრიოტი იყო. ბევრი ბავშვი უხერხული სახელისაგან გადაარჩინა. შენ „მაჭაჭუნა“ კი არა, გიორგი ხარ, – ეტყოდა პირველკლასელს და ამ სახელს უმკვიდრებდა. იმდენად კეთილშობილი კაცი იყო, მოსწავლეებს „ცუდ“ ნიშანს არ უწერდა. მის ნაცვლად ხმარობდა სიტყვას – „ეცადე!“

წამხდარი

ყმაწვილობისას **მიშა დობორჯგინიძე** (1937-2010) გვერდით მცხოვრები ბიძის ალუჩაზე ავიდა. ბიძამისმა, **პეტრე დობორჯგინიძემ**, უსაყვედურა: რა დროს ალუჩაა, მაგაზე ჯერ ნუგზარიასაც (ნუგზარი მისი ვაჟია) არ ვუშვებ, ვაცალოთ დამდიდრება-დამწიფება და ერთად ვჭამოთო.

– ახლავე, ბიძია, პირი მაქვს წამხდარი, ორ-სამ ცალს შევჭამ და ჩამოვალ. – ჩამოსძახა მიშამ და ზევით–ზევით აიწია.

– მარტო პირი? შენს სიწამხდრეს ალუჩა კი არა, რა უშველის, ბიჭო!? – განაზოგადა პეტრემ ძმისშვილის ნათქვამი.

„*პირი მაქვს წამხდარიო*“ გურიაში პირის გემოს დაკარგვაზე ამბობენ.

ფული და სამართალი

მიშა დობორჯგინიძემ თქვაო, თუ *ფული გაქვს, სიმართლე არ დაგეკარგებაო* (მაშინ, სოციალიზმის დროს, ეს ჭეშ-

მარიტება ბევრმა არ იცოდა და ამ სიტყვებს კურიოზად აღიქვამდა).

ღომის კბილი

ოზურგეთში წვეულებაზე ღომი ჩამოატარეს და **მიშა დობორჯგინიძესაც** შესთავაზეს.

— გაწი, ბიძია, იქით, სადა მაქვს მაგის კბილი! — იუარა მიშამ (მიშას, თურმე, ღომი არ ჰყვარებია).

სიმსუქნე

მიშა ძალიან გასუქდა, 140 კილომდე იქნებოდა. ადრე საოცრად სხარტი და მოქნილი კაცი ახლა ძლივსღა დადიოდა, გულმაც შეაწუხა. გასახდომად რამდენიმეჯერ საავადმყოფოშიც იწვა. როცა ერთხელაც საავადმყოფოში ვინახულე და ვკითხე, თუ მოიკელი-მეთქი, მიპასუხა: *კი, ოღონდ ჭკუაშიო!*

მიშამ ოზურგეთში ხელოსანს სკამი გააკეთებინა, რომელიც მალე დაიშალა. დანგრეული სკამი მიშამ ხელოსანს მიუტანა, *ეს რა სკამი გამიკეთეო?!*

— შენ დამჯდარხარ ამაზეო! — თავი გაიმართლა ხელოსანმა.

ბიძა და ნერგები

მიშა დობორჯგინიძესა და მის ერთ ბიძას (დეიდის მეუღლეს) ერთმანეთი თვალში არ მოსდიოდათ და მწარე სიტყვებსაც არ ერიდებოდნენ. მიშას ბიძა წინ შემოეყარა, ნერგები მოაქვს. მიშა, ვითომცდა დიდად აინტერესებდა, ეკითხება, *რისი ნერგებიაო?* ბოლოს ურჩევს: *წვერით დარგი, ნაყოფს მიწაში მოგცემსო.*

გატყავება

მამათელი **სერაპიონ კილაძე** ამაგდარი გლეხკაცი იყო. ერთხანს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედაც მუშაობდა და საკოლმეურნეო მშენებლობაში დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი. თანასოფლელები მას იგონებენ როგორც გამორჩეული ზნეობის, შრომისმოყვარე, სოფლის ერთგულ, პრინციპულ, გონებაგამჭრიახ

და ენამოსწრებულ კაცს. თუმცა თავისი შეუვალი და მებრძოლი ხასიათის გამო ზოგი ინტრიგანსაც ეძახდა.

ერთ დღეს, როცა ლანჩხუთის რაიკომის ბიუროს წევრი იყო და რაიკომში მიიჩქაროდა, სერაპიონმა დილით ავტობუსის გასვლამდე წვერის გაპარსვა ვერ მოასწრო და ლანჩხუთში საპარიკმახეროს მიაკითხა. პარიკმახერს მახვილი სამართებელი დანა არ აღმოაჩნდა, სახე ვაგლახად აუფხეკა და რამდენიმე ადგილას კიდევაც დაუსისხლიანა.

იქიდან გამოსულს ერთი კაცი შემოეყარა, რომელმაც ჰკითხა: *მონადირეთა კავშირს ხომ ვერ მიმასწავლით, ტურა დავიჭირე, გამტყავებელი მჭირდება, რომ ტყავი ჩავაბაროო.*

მაშინ სახელმწიფო ტურისა და სხვა მტაცებელთა ტყავს კარგ ფასად იბარებდა.

— მონადირეთა კავშირი არ ვიცი, ტყავს კი აი, აქ ხდიანო! — მიუგო სერაპიონმა და საპარიკმახეროზე მიუთითა.

სტაჟი თუ ნიჭი

იმხანად, როცა შრომაში წასახალისებლად მუშებისა და გლეხებისათვის უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ეგრეთწოდებულ ლიმიტებს იძლეოდნენ, ერთ წელიწადს ერთი ასეთი „ლიმიტი“ მამათსაც ერგო. იმის გადასაწყვეტად, თუ ვისთვის მიეცათ იგი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე **პრომეთეოს შევარდნაძემ** სოფლის საერთო კრება მოიწვია.

— გვყავს ორი კანდიდატურა, — განუცხადა მან კრებას, — ერთი, რომელიც წელს საშუალო სკოლას ამთავრებს, პირველი კლასიდანვე კარგი მოსწავლეა, კოლმეურნეობაშიც კარგად მუშაობს, ოღონდ სკოლის შემდგომი მუშაობის სტაჟი არ გააჩნია. მეორე სტაჟიანია, აგერ შვიდი წელია, ფერმაში მუშაობს, საუკეთესო მშრომელია, მაგრამ სკოლაში სწავლით არ გამოირჩეოდა.

კრებაზე ცხარე კამათი გაიმართა. ზოგმა პირველს დაუჭირა მხარი, ზოგმა — მეორეს. სიტყვით გამოვიდა სერაპიონ კილაძე.

— თუ უმაღლეს სასწავლებელში — თქვა მან, — ვაგზავნით და ველოდებით, იქიდან ნასწავლი დაგვიბრუნდეს, ის უნდა გავგზავნოთ, ვისაც განათლებისაკენ მიდრეკილება, ნიჭი

და უნარი აქვს. თუ კოლმეურნეობაში შრომისა და დამსახურების მიხედვით ვარჩევთ, ლიმიტი, უპირველესად სულ სხვას, – **თედორე ჩხაიძეს** ეკუთვნის. მასზე მეტი ნაშრომი კოლმეურნეობაში არავის აქვს (თედორე ჩხაიძე ოთხმოც წელს მიტანებული კაცი იყო).

ორი მეველე

მამათშივე კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დამატებითი მეველის დანიშვნის საკითხს განიხილავდნენ.

– კოლმეურნეობის ყანებში ვიღაც ღამღამობით სიმინდს იპარავს. როგორც ჩანს, ერთი მეველე საქმეს ვერ აუდის, მეორის დასანიშნავად თქვენი ნებართვაა საჭირო, რადგან უამისოდ მისთვის ხელფასის მიცემის უფლება მე არა მაქვს, – განმარტავს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ამან კრების უკმაყოფილება გამოიწვია.

– აქამდე თუკი ყოფნიდა ერთი მეველე, საყანე ფართობი არ გაზრდილა და, არ გვესმის, რა იწვევს ამის აუცილებლობასო, – ჩიოდნენ ისინი.

– დიახ, უნდა დავნიშნოთ მეორე მეველე, – ყველასაგან მოულოდნელად ამბობს სერაპიონ კილაძე და დასძენს: – აუცილებელია ეს! ახლა, ბიძია, ისეთი დრო მოვიდა, ერთ საქმეში ყველგან ორი კაცია საჭირო. კაცი სიმინდს რომ მოტეხს და გოდორში ჩაყრის, იმას გოდრის წამომწევად მეორე კაცი სჭირდება, აბა, არ სჭირდება?!

სერაპიონმა და სხვებმაც მშვენიერად იცოდნენ, რომ სიმინდის ქურდობაში უცოდველები არც მეველეები იყვნენ.

მოძრავი საპირფარეშო

ერთხანს საბჭოთა ხელისუფლების (ხრუშჩოვის) დროს სასოფლო საბჭოებს ხან აერთიანებდნენ და ხან აცალკევებდნენ. მამათის კოლმეურნეობის ფიცრული კანტორის კიბეზე რაიკომის ინსტრუქტორი ჩამოდის და იქვე, ხის ქვეშ, მჯდომ სერაპიონ კილაძეს ეკითხება, საპირფარეშო სად არისო (სოფლად საპირფარეშოები შენობებისგან მოშორებით დგას).

– *ამ კანტორის უკან იყო*, – უპასუხა სერაპიონმა, – *მაგრამ ახლა აცანას მიგვაწერეს და, შეიძლება, ისიც იქ გადაიტანესო.*

თხა

სერაპიონს მეწველი თხა დაუბერდა და ცოლის დაჟინებული თხოვნით ლანჩხუთის ბაზარზე გასაყიდად გაიყვანა.

თხა კარგად მოვლილი და მსუქანი იყო, ცურიც დიდი და რძით გატიკნილი ჰქონდა. მუშტარიც ბევრი მოვიდა, მაგრამ თხას კბილებს გაუსინჯავდნენ თუ არა, ბებერი ყოფილაო, აღარ ყიდულობდნენ.

სერაპიონი ქვაზე იჯდა, სამყენი „ჯაყვით“ ჯოხს თლიდა და ახალ მუშტარს მოთმინებით ელოდებოდა. ბოლოს ახალგაზრდა კაცი მოვიდა, თხა მოიწონა, ფასზე რომ მოურიგდა და სერაპიონს ფული ჩაუთვალა, პირუტყვს კბილი მერე გაუსინჯა.

— ამ თხას, ბიძია, კბილები არ ჰქონია! — შეწუხებული ხმით ამბობს მყიდველი.

— კი, ბიძია, არა აქვს!... მაგრამ ეს სიბერით კი არ ჭირს, ჯიშია ასეთი. მაგი საგანგებოდ გამოყვანილი საბაღე თხა არის. გაუშვი ბაღში, ნარგავებს, ხეხილს პირს არ ახლებს, მარტო იბალახებს და ბალახით გაძღება! — ღიმილით „უხსნის“ სერაპიონი.

თხა შესანიშნავი საყოლია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს; ყველანაირი მცენარის, საკმაოდ სქელკანიანებისაც, გახრა და განადგურება იცის. მყიდველი შესანიშნავად ხვდება სერაპიონის ხუმრობას, ისიც იღიმის და თხა მიჰყავს.

წყალწაღებული

მამათელი **გურამ კილაძე** თბილისში ბინის მიღების აღრიცხვაზე, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ხდებოდა, დიდი ხნის განმავლობაში იდგა. ის იყო, რიგი მოუვიდა, აღმასკომში უთხრეს: ახლა რომ წყალდიდობა იყო, დაზარალებულები უნდა დავაკმაყოფილოთ, თქვენ კვლავ დაცდა მოგიწევთო. გაჯავრდა გურამი: *მე ბავშვობიდანვე წყალწაღებული ვარ და რაღაც საშველი არ უნდა დამადგესო?!*

დანტროვა

როცა გურიაში (და არა მარტო გურიაში) პატარძალი არ მოეწონებათ, ნეფეზე და, თუ ნეფე არ მოეწონებათ, პატარძალზე

იტყვიან: დ ა ნ ტ რ ო ვ ი ლ ა, ფ ე ხ ი ან კ ი ს ე რ ი მ ო უ ტ ე ხ ა ო (ე. ი. დამტვრეულა, წაქცეულა, დაცემულაო).

— ამდენი კაი ქალი ეძლეოდა და მაინცადამაინც მაგასთან მ უ უ ტ ე ხ ი ა ფეხი!

— გიეპარა დედამისს და მაგ ოჯახში მ ე ი ტ ე ხ ა კისერი და კინჩხი!

— ვაი, ეს საცოდავი რავა დ ა ნ ტ რ ო ვ ი ლ ა, ეს რა მოუყვანია!

როცა **გივი დარჩია** დაქორწინდა, ცოლთან, **ეთერ გოგსაძესთან**, ერთად თბილისიდან მამათში ჩავიდა, თავის მეზობელ **გურამ კილაძეს** ცოლს აცნობს და ეკითხება:

— ე, ბიჭო, კარგად შეხედე, ხომ არ დავმტვრეულვარ?

გურამი პატარძალს ხელს ართმევს, უკან იხევს, თავიდან ფეხებამდე დემონსტრაციულად ათვალიერებს და გივის ეუბნება:

— შენ, ჩემო ძმაო, კარგად გასულხარ, მარა აი კაი გოგო კი მაგრად დანტროვილა!

ცქმუტავთ!

ბარემ აქვე მოვყვები გივის ნაამბობს:

გივი დარჩიას შვილი **მარიკა**, ცნობილი ჟურნალისტი, თბილისში დაიბადა და გაიზარდა. ერთ დღეს თბილისში თავისი მანქანით ბენზინის გასამართავ სადგურს მიადგა. ვინაიდან გრძელი რიგი იდგა, მანქანიდან გადმოვიდა და იქვე ბოლთას სცემდა.

მასთან მიდის ხანშიშესული კაცი და ეკითხება: საიდან ბრძანდებითო?

— რატომ მეკითხებით? — ცივად პასუხობს მარიკა.

— გურული იქნებით! — არ ეშვება ის.

— საიდან ხვდებით? — იკვირვებს მარიკა.

— რომ დგახართ, ცქმუტავთ! — სერიოზულად და დაბეჯითებით ამბობს უცნობი.

არჩევნებზე

მამათელი **შოთა დარჩია**, სტუდენტი, შევარდნაძის დროინდელ ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე, როგორც დამკვირვებელი, თბილისიდან მამათში ჩავიდა. აქ მისი ნათესავი კენჭს იყრიდა. ამ-

იტომ საარჩევნო ყუთთან ბეჯითად დგას და მთელი მონდომებით ცდილობს, რაიმე დარღვევა არ გაეპაროს.

მოვიდნენ მოხუცი კაცი და ქალი. ქალს უფრო უჭირდა სიარული და კაცი ხელით ეშველებოდა. როცა მათ საარჩევნო ბიულეტენები აიღეს, ორივე ერთად გამოყოფილი კაბინისაკენ გაემართა. შოთა გამოუდგა და მკაცრად ეუბნება: *ცალ-ცალკე შებრძანდით, ორივეს ერთად შესვლა არ შეიძლებაო!*

– იცი, რას გეტყვი, ბაბუა, – მოუბრუნდა კაცი, – აი ქალი მისმა მშობლებმა, სანამ ცოცხლები იყვნენ, 35 წელი ლოგინში მანდეს და შენ აქანე ერთი წუთითაც ერთად არ გვიშვებ?!

სიცილისა და აჟიოტაჟის შემდეგ გაირკვა – ეს მოხუცი კაცი დარჩია ყოფილა.

პასუხი?

– *„გიორგი, გიორგი!“* – ასე ეძახდი, ბიძია, წელან ვიღაცას ძილში. – ვეუბნები ახალგამოღვიძებულ ბიძაჩემს (დეიდის ქმარს), **მამია სამსონიას**.

– მერე მან რა მიპასუხა? – სერიოზული სახით მეკითხება ის.

გამოცანა

ბიძაჩემი **მამია სამსონია** თავის ვაჟს, ჩემს დეიდაშვილს **მიხეილს**, სახუმარო გამოცანას ეუბნება:

– *რა არის, ხელში ავიღე კალათი, თურმე გოდორი ყოფილა?*

– აი, მამა, ვერ დაგინახავს, რა აგიღია! – სერიოზულად პასუხობს მიხო.

გავიდა ხანი. მიხომ ჯარიდან უმაღლეს სასწავლებელში მოსამზადებელ კურსებზე შესასვლელი ლიმიტი ჩამოიტანა, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიურ-ორგანიზაციულ ფაკულტეტზე სათანადო გამოცდებიც დაიჭირა და მოხდა უცნაური ამბავი: ერთი ჯგუფი, მათ შორის მიხეილიც, ჩაირიცხა ცხინვალის ინსტიტუტის აღნიშნული ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე!

მაშინ მიხოს ვუთხარი: აი, მაგაზეა ნათქვამი მამაშენის გამოცანა: *ხელში ავიღე კალათი, თურმე გოდორი ყოფილა! მე რომ მეგონა თბილისი, თურმე, ცხინვალი ყოფილა!*

ლტოლვა მაღალი საზოგადოებისაკენ

როცა ამ ჩემს დეიდაშვილს, **მიხეილ, მიხო სამსონიას**, სიყვარულის ასაკი დაუდგა, დიდი „გემოვნება“ გამოამჟღავნა. ჯერ კიდევ მამათში იყო, მთხოვა: ***ნინო ანანიაშვილი*** *გამაცანიო*. გადაწყვეტილება „მოვუწონე“: *შენ და შენს ოჯახს სწორედ ასეთი ქალი შეგეფერებათ. ბოსტანში ჩასასვლელად ჭიშკარი არ დასჭირდება: წკუპ, ღობეს გადააბტება, კიტრს, პამიდორს, მწვანილს მოკრეფს, ისევ წკუპ და უკვე სუფრასთანაა-მეთქი.*

სტუდენტობისას ერთ ხანს თბილისში ჩემთან იყო. სიცოცხლე გამიმწარა. მეშინოდა, ამ ობოლ ბავშვს რამე არ დამართოდა და მოვითხოვე: საღამოს თერთმეტი საათისათვის ორივე შინ ვყოფილიყავით. რის თერთმეტი, რა თერთმეტი, ხან შუაღამით მოვიდოდა, ხან — სულ არა! გული მისკდებოდა, ღამეებს თეთრად ვათენებდი.

ამ დროს **ქეთევან არახამია** საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭადრაკში და მიხეილმა ახლა მისი გაცნობა დამავალა. უარი არც ახლა მითქვამს. ერთხელაც, მთელი ღამე რომ მაყურყუტა და შინ არ მოვიდა, როცა გამოჩნდა, ისევ შევეხვეწე:

— ა, ბიჭო, შინ რომ ვერ მოდიოდე, ის მაინც ჰქენი, მითხარი, სადა ხარ: არახამიას დედამ რომ დარეკოს და გიკითხოს, რა უნდა ვუთხრა?!

სამსახურში რაღაც სხდომა გვქონდა და შინ გვიან, დაღამებისას, მოვედი. ვაღებ კარებს და ვერ ვაღებ. როგორც იქნა, გავაღე, შევედი, სიბნელეა და მაღალი ქუსლების პაკაპუკი მესმის. ვიძახი: *ელზა ხარ?* (ელზა მიხოს და არის). პაკაპუკის ხმა საწოლ ოთახში შევიდა. ავანთე სინათლე და ლოჯიაში დავჯექი. მიხეილი ვიღაც გოგოსთან ერთად საწოლი ოთახიდან გამოვიდა და ისე წავიდნენ, ჩემკენ არ გამოუხედავთ.

ორი თუ სამი საათის შემდეგ მიხო მობრძანდა და მაგიდასთან წინ დამიჯდა. რაღაცას ვკითხულობდი და აღარ გამოვლაპარაკებივარ. ერთხანს მიყურა, მიყურა და მერე მეუბნება:

— იმ გოგოზე რამე გლახა არ იფიქრო!

— რას ამბობ, მიხეილ, რა გლახა უნდა ვიფიქრო, საიდან დაგებადა ეს ეჭვი?!

— იგი სტუდენტი, უპატიოსნესი გოგოა, რამე რომ გაიგოს, თავს მოიკლავს! — აგრძელებს მიხეილი.

— რა მეთქმის და რა უნდა გაიგოს, მერე რაა, რომ სიბნელეში მეცადინეობდით. პირველად მაღალქუსლიანების პაკაპუკის ხმა რომ გავიგონე, ერთხანს თაგვი მეგონა, ბატინკებიანი თაგვი! თუ კაცი ხარ, შენ არ შეგეპაროს რამეში ეჭვი, თორემ თქვენს, ორივეს, გულწრფელობაში ეჭვშესატანი რა არის?! — ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე.

წინასწარი გარკვევა

მიხეილმა ჩემთან ჩემი მეგობარი გაიცნო, რომელიც თბილისში პროკურორად მუშაობდა. საღამოს მასზე მეკითხება, შვილები ვინ ჰყავსო? ვუთხარი, ერთადერთი ანგელოზივით გოგონა ჰყავს, რომელიც წელს სამედიცინოს ამთავრებს–მეთქი. სინამდვილეში მას ქალ–ვაჟი ჰყავდა და ჰყავს. გოგონა კი მესამე კლასში სწავლობდა.

— მერედა, თუ ასეთი გოგო ჰყავდა, აქამდე რატომ არ გამიმხილე? — მსაყვედურობს მიხო. უცებ მომიბრუნდა და ჩემს მეგობარზე მეკითხება:

— ფულს თუ იღებს?

მიხეილის შეკითხვა უსაფუძლო არ იყო. კარგად იცოდა, მე ქრთამს არ ვიღებდი და, ვაითუ ჩემი მეგობარიც ჩემნაირი გამომდგარიყო!

ფილოსოფიის ჩაბარება

ფიზკულტურის ინსტიტუტში **მიხეილი,** ისე როგორც სხვები, ძირითადი საგნების ჩასაბარებლად ფულს აგროვებდნენ და ლექტორს ჯიბეში უკუჭავდნენ. ეს ის დროა, მიხო მდიდარ საცოლეს რომ ეძებს. ვახარებ: აგერ ერთი გადასარევი გოგოა, სამედიცინოს ამთავრებს, გარეგნობით დედა რა ვნახეო, ისეთია, მამამისი ფულში ცურავს. ამ თავის ქალიშვილს ეუბნება: რომ გათხოვდები, შვილო, შენს ქმარს სამ გასაღებს გადავცემ: ერთი ოთხოთახიანი ბინისა იქნება, მეორე — „გარაჟისა“, მესამე — „ვოლგისა“ (მაშინ

ყველაზე კარგი ავტომანქანა ეს იყო). შენს შესახებ ველაპარაკე ამ გოგოს – სადაურიცა ხარ, სად სწავლობ, საგნებს როგორ აბარებ და მაგისთვის ფული რომ არ გენანება, გარეგნობით როგორიცა ხარ (მიხო, ძველი ბერძნები ზევსს რომ ხატავდნენ, იმას ჩამოჰგავს). გოგო დამეთანხმა – რაც ჩამოთვალე, სიმართლეც რომ არ იყოს, ჩემთვის ისიც საკმარისია, მამათიდან რომ არის, აუცილებლად გავყვები, ოღონდ ერთი პირობით, – ფილოსოფია თავისით უნდა ჩააბაროსო.

მიხოს პასუხია: ბორია, რეიზა გაართულე ასე?!

მკითხველს ახსნა არ დასჭირდება: გართულება ფილოსოფიის ჩაბარებას ნიშნავს!

მასწავლებელი – წმიდათაწმიდა სახელი

როცა თბილისში ამბავი ჩამოვიდა, მიშა მასწავლებელი დაუყაჩაღებიათო, გამეღიმა. წარმოვიდგინე: შორიდან მოსული უცხო ქურდები მიშა მასწავლებლის ოჯახში შევიდნენ, შეშინებული თვალებით გაიხედ-გამოიხედეს, განსაკუთრებული ვერაფერი შენიშნეს; ნახეს: ჩვეულებრივი სოფლის ოჯახია, სადაც პენსიონერი ცოლქმარი მარტოდმარტო ცხოვრობს. ყველაფერს ფაქიზი, მზრუნველი ხელი ატყვია; მოიხიბლნენ მოხუცების სიდარბაისლით; მიშა მასწავლებელი ორიოდე სახუმარო სიტყვასაც ეტყოდა... ქურდები დაირცხვენდნენ, გამოუტყდებოდნენ: შავ დღეს წავკიდებთ მას, ვინც თქვენი სახლი მოგვასწავლაო, ბოდიშს მოიხდიდნენ და წავიდოდნენ.

დიახ, ასე ვიფიქრე და წარმოვიდგინე, მაგრამ, ვაგლახ, რომ მომხვდურებმა ბოლოს საშინელი ტრაგედია დაატრიალეს. პირველ მოსვლაზე მსუბუქი ავტომანქანა წაიყვანეს და ხელს ტანსაცმელები და ფეხსაცმელები გააყოლეს. წლინახევრის შემდეგ, 1994 წლის 7 იანვარს, შობა დღეს, ისინი (თუ სხვა ყაჩაღები) ისევ მიადგნენ მიშა მასწავლებელს და ის, 82 წელს მიტანებული კაცი, ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს და 15 დღე დატყვევებული ჰყავდათ. გადის ერთი წელი და 29 აპრილს ყაჩაღები ღამით ისევ თავს დაესხნენ მარტოდმყოფ ცოლ-ქმარს, შეკრეს მოხუცები და ორსაათ-ნახევარი აწამეს. საკბილო რომ ვერფერი იშოვეს, უმწეოებს ცეცხლი წაუკიდეს და გაიქცნენ.

მესმოდა ეს ამბები და აღშფოთებასთან ერთად გაოცებული ვიყავი: ვინ იყვნენ ასეთი (შესაფერი სიტყვა ვერ მიპოვნია) ველურები, ნაძირლები, სულით ავადმყოფი სადისტები?! მას შემდეგ სულ ვფიქრობ და აქამდე ვერ ამიხსნია, როგორ შეიძლებოდა, მიშა მასწავლებელს უღრმესი მოწიწებისა და პატივისცემის გარეშე მოპყრობოდი!

მიშა მასწავლებელი — **მიხეილ ივანეს ძე მალაზონია** — ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის მკვიდრი იყო და ჩემი სოფლის (სილაურის) რვაწლიანი სკოლის გეოგრაფიისა და გერმანული ენის მასწავლებელი გახლდათ, კაცი ყველა ღირსებით შემკული, პიროვნება, რომელიც თავის თავში ზის და არასოდეს მერყეობს.

აი, ახლა წინ მიდევს არქივიდან ამოღებული მისი პირადი საქმე და ვხედავ, რა მძიმე ცხოვრების გზა გაუვლია მას.

დაბადებულა 1912 წლის 6 აგვისტოს. 1926 წ. დაუმთავრებია ადგილობრივი შვიდწლიანი შრომის სკოლა და სწავლა ოზურგეთის ჩაის ტექნიკუმში გაუგრძელებია. მეორე კურსიდან გადასულა ქობულეთის სუბტროპიკულ ტექნიკუმში, რადგან იქ სატრაქტორო და მძღოლთა კურსები არსებობდა. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ სოფელს დაბრუნებია. 1932 წ. იქვე მცხოვრებ იოსებ ტარასოვთან ერთად ქუთაისიდან მამათში პირველი ტრაქტორი ჩამოუყვანია და ერთხანს ტრაქტორისტად უმუშავია. აქედან მამათის ჩაის ფაბრიკაში უმცროს ტექნოლოგად გადასულა. 1935–1939 წლებში ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბიოლოგია–გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტია, რომლის დამთავრების შემდეგ მახლობელი სოფლის, ქვემო აკეთის, საშუალო სკოლის ბიოლოგია–გეოგრაფიისა და გერმანული ენის მასწავლებელია. 1940 წლის იანვარში გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, რასაც მეორე მსოფლიო ომი მოჰყვა და ისიც ბრძოლაში ჩაება. ორჯერ დაიჭრა, მაგრამ შინ არც ერთხელ დაბრუნებულა. 1943 წელს ტყვედ ჩავარდა, ოჯახს მისი უგზოუკვლოდ დაკარგგვის ცნობა მოუვიდა. ცხრა თვის შემდეგ ტყვეობიდან გამოიპარა და ვინიცის ოლქში (უკრაინა) საბჭოთა არმიას შეუერთდა. ამის შემდეგაც ფრონტზეა და ომის დამთავრება ბერლინში იზეიმა. შინ მეორე დემობილიზაციით 1945 წლის ნოემბერში დაბრუნდა. მიღებული აქვს 6 მთავარსარდლობის მადლობა და 7 სახელმწიფო ჯილდო, მათ შო-

რის მედლები: „მამაცობისათვის“, „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

მალე მუშაობას იწყებს ქვემო აკეთის საშუალო სკოლის სამხედრო-ფიზიკური მომზადების მასწავლებლად, ხოლო 1946 წლის სექტემბრიდან ჩემი სოფლის 8-წლიანი სკოლის გეოგრაფიისა და გერმანული ენის მასწავლებელია. გერმანულს ასწავლიდა 1973 წლამდე, გეოგრაფიას – ბოლომდე, პენსიაზე გასვლამდე (1983 წ.).

მიშა მასწავლებელი, ბუნებით ნიჭიერი კაცი, გამუდმებით იმაღლებდა კვალიფიკაციას. 1947–1954 წლებში დაუსწრებლად სწავლობდა და დაამთავრა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი.

მოსწავლეებს ის ყოველთვის წარმოგვიდგებოდა თავისი საგნების ღრმა მცოდნედ და მოსიყვარულე პიროვნებად. გერმანული ენის მასწავლებლობა თავიდან, ალბათ, სამუშაო განაკვეთის შესავსებად დაიწყო, მაგრამ ტყვეობაში მას ეს ენა იმდენად გაეტეხა, რომ, როგორც ახლა ვაფასებ, ამ საგნის ჩინებული მცოდნე გახლდათ. სილაურის სკოლის კურსდამთავრებულები, რომელ საშუალო სკოლაშიაც კი სწავლა გააგრძელეს, გეოგრაფიასა და გერმანული ენის გრამატიკაში მომზადებით ყველგან გამოირჩეოდნენ.

ერთ რამედ ღირდა ჩვენს სკოლაში ხის თამასით ფაქიზად გაკრული რუკების ნახვა, მაშინ როდესაც მეზობელ სოფლებსა და თბილისის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებშიაც ბევრჯერ მინახავს კედელზე ლურსმნით ყრუდ მიჭედებული რუკები, რომელთა გადაადგილება გაძნელებულია. ასევე, დაშნასავით ტარები ჰქონდა და გამორჩეული და ლამაზი იყო რუკის გადაასადგილებელი ორკაპი და რუკაზე საჩვენებელი წაწვეტებული ჯოხებიც, რომლებიც მოსწავლეებს კონკურსის წესით დაგვამზადებინა და გამარჯვებულები შეგვაქო.

ომი დიდი ხნის დამთავრებული არ იყო და სოფლის სკოლებში საგნობრივი წრეები იშვიათი ხილი გახლდათ, ჩვენთან კი გეოგრაფიის წრე საინტერესოდ და საქმიანად მუშაობდა. მეექვსე კლასში ვიყავი, მიშა მასწავლებელმა ბროშურა და ჟურნალ-გაზეთებიდან რამდენიმე ამონაბეჭდი გადმომცა და დამამუშავებინა თემა „ეულკანები“. განხილვისას ჩემმა კლასელმა მიშა კილაძემ მკითხა:

ვულკანებს დადებითი მნიშვნელობა აქვს თუ უარყოფითი. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ის ასაკია, როცა „დადებითი“ და „უარყოფითი“ სიტყვების ცოდნა და გამოყენებაც საქმეა. რეფერატში ამაზე არაფერი მეწერა და პასუხი ერთბაშად მოვიფიქრე. უარყოფითად ვულკანების დამანგრეველი შედეგები შევაფასე და დადებითად თბილი სამკურნალო წყლებისა და ნაირფეროვანი საშენი ქვების წარმოშობა. სწორად ვამბობ თუ არა–მეთქი, მიშა მასწავლებლისაკენ მზერა გავაპარე. ახლაც თვალწინ მიდგას მის სახეზე გადაფენილი კმაყოფილების ღიმილი.

მიშა მასწავლებელი მოსწავლეთა მიმართ მუდამ მორიდებამდე ტაქტიანი და სამართლიანი იყო. ყველა მის სიტყვასა და ქმედებაში მათდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა იგრძნობოდა.

აგრაფინე დარჩიამ თავისი უმცროსი ვაჟის, იაშა მექვაბიშვილის, მოსწავლეობისდროინდელი ერთი შემთხვევა მოიგონა: გაკვეთილები გამოსული არ იყო და იაშას შუკაში ვხედავ. მიზეზი რომ ვკითხე, ამიხსნა: მიშა მასწავლებელს ტალახში მანქანა ჩაუვარდა, ვერ მოვიდა, მისი გაკვეთილი გაგვიცდა და წამოვედიო. ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, კიდევაც გამიხარდა, იაშა საქმეზე მყავდა გასაგზავნი და კიდევაც გავაგზავნე. ერთი საათი არ გასულა, მიშა მასწავლებელი ჭიშკარს მოადგა და იაშაზე მკითხა, ეს თქვენი ვაჟბატონი სად ბრძანდებაო? მივუგე, რაც იაშამ მითხრა. მიშას გაეცინა: — ჰო, იმიტომ მოვედი, ტალახიდან მანქანის ამოყვანაზე რომ მომხმარებოდაო. — თქვა და წავიდა.

მეორე დღეს შემცბარი იაშასთვის მიშა მასწავლებელს არაფერი უთქვამს. ძნელი მისახვედრი არაა, მოსწავლეზე რამდენად ზემოქმედების ძალა ექნებოდა მის ნამუსზე შეგდებას.

მიშა მასწავლებელი არა მარტო თავის საგნებს გვასწავლიდა, არამედ ყოველი მასთან შეხვედრა ზნეობისა და კაცობის გაკვეთილს წარმოადგენდა. მასში თანაბრად იყო შეზრდილი ფიზიკური ძალა და სათნო, შემწყნარებლური ხასიათი. ლამაზი პირისახისა, საშუალოზე ცოტათი მაღალი, მხარბეჭიანი და ჩამოქნილი ტანისა გახლდათ, ცოცხალი და ვაჟკაცური მიხრა–მოხრა ჰქონდა. ჩვენ, ბავშვებს, მტკიცედ გვჯეროდა, რომ ის ე. წ. ფიქალგვერდიანი იყო.

ერთხელ, ასაკით ჩვენზე საკმაოდ უფროსმა, წვერულვაშ-ამწვანებულმა, ჯანმაგარმა და ჩხუბისთავმა მოსწავლე შოთა ლომაძემ, რომელიც ომის გამო სწავლას ჩამორჩა და ჩვენთან, მე-7 კლასში, ღამის სკოლიდან გადმოვიდა, გაკვეთილის არევა მოინდომა. მიშა მასწავლებელმა რამდენიმეჯერ შენიშვნა მისცა, მაგრამ, რომ აღარ გაჩერდა, გაკვეთილის დატოვება მოსთხოვა. იგი გაძალიანდა. მაშინ მიშა მასწავლებელი მასთან წყნარად მივიდა, მკლავზე ხელი მოჰკიდა და გარეთ გაიყვანა. შემდეგ შოთა ჰყვებოდა: ხელი ისე მაგრად ჩამავლო და მომიჭირა, მეგონა, ძვალს დამიმტვრევსო.

მიშა მასწავლებელი მამათში სილაურის სკოლიდან საკმაოდ შორს, 4 კილომეტრის დაშორებით, ცხოვრობდა. სანამ „მოსკვიჩს“ შეიძენდა, სკოლაში მოსასვლელად კარგა ძალი მანძილი საცალფეხო გზით უნდა ევლო, ორი ხევი და ორი სერი უნდა გადმოევლო, სკოლაში კი დამლაგებლის შემდეგ ყოველთვის პირველი მოდიოდა. არ მახსოვს, გაკვეთილი გაეცდინოს. მუდამ გაპარსული და კოხტად ჩაცმული იყო. თუმცა ტალახიანი გზები ჰქონდა გამოსავლელი, მის ფეხსაცმელსა თუ რეზინის ჩექმაზე ტალახის ნასახს ვერ იპოვიდით.

მიშა მასწავლებელი გონებასხარტი, ენამოსწრებული, ჯანსაღი იუმორით დაჯილდოებული კაცი იყო. ერთხელ მოსწავლეს რუკაზე რომელიღაც ადგილის პოვნა რომ გაუჭირდა და ჯოხს ფრთხილად მიაპარებდა, შესძახა: კურდღელს ეპარები თუ დათვს, მარდად მოიქეციო!

ტარიელ კილაძეს, რომელიც მოსწავლეობისას მაღალი, შავტუხა და რამდენადმე მოუხეშავი ბიჭი იყო, ინდური კინოფილმის მიხედვით „ჯაგა“ შეარქვა. იმდენად ზუსტი და მისადაგებული აღმოჩნდა ეს სახელი, თვითონ ტარიელმაც მიიღო და ოჯახში და სოფელშიაც ამ სახელით მიმართავდნენ. სამწუხაროდ, ტარიელი შუა ხნისა არც იყო, რომ გარდაიცვალა. ნიშანდობლივია, რომ საფლავის ქვაზე მის ნამდვილ სახელს ფრჩხილებში ეს ზედმეტი სახელიც ახლავს.

მახსოვს, ერთმა მეგობარმა ტარიელს სიყვარულით ბეჭებზე ხელი დაჰკრა და მიშა მასწავლებელს მიმართა: ეს ჯაგაიე, სკოლაში რომ არაფერს აკეთებდა, ერთხელ რატომ არ გალახეო?

მიშა მასწავლებელმა ხუმრობაზე ხუმრობითვე უპასუხა:

— სად გამელახა, სკოლაში ეს არ დადიოდა და ღამეს შინ არ ათევდაო.

სერგო ლომაძემ მიამბო: მიშა მასწავლებელი ნასაკირალის აბანოდან რომ დაბრუნდა, ეკითხე, აბაზანებმა თუ გარგოთ-მეთქი? ლექსად მიპასუხა:

„ნასაკირალში ვიყავი,
გადავაგდე ყავარჯნები;
ათი „ვანა“ მივიღე და
ვერც ვჯდები და ვეღარც ვდგები!“

მიშა მასწავლებელმა ახლობლებში დაიჩივლა, შეშა გამომელიაო.

— ასე უცებ ამდენი შეშა როგორ დაწვიო? — გაიკვირვეს.

— კი არ დავწვი, სონიამ გამცალაო.

სონია მიშა მასწავლებლის უფროსი და იყო. მაშინ დაუძლურებული ძლივს დადიოდა.

— სონიამ როგორო? — კიდევ უფრო გაიკვირვეს.

— როგორ და, ერთი ჯოხით მოდის და ორით მიდისო. — იღიმება მიშა მასწავლებელი.

როცა მიშა მასწავლებელმა პენსიაზე გასასვლელად განცხადება ოზურგეთის განათლების განყოფილებაში მიიტანა, განყოფილების თანამშრომლებმა ჰკითხეს, რატომ აჩქარებულხართ, ყოჩაღად ბრძანდებითო.

— გაკვეთილებს ახლა მარტო მე ვამზადებ და მომწყინდაო. — ხუმრობით აღნიშნა მან სწავლისადმი ის უინტერესობა, რაც ჩვენს სკოლებში თანდათან ფეხს იკიდებდა.

ყაჩაღთა ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ იმავე სერგო ლომაძისათვის უთქვამს: ფული არ გინდა? ე, ბიჭო, იშოვე ნიღაბი და ღამით ჩემთან შემოიპარეო!

ვაი, რომ მიშა მასწავლებელსა და მის მეუღლეს იმ ყაჩაღებში თავისი ყოფილი მოსწავლეც ეგულებოდა!

მიშა მასწავლებლის პიროვნული ღირსება იქიდანაც გამოჩნდა, რომ მას ძალაუფლება და თანამდებობა არასოდეს უძებნია. თუმცა მამამისი, ივანე, ძველი, 1917 წლიდან, ბოლშევიკი იყო, თვი-

თონ ყოველთვის აქტიურ საზოგადოებრივ შრომას ეწეოდა, ომიდანაც ტრიუმფით დაბრუნდა, მაგრამ კომუნისტურ პარტიაში არ შესულა. უამისოდ კი, ცნობილია, ფეხს წინ ვერ წადგამდი.

მიშა მასწავლებელი შესანიშნავი მეოჯახე კაცი იყო. მეულღლე **ქეთევან გეგენავა** მამათის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა. აღზარდეს ორი შვილი: **ლია** – ქიმიკოსი (გათხოვდა და ცხოვრობს თბილისში) და **ზაალი** – მექანიზატორი (დაოჯახდა და ცხოვრობს ბათუმში). მათგან შეეძინა ორ-ორი შვილიშვილი...

90-იანი წლებიდან, როცა ცხოვრება აირია, ვერც ლიამ და ვერც ზაალმა თავიანთი პროფესიით სამსახურის გაგრძელება ვერ შეძლეს. ლიამ სავაჭრო ჯიხურს შეაფარა თავი, ზაალმა საბაჟოში დაიწყო მუშაობა. მიშა მასწავლებლისთვის სწორედ ეს უკანასკნელი გახდა საბედისწერო. აქაოდა, ვაჟი საბაჟოში მუშაობს, ფული ექნებათო, ყაჩაღები სოფელში მარტოდმყოფთ მიადგნენ. მიშა მასწავლებელი ამაოდ უხსნიდა მომხდურებს: სასმელ-საჭმელი ჩემი კარმიდამოდანაც საკმაოდ მომდის, შვილები დამატებით სურსათსანოვაგეს თუ მომიტანენ, თორემ ფული ჩვენ რად გვინდა, რაზე უნდა მოვიხმაროთო. იგი ყოველმხრივ პატიოსანი და გაუტეხელი ვაჟკაცი იყო და, ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, *„ბილწთ არ შეეკვრა ზავითა“* და არც შინიდან ფეხი მოიცვალა. ამიტომ იყო, ეს გარეწრები კიდევ უფრო გაბოროტდნენ, ხელებ-შეკრულ მოხუც ცოლ-ქმარს ხანგრძლივი წამების შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს.

მახსოვს: ჯერ კიდევ ადრე, საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა მასწავლებელთა ხელფასი ძლიერ დაეცა, მიშა მასწავლებელმა იხუმრა: ქურდმა მასწავლებელს ჯიბეში ხელი რომ ჩაუყოს და მერე მისი ვინაობა გაიგოს, სირცხვილით დაიწვებაო. ვაი, რომ თავად ალალმართალი ყველაში ადამიანს ხედავდა! ამიტომ იყო, ყაჩაღებთან ძვირფასად მორთულ ოთახში 15-დღიან პატიმრობას, სადაც მას ნაირ-ნაირ სასმელ-საჭმელს სთავაზობდნენ, უფრო მწარედ განიცდიდა, ვიდრე უცხო ტომთან, გერმანელებთან, სიცივესა და შიმშილში გატარებულ 9-თვიან ტყვეობას. აქ მან მხოლოდ ერთი ჭიქა ცარიელი ჩაი მიიღო!

ბოლო თავდასხმა მეზობლებმა გვიან შენიშნეს, ერთბაშად ფეხზე დადგნენ და სანადირო თოფებით სროლა ატეხეს. ყაჩაღები

ათასჯერ უკეთესად იყვნენ შეიარაღებულები და ღამეს თავი ადვილად შეაფარეს. მეზობლებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ სახლში შეცვივდნენ და ცოლ-ქმარი ცეცხლს გამოსტაცეს. ძლიერი დამწვრობის გამო თითქმის ერთწლიანი წვალების შემდეგ 1996 წლის 3 აპრილს მიშა მასწავლებელი გარდაიცვალა.

ვაი ჩვენს თავს, ვისაც ხელის გულზე უნდა ვატარებდეთ და ძეგლს ვუდგამდეთ, მას ვსპობთ!

ეს ტრაგედია ჩვენი ერის ტრაგედიის ერთი გამოვლინებაა. იგი არა მარტო იმის შედეგია, რომ ჩვენში ყველგან და ყველაფერში, სახელმწიფო დონეზე, მთავრობაში, ხელისუფლების აშკარა ხელშეწყობით თუ წაყრუებით, ქონების მოსაპოვებლად ხელჩართული და დაუნდობელი ბრძოლები მიმდინარეობს, ზნეობა კატასტროფულად ეცემა, კინოფილმები, ტელევიზია, პრესა, წიგნები ყოველდღიურად და მეთოდურად უთვალავ სისაძაგლეს უჩვენებს და ქადაგებს, არამედ იმის შედეგიც, რომ ინტელიგენცია, მათი ფუძე და ფლაგმანი — პედაგოგები ნივთიერად და მორალურად მიწასთან არიან გასწორებულნი!

სკოლაში რომ შემიყვანეს, მე და ჩემმა კლასელებმა არ ვიცოდით, თუ მასწავლებელი ლობიოს ჭამდა, სულ შემწვარსა და მოხრაკულებს მიირთმევდა, მეგონა. სტუდენტობისას კარგახანს ვერ წარმომედგინა, თუ ლექტორებს სიცივე და შიმშილი აწუხებდა!

პროფესორმა ივანე ლოლაშვილმა მეორე მსოფლიო ომში თავისი ტყვეობის ამბების მოყოლისას გვიამბო: როდესაც ბანაკში გერმანელებმა გაიგეს, რომ მასწავლებელი ვიყავი, ისინი ერთი მეორეს ჩემზე ანიშნებდნენ: „ერ ისტ ლერერ“ (ეს მასწავლებელია) და, რაც შეიძლება, პატივისცემით მეპყრობოდნენო.

სანამ ჩვენში ნამდვილი და შემთხვევითი პედაგოგები ერთმანეთისაგან გარჩეული არ იქნება, ის შეგნება საყოველთაოდ არ აღსდგება, რომ **მასწავლებელი უდიდესი და წმიდათაწმიდა სახელია**, მანამდე ის ურჩხული, ვინც ასეთ ტრაგედიებს ატრიალებს, სხვა პედაგოგებსაც მიაკითხავს!

ვამთავრებ ამ წერილს და უღრმესი სინანულის გრძნობა მიპყრობს, რომ ძვირფას მასწავლებელს ეს სადიდებელი მის სიცოცხლეში ვერ ვუთხარი. რაც ჩემი სოფლის სკოლა დავამთავრე, 45 წელი გავიდა. ვინაიდან ის სხვა სოფელში ცხოვრობდა, მე კი ჩემს

სოფელში უმეტესად ზაფხულობით, სკოლის არდადეგების დროს, ჩავდიოდი, მას იშვიათად ვნახულობდი. მიშა მასწავლებელი იმდენად მყარი პიროვნება იყო, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მის მიმართ რაიმე უზუსტობა არ გამომევლინებინა. ამიტომ აქამდე კალამს ხელი არ მოვკიდე და ისიც ვერ გავბედე, ჩემი წიგნები მეჩუქებინა, რადგან ისინი ძველი ქართული მწერლობის ვიწრო მეცნიერულ საკითხებს ეხება და მას არ დააინტერესებს–მეთქი.

... მეგობრებთან სუფრაზე შეხვედრისას მასწავლებლების სადღეგრძელოს წარმოთქმისას უნივერსიტეტელ მოძღვრებთან ერთად თვალწინ სკოლის პედაგოგებიც წარმომიდგებიან და მათ შორის მიშა მასწავლებლის ნათელი სახეც გაიელვებს ხოლმე.

1996 წ.

ძ ი მ ი თ ი
(ოზურგეთის რაიონი)

სულის ახსნა

გივი ანდღულაძეს შაბათს თავისი ქორწილი რომ უნდა გადაეხადა, ხუთშაბათს მამა, **ნესტორი**, დაასაფლავა. ბოლოს მიცვალებულის სულის ახსნაზე შინაურები და ახლობლები რომ დარჩნენ, გივის დედამ საპატარძლოს, **ზირას**, დედას განუცხადა: უქორწილოდ რძალს ვერ მოვიყვან და ქორწილს კი ნესტორის წლისთავამდე ვერ გადავიხდიო. ზირას დედამ იტკიცა, დანიშნულ ქალს ერთ წელს შინ ვერ გავაჩერებო. ამაზე მომავალი მძახლები ისე წაიკიდნენ, დედამისმა ზირას ხელიდან სანიშნე ბეჭდები და საათი წააძრო და მაგიდაზე დაყარა.

– ზირა ჩემი ცოლია და დღეიდან აქ რჩება! – დინჯად, ხმადაბლა განაცხადა გივიმ, აქამდე დავაში რომ არ ერეოდა და საქმეც გადაწყვიტა.

– აგი ნესტორის სულის ახსნა კი არა, გივის სულის ახსნა გამოვიდა! – ჩაილაპარაკა **გერონტი მელუამ**, გივის მეზობელმა და მეგობარმა.

სხვადასხვა ძალის წერილები

გივი ანდღულაძე ღიმილით იხსენებს: ინსტიტუტის დამთავრებისას, თბილისი რომ უნდა დაგვეტოვებინა და ჩვენ-ჩვენი გზით წავსულიყავით, მე და **გენო სალუქვაძემ** ჩვენ სატრფოებს საქმის გადასაწყვეტად წერილები გავუგზავნეთ. მე გენოს სახელით გენოს რჩეულს მივწერე, ხოლო ჩემსას ჩემი სახელით – გენომ, ოღონდ ისე, რომ ერთმანეთის ბარათებს არ გაეცნობივართ.

– მერე? – ვერ ვითმენ მე.

– რა მერე?! განა შენ არ იცი, გენო იმავე შემოდგომაზე დაქორწინდა, მე კი რვა წლის შემდეგ სხვა შევირთე! ის წერილი გენოს მეუღლეს ახლაც შენახული აქვს.

ფეხები ბალიშზე

იმხანად, როცა გივის უფროსმა ძმამ, **მიშა ანდღულაძემ**, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და სოფელში ბრიგადირის ადგილიც ვერ იშოვა, მან, როგორც ძიმითის სიმღერისა და ცეკვის გუნდის წევრმა, ბალტიისპირეთის ქალაქები ცეკვით შემოიარა. შინ დაბრუნებისას თქვა: *აწი ბალიშზე თავი კი არა, ფეხები უნდა დავდოო.*

ვიწრო კაბა

ვენერა ანდღულაძეს მოხუცებულობის გამო მუხლებმა უმტყუნეს და ავტობუსში ასვლა ვერ შეძლო. მაშინვე ხელი შეაშველეს და, რომ აჰყავდათ, იხტიბარი „არ გაიტეხა“ და ჩაილაპარაკა:

– დასწყეველოს ღმერთმა მოდა და ამ ვიწრო კაბების მომგონი! (ტანზე კი გრძელი, ფაშფაშა, გახუნებული შავი ფერის კაბა ეცვა)

ნავთი და ფითილი

ვანიჩქა ხინთიბიძეს კუჭი აწუხებდა და ცოლმა (ვიღაცის ნასწავლები) ნავთი დაალევინა. მგონი, მომიხდაო და მეორეჯერაც დაალევინეს. ცოტა ხანში, ცოლი რომ ცომს ზელდა, სინათლე ჩაქრა.

– ვაი, რა დროს ჩაქრაო! – შეიცხადა მეუღლემ.

– ფითილი თუ გაქვს, მომეცი, გადაეყლაპაე და ავანთოთო! – გამოსაეალი „იპოვა“ ეანიჩქამ.

ხელოვნება პედაგოგისა

ეს იყო 1951 წელს. მაშინ დავამთავრე მშობლიური ოზურგეთის (მაშინდელი მახარაძის) რაიონის სილაურის რვაწლიანი სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად დედულეთში, მეზობელ სოფლში, ძიმითის საშუალო სკოლაში გადავედი.

უპირველესად ვინც თვალში მომხვდა და გამაკვირვა, ეს იყო გეომეტრიის მასწავლებელი **ელენე ხინთიბიძე**. ასე გამხდარი ქალი მანამდე არ მენახა. ჩემს გაოცებას კიდევ უფრო ის აძლიერებდა, რომ ამ სიფრიფანა და სუსტი აგებულების ქალს ყოველთვის მტკიცედ ეჭირა თავი და მის გაკვეთილებზე მართლაც რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდით, ეს მაშინ, როდესაც ჩვენს კლასში საკმაოდ ბევრი იყვნენ ომის გამო სწავლას ჩამორჩენილნი, დაწყერულვაშიანებული მოსწავლეები, რომლებთანაც გაკვეთილზე წესრიგის დამყარება ათლეტური აგებულების მამაკაც მასწავლებლებსაც კი გაუჭირდებოდათ.

დღე დღეს მისდევდა, გაკვეთილი – გაკვეთილს და ჩემთვის ამოუცნობ კითხვებად რჩებოდა, ელენე მასწავლებელს რაში ედგა სული ან რა ძალით დაგვიმორჩილა ყველანი. არადა, იმთავითვე კარგად ვგრძნობდი, არც ერთი ჩვენგანისთვის გეომეტრია არ იყო ისეთი საგანი, გამორჩეულად რომ დავეინტერესებინეთ და მის შესწავლას გაეეტაცეთ.

და აი, ერთ დღეს ყველაფერი ნათელი გახდა.

ოქტომბრის დამდეგსა თუ შუა რიცხვებში ეხედავთ, სწორედ გეომეტრიის გაკვეთილზე სხვადასხვა მერხზე სამი უცნობი ზის, ჩვენზე საგრძნობლად უფროსი, მოსული, ბეჭებგანიერი, კუნთმაგარი ბიჭები. ელენე მასწავლებელმა მისთვის დამახასიათებელი სიდინჯით ჩაიკითხა ჟურნალი და, როდესაც „ახალმა მოსწავლეებმა“ გამორჩეული, ბოხი ხმით უპასუხეს, ვართო, არაფერი უთქვამს, მხოლოდ ერთხელ შეავლო თითოეულს თვალი, შემდეგ წამოდგა, კლასს დაკვირვებით გადახედა და იმავე მტკიცე და მომთხოვნო ხმით იკითხა:

– გაკვეთილი!

წამოიმართა ჩვენი ხელები, ლაღად, გამართულად. ხელი ასწიეს ახალმოსულებმაც, ოღონდ გაუბედავად, თითებმოკუნტულად. მათ, მხრებში ჩამძვრალებს, თავები დაეხარათ და ქვემოდან რაღაც ეშმაკურად და ავად იყურებოდნენ.

ელენე მასწავლებელმა არც აცივა, არც აცხელა, გამოიძახა მათგან ყველაზე დიდი, ბრგე და წარმოსადეგი. ისიც ნელ-ნელა, მძიმედ წამოდგა და დაფისაკენ ზლაზვნით გაემართა.

გაკვეთილად გექონდა სამკუთხედის ტოლობა. მაშინ ასე იყო: დაფაზე ეხაზავდით ორ სამკუთხედს, ერთს ვუწოდებდით ABC-ს, მეორეს A'B'G'-ს და ეყვებოდით: რომ დავამტკიცოთ სამკუთხედი ABC ტოლია A'B'G'-ისა, ავიღოთ სამკუთხედი ABC და დავადოთ სამკუთხედ A'B'G'-ს. თუ ესა და ეს გვერდი გაჰყვა ამა და ამ გვერდს და ესა და ეს წერტილი დაემთხვა ამა და ამ წერტილს, მაშინ სამკუთხედი ABC ტოლია სამკუთხედ A'B'G'-ისა, და ა. შ. ერთი სიტყვით, სამკუთხედები, ლათინური ასოებით სახელდებული, რამდენჯერმე უნდა გეეხსენებინა.

ყოველთვის გვასწავლიდნენ, რომ დაფასთან გვერდით ემდგარიყავით. „უცნობი“ მოსწავლე კი დაფასთან პირით დადგა, ისე, რომ ვერა ვხედავდით, რას აკეთებდა. ზორბა ტანით მთლიანად ფარავდა თავის ნაწერს.

კარგა ხანს უხმოდ საქმიანობდა. ელენე მასწავლებელს ერთი შენიშვნაც არ მიუცია. იდგა მის უკან, ფანჯარასთან და მოთმინებით ელოდა დასასრულს.

როგორც იქნა, დაფასთან გამოსულმა ხაზვა დაამთავრა, გვერდზე გადგა და, რას ვხედავთ: დაუხაზავს ორი სამკუთხედი და ერთზე, ნაცვლად ABC-ისა დაუწერია LNE, მეორეზე NLE (გურიაში „ელენე“-ს „ენელე“-საც ეძახიან).

მოსულების განზრახვა უკვე ცხადი შეიქმნა...

ნაწერი წაიკითხეთ თუ არა, კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას გულის ბაგაბუგი აგვივარდა და მეხის გავარდნის მოლოდინში გავისუსეთ. ის კი, ჩანდა, ჩვენგან სიცილსა და ღრიანცელს მოელოდა. რაკი საწადელს ვერ მიაღწია, დაფეთებული თვალებით გადმოგვხედა და ყრუ, გაბზარული ხმით დაიწყო:

– რომ დავამტკიცოს სამკუთხედი...

შეჩერდა, კიდევ გადმოგვხედა. ისევ სამარისებული სიჩუმე. შემდეგ მასწავლებლისაკენ გააპარა თვალები და, თითქოს ენერგია მოიკრიბაო, ხმამაღლა დაიწყო:

– რომ დავამტკიცოთ, სამკუთხედი... – დასახელება კვლავ ვერ გაბედა.

მოველოდით, ელენე მასწავლებელი აგერ ახლა იკიელებს, მივარდება ამ თავხედს და ლანძღვა-გინებით გარეთ გააგდებსო, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. მან დინჯი, წყნარი, მაგრამ ფოლადნარევი ხმით მიმართა:

– შემდეგ!

დაფასთან მდგომმა ცარცი დადო და თითების ფშვნეტა-წმენდით, თავჩაქინდრული, ზანტად კარებისაკენ გაემართა. ისი ორი ამფსონიც უმალვე წამოდგა და მას მიჰყვა.

ელენე მასწავლებელი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, მაგიდასთან მივიდა და ჩვეული ხმით კვლავ მოითხოვა:

– გაკვეთილი!

გამოიძახა ერთი გოგონა. მან დაფა მოასუფთავა და გაკვეთილიც ჩვეულებრივი რიტმით გაგრძელდა.

მაშინ და უფრო მეტად შემდეგ, როდესაც ამ შემთხვევას მოვიგონებდი ხოლმე, ჩემთვის საეჭვო აღარ იყო, რომ მანამდე, თუ ასე პირდაპირ გამოხატული არა, რამდენიმე ამგვარი ფარული ფსიქოლოგიური ომი ელენე მასწავლებელს სხვაც ექნებოდა მოგებული.

ელენე მასწავლებლის საჭურველს კი საგნის საუკეთესო ცოდნა, გულმოდგინება, სამართლიანობა და პრინციპულობა შეადგენდა. ამის შედეგი იყო ის სანიმუშო წესრიგი, რომელიც მის გაკვეთილებზე მუდამ სუფევდა.

ძიმითელმა მეგობრებმა მაცნობეს, რომ ელენე მასწავლებელი კვლავ ძველი შემართებით აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, ჩვენ კი, მის ყოფილ მოსწავლეებს, თან დაგვყვება მისი მოსიყვარულე გულითა და ურყევი ნებისყოფით ნაჭედი ცოდნა და ხასიათის სიმტკიცე.

1986 წ.

მინაწერი: ელენე მასწავლებელი 2010 წლის მარტში 90 წლისა გარდაიცვალა.

გოგოლა ბიცოლა

ჩემი ძიმითელი სკოლელი მეგობრის, **გურამ ქართველიშვილის**, დედა **გოგოლა (გუგული) კილაძე** ჩემი სოფლიდან იყო გამოთხოვილი. მეუღლე ომში დაეღუპა. ერთადერთი გურამი დარჩა და ისე გაზარდა, ბევრ მამიანს შეშურდებოდა. უაღრესად პატიოსანი, საოცრად მშრომელი და კეთილი ქალი გახლდათ. რა დამავიწყებს მის დედაშვილურ შეხვედრებსა და უგემრიელეს კერძებს. სხვა დროსაც ბევრჯერ, მაგრამ არ მახსოვს 17 მაისი, გურამის დაბადების დღე, მას ჩაეგდოს და უხვი, ბრწყინვალე პურმარილი არ გამოეგზავნოს.

ერთხელაც, 17 მაისს, გურამთან მოწყენილი ვართ. როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, წინა საღამოს დეპეშა არ მოსულა, *ამა და ამ ვაგონს დახვდიო*. დილამაც გაიარა, მაგრამ არაფერი ჩანს. უცებ, 12 საათი იქნებოდა, დიდი ბარგით მუშა კარს მოგვადგა. გაგიხარია, ჩვენ იმ დღეს და მეორე დღესაც ვიქეიფეთ და ვიმხიარულეთ.

გოგოლა ბიცოლას ბოინისათვის ღორი ჩაუბარებია. რამდენიმე დღის შემდეგ ღორი შინ მობრძანებულა. გოგოლა ბიცოლას იგი ბოინისათვის უკან მიუბრუნებია. ამაზე ზოგი იცინოდა: *ამფერი სიაბდლე გააკეთაო!*

გურამმა 2010 წელს გამოსცა წიგნი *„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“*, სადაც დედაზე თბილი და იუმორით სავსე მოგონება შეიტანა. ვიდრე ჩემს მოგონებას გავაგრძელებდე, თავს ნებას მივცემ, ორი ეპიზოდი აქედან მოვიყვანო. ორივე ადრე მე თვითონ მქონდა დაწერილი, მაგრამ, მგონია, ასე უფრო აჯობებს. ერთიც და მეორეც გოგოლა ბიცოლას ხასიათს, ღირსებას კარგად გამოხატავს:

„ერთხელ ჩემმა მეგობარმა **ბორის დარჩიამ**, – წერს გურამი, – დედაჩემს **მერილინ მონროს** სურათი აჩვენა, მოგწონს აგი გოგო სარძლოდო? დედაჩემმა აღტაცება ვერ დამალა.

– ოღონდ ერთი ჰრობლემაა. – უთხრა ჩემმა მეგობარმა. – ეს გოგო დედისერთაა და ცოლად იმ ჰირობით წაუვება შენს ბიჭს გურამიას, თუკი ჩაესიძება. გოგოს ბინაც აქვს, ხამსახურიც და მანქანაცო.

დედაჩემი ორ ცეცხლს შუა ჩავარდა. თან ასეთი რძალი არ ეთმობოდა, თან ჩემი ჩასიძება არ უნდოდა:

–ამიზა გადავუევი ჩემს ერთადერთ შვილს, რომ სადღაც თბილისში, ვიღაც გოგომ ჩაისიძოსო? თვითონ გურამამ გადაწუვიტოსო! მიუგო ბორის დარჩიას და, რაოდენ დიდი იყო მისი სიხარული, როდესაც მე უარი ვთქვი მერილინ მონროს ცოლად შერთვაზე და მასთან ჩასიძებაზე".

მეორე ეპიზოდი:

„კინორეჟისორი **ლეილა გორდელაძე** ჩემს მშობლიურ სოფელ ძიძითში იღებდა კინოფილმს «ბოშები», **ნოდარ დუმბაძის** ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. გადაღება მიმდინარეობდა ჩემი სახლიდან ასიოდე მეტრში.

კინოსტუდიის შემოქმედებითი ჯგუფი მდგმურად იდგნენ ჩემს დეიდაშვილ **ზაირა ბატიებშვილთან**. კინოში მასობრივ სცენებში მრავალი ძიძითელი ბავშვი მონაწილეობდა.

ერთ დღეს ლეილა გორდელაძეს ჩემი დეიდაშვილისათვის უთქვამს: ერთი გურული აშარი ქალი მჭირდება, ნატურალური გურული, ფიცხი ხასიათით, სუფთა გურულ დიალექტზე მოლაპარაკე, რომელიც ბოშების ბავშვებს წუეწლა-კრულვით გამოეკიდება და მაგრად დაუცაცხანებს იმის გამო, რომ ბოშების ბავშვებს მსხლის ქურდობაზე წაასწრო ხეზე ასულებსო.

ჩემმა დეიდაშვილმა რეჟისორი ლეილა გორდელაძე ჩვენსას მოიყვანა და დედაჩემს გააცნო. დედაჩემმა შინ შეიპატიჟა და სთხოვა: ნახევარი საათი მაჩუქე, კეცზე საჭაჭურს გამოვაცხობ, რომ შენისთანა სახელოვან სტუმარს შესაფერისად გავუმასპინძლდეო. რეჟისორმა თავაზიანი მადლობა გადაუხადა და ჰირდაჰირ საქმეზე გადავიდა: ქალბატონო გუგული! კინოს ვიღებ და მჭირდება ეპიზოდი, როდესაც მსხლის ქურდობის გულისათვის ჩაჩნის ბავშვებს წუეწლით გამოეწთები და ქოქოლას დააყრიო.

– რას ჰქვია გამოვეწთები, წუეწლა-კრულვას და ქოქოლას დავაყრი! მსხალს, აბა, რა დანიშნულება აქვს, თუ არა ჯამე, ჩამოცვივა და დალპებაო?! ღმერთმა შეარგოს იმ ბავშვებს ჩემი მსხალი. ერთხელო, – განაგრძობდა დედაჩემი, – ჯარისკაცები იყვ-

ნენ ძიმითში. ჩაიცვეს მზვერავის ტანსაცმელი, რომელსაც მსხლის ფოთლების ფერი ჰქონდა და, ძაან თუ არ დააკვირდებოდი, ისევ იუ-ვნენ მსხლის ტოტებში შეუუჟულები, ვერ შეამჩნევდი. ამ დროს ჩემი დედამთილი **მატრონე** ინდაურის ჭუკებს ეძებდა და მსხლის ქვეშ მო-უწია გავლა. მსხალზე მოფ ერთ ჯარისკაცს მსხლით სავსე უბე გა-ეხსნა და ჩემმა დედამთილმა ძლივს შეამჩნია ტოტებში მიეუჩებული ჯარისკაცები. გაიქცა და კიბე მოიტანა, ხეზე მიაეუდა და ჯარ-ისკაცებს შესძახა: ნაწვიმარია, ხე სობელია და ფრთხილად ჩამოდით, ფეხი არ დაგიცურდეთო. ამ ამბის შემდეგ მსხლის გულისათვის ბავშვებს გამოვეკიდოო?! როგორ მკადრე მაგი; ხომ მომეჯრა თავი და მოვიჯაეე ამხელა ქალიო.

ქალბატონი ლეილა დიდხანს უხსნიდა, რომ ეს მხოლოდ კი-ნო იყო და არა სინამდვილე. მაგრამ დედაჩემი ვერაფრით დაარწმუ-ნა. დედაჩემი თავისაზე იდგა:

– მერე ეს კინო მთელმა საქართველომ უნდა ნახოს და უველამ უნდა მლანძღოს: გურიაში, ძიმითში, ერთი აშარი დედაკაცი ცხოვრობს, რომელიც ბავშვებს მსხლის გულისათვის წუევლა-კრულვით გასალახად მისდევსო.

მოკლედ, რეჟისორმა და დედაჩემმა ერთმანეთს ვერ გაუგეს. – ბოქე მოი, ბოქე მოი! – იძახდა გაოცებული ლეილა გორდელაძე და ხელებს შლიდა".

გურამ ქართველიშვილზე ქვემოთაც მაქვს მოგონება, მაგრამ, რადგან აქ დედამისზე ვსაუბრობ, ბარემ გოგოლა ბი-ცოლასთან დაკავშირებით ერთ ამბავსაც მოვყვები, რომელიც გურამის ცოლის შერთვას ეხება.

როგორც მე, გურამსაც ხან ვის გვირიგებდნენ და ხან – ვის. რეკომენდაციები სოფლიდანაც მოგვდიოდა. ახალი საცოლეების გასაცნობად გურამს თითქმის ყოველთვის მე მივყავდი, რადგან ამ საქმეში გარკვეული ნიჭი თუ თავხედობა აღმომაჩნდა. მაგალითად, ერთხელ მარჯანიშვილის მოედანზე, მეტროს შესასვლელთან, გურამი დავაყენე და ვეუბნები, რომელ გოგოზეც მეტყვი, იმას გაგაცნობ–მეთქი. პირობა ასი პროცენტით შევასრულე. რამდენიმე ლამაზი ახალგაზრდა ქალი გავაჩერე და გავაცანი. არც ერთი არ გამბრაზებია, იუმორს მიმიხვდნენ და ღიმილით მშორდებოდნენ.

თუმცა ერთი უსიმოვნება მაინც შემხვდა. როგორც ძიმითიდან გურამის ბიძაშვილის მეუღლის მიერ გამოგზავნილ ბარათში ეწერა, მივედით ერთ ოჯახში, სადაც დეიდასთან უცხო ენათა ინსტიტუტის ბოლოკურსელი გურული ქალიშვილი ცხოვრობდა. მივედით იმ მოტივით, ვითომცდა გურამის დეიდაშვილს უცხო ენაში მომზადება სჭირდებოდა. გურამმა წინასწარ გამაფრთხილა: თუ საპატარძლო არ მომეწონება, პაპიროსს მოგთხოვ და დაუყოვნებლივ უკან მივდივართო.

მივედით და დეიდა, ბიძა და საპატარძლო დიდი პატივით შეგვხვდნენ. გავაცანი გურამი და მისვლის „მიზეზი". აშკარად ეტყობოდათ, მასპინძლებმაც მშვენივრად იცოდნენ, რა საქმეზე ვიყავით მისული. *დაბრძანდით* და *დაბრძანდითო*, ხან ერთი და ხან მეორე მკლავზე გვექაჩებოდა და სუფრასაც შლიდნენ. გურამი ხმას არ იღებს, მხოლოდ ეს იყო, პაპიროსი მომთხოვა. ვინაიდან უფროსად მე მცნეს, იერიში ჩემზე მოიტანეს, მაგრამ მე რა უფლება მქონდა, შეთანხმება დამერღვია!

ეს ამბავი წერილობით ეცნობა მაჭანკალს, სადაც თურმე ეწერა: ერთი იყო ლამაზი, უაღრესად წესიერი, ზრდილობიანი და თავაზიანი ბიჭი, მეორე — ძროხა. მკითხველს ახსნა არ დასჭირდება, მაგრამ მაინც ვიტყვი: პირველი გახლდათ გურამი, მეორე, ძროხა — მე.

გავიდა ექვსი თუ შვიდი წელი, ოზურგეთის რკინიგზის სადგურში მომვარდა ერთი ახალგაზრდა ქალი და ლანძღვა დამიწყო: *რა იყო, რა დაგიშავე, რომ ჩვენს საქმეში ბოროტად ჩაგვერიე, ერთი წუთითაც არ გაჩერდი და გაიქეცი.*

რა მექნა, აზრი ჰქონდა, ამეხსნა, რაც მოხდა? და მეც მდუმარედ გადავყლაპე ლანძღვა და გინება!

ერთი ასეთი შემდგომი საქმე კინაღამ წარმატებით დამთავრდა. გურამმა ისევ გამაცნო ნათესავის მიერ ძიმითიდან გამოგზავნილი მორიგი სამაჭანკლო წერილი, საპატარძლოს გვარი, სახელი და სამსახურის ადგილი. ვინაიდან იმ კუთხისა და გვარისა იყო ჩემი კურსელი მეგობარი **ლეილა სიხარულიძე**, საპატარძლოს შესახებ პირველად მას დავეკითხე. აღმოჩნდა მისივე ნათესავი.

გავიცანით და ოთხივენი დავდივართ ხან ამ და ხან იმ თეატრში. ასე ვიარეთ ორ კვირაზე მეტი. ჩამოვიდა გახარებული გოგოლა ბიცოლა და მისებურად ჩამოიტანა უხვზე უხვი უმაღლესი პურმარილი: ღვინო, შემწვარი გოჭი, შესუნელებული დედალი, შემწვარი წიწილები, ინდაურის საცივი, პატარა ხის შამფურებით ათამდე მწვადი, კეცის ხაჭაპურები და მჭადები, ყველი და სულუგუნები, ფქვილი, ღერღილი და რა არა!

სუფრა გაიშალა გურამის პატარა, მოცუცქნულ ბინაში. მე, ლეილა და სადედოფლო ერთად მივედით. თამადად დავდექი, დიდი იმედები გამოვთქვით და, რაც შეგვეძლო, მოვულხინეთ. ხშირ-ხშირად გადავხედავდი გოგოლა ბიცოლას და მიხაროდა, სახეზე ნეტარება გადაჰფენოდა.

დიდებულ გუნებაზე მყოფნი აქედან ისე, როგორც თეატრში დავდიოდით, ოთხივენი წავედით რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც გულისა და წნევის გამო საპატარძლოს დედა მკურნალობდა. რა თქმა უნდა, უხვად მივიტანეთ ჩვენი სუპერპურმარილი. როგორც შევატყვე, სადედამთილოც კმაყოფილი ჩანდა.

გამოვედით ეზოში და გურამი საპარტაძლოს თეატრში ეპატიჟება. ვუთხარით, *ახლა ჩვენ გაგვათავისუფლეთ და მარტონი წადითო*. საპატარძლომ უარი განაცხადა. გურამმა მიაძალა. საპატარძლომ მკვახედ უთხრა, *უკვე მბრძანებლობ, მერე რაღას იზამო?!* უცებ გურამმა იფეთქა: აქამდეც თავს ვაძალებდი, ვყოყმანებდი და, თუ არ გინდა, არც მე მინდაო, და ჩქარი ნაბიჯით გაგვეცალა. სახტად დარჩენილი გურამს გამოვედევნე, ლეილა თავის ნათესავს მივარდა, მაგრამ ვერც ერთსა და ვერც მეორესთან ვერაფერს გავხდით...

დაძმარული ავედი გოგოლა ბიცოლასთან. თვითონაც ასე დამხვდა. რა მეხუმრებოდა, მაგრამ კარგა ხნის საუბრისა და გარჩევის შემდეგ კედლიდან გურამის მიერ გაკრული **სოფი ლორენის** სურათი ჩამოვიღე, გოგოლა ბიცოლას გავუწოდე და ვეუბნები:

— არის აგერ ერთი გოგო, სამედიცინოს ამთავრებს, უპატიოსნესი, უგანათლებულესი, დიდებული „ხაზეიკა“, ნამცხვრებს აცხობს და ქსოვა იცის, უკეთესს ვერაფერს ნახავ (ჩემი

მაჭანკლებიც ყოველთვის *ნამცხვრებსა* და *ქსოვას* აწვებოდნენ!), გურამზე ყურებამდეა შეყვარებული, მაგრამ სახეზე მაინცადამაინც არ მომწონს. კარგად დახედე ამ სურათს, გარეგნობაზე თუ გულს შეაჯერებ, სხვა მხრივ უკეთესს ვერ ინატრებ-მეთქი.

გოგოლა ბიცოლამ უყურა, უყურა სურათს და ბოლოს თქვა:

— ცოტა უკეთესი კი მინდოდა, მაგრამ, რადგან ასე დავიჩიხეთ, თანახმა ვარო.

... გავიდა ხანი. გურამი საზაფხულო შვებულებაში რომ წავიდა, დაგვიბარა:

— სულაც რომ მეჩაიე შევირთო, უცოლოდ არ ჩამოვალო.

თქვა და სიტყვაც შეასრულა. შეირთო სტუდენტი ბოხვაურელი „წიწკვი" (ვიდრე ვნახავდით, ასე დაგვიხასიათა იგი) ქალი **ცაცა დევაძე**, მართლაც, ყოველმხრივ შემკობილი მანდილოსანი, შესანიშნავი პედაგოგი, მეოჯახე, ორი შვილის აღმზრდელი დედა. სამწუხაროდ, ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მხოლოდ უფროსი შვილის ქორწილს მოესწრო.

დედულეთი

უკვე ვთქვი, ძიმითი ჩემი დედულეთია. დედიდან ბაბუა **გიორგი ანდღულაძე** (1892–1972) მამიდან ბაბუის, ელისოს, უფროსი შვილის ტოლი, წარმოსადეგი და სოფელში ჭკუასაკითხავი კაცი იყო. მამამისი **ნანიკო** ძალიან მაღალი ტანისა ყოფილა და, თუ სოფელში ვინმეს გამორჩეულ მაღალს ნახავდნენ, მას უდარებდნენ: ნანიკოსავით მაღალი იყოო, ან ეტყოდნენ — ნანიკოს დამსგავსებიხარო.

ბაბუა მართალი და პრინციპული კაცი გახლდათ, უსამართლობას არასოდეს ურიგდებოდა. იქვე, ახლოს, ბაბუის ეზოს გვერდით, პატარა ღელე ჩამოდის, ზაფხულობით კიდევაც შრება, მაგრამ წვიმის დროს გადარევა იცის. ბაბუამ რამდენიმეჯერ დააყენა საკითხი მასზე ხიდის გაკეთებისა, მაგრამ ეს საქმე მანამ არ მოგვარდა, სანამ თვით მაშინდელმა სახელგანთქმულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სევერიანე მუხაშავრიამ მისი საჭიროება თავად არ გამოსცადა.

მახსოვს, საშინელი წვიმიანი საღამო იყო. სევერიანე თავისი მსუბუქი მანქანით ადიდებულ ამ ღელეში ჩარჩენილიყო, მანქანი-

დანაც ვერ გადმოდიოდა. ბაბუას კოლმეურნეობის ხარები ებარა და საშველად მოაკითხეს. ბაბუამ არასდიდებით ხარები არ ათხოვა — *ნახოს და გამოსცადოს, უხიდობის გამო ეს კუთხე რა დღეში არისო.*

ბაბუას თაოსნობით სამთაგანაში[6] აღდგა თავად **დავით გუგუნავას** კუთვნილი შესანიშნავი წყარო — *დათას საცივი.* ეს წყარო, რომელიც დიდი რცხილის ქვეშ მოედინება, დროთა განმავლობაში ამოვსებული და მიწასთან იყო გასწორებული. რომ გესარგებლა, პეშვით ან ხელებზე დაყრდნობილს საქონელივით უნდა დაგელია. ბაბუამ ამ საქმის მოგვარება **სევერიანეს** თხოვა. მან, თავის მხრივ, იგი **მოსე სალუქვაძესა** და **ვალოდია გოგუაძეს** დაავალა. მათ 1968 წელს წყარო ამოთხარეს და გაასუფთავეს, მიწა რომ არ ჩამოცვენილიყო, თაღი ამოუშენეს, ოთხივე მხრივ ცემენტის კალაპოტში ჩასვეს და ღარი გაუკეთეს. შემდეგ ამ კუთხის ბიჭებმა **ოლეგ, იაგორ, ომერი** და **კობა** (ომერის ვაჟი) **ხინთიბიძეებმა** და **გია** და **თენგო ანდღულაძეებმა** (სხვათა შორის, ესენი ბაბუას ახლობლები — ერთი (გია) შვილიშვილი, დანარჩენები მისი ძმის, დებისა და დის მაზლის შთამომავლები არიან) წყარო აკაციის სარებით შემოღობეს, რკინის მაგიდა და გრძელი სკამები დადგეს. დღეს იქ „პურის საჭმელად" ზედოურებიც ჩამოდიან.

ბარემ აქვე დავძენ: დედაჩემი სიბერეში რომ დაუძლურდა, შემეხვეწა: ძიმითში წამიყვანე და დათას საცივის წყალი დამალევინე. მას რომ ვსვამდი, კარგად ვიყავიო. სურვილი შევუსრულე. იმ და მომდევნო რამდენიმე დღესაც მხნედ გამოიყურებოდა.

ბაბუას დაჟინებული მოთხოვნით გაკეთდა და თითქმის ერთ კილომეტრამდე შემცირდა ძიმითის ცენტრალური გზიდან ქვედა აკეთამდე მიმავალი შარაგზა.

ბაბუა ყოველმხრივ ყოჩაღი, კარგი მეთევზე და მონადირე იყო. იქვე ახლოს ჩამოდის მდინარე სუფსა, სადაც ადრე *ფაცერებს* დგამდა და ე. წ. *საღობს* აკეთებდა. მუდამ ჰქონდა მოსაქნევი, „სასროლი" ბადე და გვიან ასაკობამდე უგემრიელესი სუფსის თევზები და „შემობერილი" წყლის მსუქანდუმიანი კიბორჩხლები ხშირად მოჰქონდა.

---

[6] ბაბუა ამ კუთხეში ცხოვრობდა. გადმოცემით, აქ სამი ძმა გუგუნავა ცხოვრობდა და ამიტომ ჰქვია ამ ადგილს სამთაგანაო.

ერთხელ გარეული ინდაური მოკლა და შინ მე გამომატანა. მძიმე იყო, ზურგზე მოვიგდე და ისე წამოვიღე. ვაი, იმან დღე მაყარა, — რწყილებით სავსე ყოფილიყო და მკმენარი მთელ ტანზე დამესია!

1930 წელს ბაბუა დაქვრივდა. ბებიაჩემი **ათინო ჩხაიძე** 38 წლისა გარდაიცვალა და ოთხი ობოლი დარჩა. დედაჩემი, უფროსი შვილი, მაშინ 18 წლისა იყო, უმცროსი **მამია** (1924–1987) — 6-ისა.

ამის შემდეგ ბაბუამ ორი ცოლი შეირთო. ერთს, *ბავშვებს კარგად არ ეპყრობოდაო*, მალე გაშორდა. მეორემ, **ნინა (ნინო) გუჩმანიძემ**, დიდებული მეულლეობა გაუწია.

რამდენსაც ათინო ბებიას ვიხსენებ, ახლაც იმდენჯერვე სევდა შემიპყრობს ხოლმე: მეცოდება ნაადრევად წასული, ოთხი ობლის დამტოვებელი, სიღარიბითა და შრომით გატანჯული ქალი.

როცა ძიმითში სწავლის გასაგრძელებლად გიორგი ბაბუასთან გადავედი, მალე რაღაც სასკოლო ღონისძიებაზე რამდენიმე მოსწავლე ოზურგეთში წაგვიყვანეს. იქიდან ტაქსით წამოვედით და ჩემი თანაკლასელი გოგონა შინ მივაცილე. ის ბაბუისაგან საკმაოდ შორს, სოფლის ზედა ბოლოში ცხოვრობდა, მაგრამ მანქანა გავუშვი და სასაფლაოს გზით წამოვედი. ცოტათი შეზარხოშებული ვიყავი და ათინო ბებიის საფლავის ნახვა საშინლად მომინდა. მე მისი უფროსი შვილიშვილი ვიყავი, რომელსაც იგი ვერ მოესწრო და მომინდა, ბებიისათვის ჩემი თავი, მისი სისხლი და ხორცი, მეჩვენებინა. დედაჩემისგან ვიცოდი, მის საფლავზე ნაძვის ხე იდგა.

სასაფლაო სოფლის განაპირას, შემაღლებულ ადგილას, მდებარეობდა. ამ გზაზე არასდროს გამეველო. სასაფლაოს ჭიშკარს რომ მივადექი, უკვე ბნელოდა. სასაფლაოზე ნაძვების ტყე დამხვდა. ამიტომ შიგ შესვლას აზრი აღარ ჰქონდა. თანაც გამოვფხიზლდი, სასაფლაოს მდუმარებამ შიშით ამიტანა და ჩქარი ნაბიჯით იქაურობას გავშორდი.

ნინა ბებია (1911–1967) ბაბუაჩემზე 19 წლით უმცროსი და დედაჩემზე ერთი წლით უფროსი გახლდათ. მანამდე დიდი სიმწარე გადაეტანა. შვილი გარდაცვლოდა, მერე ბავშვი არ გასჩენოდა. ამის ნიადაგზე ოჯახი დანგრეოდა და შინ, აკეთში, დაბრუნებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენზე, ბაბუის შვილებსა და შვილიშვილებზე, გადაყოლილი იყო, დედაჩემისა და, განსაკუთრებით, ბიძაჩემის გულები მაინცადამაინც ვერ მოიგო. ისინი მათში უწი-

ნარესად დედინაცვალს ხედავდნენ ტრადიციული გაგებით. საბედნიეროდ, ეს არ ეტყობოდათ ჩემს დეიდებს — **ნინოსა** და **ნადიას**. ბებია ამას გრძნობდა და, ბაბუა რომ ხნიერი გახდა, იმავე ეზოში პატარა, დაბლა დადგმული სახლი აიშენა (ახლა ეს სახლი და შესაბამისი მიწის ნაკვეთი თბილისში მაცხოვრებ ჩემს უფროს ბიძაშვილს ეკუთვნის).

მე რა დამავიწყებს იმ ამაგს, რაც ნინა ბებიას ჩემზე მიუძღვის. ძიმითში სამი წელი ვსწავლობდი, სკოლა ჩვენგან კარგა მოშორებით მდებარეობდა. ბებია ცივ ზამთარშივე, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, დგებოდა, ღუმელს გააჩაღებდა, საუზმეს გამიცხელებდა და, სკოლაში რომ გამისტუმრებდა, ისევ წვებოდა. ამგვარ მზრუნველობას ის არაფერში მაკლებდა, მაშინ როდესაც ოჯახში ახალგაზრდა ბიცოლა, **ზინა სალუქვაძე**, ცხოვრობდა. ზინა ბიცოლაც მუდამ დიდ ყურადღებას მაქცევდა, მაგრამ მას, სამი პატარა შვილის დედას, სხვა უამრავი საქმე ჰქონდა.

ბებია ყველა საოჯაო საქმეში აქტიურად მონაწილეობდა და ბევრჯერ მოთავედაც გამოდიოდა, მაგრამ განსაკუთრებით ბავშვებზე იყო გადაფოფრილი. როცა მშობლები ჩემს პატარა ბიძაშვილებს მკაცრად უწყრებოდნენ ან გალახვას დაუპირებდნენ, ბებია მათ კრუხივით წინ გადაუდგებოდა.

სამწუხაროდ, ბებია ამ ქვეყნიდან ნაადრევად წავიდა და „მისმა“ შვილიშვილებმა ჩვენზე გაწეული ამაგის ჯეროვანი გადახდა ვერ მოვასწარით.

1966 წელს შოთა რუსთველის იუბილეს გამო ზაფხული თბილისში დავყავი და შვებულება სოფელში შუა ოქტომბრიდან შუა ნოემბრამდე გავატარე. ოქტომბრის ბოლო იქნებოდა, თბილისში მცხოვრები დეიდა ნინო (ნინიჩქა) ოზურგეთში ჩამოსულიყო და იქიდან შემომითვალა, ძიმითში მივდივარ, ნინა ავად ყოფილაო. მაშინვე ძიმითისაკენ გავეშურე. ნინა ბებიას მუცლის არეში ტკივილები დასჩემებოდა და თბილისში მისი სასწრაფოდ წაყვანა გადაეწყვიტათ. გავემზადეთ, მაგრამ გულზე შემოგვეყარა, — ბაბუა ოზურგეთიდან ხელცარიელი დაბრუნდა, მატარებლის ბილეთი ვერ ეშოვა.

მაშინ ავტობუსები ხშირად დადიოდა. იმ იმედით, იქნებ ჩემს თანაკურსელ ლონდა დოლიძეს სამსახურში მივუსწრო-მეთქი,

ბაბუა გავიყოლიე და ოზურგეთში წავედი. ლონდა ოზურგეთის რაიაღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ მუშაობდა და გაჭირვების დროს აღმასკომის „ბრონი“ ბილეთით ხელი სხვა დროსაც გაუმართავს.

აღმასკომში აღარავინ დაგვხვდა. ყოველი შემთხვევისათვის რკინიგზის ქალაქის სალაროში მაინც მივედით. იქ მოლარედ ყოვლად უხეში და უხიაგი ქალი მუშაობდა, ფულის გამოძალვასაც არ ერიდებოდა. უჩიოდნენ, მაგრამ „ზევით“ ვიღაც მფარველობდა და ვერაფერს აკლებდნენ. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, აი, ამ ქალს მტკიცედ ვეუბნები: თბილისში ავადმყოფი მიმყავს, სამი ბილეთი მჭირდება და ერთი აუცილებლად დაბალი საწოლი უნდა იყოს-მეთქი. დახე საოცრებას, მან სამივე ბილეთი უსიტყვოდ მომცა. კიდევ უფრო გაკვირვებული დარჩა ბაბუაჩემი: დღეს ამას რამდენი ვეხვეწე, ზედმეტი ფულიც ვაძლიე, არაფერმა გაჭრა და შენ რა ადვილად დაითანხმეო.

ბაბუა მთელი დღის უჭმელი იყო, რესტორან „გურიაში“ შევიყვანე, კარგად ვისადილეთ და ერთი ბოთლი ღვინოც დავაყოლეთ.

გარეთ რომ გამოვედით, ჩემ წინ მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“ გაჩერდა. იქიდან ბათუმში ჟურნალისტად მომუშავე ძიმითელი, ჩემი სკოლელი ამხანაგი ანზორ პატიეშვილი გადმოვიდა, გადამეხვია და სილაურში წაყვანა შემომთავაზა. ჩემს შველაზე უარი ვუთხარი, მაგრამ, რაკი თვითონ ძიმითში მიდიოდა, ბაბუა გავაყოლე.

სილაურში დედაჩემს ბებიისათვის საგზალი მოემზადებინა: ქათამი და ძროხის ენა მოეხარშა, შეეკმაზა და შეეწვა, გამოეცხო ხაჭაპური და მჭადი. ამათ ყველი და ახალდამწნილებული კიტრი დავუმატეთ და ბოლო ავტობუსზე ოზურგეთში ბებიის გასაცილებლად წავედი. თუმცა მატარებლის გასვლამდე ადრე იყო, ბებია, ბაბუა და დეიდა ვაგონში დამხვდნენ. ანზორი ბაბუას ბოლომდე მომსახურებია და იმავე მანქანით ისინი ოზურგეთში ჩამოეყვანა.

ბებიას ტკივილები შეჩერებოდა. ხალისიანად გამოიყურებოდა და ჩემი მიტანილი მადიანად მიირთვა. როცა ბაბუამ ვაგონის კარამდე გამომაცილა, მადლობა გადამიხადა, მერე დასძინა: *არ ვიცოდი და მომსწრებიხარო.*

თბილისში შუა ნოემბერს ჩავედი. ბებია საავადმყოფოში იწვა და დიაგნოზი ჯერ კიდევ ვერ დაესვათ. ბაბუა ძალიან ნერვიულობდა.

ერთ საღამოს ბაბუა საავადმყოფოდან ძალიან შეწუხებული დაბრუნდა, *ცუდად დავტოვე და ამ ღამეს რა გამათენებინებსო.* ღამის თორმეტი საათი სრულდებოდა, საავადმყოფოში მივედი. ბებია დიდ, 10–12 ავადმყოფიან, პალატაში იწვა. კარები ღია იყო და მკრთალი შუქი ანათებდა. მორიგე ექთანმა მითხრა, *ახლა უკეთ არის და ჩაძინებულიაო.* ამ ცნობამ ბაბუა დაამშვიდა.

მეორე დილას ბებიამ მითხრა: *დაგინახე, რომ შემოხვედი, არ მეძინა, ისევ ცუდად ვიყავი, მაგრამ არ გამოგელაპარაკეო.*

ბოლოს ბებიას მუცლის ღრუში სიმსივნე დაუდგინეს და ოპერაციაზე უარი უთხრეს. სამსახურიდან საავადმყოფოში გამოვიარე, ბაბუას დანა პირს არ უხსნიდა, განადგურებული დამხვდა. მე და მანქანიანმა ჩემმა ამხანაგმა იგი მანქანაში ჩავსვით და თბილისის ზღვაზე რესტორანში წავიყვანეთ. რამდენიმე ჭიქა ღვინო დავლიეთ და ბაბუა მოვაძლიერეთ.

ექიმებმა ბებია ასე „დაამშვიდეს“: *ზამთარი დაიწყო, ახლა ოპერაცია მიზანშეწონილი არაა, გამოზაფხულდება, დათბება და ოპერაცია მაშინ გავაკეთოთო.*

ბებია ჭკვიანი ქალი იყო, რას გამოაპარებდი?! მატარებლით რომ გავამგზავრეთ, დამშვიდობებისას მითხრა: *ბარნაბას ხომ ვაჯობე, შინ ცოცხალი მივდივარო.* ბარნაბა ბაბუას ძმა იყო, ბაბუაზე უმცროსი და ის თბილისში, საავადმყოფოში, გარდაიცვალა.

საახალწლოდ სოფელში ჩავედი და ბებიაც მოვინახულე. თოვდა, მაშინაც ტკივილები შენელებული ჰქონდა. უხაროდა, *ამ თოვლსაც მოვესწარიო.* წამოსვლისას დეიდასთან დამაბარა: ნინიჩქას უთხარი, საქმე წახდა და აბა, თქვენ იცით, სირცხვილს თუ არ მაჭმევთო.

გული დამეწვა. ბებია კიდევ იმაზე დარდობდა, გერები ღირსეულად დაასაფლავებდნენ თუ არა!

1967 წლის მარტის დამდეგს 56 წლის ასაკში ბებია გარდაიცვალა. ის იყო, ტყემლები აყვავებას იწყებდნენ. გაზაფხულის თბილ და მზიან დღეს იგი მიწას მივაბარეთ. ბაბუამ დიდი ქელეხიც გადაუხადა. თამადობა მე გავწიე. დედაჩემს მისი გარდაცვალება

რამდენიმე თვის შემდეგ გავაგებინე, მამაჩემი კი დაკრძალვას ბოლომდე დაესწრო.

ხუთი წლის შემდეგ, 1972 წლის მარტის დასაწყისში, 80 წლის ასაკში ბაბუაც გარდაიცვალა. მაშინაც ტყემლები აყვავებას იწყებდნენ და მზიანი და თბილი ამინდი იდგა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მეც დავბერდი. როცა ოცნების თვალით დედულეთს მოვივლი, კვლავ სინანულით ვფიქრობ ნაადრევად წასულ, გაუხარელ **ათინო ბებიაზე**. ასევე დიდი ტკივილითა და უდიდესი მადლიერებით ვიგონებ **ნინა ბებიას**, რომელმაც გულწრფელად შეგვიყვარა და სულითა და გულით თავს გვევლებოდა.

რთული შეკითხვა

ძიმითის სკოლაში ვსწავლობდი. ჩემი პატარა ბიძაშვილი **ლიანა ანდღულაძე** მღერის: *„მსობლებს გივეპალები, პატლონს ჩივებალები...“*. იქვე მყოფი მისი ორიოდე წლით უფროსი ძმა **როინი ნინა ბებიას** ეკითხება: *რომ მღერის მშობლებს გივეპარები და პატრონს ჩივებარებიო, მშობლებზე მეტი პატრონი ვინ უნდა ჰყავდეს?*

შეწუხდა ბებია, პასუხი ვერ მონახა და ჩემთან გამოაგზავნა, *მაგი გეტყვისო*. წიგნს ვკითხულობდი, იოლად მოვინდომე მისი მოშორება და ვუთხარი: *ჯერ შენ მაგას ვერ გაიგებ, გაიზრდები და თვითონ მისვდები-მეთქი*.

დიდხანს მეხვეწა, *მითხარი, ეგება მივხვდეო*.

ასე რთული და პასუხგაუცემელი შეკითხვები ჩემთვის სხვა დროსაც დაუსვამთ. მაგალითად: როდესაც სამსახურიდან გამაძევეს და უმწეოდ, მშიერი დამტოვეს, ხოლო მე ისევ ფ ა ს ი ა ნ არქივებსა და ბიბლიოთეკებში კვლევა-ძიებას განვაგრძობდი, მეტადრე კი, ჩემი ნაშრომების გამოცემებს უკანასკნელ თეთრსაც ვახმარდი, გაოცებულებს მოურიდებლად უკითხავთ, *რა სარგებელს ღებულობ აქედანო*.

ერთ ჩემს სოფლელ ქალს, რომელსაც ოზურგეთის სამასწავლებლო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, რაღაცაზე ვუამბე, ემიგრაციაში **ექვთიმე თაყაიშვილი** როგორ შიმშილობდა, მაშინ როდესაც საქართველოს სამუზეუმო ერთი პატარა ექსპონატი რომ

გაეყიდა, ღმერთივით იცხოვრებდა. მისი პასუხი, როგორც ახლა იციან თქმა, ცალსახად ასეთი იყო: *აბდალი ყოფილაო!*

ეს „სიაბდლე“ არ იკურნება!

ბაილეთი დაბახვი
(ოზურგეთის რაიონი)

უზნეო ქელეხები

ეს ამბები, ალბათ, მწარე ღიმილს გამოიწვევს.

ქვეყნის ეკონომიკურმა გაჩანაგებამ ზნეობაც მიწასთან გაასწორა. ხალხმა თავმოყვარეობა დაკარგა. და ეს დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან.

გურიაში, სოფელ ბაილეთში, შუახნის ასაკს ცოტათი გადაშორებული მშრომელი კაცი გარდაიცვალა. ოჯახმა თავი გადადო და, ტრადიციისამებრ, 300-სულიანი ქელეხის სუფრა გაშალა. სასაფლაოდან კი ოჯახში თითქმის ორჯერ მეტი სტუმარი დაბრუნდა. ნახევარი რომ სუფრას მიუსხდა, მეორე ნახევარი მათ ადგომას დაელოდა. მასპინძელი იძულებული გახდა, მოსამსახურე მეზობლები მეორე დღეს დაეპატიჟებინა.

ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ რაიონში გამორჩეული და პოპულარული პიროვნება **მანუჩარ მამეიშვილი** სოფელ ბახვში დაასაფლავეს. დაკრძალვაზე ზღვა ხალხი მოვიდა. ბოლოს, ქელეხის დრო რომ დადგა, სასოწარკვეთილმა სუფრის გამგემ ყოველგვარი ხუმრობის გარეშე ჩაილაპარაკა: *ვაიმე, სასაფლაოდან, მანუჩარის გარდა, ყველა დაბრუნებულაო.*

სოფელი ოზურგეთი

თადარიგი

სოფელ ოზურგეთელი **ვარლამ ხელაძე** თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში წინაჯირკვლის ოპერაციას იკეთებდა. ოპერაციის წინა დღეს ვარლამი ქირურგს ეუბნება: ახლა პირველ სართულზე ჩავალ და მეთერთმეტეზე ამოვირბენ, მერე რომ არ თქვათ, გულმა უღალატაო.

პრინციპი

ვარლამის ქალიშვილი უმაღლეს სასწავლებელში შედიოდა. ვარლამს უთხრეს: უფულოდ ვერ მოეწყობა და ჩასაბარებლად ამდენი და ამდენია საჭიროო. მან იუარა, კაპიკსაც არ მიეცემო. შინაურებმა ჩხუბი დაუწყეს: ერთადერთი შვილი გყავს და მისთვის ფულის დახარჯვა რატომ გენანებაო!

– შვილისთვის არაფერი მენანება, – განმარტავს ვარლამი, – ის მაჯავრებს, ვიღაცამ ფული მუქთად რატომ უნდა ჩაიჯიბოსო!

ლ ი ხ ა უ რ ი
(ოზურგეთის რაიონი)

ამინდის პროგნოზი

ვალიკო თაყაიშვილი ძალიან მაღალი ბიჭია, თითქმის ორმეტრიანი. ერთხელ იგი თავის მეზობელს, ხანდაზმულ კაცს, **ალექსი დონაძეს**, ფარული ირონიით ეკითხება:

– ალექსი ბიძია, ჭკვიანი კაცი ხარ, არ შეგეშლება, დღეს გაწვიმდება?

– თავი ღრუბლებში შენ გაქვს შეყოფილი და ამინდს მე მეკითხები? – დაცინვას მიუხედა და იცინის ალექსი.

ფ ა მ ფ ა ლ ე თ ი
(ოზურგეთის რაიონი)

ილია ბიძია

ილია ბიძია ბაბუაჩემის უმცროსი ვაჟიშვილი იყო. ფამფალეთელი ცოლი **სონია ინწკირველი** შეირთო და, კი არ ჩაესიძა, ამ სოფელში დასახლდა. იგი თავისი გარეგნობითა და ვაჟკაცობით არა მარტო თავის დედმამიშვილებში, მთელ სოფელშიაც გამოირჩეოდა. **ნადია ევგენიძემ** იცოდა თქმა: ჩვენს სოფელში სამი ბიჭი მომწონდაო და უპირველესად ბიძიას ასახელებდა, შემდეგ – **კოლია ცინცაძესა** და გაბო დარჩიას (გაბო მისი სიძეც გახდა).

ძველად ფოთი ჩემი სოფლელებისთვისაც უპირველესი სავაჭრო ადგილი იყო. იქიდან მომავლებს, რომლებსაც უკაცრიელი

ადგილები, სიმინდის ყანიანი ჭალები, უნდა გამოევლოთ, ხშირად გზაზე ყაჩაღები ხვდებოდნენ და ძარცვავდნენ. მათ ერთი მეთოდი ჰქონდათ: მგზავრს (ცხენიანსა თუ ურმიანს) ერთი უიარაღო კაცი წინ გადაუდგებოდა, თუთუნსა სთხოვდა, ამასობაში შეიარაღებულები გარს შემოერტყმებოდნენ და „წმენდდნენ“.

ერთხელ ფოთში სავაჭროდ ჩვენს მეზობლებს ილია ბიძიაც ახლდა. შინ რომ ბრუნდებოდნენ, გზად შემოაღამდათ. იგი ურემზე პირჩაღმა იწვა და თვლემდა. წინ რომ კაცი აისვეტა და თუთუნი მოითხოვა, ბიძია თვალის დახამხამებაში „წამოფრინდა“, ურმის კამპოს გადაევლო, ყაჩაღს თავზე დაახტა, მკვლავები უკან ამოუტრიალა და მიწაზე განართხო; მოძალადის მხლებლებმა გამოჩენა ვერ გაბედეს. მხოლოდ შორიდან ისმოდა ძახილი – „შურკა“ და „შურკაო“. თოკით გაკოჭილი მსხვერპლი წამოიყვანეს და მილიციას ჩააბარეს.

ბიძიამ რაღაცასთან დაკავშირებით გვიამბო: მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე მის გვერდით მყოფ ჯარისკაცს დილის ულუფად მიცემული პურის ნაჭერი მისთვის მოუპარავს. – ყბაში რომ მოვდე, – ჰყვება ბიძია, – მაშინვე ხელი ავტომატს წამოავლო, მაგრამ რას დამასწრებდა?! იარაღი ავართვი და მეთაურს გადავეციო.

ფრონტზე ბიძია დაიჭრა და შვებულებით შინ გამოუშვეს. ლანჩხუთში ძმის, ფილიპეს, ოჯახში გამოიარა (ფილიპეც ამ დროს ჯარშია). დარეჯან ბიცოლას წვერმოშვებული, დაუბანელი და გაუბედურებული მაზლი ძლივსღა უცნია. მაშინვე ღადარში „კვერი“ ჩაუკრავს და მისაჭმელის საშოვნელად მეზობელთან გადასულა.

– კარგი გამომცხვარი არც იყოო, – იგონებს ფილიპე ბიძიას უმცროსი ქალიშვილი (მაშინ რამდენიმე წლის) ლეილა, – მან კვერი ჯოხით გამოიღო, გარეცხა და ჭამა დაიწყოო.

დარეჯან ბიცოლას რა ებადა და მანაც ილია ბიძია მაშინვე სილაურში წამოიყვანა. ფეხით გადმოიარეს სოფლები ორაგვე, მამათი და ჩვენთან ამ გზით მოვიდნენ. მახსოვს, მკლავში დაჭრილს შინელი ვერ გახადეს და სახელო შემოაჭრეს.

ომიანობის დროს სონია ბიცოლას ტიფი შეეყარა და ფეხი მოჰკვეთეს. ომიდან დაბრუნებულ ბიძიას შინ დახვდა ხეიბარი ცოლი, მაგრამ ამას მის გულსა და ხასიათში რაიმე ბზარი არ გაუჩ-

ენია. ვინ არ შეუჩნდა, მათ შორის ბევრი ჩემს სოფელშიაც, ანგელოზივით კაცი ხარ და შენი შესაფერისი ცოლი შეირთეო. მაგრამ ის ბოლომდე ცოლ-შვილის ერთგული დარჩა.

ელისო ბაბუას ჯანითა და შემართებით შვილებში ყველაზე მეტად ილია ბიძია ჰგავდა, მაგრამ ყველაზე ნაკლები მან იცოცხლა — 43 წლისა აღესრულა.

იმ დროს ბიძია ფამფალეთში პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობდა. მამაჩემმა იგი ბოლოს ოზურგეთში სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მიტინგზე ნახა და მისთვის რაიმე ცუდი არ შეუმჩნევია. უბედურება ერთი კვირის შემდეგ დატრიალდა: ბიძია სამსახურიდან შინ ნაადრევად თავის ტკივილით დაბრუნდა. მაშინვე დაწვა. ტკივილმა უმატა და უმატა. კესა ბებია (მაშინ იქ იმყოფებოდა) გვერდით დაუჯდა და თმებში ეალერსებოდა. ერთხანს საშიშროება ვერ იგრძნეს, ყველაფერი კი უცებ მოხდა — ექიმი რომ მოიყვანეს, უკვე გვიანი იყო!

კვერცხის ოფლი

ილია ბიძას ცოლისძმა, ანუ ჩემი ბიძაშვილის, **ომარ დარჩიას**, ბიძა **კარპეზ ინწკირველი** სოფელში პარიკმახერად მუშაობდა. საპარიკმახეროში ხშირად იკრიბებოდნენ სოფლის ახალგაზრდები და ჰქონდათ სჯა-ბაასი და ცხარე კამათიც. კარპეზი ერთ მეზობელს „წაეკიდა“. იმის დასამტკიცებლად, რომ ყველაფერში სარგებელს ეძებ და პოულობო, ასეთი „ფაქტი“ დაუსახელა: ბაზარში რომ კვერცხები მიგაქვს გასაყიდად, ჯერ თითოეულს ცეცხლზე ათბობ და, ოფლი რომ გამოუვა, იმას ლოკავო. ამ „მხილებამ“ დიდი მოწონება და სიცილ-ხარხარი გამოიწვია.

სხვისი წერილი

ომარის ვაჟიშვილი **ილო (ილია) დარჩია** პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა. მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორად **აბონ ციციაშვილი** ჰყავდა. მან ჯგუფს დავალება მისცა, დაემუშავებინათ და წერილობით წარმოედგინათ მარქსის წერილი ვანდერ მაიერისადმი. ილომ თემა დას, **ნინოს**, დააწერინა და მისი წაკითხვა ვერ

მოასწრო. ლექტორმა კი პირველი ილო გამოიძახა. მან, რაც არ იცოდა, რას მოჰყვებოდა და თავი ასე იმართლა:

— ბატონო აბონ, სხვისი წერილების წაკითხვა უზრდელობაა და მას როგორღა წავიკითხავდი?!

ამას საერთო სიცილი მოჰყვა. როგორც თავად თქვა, ბატონ აბონს ეს ისრაელში მოუყოლია და იქაც გულიანი სიცილი გამოუწვევია.

ჭადრაკი?

იყო დრო, გურიის სოფლებში სამუშაოდ სომხები ჩამოდიოდნენ. ერთხელ **ომარ დარჩიასა** და მათ შორის „კამათი" გაიმართა, სპორტში ვინ სჯობნის, — ქართველები თუ სომხებიო? ომარმა ჩამოთვალა ქართველი ფეხბურთელები, წყალბურთელები, მოჭიდავეები, მხტომელები, ძალოსნები... სომეხმა საპასუხოდ რომ ტიგრან პეტროსიანიც ახსენა (მაშინ ის ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი იყო), ომარმა „გაუპროტესტა": ჭადრაკი რა სპორტია, მაგი ჩვენ ქალებს დავუთმეთო (მხედველობაში ჰყავდა ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია).

ზრუნვაც ამას ჰქვია!

ოთარ ინწკირველი ომარ დარჩიაზე ჰყვება: მე, ომარსა და ვაკიჯვერელ **საშა მექვაბიშვილს** ურეკთან ახლოს ზიარად სიმინდის ყანა გვქონდა (ურეკი ფამფალეთიდან საკმაოდ შორს არის). წავედით იქ ყანისთვის სასუქის მისაცემად. მე ჩემი ბავშვებიც წავიყვანე, როცა საქმეს მოვათავებთ, ზღვაზე ვაბანავებ-მეთქი. შუადღეზე, სადილი რომ ვჭამეთ, გაირკვა: საქმეს საღამომდე ვერ ვრჩებოდით. ბავშვები აჭიჭყინდნენ, ბანაობა გვინდაო. ვთქვი, ამ ბავშვებს ცოტა ხნით ზღვაში ჩავუშვებ და ნახევარ საათში დავბრუნდები-მეთქი. ომარმა მით-ხრა, შენ ცურვა არ იცი და სანდო არა ხარ, მე წავიყვანო. წაიყვანა. მე და საშა ვაგრძელებთ სამუშაოს, ომარი და ბავშვები არ ჩანან. ის იყო, საქმე დავამთავრეთ და ჩვენც ზღვისკენ გავემართეთ, ომარი შემოგვხვდა და „გვისაყვედურა", სადა ხართ, რომ არ გამოჩნდით, ამდენ ხანს „პლიაჟზე" ადგილს გინახავდითო.

ვინაობის დასახელებაც ასეთი უნდა

მე და **ომარი**, – აგრძელებს ოთარი, – სიმინდითა და ჩალით დატვირთული მანქანით ჩალიანიდან მოვემგზავრებით (ჩალიანიც ფამფალეთიდან შორს, ლაითურთან მდებარეობს). გზაში მანქანა გაგვიფუჭდა. ბუქსირით წამომყვანი ვიპოვეთ, მაგრამ მას ტროსი არ აღმოაჩნდა. ერთ ოჯახში ტრაქტორი ვიპოვეთ, რომელსაც ტროსი ჩაბმული ჰქონდა. ტრაქტორისტს მისი თხოვება გაუჭირდა, ყოველ დღე მჭირდებაო, მაგრამ ბოლოს მაინც გვათხოვა. როცა ტროსი მოგვქონდა, ტრაქტორისტმა მოგვაძახა: ვინ და საიდან ხართ, ხომ უნდა ვიცოდეო. ომარმა მიუგო: ფამფალეთიდან ვარ რამიზი თ ა ვ ა რ თ ქ ი ლ ა ძ ე, ოთარ ი ნ წ კ ი რ ვ ე ლ ი ს შვილიო (მერე, რა თქმა უნდა, სიმართლე ვთქვით და ტროსიც მეორე დღესვე დაეუბრუნეთ).

აურზაური ბუღალტრის ოთახში

ფამფალეთში მთავარ ბუღალტრად მეზობელი სოფლის მცხოვრები **ჟორა ბორჩხაძე** მუშაობდა, რომელიც სოფელში ახალმოსული იყო და ჯერ ხალხს არ იცნობდა. მოადგილედ ჰყავდა ფამფალეთელი **გივი სოსელია**. ისინი ერთ ოთახში ისხდნენ.

როგორც **ომარ დარჩიას** ჰქონდა დაგეგმილი, ამ ოთახში შედის ომარის ბავშვობის მეგობარი **ავთანდილ თავამაიშვილი**, ხელში უჭირავს რაღაც ფუთა, რომლიდან ოთხ პატრუქს თავი აქვს ამოყოფილი, და ამ ფუთას ფანჯრის რაფაზე დებს. მალე ამავე ოთახში შედის ომარიც (იმ დროს სოფლის პარტორგანიზაციის მდივნად მუშაობდა), იღებს ერთ ცალ პატრუქს, რომლის ბოლო ისეა შეხვეული, ლაღუმი გეგონება (სინამდვილეში შიგ მხოლოდ დახვეული ქაღალდია) და ავთანდილს ეკითხება, ეს რა არისო.

– ლაღუმებია, – პასუხობს ავთანდილი, – ჯირკვები მაქვს ასაფეთქებელი და მეგობარმა მომიტანაო.

– მაგ საქმის სპეციალისტი გივია, წამოგყვება, ბუღალტერიც წამოვა, მოსული კაცია, ოჯახსაც გაიცნობს, თითო ბოთლ ღვინოს დავლევთ და საქმეც გაკეთდებაო. – თქვა ომარმა.

ჟორამ სათვალის ზევიდან გადმოიხედა და წინადადება მოიწონა.

ომარმა სიგარეტი გააბოლა. ცოტა ხანში „აიხირა“: ანთებულ სიგარეტს პატრუქს უმიზნებს და გაიძახის: *ვისროლო, ვიხროლო?* უცებ პატრუქს კიდევაც მოუკიდა და იყვირა, ფანჯარა გააღეთო. ავთანდილი სწრაფად აღებს ფანჯარას, მაგრამ ომარი „ლაღუმს“ ისე ისვრის, კედელს ახვედრებს. „ლაღუმი“ იმ მაგდის ქვეშ ეცემა, სადაც ჟორა და გივი სხედან, ორივენი წამოცვივდნენ და გარბიან, კარებში კიდევაც გაიჭედნენ, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ეზოში გაცვივდნენ.

ყველაფერი რომ „მშვიდობიანად დამთავრდა“, ჩვენი „რაინდები“ სიცილითა და ხარხარით გივის ოჯახში სახელდახელოდ გამართულ სუფრას მიუსხდნენ და, როგორც იტყვიან, კარგად მოულხინეს. შეზარხოშებულმა ჟორამ ეს ამბავი მეუღლეს რომ უამბო, ცოლმა უთხრა: ვაი, თქვე გააბდლებულებო, როდის იყო, პარტორგანიზაციის მდივანი კანტორას აფეთქებდაო!

შეხვედრა ვაგონში

აგვისტოს ბოლო იყო. **ომარ დარჩია** ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობდა და თბილისში მიემგზავრებოდა. მატარებელში ერთი სათნო და ლამაზი გოგონა გაიცნო, *წელს უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველ კურსზე მოვეწყვეო.* ომარს იმდენად მოეწონა გოგონა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტელობა ძალიან ეცოტავა და გოგონა მოატყუა: სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის მეხუთე კურსზე ვარო.

ომარმა და გოგონამ გვიანობამდე ილაპარაკეს და შემდეგ დასაძინებლად თავთავიანთ კუპეში შევიდნენ.

დილისკენ გოგონას კუპეში ვიღაც ქალს გული ცუდად გახდომია. გოგონა გამოვარდა და ჩვენს ომარს მიადგა, გვიშველე, ნემსია გასაკეთებელიო. ომარმა, ხელს დავიბანო, საპირფარეშოში ჩაიკეტა და ფიქრობს, *რა ვქნაო*, — ისიც კი არ იცის, ნემსი სად კეთდება. საპირფარეშოს კარებზე კი აბრახუნებენ, *არიქა, ჩქარაო.*

— რაღას ვიზამდი, — ჰყვება ომარი, — ბოლოს და ბოლოს, შემცბარი და გაოგნებული გამოვედი და აღდგომა გამითენდა, ვხედავ, ავადმყოფს ვიღაც ქალი მკლავზე სპირტიან ბამბას უსმევს და ნემსიც მან გაუკეთა. ნირწამხდარმა, გოგონას არც დავმშ-

ვიდობებივარ, მატარებლიდან დიდუბეში ჩამოვიძურწე და კარგა ხანს მეშინოდა, იმ მშვენიერ გოგონას სადმე არ გადავყროდი.

ზიკო და ზიკინა

ომარს ორი ჩვეულებრივი ეზოს ძაღლი ჰყავდა. ერთი ძალიან მარდი იყო, არაჩვეულებრივი სირბილი იცოდა და მას გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელის სახელი **ზიკო** დაარქვა. მეორე უცნაური წამლერებით ყეფდა და მას რუსი მომღერლის **ლიუდმილა ზიკინას** გვარი დაარქვა. იქვე, მეზობლად, მოზრდილი ბიჭი **ზვიადი** ცხოვრობდა და ომარს უთხრა: ***ზიკოს** მე მეძახიან და შენს ძაღლს სახელი გამოუცვალეო.* ომარმა უარი განუცხადა: შენ **ზვიადი** გქვია, ჩემს ძაღლს — **ზიკო** და ერთმანეთში ნურვინ აურევსო.

90-იანი წლებიდან, როცა სოფლებშიაც სიღარიბემ დაისადგურა, ომარმა ზიკინა ურეკის მახლობლად კაპრუანში წაიყვანა და საქონლის მწყემსებს ჩააბარა. გავიდა რამდენიმე წელი. 1999 წლის პირველ აგვისტოს ომარი უკურნებელი სენით გარდაიცვალა. ორმოცი არ იყო გადახდილი, მის მეუღლეს, **მაყვალას**, ამბავი მიუტანეს: *დღეს ომარის საფლავთან ზიკო და მასთან ერთად ერთი ძაღლი დავინახეთ, მგონი, ზიკინა იყოო.* მართლაც, იმ დღეს, საღამოს, შინ ზიკო და ზიკინა ერთად მოვიდნენ. მაყვალა და ზიკინა ერთმანეთს დიდი სიყვარულითა და ალერსით შეხვდნენ.

გავიდა კიდევ დრო და ერთ მეზობელ ქალს მაყვალასთან ნახევრად დაბრდღვნილი ქათამი მოაქვს, *ზიკომ და ზიკინამ შემიჭამესო* და მათი დხოცვა მოითხოვა. მაყვალამ გაიკვირვა: *ქათმები შინ მეცა მყავს, მაგრამ ასეთი სიწუწკე არც ერთისთვის შემიმჩნევიაო.* მეზობელმა თავისი გაიტანა და მეზობელ კაცს ზიკო და ზიკინა თოფით დაახოცვინა.

ორიოდე კვირის შემდეგ ქათმის პატრონი მაყვალას ბოდიშს უხდიდა, *ქათმებს, თურმე, ჩემი ძაღლი ჭამსო.*

სურსათის საიდუმლო

ბრეჟნევის დროს, როცა საბჭოთა მთავრობამ ეგრეთ წოდებული სასურსათო პროგრამა მიიღო და მას ფართო აგიტაციას უწევდა, ოზურგეთ-ურეკის ავტობუსში ქვეყნის გაღარიბებაზე საუბრისას სიტყვა ამ პროგრამაზე ჩამოვარდა. ზოგმა რაღაც იმედი გამოთქვა, ზოგმა სულ გადაწურა წყალი, – არც მაქედან გამოვა რამე, სისულელეაო. ერთმა ხანშიშესულმა კაცმა, მანამადე ჩუმად რომ იჯდა, წარმოთქვა:

– მე რომ მკითხოთ, ბიძია, კომუნისტებზე ჭკვიანი ხალხი ქვეყანაზე არ გაჩენილა: ჯერ საჭმელს სურსათი დაარქვეს, მერმე თქვეს, სურსათი არა გვაქვსო და არაფერი, ჩვენც გაჩუმებული ვართ! რომ განეცხადებინათ, საჭმელი არ არისო, გადავირეოდით და ერთმანეთს დაეჭამდით.

ხუთი ტყუპი ქალიშვილის მამა

მძღოლმა შლაგბაუმთან ავტობუსი გააჩერა, საჭეზე გაზეთი გაშალა და უცებ ხმამაღლა კითხულობს: კენიასა თუ კამბოჯაში ქალმა ხუთი ტყუპი ქალიშვილი შობა, დედა კარგად გრძნობს თავსო.

–მამა რავა გრძნობს თავსო, იგი არ წერია? – კითხულობს უკან მჯდომი ხანშიშესული ქალი, რომელსაც ძარით ქათმები მოჰყავს.

არადა, როგორია ერთბაშად ხუთი ქალიშვილის მამობა!

მუქარა

პოეტმა **გენრიეტა ქუთათელაძემ**, რომელიც პირველად ოზურგეთის რაიონულ გაზეთში მუშაობდა, მიამბო: ერთმა ჩვენმა თანამშრომელმა ბიჭმა, რომელიც ლექსებს წერდა, სიყვარული გამომიცხადა და ნაირ-ნაირ ლექსებს მიგზავნიდა. პირობა რომ არ მივეცი, ერთ საღამოს დამემუქრა: უშენოდ ჩემს სიცოცხლეს აზრი არა აქვს, როგორც კი მივალ შინ, ორპირა სანადირო თოფი მაქვს და ორივეს გულში დავიხლიო. ეს ისეთი ტონით მითხრა და ისე შეშლილი სახე მიიღო, შინ რომ დავბრუნდი, შიშმა ამიტანა. მთელი ღამე ძილი არ მომკარებია.

მეორე დღეს, სამსახურში მივედი თუ არა, ამ ჩემმა „მიჯნურმა“ კარები შემომიღო და გაცინებულმა მხიარულად მითხრა:

— გეგონა მართლა თავს მოვიკლავდი? იმ გულს, რომელსაც შენ უყვარხარ, ტყვიას კი არა, ცივ ნიავსაც არ მივაკარებ!

ვაჭრობა

როცა **აკაკი ხინთიბიძემ** ახალშერთული **მედეა ოყრეშიძე** მშობლიურ ოზურგეთში ჩაიყვანა და მსუბუქი ავტომანქანით მიდიან, მედეა აკაკის ეუბნება: თუ გურულები მართლაც ენამოსწრებულები ხართ, აი, წინ რომ კაცი მიდის, გამოელაპარაკეთო.

ასეც მოიქცნენ.

— გამარჯობა, ბიძია, შენი! — ეუბნება მძღოლი.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! — ხანში შესული კაცია, გახუნებული გალიფე შარვალი, ზევიდან გადაშვებული, ქამარშემოჭერილი, ასევე გახუნებული „ბლუზა“ აცვია და თავზე ყაბალახი ახურავს.

— საით მიბრძანდებით?

— აგერ ახლოს, დუაბზუში, — და ხელს წინ იშვერს.

— რომ წაგიყვანოთ, ფული გაქვს?

—რამდენი უნდა?

— რამდენი უნდა და ... ორი ათასი მანეთი.

— მე ავტონობილს კი არ გევაჭრები! — იღიმება გლეხკაცი.

გარეცხილი შარვალი

აკაკი ხინთიბიძე ჰყვება: ომიანობაა. ბოლო კლასში ვართ. ერთი ჩემი კლასელი დილით მოვიდა და სადღაც წაყოლა მთხოვა. გამიკვირდა, გაკვეთილი როგორ გავაცდინოთ–მეთქი.

— პირველი გაკვეთილი გვიცდებაო, — მითხრა.

— ვინ გითხრა? — არ დავიჯერე მე.

— მე თვითონ ვნახე, მასწავლებელს შარვალი გაურეცხავს და ისევ სველი ჰკიდია!

ეს კი უტყუარი საბუთი იყო. ყველამ ვიცოდით, ამ მასწავლებელს მეორე, გამოსაცვლელი, შარვალი არ ჰქონდა!

სკოლა თუ საბავშვო ბაღი

რაც ქვეყანა აირია და სწავლა-განათლება მოიშალა, ჩემი მეგობრების შვილებსა და შვილიშვილებს, ასე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასის მოსწავლეებს, ვეკითხები: – არ გინდათ ისეთ სკოლაში გადაგიყვანოთ, სადაც სწავლა არ არის?

– ასეთია ჩვენი სკოლა! – უმეტესობა ასე მპასუხობს.

ამავე კითხვით ოზურგეთში მივმართე პირველკლასელ ბუთხუზა გოგონას (ზურგზე მოსწავლის ჩანთა აქვს მოკიდებული). ის გაკვირვებით მიყურებს. ვუხსნი და ვახარბებ: სწავლის, გაკვეთილების მოთხოვნის მაგივრად იქნება ცეკვა, სიმღერა, თამაშობა, გართობა...

უარის ნიშნად თავს აქნევს.

– რატომ არ გინდა? – არ ვეშვები მე.

– მაგი სკოლა კი არა, საბავშვო ბაღი ყოფილა! – მორცხვად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად მისაბუთებს იგი.

ღვინის სარდაფის წინ

სილაურელი **როლანდ დარჩია** (1948–2010), რომელიც ბავშვობის შემდეგ ოზურგეთში ცხოვრობდა, კოლორიტული პიროვნება გახლდათ. ოზურგეთსა და მეზობელ რაიონებში მას თითქმის ყველა იცნობდა. ძვალმსხვილი და ძლიერ მსუქანი იყო, 140–150 კილოგრამი იქნებოდა. ფუთ ღვინომდე დალევა შეეძლო და თამადადაც ხშირად ნიშნავდნენ.

ერთხელ, საღამოს, ოზურგეთში, ღვინის სარდაფში, ოთხლიტრიანი ბოთლით შუახნის კაცი ჩადის. ამ დროს სარდაფიდან ახალგაზრდა კაცი ამოდის და ოცლიტრიანი ბოცით ღვინო ამოაქვს. ღვინის გამყიდველმა ჩასულს განუცხადა, რომ, ეს არის, უკანასკნელი ღვინო გასცა, მეტი აღარა აქვს და ბოციანზე მიანიშნა, სთხოვე და დაგითმობსო.

ისიც დარიგებისამებრ მოიქცა.

– არა, არ შემიძლია, ჭალაში ბოზი მელოდება და მასთან მიმაქვს. – იუარა ღვინიანმა და საჭეს მიუჯდა.

— შე კაი კაცო, ვინა გყავს ასეთი, ქალი თუ როლანდ დარჩია, რად გინდა ამდენი ღვინო?! — გაკვირვებით მიაძახა ულვინოდ დარჩენილმა.

თქვენ უკვე ვაჭრობთ!

ერთ ხანს სოფელში მიმავალი ავტობუსები ოზურგეთის ავტობუსების სადგურში აღარ შედიოდნენ და ქალაქის ცენტრში სოფლებისდა მიხედვით რამდენიმე ადგილას ჩერდებოდნენ. აგვისტოს მიწურული იყო. ეს ის დროა, ყველა ჩვენგანი ღრმად ვართ დარწმუნებული, აფხაზეთი უსიტყვოთ უნდა დაგვიბრუნდეს. ერთმა ახალგაზრდა კაცმა ქვებსა და ბარგებზე ჩამომსხდარ ავტობუსების მომლოდინე მგზავრებს გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული თამაზ ნადარეიშვილის ინტერვიუ ხმამაღლა წაუკითხა, რომელიც ვლადისლავ არძინბას პრიმაკოვთან ერთად თბილისში ჩამოსვლას, ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრას და შემდგომ ნიკო ლეკიშვილის მეთაურობით საქართველოს მინისტრების სოხუმში ვიზიტსა და იქ გამართულ მოლაპარაკებას ეხებოდა.

ამაზე დიდი კამათი და ყაყანი ატყდა.

— შენ რას იტყვი, ბიძია, — ჰკითხეს გაზეთის წამკითხველს.

— აბა, მე რა ვიცი! — ამბობს იგი, — ისე ჩვენი მთავრობის ამბავი ერთ ანეკდოტს კი ჰგავს: ინგლისში, თემთა თუ ლორდთა პალატაში, ამას რა მნიშვნელობა აქვს, ვიღაც ლორდს საკითხი დაუსვამს, ქალი უნდა იყიდებოდესო.

ამაზე ინგლისის დედოფალი გადარეულა:

— როგორ, ყველა ქალი უნდა იყიდებოდეს?

— კი, ყველა ქალიო! — უპასუხეს.

— მეც?

— დიახ, თქვენც!

— მერედა, რა უნდა ვღირდე მე?

— ამდენი და ამდენი ფუთი სტერლინგიო.

— ასე ცოტა?! — კიდევ უფრო გაცოფებულა დედოფალი.

— აი, დედოფალო, თქვენ უკვე ვაჭრობთ! — შეუნიშნავს, თურმე, იმ ლორდს.

ყმაწვილმა კაცმა თხრობა დაამთავრა, გაზეთი დაკეცა და იღლიაში ამოიდო. ერთმა-ორმა ჩაიცინა, ზოგი გაკვირვებით აცეცებდა თვალებს, რა თქვა ამ ბიჭმაო.

გ უ რ ი ა ნ თ ი ს კ ო ნ ჭ კ ა თ ი
(ოზურგეთის რაიონი)

ჭკვიანი ინდაური და ქათამი

აქაური **რეზო არობელიძე** 9 და-ძმა გახლდათ.

— რომ გავრიგდით, — ჰყვება რეზო, — ერთი ინდაური და ორი ქათამი მომცეს. სტუმარი რომ მომივიდოდა, სხვა რა გზა მქონდა, მე და ჩემი ცოლი დასაკლავად ხან ინდაურს ვეცემოდით და ხან — ქათამს. ჯირკვზე რომ თავს დავადებინებდით, სტუმარი ხელებში გვეცემოდა და ნაჯახს ხელიდან გამოგვტაცებდა, რა ბევრი ფრინველი თქვენა გყავთ, ამასაც რომ კლავთო?! ეს იმდენჯერ მეორდებოდა, ჩემი ინდაური და ქათმები, სტუმარს რომ დაინახავდნენ, ჯირკვისაკენ თავისით გარბოდნენ და თავს ზედ თვითონვე დებდნენ! — სერიოზული სახით ამთავრებს რეზო თხრობას.

რუსთაველზე უფროსი?

მამამისი **რეზოს** არიგებდა: *ისწავლე, უსწავლელი კაცი ცხოვრებაში არ ვარგაო.*

— შენ რატომ არ ისწავლე? — შეეძავა ერთხელ რეზო.

— ჩემს დროს სწავლას დიდი ყურადღება არ ექცეოდა. — თავი იმართლა მამამისმა.

— შენ რა, რუსთაველზე უფროსი ხარ? — არ დაიბნა რეზო.

პატეფონი

— მამაჩემს გავახარებ-მეთქი, — ჰყვება **რეზო**, — საახალწლოდ პატეფონი ვიყიდე. მანამდე არ ჩავრთე, სანამ ახალწლის შემოსვლას წუთები არ დააკლდა. ის იყო, 12 საათი სრულდებოდა, პატეფონს სიმონა დოლიძეზე სიმღერა დავაწყებინე, მამაჩემის გაბრწყინვებულ სახეს თვალი შევავლე, ეზოში თოფით გამოვ-

ვარდი და სოფლის „შედლუხს“ მეც შევუერთდი. ამ სროლაში ვარ, რომ მამაჩემი მომვარდა და გაცოფებული მიყვირის, ეს რა ეშმაკი მოიტანეო. სახლში შევდივარ და პატეფონი გაჰკივის: „უბედურად დადგა, უბედურად დადგა, უბედურად დადგა...“. თურმე, ფირფიტა მაინცადამაინც იმ ადგილას ყოფილა დაზიანებული, სადაც სიმღერაშია: „უბედურად დადგა ჩემთვის 1911 წელი“ და „უბედურად დადგაო“ გაუთავებლად იმეორებდა.

ტვინის ამოღება

ახალ წელს **რეზოს** ცოლისძმები ეწვივნენ. სუფრაზე მოხარშული ღორის თავიც იდო. ერთმა ცოლისძმამ დანა მოიმარჯვა და დაიტრაბახა, *ჩემსავით ტვინს ვინ ამოიღებსო?* რეზომ საქმე გაურთულა: *თუ ბიჭი ხარ, თავის გაუჭრელად ამოიღეო.* შეედავნენ, გაუჭრელად როგორ იქნებაო?

— მაგის ოსტატი თქვენი და არის, — განმარტავს რეზო, — ჰკითხეთ და გასწავლის, ყოველდღე თავიდან ტვინს როგორ მიღებს!

შ რ ო მ ა და ნ ა ტ ა ნ ე ბ ი
(ოზურგეთის რაიონი)

სოციალისტური შეჯიბრება ... ხუმრობაში

ოზურგეთის რაიონის შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მიხაკო ორაგველიძე** და ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გივი წითლიძე** თავიანთი კოლმეურნეობების სიმძლავრითა და პიროვნული კოლორიტულობით საქვეყნოდ სახელგანთქმული იყვნენ. საქმიანობასა და იუმორშიაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და მათ ამბებს კარგა მოშორებით მდებარე ჩემს სოფელშიაც ხალისიანად ჰყვებიან. თუ რამდენად შეესაბამება ისინი სიმართლეს, არ მიძიებია და ვერაფერს გეტყვით.

მიამბეს: თბილისში მივლინებისას სასტუმროში გივიმ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს ფული მისცა, ცალკე ოთახში მყოფ ხანდაზმულ მიხაკოს შეუგზავნა და თან გააფრთხილა, გვარს გკითხავს და, *ორაგველიძე ვარ-თქვა*, უპასუხე.

ასეც მოხდა. მიხაკო, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ გივის ოინი იყო, ქალი „მადლობით“ უკან დაუბრუნა და შეუთვალა: *ამას უშენოდაც ვახერხებ, სჯობდა, რესტორანში დაგეპატიჟებინეო.*

*

ტერიტორიის სიდიდით, მუშახელისა და ტექნიკის რაოდენობით ნატანები სოფელ შრომას აღემატებოდა. როცა ჩაის კრეფაში სოციალისტური შეჯიბრებისას შრომის კოლმეურნეობამ გაიმარჯვა, მიხაკოს ჰკითხეს, *გივის როგორ აჯობეო?*

– როგორ და, ჩემი ქალები ჩაის ორივე ხელით კრეფენ, ნატანებლები – ცალი ხელით, მეორე უკან აქვთ აფარებული, გივი არ მოგვახტესო. – „განმარტავს“ ბატონი მიხაკო.

*

დიდ გულისტკივილს მგვრის ისიც, რომ ჩვენში შემოსულმა ველურმა კაპიტალიზმმა ამ უმდიდრეს სოფლებსაც ხელი დარია და გამორჩეული ნიჭის მქონე და შრომისმოყვარე ორივე თავკაცი წარმოუდგენელ სიღარიბეში ჩააგდო.

შვება

რამდენად მართალია, არ ვიცი (თუ გამონაგონია, ნიჭიერად გამონაგონია). როცა **ედუარდ შევარდნაძე** მოსკოვში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს და მის ადგილას, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად, **ჯუმბერ პატიაშვილი** დანიშნეს, მაშინ ამბობდნენ: ბატონ ჯუმბერს შრომის კოლმეურნეობის სახელგანთქმული თავმჯდომარე **მიხაკო ორაგველიძე** პირველად რომ შეხვდა, უთხრა: *ედუარდის წასვლა შენმა მოსვლამ გადამატანინაო.*

ლამაზი და უშნო ცოლი

ციალა თავაძის ნაამბობი:

ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვასო ჯაბუას** ლამაზი ცოლი ჰყავდა. ერთხელ კრებაზე ერთ-ერთ კოლმეურნეს,

რომლის მეუღლე გარეგნობით არ გამოირჩეოდა, შენიშვნას აძლევს: *თქვენი მეუღლე კოლმეურნეობაში კარგად არ მუშაობსო.*

კოლწევრი წამოდგა და ვასოს ეუბნება:

– ვასო ბატონო, თქვენ ცოლს რომ დავინახავ, ისე მიხარია, ცა მეხსნება, ჩემი ცოლი ასე რამ შეგაძულათ?!

ლ ე ს ა
(ლანჩხუთის რაიონი)

ტიტო და კოლმეურნეობა

ეს და მომდევნო ამბავი **თამაზ გოგიჩაიშვილის** ნაამბობია:

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობა უკიდურესად გაფუჭდა და დაიძაბა. იუგოსლავიის პრეზიდენტი ბროზ ტიტო ჩვენში პირსისხლიან მოღალატედ გამოაცხადეს. იწერებოდა, *ტიტომ სოციალიზმის პრინციპებს ულალატაო.* ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით მეჩაიე კოლმეურნეობებში, ძალიან მკაცრი და აუტანელი სამუშაო პირობები არსებობდა. როდესაც ლესაში იუგოსლავიის ამბებზე იყო საუბარი და ითქვა, *ტიტომ კოლმეურნეობები დაშალაო,* **ტიტე (ტიტუშა) გოგიჩაიშვილმა** იკითხა: *რეიზა ქნა ეს, ბიჯო, ნეტა, კოლმეურნეობაში იყო ნამუშევარიო?*

ნამუსი და სტუმრიანობა

გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოში უაღრესად მძიმე ეკონომიკური პირობები შეიქმნა. სოფელი შიმშილობის ზღვარზე იდგა. სოფელ ლესაში სულმღაფავი კოლმეურნეობის გამგეობის კრებიდან ერთი უბნის კაცები რომ შინ ბრუნდებოდნენ და **გრიშა გოგიჩაიშვილის** სახლთან მივიდნენ, გრიშამ ჭიშკარი გააღო, ეზოში შეეიდა და თანმხლებლებს უთხრა: *ბიჭებო, დიდი სიამოვნებით შემოგიპატიჟებდით, მაგრამ თქვენ მართლა შემოხვალთო.*

კაცს დამსახურებას ართმევენ

ეს ამბავიც ლესაში მომხდარა (მთქმელი **ელზა ბარამიძე**). ორი გალეწილი მთვრალი თანასოფლელი მაგრად წაჩხუბებულა. ერთმა, **ჯემალ იმნაძემ**, მოახერხა, მოწინააღმდეგეს გაარტყა, წააქცია და კვლავ მისკენ მიიწევს. წინ მოზავედ **კარლო გოგიჩაიშვილი** გადაუდგა და ეუბნება, *წაქცეულ კაცს არ დაარტყა, სირცხვილიაო.*

– რატომაა სირცხვილი, შენი წაქცეულია თუ? – ბობოქრობს ჯემალი.

ლანჩხუთი

„კამერას“ სად წებავენ?

გურულების ენამოსწრებულობაზე იყო საუბარი და წარმოშობით სამტრედიელი **დავით დანელია** ჰყვება: სამტრედიის ფეხბურთელთა გუნდი და ლანჩხუთის „გურია“ ერთმანეთთან მაგრად იყვნენ გადაკიდებული. როცა ლანჩხუთში იმართებოდა თამაში, სამტრედიის მთელი ახალგაზრდობა იქ ჩავდიოდით. პირიქითაც ასევე ხდებოდა. ერთხელაც, რომ მივდივართ და ლანჩხუთს მივუახლოვდით, საბურავი დაგვეშვა. იქვე პატარა ბიჭი თავისთვის ბურთს თამაშობდა და გავძახეთ, *„კამერას“ აქ სად წებავენო?*

– სადაც „პრაკოლი“ აქვს, იქინე! – მყისვე მოგვიგო და, ვითომც არაფერი, თამაში განაგრძო.

ჭაბუკურ დღეთა უკვდავება

იმ დროს, 50-იანი წლების ბოლოს, ჩემი სტუდენტობის დასასრულს, როცა ჩემი და ბევრი ჩემივე ტოლა ბიჭის უპირველესი გატაცების საგანი ფეხბურთი და, კერძოდ, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის გულშემატკივრობა იყო, დეიდაჩემმა ლანჩხუთის მახლობელ სოფელ ჩიბათიდან მარტოხელად დარჩენილი 80 წელს გადაცილებული მამამთილი – **ნესტორ კუკულაძე** – ჩამოიყვანა.

ნესტორს ხუთი ვაჟიშვილიდან ყველა დაეხოცა, გარდა ერთისა. ის ერთი კი თავისი გათხოვილი და უშვილოდ დარჩენილი ძმისწულისათვის მიეშველებინა და სხვა გვარს ატარებდა. მემკვიდრედ, გვარის გამგრძელებლად და პატრონად მო-

ხუცს მხოლოდ უფროსი შვილიშვილი, ჩემი დეიდაშვილი, **იური კუკულაძე**, დარჩა (მართლია, მას ერთი შვილისაგან კიდევ ჰყავდა სამი შვილიშვილი, მაგრამ ისინი გოგონები იყვნენ, ცალკე ცხოვრობდნენ, ადრე დათხოვდნენ და საკუთარი ოჯახები შექმნეს).

მაშინ ჩემი დეიდაშვილი პირველი თუ მეორე კურსის სტუდენტი იყო. როგორც მთელი ჩემი სტუდენტობის წლები, მე კვლავ მათთან ვცხოვრობდი. ვცხოვრობდით საბჭოს ქუჩაზე, ძველ, საერთოეზოიან, პატარა შუშაბანდიან, ერთოთახიან ბინაში, ღარიბულად და ტკბილად. ახალი წევრის შემომატებას ჩვენი მყუდროება მაინცადამაინც არ დაურღვევია. მან ერთი კუთხე დაიკავა, არაფერზე გვაწუხებდა, დროდადრო ხმადაბლა ღიღინებდა „*მარიკელა ჯაშის ქალო*“-ო და იყო თავისთვის.

ახალგაზრდები ათას რამეზე ვეხუმრებოდით ნესტორ ბაბუას, ისიც მხარს გვიბამდა და ჩვენთან ერთად გულიანად ხითხითებდა. განსაკუთრებით შევეწყვეთ ერთმანეთს თბილისის „დინამოს“ ქომაგობაში. მაშინ სტადიონზე შესასვლელი ბილეთის შოვნა ძალიან ჭირდა, ტელევიზორი ახალშემოსული იყო, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა, ამიტომ ეზოს ბიჭებს ისღა დაგვრჩენოდა, რადიოსთან მოგვეკალათებინა და ფეხბურთის გადმოცემებისათვის დიდი ღელვითა და გულისფანცქალით გვესმინა. განცდებით ყველას ნესტორ ბაბუა გვაჭარბებდა. ეს ჩია, წელში მოხრილი ბერიკაცი მთელი რეპორტაჟის დროს ცქმუტავდა, ცალი ხელით ზედ დაყრდნობილი გარს უვლიდა შუა ოთახში დადგმულ ძველებურ, სქელ და ფართო მაგიდას და შეძახილებით ამხნევებდა ფეხბურთელებს: – არიქა, მესხი, არიქა, იამანიძე! მიდი, ბარქაია! ეძგერე, დათუნაშვილო!...

ნესტორ ბაბუა თავის დროზე დიდი ყოჩაღი, ცქვიტი და მოქნილი კაცი ყოფილა. როცა ჯარში გაუწვევიათ, კავალერიაში მოხვედრილა. მეთაურს დაუვალებია, – გამოქცეულიყო, ცხენისათვის ფაფარში ხელები ჩაეცლო და უზანგის გამოუყენებლად ბედაურს შემოხტომოდა. როგორც სიცილით თვითონ ჰყვებოდა, გამოქცეულა, ცხენისათვის კისერზე ხელები დაუკრავს და ისე მჩატედ გადაუვლებია, რომ მეორე მხარეს გადამხტარა, ცხენის ზურგს არც წაჰკარებია. მეთაურს ღიმილითა და აღტაცებით შეუძახნია: *ახ, ტი, გრუზინსკაია*

კოშკა! ვისაც ნესტორ ბაბუას მაგიდის ირგვლივ ტრიალი და ხტუნვა უნახავს, შეუძლებელი იყო, მის მონაყოლში იოტისოდენა ეჭვი შეეტანა.

პირველად ბაბუას გულშემატკივრულ მოქმედებაზე სიცილით ვიფხრიწებოდით, მაგრამ შემდეგ და შენდეგ შევეჩვიეთ და თბილისის „დინამოს“ ქომაგობაში ისიც ჩვენ ტოლად და ამხანაგად მიგვაჩნდა.

ვუყურებდი რა ამ გატაცებას, გადავწყვიტე, სამადლო საქმე გამეკეთებინა, – მესიამოვნებინა ნესტორ ბაბუასათვის, სტადიონზე წამეყვანა და ერთი რომელიმე საინტერესო თამაში მეჩვენებინა. ასეთ თამაშად შევარჩიე თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის "ტორპედოს" შეხვედრა, რომელიც (რა დამავიწყებს იმ დღეს!) 1961 წლის 14 ივლისს გაიმართა.

ძველ გულშემატკივრებს ახსოვთ, რა მღელვარებით ველოდით ამ მატჩს! მაშინ „ტორპედო“, წინა წლის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ამ წლის გათამაშების ლიდერი, საბჭოთა კავშირში ყველაზე ძლიერი გუნდი იყო და მასთან გამარჯვება დიდად თავმოსაწონ საქმედ ითვლებოდა, მაგრამ ამჯერად ეს არ იყო მთავარი. საქმეს უკიდურესად ძაბავდა და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ის გარემოება, რომ ამ გუნდთან ანგარიში გვქონდა გასასწორებელი: წინა წლის 31 ოქტომბერს (ეს დღეც ფეხბურთის მაშინდელი გულშემატკივრებისათვის სამახსოვროა!) საშინელ სუსხიან, თოვლიან და ყინვიან ამინდში ჩვენი გუნდი „ტორპედოს“ მოსკოვში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალში შეხვდა და დამარცხდა. დამარცხდა სრულიად უსამართლოდ, მიკერძოებული მსაჯობის გამო. მანამდე თბილისის „დინამომ“ ერთხელაც ვერ შეძლო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ან თასის მფლობელი გამხდარიყო, თუმცა მიზანს ბევრჯერ მიუახლოვდა. და, აი, მაშინ თითქოს ყველა პირობა შეიქმნა, ეს მოჯადოებული წრე გარღვეულიყო...

მატჩის რეპორტაჟი რადიოთი მოვისმინეთ, როგორც კომენტატორი გადმოგვცემდა და შემდეგ მთელი პრესა, მათ შორის მოსკოველი კორესპონდენტებიც, აღიარებდნენ და წერდნენ, თბილისელებმა გააკვირვეს არა მარტო სპორტის მოყვარულები, არამედ ფეხბურთის სპეციალისტებიც. იმ საშინელ ამინდში ისინი მეტოქეს სჯობდნენ არა მარტო ბრძოლის ტაქ-

ტიკით, კომბინაციური თამაშით, ტემპით, არამედ ფიზიკური მომზადებითა და გამძლეობითაც. ერთადერთი, რაც ჩვენებს აკლდათ, მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური მსაჯობა იყო. ესეც რომ ყოფილიყო, უეჭველია, გამარჯვება მათ დარჩებოდათ. „დინამოელებმა“ თამაში გააპროტესტეს, მაგრამ როგორც ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, შედეგი არც მაშინ მოუცია. ყოველივე ამის გამო თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრები ზამბარასავით ვიყავით დაჭიმულნი და ახალი სეზონის დაწყებამდე ერთი სული გვქონდა, რათა მოწინააღმდეგის ჯავრი გვეყარა და მეტოქისათვის, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ფეხბურთის სამყაროსათვის, ჩვენი სიძლიერე და უპირატესობა დაგვემტკიცებინა. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდი მე და ასეთივე განწყობილება ჰქონდათ ჩემს მეგობრებსაც.

გადავწყვიტე, აი, ამ მატჩზე წამეყვანა ნესტორ ბაბუა! გადაწყვეტილება მაშინვე, „ტორპედოსთან“ სათასო თამაშის დამთავრებისთანავე, მივიღე და თადარიგიც დროულად დავიჭირე.

იმხანად ზოგჯერ ჩემთვის ბილეთებს შოულობდა ჩემი შორეული ნათესაი, მამაჩემის ტოლა კაცი, **ნიკოლოზ მეტრეველი**, ანუ ძია კოლია, რომელიც პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში მუშაობდა. სამაგიეროდ მას' რუსულად მის მიერვე ნათარგმნი პროფკავშირული ინსტრუქციების ქართულად გამართვაში ვშველოდი. სწორედ ამ ნათესავთან ერთად მის ოჯახშივე მოვისმინე „ტორპედოსთან“ მატჩის რადიორეპორტაჟი. თამაშის შემდეგ ორივენი, გულმოკლული და ბოღმამორეულები, მომავალი შეხვედრით ვინუგეშებდით თავს. საერთო საწუხარმა ჩვენ, მე და ძია კოლია, კიდევ უფრო დაგვაახლოვა და გაგვაერთიანა. აი, სწორედ მაშინ იყო, თვითონვე შემომთავაზა: ბილეთებს მე ვიშოვი და ერთად ვნახოთ ეს თამაშიო. მეც არ დავბნეულვარ, ვისარგებლე მისი აგზნებულობითა და გულმხურვალობით და უმალვე შევაგებე ჩემი გულის ნადები, – ნესტორ ბაბუაც თან წავიყვანოთ-მეთქი. მყისვე დამთანხმდა. დამთანხმდა და დანაპირებიც შეასრულა: თამაშის წინა დღეს ორი ბილეთი გადმომცა. აქვე უნდა გამოვტყდე: პირი რომ არ შეეშალა, მთელი ზამთარი და გაზაფხული ძია კოლიას თავს ვევლებოდი: იმ სათარგმნ თუ სარედაქციო საქმეზე მალ-მალე

ვაკითხავდი, ყველა ჩემს საზრუნავს გვერდზე ვდებდი და მის საქმეს გულმოდგინედ და სწრაფად ვასრულებდი.

ჩემი ამხანაგები გადაირივნენ, როცა შეიტყვეს, ამ მატჩზე ორი ბილეთის შოვნა მოვახერხე და კიდევ უფრო იმაზე, მათი სიტყვებით რომ ვთქვა, ასეთი თამაშის ბილეთს ამ გადაღრძუებული ბერიკაციისთვის ვაფუჭებდი.

ვინ არ მეხვეწა (მათ შორის, შემდეგში სახელგანთქმული მოგზაური **ჯუმბერ ლეჟავაც**), ახლა ეს ბილეთი მე დამითმე და ბაბუა სხვა დროს წაიყვანეო. რას აღარ მთავაზობდნენ და მპირდებოდნენ, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება უყოყმანო და უცვლელი იყო.

ფეხბურთის მოყვარულებს ეხსომებათ, იმჟამად „დინამოს“ სტადიონის შეკეთება მიმდინარეობდა და ეს მატჩი, ისე როგორც მთელი სეზონის სხვა თამაშები, ვაკის, როგორც ერქვა, „ქარიშხალას“ სტადიონზე გაიმართა.

იმ დროს ფეხბურთის დღეებში დილის შემდეგ ვაკეში მგზავრობა ძალიან ჭირდა. ამიტომ ბაბუა ადრიანად წავიყვანე. ეს ის წლებია, ჩემთვის მანეთიც რომ ფულობდა. ასე გასინჯეთ, ბილეთის საფასურის გადახდაც მიჭირდა, მაგრამ არანაირ ხარჯს არ დავერიდე. ბაბუა მთელი დღე ვაკის პარკში მყავდა, ორჯერ რესტორანში ცხელი კერძით გავუმასპინძლდი და სტადიონზე ისე შევიყვანე.

გაჭედილმა სტადიონმა ბაბუა გააკვირვა და კარგ გუნებაზე დააყენა. — *რა ამბავია, ამდენი ხალხი ერთად არ მინახავსო*, მითხრა და ჩვეულებისამებრ წაულიღინა, *„მარიკელა, ჯაშის ქალოო“*. მე კი გულში ვხარობდი. ჯერ ერთი, უდიდესი სიამოვნებით ველოდი თამაშს, რომელიც, დარწმუნებული ვიყავი, უაღრესად სინტერესო გამოდგებოდა და აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დამთავრდებოდა. ულრმეს ნეტარებას მგვრიდა ისიც, რომ შევძელი, ამ დიდებულ სანახაობაზე წამომეყვანა ეს მოხუცი კაცი, რომელსაც აქ მიღებული შთაბეჭდილება აბაზიანებივით ერთფეროვან დღეებს გაუფერადებდა და სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებოდა.

დრო ძალიან ნელა გადიოდა. ბოლოს და ბოლოს, დადგა ნანატრი წუთიც. მსაჯმა სასტვენში ჩაბერა, ბურთის პირველი გადაცემა და მთელს სტადიონს ტაშისა და შეძახილების

ქარიშხალმა გადაუარა. გაეხედე ბაბუას. იგი მოედანს დაჰაბული, შეჭმუხნული სახით მისჩერებოდა.

არ გასულა ორი წუთი და თითქოს სტადიონს ერთიანად ერთი დიდი სატევარი ჩასცესო, გარემო წამიერმა ამოგმინვამ შეძრა, რასაც ასევე წამიერი, შემაძრწუნებული სიჩუმე მოჰყვა, – ბურთი ჩვენი კარის ბადეში გაეხვია. თავზარი დამეცა, ისევ ვმარცხდებით?!

თამაში გრძელდება. რამდენიმე უსისტემო გადაცემა და ჩვენებმაც „შეუბერეს“. მათი შეტევის ტალღები, თანდათან ძალას რომ იკრებდა და მატულობდა, ბოლოს მძვინვარე და წამლეკავ ზვირთებად გადაიქცა. ერთბაშად გადამაეიწყდა თავიცა და ბაბუაც.

მთელი არსებით ბურთზე რომ ვიყავი მიჯაჭვული, უცებ ბაბუას მუჯლუგუნმა და სიტყვებმა გამომაფხიზლეს:

– აგია ბურთობა?!

ვიფიქრე, ბაბუა იმითია უკმაყოფილო, ამ მძაფრ შეტევას აქამდე შედეგი რომ არ მოჰყვა-მეთქი, მაგრამ, ხმას რომ აუწია, დაბნეულმა ვკითხე:

– თამაში არ მოგწონს, ბაბუა?

– რა აქვს ამას მოსაწონი?! – ბაბუას სახეზე აშკარა უკმაყოფილება იხატებოდა. – ბურთობა იგი იყო, ჩვენ, ზემოურები და ქვემოურები, ანდა ცოლიანები და უცოლოები ლელოგატანობას რომ ვთამაშობდით. აგი რაა, ტყულა დარბიან!

ერიჰა, როგორ ტყვილა მომიკლავს თავი!

მალევე გავარკვიე: რადიოთი გადმოცემისას ნესტორ ბაბუა, თურმე, ჩვენს ფეხბურთს ლელობურთად აღიქვამდა, თვალწინ თავისი ახალგაზრდობა ედგა და იმას განიცდიდა. გავარკვიე და ციცი წყალი გადამესხა. ვაი, როგორ გამართლდნენ ჩემი ამხანაგები, რომლებიც რამდენს მეხვეწებოდნენ, – ეს ბილეთი ჩვენ დაგვითმეთ, დაგიმადლებთ, რა იცის ბერიკაცმა ფეხბურთისაო!

სხვათა შორის, სოფელ ჩიბათში, საიდანაც ნესტორ ბაბუა იყო, სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, ლელობურთი დღესაც ძველებურად უყვართ და ამაზე დოკუმენტური ფილმიც არის შექმნილი.

იმ წუთშივე ჩემთვის ესეც ნათელი გახდა: ლელოზეც რომ წამეყვანა, სპორტულად დახვეწილი, სხვადასხვა წესით

განსაზღვრული ეს თამაში ნესტორ ბაბუაზე მაინც ვერ მოახდენდა იმ შთაბეჭდილებას, რასაც იგი ადრინდელი სახით მასში იწვევდა. მის დროს ეს თამაში სოფლად ათასგზის თავისუფალი იყო, არ იზღუდებოდა მინდვრიანი მოედნითა და მსაჯობით, ასპარეზი ბევრად ვრცელი იყო, სოფლის ერთი უბნიდან მეორე უბნამდე, ხანდახან ერთი სოფლიდან მეორე სოფლამდეც კი ვრცელდებოდა და არ იკრძალებოდა არც ერთი ძალისმიერი ილეთი, ტანზე შემოხევაც კი... რაღა გასაკვირია, ამგვარი შერკინების მნახველსა და მონაწილე ბაბუას ახლანდელი სპორტულად რაფინირებული თამაშობანი, – ლეღლო იქნება თუ ფეხბურთი, – აღარ მოეწონებოდა!

ჩამამწარა ბაბუამ ეს თამაში. გულმოსული მეჯუჯღუნებოდა, ავდგეთ და წავიდეთო. რა თქმა უნდა, ბოლომდე კი დავრჩი, მაგრამ შინ ნირწამხდარი წამოვედი. გუნება ვერც ჩვენების გამარჯვებამ გამომიკეთა. თავს „გაბითურებულად“ ვგრძნობდი. ბაბუა იმით დავსაჯე, რომ, რესტორანში შეყვანისა და მწვადის ჭამის ნაცვლად სასაუზმეში „სოსისი“ ვაჭამე და შინ ასე წამოვიყვანე.

მიუხედავად ამ თამაშის ნახვისა, ნესტორ ბაბუა კვლავ ძველი განცდებით უსმენდა ფეხბურთის რადიორეპორტაჟებს, ისევ დაბორიალებდა მაგიდის ირგვლივ და შიგადაშიგ ისევ გაიძახოდა: არიქა, მესხი! არიქა, მეტრეველი! მიდი, იამანიძე! მიდი, ბარქაია! მიდი, ბიჭო, ეძგერე!

ეჰ, მართლაც რა ძლიერი და გამძლეა ის, „რაც *ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდებოს*...“

ბ ა ხ მ ა რ ო
(ჩოხატაურის რაიონი)

ერთი გრამატიკული უზუსტობა

ბახმაროს დასასვენებელ სახლში, ჩვენს მეზობელ კოტეჯებში, შვილებთან ერთად ახალგაზრდა ქალები (ასე, 30–35 წლისანი) ისვენებენ. ბახმარო უფრო ადგილობრივი კურორტია. ჩვეულებრივ აქ გურულები ამოდიან, კაცებს ცოლ–შვილი ამოჰყავთ, თვითონ კი პარასკევ საღამოს ან შაბათ დილას ამოაკითხავენ და კვირას, ნაშუადღევს, მიდიან.

— ჩვენი ქ მ ა რ ე ბ ი არც ამ შაბათ-კვირას ამობრძანდნენ! — გადასძახა ერთმა ქალმა მეორეს.

— „ქმარები“ კი არა, „ქმრები“ უნდა. აქ ასო იკუმშება! — უსწორებს **აკაკი ხინთიბიძე**.

— არა, ბატონო აკაკი, „ქმარები“ ჯობია, ასოშეკუმშული ქმარი, აბა, ვის რად უნდა! — არის „მტკიცე“ პასუხი.

როდისაა ადამიანი ჭკვიანი?

ბახმაროში, ნაძვნარში, საღამო ხანს, წყაროს პირას, რამდენიმე დამსვენებელი — **როლანდ ბერიძე, ათანდილ სიხარულიძე, მე** და იმ სეზონზე ბახმაროს მთავარი ექიმი **იური გობრონიძე** — პატარა სუფრას ვუსხედვართ და ერთმანეთს ვეხმატკბილებით. იურისთან საქმე ჰქონია და მოვიდა დასასვენებელი სახლის მომმარაგებელი და კარგა გვარიანად შეზარხოშებული, მხარბეჭგაშლილი, ზორბა ტანის კაცი მოიყოლია. ორივენი უმალვე სუფრასთან მოვიპატიჟეთ. ჩვენდა სავალალოდ, შეზარხოშებული სტუმარი ჭირვეული გამოდგა. ორი ჭიქა ღვინო რომ დაუმატა, ხმა არ ამოგვაღებინა, ხან ერთ და ხან მეორეს გადაგვეკიდა და ერთსა და იმავეს გვეკითხებოდა:

— თორმეტი წელი მილიციის უფროსად ვმუშაობდი. რომ დამნიშნეს, ოცდარვა წლისაც არ ვიყავი, ახლა.ორმოცისა ვარ და მომხსნეს. გეკითხებით, როდის ვიქნებოდი უფრო ჭკვიანი, როცა დამნიშნეს თუ ახლა, როცა გამათავისუფლეს?

მეც რომ ჩამაცივდა და არ მომეშვა, ჩემდა უნებურად ვუთხარი:

— რა თქმა უნდა, უფრო ჭკვიანი ახლა იქნებით, მაგრამ, როგორცა ჩანს, მაგ მილიციაში ჭკუა მაინცადამაინც საჭირო არ ყოფილა.

ჩ ო ხ ა ტ ა უ რ ი

სანაძლეო

1969 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოვაქვეყნე გამოკვლევა: „ვისია აფორიზმი: *ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყმა ნახო ავად ზრდილი!*“ ეს აფორიზმი იმდენად ჰგავს „ვეფხისტყაოსნის“, „დავითი-

ანის“, აკაკის „გამზრდელის“ შინაარსსა და ბრძნულ გამონათქმებს, რომ ბევრს მათი კუთვნილი ეგონა. მანამდე (და შემდეგაც!) სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მიეწერებოდა შოთა რუსთველს, დავით გურამიშვილს, ერთგან ხალხურადაც იყო გამოცხადებული.

იმ დროს, როცა ამ წერილის კორექტურას ვასწორებდი, თბილისში ჩოხატაურიდან მესტუმრა ჩემი კლასელი მეგობარი **გენო სალუქვაძე**, რომელიც მაშინ ჩოხატაურის რაიონის მთავარი ეკონომისტი იყო. დაინტერესდა და ამ ჩემს წერილს გულდაგულ გაეცნო. როცა უკან დაბრუნდა, რამდენიმე კაცთან სანაძლეო დაედო, *ვისია ეს აფორიზმი*. ამასობაში „ცისკარიც“ გამოვიდა. ... და გენომ სიცილით დიდი მადლობა გადამიხადა – *შენმა წერილმა ბევრი სანაძლეო მომაგებინა და მაქეიფაო*.

ბათუმი

გიორგი ქანთარიას გამოცანები

50-იან წლებში ბათუმ-ოზურგეთის მატარებელზე ხშირად ვხვდებოდი ერთ კაცს – **გიორგი ქანთარიას**, რომელიც ლექსობდა, მღეროდა და სანაძლეოზე გამოცანებს ამბობდა. ეტყობოდა, ამით ირჩენდა თავს. ახლაც ყურში ჩამესმის მისი პრიმიტიული ლექსის ნაწყვეტი:

„ამ ლექსის დაწერისას ხელთ არ მქონდა ფანქარია ...
გოგიე ვარ ქანთარია“.

სანაძლეო გამოცანები ყოველთვის იუმორისტული იყო. როგორც კი ვაგონში გამოჩნდებოდა (უფრო ეს ღია და საზაფხულო ვაგონებში ხდებოდა), მგზავრები მაშინვე გარს შემოეხვეოდნენ. სიმღერის, გალექსებისა და კითხვა-მოკითხვის შემდეგ ის გად-მობრუნებულ ქუდს საჯდომზე დადებდა და შიგ სამმანეთიანს ჩადებდა. ასევე იქცეოდნენ ისინიც, რომლებსაც სანაძლეოში მონაწილეობის მიღება სურდათ. ქუდი სამმანეთიანებით ერთბაშად ივსებოდა. გამარჯვებული კი ყოველთვის თვითონ გამოდიოდა. აი, რამდენიმე გამოცანა, რომლებიც დამამახსოვრდა:

– სიცრუესა და სინამდვილეს შორის რა მანძილია?

შეგნებულად თუ მართლა ვერც ერთმა ვერ ამოვხსენით.

— ოთხი თითის დადებაო, — თავად განმარტა და მოხრილ-ცერიანი ხელის მტევანი თვალსა და ყურს შორის დაიდო.

მეორე შეხვედრაზე ასეთი გამოცანა თქვა:

— ბაზარში რამდენი კაცი დადის?

გავიკვირვეთ, მაგის დათვლა საიდან შეიძლებაო? მან ასე ახსნა:

— გამყიდველი, მყიდველი და ქურდიო.

ამაზე აყაყანდნენ, კითხვა სწორად დასმული არ არისო, მაგრამ ქომაგებიც ბლომად გამოუჩნდნენ, სიცილით იცავდნენ: *სწორია, სწორს ამბობს ეს კაციო.*

ერთხელ ასეთი კითხვა დასვა:

— ვის ემორჩილება სტალინი?

ზოგმა თქვა, უმაღლეს საბჭოსო, ზოგმა — ცენტრალურ კომიტეტს, ყრილობას, კონსტიტუციასო და ა. შ. — **არა, ყველაფერი ეს მისი შექმნილია,** — გვიხსნის თვითონვე, — **ერთადერთი, ვისაც ემორჩილება, ... პარიკმახერია. უთხრა მან, აქეთ გაწიე თავიო, გაწია, გამოწიეო, გამოწია!**

ერთხელაც, ეს 1956 წელს იყო, როცა ხრუშჩოვმა სტალინის განქიქება დაიწყო და ამას სტუდენტთა გამოსვლები მოჰყვა, იკითხა:

— რა არის პიროვნების კულტი?

ყველა პასუხი უარყო და ასე ახსნა:

— ეს არის ავადმყოფობა, სამი წლის მკვდარს ემართება!

ეთანხმებოდი თუ არა მას, ამას ყურადღებას არ აქცევდა, უმალვე ფულს ხელს მოხვევდა, ჯიბეში დაუთვლელად ჩაიტენიდა, ქუდს ხელზე დაიფერთხავდა და კმაყოფილი სახით გზას გაუდგებოდა. იყო ერთი ჟრიამული და ხორხოცი!

ხელოვნების მადლით გასხივოსნებული ოჯახი

ჩემს ბავშვობაში ჩემს სულიერ ჩამოყალიბებასა და ცხოვრების გზის არჩევაში დიდი როლი შეასრულა ჩემმა მამიდაშვილმა **აკაკი (კაკო) ვადაჭკორიამ**. ის ჩემზე ხუთი წლით უროსი გახლდათ (1931 წლის 27 იანვარს იყო დაბადებული), ბათუმში ცხოვრობდა და ყოველ ზაფხულს თავის ორ უმცროს ძმასთან ერთად ჩვენთან სოფელში, სილა-

ურში, ბებიასა და ბაბუასთან ატარებდა. ერთ ხანს, ომიანობის ჟამს, ჩვენს სკოლაშიაც სწავლობდა და თავისი რუსულის ცოდნით თანაკლასელებსა და მასწავლებლებსაც აკვირვებდა და ხიბლავდა.

კაკო ნიჭიერებით, მწერლობისა და ხელოვნების სიყვარულით, ყოველთვის გამოირჩეოდა. მან ოჯახური მდგომარეობის გამო უმაღლესი განათლების მიღება ვერ მოახერხა. მამამისი მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილიყო და დიდხანს მის შესახებ არაფერი ვიცოდით. როცა ომის დამთავრების შემდეგ გამოჩნდა და შინ დაბრუნდა, როგორც ტყვედ ნამყოფი, უმალვე ციმბირში გადაასახლეს და ოჯახს გვიან, 17 წლის შემდეგ, დაუბრუნდა. მამიდაჩემს სამი ვაჟის გაზრდა ძალიან უჭირდა და, როგორც კი კაკომ საშუალო სკოლა დაამთავრა, მაშინვე მუშაობა დაიწყო. სათანადო მოწყობილობა შინ ჰქონდა და მამის ხელობას გაჰყვა, – პარიკმახერობას მიჰყო ხელი. აქაც დიდი ნიჭი გამოაჩნდა. ხელოსნობა ხელოვნების დონეზე აიყვანა. მაშინ, როცა მის გვერდით მყოფი ხელოსნები უსაქმოდ თვლემდნენ ან დომინოს თამაშობდნენ, მას მუდამ კლიენტთა რიგი ედგა.

კაკო, მე, სოფლელ ბავშვს, დიდი გატაცებით მიყვებოდა მის მიერ წაკითხულ მოთხრობებსა და ნანახ კინოფილმებს. ახალგამოსული წიგნებიც ამოჰქონდა და მაკითხებდა. შემდეგ, როცა ფილოლოგი გავხდი, ვნახე, უფრო ბათუმში გამოცემული წიგნები, – პარმენ ლორიას, კაპიტონ რუსიძის, რადგან სისონა დარჩიას ეხებოდა, ალექსანდრე დუდუჩავასა და სხვათა შემოქმედება ჩემთვის ფართოდ გაეცნო.

როცა მუშაობა დაიწყო და საკუთარი შემოსავალი გაუჩნდა, მეშვიდე კლასში ვიყავი, ზამთრის არდადეგების დროს სოფელში ამოვიდა და ბათუმში წამიყვანა. ყველა საღამო კინო-თეატრში დავყავდი. პირველად ვნახე თეატრი და ცირკი. მასმევდა სიროფიან წყლებსა და ლუდს...

კაკო ასეთიე მოყვარული და ყურადღებიანი იყო ყველა ნათესავის მიმართ. მას ეს ღირსება მშობლებიდან მოსდგამდა და ოჯახიც ამგვარიევ შექმნა. მეუღლე **მედიკო ჩხარტიშვილი** და შვილები – **ზაირა, ქეთინო** და **გელა** უაღრესად თბილი და სტუმართმოყვარენი არიან. სანამ დრო გაფუჭდებოდა, ზაფხულს არ ვაცდენდი, ბათუმში ზღვაზე არ

ჩავსულიყავი და მათთან თითო კვირა მაინც არ დამეყო. არ მახსოვს, თავის მხრივ კაკო თბილისში ჩამოსულიყოს და არ მსტუმრებოდეს, ხოლო, თუ საამისო დრო არ ჰქონდა, არ შემხმინებოდეს (მაშინ ტელეფონი, როგორც ახლაა, ასე განვითარებული არ იყო).

კაკო გარეგნობით ძალიან ჩამოჰგავდა იოსებ სტალინს და ამ მხრივაც იპყრობდა ყურადღებას.

მშვენიერებისადმი მისი მისწრაფება იმაშიც გამოვლინდა, რომ შინ აკვარიუმში ნაირ-ნაირი ოქროსა და ზურმუხტისფერი თევზები, ხოლო გალიაში ასეთივე სილამაზის მგალობელი ჩიტები ჰყავდა. როგორ ზრუნავდა თითოეულზე და როგორი ნეტარებით შესცქეროდა და უსმენდა მათ!

კაკოსა და მის შთამომავლებს მამისგან მუსიკალური ნიჭი გამოჰყვათ. ბაბუამისი, **ერმილე გადაჭკორია,** ცხოვრობდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათში და იყო ადგილობრივი მაცხოვრის ეკლესიის მგალობელთა გუნდის ლოტბარი. მან რვა შვილი აღზარდა, მათ შორის ხუთი ვაჟი, და ყველა ბავშვობიდანვე საეკლესიო გუნდში გალობდა.

კაკოს მამას, **დალმანტის (დომენტის),** რომელიც ბათუმში დასახლდა და, უკვე ვთქვი, პარიკმახერად მუშაობდა, მთელი ცხოვრების მანძილზე ქართული ხალხური სიმღერის სიყვარული ასაზრდოებდა.

ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვეობაში მყოფმა ქართველებმა **დავით (დათაშკა) კავსაძის** ხელმძღვანელობით ქართული ხალხური სიმღერის გუნდი ჩამოაყალიბა. როგორც ბიძაჩემი ჰყვებოდა, მასზე უზრუნია ქართველ ემიგრანტებს: შეუკერავთ სათანადო ქართული სასცენო სამოსელი და საფრანგეთსა და იტალიაში კონცერტების გამართვაში ეხმარებოდნენ. დალმანტი ბიძია თავიდან ბოლომდე ამ გუნდის წევრი ბრძანდებოდა. გადასახლებიდან დაბრუნებული სიცოცხლის ბოლომდე ბათუმის ეთნოგრაფიულ გუნდში მღეროდა.

კაკო შინაურულ მომღერლობას დასჯერდა, სცენაზე გამოსვლა არ უცდია. სამაგიეროდ, მისმა შვილებმა უმაღლესი მუსიკალური განათლება მიიღეს და ბაბუის კვალს გაჰყვნენ. ზაირა აჭარის სახელმწიფო ქალთა კამერული გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია, გე-

ლა – ამ გუნდის დირიჟორი და ბათუმის კონსერვატორიის პედაგოგი. ქეთინო ამავე გუნდში მღერის. გელა და ქეთინო აგრეთვე ბათუმის ღვთისმშობლის ეკლესიის მგალობლებიც არიან.

ზაირა მუსიკის დარგში კვლევა-ძიებასაც ეწევა. დაწერა და წიგნად გამოსაცემად მზად აქვს საკვალიფიკაციო ნაშრომი – *„იოსებ კვჭაყმაძის საგუნდო ნაწარმოებთა ინტერპრეტაციის საკითხები“*, რომლის ნაწილები სტატიებად აქვს გამოქვეყნებული.

კაკომ ბოლო ხანს მუსიკის დარგში სხვა ნიჭიც გამოამჟღავნა: ამზადებდა და ახლობლებს სჩუქნიდა მაღალხარისხოვან ხალხურ საკრავ ინსტრუმენტებს, – ჩონგურსა და ფანდურს, ჭიმონსა და გუდასტვირს, ბერძნულ ხალხურ საკრავ ქამანჩას.

კაკოსადმი მიძღვნილ საგაზეთო წერილში *„ფანდური საქართველოა“* მაია მელაძე წერს: „აკაკი ვადაჭკორია ფანდურს მასიური ხისგან აკეთებს, მასალად კი იყენებს ცაცხვს, თუთას, ვერხვს და უველაზე მეტად სასიხარულო ის არის, რომ იგი არასდროს არ უიდის თავის ნახელავს. მის მიერ გაკეთებულ ფანდურებს მეგობარ-ახლობლებს სჩუქნის“.

ავტორს მოჰყავს ერთი ასეთი ეპიზოდი: აკაკის „თურმე ერთი ფანდური მეგობრისათვის, რუბენ ანთიძისათვის, უჩუქებია. რუბენს გახარებია, თვალები აცრემლებია და ასე უთქვამს:

– კაკო, თუ იცი შენ, რა მაჩუქე?

– რა გაჩუქე, კაცო, ამისთანა, ფანდური გაჩუქე, – უპასუხნია აკაკი ვადაჭკორიას.

– შენ მარტო ფანდური კი არა, საქართველო მაჩუქე, საქართველო!?“ (გაზ. „აღორძინება“, ბათუმი, 22 აგვისტო, 1996, № 30).

რუბენს განუმარტავს: ფანდური და ჩონგური რამ გაყოო და აკაკი წერეთლის ლექსი დაუსახელებია: „ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ უველაო..“.

როდესაც საბერძნეთში საცხოვრებლად გადასული ერთი მისი ყოფილი ბერძენი მეზობელი სტუმრად ბათუმში ჩამოვიდა და კაკოს ნახელავი ქამანჩა ნახა, თვალებზე სიხა-

რულის ცრემლები მოადგა, ავტორს კი დიდი მადლობა გადაუხადა, რომ მას ეს საკრავი არ დავიწყებია.

ეს ჩემი საყვარელი მამიდაშვილი, ძმა და მეგობარი, 2003 წლის ოქტომბერში 72 წლისა გარდამეცვალა.

უსამართლობა

ბათუმის აეროპორტის უფროსად მუშაობდა ჩემი ბიძაშვილის, **ლამარა დარჩიას**, მეუღლე **გივი (კარლო) ჩაჩავა**, უაღრესად პატიოსანი და საქმის ერთგული კაცი. უშიშროების სისტემიდან ჰყავდა თანამშრომელი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში უფასოდ ეძლეოდა თვითმფრინავის ერთი ბილეთი. ის კი ამ ბილეთს ხშირად იღებდა, ჰყიდდა და, რაღა თქმა უნდა, ფულს ჯიბეში იდებდა. გივიმ რამდენიმეჯერ სთხოვა, *ამას ნუ აკეთებო*, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდა, იძულებული შეიქმნა, სამსახურიდან გაეთავისუფლებინა. იგი გივის გადაეკიდა, ხან სად უჩიოდა და ხან – სად. მოახერხა, საქმე ჩაეწყო ჟურნალ „ნიანგის“ კორესპონდენტ ჟანი სიხარულიძესთან, რომელმაც „ნიანგში“ საშინელი წერილი დაბეჭდა – *„უწესრიგობას ფრთები უნდა დაეჭრას!“* (№ 21, 1979). გივიმ ამ უსაშველოდ გაზვიადებული და ცილისმწამებლური სტატიის ყველა ბრალდებას წერილობით უპასუხა, რომელიც ჯერ ჩააბარა „ნიანგის“ მთავარ რედაქტორს, ჩვენთვის ყველასთვის საყვარელ პოეტს, დ ა რ ჩ ი ე ბ ი ს ს ი ძ ე ს **ზაურ ბოლქვაძეს** და შემდეგ – ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ მთავარ რედაქტორ **გურამ გოგიაშვილს**. მაშინ, როგორც ქართულ ანდაზაშია, ისე იყო: *ჯერ დაგჭედავდნენ და მერე უნდა უმტკიცო, რომ ბედაური არა ხარ.* როგორც თანამდებობის სკამი მოითხოვდა, გივის არც ერთმა და არც მეორემ ყურადღება არ მიაქცია და ამ ცამდე მართალმა კაცმა ინფარქტი აიკიდა.

აი, აქედან ერთი ბრალდება: „1978 წლის 18 ნოემბერს აეროპორტის უფროსმა ინჟინერმა **დ. ი. დიასამიძემ** დაუანგარიშებლად გადააბარა მეკუპნავე **მ. ბატარაგას** ავიაბილეთების ბლანკები (ფორმა კ–50). გადაბარება-გადმობარებაში უხეშად დაარღვიეს არსებული ინსტრუქცია, რამაც გამოიწვია **7 500 მანეთის ღირებულების 25 ბლანკის დაკარგვა**“.

აუ, აეროპორტს რამხელა ზარალი მოსვლია, 7 500 მანეთი!

მახსოვს, საპასუხოდ გივი ჩაჩავა წერდა: როცა ეს „ბლანკები“ ბილეთებად იქცევა, ბეჭედი დაესმება, რა თანხაც მასზე დაეწერება, ბილეთიც იმ ღირებულებისა იქნება. ასე რომ, თითოეული „ბლანკი“ შეიძლება, 10-ჯერ და 100-ჯერ მეტი ღირებულების ბილეთად იქცეს, ვიდრე 7500 მანეთია. მაგრამ, სანამ ეს არ მომხდარა, 25 „ბლანკის“, როგორც ქაღალდის, ფასი 30-35 მანეთს არ აჭარბებს!

ჩემთვის დიდად პატივსაცემ ხსენებულ პიროვნებებს იმ დროს თავი არ შეუწუხებიათ იმის გასარჩევად, თუ რა განსხვავებაა 7500-სა და 30-35-ს შორის!

ქ უ თ ა ი ს ი

იაკობ შემოქმედელი

იაკობ შემოქმედელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მუშაობა თითქმის დამთავრებული მქონდა, ოღონდ დაუდგენელი მრჩებოდა უმთავრესი ბიოგრაფიული საკითხები — მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები. ეს კი უშუალოდ იყო დაკავშირებული იმის გარკვევასთან, თუ როდის ეკურთხა იგი შემოქმედის მიტროპოლიტად. **თედო ჟორდანიას** ცნობით, გელათის წმინდა გიორგის მონასტრის ერთ-ერთი გულანის მინაწერში ზუსტად ყოფილა აღნიშნული, რომ ეს მოხდა 1647 წელს. ამ შეხედულებას სხვებიც იმეორებდნენ, მაგრამ, დაწყებული **პლატონ იოსელიანიდან**, ისეთი გიგანტი მეცნიერების ჩათვლით, როგორიცაა **დიმიტრი ბაქრაძე** და **კორნელი კეკელიძე**, დამთავრებული თანამედროვე მკვლევარებით, იაკობის ხელდასხმის თარიღად 1682 წელს ასახელებენ.

უპირველესად საჭირო იყო, მომენახა გელათის აღნიშნული გულანი და თედო ჟორდანიას ცნობა შემემოწმებია. გელათის სიძველენი დაცულია ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, მაგრამ ქუთაისში წასვლა არ გინდა?! ეს არის გასული საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც ერთბაშად ყველაფერი უსაშველოდ გაძვირდა, ხელფასები მიზერული გახდა და იმასაც არ იძლეოდნენ, ინსტიტუტიდან მივლინება გამორიცხული იყო, ქუთაისამდე მგზავრობის ფულიც არ

მქონდა, სასტუმროს ფულზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი და ზედმეტია.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელს, რომლებიც თავიანთი დისერტაციების გამო ლიტერატურის ინსტიტუტში მოდიოდნენ, ვთხოვე, მუზეუმში მისულიყვნენ, აღნიშნული ცნობა მოენახათ და ფოტოსურათი გადაეღოთ. ერთს საამისოდ ფულიც მივეცი. მაგრამ თხოვნა ვერავინ შემისრულა.

მშველელად **მურმან თავდიშვილი** მომევლინა. რამდენიმე წლით ადრე მისი ქალიშვილი **ქეთინო** ქუთაისელ **გია ბასილაძეზე** გათხოვდა. რაღაც ამბავთან დაკავშირებით 1999 წლის 24 მაისს მურმანმა თავისი მანქანით ქუთაისში წასვლა გადაწყვიტა და შემომთავაზა, გავყოლოდი. მკითხველმა მიახლოებით რომ გაითვალისწინოს, ეს რა დროა, ერთს ვიტყვი: წინა წლის ოტომბრიდან მოყოლებული ის უბადრუკი ხელფასებიც გაყინული იყო და შვიდი თვის განმავლობაში კაპიკი არ გვქონია მიღებული.

შეგვექმნა დაბრკოლება. 24 მაისი ორშაბათი აღმოჩნდა, კვირა–ორშაბათს კი მუზეუმები არ მუშაობენ. მურმანის მზახალმა **დოდო ჩეჩელაშვილმა** მარიფათი გამოიჩინა. შაბათს მივიდა მუზეუმში, მუშაკებს ჩემი ამბავი გააცნო და სთხოვა, ორშაბათს მუშაობის საშუალება მოეცათ. მუზეუმის ერთ–ერთი თანამშრომელი აღმოჩნდა ძიმითელი ჩემი სკოლელი მეგობრის **ნანული გოგელიას** ქალიშვილი.

და, აი, თბილისიდან ადრე დილით ქუთაისში წასულები მურმანის მძახლის **ვიტალი ბასილაძის** ოჯახში გამზადებულ საუზმეს მალე მოვრჩით და, თერთმეტის ნახევარი არც იყო, მუზეუმში გელათის ერთ უშველებელ ნუსხას დაკვირვებით ვფურცლავ და მინაწერებს (ზოგს ლუპით) ვკითხულობ. ჩავათავე იგი, მაგრამ, რასაც ვეძებდი, არ აღმოჩნდა. ავიღე მეორე ასევე დიდტანიანი ხელნაწერი. ძიება აქაც უშედეგო აღმოჩნდა. დავიღალე, მესამე დიდი ხელნაწერის თავი აღარა მქონდა და შედარებით პატარა (№ 38) ნუსხას მივადექი. გასავათებული რომ ვფიქრობ: *თუ აქაც ვერ ვიპოვე, ძიებას თავს ვანებებ და ნაშრომში დასმულ საკითხს ღიად დავტოვებ–მეთქი*, უცებ ევრიკა! 487–ე გვერდზე გადამწერის ხელით ნუსხურით შესრულებული ქორონიკონების

ცხრილში, სადაც მთავრდება ქორონიკონი **ᲩᲚᲔ**, რაც უდრის 1647 წელს, ნუსხური ასოებითვე დაქარაგმებულად შემდეგ ჩაწერილია ის ტექსტი, რაც თედო ჟორდანიას ჰქონდა დაბეჭდილი:

„აქა ქ(რისტ)ეანი და ღ(ვ)თის მ(ო)უ(უა)ე შემ(ო)ქმედ(ე)ლ(ა)დ ე(კურ)თხა ბ(ა)ტ(ო)ნი ი(ა)კ(ო)ბ. ღ(მ)ერთმ(ა)ნ ღირს უოს მ(ა)რჯუ-(ე)ნით ნ(ა)წ(ი)ლსა წ(მიდ)ათასა. ა(მი)ნ“.

მოშვებულმა თვალები დავხუჭე და თავი ხელებში ჩავრგე. არ გასულა ხუთი წუთი და მურმანის სიძემ და მისმა დედამ, დოდომ, მომაკითხეს, *სადილი გვიცივდებაო*. დავხედე საათს და ოთხი სრულდებოდა. ისე დაღლილი ვიყავი, ათი წუთით ადრე რომ მოსულიყვნენ, საქმეს თავს მივანებებდი და გავყვებოდი, მაგრამ ბედმა გამიღიმა!

ახლა აღარ მოვყვები, თუ მუზეუმის იმ ორმა თანამშრომელმა, რომლებმაც ჩემი გულისთვის ის დასვენების დღე სამსახურში დაჰყვეს, როგორ დაარღვია მუზეუმებისათვის დაწესებული რკინის კანონი ექსპონატის გარეთ გატანის აკრძალვის შესახებ და ერთ-ერთის თანხლებით, მურმანის მძახლების მანქანით, რამდენი ვიარეთ და ფერად ქსეროქსს ქალაქის განაპირას როგორ მივაგენით.

ნაშუადღევი იყო, ვიტალისა და დოდოს დიდებულ სუფრას რომ მივუსხედით, ბოლოს სამახსოვრო სურათებიც გადავიღეთ და გამარჯვებულებმა თბილისისაკენ გამოვწიეთ.

2009 წელს გამოვიდა ჩემი მონოგრაფია *„იაკობ შემოქმედელი“*. ეს ფერადი ქსეროასლი იქ დავბეჭდე, რამაც საყოველთაოდ ნათელი გახადა ამ ჩვენი დიდებული წინაპრის საკვანძო ბიოგრაფიული თარიღები.

ს ა ი რ მ ე
(ბაღდადის რაიონი)

თაფლის ფასი

1980 წლის ოქტომბრის დასაწყისში მე და **გურამ ცერცვაძემ** 12 დღე საირმეში გავატარეთ. იქაური ხალხი მეფუტკრეობას ეწევა და დასასვენებელ კოტეჯებთან თაფლის დიდი ბაზრობა აქვთ გამართული. მაგრამ, რად გინდა, სუფთა თაფლს ვერ იშოვი!

საქმე არაფერი გვქონდა და აღმა-დაღმა დავეხეტებოდით. შემოგვხვდა საკმაოდ ხანდაზმული ქალი და ვეუბნები:

–ავადმყოფი შვილი მყავს და მჭირდება აუცილებლად სუფთა თაფლი და ხომ ვერ მომყიდით?

– რამდენი გნებავთ?

– 3-კილოიან ქილას რომ გაავსებს, იმდენი.

– ზუსტად მაგდენი მაქვს.

კი გამიკვირდა, ასე ცოტა რატომ აქვს-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს. სადაც ცხოვრობდა, დამანახვა. *მოგაკითხავთ-მეთქი*, დავპირდი.

რამდენიმე დღის შემდეგ ეს ქალი ერთ-ერთ კოტეჯში ვნახე, იქ დამლაგებლად უმუშავია. ვეუბნები: ქალბატონო, ავადმყოფი შვილიშვილი მყავს, მისთვის სუფთა თაფლი მინდა, თქვენთან მომასწავლეს და მოვედი-მეთქი.

ვერ მიცნო. თუ მაშინ სპორტული ტანსაცმელი მეცვა, ახლა კოსტუმითა და ჰალსტუხით ვიყავი გამოპრანჭული.

– რამდენი გინდა?

– ბევრი მინდა, – 33 კილო.

– სწორედ მაგდენი მაქვს! – იგივე სიტყვები არ გამიმეორა!

გამახსენდა: წინა წელიწადს, ივლისში, მეგობრებთან ერთად ყელის ტბაზე გახლდით და მცირე ლიახვის ხეობით უკან ვბრუნდებოდით. ვხედავთ, ერთ ადგილას სკის ქალაქია გაშენებული და იქვე პატრონია წამოწოლილი, ახლაც მახსოვს, გვარად კუდუხაშვილი.

– ა, ბატონო, ვისაც სუფთა თაფლი გნებავთ, აგერაა. – ვთქვი მე.

– ახლავე გამოვიღებ და მოგართვევთ. – გვეთანხმება პატრონი.

– ფასი?

– კილო 12 მანეთი.

– სიამოვნებით ვიყიდდი, მაგრამ აქ ახლა 100 გრამის მომატებაც ჩვენთვის დიდი ტვირთია. – ვამბობ მე.

– თბილისშიაც ჩამომაქვს, მარჯანიშვილის ამა და ამ ნომერში, მობრძანდით და მოგართმევთ.

– თბილისში რა ელირება?

– 9 მანეთი. – დაუფიქრებლად მპასუხობს იგი.

უნდა გენახათ მისი დაბნეული თვალები, როცა მე გავიკვირვე: აქ, ადგილზე, 12 მანეთი და თბილისში, ამხელა მანძილის გამოვლის შემდეგ, ნაკლები, 9 ლარი?!

ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი

არსებობს პატიოსანი მეღვინე?

თენგიზ მდივანმა მიამბო: ზესტაფონში ცხოვრობდა და მუშაობდა მამაჩემის მამიდაშვილი, ცნობილი მეღვინე **პეტრე ჭაჭიაშვილი**.

ედუარდ შევარდნაძემ, როცა ის კომპარტიის „ცეკას“ პირველი მდივანი იყო, ზესტაფონში დასავლეთ საქართველოს მეღვინეთა თათბირი ჩაატარა. რა თქმა უნდა, მას პეტრეც ესწრებოდა. ბატონი ედუარდი ძალიან მკაცრი კრიტიკით გამოვიდა: ამდენი ხანია, ვებრძვით ღვინის ფალსიფიკაციას, ვცდილობთ ღვინის ქარხნებში წესრიგის დამყარებას, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ. ახლა გადავწყვიტეთ, ძველი მეღვინეები სამსახურიდან გავათავისუფლოთ და მათ ადგილას ახალგაზრდა, 5-10-წლიანი სტაჟის მქონე, მეღვინეები დავაწინაუროთო.

პეტრემ ხელი აწია და ხმამაღლა იკითხა: *ამხანაგო ედუარდ, შეიძლება 5-10 წლის წინათ მოყვანილი ქალი ქალიშვილი იყოს?* დარბაზი სიცილით გადაბუირდა. შემდეგ ამას ზესტაფონში ანეკდოტად ჰყვებოდნენ.

კ ა ც ხ ი
(ჭიათურის რაიონი)

რა განსხვავებაა „გამარჯობასა“ და „გაგიმარჯოს“ შორის?

მინა გამეზარდაშვილი (პროფესორ **დავით გამეზარდაშვილის** მამა) სოფელში გამორჩეული მშრომელი კაცი გახლდათ, სკოლაში ასწავლიდა რუსულს და სკოლის დირექტორიც იყო. ხანდაზმულს ერთხელ უთქვამს: *ჩემს ცხოვრებაში „გამარჯობა“ სულ*

რამდენიმეჯერ მაქვს ნათქვამიო. გაკვირვებულან, რა თქვა ესო! არაადა, ის თავმდაბალი და თავაზიანი კაცი ყოფილა. ღიმილით თავადვე განუმარტავს:

— სამუშაოზე ყოველთვის ადრე, პირველი მივდიოდი, „გამარჯვებას“ მე მეუბნებოდნენ და ჩემი სათქმელი „გაგიმარჯოს“ იყოო.

ს ე რ ბ ა ი ს ი
(ხარაგაულის რაიონი)

ბაბუა სინოს თადარიგი

ბონდო არველაძე მიამბობს: ომის დროს, ასე 7–8 წლისა ვიყავი, მაღალმთიან სოფელ სერბაისში ბებიასა და ბაბუასთან ვიზრდებოდი. ბაბუას **სვიმონი** ერქვა და **სინოს** ეძახდნენ. ხმა გავრცელდა, გერმანელებმა პროკლამაციები გადმოყარესო (სხვათა შორის, სოფელში დესანტიც გადმოსხეს და მალე შეიპყრეს). იმ საღამოს ბაბუას ძმიშვილი **სერგო** გვესტუმრა, რომელიც ჩვენთან კოლმეურნეობის ბრიგადირად მუშაობდა. სერგო ბიძიამ ბაბუას საეჭვოდ წასჩურჩულა. ბაბუა მომიბრუნდა და მეუბნება: აიღე დოქი და წყალი მოიტანეო. წყარო მოშორებით იყო. ვიგრძენი, რაღაც საიდუმლო ჰქონდათ, წყალზე არ წავსულვარ, სახლს უკნიდან შემოვუარე და ფანჯრის ღრეჭოდან მათ საუბარს ყური მივუგდე. მაშინვე მივხვდი, ბაბუას სერგო პროკლამაციას უკითხავდა. დამამახსოვრდა სიტყვები: *ჩვენ მალე გავიმარჯვებთ, კოლექტივებს დავშლით და ყველას თქვენ–თქვენ მიწებს დაგირიგებთო.*

მეორე დღეს ბაბუა დილაადრიანად მაღვიძებს, შინიდან მივყავარ და სოფელში ზევით და ქვევით დამატარებს. თავისი ხელჯოხით კოლმეურნეობის ფართობებზე მიმითითებს და მეუბნება: *ეს ჩვენი მიწები იყოო.* ასე ვიარეთ კარგა ხანს და ბოლოს დააყოლა: *ისიც დაიხსომე, ზემოთ, მეგელაურშიც, გვქონდა მამულიო.*

მაგრამ ბაბუა სინოს თადარიგი ამაო გამოდგა!

სუსხის მონატრება

აკაკი ხინთიბიძე გვიამბობდა ისრაელში წასულ ერთ გორელ კაცზე, რომელსაც საქართველოს სიყვარული ასე გამოუხატავს:

— იცი, რა მენატრება? — ზამთრის სუსხი, დილით რომ სამსახურში მივდიოდი და ცხვირ-პირს მიწვავდა!

ქვემოჭალა
(კასპის რაიონი)

სარები და დათვი

აქ **აკაკი ხინთიბიძეს** პატარა, მაგრამ შესანიშნავი სააგარაკე სახლ-კარი ჰქონდა. ამ მამულში დაწურული ღვინო და შესაბამისი პურმარილი ბევრ ჩვენგანს მრავალჯერ მიულია.

ერთხელაც, აკაკიმ აქაურ კაცს სთხოვა, აკაციის სარები მოემყიდეო. ფასი რომ ეძვირა, იმ კაცმა აუხსნა:

— ამ სარებს ტყეში რომ ვამზადებდი, დათვი მოვიდა და ბეჭებზე თათი დამადო.

ერთხმიანობა და მრავალცოლიანობა

ქვემოჭალაში, ქორწილში, ერთხმიანი ბაიათური სიმღერა რომ იმღერეს, **აკაკი ხინთიბიძე** მის გვერდით მჯდომ ამავე სოფლელ **ლევან პავლიაშვილს** გამოსაჯავრებლად ეუბნება:

— ხედავ, ქართლელებს როგორ გემჩნევათ, რომ აქ სპარსელები საუკუნეთა განმავლობაში ბატონობდნენ, ერთხმიან სიმღერებს მღერით!

— ოჰ, მაგ მამაძაღლებმა მრავალცოლიანობა წაიღეს და ერთხმიანობა დაგვიტოვეს, ხომ?! — არ იბნევა ლევანი.

ოლეგ ბასილაშვილის რუსული

თემურ მირიანიშვილი თავის ბებიაზე მიყვება: მამიდან ბაბო, **ევა ბასილაშვილი,** შილდაში მეზობელი სოფლიდან იყო გამოთხოვილი. ერთი ღერი რუსული არ იცოდა. ვხედავ, ტელევიზორს გაფაციცებით უყურებს. რუსულ ფილმს უჩვენებდნენ, სადაც **ოლეგ ბასილაშვილი** თამაშობს. ბაბოს ოლეგი დავანახვე და ვუთხარი, ეს გვარად ბასილაშვილი არის–მეთქი. ბაბომ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი და მეუბნება: *ნახე, რუსული რა კარგად სცოდნიაო!*

ჩოლოყაშვილი თელავში

კოტე ჩოლოყაშვილი თელავში ჩავიდა. ვინც კი შეხვდა, თბილი მისალმების შემდეგ ყველა ეკითხება, რაზე ჩამობრძანებულხართო?

– აქ ინსტიტუტის რექტორად **ნიკოლოზ ქორთუა** გყავთ და რაღა ჩემი, ჩოლოყაშვილის, ჩამოსვლა გაგიკვირდათო! – ღიმილით უპასუხა ბატონმა კოტემ ერთ-ერთ შემკითხველს.

ლექტორი და ტორტი

ჩემი თანაკურსელი მეგობარი, თელავის გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი **ლეილა შალვაშვილი,** ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი განსაკუთრებული პატიოსნებითა და პრინციპულობით, რის გამოც ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნება შეხვდა. ამ 30–35 წლის წინათ, როდესაც მან აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობა დაიწყო, ქართულ ენაში ლექციებს უკითხავდა დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტებს, რომლებიც, ძირითადად, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები იყვნენ. სასწავლო წლის ბოლოს მათ ფული შეუგროვებიათ, ვეებერთელა ტორტი შეუძენიათ და გამოცდების დღეს ლეილასათვის მიურთმევიათ. ეს ის დროა,

საქართველოში მექრთამეობა ობობას ქსელივით ყველაფერს ედება და უმაღლეს სასწავლებლებში ნელ-ნელა კი არა, აჩქარებული ტემპით ფეხს იკიდებს. ლეილამ, რა თქმა უნდა, ძღვენი ქრთამად აღიქვა და გამალებით იმაზე დაიწყო ფიქრი, თავი მისგან როგორ დაეღწია. ბოლოს, დანას იღებს ხელში, ტორტს საშუალო ზომის ნაწილებად ჭრის და აცხადებს: სადილობის დროც მოვიდა. ვინც 4-სა და 5-ზე ჩამაბარებს, ის თითო ნაჭერ ტორტს მიიღებს. ოთხოსანი და ხუთოსანი ცოტა აღმოჩნდა. ამიტომ ტორტი სამოსნებსაც ერგოთ. ზოგმა იუარა, მაგრამ მან არც ერთს ნიშანი მანამ არ დაუწერა, სანამ ტორტი არ მიირთვა. ასე შეაჭამა ქალბატონმა ლეილამ ასაკით ბევრად უფროს თავის სტუდენტებს მათ მიერ მოტანილი მთელი ტორტი ისე, რომ მას ერთი ცინცქნაც არ გაუსინჯავს.

განათლების ახალი საზომი

მგონი, 1971 წელი იყო. თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღებ საგამოცდო კომისიაში სამუშაოდ კომისიის თავმჯდომარე **რევაზ ბარამიძემ** თბილისიდან წამიყვანა და იქ „ჩუმად“ ხმა გამივრცელა, „კაგებედან“ „ამკიდეს“ და ფრთხილად იყავითო. მართლაც, მერიდებოდნენ და ვერანაირ თხოვნას ვერ მიბედავდნენ. მე კი ხელ-ფეხი მქონდა გახსნილი და შავი დღე ვაყარე ყველას, ვინც „შპარგალკების“ იმედით იყო მოსული. მათ შორის საკმაოდ იყვნენ ფულით დაიმედებული მდიდარი და გავლენიანი მეღვინეების შვილები და ახლობლები.

სხვათა შორის, 20-ოდე წლის შემდეგ თბილისში სუფრაზე შევხვდი ლაგოდეხიდან გამოთხოვილ ქალს, რომელმაც ჩემი ვინაობის გაგებისას მადლობა გადამიხადა, — *თელავის ინსტიტუტში იმ წელს ჩავირიცხე, ქართულ წერაში „ხუთიანი“ თქვენ დამიწერეთ; თქვენი სახელი და გვარი იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მაშინ თქვენზე ამბობდნენ, ვერ წაეკარებიო.*

გამოცდების დამთავრების შემდეგ რომ „მოვშინაურდი“ და ბოლოს ბანკეტზე ხმამაღლა განვაცხადე, — *თქვენ მართლა „კაგებედან“ ხომ არ გგონიხართ-მეთქი,* მხიარულებასა და სიცილში ერთმანეთს მხარი ავუბით. გაჩაღდა ჩემსა და მათ შორის ანეკდოტების მოყოლა გურულებსა და კახელებზე. ისინი ამ საქმეში ძლიერები ვერ აღმოჩდნენ და მე ვაჯობე. რა ანეკდოტიც სხვა კუთ-

ხის მცხოვრებლებზე ვიცოდი, ყველა კახელებზე ნათქვამად გავასაღე. როგორც გურულს, **ავლიპი ზურაბაშვილზე** ნათქვამი ფართოდ ცნობილი ანეკდოტი დამიპირისპირეს: ბატონ ავლიპის ფსიქიატრიულ საავადმოფოში კახეთიდან ერთი ჭკუასუსტი ბიჭი ჩაუყვანეს, — *მთელ სანათესაოს ეს ერთადერთი ვაჟი გვყავს, გვიშველეთ, მოგვირჩინეთო.* ავლიპიმ ბიჭი გასინჯა და თქვა: *გურულის დონეზე ავიყვან, მეტის შესაძლებლობას არ იძლევაო.* ამას დიდი სიცილი და ხარხარი მოჰყვა, მაგრამ მათ აღფრთოვანებას მყისვე ცივი წყალი გადავასხი. არ სცოდნოდათ და ვთქვი მისი მაკვარანცხული გაგრძელება: *ამის შემდეგ ავლიპისთან მთელი კახეთი ჩამოვიდა–მეთქი.* ამ პასუხმა ფურორი მოახდინა. ამას კიდევ ერთი ანეგდოტიც მივაყოლე: *კახელები სამსახურის ანკეტის შევსებისას განათლების გრაფაში წერენ: ერთხელ ვარ გურიაში ნამყოფი, ორჯერ ვარ გურიაში ნამყოფი, გურიაში გავლით ვარ ნამყოფი* და ასე შემდეგ.

... ვინ იფიქრებდა მაშინ, საქართველოში მოვიდოდა დრო და მთავრობასა და თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში განურჩეველი უპირატესობა ექნებოდათ იმათ, ვისაც ამერიკის, ინგლისის, გერმანიისა თუ სხვა დიდი ევროპული ქვეყნების სასწავლებლებში ამდენი და იმდენი წელიწადი თუ თვე ექნებოდა გავლილი (დანარჩენებს ქუჩაში გაყრიდნენ) და არ იკითხავდნენ, თუ იქ სახელდობრ რა განათლება მიიღეს!

თბილისური ამბები

1. სხვადასხვა

„სტავკა“

სტალინის გარდაცვალების შემდეგ კორუფცია საქართველოშიაც დღითი დღე ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა. როცა **ედუარდ შევარდნაძე** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს, ერთხანს მექრთამეობის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ამ საქმით აღფრთოვანებულმა ჩემი სიხარული ერთ ჩემს ნაცნობ დაბალი ჩინისა და თანამდებობის მილიციელს გავუზიარე.

— ჰო, რამდენიმე თვეს ასე იქნება, მაგრამ რად გინდა, „სტავკა“ გაორმაგდება.

— რატომ? — გავიკვირვე მე.

— რატომ და, იტყვიან: ხომ იცი, ახლა ფულის აღება რა სარისკო საქმეაო. — „ამიხსნა“ მან.

ყველაფერი ისე კარგად აგიხდეთ, როგორც მისი ნათქვამი ასრულდა.

მინაწერი: ვწერ ამას და უნებურად მახსენდება ბიძაჩემის, **მამია სამსონიას**, მონათხრობი (ბიძია მამათში ბატონი ედუარდის მამასთან, **ამბროსისთან**, ახლოს ცხოვრობდა). ამბროსის ერთხელ უამბია:

— როცა ედუარდი შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს, ორივე ძმა, ედუარდი და ჰიპოკრატე, ვიხმე და ვუთხარი: ბიჭებო, თქვენ არც ერთი აკაკი მგელაძეზე ძლიერები არა ხართ და სიბერეში რაიმე უბედურებას არ შემასწროთ–მეთქი. ედუარდმა მითხრა: მამა, როდესაც შორიდან უსამართლობას ხედავ, ფიქრობ: იქ რომ ვიყო, ამას გამოვასწორებო, მაგრამ, იქ რომ მიხვალ, ვერაფერს იზამო.

თეთრი მელა

როცა **ედუარდ შევარდნაძემ** საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს საერთო ენა გამონახა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების სა-

გარეო საქმეთა მინისტრებთან, მას ჭაღარის გამო „თეთრი მელა“ შეარქვეს. 1992 წელს კი, როცა ზვიად გამსახურდიას განდევნის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა, გაჩნდა ლექსი:

„ზვიადი საქართველოა,
ქათმები ჩვენ ვართ ყველაო.
ეს რომ ელცინმა გაიგო,
გამოგვიგზავნა მელაო“.

„ბაკულას ღორები“

როცა **ედუარდ შევარდნაძე** მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა და ზედიზედ ბეიკერი, გენშერი და მსოფლიოს სხვა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები საქართველოში ჩამოიყვანა, გულში იმედჩასახულმა ჩემს მეგობარს ვუთხარი:

– თუ ვინმე უშველის საქართველოს, ისევ ედუარდ შევარდნაძე-მეთქი.

– არ დაიჯერო! ეს ვიზიტები, ბანკეტები და „მეგობარი, მეგობარის“ ძახილი **დავით კლდიაშვილის** „*ბაკულას ღორების*“ ამბავია და მეტი არაფერი! – ცივი წყალი გადამასხა მან და, ვაი, რომ ესეც ასრულდა.

ფიქრები

იმ დროს, როცა **ედუარდ შევარდნაძე** შევარდნაძეობდა, **ასლან აბაშიძე** აბაშიძეობდა და ხალხმა ორივეს ათვალწუნებით ცქერა დაუწყო, თბილისში ასეთი ლექსი გავრცელდა:

„თბილისელის ფიქრები – ბათუმელი ვიქნები!
ბათუმელის ფიქრები – თბილისელი ვიქნები!
ასლან-ბაბუს ფიქრები – შევარდნაძე ვიქნები!
შევარდნაძის ფიქრები – ვიქნები და ვიქნები!“

ნახტომი

ვახტანგ გოგუაძემ პოლიტიკური შეხედულება რამდენიმეჯერ შეიცვალა. როგორც კხედავდი, ერთხანს იგი **ზვიად გამსახურდიას** გვერდით იყო. ყოველ შემთხვევაში, როცა ბატონი ვახტანგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი იყო,ბატონ ზვიადს დაბადების დღე გადაუხადა. მაგრამ ბატონი ზვიადიმოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, ბატონი ვახტანგი პრორექტორობიდან გაათავისუფლა. ამის შესახებ **რომან დოლიძეს** ვკითხე, *რა მოხდა–მეთქი*. მიპასუხა:

— ზვიადმა ვახტანგი ნახტომში დაიჭირაო.

კიტა–ნიკიტა

საბჭოთა პერიოდში (მგონი 70–იან წლებში) ხევსურეთის, კერძოდ, შატილის აღორძინების გეგმა შემუშავდა. ამ საქმეს სათავეში ჩაუყენეს მძლავრი სავაჭრო ორგანიზაცია „ცეკავშირი“ და მისი ხელმძღვანელი **კიტა შავიშვილი**. ხევსურებს და, საერთოდ ხალხს, კარგად ახსოვდათ ნიკიტა ხრუშჩოვისდროინდელი ამგვარი ხმაური და ამ ღონისძიებასაც ეჭვის თვლით შეხედეს. მაშინ გავრცელდა ეს ლექსი:

„ძველად ნიკიტა აქ გვჭამდა,
ახლა — შავიშვილ კიტაო.
ეს კიტაც იმას მაიმკის,
რასაც ნიკიტა მკიდაო.
კიტა–ნიკიტას მამკილი,
ყველა ფეხებზე მკიდაო!“

ბუტკა ბუტკაში

წინა საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ველურმა კაპიტალიზმმა ჩვენში შემოსელა იწყო და თბილისის (და არა მარტო თბილისის) ქუჩები ჯიხურებით გაივსო, ცნობილი ქართული გამოთქმის ანალოგიით — „ტყვიას *ტყვიაში სვამსო*“, თბილისის მაშინდელ მერ **ნიკო ლეკიშვილზე** ამბობდნენ: *ბუტკას ბუტკაში აჯენსო*!

ფეხების გაჭიმვა

2007 წელს ოპოზიციურმა პარტიებმა ხელისუფლებას მძლავრად შეუტიეს, ჩადიოდნენ რაიონებში და მღელვარე მიტინგებს აწყობდნენ, რასაც 2 ნოემბერს თბილისში, მთავრობის სასახლის წინ, უზარმაზარი მიტინგი მოჰყვა. ხალხს განსაკუთრებით აღშფოთებდა აუტანელი სიდუხჭირე – უმუშევრობა, ხელფასებისა და პენსიების სიმცირე და ფასების გამუდმებული ზრდა.

მაშინ ხალხში გავრცელდა ხუმრობა, ვითომცდა მთავრობა პენსიონერებს სთავაზობდა ასეთ ტრენინგს: *დაწექით გულაღმა, ჰორიზონტალურად, გულზე დაიკრიფეთ ხელები, თვალები დახუჭეთ და... **ფეხები გაჭიმეთ***!

ელექტრონის ვაუჩერები

2011 წლის ზამთარში მთავრობამ დიდი თავმოწონებითა და აჟიოტაჟით საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის მთავრობის წევრებს, ოლიგარქებსა და სხვებს, რომლებსაც ფული თავზე გადასდით, დენის 20-ლარიანი ვაუჩერები დაურიგა. არ მოგვცეს მხოლოდ იმ გაჭირვებულ ხალხს, რომლებიც ელექტრონს **უსაშველოდ მომჭირნედ** ვხარჯავთ. აქაოდა, ასე მცირე დენზე ვერავინ იარსებებს და თქვენ სხვაგან, აგარაკებზე, ცხოვრობთო.

ჩემი, როგორც „ჩარეცხილი“ მეცნიერის, ანუ აკადემიური სტიპენდიატის, შემოსავალი 108 ლარია, მაშინ როდესაც „სამომხმარებლო კალათად“ 150 ლარია გამოცხადებული.

ხშირად ამაზრზენი, ზოგჯერ სასაცილო და სახარხარო სანახავი იყო, როდესაც ტელეეკრანებზე ვხედავდით, ჩვენი მთავრობის პირველი პირები, პარლამენტის წევრები, მინისტრები ტელევიზიის თანხლებით როგორ შედიოდნენ მრავალსულიან და ხელმოკლე ოჯახებში და თავიანთ წილ ვაუჩერებს რა თავმომწონედ უთმობდნენ მათ.

„საჭირო ცნობების“ მისაღებად დააწესეს ე. წ. ცხელი ხაზი და გვაუწყეს ტელეფონის **სამი** ნომერი. ვრეკავ და ვრეკავ ამ ნომრებზე, ხანდახან ნახევარ საათსა და მეტ ხანსაც კი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, მხოლოდ და მხოლოდ დაკავების ზუმერს ვისმენ. ასე გრძელდება ორი კვირა, სამი კვირა, ერთი თვე... და ნერვიულობის

ნიადაგზე ძილი რომ გამიკრთა, მოვსინჯე და სა-მივე ნომერი **შუაღამით** ავკრიფე. **დახე საოცრებას — ორი ნომერი კვლავ დაკავებას იძლეოდა.** მხოლოდ ერთ ნომერზე გადიოდა ზარი და, ცხადია, ასე გვიან მასზე არავინ პასუხობდა. შემდეგ ეს ცდა მთელი კვირა ვატარე, ვრეკავდი, როგორც გამეღვიძებოდა, — ღამის ორ, სამ, ოთხ, ხუთ საათზე, შედეგი კი ერთი და იგივე იყო. ისიც უნდა ვთქვა, იმ ტელეფონზე, რომელზედაც ღამის ზარი გადიოდა, დღისით თვეზე მეტი ვრეკე, მაგრამ პასუხს ვერც ერთხელ ველირსე!

მთავრობა აქაც გვატყუებდა — ტელეფონის ერთ ნომერზე ვერ დავიჩემებ (ირეკებოდა და არ მპასუხობდნენ), მაგრამ ორი ნომერი ნამდვილად ტყუილად იყო გამოცხადებული!

ალპინისტი და პედერასტი

მიხეილ ქავთარიას სიდედრის გასვენებაზე ვართ. ერთი (სხვათა შორის კახელი) ასეთ ანეკდოტს მოგვიყვა: სვანმა კახელი ცოლი შეირთო და კახეთში დასახლდა. ერთ დღეს სვანეთიდან ჩამოვიდა მისი სვანი მეგობარი და ესტუმრა. ცოლმა უთხრა, შინ არ არის, პ ე დ ე რ ა ს ტ ი გახდა და ხშირად ხან სად დადის და ხან სადო. შეწუხდა სტუმარი სვანი. წამოვიდა და ხედავს, აგერ მეგობარი სვანი მოდის და მხრებზე მოკლული ჯიხვი აქვს შემოდებული. გადაეხვივნენ ერთმანეთს. სტუმარმა მეგობარს არ დაუმალა, ცოლის ნათქვამი უთხრა, რა დაგემართაო. მასპინძელმა აუხსნა:

— არაფერი ცუდი, ა ლ პ ი ნ ი ს ტ ო ბ ა დავიწყე და ჩემი ცოლი ამ სიტყვას ვერ იმახსოვრებსო.

ამ ამბის მოყოლა იმ დროს ხდება, როდესაც მკვეთრი ოპოზიციონერი, ცნობილი ალპინისტი **გია თორთლაძე** პარლამენტში არჩევისას ოპოზიციონერ თანაგუნდელებს განუდგა. მაშინ ამ ოპოზიციონერთა უმრავლესობამ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა, მანდატები დახია, გია კი პარლამენტში შევიდა.

ანეკდოტზე გაგვეცინა ერთმა კი დასძინა:

— პირიქითაც ხდება, გია თორთლაძე ნამდვილად ალპინისტია და, რაც გამოდგა, ყველამ დავინახეთ!

„ჩარეცხილ“ მეცნიერებს დახმარების ხელს უწვდიან... მათხოვრები

2008 წლის 9 თებერვალია, ჩემი დაბადების დღე. რაც მეცნიერებას წიხლი ჩაარტყეს და, მეტადრე, ე. წ. სამეცნიერო რეფორმის შედგად „ჩამრეცხეს“ და სამსახურიდან გამაგდეს, მას შემდეგ ეს დღე არ აღმინიშნავს. ახლა ნათესავები და მეგობრები მთავაზობენ, ჩვენთან მოდი, ან კარგ ღვინოსა და სამწვადეებს მოვიტანთ და თავი დაგვალოცვინეო. არა, ნამდვილად არა მაქვს მაგის გული და ხასიათი! ვზივარ შინ და ვმუშაობ.

წელს მთელ იანვარსა და თებერვალში უჩვეულოდ მკაცრი ზამთარია. რაც გაზი ორმაგად გაძვირდა, ჩემს ბინაში არანაირი გათბობა აღარ არის, თუმცა ელექტრო და გაზის ღუმელები, ორივე, მაქვს (ადრე ძალიან ყინვიან დღეებში „ჰაერის მოსატეხად“ გაზის ღუმელს 2-3 საათს მაინც ვანთებდი). საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 5 იანვრის წინა საპრეზიდენტო-საარჩევნოდ პენსიონერებს, მათ შორის მეცნიერ-თანამშრომლებს (ასაკოვნებს ხელფასთან ერთად პენსიაც ეძლევათ) ელექტრონისა და გაზისათვის 50-50-ლარიანი ვაუჩერები დაურიგა. მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკადემიური სტიპენდიატები, ანუ „ჩარეცხილები“, არც ახლა და არც სხვა შეღავათების დარიგებისას არავის გახსენებია (თუმცა ადრე მთავრობის უმაღლესი პირებიდან, კერძოდ ნინო ბურჯანაძისაგანაც, სტიპენდიატებისთვის პენსიის მიცემის თაობაზე დიდი დაპირებები ისმოდა).

ჩვეულებრივ მზის მხარეს მდებარე ჩემს ოთახში 9-10 გრადუს სითბოს ვინარჩუნებ. მზიან ამინდში შუადღისას სითბო 11-12 გრადუსამდეც ადის. ეროვნულ ბიბლიოთეკაში გათბობაც არის და მუშაობის საუკეთესო პირობებიც, მაგრამ იქ რომ იარო, საამისო გზის ფული სად არის?! შინიდან რომ გამოხვალ, ტრანსპორტს, სულ ცოტა, ლარი უნდა. დოქტორის სტიპენდია 92 ლარი ამ სუპერ ინფლაციის დროს რას უნდა გასწვდეს!

სიცივეს იმით ვებრძვი, რომ, რისი ჩაცმაც შეიძლება (ტანზე მეტევა), მაცვია, მათ შორის თბილი ქურთუკიც. ზემოდან იღლიამდე ტანზე ძველი, სქელი პლედი მაქვს შემოხვეული და

მაღლა ქამრით დამაგრებული. თავზე ძველებური ყურებიანი ქუდი („უშანკას“ რომ ეძახიან) მახურავს. ადრე მას მოსკოვსა და ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისას ვიყენებდი.

აი, ასეთ ვითარებაში ვზივარ და ვმუშაობ.

კარებზე მოკლე, მოკრძალებული ზარი გაისმა. კარი გავაღე და ვხედავ მთლიანად შავებში ჩაცმულ და თავდაბურულ უმშვენიერეს ახალგაზრდა, ტანად, მაღალყელიან, შავთვალწარბა ქალს. ეს უფრორე მეგრელი ქალებისთვის შემიმჩნევია — სახეზე სპილოსძვლისფერი დაჰკრავს. ყურადღებას იპყრობს ისიც, უბრალო შავებში კი არა, ხასხასა ხარისხიან ტანსაცმელშია გამოწყობილი. ვაკეში, მრგვალ ბაღთან, ვცხოვრობ და, აქაოდა ვაკეში მდიდარი ხალხი ცხოვრობსო, დღე არ გავა, მათხოვარი არ მომადგეს. ახლა გაკვირვებული ვუყურებ, - ნუთუ ესეც მათხოვარია, თუ ...?

ამ 15-ოდე წლის წინათ ასევე შავებიანი, მაგრამ უხარისხო, გახუნებულძაძიანი ქალი მესტუმრა. მათხოვარი მეგონა, აღმოჩნდა კი ჩემი სოფლელი ქალი (ჩემი სოფლელებისათვის ვიტყვი, **ნატაშა სარიშვილი**, გარდაიცვალა 2010 წელს), რომელიც გათხოვების შემდეგ არ მენახა და ვერ ვიცანი. მისი ვაჟიშვილი მანქანის წართმევისას მოეკლათ და ხრამში გადაეგდოთ. მკვლელები იცოდნენ, მაგრამ მათ ვერაფერს უხერხებდა. ჩემთან იმისთვის მოვიდა, ამა და ამ პროკურორს იცნობ და მიშუამდგომლე, მიმიღოსო.

ახლაც ეს ქალი ვინმე შინაური ხომ არ არის? — ვფიქრობ. არადა ისიც გაფართოებული თვალებით მიყურებს. უცებ მეკითხება:

— რატომ ხართ ასე ჩაცმული?

პირდაპირ ვეუბნები: — მცივა და იმიტომ.

— გათბობა არა გაქვს?

— არა მაქვს!

— რატომ?

— სამსახურიდან გაგდებული პროფესორი ვარ. რა სტიპენდიასაც მთავრობა მაძლევს, ის პურისა და გადასახადისათვის ძლივს მყოფნის.

ვხედავ, მზერა ჩემ უკან გადაიტანა და შევატყვე, ჩემი დერეფნის კედელზე ჭერამდე გაჭედილ წიგნის თაროებს თვალი მოავლო.

— შვილები არ გყავს? — ისევ მომიბრუნდა.

— არა, მარტოხელა ვარ.

— მეცნიერებას გადაჰყევი?

პასუხს არ დაელოდა, შავი თავსაფრიდან, რომელიც წელს ქვემოთ სწვდებოდა, მარჯვენა ხელი გამოაძვრინა. ვხედავ, ხელში უჭირავს, არ ვიცი, შუაზე გაკეცილი ერთლარიანი თუ ორი თითოლარიანი (ფულს ორი ყური უჩანდა) და მაწვდის, — *ეს ჩემგანო.*

— რასა ბრძანებთ, ქალბატონო! — შევიცხადე მე. რომ შემატყო, არ ვართმევდი, ფულის ოთახში შემოგდება თუ შემოყრა მოინდომა. კარები სასწრაფოდ მივხურე. რამდენიმეჯერ მოაწვა, მაგრამ ჩაკეტვა მოვასწარი.

ერთხანს კარებთან ვიდექი. დაბლა ჩავიდა, ჩემს ქვედა მეზობელს ელაპარაკა, თუ რა, ვერ გავიგონე.

გაოგნებული შემოვბრუნდი. ჩემს მეგობარს, რომელიც ჩემგან მესამე ქუჩაზე ცხოვრობს, ტელეფონით ამ ამბის მოყოლა რომ დავუწყე, ქალის გარეგნობის აღწერა მან გააგრძელა და მითხრა: ამ ორი დღის წინათ ეს ქალი ჩვენთან იყო, ნამდვილად მათხოვარია, 50-თეთრიანი მიეცი და მადლობა გადამიხადაო. ჩემმა მეზობლებმაც იგივე დაადასტურეს.

ბარემ აქვე მოვყვები. ამ ამბამდე 3-4 დღით ადრე „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თანამშრომელი, ჩემი მეგობარი გიორგი არაბული ტელეფონით მიკავშირდება და მეუბნება: ცოტნე კიკვიძის ოჯახში მისი რუსთველოლოგიური ნაშრომი აღმოჩნდა, მინდა გამოვაქვეყნო, ხარჯებს მე გავიღებ და მას კომპიუტერზე ხომ არ ააწყობო? უარი ვუთხარი. მე ისე ნელა ვმუშაობ, ვიკენკები, ჩემს მასალებს ვერ ავუდივარ-მეთქი. შემატყო, ვერ გავუგე, გაჭრილად ამიხსნა: მაგ სტიპენდიით როგორ იქნები, რაღა სხვას გადავუხადო, ამ ფულს შენ მოგცემო.

რა უცნაურია ადამიანი! ძვირფასი გოგის ჩემდამი კეთილგანწყობაში, კეთილმსურველობასა და მზრუნველობაში ერთი წამითაც ეჭვი არ შემიტანია. მაგრამ მაშინ მისმა წინადადებამ

დამთრგუნა, ხოლო მათხოვარი ქალის საქციელმა საოცრად ამაამაღლა და გამამხნევა. ალბათ, ქვეცნობიერად ერთმანეთს შევადარე ამ ქალის ფაქიზი გული და ჩემი „ჩამრეცხი“ „მეგობრების“ „ინტელიგენტობა“, „დიდსულოვნება“ და შესაბამისი ქმედებანი...

მინაწერი: ორიოდე წლის შემდეგ, როცა ჩემს კარზე მრავალთაგან ერთ ხელგამოწვდილ ასაკოვან ქალს (რომელსაც, სხვათა შორის, შავები ეცვა, ოღონდ არა ხასხასა) ეს ამბავი მოვუყევი, ძალიან შეწუხდა, მითხრა: *ნეტავი, ახლოს მაინც ვცხოვრობდე, ხანდახან ცხელ კერძს მოგაწვდიდიო.*

მეცნიერები – ყველაზე დიდი ტუსაღები?!

2009 წლის ივლისის დამდეგს თბილისის ტელევიზიის ყველა არხმა გადასცა და მეც კმაყოფილებით მოვისმინე საქართველოს პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილისა** და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, **დიმიტრი შაშკინის**, საუბარი, თუ საქართველოს ციხეებსა და კოლონიებში პატიმრებს როგორ კვებავენ. ბატონმა დიმიტრიმ ბატონ მიხეილს დაჯერებით აუწყა, რომ ყველაფერი კარგადაა.

– მაინც პატიმრების კვებაზე რამდენი იხარჯება? – ვითომცდა არ იცოდა, ეკითხება პრეზიდენტი.

– თვიურად თითოეულ პატიმარზე 100 ლარი.

– ესე იგი, დღეში რა გამოდის? – ანგარიშობს ბატონი მიხეილი.

– თითოეულ სულზე 3 ლარი. – აზუსტებს მინისტრი.

ბოლოს ორივენი დინჯი აღტაცებით შეთანხმდნენ, რომ ეს ფული კვებისათვის საკმარისია, ხოლო, თუ ვინმეს მეტი მოუნდება, იქვე აქვთ მაღაზიები და პლასტიკური ბარათებით ყველას შეუძლია, რაც სურს, შეიძინოს.

გამეცინა. როდესაც შემოქმედებით ზენიტში მყოფი ჩვენი თვალსაჩინო მეცნიერები სამსახურიდან გაყარეს, მათ პენსიები არ „აკადრეს“ და ე. წ. სტიპენდიები დაუნიშნეს: მეცნიერებათა დოქტორს 92 ლარი, მეცნიერებათა კანდიდატს 69 ლარი. პენსიების გაზრდის შემდეგ მოუმატეს: დოქტორისა გახდა 108, კანდიდა-

ტისა 81 ლარი. სხვა შემოსავალი ან რაიმე შეღავათი ჩვენს მთავრობას მათთვის არ გაუმეტებია (თუმცა ბრტყელ-ბრტყელ დაპირებებს იძლეოდნენ).

რა მივიღეთ? — თუ პატიმრებს, ყაჩაღებს, კაცის მკვლელთ და ათასნაირ დამნაშავეთ კვებისათვის (დიახ, მხოლოდ კვებისათვის!) დღეში 3 ლარი ეძლევათ, ამდენივეს ღებულობენ გამორჩეული ნიჭისა და დამსახურების მქონე მუშაკები, რომლებსაც ყველა გადასახადი ეკისრებათ: წყლისა, გაზისა, ელექტრონისა, დასუფთავებისა და ა. შ. მარტო ტრანსპორტი რა ჯდება?! შინიდან რომ გახვალ, სულ ცოტა, ლარამდე მაინც გჭირდება!

ლუკმა პური ვის უნდა დაამადლო?! პატიმართათვის ულუფის გაზრდას მეც მივესალმები, მაგრამ საყოველთაოდ და ხმამაღლა უნდა ვიკითხო, უპირველესად კი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მივმართავ: **რა დააშავეს მეცნიერებმა ასეთი?!**

კომპიუტერი

ვინც ჩემს ნაშრომებს იცნობს, იცის: ჩემს წიგნებს ძველ და ნათხოვარ კომპიუტერზე მე თვითონ ვაწყობ და ვაკაბადონებ. ამ ტექნიკური საქმისათვის, როცა უამრავი რამ გამოსაკვლევი და დასაწერი მაქვს, თავი მენანება, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული ვარ, ეს უინტერესო და, ამდენად, მეცნიერისათვის გამომფიტავი საქმე თვითონ შევასრულო. თანაც ამ საქმეზე ბევრი ნერვიულობაც შემხვდა. სიძველის გამო ეს ნათხოვარი კომპიუტერი რამდენიმეჯერ გამიფუჭდა. ხელოსნის ფული არა მაქვს, მაგრამ ფულს ვინღა ჩივის — გული მისკდება, ტექსტი არ წამეშალოს-მეთქი.

ტელევიზიით ვხედავდი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, თბილისის მერი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი პერსონალურ კომპიუტერს საჩუქრად ვის არ აძლევდნენ, — მოსწავლეებთან ერთად ინვალიდ ბავშვებსაც კი. გავბრიყვდი და თბილისის მერ გიგი უგულავას განცხადებით მივმართე: „ვარ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი წამყვანი მეცნიერ-თანამ-

შრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ვიკვლევდი და ვიკვლევ ძველი ქართული მწერლობისა და, განსაკუთრებით, რუსთველოლოგიურ საკითხებს. გამოცემული მაქვს საკმაოდ სქელტანიანი 5 წიგნი, გამოსაცემი დამრჩა 7 წიგნი. ვარ მარტოხელა, 108-ლარიანი აკადემიური სტიპენდიატი. ანდერძი მაქვს დაწერილი, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემი ბინა გაუიდონ და დარჩენილი წიგნები გამომიქვეყნონ. ამისთვის აღნიშნულ ნაშრომებს გამოსაცემად ვამზადებ, – ჩემი ხელით შემაქვს კომპიუტერში. აქამდე ვიყენებდი ძველ და ნათხოვარ «ჰენტიუმ-1» კომპიუტერს, რომელიც ახლახან გამიფუჭდა. მეხარბება, როცა თქვენ მოსწავლეებსა და ბევრ სხვას კომპიუტერებს სჩუქნით. მათხოვრობა უოველთვის მეჯავრებოდა, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, გთხოვოთ, აღნიშნული საქმეების მოსაგვარებლად ერთი კომპიუტერი, თუნდაც ნასმარი, ოღონდ გამოსადეგი, მეც მიბოძოთ".

თითქმის ორი თვის შემდეგ არაერთი ძნელზე ძნელი სატელეფონო შეხსენების შედეგად მივიღე „რკინის" ლოგიკით შედგენილი პასუხი-უარი, რომელსაც ხელს აწერს მერიის *სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის* უფროსი ვინმე მ ა მ უ კ ა ქ ა ც ა რ ა ვ ა: „ბატონო ბორის, განვიხილეთ თქვენი განცხადება (№ 12/34227-1). გაცნობებთ, რომ ბიუჯეტი არ ითვალისწინებს კერძო ჰირებისათვის კომპიუტერის შეძენას. მისი გადაცემა ხდება ჯილდოს სახით რომელიმე კონკურსში ან სხვა სახის ღონისძიებაში გამარჯვების შემთხვევაში" (14. 05. 10).

რამდენიმე თვის შემდეგ საზოგადოებას დიდი ზარზეიმით ეუწყა, რომ 2011 წლის პირველი სექტემბრიდან ამდენი და ამდენი ათასი კომპიუტერი დაურიგდა საქართველოს საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელსა და კლასის დამრიგებელს!

პასუხი კითხვაზე: როგორა ხარ?

90-იანი წლებიდან, როდესაც ხალხის დიდზე დიდი ნაწილი გაღატაკდა, დიდი ყურადღება მიექცა შეხვედრისას მიღებულ ჩვეულებრივ შეკითხვა – *როგორა ხარ?*

ზოგი იმეორებდა საბჭოთა პერიოდში გავრცელებულ გამოთქმას:

– ლენინივითა ვარ, – მკვდარი ვარ, ოღონდ გულზე მიწა არ მაყრია.

ტარიელ ჭანტურიამ ასე უპასუხა: *მაგ საკითხს არ ვუღრმავდებიო!*

ჩემი პასუხი იყო: *უსაშველოდ კარგად ვარ, ოღონდ არ მეტყობა-მეთქი.*

ზოგს ყურადღება „კარგად“ სიტყვაზე გადაჰქონდა და შეუსაბამო გამოთქმა „უსაშველო“ მხედველობიდან რჩებოდა. იყვნენ ისეთებიც, აზუსტებდნენ: **რა არ გეტყობაო**? მეც ზუსტ პასუხს ვიძლეოდი:

– *„უსაშველოდ“ რომ ვარ, ეს კი მეტყობა, მაგრამ „კარგად რომ ვარ“, ის არ მეტყობა!*

დოლარი და ჯონჯოლი

2007-2008 წლების მიჯნაზე ლართან შეფარდებით დოლარის კურსმა ძლიერ დაიწია. ხელისუფლება ამით ძალიან ამაყობდა. 2008 წლის იანვარი-მაისი საშინელი საარჩევნო ციებ-ცხელებით იყო გათანგული. მაშინ ტელევიზიით გამოსვლისას ოპოზიციონერმა **ნიკო ორველაშვილმა** თქვა: კახეთში ხუმრობენ: ვაჰ, რა ქნა ამ ლარმა, დოლარს დედა არ უტირა, მაგრამ ... ჯონჯოლთან უჭირსო!

დენი და ნაგავი

ახლახან, 2011 წლის ზაფხულში, დასუფთავების გადასახადი დენის საფასურს მიაბეს. მომდევნო თაობის მკითხველისათვის განვმარტავ: ყოველ დახარჯულ კილოვატ დენზე დასუფთავების საფასური 5 თეთრითა და დამატებითი ღირებულების გადასახადით განისაზღვრა. გავრცელდა ხუმრობა: *გამორთეთ დენი, – ნაგავს წერს!*

სამიოდე თვის შემდეგ თბილისის მერიამ ჩაატარა გამოკითხვა: *მერიის ღონისძიებებიდან რა უნდა დარჩეს და რა შეიცვალოს?* მათ შორის იყო კითხვა ამ „მიბმის“ შესახებ. მე ხმამაღლა და გზნებით ვუპასუხე:

— აუცილებლად უნდა დარჩეს, თორემ გაივლის წლები, მოვა ახალი თაობა და მას არ ეცოდინება, რომ საქართველოს სათავეში, მერიის ხელისუფლებაში იყვნენ ასეთი „მოაზროვნეებიც“; დაიკარგება „ინტელექტის“ ზეობა და მშვენიერი სახარხარო ამბავიც!

შოთახმება

ვასილ მჟავანაძის „ცეკას“ პირველი მდივნობის დროს, **შოთა ჭანუყვაძე** დიდად გავლენიანი კაცი გახლდათ. მაშინ ამბობდნენ: როცა დიდი საქმოსნები რაიმე მნიშვნელოვანზე შეთანხმდებოდნენ, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: **შოთავხმდითო**.

სამსახურის ძებნისას

1959 წელს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე და ერთ წელიწადს უმუშევარი დავრჩი. ეს ერთი წელი ჩემთვის ჯოჯოხეთური გამოდგა. მანამდე ტრიუმფით მოვდიოდი, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი ერთბაშად არარაობად ვიქეცი.

¤

დეიდა **ნინოს** მეუღლესთან, **ვანიჩქა ბიძიასთან**, როგორც თანასოფლელები (ჩიბათელები), ახლოს იყვნენ დები **კვაჭაძეები**, — რამდენადმე **ზინაიდა** და უფრო მეტად **სონია**. მახსოვს, როცა 1954 წლის 5 ნოემბერს ვანიჩქა ბიძია გარდაიცვალა, ზინაიდა მაშინ რაიკომის პირველი მდივანი იყო და პანაშვიდზე მოვიდა. სონია ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა და ქუჩაში მე და დეიდაჩემი მას ხშირად ვხვდებოდით. დეიდაჩემს ჩემზე ეუბნებოდა, მომწონს, კარგი სასიძოაო.

სამსახურის შოვნაში ხელი პირველად ქალბატონმა სონიამ გამომიწოდა — *ნათქვამი მაქვს და ხვალ ზინაიდასთან მიდიო.* ქალბატონი ზინაიდა კარგა ხანს საქართველოს უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი იყო, მაშინ კი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა.

როცა მთავრობის სასახლეში მივედი და საშვი დაშვებული დამხვდა, იმედი მომეცა, მაგრამ, თურმე, ამაოდ. უზარმაზარ კაბინეტში მიმიღო. ვუთხარი: მინდა სწავლა ასპირანტურაში გავაგრძელო (ხრუშჩოვის დრო იყო და საამისოდ მუშაობის ორწლიან სტაჟს თხოულობდნენ), ვეძებ ისეთ სამსახურს, წიგნებთან ახლოს რომ ვიყო-მეთქი. ცივად შემხვდა და ცივადაც მიპასუხა: *წადი სოფელში, ნახავ იქაურ ცხოვრებას და შრომას უფრო დააფასებო.*

— მე სოფელში დაბადებული და გაზრდილი ვარ, ახლაც ხშირად ჩავდივარ, ყოველ ზაფხულს იქ ვატარებ, არც მწყემსობა, ბარი, თოხი, ჩაის კრეფა და არც რაიმე სხვა სასოფლო საქმე არ მაკლია. ასე რომ, შესასწავლი და დასაფასებელი არაფერი მაქვს... მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ, კარგად ბრძანდებოდეთ! — ვთქვი, შემოვბრუნდი და წამოვედი.

მერე მას ეთქვა, რა ამაყი ყოფილაო.

მოვდივარ რუსთაველზე ამოჭმული სულით. შემომხვდა ერთი ამხანაგი, ვუამბე, საიდანაც მოვდიოდი. მითხრა: ზინაიდასა და მაგნაირებთან დახმარების თხოვნას, სჯობს, „მანტიორად“ წახვიდეო.

როგორ გამამხნევა და ამამაღლა ამ სიტყვებმა!

¤

იმ დროს ჩემი ებრაელი მეგობარი **სოფა ჩაჩანაშვილი** კანცელარიის გამგედ მუშაობდა საკავშირო ცეკავშირის უმაღლესი სასწავლებლის თბილისის ფილიალში. მისი რექტორი იყო **მარლენ დარჩია**. სოფამ მაცნობა, რომ ამ სასწავლებელში გათავისუფლდა ბიბლიოთეკარის ადგილი. მივედი ბატონ მარლენთან. პირადად მას არ ვიცნობდი. მხოლოდ გაგონილი მქონდა, რომ ეს სასწავლებელი ადრე ტექნიკუმი იყო და მის დირექტორად ჩემი მოგვარე მუშაობდა. კაბინეტში დამხვდა ულამაზესი კაცი. მოვახსენე, რა და როგორ დავამთავრე, რომ ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად მუშაობის სტაჟი და წიგნებთან სიახლოვე მჭირდებოდა.

— საიდან მოიგონეთ, რომ ბიბლიოთეკარის ადგილი მაქვს? — იუარა მან.

სოფას ხომ არ გავამჟღავნებდი, დავემშვიდობე და კარებისაკენ გამოვემართე. გულმა აღარ მომითმინა, შევბრუნდი და ვუთხარი: *დარჩია ვარ–მეთქი.* მხოლოდ გამიღიმა და არაფერი უთქვამს. მაშინ ანგარიში არ გამიწევია იმისთვის, რომ იმ სახელმწიფო წყობილების დროს სამსახურში მოგვარის დანიშვნა მოსარიდებელი იყო.

ბატონ მარლენს მოგვიანებით კვლავ შევხვდი, როცა დარჩიების შეკრება გვქონდა. დავუახლოვდით ერთმანეთს და ყოველ ახალ წელს ვულოცავდი. ამ ტრადიციას არც ახლა, მისი გარდაცვალების შემდეგ, ვივიწყებ, ხშირად ვეხმიანები მის მეორე მეუღლეს, **ეთერ ეგორაშვილს**, შესანიშნავ ექიმსა და პიროვნებას. მანამდე ვიცოდი მარლენის უბედურებანი: ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო, მეუღლე გარდაეცვალა, შემდეგ ერთადერთი შვილი – **თენგიზი** ავტოავარიაში დაეღუპა. დარჩა შვილიშვილი **სესილი**, რომელიც ახლა დაოჯახებულია. მისი დიდი გულშემატკივარი ვარ და ქალბატონ ეთერთან საუბრისას მის ამბავს ყოველთვის ვკითხულობ.

¤

ჩემს დასახმარებლად მამათიდან ჩამოვიდა ბიძაჩემი (დეიდას მეუღლე) **მამია სამსონია** და თანასოფლელ და თანასკოლელ **ედუარდ შევარდნაძესთან** მივიდა. მაშინ ბატონი ედუარდი კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი ბრძანდებოდა; იცოდა, რომ ბიძაჩემი ნიჭიერი კაცი იყო, სკოლაში კარგად სწავლობდა, კარგი ინჟინერი დადგა, ჩაის ფაბრიკაში თავისი რამდენიმე გამოგონებაც დანერგა; მან ბიძია გულთბილად მიიღო, ჩემს დახმარებას დაჰპირდა და უთხრა, *ჩემს სახელზე განცხადება შემოიტანოსო.*

გავიდა რამდენიმე კვირა, მაგრამ არავინ მეძახის. თვითონვე მივაკითხე. კანცელარიის კარი შევაღე, ვიკითხე, *თუ შეიძლება–მეთქი.* მაგიდას ასაკოვანი ქალი უზის, თავჩარგული რაღაცას კითხულობს და წერს. პასუხი არ გაუცია, ჩემთვის არც შემოუხედავს. ცოტა ხანს დაველოდე, მერე შევედი და თავზე დავადექი. თავი არ წამოუწევია, თავის საქმეს ისევ აგრძელებს, ცოტაც დაველოდე და შემდეგ ვეუბნები:

– დარჩია ვარ, განცხადება მაქვს შემოტანილი და პასუხისთვის მოვედი.

— თქვენი განცხადება დარჩიასთანაა. — მონოტონურად ისე ჩაილაპარაკა, თავი კვლავ არ აუღია.

ვიფიქრე, ჩემი გვარი მექანიკურად გაიმეორა-მეთქი და კითხვა გავუმეორე. იგი ისევ თავაუღებლივ იმავე ტონით მეუბნება:

— თქვენი განცხადება დარჩიასთანაა.

მაშინ კი ხმააწეულად მივმართე: *დარჩია მე ვარ-მეთქი.* ახლა კი თავი აწია, მრისხანედ შემომხედა და დამიყვირა: *შენ კი ხარ დარჩია, მაგრამ დარჩია ჩვენცა გვყავსო.*

ასე გავიცანი **მამია დარჩია**, რომელიც მაშინ კომკავშირის ცეკაში საიდუმლო განყოფილების გამგე იყო.

მამია მეკითხება: *ტარასი დარჩიას თუ იცნობო?*

— ბიძაა, მამაჩემის ძმაა. — ამაყად ვუპასუხე და ყურებამდე გავიცინე, ბიძია სცნობია და უფრო მეტად მომეხმარება-მეთქი.

ტარასი ბიძია ათეული წლების განმავლობაში თბილისში მილიციის განყოფილების უფროსად მუშაობდა, იმჟამად პენსიაზე იმყოფებოდა. ვიცოდი და ახლაც მიმაჩნია, რომ იგი ნამდვილად პატიოსანი, გულიანი და დამსახურებული კაცი იყო.

რა დამავიწყებს 1956 წლის 9 მარტის ამბებს, ბიძია როგორ განიცდიდა მას და როგორ თანაუგრძნობდა ხალხს!

ერთი ჩემი ბიძა, ფულის გაფლანგვის გამო პატიმრობა რომ მოიხადა, მიყვებოდა: მასთან პატიმრობაში მყოფი კაცი დიდ პატივსა სცემდა მას იმის გამო, რომ იგი ტარასი ბიძიას დაეჭირა და ადამიანურად მოპყრობოდა.

ბავშვობაში ბებიას ვკითხე, სტალინი რომ მოკვდება, მის ადგილას ვინ დადგება-მეთქი? ბებიამ გაიცინა და მითხრა: *ჩემი ბიჭი ტარასიეო.*

მაშინ, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ეს ასე არ იქნებოდა, მაგრამ ის კი მეგონა, არც ისე ბევრად დაბალი თანამდებობა ეჭირა.

— ალალი ძმაა? — ჩამეძია მამია. რომ დავუდასტურე, პირდაპირ მაჯახა:

— მაგი არ არის კარგი კაცი. შენსავით უმუშევარი ვიყავი, მილიციაში გამომიძახა და დამემუქრა, 24 საათში მუშაობა დაიწყე, თორემ თბილისიდან გაგასახლებ, რომ არაფერს აკეთებ და დახულიგნობ აქო. უთხარი, რომ ახლა ჩემთან გაქვს საქმე. მე კი შენ მოგეხმარები.

ტარასი ბიძიას ყოველივე ეს ვუამბე, ძალიან შეწუხდა: ალბათ, სხვებთან ერთად შემომიყვანეს, თორემ დარჩიას ამას როგორ ვეტყოდიო?!

მაშინ და შემდეგი მისვლისას მამიამ კომკავშირის ხან ამ და ხან იმ რაიკომში დარეკა, მაგრამ ვერაფერი გამიკეთა.

ამასობაში ბაბუაჩემი **გიორგი ანდღულაძე** მამათში ედუარდ შევარდნაძის მამასთან, **ამბროსისთან**, მისულა და ამბროსის მიერ ედუარდისადმი მიწერილი ბარათი გამომიგზავნა. პატარა გაკეცილ ფურცელზე გარედან აწერია: „ჰირადად ედუარდ შევარდნაძეს“ („პირადად“ ხაზგასმულია). წერილში ვკითხულობთ:

„ძვ. შვ. ედუარდ!

ამის წარმომდგენი არის სილაურიდან ბორის შაქროს ძე დარჩია, კარგი, აქტიური კომკავშირელი, უმაღლესი განათლებით, ჰროფესიით ჰედაგოგი; ჩემთან მოვიდა მისი ბაბუა, ძველი რევოლუციონერი, მახლობელი ადამიანი, სახათრო კაცი და მთხოვა, რომ მომეწერა შენთვის: მოუსმინო ამ ახალგაზრდას, რაც ესაჭიროება და, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დაეხმაროთ მას.

მოკლედ ასე: მეც გთხოვ ამ საქმეს.

შენი ამბროსი შევარდნაძე.

7/ III - 60 წ.“

კომკავშირის ცეკადან სიკეთე აღარ ჩანდა. ამიტომ ამ ბარათის ადრესატისათვის გადაცემას უკვე აზრი აღარ ჰქონდა და არც გადამიცია.

სხვათა შორის, ამ ბარათის არსებობა იცოდა ჩემი ბიძაშვილის ცოლის ძმიშვილმა, ჟურნალისტმა **ნინო კვაჭანტირაძემ**, და მისი გამოქვეყნება მთხოვა. უარი ვუთხარი. დიდი თხოვნისა და მუდარის შემდეგ ნება დავრთე, ოღონდ ჩემი სახელი და გვარი წაეშალეთინე. ამ სახით დაიბეჭდა იგი „დილის გაზეთში“ (8 ოქტომბერი, 1997, № 212, გვ. 1).

¤

ბოლოს, 1960 წლის სექტემბრიდან, **მირიან აბულაძის, ვახტანგ ჭელიძისა** და **ალექსანდრე ბარამიძის** დახმარებით სამსახური

დავიწყე შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

ავლაბრის ბაზარში

1959 წლის 5 ნოემბერს დედაჩემის დეიდაშვილმა **ჟორა კილაძემ** თბილისში თავისი ეზოს მანდარინები ჩამოიტანა და გასაყიდად ავლაბრის ბაზარში გაიტანა. მაშინ არავის ჰქონდა უფლება, საკუთარი ციტრუსი გაეყიდა, ვიდრე სახელმწიფო მისი დამზადების გეგმას არ შეასრულებდა. ამჯერად ჟორას გაუმართლა და, როგორც პირველი ხილი, სარფიანად გაყიდა, თუმცა მანდარინს სიმწიფე აკლდა, სულ მწვანე იყო.

უმუშევარი ვიყავი და შინ მოწყენილი, გაუპარსავი ვიჯექი. დროის მოსაკლავად ჟორასთან ბაზარში წავედი. გადავარჩიე შედარებით მოზრდილი და ოდნავ შეყვითლებული მანდარინები, ცალკე გავედი და ჟორასთან შედარებით მის ორმაგ ფასად გაყიდვას შევუდექი. თან თავის გასამხნევებლად ვღადაობ.

მოვიდა ერთი ფაშფაშა სომეხი ქალი და მანდარინი იყიდა. ჩემს ოხუნჯობაზე გაიცინა და მითხრა: *ისე ყოჩაღი ჩანხარ, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე, მაღაზიის გამგე გახდებიო.*

უიმე, მე, უმუშევარსა და იმედგადაწურულს, ასეთი „გამხნევება“ მინდოდა!!!

გავიდა ცოტა ხანი და სამი გოგონა მოვიდა. გავეხუმრე, გამეხუმრნენ. აღმოჩნდნენ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელი სტუდენტები. ერთმა რაღაცაზე ახსენა სიტყვა „მოუკლია“. მე შევუსწორე: *„მოუკლია“ კი არა, „მოუკლავს“ უნდა-მეთქი. – რატომო?*

– იმიტომ, რომ „ავ“ და „ამ“-თემიანი ზმნები მესამე სერიაში თემის ნიშანს ინარჩუნებენ.

– საიდან იცი? – გაოცდნენ გოგოები.

– წელს მეხუთეჯერ ვაბარებდი ფილოლოგიის ფაკულტეტზე და ვერ მოვხვდი.

ჩვენი ენობრივი დისკუსია გაგრძელდა და გაოცებულები დამშორდნენ, როცა ძველ ქართულ ენაში „მცა“ ნაწილაკის ფუნქცია განვუმარტე: ძველქართულში „მცა“ ნაწილაკი თხრობით წინადადებას კავშირებითად აქცევს-მეთქი.

¤

ერთი ამდაგვარი შემთხვევა ჩემს მეზობელ სოფლადაც მქონდა.

მეოთხე კურსზე ვიყავი, ზაფხულის არდადეგებზე ჩემს სოფელში მოგვიანებით ჩავედი. იმ საღამოს მეზობელ ბიჭებთან ერთად მაგრად დავთვერი. მეორე დღეს **ვაჟა დარჩია** მოვიდა და შემომთავაზა, საბანაოდ სუფსაზე წავიდეთო. განძრევის თავი არა მქონდა, მაგრამ ვაჟა კოლმეურნეობის სატვირთო მანქანაზე მუშაობდა, ქუსლებმოცლილ ტუფლებში ფეხი შევუყარე და „მაიკის“ ამარა მანქანაში ჩავუჯექი.

ვიბანავეთ და მოვფხიზლდით. მეზობელი სოფლიდან ვიღაც კაცი მოვიდა და ქვიშის წაღება გვთხოვა. მანქანა სამივემ გავავსეთ და წავედით. მანქანა დავცალეთ, ფულიც ავიღეთ, მაგრამ ჩვენი მასპინძელი პურმარილიანი კაცი აღმოჩნდა და სახელდახელო სუფრა გაგვიშალა.

სუფრაზე გვემსახურებოდა მასპინძლის გოგონა, რომელიც იმ წელს უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოწყობილიყო და თბილისიდან ახალჩამოსული იყო. ჩვენ არ გვიკითხავს, გატაცებით ჰყვებოდა გამოცდების ამბავს. მგონი, ჩემმა თბილისურმა იერმა დააინტერესა და მკითხა, *სად მუშაობო*. თავისი თავით მისი აღტაცება რომ არ გამენელებინა, ვუთხარი, *ჩაის მიმღები პუნქტის გამგე ვარ–მეთქი*.

დავბრუნდი თბილისში. მაშინ უნივერსიტეტში ფაკულტეტის პროფკავშირის კომიტეტის წევრი ვიყავი და პირველკურსელთა ადგილკომის თავმჯდომარის არჩევას ვესწრები. პრეზიდიუმში ვხედავ. შევნიშნე, ერთი გოგონა დაჟინებით მიყურებს. ვიცანი, ჩვენი ზაფხულის მასპინძელი იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ დერეფანში შემხვდა, მომესალმა, გამაჩერა და ღიმილით მკითხა, *ჩაის პუნქტი მიატოვეო?!*

მონატრება

მარინა ჯაიანის ნაამბობი: სოხუმიდან რამდენიმე წლის გამოყრილები ვიყავით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზეთის ფილიალის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები შოთა ნიშნიანიძეს შევხვდით. შეხვედრაზე გვესწრებოდა და

ყოველი გამოსვლის შემდეგ ქართულ, უფრო მეგრულ, სიმღერებს ასრულებდა აფხაზეთის სიმღერის ანსამბლი. პირველად, ერთხანს, სიმღერას აცხადებდნენ, შემდეგ და შემდეგ გამოუცხადებლად მღეროდნენ.

...და, როცა უცებ, გამოუცხადებლად, მოულოდნელად აფხაზური სიმღერა წამოიწყეს, ისე მოგვნატრებოდა ჩვენი უახლოესი წარსული, აფხაზებთან ერთად ყოფნა, რომ, კი არ ვტიროდით, ღრიალით ერთმანეთს ვასკდებოდით და ცრემლებად ვიღვრებოდით!

ვინ არის ცოდვა?

როცა **ფილიპე ბერიძე** ჭადრაკის თამაშისას მოწინააღმდეგეს შამათამდე მიიყვანდა, მხრებს აიწურავდა, საწყალი ხმით იტყოდა, *მეც ცოდვა ვარო*, და იმ ბოლო საშამათო სვლას გააკეთებდა.

ამბიციურობა

დავით წერედიანის ნაამბობი: მწერალი **ჯემალ ქარჩხაძე** ერთ ცნობილ ლიტერატურათმცოდნეზე, რომელიც ნათესავად ერგებოდა და დიდი ამბიციურობით გამოირჩეოდა, ჰყვებოდა: *ჭადრაკს ვეთამაშებოდი, ერთ სვლაში გარდაუვალი შამათი ჰქონდა. ამას კარგად ხედავდა, მაგრამ თავზე ხელშემოდებული მაინც თითქმის ნახევარ საათამდე ფიქრობდა, – წაგებას ეგუებოდაო.*

გოჭი და წელკავი

ანდრო მირიანაშვილი და ქართული ენის ცნობილი მკვლევარი ებრაელი **რაფიელ შამელაშვილი** მეგობრები იყვნენ. თეიმურაზ მირიანაშვილი მამის ნაამბობს მიყვება: ბატონმა რაფიელმა დისერტაცია დაიცვა თემაზე „*ლენინი ენის შესახებ*“ თუ „*ლენინი და ენათმეცნიერების საკითხები*“. დაცვის წინა დღეებში წელკავი ჰქონდა და კარგფულ მორჩენილი არ იყო, „დესერტაციაზე“ ზრუნავდა. ტელეფონით ვიღაცას ელაპარაკება, *ამდენი გოჭი მინდაო...* უცებ შეჰკივლა, *ეაიმეო*, და წელში ვეღარ იმართება. მივარდა ანდრო, *რა დაგემართაო?*

– რა დამემართა და უარესი მეკუთვნის, ეს ებრაელი კაცი გოჭზე რომ ამდენს ელაპარაკობ. – მაინც ხუმრობს რაფიელი.

ლორისა და კუპატის ქურდი

რაფიელ შამელაშვილი და **ტიტე სულაბერიძე** თანაკურსელები იყვნენ. მათ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრეს და ნაქირავებ ბინაშიაც ერთად ცხოვრობდნენ. მასპინძელს ხანდახან ლორი და ღორის შიგნეულის კუპატები ეკარგებოდა. რაფიელი სიცილით ჰყვებოდა:

— ეჭვი ყოველთვის ტიტეზე მიჰქონდათ, ჩემზე, როგორც ებრაელზე, ერთხელაც არ უფიქრიათ. არადა, ლორისა და კუპატების მსუნაგი მე გახლდით.

შეხვედრა პრეზიდენტის სასახლის შესასვლელთან

თემურ მირიანაშვილი წლების განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მრჩევლად მუშაობდა.

— ორშაბათი დილაა, — ჰყვება თეიმურაზი, — პრეზიდენტის დილის თათბირზე მაგვიანდება. გამალებული მივიჩქარი. Iსიც კი მაწუხებს, საშვის ჩვენებისას რომ დრო დამეკარგება. ვხედავ, კარებიდან **ჯემალ აჯიაშვილი** და **გივი შაჰნაზარი** გამოდიან. ორივე ხელის ჩამორთმევით მესალმება. ვფიქრობ, *ვაითუ ამათ საუბარი გამიბან-მეთქი.* გივი მეკითხება, *როგორ ხარო?* ჯემალი იღიმება და ამბობს:

— როგორ იქნება, ორშაბათს დილაადრიან ურია და სომეხი რომ შემოეყრება!

ურიის ვალი

თემური მიამბობს ჯემალ აჯიაშვილის მონაყოლს, რაც სხვებისაგანაც მომისმენია:

— მთარგმნელობით კოლეგიაში ჰონორარი მქონდა ასაღები. მისი თავმჯდომარე ოთარ ნოდია ვერა და ვერ მაძლევს. მეც არ ვეშვები. ერთ დღეს შევუტიე, *ვალი მაქვს გადასახდელი-მეთქი.* ისიც მეუბნება, *მეც ვალი მაქვს გადასახადიო.* ვპასუხობ: *მე ურიის ვალი მაქვს-მეთქი.* ოთარი იცინის: *თუ მასია, ჰონორარს დღესვე მოგცემო.*

ჩემი მხრივ რა დავუმატო?

ჩემი მეგობარი **თინა სხირტლაძე**, ფილოლოგი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში საშუალო სკოლაში, კონსერვატორიასა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, ტელეფონით მატყობინებს: ჩემს მეცხრეკლასელ შვილიშვილს დასაწერად მისცეს თემა „*მე მოქალაქე ვარ*“ და დამეხმარე, რა დავწეროო. ვუკარნახე და ჩავაწერინე ტექსტი: რომ ახალგაზრდა მოვალეა, კარგად ისწავლოს და სამშობლოს ღირსეული მოქალაქე გამოვიდეს, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია, მომავალ თაობას ყველა საამისო პირობა შეუქმნას. როდესაც საჭირო გვერდი გავავსებინე და მითხრა, საკმარისიაო, მე მაინც დავაყოლე: შენი მხრივ, რაც გინდა, დაუმატე-მეთქი.

ათიოდე წუთის შემდეგ იგი კვლავ მიკავშირდება და მეკითხება: *ჩემი მხრივ რა დავუმატოო?*

კონსტანტინე გამსახურდია ტროლეიბუსში

ლიანა ფერაძის ნაამბობი: სტუდენტი ვარ, ტროლეიბუსით ვმგზავრობ. გაჩერებაზე წინა კარებიდან ბატონი კონსტანტინე ამობრძანდა. იქვე ვიჯექი და, თუმცა სალონში ხალვათობა და თავისუფალი სკამებიც იყო, მაშინვე წამოვხტი და საყვარელ მწერალს, *დაბრძანდით, ბატონო კონსტანტინე-მეთქი*, ჩემი ადგილი შევთავაზე.

— ყმაწვილო ქალო, შემიძლია ხელში აგიყვანო და ისე ვიდგე! — ხალისიანად მეუბნება იგი, არ ჯდება და მალეც ჩადის.

ოქროს ძეწკვი

ლიანა ფერაძე ჰყვება: წვეულებიდან რომ გამოვედი, ზამთრის საკმაოდ გვიანი ღამე იდგა. წვიმდა და სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა. ჭადრის ქვეშ მსუბუქი მანქანა შევნიშნე. ქუჩის განათება იქამდე კარგად ვერ აღწევდა და ტაქსი მეგონა. მძღოლისგან ნებართვა მივიღე, უკანა სავარძელზე მოვთავსდი და მისამართი დავუსახელე. მანქანა დაიძრა და მალევე მივხვდი, კერძო მანქანაში ვიჯექი. ყელზე მსხვილი ოქროს ძეწკვი მეკეთა. შევშინდი, ვინ იცის, ვინ არის ეს ახალგაზრდა კაცი, არ წამართვას-მეთქი, ძეწკვი ჩუმად მოვიხსენი და ჩექმაში ჩავუშვი.

როცა ადგილზე მივედი, მანქანიდან სწრაფად გადმოვედი და მძღოლს ფული გავუწოდე. არაფრით არ გამომართვა: *მე „ხალტურაზე“ არ დავდივარ, გვიანია, ცუდი ამინდია, სხვას ველოდებოდი და, როგორც ლამაზ ქალს, პატივი გეცი და წამოგიყვანეო.*

უღრმესი მადლობა გადავუხადე და შემოვბრუნდი. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და მძღოლის ხმა მესმის: *ქალბატონო, ჩექმიდან „ცეპის“ ამოღება არ დაგავიწყდესო!*

სიმწრით გამეცინა და სირცხვილით დავიწვი.

ქართველებმა დედის გინება იციან?

ზაზა კიკნაძე იხსენებს: ჩემი სტუდენტობის დროს უნივერსიტეტში მოვიდა და მაგნიტოფონი მოიტანა **ნოდარ კოჭლაშვილმა.** იგი ფერეიდნელ ქართველებზე არაერთ საინტერესო ამბავს მოგვიყვა. ირანში მოწყობილ საბჭოთა კავშირის გამოფენაზე ბრძანებულა და ფერეიდნელ ქართველებს დაკავშირებია. გვიამბო:

— როდესაც ერთ ფერეიდნელ ქალს ვკითხე, რას იცვამთ–მეთქი, მხოლოდ ორი სამოსი დამისახელა — ლეჩაქი და ნიფხავი, რაც ქალის კდემამოსილების გამომხატველიაო! — გაგვიმარტა ნოდარმა.

მეორე ამბავი:

— განსაკუთრებით დავუახლოვდი ერთ 27–28 წლის ფერეიდნელ ბიჭს. დღე არ გავიდოდა, ერთმანეთს არ შევხვედროდით. საქართველოში წამოსვლის დღე რომ დადგა, ჩემთან მოვიდა. აშკარად ემჩნეოდა, ძალიან ცუდ გუნებაზე იყო, რომ იტყვიან, დანა პირს არ უხსნიდა. ჯერ ვიფიქრე, ჩემთან განშორებას ხომ არ ნაღვლობს–მეთქი? ჯიბეში ხელი ჩავიყავი, იქაური ფული ბევრი მქონდა, ბლომად ამოვიღე და გავუწოდე. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — სასტიკი უარი მითხრა. შორიდან მოვუარე და უგუნებობაზე მივანიშნე. უცებ გამოცოცხლდა და მიპასუხა: გეტყვი, ოღონდ სიმართლეს თუ მეტყვიო. თანხმობა რომ მიიღო, დაძაბულმა მკითხა. **დედასაქართველოში დედის გინება მართლა იციანო?** ვხედავდი, სიმართლე რომ მეთქვა, გულს გავუხეთქავდი. ამიტომ არც ვაციე და არც ვაცხელე, ვითომდა აღშფოთებულმა ვუთხარი: *ვინ გითხრა ეს საშინელი სიცრუე–მეთქი!* სახეზე საოცარი სიხარული და ნეტარება გადაეფინა.

ზაზა განაგრძობს:

— დედას, რა თქმა უნდა, ჩვენთან იგინებოდნენ და იგინებიან, მაგრამ, როგორც ახლა, ადრე ასე არ იყო. მაინც ეს რა უბედურებაა, ახალგაზრდები რომ გაიძახიან, *ჩემი დედაო*... მეხუთე კლასში ვიქნებოდი, ჩემი სკოლის გვერდით რუსული სკოლა იყო და იქ ერთმა მეორეს რუსულად დედა რომ გაჭრილად შეაგინა, გულზე მეტაკა, ცუდად გავხდი, იქვე ვცხოვრობდი, შინ ტემპერატურა გამიზომეს და 39 გრადუსი აღმომაჩნდა.

ის იყო, ეროვნულ ბიბლიოთეკაში წასვლას ვაპირებდი, რათა მომენახა, ბატონ ნოდარს აღნიშნული შემთხვევის შესახებ სადმე რაიმე დაბეჭდილი ჰქონდა თუ არა, რომ ტელეფონების წიგნიდან მისი ბინის ტელეფონის ნომერი გავიგე და დავურეკე. მიპასუხა სწორედ ბატონმა ნოდარმა. ახალგაზრდა კაცის ხმა ჰქონდა, არადა 83 წლისა აღმოჩნდა. მიამბო, ირანში ყოფილა 1965 წელს, როცა თეირანში საბჭოთა კავშირმა კავკასიის სავაჭრო-სამეურნეო გამოფენა მოაწყო და იქ საქართველოს ცალკე პავილიონი დაუთმო. მაშინ ბატონი ნოდარი საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე ბრძანდებოდა.

ბატონმა ნოდარმა, შესანიშნავმა მოსაუბრემ, ჩემი მეგობრის, ზაზა კიკნაძის, მონათხრობი სავსებით დაადასტურა და ისიც მითხრა, იმ ფერეიდნელ ბიჭს **ხოსეინა** რქმევია, ხოლო ეს ამბავი მას არსად გამოუქვეყნებია.

ბატონმა ნოდარმა დასძინა: როდესაც ირანში ჩავედი, ფერეიდნელი ქართველები დიდად იყვნენ მოწადინებული, რომ ქართული წერა-კითხვა, ანუ, როგორც თვითონ ამბობდნენ, *ქართული წიგნი*, ესწავლათ. ამ მხრივ მეც სიხარულით ვეხმარებოდი და საქართველოდან ქართული წიგნები ჩამქონდაო.

ეს ამბავი ერთხელ კიდევ ადასტურებს ფერეიდნელი ქართველების, ამ საარაკო და ლეგენდარული ხალხის, სულის სიძლიერესა და პატრიოტულ შემართებას, ხოლო ჩვენ, დედასაქართველოს, რამდენი სიფრთხილე და ძალისხმევა გვჭირდება, რომ სამაგალითონი ვიყოთ!

„აკოპში“ მიღებული პარტიის წევრი

რეზო სურგულაძე მიყვება: თბილისის უნივერსიტეტში მსუბუქი ავტომანქანის მიღების აღრიცხვაზე ვიყავი. ჩემი რიგი რომ მოვიდა, ერთი ჩვენი თანამშრომელი შემეცილა, რომელსაც ავტომანქანა ჰყავდა, ოღონდ — მოძველებული.

— დიდი სამამულო ომის მონაწილე ვარ, პარტიაში ფრონტზე, „აკოპში“, მიმიღეს და მანქანა ურიგოდ მეკუთვნისო! — მტკიცედ განაცხადა მან და... ავტომობილიც მიიღო.

„აკოპში“ გავხდი პარტიის წევრიო, — ამას იგი კრებებსა და სხდომებზე ხირად და სიამაყით იმეორებდა. და გაოცებული დავრჩი, როცა 9 აპრილის ამბების შემდეგ კომუნისტური პარტიიდან გასვლის თაობაზე მისი განცხადება წამაკითხეს:

— პარტიაში „აკოპში“ ისე მიმიღეს, არცა მკითხეს. ასეთ პარტიაში რა გამაჩერებს, გავდივარო, — წერდა იგი.

ფანჯარა

სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, როცა შუაში გაკვეთილი ან ლექცია ცდება, დროის ამ მონაკვეთს ფანჯარას ეძახიან. ჩემი სტუდენტობისას ასეთი ფანჯარა გვქონდა და თანაკურსელები უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ ქუჩაზე უადგილო ადგილას სასაუზმედ გადავდიოდით, მილიციელმა შეგვაჩერა და ჯარიმის გადახდა მოგვთხოვა.

— ჩვენ რომ გვსჯით, ისინი რატომ არ დააჯარიმეთ? — ვუთითებთ წინ მიმავალ ჩვენს თანაჯგუფელებზე, რომლებიც, დავინახეთ, გააჩერა და მალევე გაუშვა.

— ისინი სულით ავადმყოფები არიან!

— რატომ, როგორ შეატყვეთ? — ვიცინით ჩვენ.

— როგორ და, რომ ეკითხე, აქ გადასასვლელი არ არის, რატომ გადმოდიხართ-მეთქი, მიპასუხეს: გვეჩქარება, უნდა ვისაუზმოთ, ფანჯარა გვაქვს და ვერ მოვასწრებთო.

უგემური ლობიო

თბილისში დეიდაჩემის, **ნინო (ნინიჩქა) ანდღულაძე-კუკულაძის** (1918–1988), ოჯახში სტუდენტობა სოფლებიდან ჩამოსულმა ბევრმა ჩვენმა ნათესავმა გაატარა. შემდეგ და შემდეგ მივხვდი, რამ-

დენად კეთილშობილი კაცი ბრძანდებოდა ბიძაჩემი **ივანე (ვანიჩქა) კუკულაძე** (1909–1954), რომ ამ ვიწრო, შუშაბანდიან ერთოთახიან ბინაში ცოლის ახლობელ ახალგაზრდებს სიყვარულით აცხოვრებდა. ომის დამთავრების შემდეგ აქ სტუდენტობა ერთდროულად გაატარეს დეიდაჩემის დეიდაშვილებმა **გრიშა კილაძემ** და **ჟორა კუკულაძემ**.

დეიდა ნინო შესანიშნავი დიასახლისი გახლდათ. ერთ დღეს თანამშრომლებმა სთხოვეს, წითელ ლობიოზე დაგვპატიჟეო. მან მოზრდილი ქვაბით ლობიო ნავთქურაზე შემოდგა, ხოლო, რაკიღა სიცივე იყო, გრიშამ და ჟორამ ნავთქურა მაგიდის ქვეშ დადგეს, მაგიდას აქეთ-იქიდან შემოუსხდნენ და მეცადინეობდნენ. მერე იცელქეს, ერთმანეთს ფეხი გაჰკრეს, გამოჰკრეს და, ლობიო სანახევროდ იყო მოხარშული, ... ქვაბი გადააყირავეს. კიდევ კარგი, ქვაბი დაემხო და მხოლოდ წვენი დაიღვარა.

შეფუცხუნდნენ ჩვენი ბიჭები, იატაკზე დაყრილი ლობიოს ნაწილი გარეცხეს, ახალი წყალი დაასხეს და ისე მოხარშეს.

... მობრძანდნენ სტუმრები. ისინი და კიდევ უფრო მეტად დეიდაჩემი გაოცებული დარჩნენ, რომ ლობიო უგემურზე უგემური გამოდგა.

ფიტოპათოლოგია

50-იანი წლების ბოლოს დედაჩემის დეიდაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, საოცრად მშრომელი, პატიოსანი და სიკეთით სავსე ქალი, მეჩაიე **ლამარა კილაძე**, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მცენარეთა დაცვის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. თბილისში ლექციების მოსასმენად და გამოცდების ჩასაბარებლად წელიწადში ორჯერ ჩამოდიოდა. სოფლად უამრავი სასოფლო და საოჯახო საქმის მქონე და რამდენადმე სწავლის ასაკს გადაშორებულ სტუდენტს ამ მცირე დროში საგნების მომზადება უჭირდა. განსაკუთრებით გაუძნელდა ფიტოპათოლოგიის დასწავლა. აქ მცენარეთა უამრავი დაავადება, მათი გამომწვევი მიზეზები, სამკურნალო საშუალებებია აღწერილი და დახასიათებული, თანაც თითოეული მათგანი ლათინური სახელითაა მოხსენიებული.

დახმარება გადაწყვიტა ჩვენმა (დეიდაჩემის) მეზობელმა **პეტრე ნოზაძემ** და...როგორ?

პეტრე სურამიდან იყო, სახლ-კარი იქ ჰქონდა. მამა ადრე გარდაეცვალა და ბავშვობა ომიანობის ჟამს შიმშილსა და ყოველმხრივ გაჭირვებაში იქ გაატარა. თბილისში, ეზოში შემოსასვლელ დერეფანში, დედასთან (დეიდა **მაროსთან**) ერთად ერთ გაურემონტებელ ოთახში ცხოვრობდა, რომელსაც არანაირი სათავსო არ გააჩნდა. იგი ადრე მამას, როგორც რკინიგზელს, ღამის გასათევად მიეღო.

პეტრემ ოჯახური სიდუხჭირის გამო საშუალო სკოლა ძლივს დაამთავრა. იმდენად ცუდად სწავლობდა, სწავლის გაგრძელებაზე არც უფიქრია. გვიყვებოდა: გაკვეთილებზე მშიერი მჯდომი ლუკმაპურზე როგორ ოცნებობდა. ისიც გვიამბო, თუ ერთხელ დილიდან საღამომდე როგორ უდარაჯა სურამში ტყის პირას გაჩერებულ საბარგო მანქანას, რომლის მძღოლს ტყეში ქალი ამოეყვანა და კაბინაში ერთი „ბუხანკა“ შავი პური მოუჩანდა.

– შებინდებისას, როგორც იქნა, – დაღვრემილი იხსენიებდა პეტრე, – კაცმა ქალი მანქანიდან გადმოიყვანა და ტყეში შეიყვანა. მაშინვე მანქანასთან გავჩნდი, პური დავითრიე, ეკალბარდიანი აღმართი ფეხშიშველმა ამოვირბინე და ხმელა პური მე, დედაჩემმა და მეზობლის ბიჭმა ერთბაშად შევჭამეთ.

ბარემ იმასაც არ გამოვტოვებ, რასაც ბოლოს ბაგეებთან ღიმილშეპარებული პეტრე ამ ბიჭის შესახებ დააყოლებდა: ეს საცოდავი ბიჭი, როგორც იტყვიან, ცოტა კრამიტდაცურებული ყოფილა. მუშაობა არ შეეძლო და (სხვას რა ჰქონდა!) მათხოვრობით გაჰქონდა თავი. ერთხელ ერთს ურჩევია: შედი ტყეში, შეშა დაამზადე და გაყიდე, სანამდე უნდა იმათხოვროო. მას მიუგია: *კი, კი, მგელმა გინდა შემჭამოს?!*

ეს პური რომ მიურთმევიათ, ამ ბიჭს უკითხავს: *დეიდა მარო, ვისი მადლობელი ვიყო ახლა მე, შენი თუ გუროის?* (პეტრეს შინაურობაში გურამს, გუროს ეძახდნენ).

ომის დამთავრების შემდეგ, როცა ცხოვრება გაუმჯობესდა და პეტრეს უფროსმა ძმამ, **გუგულამ**, ნიჭიერმა კაცმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და რუსთავში სამშენებლო სამმართველოს უფროსი გახდა, პეტრესაც გაეღვიძა სურვილი, უმაღლესი განათლება მიეღო. დაიწყო მეცადინეობა, უდიდესი ნებისყოფა და სიბეჯითე გამოიჩინა და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტი-

ტუტის მეტყევეობის ფაკულტეტი მანაც წარმატებით დაამთავრა. შემდგომ მთელი სიცოცხლე საქართველოს მერქნის დაცვის კანტორაში ინჟინერ-ექსპერტად მუშაობდა.

პეტრე ხედავდა, ლამარა რა თავდადებით იზუთხავდა ფიტოპათოლოგიის სახელმძღვანელოს. ეს საგანი მას კარგა ხნის წინათ შესანიშნავად ჰქონდა ნასწავლი და სხვა ლექტორისათვის ჩაბარებული. ისე, რომ ჩვენთვის არაფერი უთქვამს, ლამარას ლექტორს შინ მიაკითხა და თავისი ძმის სახელით გაეცნო: მე ინჟინერი, რუსთავში ამა და ამ სამშენებლო სამმართველოს უფროსი გუგული ნოზაძე ვარ. ჩემთან ცხოვრობს ჩემი დეიდაშვილი ლამარა კილაძე, სოციალისტური შრომის გმირი. ყოველ დილას და საღამოს ვისმენ, როგორ იზეპირებს თქვენს საგანს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ვიწვი მისი სიცოდვით. მისი ხმამაღალი კითხვის შედეგად იმდენი ვისწავლე, მზად ვარ, მის მაგივრად მე ჩაგაბაროთ ეს საგანი. გთხოვთ, გამომცადოთ და, თუ ხუთიანზე მეცოდინება, მას სამიანი მაინც დაუწეროთო. ლექტორის პასუხს არ დაელოდა, მიაყარა და მიაყარა მწერების და ბუგრების ლათინური სახელწოდებანი, მათი მავნებლური მოქმედება და მათ წინააღმდეგ არსებული პრეპარატების მოქმედების მექანიზმი და გამოყენების წესები.

ლექტორს გაღიმებია და ლამარა ინსტიტუტში დაუბარებია.

დათქმულ დროზე ლამარა ლექტორთან გამოცხადდა. ლექტორმა რაღაც იოლი კითხვა დაუსვა, მერე დასძინა, *ნამეცადინევი ყოფილხარო*, და ოთხიანი დაუწერა.

ზოგი ჭირი მარგებელია

გურამ ცერცვაძეს შინ სამეგობრო სუფრა აქვს გაშლილი. ყველა მოვიდა, ერთის გარდა. გურამი ველარ ითმენს და დამგვიანებელს ტელეფონით ურეკავს. რამდენჯერაც ნომერი აკრიფა, იმდენჯერაც ვიღაც კაცი ერთვება. გურამი უცნობს სთხოვს, ცოტა ხანი ყურმილი გადადეო. მან უარი უთხრა, მე ვლაპარაკობ, შენ მერთვები და შენ მოითმინეო. ამაზე ისინი ისე წალაპარაკდნენ, უცნობმა გურამს ჰკადრა, უზრდელად იქცევიო. გურამმა უპასუხა, იმერელი კაცი ვარ და უზრდელობა შენკენ მოიკითხეო. საიდან ხარ? — ეკითხება ის. გურამმა — ზესტაფონიდანო. — მეც ზესტაფონიდან ვარ. — ისმის მორბილებული ხმა.

გამოკითხვის შემდეგ გაირკვა, ისინი ერთმანეთს იცნობენ, ერთ სკოლაში უსწავლიათ და ბევრჯერ ერთადაც უთამაშიათ. გურამმა ყველაფერი აუხსნა და სუფრაზეც მოიწვია.

ტელეფონის გაუმართაობამ ასე შეახვედრა ერთმანეთს ძველი ნაცნობები, ბავშვობა რომ ერთად გაეტარებინათ .

სახალისო ტყუილი

გურამ ცერცვაძე შინ მარტოა და თევზსა წვავს. ისმის ტელეფონის ზარი.

— ჯუმბერი ბრძანდებით? — კითხულობს ვიღაც.

— არა, სხვაგან მოხვდით. — მოკლედ პასუხობს გურამი.

იგივე ზარი რამდენიმეჯერ გამეორდა. გურამი გაზქურასა და ტელეფონს შორი გარბის-გამორბის და უცნობს ამაოდ უხსნის, ეს ნომერი შეცდომით გიწერიათო.

უცნობი დაბეჯითებით ირწმუნება:

— ხმაზე გცნობთ, ჯუმბერი ხართ. კარგი იყო, ქუთაისში რომ ჩამოხვედით და კაცურად დაგხვდით. ის საქმე თვითონ წამოიწყეთ და ახლა რას მემალებით?

რომ აღარ მოეშვა, გურამმა გაზი გამორთო და უცნობს ეუბნება:

— ძმაო, ჯუმბერი კი ვარ, მაგრამ თქვენ რომ გგონიათ, ის არა, **ჯუმბერ პატიაშვილი** ვარ და, თუ არ გჯერათ, მოდით და მნახეთ.

ჯუმბერ პატიაშვილი მაშინ „ცეკას“ მდივანი იყო სოფლის მეურნეობის დარგში. უცნობი ამ სიტყვებზე კიდევ უფრო გაცხარდა, რას მეღადავებითო. მაგრამ გურამი ისე ელაპარაკა, ბოლოს და ბოლოს დაარწმუნა, რომ სიმართლეს ეუბნებოდა. უთხრა:

— ხომ იცით, ჩემს გასაცნობად და დასაახლოებლად ხალხი რას არ აკეთებს, თქვენ ახლა ბედმა გაგიღიმათ, შინ მარტო ვარ, დიდი პურ-მარილით არა, მაგრამ კარგი კახური ღვინით ნამდვილად გაგიმასპინძლებით და გვეწვიეთ, — მისამართი შესთავაზა და ბოლოს დააყოლა, პარტიული ხომ ხართო.

— როგორ არა, ამა და ამ დაწესებულებაში პარტბიუროს მდივანიც ვარო. — ეტყობა, უცნობმა იფიქრა: იმ აფერისტმა მომა-

ტყუა და გასამასხარავებლად „ცეკას“ მდივნის ბინის ტელეფონი მომცაო. ათასი ბოდიში იხადა და გურამს ასე დაემშვიდობა.

გურამი იცინოდა: ნეტავი, ის ამ ამბავს როგორ მოყვებოდა, ან თუ შეხვდებოდა იმ ჯუმბერს, მათი საუბარი როგორ წარიმართებოდა?!

„ობეხე“ ფულს იღებს?

გურამ ცერცვაძის დაბადების დღეა. მისვლას ვაგვიანებ. შინ ტელევიზორის ხელოსანი მყავს და ვერა და ვერ აკეთებს. თამადად ვუნდივარ და ტელეფონით წამდაუწუმ მირეკავს, *ხელოსანი გაუშვი, ხვალ დაიბარე და მოდიო*. ბოლოს ასეც მოვიქეცი.

დამხვდა დიდებული სუფრა. გურამი შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და მისი სტუმრებიც იქაური ამხანაგები იყვნენ — 12 მამაკაცი.

თამადობაზე პატიჟი არ დამიწყია და თავიდანვე „მტკიცედ“ განვაცხადე:

— ჩვენ ასაკით თითქმის ტოლები ვართ და მოდი, წუწაობას ნუ დავიწყებთ, ბოლომდე და ერთნაირად ვსვათ-მეთქი.

ესენი, ყველანი, ფულიანები იყვნენ და თითქმის ყოველდღე დაქეიფობდნენ; ჩემი დაძალება რადღა სჭირდებოდათ, ისე ყასიტად ვუთხარი. მე სმა არც მაშინ შემეძლო და საამისოდ არც თავს ვიწუხებდი. თამადობის დროს თუ ვინმე მისაყვედურებდა, რატომ არ სვამო, ჩემი პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე იყო: სად გინახავთ „ცეკას“ მდივანი, რაიკომის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე, მილიციის უფროსი, პროკურორი, (მერე დავუმატე) პრეზიდენტი, გუბერნატორი მუშაობდეს, მათი სიტყვაა ძვირფასი, სხვებმა კი უნდა იმუშაონ; ასეა სმის დროს თამადაც-მეთქი. ახლაც თამადობაზე ამ განზრახვით დავთანხმდი. თუ საქმეს გამიჭირვებდნენ (ასეთი რამ კი არასოდეს ყოფილა), უკვე დანაყრებული ვიქნებოდი და წასასვლელად წამოვდგებოდი.

ახლა კი გამოვთქვი სადღეგრძელო, ბოლომდე შევსვი და ცარიელ ჭიქას ხელში ვატრიალებ. ყველამ გამოცალა. ვხედავ, მხოლოდ კიროვის რაიონის „ობეხეს“ უფროს ავთო დოლაქიძეს ოდნავ მოუტოვებია. ავდექი და კოსტიუმს ვიცმევ.

— რას შვრები? — ერთბაშად მომაძახეს.

— როცა მაგდენი ღვინო შინა მაქვს, სტუმარს ვეძახი! — ვთქვი და ხელს ავთოს ჭიქისაკენ ვიშვერ.

ავთო დოლაქიძე მაღალი, ტანტალა ბიჭია, ფუთი ღვინის დალევა შეუძლია (ღმერთმა აცხონოს, — 2003 წელს გარდაიცვალა); საჭმლის ისეთი კეთება იცოდა, ბევრი მზარეული ვერ შეედრებოდა. ამ სუფრაზეც მის მიერ გაკეთებულ „სალიანკას“, როგორც იტყვიან, თითს ვაკვნეტდით.

ავთომ ჭიქა სასწრაფოდ გამოცალა.

გამოვთქვი მეორე სადღეგრძელო, ისევ ბოლომდე შევსვი და ჭიქას კვლავ ხელში ვათამაშებ.

ყველამ დაცალა.

ასე კიდევ ერთხელ გავიმეორე და მეოთხე სადღეგრძელოზე ჭიქას მხოლოდ „ვაკოცე“ და ორსართულიან კერძებს შორის ჩავუშვი. ასე ვქენი კიდევ შვიდ-რვაჯერ. უკვე კარგად რომ აჭიკ-ჭიკდნენ, ერთმა ხელი გადმომიყო, ჩემი ჭიქა ამოიღო და მეუბნება, *სირცხვილია, ერთი ჭიქა მაინც დალიეთო.*

სუფრაზე ყველა ჩემი ნაცნობი იყო, გარდა ამ ერთისა. თურმე, იგი ბორჯომის „ობეხეს“ უფროსს ახლდა, სხვას არავის იცნობდა და აქამდე ჩუმად იჯდა. ახლა ღვინომ გაათამამა და „უსამართლობა“ ვეღარ აიტანა.

— აუ, ეს რა შევიტყვეთ! — იხუვლეს ერთად.

— არ გამიკვირდა, ყველას ღვინო მოგვეკიდა, ამას არაფერი დაეტყო! — ამბობდა ერთი.

განსაკუთრებით ბობოქრობდა ავთო:

— ამას ვერ წარმოვიდგენდი, თუ თამადა ღვინოს მოიპარავდაო.— რამდენიმეჯერ რომ გაიმეორა, მეც „ხურდა დავუბრუნე“ და კიდევ მეტი „გაკვირვებით“ წარმოვთქვი:

— სანამ თქვენ არ გაგიცნობდით, არც მე ვიცოდი, „ობეხე“ თუ ფულს იღებდა-მეთქი!

მარცხი საქართველოს პრეზიდენტის კაბინეტში

გურამ ცერცვაძე 1994-1997 წლებში ქალთა კოლონიის უფროსი იყო. ადრე იქ სამკერვალო ჰქონდათ. ამით პატიმრებიც დაკავებული იყვნენ და სასარგებლო საქმეც კეთდე-

ბოდა. კოლონიების სამმართველოს უფროსმა გივი ყვარელაშვილმა ამ საქმის აღდგენა გადაწყვიტა და გურამს მოელაპარაკა. მათ სათანადო გეგმა ერთად შეიმუშავეს და მთავრობას წარუდგინეს.

ერთ დილით გივი გურამს მოულოდნელად ტელეფონით ატყობინებს, სასწრაფოდ წამოდი, შევარდნაძესთან შევდივართო (ედუარდ შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტი გახლდათ).

გურამს ელდა ეცა, – მაღალი წნევა ჰქონდა, ცოტა ხნის წინ შარდმდენი დალია და თავისი კაბინეტის უკან მდებარე ტუალეტში წამდაუწუმ შედის და გამოდის. რაღას იზამდა, მანქანით სახელმწიფო კანცელარიისაკენ სასწრაფოდ გასწია. ვიდრე პრეზიდენტის კაბინეტში შევიდოდნენ, მოსაცდელთან მდებარე ტუალეტში რამდენიმეჯერ შესვლა მოასწრო.

დაიწყო თათბირი. გივიმ ზოგადად ილაპარაკა და კონკრეტულ გეგმაზე სასაუბროდ სიტყვა გურამს გადასცა. ამ დროს გურამი საშინელ დღეშია, სული კბილით უჭირავს. ფეხზე კი წამოდგა, მაგრამ ლაპარაკს ვერ ახერხებს, მთელი ფიქრი და ძალისხმევა იქითკენ აქვს მიმართული, სირცხვილისაგან თავი როგორ იხსნას, ყვითლდება და ფითრდება. ედუარდ შევარდნაძე გურამს გაკვირვებით უყურებს, შეატყო, ცუდად არის, ალბათ, იფიქრა, ღელავს და ნერვიულობსო და გივი ყვარელაშვილს მიუბრუნდა, თქვენ განაგრძეთო.

გურამი სკამზე დაეშვა, მაგრამ თავშეკავებას ვეღარ ახერხებს. ჯერ ცოტ-ცოტა გაეპარა კიდეც, ბოლოს ორგანიზმის მოთხოვნას წვალებითა და წამებით მოლიანად დამორჩილ-და...

ბედად სკამი ხალიჩაზე იდგა და არავის არაფერი შეუმჩნევია. ამასობაში თათბირიც დამთავრდა. საქალალდეაფარებული გურამი კაბინეტიდან პირველი გამოვარდა და... ტუალეტში სცვივთა თავი.

ვაი, ასეთ კაცობას!

გურამ ცერცვაძე ქალთა კოლონიის უფროსი იყო და ტელეფონით მელაპარაკება: გუშინ თქვენი თანამშრომელი შემხვდა და მითხრა: დიდი და საინტერესო ნაშრომი დაგიმთავრე-

ბია, როცა გამოქვეყნდება, სენსაციას მოახდენს, მაგრამ გამომცემელი ვინაა (საუბარია ჩემს მონოგრაფიაზე „იაკობ შემოქმედელი“, რომელიც 2009 წელს დაიბეჭდა და 2011 წელს სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია მიიღო). მიკვირს, რატომ არ უნდა დაგიბეჭდონ?

– დაბეჭდვას ახლა ფული უნდა, ფული! – ვუხსნი მეგობარს.

– მაინც რამდენი?

– 400-გვერდიან წიგნს, სულ ცოტა, ხუთი წლის ჩემი ხელფასი მაინც მოუნდება.

– ხელფასი რამდენი გაქვს?

– 56-იდან 50 ლარამდე. ასეთია ე. წ. პროგრესული დაბეგრვა!

– თუ კაცი ხარ, ეს გროშები მაგ ეშმაკს არ შეალიო და შიმშილით თავი არ მოიკლა. სხვათა შორის, მაოცებ, რას შერები, თავი რითი გაგაქვს, რას ჭამ?

– აგერ „ბორში“ გავაკეთე და სამი დღე გარანტირებული ვარ. – „ვცადე“ მისი დამშვიდება.

– ახალი კომბოსტო გქონდა?

– ახლა მეცნიერები ახალ და ძველ კომბოსტოს აღარ არჩევენ.

– ჩვენ პატიმრებს ახალი კომბოსტოთი დამზადებულ „ბორშს" ვაჭმევთ. ჰო, მართალა, მიდი, ბიჭო, დააშავე რამე, დაგაპატიმრებენ, ჩვენთან მოხვდები და ახალკომბოსტოიან „ბორშს" გაჭმევთ.

– დავაშავებდი, მაგრამ მე თქვენთან, ქალთა კოლონიაში, როგორ მოვხვდები?

– ჰმ, თქვენი ხელფასის პატრონს კიდევ თუ კაცად მოგაქვთ თავი, თქვენი საშველი მართლაც აღარ ყოფილა! – მეხუმრება მეგობარი, მაგრამ სანახევროდ მართალი განა მარტო საჯაოხური ხუმრობაა?!

გამასპინძლება

გურამ ცერცვაძე და ცნობილი ფეხბურთელი, ბრწყინვალე პიროვნება **ვახტანგ ჭელიძე** ახლო მეგობრები იყვნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის დროს რამდენიმე წელი ერთ

კაბინეტშიაც ისხდნენ. ვახტანგი მერე ხაშურის მილიციის განყოფილების უფროსად გადაიყვანეს. როცა გურამი მშობლიურ ზესტაფონში მიდიოდა, ხაშურში ვახტანგს ცოტა ხნით გაუვლიდა ხოლმე და მოიკითხავდა. ვახტანგი სულ ეხვეწებოდა: ისე გამომიარე, არ მიგეჩქარებოდეს, რომ დავსხდეთ და ერთად ყოფნით გული ვიჯეროთო.

ერთხელაც გურამმა პირობა მისცა: ხვალ ზესტაფონიდან დილით წამოვალ და ერთი საათით გამოგივლიო.

გურამმა პირობა შეასრულა. ვახტანგმა იგი ბორჯომის გზაზე რესტორანში წაიყვანა. რომ მივიდნენ, რესტორნის კარებზე წარწერა დახვდათ, *სანიტარული დღეაო*. დარბაზიც ცარიელი იყო. გურამმა გულში გაიკვირვა, მილიციის უფროსებს რესტორანში საკუთარი კუპე აქვთ და ამ საერთო დარბაზში რატომ შემომიყვანაო, მაგრამ ოფიციანტმა რომ თქვა, *არაფერი არა გვაქვსო*, მასაც აღარაფერი უთქვამს. ვახტანგმა — სტუმარს მთლად მშიერს ხომ არ გავუშვებ, რამე მოგვიტანეო. მანაც მოიტანა მოხარშული „სოსისი“ და ძველი, გამხმარი პური. ლუდი რომ მოსთხოვა, *მაცივარი გამორთული გვაქვსო*, და ორი ბოთლი თბილი ლუდი ჩამოდგა. ვახტანგმა, *წუხელ მოვიწამლეო*, პირი არაფერს დააკარა. გურამი შინიდან უსაუზმოდ იყო წამოსული და, *სასაუზმოდ სადღა ვირბინოო*, მორთმეულს კარგა მაგრად მიაძღა, ერთი ბოთლი თბილი ლუდიც ზედ მიაყოლა. რაღაც უსიამოვნო გრძნობა კი დაეუფლა, მაგრამ არ შეიმჩნია. წასასვლელად რომ წამოდგა, ვახტანგმა მკლავზე ხელი მოჰკიდა, გვერდზე გაიყვანა და კუპის კარი შეაღო. რას ხედავს: დიდებული სუფრა 10–12 კაცზეა გაშლილი.

მალე წინა დღით საგანგებოდ დაპატიჟებული სტუმრებიც შემოლაგდნენ და ატყდა სიცილი და ხარხარი.

ტოიოტა

90-იან წლებში, როდესაც განუკითხაობა და სიღატაკე მძვინვარებდა, ჩემს დეიდაშვილ **ლილი სამსონიასა** და მის მეუღლე **გურამ გოგიჩაიშვილს** ძალიან გაუჭირდათ. გადაწყვიტეს, გურამის მამის შეძენილი „ტოიოტას“ გამოშვებული მსუბუქი ავტომანქანა გაეყიდათ. ისინი ოზურგეთში ცხოვრობდნენ და გაზეთში განც-

ხადება ჩემი სახელით თბილისში, ჩემივე მისამართითა და ტელეფონის ნომრით გამოაცხადეს.

ერთ დღეს ტელეფონით მელაპარაკება ძველი ნაცნობი ქალი, რომელიც ადრე, ახალგაზრდობისას, მეთამაშებოდა და, დიდი ხანი იყო გასული, ერთმანეთი არ გვენახა.

– მეცნიერებს გეტირათ ყოფა, მანქანას ყიდი?! – ნიშნის მოგებით მეუბნება ის.

– კი, ვყიდი, ჯერ „გარაჟი" გავყიდე და „უგარაჟოდ" მანქანას ვეღარ ვაჩერებ, მეშინია, არ მომპარონ, თორემ მაგას გაჭირვების გამო არ ვაკეთებ. – „ვტრაბახობ" მე.

– თუ არ გიჭირდა, „გარაჟი" რატომ გაყიდე?

– იცი, გარაჟს რა მოვლა და დასუფთავება სჭირდება? ორ გრაჟს ვეღარ აუვედი და ერთი ამიტომ გავყიდე.

– რა, მეორე გარაჟიც თუ გაქვს, ამ მანქანას რადღა ყიდდი?

– იმ გარაჟში მეორე მანქანა, „მერსედესი", მიყენია. ის გრძელია და ორი ვერ დავტიე.

– ვაა, ასე მდიდარი ხარ? მე კი მეგონა, მანქანა არასდროს გყოლია და, შენი ხელფასის მქონე, თუ ოდესმე შეიძენდი, ვერცწარმომედგინა.

ასე მარჯვედ მოვიგერიე ჩემი თავდამსხმელი.

სატელიტური ანტენა

პირველი აპრილია. ეს ის დროა, **ედუარდ შევარდნაძე** საქართველოს პრეზიდენტად მეორეჯერ იყრის კენჭს, ხოლო მისი მხარდამჭერი შტაბის უფროსი **ელგუჯა მეძმარიაშვილია**. ამის გამო რადიო, ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები მეძმარიაშვილის მიერ გამოგონილ სატელიტურ ანტენაზე გამუდმებით ლაპარაკობს. ვისარგებლე ამით და ჩემს კუსტბელ მეგობარ **მარინა ჟღენტს** ტელეფონით ვეუბნები: ჩემი ბიძაშვილი მეძმარიაშვილთან მუშაობს, აივანზე სატელიტურ ანტენას მიყენებს (სახურავზე საშიშია, მოიპარავენ), რომლის მეორე ცალი კილომეტრ-კილომეტრ-ნახევარზე უნდა დაიდგას. მათ შორის, თურმე, მაგნიტური ველი წარმოიშობა. ყველგან გამოვიკითხე, გამოსხივებას ან რაიმე ცუდს არაფერს იწვევს, სარგებელი კი უდიდესი აქვს: ერთი, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ტელეფონით უფასოდ ილაპარაკებ

(ამ დროს მარინას კალათბურთელი ვაჟი **თორნიკე** რუმინეთში თამაშობს), მეორე: მსოფლიოს ნებისმიერ ტელეარხს უფასოდ იჭერ. მე მერვე სართულზე ვცხოვრობ, რამდენადაც ვიცი, თქვენც ასევე, თუ კიდევ უფრო მაღალზე, ხართ. დედა ბრძანდებით, შვილი საზღვარგარეთ გყავთ და გადავწყვიტე, თუ თანახმა იქნებით, მეორე ანტენა თქვენი ბინის აივანზე დავდგა.

— ვაიმე, ბატონო ბორის, როგორ შეიძლება, თანახმა არ ვიყო, რა მადლობელი ვარ, როგორ გაგახსენდით, ეს პატივისცემა როგორ უნდა გადაგიხადოთ?! — კიდევ ბევრი სამადლობელი მითხრა მარინამ და ცოტა ხნის შემდეგ ვეუბნები:

— ქალბატონო მარინა, დღეს პირველი აპრილია!

მარინა გაშრა, სიბრაზეს ვერ მალავს და საყვედურებით მავსებს: *ეს რა ხუმრობააო*. იმდენად ნაწყენი დარჩა, თითქოსდა მისთვის ანტენა დამედგას და მერე მომეხსნას.

მაინც არ შევეშვი და წინადადება მივეცი, მისი დაქალი **ნანა მახათაძე** (მასაც კუსტბიდან ვიცნობდი) გაგვემხიარულებინა. ამ ანტენას მასაც შევთავაზებ, თქვენ კი სასტიკი უარი უთხარით–მეთქი. მოიმიზეზეთ, რომ მთელ კორპუსს ვერ აუხვალ, ყველას მოუნდება საზღვარგარეთ უფასოდ დარეკვა. რომელიმეს ერთხელაც რომ უარი უთხრა, სამუდამოდ ნაწყენი დაგრჩება. მეორეც: იქცევი ტელევიზიის ნარკომანად. იმდენ კარგ გადმოცემას დაიჭერ, ტელევიზორს ველარ მოშორდები.

მარინას თანხმობა არ განუცხადებია, მაგრამ ნანას ბინის ტელეფონი კი მომცა.

ვურეკავ ნანას:

— ნანა ბატონო, სად არის ეს ჩვენი მარინა, ერთ კვირაზე მეტია, ვურეკავ და არ პასუხს არ იძლევა. ტელეფონი აქვს გაფუჭებული თუ თბილისში ოჯახის არც ერთი წევრი არ იმყოფება?

— როგორ არა, — მიხსის ნანა, — ყველანი აქ არიან, ერთი საათი არ იქნება, რაც მარინას ველაპარაკე.

ვუამბე ნანას, მარინას რისთვისაც „დავეძებდი“. მასაც იმასვე მოვუყევი, რაც მარინას, ოღონდ მეორე ანტენას მესამე დავუმატე, რომელიც უკვე ნანას ბინის აივანზე უნდა დადგმულიყო.

— ბატონო ბორის, რა კარგი რამე ბრძანეთ, მაგრამ როგორ მწყდება გული: მე მეორე სართულზე ვცხოვრობ!

ნანას ეს პრობლემა უცებვე „მოვუხსენი“:

— ნანა ბატონო, კარგად ვერ გამიგეთ: მესამე ანტენა სწორედ დაბლა, მიწისაკენ, უნდა ეშვებოდეს!

ნანამაც დიდი მადლობა გადამიხადა და მითხრა: მარინას ახლავე დავუკავშირდები; თუ ტელეფონი გაუფუჭდა, მაშინ შინ მივაკითხავო.

ველოდები პასუხს. რომ აღარ გამოჩნდა, მარინას ისევე მე ვურეკავ. ამიხსნა: კი, ნანამ დამირეკა და ვუთხრი, რომ ტყუილს ამბობ!

სანატრელი ჰონორარი

იმავე პირველ აპრილს ერთი გახარება სხვებიც გავახარე.

რამდენიმე ხნით ადრე **ციალა (მარიამ) კარბელაშვილმა** შემომჩივლა: რუსთველოლოგიური გამოკვლევა დავამთავრე, მაგრამ სად დავბეჭდო, აღარ ვიცი, დიდია, ოთხ თაბახზე მეტიაო.

გამოვიყენე ეს „აქილევსის ქუსლი“ და ციალას პირველ აპრილს ვურეკავ: სოროსმა აკადემიაში სხვა წიგნებთან ერთად რუსთველოლოგიური კრებულიც დააფინანსა, პასუხისმგებელ მდივნად დამნიშნეს; კრებული ჰონორარიანია, თაბახში 100 დოლარს ვიძლევით, კრებულს უკვე ვადგენ, რაიმე მასალა გექნება და მომაწოდე- მეთქი.

100-დოლარიანი ჰონორარი ამ გაგებითაც და იმ გაგებითაც ფანტასტიკა იყო. მაშინ თვიური ხელფასი სხვადასხვა დამატებებითურთ 50 ლარამდე თუ ოდნავ მეტი იყო.

— მაქვს და რამდენი თაბახი შეიძლება? — მეკითხება ციალა.

— ჩვეულებრივ ერთი თაბახი, მაგრამ უფლება მომცეს, რამდენსაც საჭიროდ მივიჩნევ, სრულად დავბეჭდო და თითოეულ დამატებით თაბახში 30 დოლარი დავუმატო. — რა მენაღვლება, ვგულუხვობ მე.

აღფრთოვანდა ციალა: სულ „დუშკა“ და „დუშკა“ მეძახა. მაგრამ პირველი აპრილი რომ შევახსენე, ნაღვლიანად დასძინა:

— უცებ გადავიანგარიშე, რამდენ ვალს ვისტუმრებდი!

ნამყენი პომიდორი

ჩემი მეგობარი **მალხაზ შელია** კოლორიტული პიროვნებაა. როგორც მელიორაციის მეცნიერებათა კანდიდატი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კარგა ხანს მუშაობდა. ფართო საზოგადოება მას უფრო იმით იცნობს, რომ ბრწყინვალედ ასრულებს იოგების ვარჯიშებს და ზამთრობითაც კი გაყინულ კუს ტბაზე ბანაობს. ეს რამდენიმეჯერ ტელევიზიითაც უჩვენეს. ძალიან უყვარს ჩვენი დასავლური საჭმელები, ადრე დაობლდა, და გურიიდან რომ ზოგჯერ ნუგბარ რასმე გამომიგზავნიდნენ, ხანდახან ჩემთან შინ მომიყვანია.

ერთხელაც, ივნისის ბოლოს, კუსტბიდან ჩემთან გამოვატარე.

ვიდრე თხრობას გავაგრძელებდე, ერთ ამბავს მოვყვები: თბილისში, ბაზარში, ვიყიდე უჩვეულო პომიდორი, ფერითაც და ფორმითაც ხურმას ჰგავდა. მისი თესლი სოფელში ჩავიტანე და გავამრავლე.

ახლაც სუფრაზე ეს პომიდვრები მქონდა და, დასჭრელად დანა რომ დავადე, მალხაზი ხელში მწვდა, ნუ გაჭრი, რა დროს ხურმაა, მწიფე არ იქნებაო.

— მალხაზ, შენ ხომ ეს ხურმა გგონია. მე ახლა აქ საგანგებოდ მოგიყვანე, რათა ეს მეჩვენებინა. ჩემს სოფელში ერთმა გლეხკაცმა პომიდორი ხურმაზე დაამყნა და ფანტასტიკური შედეგი მიიღო. უშველებელი ხურმის ხე პომიდვრებს ისხამს და ზამთრის პირამდე საუკეთესო ნაყოფს იძლევა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, ამ გამოგონებას ამ კაცს არ უმტკიცებენ და წართმევას უპირებენ. შენ ახლო ხარ **გურამ მგელაძესთან** და გთხოვ, ამ საქმეში დაგვეხმაროს.

მაშინ გურამ მგელაძე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი იყო, მალხაზი კი მას კუსტბაზე იოგების ვარჯიშს ასწავლიდა.

მალხაზმა „ხურმა“ გაისინჯა, გაკვირვებულმა მითხრა, *შესანიშნავი პომიდორიაო*, და დახმარება მხურვალედ აღმითქვა.

მეორე დღეს კუსტბაზე ნაადრევად წავედი, მალხაზმა ბატონ გურამთან არ მიმასწროს, მან კი ეს ხუმრობა თავისთავზე გლახად არ მიიღოს და არ ეწყინოს–მეთქი.

ეს ამბავი იმ დილას კუსტბელ ბიჭებს მოვუყევი და მოვილაპარაკეთ, ამაზე საუბარს მალხაზთან თვითონ წამოიწყებდნენ.

მოვიდა მალხაზი და ერთი, ვითომცდა სხვათა შორის, ჰყვება: *გუშინ ბაზარში ხურმა ვიყიდე და პამიდორი აღმოჩნდაო.*

მალხაზმა გაიღიმა, ჩემზე ცერით ანიშნა და თქვა: *ეს ამას ჰკითხეთო!*

ყველას გაგვეცინა. როცა სიმართლე გაიგო, მალხაზმაც გადაიხარხარა.

კუსტბაზე მოსმენილი

კუსტბაზე ვარჯიშის დროს, სიძუნწეზე საუბარი რომ ჩამოვარდა, **თამაზ გომელაური** მოგვიყვა:

მუსიკოს ირაკლი ბერიძის მამა გიორგი შესანიშნავი პიროვნება, ერთობ ავკარგიანი კაცი გახლდათ. საბჭოთა ხელისუფლება ახალდამყარებული იყო. მთავრობამ ის რაღაც საქმეზე თრუქეთში მიავლინა. პურ-ღვინისა და ქეიფის მოყვარულმა გიორგიმ საგზალთან ერთად გზაში სახარჯოდ მომცრო ტიკით ღვინოც გაიყოლია. ბათუმამდე მატარებლით იმგზავრა, იქიდან კი გემით გაემართა. კაიუტაში სამ ბერძენ ვაჭართან მოხვდა. შუადღისას ბერძნებმა სანოვაგე ამოალაგეს და გიორგი მიიპატიჟეს. გიორგის საჭმელი აღარ შემორჩენოდა და სუფრაზე ღვინო ჩამოდგა. ბერძნებმა ღვინო სიამოვნებით მიირთვეს., მაგრამ იგი არაფრად ჩააგდეს და გიორგის საჭმელში ფული მოსთხოვეს. გიორგი სახტად დარჩა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, გადაიხადა.

თურქეთში რომ ჩავიდნენ, აღმოჩნდა: იქ ქოლერის ეპიდემიის გამო კარანტინი ყოფილა გამოცხადებული და, ვიდრე მგზავრებს არ შეამოწმებდნენ და მათ ჯანმრთელობაში არ დარწმუნდებოდნენ, გემიდან არავის უშვებდნენ. ბერძნებს, სანამ ამას გაიგებდნენ, ადრე დილით მოესაქმებინათ და, ერთი დღე-ღამე რომ არ დაეკარგათ, ეკშმაკობას მიმართეს: გიორგის საანალიზოდ განავალი სთხოვეს. ისიც უმალვე დასთანხმდა, ოღონდ მტკიცედ განუცხადა, უნდა გადამიხადოთო.

— არ მითხრათ ახლა, მართლა გადაახდევინაო! — ვერ ვითმენ მე.

— კი, ნამდვილად გადაახდევინა! — დინჯად გვიდასტურებს ბატონი თამაზი. ჩვენ კი კმაყოფილი ვიცინით

*

რაკი საუბარი ამ უხერხულ საგანზე ჩამოვარდა, მეზობლის მონათხრობი გამახსენდა და მოვყევი:

– ჩვენთან, რუსთავის კოლონიაში, – გვიამბობდა იგი, – ერთი სამტრედიელი ბიჭი სასჯელს იხდიდა. ქუთაისში საასენიზატორო მანქანაზე უმუშავია. კარგ ფულს ვაკეთებდიო, ხელფასი ხელფასად მქონდა და ახლომახლო სოფლების მებაღე-მებოსტნეები ნაკელად თითო მანქანა განავალს ყიდულობდნენო. ერთს მისთვის პირი შეუშლია, ფული დაუკლია და მასაც ღამით ჭიშკართან მთელი მანქანა დაუცლია.

პირის შემშლელი და მისი ოჯახის წევრები საშინელმა სუნმა რომ გამოაღვიძა, დოგინიდან დგებიან და რას ხედავენ... ვიდრე არ გათენდა და იქაურობა არ დაასუფთავეს, ჭიშკარი ვერ გააღეს.

ის ბიჭი ამ ბოროტი ხუმრობის გამო იხდიდა სასჯელს.

*

– ერთი ასეთი ნამდვილი ამბავი მეც ვიცი, – სიტყვას აგრძელებს თამაზ გომელაური, – ქუთაისში ასეთ მანქანაზე მომუშავე ბიჭს საცოლე გაუთხოვდა. პატარძალს ქორწილში მანქანით მიადგა და ყველას თვალწინ მანაც მთელი მანქანა სეფაში დაცალა. ისიც დაიჭირეს და სასჯელი დაადეს.

ლექსის მადლი

ჩემმა ბიძაშვილმა **როინ ანდღულაძემ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობისას თანაკურსელ **გერმანე ფაცაციასთან** ერთად დეიდაჩემის (მისთვის მამიდამისის), **ნინოს,** ბინაში ცხოვრობდა. მეც იმავე ეზოში, მეორე სართულზე, მოპირდაპირე პატარა ოთახში, ვცხოვრობდი და ვხედავდი, როინი და მისი კურსელები ყოველ ახალ წელს ამ ბინაში რა გრიალით ხვდებოდნენ. იმავე წელსაც, უნივერსიტეტი რომ დაამთავრეს, ტრადიციას არ უღალატეს და ახალწლის შესახვედრად ისევ იქ შეიკრიბნენ.

ღამის ორი საათი იქნებოდა, შეხვედრიდან რომ დავბრუნდი და მათთან შევიარე. სადღა იყო ის დაუდგრომელი ხალისი, წინა

წლებში რომ ჰქონდათ. ახლა ქეიფის ნაცვლად ჯგუფებად ისხდნენ და მოწყენილად აბოლებდნენ. მათი უხალისობის მიზეზიც გასაგები იყო: დიდი ამბით დაამთავრეს პრესტიჟული ფაკულტეტი და უბრალო სამსახურსაც ვერ შოულობდნენ. მელანქოლია გერმანე ფაცაციასაც დაუფლებოდა და ცხოვრების ამაოებაზე მწარედ საუბრობდა. გერმანე შემდეგ პარლამენტარი და აქტიური პოლიტიკური მოღვაწე გახდა, მაგრამ მაშინ ამ განწყობილებაზე იყო. მათი უხალისობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ თანაკურსელი, ასაკით ცოტა უფროსი, მათი შეხვედრა-ქეიფების მოთავე და უცვლელი თამადა **იმედა მუხაშავრია**, ჯარში იმყოფებოდა.

ჩემს შეძახილს, რა ცხვირ-პირი ჩამოგტირით, პანაშვიდზე ხართ თუ ქეიფობთ-მეთქი, შედეგი არ მოჰყოლია. გამოვბრუნდი, შინ პატარა ლექსი დავწერე, ისევ მათთან ჩავედი და წავუკითხე:

„შარშან იმედა იყო თამადა,
წელს უიმედოდ ვხვდებით ახალ წელს.
წლითი-წლობით იზრდება მადა,
წელს მოიწყვეტ და მაინც ვერ აღწევ
მინიმუმის და ნამცეცას გარდა.
მაგრამ, ვაი, რომ ხელებს ვერ აწევ,
რომ ძირს დაუშვა ცხოვრების ფარდა!“

სასწაული მოხდა: ერთბაშად ზეზე წამოიჭრნენ, ლექსს ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ და იწერდნენ, იმედასთან წერილი დაწერეს და ლექსიც შიგ ჩაუწერეს, სუფრას მიუსხდნენ და ლხინი სიხარულითა და ჟრიამულით განაახლეს.

ლადო გოლიაძე — სიმართლის დამცველი

ჩემი ახლო ნათესავი **ლადო გოლიაძე** მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობდა. მესამე კურსიდან თბილისში შესაბამისი ინსტიტუტის რუსულ განყოფილებაზე გადმოვიდა და ბინად ჩემთან იმყოფებოდა. ამ დარგის სტუდენტთა უმრავლესობას ჰუმანიტარული საგნების ცოდნით თავი არ უსკდებოდათ და სწავლითაც თავს არ იკლავდნენ. თვითონ ლადო ჰყვებოდა: მარქსიზმ-ლენინიზმის ლექტორი ჯერ რიხით სვამდა კითხვას: **ჩტო ტაკოი კა-**

მუნიზმ? – და ნიშანს არ წერდა. მას შემდეგ, რაც გამოცდების დაწყებამდე, აუდიტორიაში შესვლამდე, დერეფანშივე 3-მანეთობით შეგროვილ ფულს მას პიჯაკის ზედა გარეთა ჯიბეში ჩაუტენიდნენ, ის უკვე, თურმე, მოტეხილად, მორცხვად, გაბზარული ხმით სვამდა იმავე კითხვას და, რა პასუხიც უნდა ყოფილიყო, იყო დადებითი ნიშნების ცვენა.

ერთ დღეს ერთი ნაცნობი ქალი, რომელიც ჩვენთან შვილის ასპირანტურაში მოეწყობას დიდი მონდომებით ცდილობდა, ასპირანტურის ამბების გასაგებად, თუ რა საგნებში და როგორ ტარდება გამოცდები, მე, როგორც ლიტერატურის ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, შინ ტელეფონით მიკავშირდება. ყურმილი ლადომ აიღო.

– ვაიმე, სტუმარი გყოლიათ, – შეწუხდა იგი.

– არა უშავს, ჩემს სტუმარს ასპირანტურა და მეცნიერება ძალიან აინტერესებს და ხელს არ შეგვიშლის-მეთქი.

– ვინ არის ასეთი? – რატომღაც დაინტერესდა ქალი.

– ოო, ეს ისეთი ბიჭია, საოცარი ინტელექტითა და ცოდნით ქვეყანას აბრუნებს!

ლადომ ყურები ცქვიტა და პირში მომაჩერდა. მე განვაგრძობ:

– ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ივანე ბერიტაშვილი, აკაკი შანიძე, ალექსანდრე ბარამიძე თავისი ნიჭითა და გაქანებით გადარია.

– სწავლობს თუ მუშაობს?

– ასპირანტი გახლავთ! – ამაღლებულ-პათეტიკურად წარმოვთქვი.

– რა დარგში? – არ მეშვება ის.

– რა დარგში და... ფილოსოფიაში! – მივუგე და მაშინვე ფილოსოფიის ასპირანტობა ლადოსთვის ძალიან მეცოტავა. ვაითუ, ამ ქალმა მარქსიზმ-ლენინიზმი ან ლოგიკა (სკოლაში აგდებულად რომ ისწავლებოდა) წარმოიდგინოს-მეთქი და კიდევ უფრო გავბუქე:

– აი, ახლა ხომ უდიდესი აღმოჩენებია... ფიზიკაში ატომის დაშლასა და ბიოლოგიაში გენების აღმოჩენას რომ მოჰყვა, ყოველივე ამის ფილოსოფიურ განმაზოგადებელ პრობლემებს ამუშავებს.

— რა ბედნიერია მისი მშობლები! რამდენი წლისაა? — ვხედავ, ჩემს მოსაუბრეს ამ „სასწაულმოქმედ“ ყმაწვილზე ყველაფრის ცოდნ სურს.

— ოცდაშვიდის! — ვთქვი თუ არა, ლადო ხმადაბლა, თვალებგაფართოებული აღგზნებულად ხელით მანიშნებს:

— არა, არა, ოცდაექვსის, ოცდაექვსისა ვარ! — ეს მცირე უზუსტობა ლადომ აღარ მაპატია, ვითომცდა მანამდე ყველაფერი სიმართლე მელაპარაკოს!

ოჰ, ეს საშინელი საბავშვო ბაღი!

რევაზ ბარამიძის ქალიშვილი **მარინე** თავის პატარა შვილს, **რეზიკო ვეკუას,** ლექსებს ასწავლის: *„ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალი ჭყივის, ბაღში ვარდი...“*

— ბაღში ალა, ბაღში ალა! — აპროტესტებს რეზიკო.

ყველას თავისი პრობლემა აქვს. ორწლინახევრის რეზიკოს ასეთად *საბავშვო ბაღი* გასჩენია. ამიტომ მტკიცედ შეცვალა სტრიქონი: *„სახლში ვარდი ობოლი მეტის ლხენითა სტირის“*.

საიდან იწყება ქალობა?

სარგის ცაიშვილმა თავისი ქალიშვილი **ცირა,** რომელიც მაშინ ხუთი თუ ექვსი წლისა იქნებოდა, ზოოპარკში წაიყვანა და იქაურობა დაათვალიერებინა. რომ გამოდიოდნენ, ცირამ იკითხა:

— მამა, თუ შეატყვე, ლომს მოვეწონე?

ამოუხსნელი კითხვა

დემურ გრიგოლიას ვაჟს, **ერეკლეს,** ვიდრე პატარა იყო, მშობლები შუაში იწვენდნენ; რომ წამოიზარდა, ცალკე დააწვინეს. ერეკლე ამას აპროტესტებდა, *მეშინია — ან დედიკოსთან დამაწვინეთ, ან მამიკოსთანო.* ორივეზე რომ უარი მიიღო, გაოცებულმა იკითხა: *ვისაც არ გეშინიათ, ერთად წვებით, მე მეშინია და ცალკე მაწვენთო?!*

შამპანური ღვინოა?

რამაზ (ნუკრი) კობიძის ვაჟი **ირაკლი,** პირველად რომ დაბადების დღეზე წავიდა, ისე დათვრა, შინ კი არ მოიყვანეს, მოიტანეს. მთელი ღა

მე უთიეს. დილით გაგულისებული მამა რომ მასთან შევიდა და პასუხი უნდა მოსთხოვოს, ახალგამოღვიძებულმა ირაკლიმ მას ბალიში ესროლა და აქეთ შემოუტია: *შამპანური თუ ღვინო იყო, რატომ არ მითხარითო?!*

თურმე, მას შამპანური ლიმონათად ესვა!

მეგობრებისადმი ერთგულება

ჯანსულ ჩარკვიანის შვილიშვილს, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, მაგრამ უკვე სახელგანთქმულ მუსიკოს, **ირმა (მარია) გიგანს** ბავშვობიდანვე ნაჩუქარი ბევრი თოჯინა დაუგროვდა, იმდენად ბევრი, რომ, როცა ბინაში რემონტს ატარებდნენ, ერთი ცალკე ოთახი გაავსო. ირმა (მარიამი) მაშინ რვა თუ ცხრა წლისა იქნებოდა, დედამისმა **ირმა ჩხეიძემ** ამ თოჯინების მოშორება გადაწყვიტა. ბავშვი მტკიცედ დაუპირისპირდა უფროსებს: *ჩემი მეგობარი დედოფლები, ერთად რომ გავიზარდეთ, სახლიდან უნდა გამისახლოთო?!*

პირველი ვნება

სტუდენტები ვიყავით, როცა ჩემს ებრაელ მეგობარ **სოფა ჩაჩანაშვილს** მიჯნური გამოუჩნდა. დადიოდნენ თბილისის ქუჩებში ერთმანეთის ხელდაუკარებლად და მაღალ მატერიებზე საუბრობდნენ. ერთ დღეს სტუდქალაქის წინ ამ „ალენ დელონმა“ მოულოდნელად სოფას ლოყაზე აკოცა. ახალნაწვიმარი იყო, აქა-იქ გუბეები იდგა, სოფას თავბრუ დაესხა, თვალთ დაუბნელდა და მოზრდილ გუბეში ზღართანი მოადინა. გონებაზე უმალვე მოეგო, „უნამუსო ბიჭი“ მიალანძღა, სასწრაფოდ ტაქსში ჩაჯდა და ამოლუმპული და აფორიაქებული შინ მივიდა. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, რამდენიმე დღე მოუსვენრად იყო. მე მისი გულის მესაიდუმლე ვიყავი, ყველაფერი ეს გამანდო და მთხოვა:

— სადგურთან რომ გადასასვლელი ხიდია, გადადი, ქუჩის მეორე მხარეს მდებარე შენობის ამა და ამ სადარბაზოს ამა და ამ სართულზე ესა და ეს ბიჭი ნახე და ჩემი სახელით შეეხვეწე, ეს ამბავი არსად თქვასო.

ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. აი, ასეთი ვიყავით მაშინდელი ახალგაზრდობა!

ასეთი „სიყვარულიც“ იყო

ერთ განათხოვარ ქალს ვხვდებოდი. იგი აფთიაქის მოლარედ მუშაობდა. მაქებდა და მესიყვარულებოდა. იმ აფთიაქში დედაჩემისთვის წნევის წამალს (ფხვნილებს) ვამზადებინებდი, – უფრო იმიტომ, რომ მისი იმედი მქონდა, რომელიმე შემადგენელ ნაწილს არ დააკლებდა. ერთი თვის საყოფი ფხვნილი 80–90 კაპიკი ღირდა. ყოველნაირად ვცდილობდი, ეს თანხა მე გადამეხადა, მაგრამ ეს ჩემი „დულცინე“ არა და არ მანებებდა.

ერთ დღეს კი გადამახდევინა. თავადვე მითხრა, **გათხოვილიყო**! არ შევიმჩნიე, მაგრამ გული საშინლად მეტკინა. **უკვე აღარ ვჭირდებოდი და 80–90 კაპიკადაც აღარ ვუღირდი!** ამის შემდეგ მასთან ორჯერ თუ სამჯერ კიდევ ავიღე წამლები და საფასურს რაიმე წინააღმდეგობის გარეშე, უსიტყვოდ, ვაძლევდი.

და, აი, ერთ მშვენიერ კი არა, ჩვეულებრივ დღეს ჩემი ყოფილი „დულცინე“ ჩემგან ფულს კვლავ არ იღებს. თავადვე მითხრა: მისი „რჩეული“ ალფონსი აღმონილა და იგი სახლიდან გაუგდია. ფული რომ აღარ გამომართვა, წამალზე უარი ვთქვი და იგი სხვა აფთიაქში შევიძნე. ასევე გავაგრძელე შემდეგაც.

სახაჭაპურეში

მე და **აკაკი ხინთიბიძე** ვაკის სახაჭაპურეში შევედით. დგას 90-იანი წლები – განუკითხაობის დრო. გამოვიტანეთ ხაჭაპურები, რომლებიც უფრო მეტად ნადუღიანი აღმოჩდა. ჩვენთან ერთად მაგიდას ქალი და პატარა გოგონა უსხედან. მოულოდნელად ბავშვი ქალს მიუბრუნდა:

– მე, ბებია, ყველამდე დავედი, შენ?

საყურადღებო კითხვა!

როცა კინოფილმი *„ჯაყოს ხიზნები“* გამოვიდა, მას ეროტიკული სცენების გამო დიდი აღშფოთება და გნიასი მოჰყვა. ამ საკითხზე ტელევიზიამ ფილმის განხილვა მოაწყო. ცხარე კამათი გაიმართა. ამ გადაცემას შინ ერთ ჩემს მეგობარ ქალთან ერთად ვუყურებდი. უაღრესად განათლებული, პატიოსანი და კარგი ოჯახის პატრონი ბრძანდებოდა. განხილვაზე ფილოსოფოსმა და ჩემმა ყოფილმა ლექტორმა ბონდო კარტოზიამ აღნიშნა, რომ *ფილმში თავშეუკავებელი სქესობრივი ცხოვრებაა ნაჩვენებიო*. ჩემმა სტუმარმა ქალბატონმა ჩაილაპარაკა:

– ნეტავი, თავშეკავებული სქესობრივი ცხოვრება რომელია?!

როდისაა მამაკაცი საშიში?

ერთმა მეგობარმა ქალმა თავისი სამეცნიერო ნაშრომის წაკითხვა მთხოვა – *ლიტერატურის ინსტიტუტში მოვალ და ჩემი თანდასწრებით წაიკითხეო*. ავუხსენი: ინსტიტუტიდან გაგდებული ვარ, იქ არაფერი მესაქმება, მისვლა კი ჭირივით მეჯავრება. სჯობს, ჩემთან სახლში მოხვიდე. ბოლოს ხუმრობით დავაყოლე: უკვე დავბერდი, საშიში აღარა ვარ და სახელი არ გაგიტყდება–მეთქი.

მან გაიცინა და მითხრა: *საშიში ახლა ყოფილხარო!*

ეს ამბავი მეორე ჩემს მეგობარ ქალს ვუამბე, როცა რაღაც საქმის გამო ჩემთან უნდა მოსულიყო. მან სერიოზული ხმით მკითხა:

– რომ მოვიდა, მერე რა გითხრა, – ყოფილხარ თუ არა საშიში?!

სტახანოური

გალაქტიონ ღლონტი გვიყვება: გურული ქალი ქინძისთავით ხალათს იკრავდა. იწვალა, იწვალა და ქინძისთავს თავი ვერ შეუკრა. ბოლოს ჩაილაპარაკა: *სტახანოველის გაკეთებული იქნებაო!*

ნათელმხილველი

ბედმა გამიღიმა, რომ თბილისში შესანიშნავი კარის მეზობლები – ცოლ–ქმარი **ოთარ იოსელიანი** და **ნათელა ლომთათიძე** – შემახვედრა. ბატონ ოთარს ფიზიკა–ქიმიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და თბილისის უნივერსიტეტში უფრო ქიმიის ხაზით მუშაობდა, ქალბატონი ნათელა იურისტი ბრძანდებოდა და გამორჩეული გარეგნობისა გახლდათ. ამის გამო სხვა ლამაზ ქალებთან ერთად ის გადაღებულია კინოფილმ „სინათლეში“. ქალბატონ ნათელას მსუბუქი ავტომანქანა იმ დროიდან ჰყავდა (თავად ატარებდა), როცა ჯერ კიდევ ეს საქმე ქალებისათვის უცხო ხილი იყო. ცოლ–ქმარს დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა, ჩემზეც გადაყოლილი იყვნენ. რა დამავიწყებს 90–იან წლებს, როდესაც პურის შოვნაც კი პრობლემა იყო. ესინი კი უჩემოდ სადილად არ სხდებოდნენ. ერთხელაც დავემალე და შინ საღამოს მივედი. დამიძახეს, შევედი, სუფრა ხელუხლებელია: *გელოდებით და რატომ დაგვტოვე უსადილოდო?*

ჩემი უცოლობა, როგორც ჩემიანებს, ამ მეზობლებსაც ძალიან აწუხებდათ და ფართო თვალებით შეჰყურებდნენ ყველა ახალგაცნობილ გასათხოვარ ქალს.

ერთ დღეს, ქალბატონი ნათელას დაქალი **ტატიანა ჯანჯღავა** ქუჩაში მხვდება და მეუბნება: ე, ბიჭო, შეირთე ცოლი და ამ საქმისგან ნათელა დაასვენე. წუხელ სუფრაზე ვიყავით, ვიღაცამ აქო, შესანიშნავი გასათხოვარი დისშვილი მყავსო. ნათელამ ყველაფერი გამოჰკითხა და მისი მისამართიც ჩაიწერაო.

ქალბატონი ნათელა უაღრესად ჭკვიანი და ნიჭიერი ქალბატონი ბრძანდებოდა, მაგრამ ცრუმორწმუნე იყო, რაც ძალიან მიკვირდა: დადიოდა ხოჯებსა და ნაირნაირ ნათელმხილველებთან. ეს ის დროა, გაზეთს ვერ გადაშლიდი, ვინმე ექსტრასენსსა და ნათელმხილველთა სასწაულებზე ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები არ ყოფილიყო დაბეჭდილი.

იმავე საღამოს ქალბატონ ნათელას ვუყვები სენსაციურ ამბავს: ვითომ გამაცნეს ჩინეთიდან ჩამოსული ქართველი ნათელმხილველი, რომელმაც ჩემი გვარი, სახელი, დაბადების წელი, მშობლების, ნათესავების, მეზობლების ვინაობა, ასავალ-დასავალი ისე ზუსტად ჩამომიჭიკჭიკა, გადამრია. ასევე თქვენ შესახებაც ყველაფერს მომიყვა, მითხრა: მეზობელი გყავს ნათელა ლომთათიძე, გაჭირვებულია, ფეხები სტკივა, ერთადერთი მისი ხსნა სიარულია, მაგრამ მან ეს არ იცის. აუხსენი, თქვენთან ახლოსაა კუსტბა, ყოველ დილით იქ ავიდეს და იაროსო.

ქალბატონი ნათელა სულ მანქანით დადიოდა, ფეხით სიარული იშვიათად უხდებოდა. 90-იანი წლებიდან, ბენზინი რომ გაძვირდა, აღარც იშოვებოდა და მანქანების ქურდობა გაჩაღდა (ერთხელ მასაც მოჰპარეს, მაგრამ დაიბრუნა), იგი შინიდან იშვიათად გადიოდა. უმოძრაობამ მთელ სხეულში ნივთიერებათა ცვლის მოშლა და სახსრების ქრონიკული დაავადება გამოიწვია. მოძრაობა ძალიან შეეზღუდა. ვეხვეწებოდით, შინ ნუ იკეტებოდა, ჰაერზე გასულიყო, მეტი ემოძრავა.

ამიტომ იყო, ეს „ნათელმხილველი“ რომ მოვიშველიე.

ბოლოს მეტი დამაჯერებლობისათვის დავაყოლე: და იცი, კიდევ რა მითხრა იმ კაცმა? მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტკივილები აქვს, ეს ქალბატონი მაინც შენზე ფიქრობს, შენს დაქორწინებაზე ზრუნავს. წუხელ სუფრაზე ერთმა ქალმა თავისი დისშვილი აქო. მან ყველაფერი გამოჰკითხა მის შესახებ და მისამართიც ჩაიწერაო.

— სამივე შვილი დამეხოცოს, — უცებ წამოიყვირა ქალბატონმა ნათელამ, — თუ ეს მართლა ასე არ ყოფილიყოს!

ქალბატონი ნათელა შემომეხვეწა, ეს კაცი როგორმე მაჩვენეო. გულუხვობა გამოვიჩინე: აუცილებლად-მეთქი. სამი-ოთხი დღის შემდეგ რომ შემახსენა, კვლე მოვიტყუე: სამეგრელოში ნათესავთან წასულა, ამ ორ-სამ კვირაში ჩამოვა და, მის ნათესავთან შეთანხმებული ვარ, აქ მოგიყვან-მეთქი.

გადის დღეები და ქალბატონი ნათელა მეგობრებსა და ახლობლებს ტელეფონით აგებინებს, რომ ჩინეთიდან ასეთი და ასეთი ნათელმხილველია ჩამოსული და შემახვედრებენო. ბოლოს ეს ტატიანასთვისაც უამბია და დაუყოლებია: ქალო, იმ დღეს რომ ქალმა დისშვილი აქო, ეს ამბავიც კი დაუნახავს და სცოდნიაო.

— დაიკარგოს აქედან! ის ამბავი ბორიას მე თვითონ მოვუყევი. — „ჩამიშვა“ ქალბატონმა ტატიანამ.

ასე დამთავრდა ჩემი კეთილი ტყუილი.

ქალბატონი ნათელას ამ ქვეყნიდან წასვლაც რამდენადმე უცნაურად მოხდა. დაბადებული იყო 1926 წლის 28 თებერვალს და 1974 წლიდან, რაც ჩვენ მეზობლები გავხდით, არც ერთი წელი არ გაუცდენია, თავისი დაბადების დღე გრძელი სუფრით არ აღენიშნოს. 1996 წელს უკვე მოძრაობა უჭირდა. თავისი დაბადების დღემდე ორი კვირით ადრე ქალი დაიქირავა და ხუთოთახიანი ბინა კარგად დაალაგებინა. რატომღაც დაიჩემა და ჩემთან და კიდევ რამდენიმე სხვასთან თქვა: *ახლა რომ მოვკვდე, ჩემზე ყველა იტყვის, რა სუფთა ქალი ყოფილაო.*

ენამ უყივლა. დაბადების დღემდე ერთი კვირით ადრე თავში სისხლი ჩაექცა და სწორედ დაბადების დღეს დავასაფლავეთ!

საპატიო პატიმარი

ერთ დღეს ჩემი კარის მეზობელი **ნათელა ლომთათიძე** მეკითხება: ***იაკობ ბალახაშვილს*** *თუ იცნობ და მის შესახებ რა იცი*ო. ვუთხარი:

— პირადი ნაცნობობა და ურთიერთობა არა მაქვს, მაგრამ რამდენიმეჯერ მინახავს, მისი ნაშრომები წამიკითხავს და კარგი ლიტერატორი და მკვლევარია.

— ზნეობა?

— ამბობენ, აფერისტობს და ხალხს ფულს სძალავს, მაგრამ რამდენად მართალია, არ ვიცი.

— შემოდი, ჩემთან არის.

შევედი. დამხვდა პატარა ტანის, წელში მოხრილი მოხუცი კაცი. რომ არ მცოდნოდა, ვერც ვიცნობდი. მივესალმე და მივესიყვარულე. ვუთხარი: ჩემი მეგობარია **მურმან თავდიშვილი** და წაკითხული მაქვს თქვენზე დაწერილი მისი შესანიშნავი ესეთქი. დავუსახელე და შევუქე მისი რამდენიმე ნაშრომი. კერძოდ, მის მიერ მიკვლეული და დაბეჭდილი ეგნატე ნინოშვილის დაბადების მოწმობა, სადაც აღნიშნულია, რომ მისი ერთ-ერთი მიმრქმელია მღვდელი ნიკოლოზ დარჩია. ამავე ნიკოლოზმა ეგნატეს დედას, ნინო ბარამიძეს, ათქმევინა აღსარება, აზიარა და დაკრძალვისას სათანადო წესი აუგო. ძალიან გაუხარდა და ჩემდა გასაკვირად დამისახელა ვახტანგ მეექვსეზე დაბეჭდილი ჩემი ნაშრომი.

თუ როგორ მოხვდა ბატონი იაკობი, ანუ, როგორც ეძახდნენ, ჟაკი ამ ოჯახში, შემდეგ გავიგე:

იმ წელიწადს უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები ჩაბარა ქალბატონი ნათელას ძმის, ოზურგეთელი **გიგას**, შვილმა **მამუკამ**. ერთი ქულა დააკლდა. ხმა გავრცელდა, ჩარიცხულთა დამატებითი სიები იქნებაო და ამიტომ გიგა აგვისტოს ბოლო რიცხვებში უნივერსიტეტში ხშირად დადიოდა. აქ მან გაიცნო მის მდგომარეობაში მყოფი კაცი, რომელმაც, თავის მხრივ, იაკობ (ჟაკი) ბალახაშვილი გააცნო, რომელიც პირობას იძლეოდა, შვილებს ამა და ამ ფასად მოგიწყობთო. იაკობმა ფული აიღო და დაიკარგა. ბავშვები, რა თქმა უნდა, გარეთ დარჩნენ.

ერთ დღეს, როდესაც ბატონი გიგა ქალბატონ ნათელას მანქანაში უზის, ქუჩაში ჟაკი დაინახა. სტაცეს მას ხელი, მანქანაში ჩასვეს და ქალბატონი ნათელას ოჯახში მოიყვანეს. ჟაკიმ თავი იმართლა: მე სხვამ მომატყუილა, ფულს დავაბრუნებინებ და მოგართმევთო.

მასპინძლები მალე დარწმუნდნენ, რომ არავითარი მეორე კაცი არ არსებობდა და არც იაკობი იყო ფულის დამბრუნებელი, მაგრამ მოიხიბლნენ მისი განათლებითა და საუბრებით, შეეცოდათ მოხუცი და შინაპატიმრობა მოუხსნეს. როცა უნდოდა, მიდიოდა, ხან მთელი დღე, და ყოველ საღამოს ისევ უკან ბრუნდებოდა. მიჩენილი ჰქონდა ცალკე ოთახი და შინაურივით

ცხოვრობდა. ისე, რომ არავის დაუვალებია, სუფრის ალაგებაში მონაწილეობდა, — თეფშები სამრეცხაოში გაჰქონდა. ასე თბილად და ტკბილად გაატარა მთელი ზამთარი, მოიკეთა და კარგ გუნებაზეც იმყოფებოდა.

როცა გამოზაფხულდა და კარგადაც დათბა, ერთ დღეს ჟაკი წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ქალბატონი ნათელა და ბატონი ოთარი კარგა ხანს წუხდნენ და დაეძებდნენ, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. მახსოვს, პრესაშიაც დაიბეჭდა, იქნებ, ვინმემ იცოდეთ, იაკობ ბალახაშვილი ცოცხალია თუ არაო?

იაკობის წასვლის შემდეგ მის ოთახში აღმოაჩინეს რამდენიმესტროფიანი ლექსი, სადაც იგი ეტრფიალებოდა ოთარისა და ნათელას უმცროს ქალიშვილს, მეცხრეკლასელ ელიას.

ტექნიკურად განიარაღება

ოთარისა და **ნათელას** ბინის ქვეშ ორ შვილთან ერთად ცხოვრობდა შესანიშნავი, კეთილშობილი ცოლ-ქმარი: ექიმები **ჯემალ მუჩიაშვილი** და **ინგა მარუაშვილი**. სხვათა შორის, ინგა გახლდათ შვილი **გიორგი მარუაშვილისა**, რომელიც ერთ დროს ჯანმრთელობის მინისტრი ბრძანდებოდა.

მოხდა ისე, რომ მარუაშვილებს იოსელიანების აბაზანიდან რამდენიმეჯერ წყალი ჩაუვიდათ. ერთხელაც გაგულისებული ქალბატონი ინგა ქალბატონ ნათელას მკაცრად ეუბნება:

— მობრძანდით, ქალბატონო ნათელა, და თქვენი თვალით იხილეთ, რა დღეშია ჩემი ჭერი?!

— ახლა თქვენს სახლში ვერაფრით ჩამოვალ, ხელცარიელი ვარ, და ბავშვს ასე ვერ ვნახავ! — შეწუხებული ამბობს ქალბატონი ნათელა. იმ დროს ინგას შინ სამშობიაროდან ახალგამოყვანილი შვილიშვილი ჰყავდა.

უნდა გენახათ, ქალბატონმა ინგამ რარიგ შეცვალა ტონი და მეზობელს როგორ დაუტკბა!

„ბამბანერკა“

ოთარისა და ნათელას რძალმა **მატა ჟღენტმა** თავისი ბავშვობის ონავრობა მოიგონა:

დეიდაჩემს ერთი კაცი თხოულობდა, მაგრამ ის სასტიკ უარზე იდგა. ერთ დღეს ეს კაცი დიდი „ბამბანერკით“ გვესტუმრა. დეიდაჩემმა უმალვე დატოვა მისაღები და სხვა ოთახში გავიდა. კაცი გაჰყვა, „ბამბანერკა“ ჩვენთან დატოვა. მე (მაშინ 10–12 წლისა ვიყავი) და **მარიკამ** (მარიკა მატას და არის და მასზე შვიდი წლით უმცროსია) დრო ვიშოვეთ, „ბამბანერკა“ გავხსენით და ლაზათიანად მოვულხინეთ. ალბათ, ნახევრი შევჭამეთ. ცოტა ხნის შემდეგ აჭარხლებული სასიძო უკან გამოვარდა, „ბამბანერკას“ ხელი დასტაცა და შურდულივით გარეთ გავარდა.

თოვლის პაპა

ოთარისა და **ნათელას** შვილმა და რძალმა — **გიამ** და **მატა ჟღენტმა** — საახალწლოდ თავიანთი შვილიშვილების — **ნატალია** და **ნიკოლოზ ჯიშიაშვილებისათვის** — საახალწლო საჩუქრები, შესაბამისი ფორმა მიყიდეს და თოვლის პაპობა მთხოვეს. ნატალია 2003 წლის 22 ნოემბერს არის დაბადებული, სწორედ იმ დღეს, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში რომ შეიჭრა და ედუარდ შევარდნაძის ჩაი დალია. ნიკოლოზი მასზე ორი წლითა და ოთხი თვით უმცროსია. იმ წელიწადს ნატალია 5 წლისა იყო, ნიკოლოზს 3 წელიც არ შესრულებოდა. დავალება კარგად შევასრულე. მატას და გიას ჩემთვის, როგორც მეკვლისათვის, ჩუსტები ეყიდათ, ნატალიამ იგი გამომიწოდა და მითხრა:

— თოვლის ბაბუ, იმ კარებში **ბორი ბაბუ** ცხოვრობს და ეს ჩუსტები გადაეციო.

მეორე წელიწადსაც იგივე გავიმეორე, მაგრამ, რომ მეგონა, *კვლავ ვერ მიცნეს–მეთქი*, მოვტყუვდი. მილოცვის შემდეგ სუფრას რომ ვუსხედვართ, გია ერთ ახალმოსულ სტუმარს ეუბნება: ჩვენთან თოვლის პაპა იყო და ნატალიასა და ნიკოლოზს საჩუქრები მოუტანაო.

— კი, კი, იგი თოვლის პაპა კია არა, ბორი ბაბუ იყო! — მტკიცედ წამოიძახა ნატალიამ.

ჩვენ სიცილი აგვივარდა და ერთხმად „გავაპროტესტეთ“, საიდან მოიგონე ეს სისულელეო.

— აი, შეხედეთ, წელანაც და ახლაც ჩემი მიცემული ჩუსტები აცვია! — ჩაგვჭრა ნატალიამ. რაღაც მივკიბ–მოვკიბეთ,

ისიც კი რიხიანად განვუცხადე: *თუ არ დამჭირდა, ტყუილს არასოდეს ვამბობ–მეთქი.* ნატალია გაჩუმდა, მაგრამ, ეტყობოდა, ვერა და ვერ დავაჯერეთ.

მოვიდა მესამე, 2011, წელი. რა თქმა უნდა, ახლა ნატალიას მოტყუება შეუძლებელია, თოვლის პაპა რომ ვარ, ამაში, ეგების, ნიკოლოზი დავაჯერო.

ამ დროს ნატალია მატა ბებიას ეუბნება: ნამდვილი თოვლის პაპა მინდა და არა ბორი ბაბუო.

ტაქტიკა შევცვალე და ნატალიას „ვუხსნი“:

— მე თოვლის პაპების პრეზიდიუმის წევრი და ვიცე-პრეზიდენტი, მეცნიერებათა კანდიდატი კია არა, დოქტორი ვარ (ამ ოჯახში უცხოს ჩემს თავს ამ ტიტულით აცნობდნენ და ვივარაუდე, ეს ნატალიასაც ექნებოდა გაგონილი). თოვლის პაპას იმდენი დრო სად აქვს, ყველა ბავშვთან მივიდეს?! ამიტომ საჩუქრებს ჩვენ, პრეზიდიუმის წევრებს, გვაძლევს და ჩვენც ვარიგებთ. რადგან თქვენი მეზობელი ვარ, თქვენთან მოსვლასაც ამიტომ მავალებს. აბა, იკითხე, რომელიმე თოვლის პაპა დოქტორი არის?

— არა, მე ნამდვილი თოვლის პაპა მინდა! — თავისაზე დგას ნატალია.

— როგორც გინდა, სხვა შენთან არავინ მოვა და მთლად უსაჩუქროდ დარჩები! — ვთქვი და ტელეფონის ყურმილი „დავაგდე“.

ერთი საათის შემდეგ ნატალია ისევ მირეკავს, *თანახმა ვარ, შენ მოდი, ოღონდ მე რომ გეტყვი, ის საჩუქრები მომიტანეო.* მე „აღვშფოთდი“: ნაჩუქარ ცხენს რომ კბილი არ გაესინჯება, ნუთუ შენ არ იცი?! კეთილი, მადროვე, დავრეკავ ახლა პრეზიდიუმში და საჩუქრებს შეგირჩევ–მეთქი.

მეორე ტელეფონზე დავაზუსტე, მატას რა საჩუქრები ჰქონდა ნაყიდი. ნატალიამ ჩემი „არჩევანი“ მოიწონა და ასე „იოლად“ შევხვდით 2011 წლის ახალ წელს. ვატყობ, ნატალიასა და ნიკოლოზთან ჩემი მეკვლეობა ამით მთავრდება.

ომარიკო დოლიძე

ჩემი ნათესავის **ლალი ინწკირველის** ვაჟი **ომარ დოლიძე** ხუთ წლამდე სრულიად ჯანმრთელი, მკვირცხლი და ენაჭიკჭიკა ბიჭი იყო. ხუთი წლისას, ზღვიდან რომ ჩამოიყვანეს, სმენისა და მეტყველების დაქვეითება დაეწყო. დაუსვეს დიაგნოზი: *ბავშვთა ცერებრული დამბლა*. მშობლებს, რომლებიც სოფლის სიდუხჭირეს გამოექცნენ და მიუსაფარნი თბილისის ბაზრობაზე ყინვასა და პაპანაქება სიცხეში თავს ვაჭრობით ირჩენდნენ, ერთადერთი შვილისათვის არაფერი დაუკლიათ, მაგრამ ამაოდ, ავადმყოფობა დღითი დღე ძლიერდებოდა.

ომარიკო ძალიან რელიგიური ბიჭი იყო. ყიდულობდა ხატებს, დადიოდა და ლოცულობდა ეკლესიებში, განსაკუთრებით, თავის ბინასთან ახლო მდებარე დიდუბის ტაძრებში, არც ისე იშვიათად — სამებაში. ლუკმას იკლებდა და ეკლესიებთან ჩამომსხდარ უპოვრებსა და მათხოვრებს ეხმარებოდა.

გარდაიცვალა 14 წლის ასაკში. გამოასვენეს დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან. შემძრა იმ გულითადობამ და დიდსულოვნებამ, როდესაც ადგილობრივმა მათხოვრებმა, რომლებსაც ფული შეეკრიბათ და გვირგვინი ეყიდათ, პატარა კუბოს გაუმართავი ნაბიჯებით შემოუარეს!

2. მ ე ც ნ ი ე რ თ ა, მ წ ე რ ა ლ თ ა და სხვა მ ო ღ ვ ა წ ე თ ა ა მ ბ ე ბ ი

მეცნიერებათა აკადემიის იუბილე, ანუ „ეროვნული“ — ცუდად დაცდილი სახელი

მიხეილ სააკაშვილმა თავის პარტიას **„ნაციონალური“** („ნაციონალური მოძრაობა“) დაარქვა და ასე მოვიდა ხელისუფლებაში. ამავე მთავრობამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას „მეცნიერებათა **ეროვნული** აკადემია“ უწოდა და... იგი გ ა ა უ ქ მ ა!

ამ გაუქმებულმა ეროვნულმა აკადემიამ (ფაქტობრივად ყოფილი აკადემიის **პრეზიდიუმმა**) 2011 წლის სექტემბერში თავისი

დაარსების 70-ე წლისთავის იუბილის გადახდა მოინდომა და, რაღაც გამართლება რომ ჰქონოდა, ამას მისი პირველი პრეზიდენტის, ნიკო მუსხელიშვილის, დაბადების 120-ე წლისთავი მიაბა. ამის შესახებ პირადად მე რადიოში მოვისმინე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ როინ მეტრეველის საუბარი. გარეშეთ არ ეცოდინებათ და მათთვის დავძენ: რადგან ამ ე. წ. **აკადემიას** მეცნიერული კვლევა-ძიების ხელმძღვანელობა ჩამორთმეული აქვს, მეცნიერული საქმიანობაც არ ევალება, ისღა დარჩენია, იუბილეების მოწყობით შეიქციოს თავი. აკადემიის იუბილე არ შედგა. აკადემიის სხდომათა დარბაზში ჩატარდა მხოლოდ ნიკო მუსხელიშვილისადმი მიძღვნილი სხდომა. ამ საქმესთან ახლო მდგომმა რამდენიმემ კაცმა მითხრა, იუბილე მთავრობამ ჩაშალაო, თუ რატომ, ვერც ერთმა ამიხსნა. ალბათ, იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ტრადიციით გარდაცვლილი ადამიანის დაბადების თარიღთან ერთად მის გარდაცვალების დროსაც მიუთითებენ ხოლმე. ამ წესით უნდა აღნიშნულიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის **დაარსების** 70-ე და **გაუქმების** მე-5 წლისთავი. ცხადია, ამას მთავრობა არ იზამდა. ვერც აკადემიის ხელმძღვანელობა დაიჩემებდა, რადგან მთავრობამ ამ ყოფილ **პრეზიდიუმს** ჯერჯერობით შენობა და შტატები შეუნარჩუნა და მაღალი ხელფასებიც დაუნიშნა.

ფიზიკოსები თავით ურტყამენ

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ძველი მუშაკები ჰყვებიან: აკადემიის პრეზიდენტ ნიკო მუსხელიშვილს მოახსენეს, რომ ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები წაიჩხუბნენ, ერთმანეთს ხელით შეეხნენ, იმან კიდევ იმას თავი გაარტყაო.

– სლავა ბოგუ, ნაკანეც-ტო ვ ინსტიტუტე ფიზიკი გალავოი ნაჩალი რაბოტაც! – ჩაულაპარაკია ბატონ ნიკოს.

ნიკო მუსხელიშვილის გამოსავალი

ალექსანდრე ბარამიძის ნაამბობი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ „ზემოდან“ რაღაც ისეთი უსიამოვნო დავალება მიიღო, რომ აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე განხილვისას მისადმი ყველას უარყოფითი დამოკიდებულება დაეუფლა. არადა შესრულებას „ზემოდან“ ითხოვდნენ! მაშინ

ნიკო მუსხელიშვილმა ასეთი „გამოსავალი“ ნახა: *დავაწეროთ ნიკო ბერძენიშვილს და ონ უგრობიტ ეო!*

(ცნობილი იყო, რომ ნიკო ბერძენიშვილი, როგორც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საკანცელარიო საქმიანობას ჯეროვან პატივს არ მიაგებდა).

რიდი

ცნობილია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ევგენი ხარაძე** დახვეწილი კულტურითა და კრძალვა-რიდით გამოირჩეოდა. 1986 წელს აკადემიის გამომცემლობამ დაბეჭდა წიგნი *„ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა“*. რადგან მასში საუბარი მაქვს ვახტანგის ასტრონომიულ ნაშრომზე, ბატონ ევგენის იგი სამადლობელი წარწერით მდივანთან დავუტოვე, თუმცა კარგად ვიცოდი, მას, როგორც აკადემიის პრეზიდენტსა და საგამომცემლო საბჭოს თავმჯომარეს, ამ წიგნს ისედაც მიართმევდნენ.

მეორე თუ მესამე დღე იყო, მისი მდივანი ტელეფონით მიკავშირდება და ბატონი ევგენის დავალებით მადლობას მიხდის.

რამდენისათვის გამიგზავნია ჩემი წიგნი, მაგრამ მადლობას ვინ დაეძებს, მიიღო თუ არა, ის არ უცნობებია!

რადგან მორიდებულობა ვახსენე, **გალაქტიონ ღლონტის** ნაამბობს გავიხსენებ:

აკადემიის გამომცემლობაში რედაქტორად მუშაობდა დედით ქართველი, ყოველმხრივ ქართულად აღზრდილი, მშვენიერი და ვაჟკაცური ქალი **ნელი კონდრატენკო**. როცა აბასთუმნის ობსერვატორიის შრომათა კრებულს საგამომცემლოდ ამზადებდა და მეორე საამქროში გადასასვლელად ბატონ ევგენისთან ერთად ეზოში გავიდა, ნაწვიმარი იყო. ქალბატონ ნელის ფეხი დაუცურდა და ასფალტზე გაიშხლართა...

ქალბატონი ნელი სიცილით გვიყვებოდა, ბატონ ევგენის მისთვის უთქვამს: *შეიძლება, აგაყენოთ?*

ოთხმოცი წელი — ბევრია თუ ცოტა?

მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში სამეცნიერო კონფერენცია მიმდინარეობდა. ერთ-ერთმა მომხსენებელმა ერთ მეცნიერზე თქვა, მან დიდხანს იცოცხლა — 80 წლისა გარდაიცვალაო.

დარბაზში, ჩემ წინ, ნიკო კეცხოველი იჯდა და გვერდით მყოფს გადაულაპარაკა:

— გაიგონე, დიდხანს იცოცხლა, 80 წლისა გარდაიცვალაო, მე კი 80-ს რამდენიმე წელია, გადავშორდი!

რომელი სახელი ჯობია

გივი ლომიძე ადოლფ ხუროძის ნაამბობს მოგვიყვა: სტუდენტობისას ნიკო კეცხოველმა სახელი დამიწუნა, ადოლფი რა სახელია, რა კარგი დაგვაყარა მანო. მე ვუთხარი, ჩვენთვის არც *ნიკოლოზსაც* უქნია სიკეთე-მეთქი. შემდეგ კიბეზე შემომხვდა და მეუბნება, *ნიკოლოზ ბარათაშვილზე* რას იტყვიო?!

ადოლფის დეპეშა

გივი ლომიძემ ამასთან ერთად **ადოლფ ხუროძეზე შოთა ჭანუყვაძის** ნათქვამი გაიხსენა:

გაგანია ომია, სამტრედიაში დეპეშა მოვიდა: „კვირას სამ საათზე სამტრედიაში ვიქნები. **ადოლფი**“. მაშინ ჩოხატაურში ვმუშაობდი. მთელი სამტრედიისა და ახლომახლო რაიონების ხელისუფლება და მილიცია ფეხზე დადგა. გახუნებული და შელანძღული ტანსაცმლით კი ჩამოვიდა ... ადოლფ ხუროძე. თურმე, ძმას ატყობინებდა, სადგურში დამხვდიო.

თამარობა

აკაკი ხინთიბიძემ დების, **თამარ ოქროშიძისა** და **მედიკო ოყრეშიძის**, ოჯახში, სადაც ის ზედსიძე იყო, ერთ-ერთ თამარობაზე მე და გიზო ჭელიძე წაგვიყვანა. სტუმრად ბრძანდებოდა ჩვენი მშვენება, კინოს ვარსკვლავი **თამარ ციციშვილი**. როცა თამადამ, გიზო ჭელიძემ, თამარ ციციშვილის სადღეგრძელო შესვა და ჩემი რიგი დადგა, წამოვდექი და ვთქვი:

— ქალბატონო თამარ, მე ახლა ვყოყმანობ, თქვენი სადღეგრძელო მივიღო თუ არა, თქვენ გამო ცხოვრებაში დიდი უსიმოვნება შემხვდა, კინაღამ გამლახეს. და მოვყევი ჩემი ბავშვობის ერთ ეპიზოდს:

შევიტყვეთ, რომ მეზობელ სოფელ ჯუმათში, სადაც კლუბი იყო (ჩემს სოფელს მაშინ კლუბი არ ჰქონდა), კინოფილმ „დარიკოს“ უჩვენებენ. ნაშუადღევს ჩემი სოფლის დიდი ბიჭები ჯუმათისკენ ფეხით დაიძრნენ და მე, რამდენიმე წლით უმცროსი, მათ ისე გავყევი, შინ არ დამიბარებია, რადგან ვიცოდი, პატარა ხარო, მამაჩემი არ გამიშვებდა (ჯუმათის კლუბამდე ჩვენგან, ოთხი კილომეტრი მაინც იქნება).

ჩვენ, უბილეთონი (ბილეთის ფული სად გვქონდა?!), ფილმს ღია კარებიდან ფეხის წვერებზე მდგარნი სიმწრით ვუყურებდით და, ალბათ, მეოთხედიც არ მინახავს. მაგრამ, რაც ვნახე, იმდენად აღმაფრთოვანა და გამაგულისა, შინ რომ მივედი და მამაჩემმა გალახვა დამიპირა, არ შევეპუე და იქით შევუტიე. რომ არა ელისო ბაბუა, იმ ღამეს ცემა არ ამცდებოდა.

— ქალბატონო თამარ, — ვთქვი ბოლოს, — თქვენ თქვენი პირადი მშვენიერებით, თქვენი კინოგმირების არაჩვეულებრივი სილამაზითა და ამაღლებულობით მუდამ ჩვენს აღფრთოვანებას იწვევთ, სიკეთესა და გმირობას ჩაგვაგონებთ და ყოველივე ამისათვის უღრმეს მალობას მოგახსენებთ. ღმერთმა დიდხანსა და დიდხანს გვიმყოფოს თქვენი თავი!

ქალბატონი თამარი ღიმილით მისმენდა.

გასაჭირი

იათო კოტეტიშვილი ჰყვება: **გურამ რამიშვილმა** გურიაში, თავის სოფელში, ჩასვლისას ყურადღება მიაქცია შემდეგს: ერთი დიდი და კარგად ნაშენი სახლი წინა და იმავე ზაფხულსაც უსახურაოდ იყო დატოვებული. მეზობელ გლეხს მიზეზი ჰკითხა. მან „აუხსნა“: *პატრონს „ეშტები“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას აქვს მოპარული და ერთმანეთს ვერ მიუსადაგა — პირი პირზე არ მიდისო.*

მა, ჩემი შავი სად წავიდა?

გამიგონია და, რამდენად მართალია, არ ვიცი: ბიოლოგიაში სამეცნიერო ხარისხის დაცვისას დისერტანტს ერთი „შავი ხმა“ მიუღია. როცა იგი ტრიბუნიდან ჩამოდიოდა და დამსწრე საზოგადოება მისალოცავად რიგში ჩადგა, სამეცნიერო საბჭოს ერთ–ერთი წევრი მისკენ გადასაკოცნად ხელებგაშლილი წასულა და ღიმილით ხმამაღლა უთქვამს: ის ერთი შავი მე მოგეცი, მაგრამ მაინც უნდა მოგილოცოო.

– მა, ჩემი შავი სად წავიდა? – გაოცებით წამოუძახია **ივანე ბერიტაშვილს**.

დაბნეულობა

ვინაიდან **ნიკო ბერძენიშვილი** ერთდროულად იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე–პრეზიდენტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე (აკადემიკოს-მდივანი) და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის პრეზიდენტ ნიკო მუსხელიშვილის რჩევით, ის საზოგადოებრივი მეცნიერების განყოფილების თავმჯდომარეობიდან გადადგა და ამ თანამდებობაზე **ალექსანდრე ბარამიძე** მიიწვია.

როდესაც ბატონი ნიკო ბატონ ალექსანდრეს საქმეებს აბარებდა, ტელეფონმა დარეკა. ბატონმა ალექსანდრემ გვერდიგვერდ ჩამწკრივებულ ტელეფონის აპარატებს გახედა და იკითხა, რომელი რეკავსო.

– აბა, რა ვიცი? მაგაში რომ ვერ გავერკვიე, ამიტომ მივდივარ ამ თანამდებობიდან! – იღიმება ბატონი ნიკო.

აი, პატიოსნება!

ცნობილ ირანისტსა და რუსთველოლოგს პროფესორ **იუსტინე აბულაძეს**, სანამ ძალა შესწევდა, უნივერსიტეტში სიარულისათვის პენსიაზე გასვლის შემდეგაც თავი არ დაუნებებია. დრო ბევრი ჰქონდა და წესად ექცა: შინ, ავლაბარში, ფეხით მიდიოდა, გზად მაღაზიებში შეიელიდა და გასაყიდად გამოფენილ საქონელს ათვალიერებდა.

ერთ დღეს, შინ რომ დაბრუნდა, ნახა: ხელთ ქოლგა აღარა აქვს, სადღაც დარჩენია თუ დაუკარგავს. უმალვე მო-

ბრუნდა, ბოლოდან მიჰყვა და, რომელ მაღაზიაშიაც ნამყოფი იყო, შედის და კითხულობს, *აქ ქოლგა ხომ არ დამრჩენიაო?* რამდენიმე მაღაზია რომ შეამოწმა, ერთგან ქოლგა მიართვეს: *აქ დაგრჩათ და ინებეთო.*

– უჰ, რა პატიოსანი ხალხი ყოფილხართ, სადაც კი ვიკითხე, ყველგან უარი მითხრეს! – მადლობას იხდის სიხარულით დაბნეული პროფესორი

ვინ ვის ატყუებს?

ჩემმა სურამელმა მეგობარმა **პეტრე ნოზაძემ** „მალაკნების" ბაზარზე ხანდაზმული თანასოფლელი კაცი გამაცნო. *პროფესორიაო,* – ჩემზე უთხრა, თუმცა მაშინ საკანდიდატო დისერტაციაც არ მქონდა დაცული.

– **ივანე გიგინეიშვილს** თუ იცნობ? – მკითხა მან.

– როგორ არა, ჩემი მასწავლებელია-მეთქი, – ვუპასუხე.

– ოჰ, როგორ ვატყუებდი და ფულებს ვცინცლავდი! – იღიმება ის.

– როგორ-მეთქი?

– ჩვენს სოფელში იყო ჩამოსული, ძველი ხალხისგან ძველ ამბებს იწერდა და ამაში ფულს გვიხდიდა. მე რომ ძველი ამბები შემომელია, შიგადაშიგ ახალსაც ვაპარებდი. თანაც ერთსა და იმავეს ხან წაღმა ვუყვებოდი და ხან – უკუღმა. მას ის ვერ ხვდებოდა და ფულს არ მაკლებდა! – ხითხითებს ის.

ეს რომ ივანე გიგინეიშვილს ვუამბე, მანაც ბევრი იცინა: – სურამი იმერული და ქართული დიალექტების შესაყარი ადგილია. მე ენობრივი ფორმები მაინტერესებდა და არა მათი მონაყოლის შინაარსი, – დასძინა ბოლოს ბატონმა ივანემ.

ასეთია ადამიანი

ცოტნე კიკვიძემ თქვა: დედაჩემისა და მამაჩემის საფლავს ფუნჯით რომ ვღებავდი, თავი დავიჭირე, ვღიღინებდიო!

ლაბახუა და ლორთქიფანიძე

მოსკოვში, უმაღლეს საატესტაციო კომისიაში, ანუ „ვაკში", ქართულ გვარს „ლორთქიფანიძეს" რამდენიმეჯერ გაუგებრობა გამოუწვევია. ისინი ამ გვარში, რატომღაც „ლორდ"–ს გამოყოფდნენ. ეს სიტყვა კი ზუსტი მნიშვნელობით ინგლისის პარლამენტის ზედა პალატის წევრის მემკვიდრეობითი ტიტულია, რომელსაც ადრეც და შემდეგაც მაღალი წრე ატარებდა, ხოლო მე–19 საუკუნიდან მეცნიერებისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებსაც ანიჭებდნენ.

როდესაც **იუზა (იოსებ) ლორთქიფანიძემ** სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და საბუთები აღნიშნულ დაწესებულებაში გაგზავნა, იქ მისი გვარი დეფისით გაატარეს: „ლორდ–კიპანიძე", და იუზას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, დიპლომში მისი გვარი სწორად ყოფილიყო წარმოდგენილი.

უფრო დიდი კურიოზი ადრე მომხდარა. მეცნიერებათა აკადემიის ძველი თანამშრომლები ჰყვებიან:

ერთ-ერთი ლორთქიფანიძის დისერტაციის საბუთები „ვაკში" რომ გაუგზავნიათ, დიდი ხანი გასულა და პასუხი არ გამოჩენილა. აქედან, როგორც წესი იყო, ამბავი წერილობით უკითხავთ. იქიდან შეუტყობინებიათ, ასეთი პიროვნების დისერტაცია ჩვენთან არ არისო. მიწერ-მოწერით რომ არაფერი გამოსულა, ბოლოს, მოსკოეს თვითონ დისერტანტი ჩასულა. დიდი ძებნის შემდეგ გაირკვა, რომ დისერტაცია თავის დროზე განუხილავთ და დაუმტკიცებიათ, ოღონდ გვარ „კიპანიდზე" გაუტარებიათ და აღურიცხავთ.

სხვათა შორის, ამ შემთხვევის გამო ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის კადრების განყოფილების უფროსი **აკაკი ლაბახუა** ამ ლორთქიფანიძეს მუდამ „კიპანიძეს" ეძახდა. ერთხელაც ეს „ლორდი" გაბრაზებულა და აკაკი ლაბახუასათვის უთქვამს: ჩემი გვარის გაყოფისას „კიპანიძე" მიიღება და იგი არაფერ ცუდს არ ნიშნავს, თუ შენს გვარს გაყოფ, რაც დაგრჩება ხელში, იმასაც დაინახავო.

დიმიტრი ქუმსიშვილის დისერტაცია

რამდენადმე მსგავსი თავგადასავალი **დიმიტრი ქუმსიშვილის** სადოქტორო დისერტაციას გადახდა. იგი რუსთველოლოგიურ საკითხს ეხებოდა, რომელიც შემდეგ, 1968 წელს,

ცალკე წიგნად გამოვიდა სათაურით: *„რუსთაველის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი“*. ამ დისერტაციის დაცვისას დიმიტრის დიდი ბატალიების გადატანა მოუხდა. პირველ დაცვაზე, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა და ორ დღეს მიმდინარეობდა, მან საჭირო ხმები ვერ მოაგროვა. მახსოვს, ერთ-ერთ ოპონენტს ის გაცეცხლებული ეუბნებოდა: თუ აღნიშნულ საკითხზე დღეს ყურადღებას ვამახვილებ, ამას „ვაკისთვის“ ვაკეთებო. ამ სიტყვებზე ჩემთან ახლოს მჯდომმა **არლი თაყაიშვილმა** ჩაილაპარაკა: მაგას „ვაკში“ გაგზავნა არ მოუწევს, ვაკეში დარჩებაო.

ერთი წლის თუ ცოტა მეტი ხნის შემდეგ, როცა ვნებები დაცხრა და ნაშრომი ცალკე წიგნად დაიბეჭდა, დაცვა ხელმეორედ შედგა და ამჯერად წარმატებით. და, აი, როცა ამდენ ბრძოლაგამოვლილი დიმიტრი დისერტაციასა და ზედ დართულ საბუთებს „ვაკში" აგზავნის და, კიდევ არ მიმტრონო, პასუხს შიშით ელის, ერთ დღეს ყოველგვე ამას ფოსტით უკან ღებულობს. ვიღაც ქართველი წერდა: ესენი სადღაც, ლუდხანასა თუ „ზაკუსოჩნაიაში", ვიპოვე და გიგზავნიო.

მერმე გაირკვა, „ვაკს" ეს მასალები ვიღაც თავისი „შავი რეცენზენტისათვის“ გადაუცია. იგი ლოთი ყოფილა, დასალევად შესულა, დამთვრალა, დიმიტრის ნალოლიავები ნაშრომი იქ დარჩენია, თვითონ კი მილიციას გამოსაფხიზლებელში წაუყვანია.

კვალს ვერ მიაგნეს

ეს ამბავი აკადემიკოს **გიორგი წერეთლის** მონათხრობია, მაგრამ ვერ გაიხსენა, იგი საქართველოდან წასულ დისერტაციას შეემთხვა თუ სხვა რესპუბლიკიდან გაგზავნილს.

„ვაკში" დისერტაციის ორივე ცალი დაიკარგა. ნახეს, შემოსვლის დავთარში გატარებულია, მაგრამ, ვის გადაეცა, არ აღრიცხულა და ვერც ვერავინ გაიხსენა. ვინ არ ეძებდა მას, დაბალი ჩინოსნებიდან დაწყებული, უმაღლესი მოხელეებით დამთავრებული, მათ შორის თვით დისერტანტიც, ოღონდ კვალს კი ვერა და ვერ მიაგნეს.

გავიდა ორი თუ სამი წელი და დისერტაცია იპოვეს. თურმე, იგი მბეჭდავ-მემანქანეს გაზეთში გახვეული თავის სკამზე ასამაღლებლად დაედო, ზევიდან შინ გამოკერილი

რბილი, დაბამბული ნაჭერი გადაეფარებინა და ამ ხნის განმავლობაში ზედ არხეინად იჯდა და ასე უკაკუნებდა. იმ დღეს სკამს ფეხი მორყეოდა თუ სხვა რაღაც დამართოდა. იგი გადმოებრუნებინათ და დიდი რუდუნებით დაწერილი, გადაბეჭდილი, აკინძული, გულის ფანცქალით დაცული და გაგზავნილი ნაშრომი ასე გამოჩენილა!

აფრიკატიზაცია

ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლის **ბელა (იზაბელა) ქობალავას** საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო *„აფრიკატიზაციისა და დეაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში“*.

„აფრიკატები“ და „აფრიკატიზაცია“ ენათმეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული, ჩვეულებრივი ტერმინებია. „აფრიკატი“ რთულ ბგერასა ნიშნავს, „აფრიკატიზაცია“ — რთული ბგერის მიღებას (ძველი ქართული **„ათ–სამ–მეტი“**-დან მივიღეთ **„ათცამეტი“**, აქედან კიდევ — **„ცამეტი“**. **„ც“** აფრიკატია).

დისერტაცია და სათანადო საბუთები მოსკოვში, „ვაკში“, დროულად გაიგზავნა. გადის წელზე მეტი და მოსკოვიდან არაფერი ისმის. არადა, წესის თანახმად, ამ ხნის განმავლობაში ან დამტკიცება უნდა მოსულიყო, ან — უარი.

მიზეზით დაინტერესდა ინსტიტუტის სწავლული მდივანი ვლადიმერ ახვლედიანი და „ვაკს“ მიაკითხა. აქ მის თვალწინ შესაბამის განყოფილებაში ბევრი ეძებეს, მაგრამ დისერტაციის კვალს ვერ მიაგნეს. ის იყო, ერთხმად ირწმუნეს, ალბათ, გზაში დაიკარგაო, ერთმა გონიერება გამოიჩინა და თქუა: მოდი, სხვა განყოფილებაში ვიკითხოთო.

აღმოჩნდა: „ვაკის“ გამანაწილებელი დისერტაციას ზერელედ მოპყრობია, დარგისა და შიფრისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ჭკუაზე „აფრაკად“ მყოფს სათაურში „აფრიკა“ მოსჩვენებია, „აფრიკატიზაცია“ აფრიკის სახელმწიფოებისათვის რაღაც დამახასიათებელ პოლიტიკურ მოვლენად მიუჩნევია და ავტორის მიერ ნალოლიავები ნაშრომი ისტორიის განყოფილებაში გაუმწესებია. ამ განყოფილებაში კი დისერტაციას ვერაფერი გაუგეს და, უვიცობა

რომ არ გამოემჟღავნებინათ, უკან დაბრუნების ნაცვლად, იგი იქვე მიუგდიათ.

ჰა, რავარია, **უმაღლესი შემფასებელი** დაწესებულებაც ასეთი უნდა, არა?!

ამის შემდეგ ეს „უმაღლესი საატესტაციო კომისია“ შეფუცხუნებულა, დისერტაცია სამ კვირაში განუხილავს და დაუმტკიცებია.

ფარგალეტი

ეს ამბავი **გუგული (ვახტანგ) ბააკაშვილმა** მიამბო და, მგონი, იმ კამათის ანარეკლია, როცა ჩვენში დავის საგანი გახლდათ – *ფიზიკოსები თუ ლირიკოსები?*

მიმდინარეობს ტექნიკის დარგში საკანდიდატო დისერტაციის დაცვა. ის იყო, დისერტანტმა შესავალი სიტყვა დაამთავრა, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ჯერ საბჭოს წევრებს მიმართა: *შესავალი სიტყვის გამო შეკითხვა ხომ არ გაქვთო,*

როცა მსურველი არ აღმოჩნდა, იგივე კითხვა დამსწრე საზოგადოებას გაუმეორა. მცირე დაყოვნების შემდეგ არც ისე ახალგაზრდა კაცი წამოდგა და დისერტანტს ეკითხება: *ფარგალეტი თუ გაქვს გამოყენებულიო.*

– როგორც მოგახსენეთ, – ამბობს დისერტანტი, – წარმოდგენილი დისერტაცია ჩემი დიდი მონოგრაფიის ერთი ნაწილია, მასზე მუშაობის გაგრძელებას ვაპირებ და ფარგალეტის გამოყენებაც იმ დროისათვის მაქვს განზრახული.

სიტყვა პირველ ოპონენტს მიეცა. რეცენზიის დასასრულს ბოლო შენიშვნად მან თქვა: *აქ უკვე იყო ლაპარაკი, რომ დისერტანტს ფარგალეტის გამოყენება ვერ მოუსწრია და იგი სამომავლოდ აქვს გადადებული.*

სიტყვის ბოლოს იგივე შენიშვნა გაიმეორა მეორე ოპონენტმაც: ალბათ, გაგეცინებათ, მაგრამ მიწერია და უნდა წავიკითხო: *„სამწუხაროდ, დისერტანტს ჯერჯერობით ფარგალეტი არ გამოუყენებია“.*

უცებ საბჭოს თავმჯდომარე ამ ოპონენტს ეკითხება, რა არის ფარგალეტი?

– მე, მოგეხსენებათ, ოპონენტად მოსაზღვრე დარგიდან ვარ გამოყოფილი და, გასაგებია, ამ საკითხზე ამომწურავი

პასუხის გაცემა არ შემიძლია. – თავი დაიძვრინა მეორე ოპონენტმა და ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

საბჭოს თავმჯდომარე იმავე კითხვით პირველ ოპონენტს მიმართავს.

–ეს საკითხი ძალიან სპეციფიკურია, მას საგანგებო ჩაღრმავება სჭირდება, რაც დისერტანტის მოვალეობა იყო და არა ჩემი, ოპონენტისა! – ცოტა არ იყოს, მკაცრი ტონით წარმოთქვა პირველმა ოპონენტმა და მოწყენტით დაჯდა.

საბჭოს თავმჯდომარე ახლა ტრიბუნაზე მდგომ დისერტანტს მიუბრუნდა.

– მე უკვე რამდენიმეჯერ მომიხდა იმის განცხადება, რომ საკვალიფიკაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილია და, როცა მას მთლიანად განეიხილავ, ფარგალეტის შედეგებზეც მაშინ მოგახსენებთ-მეთქი. ხლა კი დილეტანტობა არ მინდა გამომივიდეს და, ნება მომეცით, პასუხისაგან თავი შევიკავო. – ღირსების შეგრძნებით ამბობს დისერტანტი, მაგრამ, ცოტა რომ შემცბარია, აშკარად ეტყობა.

დაბნეულმა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ დარბაზს საცოდავად მოავლო თვალი და სასოწარკვეთილი ხმით წარმოთქვა:

– იქნებ, კითხვის დამსმელი დაგვეხმაროს!

– ბატონებო, დიდი ბოდიში უნდა მოგიხადოთ და პატიება გთხოვოთ! – ფეხზე წამოდგა შემკითხველი და მოკრძალებით განაგრძო: – მე ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტი ვარ. აქ შემთხვევით მოვხვდი. გისმინეთ, მაგრამ, ვერაფერი რომ ვერ გავიგე, აგერ გაზეთში დაბეჭდილი „ტელეგრაფ" სიტყვა შევაბრუნე და „ფარგალეტ"–ი მივიღე ... ძალიან ვწუხვარ, რომ ასე უხეში ხუმრობა გამომივიდა. არ მეგონა, თუ ამგვარ აყიოტაჟს გამოვიწვევდი...

მტკიცებას ვერ დავიწყებ, რომ ამ განმარტებით რომელიმე მხარემ შვებით ამოისუნთქა!

კანდიდატიც არა?!

დისერტაციობანას ბუმის გამო **თინა კოპლატაძემ** თქვა: *ჩემს საფლაის ქვას დააწერეთ: არაფერი იყო, მეცნიერებათა კანდიდატიც კი!*

განვითარებული თუ გამამაძაღლებული?

1977 წელს გამოვიდა პროფესორ **ივანე ქობალიას** წიგნი *„განვითარებული სოციალისტური საზოგადოება“*. იმხანად გზაში თავისი კბილა თანასოფლელი გლეხი შემოხვდა და ეუბნება:

– თქვენი წიგნი შევიძინე, დიდი ინტერესით წავიკითხე, ძალიან მომეწონა, მაგრამ სათაურის გამო უკმაყოფილო დავრჩი.

– რატომ? – ეკითხება ნასიამოვნები, მაგრამ ცოტათი შემცბარი პროფესორი.

– ალბათ, სათაურად ავჯობებდა *„გამამაძაღლებული სოციალისტური საზოგადოება“*.

გურამ ქართველიშვილის დისერტაციის ამბები

ჩემს სკოლელ მეგობარ **გურამ ქართველიშვილს** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრაზე დაუმტკიცეს საკანდიდატო დისერტაციის თემა: *„პროფკავშირების როლი განვითარებული სოციალიზმის დროს“* (ხელმძღვანელი – პროფესორი **ივანე ქობალია**). გურამმა დისერტაცია დაამთავრა და კათედრაზე წარადგინა, მაგრამ გადის თვეები და კათედრის გამგე **ლეო გორგილაძე** მას მსვლელობას არ აძლევს, ამავე დროს ნაშრომზე არც ავს ამბობს, არც – კარგს.

ამ ამბავს რომ უყურებდა, ამ კათედრაზე მომუშავე **რობერტ პეტრიაშვილი** (გურამ პეტრიაშვილის ძმა), ისე რომ ბატონ ლეოს გაეგონა, თანამშრომლებში ამბობს:

– ოო, რანი არიან ეს გურულები: აქედან მივდივართ, უცებ შავი ვოლგა ჩერდება, იქიდან გადმოდის **დიმიტრი ქართველიშვილი,** გადაკოცნა გურამი, ხელი მოხვია, მანქანაში ჩაისვა და წაიყვანა.

დიმიტრი ქართველიშვილი მაშინ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

სულ მალე გურამის დისერტაციას მწვანე შუქი მიეცა.

¤

სოციოლოგიის კათედრაზე გურამს ჰყავდა მეორე გულშემატკივარიც – **ვაჟა გოროზია,** რომელმაც იმხანად მოსკოვში საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო, გურამის ავტორეფერატები თან წაიღო და სხვადასხვა ქვეყნიდან და ქალაქიდან ჩა-

მოსულ კონფერენციის ახალგაცნობილ მონაწილეებს დაურიგა და სთხოვა, ე. წ. *გამოხმაურება* გამოეგზავნათ. მათ დავალება პირნათლად შეასრულეს. დაცვის დროს, გაგიხარია, იყო „ოტზივების“ ცვენა უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ოდესის, ხარკოვისა და სხვათა სამეცნიერო კათედრებიდან და საბჭოებიდან. ამ ამბავმა „დაცვაზე“ მყოფი დამსწრეების დიდი გაკვირვება გამოიწვია, არ ვიცოდით და, თურმე, რა ყოფილა ეს დისერტაციაო! გაოგნებას ვერ ფარავდა თავად ლეო გორგილაძეც.

¤

ასე რომ, გურამის დისერტაციის დაცვამ წარმატებით ჩაიარა. რადგან მაშინ ასეთი მოთხოვნა იყო, ერთმა ოპონენტმა აღნიშნა: *ეს სადისერტაციო ნაშრომი სახელმწიფოს ამდენ და ამდენ ეკონომიას მისცემსო.*

„დესერტაციაც“ უმაღლეს დონეზე ჩატარდა: გურიიდან გურამს ცალკე დედამ, ცალკე დეიდამ და ცალკე სიდედრ-სიმამრმა დიდი და შესანიშნავი პურ-მარილი ჩამოუტანეს. თამადა მე გახლდით და სადღეგრძელოში ვთქვი:

— გურამის დისერტაციის მიერ სახელმწიფოსთვის ეკონომიის მიცემაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ, მან რომ სამი ოჯახი გააჩანაგა, ამ სუფრის მიხედვით თვალნათლივ ჩანს-მეთქი.

სხვათა შორის, ღვინის დიდი მსმელი არც მაშინ ვიყავი. სადღეგრძელოს რომ წარმოვთქვამდი, სასმისს ოდნავ მოვსვამდი და დანარჩენს იქვე მდგარ ჭიქაში გადავასხამდი. ერთხანს მიყურა **გრანი ქავთარიამ** და, რომ შექეიფიანდა, ხმამაღლა მისაყვედურა: *რა არის ეს, ღვინოს ჭიქიდან ჭიქაში ასხამ და არ სვამო.*

მეც ხმამაღლა და რიხით ვუპასუხე: *არ იცი, რომ ღვინოს გადაღება უხდება-მეთქი?!*

¤

გავიდა ხანი. დაემხო საბჭოთა ხელისუფლება, საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ქვეყანა მოიცვა შიმშილმა, ქურდობამ და ყაჩაღობამ.

ძიმითში გურამის დედას, მარტოხელა მოხუც ქალს, რამდენიმე უნამუსო მეზობელმა შინ არაფერი შეარჩინა, ჰპარავენ ყველაფერს — გოჭს, ქათამს, კვერცხს, სიმინდს, ლობიოს, გამომცხვარ მჭადსა და

გაკეთებულ მხალსაც კი. ამ დროს ჩვენი საერთო ძიმითელი მეგობარი **მიხეილ მურვანიძე** მეუბნება:

– გურამმა სადოქტორო დისერტაციაზე დაიწყო მუშაობა.

– მართლა, რა თემაზე?

– *„დედაჩემის ბედი განუვითარებელი მეზობლების გარემოცვაში“*.

მიშამ გაათამაშა გურამის საკანდიდატო დისერტაციის სათაური: *„პროფკავშირების როლი განვითარებული სოციალიზმის დროს“*.

ჩოლოყაშვილი სეკვესტრში

კოტე ჩოლოყაშვილი ყოფილ ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექციებს კითხულობდა. ერთ დღეს ლაბორანტმა გოგონამ აცნობა, ამ სემესტრიდან საათები ჩამოგაჭრესო.

– რა ვქნა, ჩოლოყაშვილებს ნახევარი კახეთი გვეკუთვნოდა, ის ჩამოგვაჭრეს, წაგვართვეს და გავუძელით, როგორმე ამასაც ავიტანო, – იქით გაამხნევა ბატონმა კოტემ შეწუხებული ამბის მომტანი.

თამადა

გიორგი ციციშვილის სადოქტორო დისერტაცია მაქსიმ გორკისა და მისი შემოქმედების ქართველ საზოგადოებასთან ურთიერთობას ეხებოდა. დაცვის შემდეგ გამართულ ბანკეტზე თამადად **კოტე ჩოლოყაშვილი** დაასახელეს. ტანმაღალი და ახოვანი ბატონი კოტე ფეხზე წამოდგა და, რომ ელიან გაიპატიჟებსო, განაცხადა: *დიახაც, ამ სუფრაზე თამადად მე უნდა ვიყო, რადგან ციციშვილივით თავადის გვარი მაქვს და მაქსიმ გორკივით მაღალი ვარო!*

რატომ ლენინგრადი და არა თბილისი?

შამშე მეგრელიძემ სადოქტორო დისერტაცია სანკტ-პეტერბურგში, ანუ, როგორც მაშინ ერქვა, ლენინგრადში, დაიცვა. პაექრობისას საბჭოს ერთ-ერთი წევრი აუხირდა: *რატომ ლენინგრადში იცავ და არა თბილისში?*

– ომის დროს ლენინგრადის ფრონტზე რომ ვიბრძოდი, მაშინ არ გიკითხავთ, აქ რა გინდა, ლენინგრადს რატომ იცავო?! – იკვირვებს დისერტანტი.

დამპალი კაპიტალიზმის სუნი

იმ დროს, როცა ჩვენში განვითარებულ სოციალიზმზე საუბარი მოდაში იყო, **შამშე მეგრელიძე** ტურისტულ თუ რომელიღაც ჯგუფთან ერთად სტოკჰოლმში ჩაფრინდა, ტრაპზე ჩერდება და ჰაერს გამომწვევად ყნოსავს.

– რას ყნოსავ? – ეკითხება თანაჯგუფელი უკრაინელი.

– რაო, არა გცემთ დამპალი კაპიტალიზმის სუნი? – „ზემლიაკს“ პასუხს უბრუნებს შამშე.

ახალი კოსტიუმი

მეორე მსოფლიო ომის დროს **შოთა ძიძიგურმა** კოსტიუმი შეიკერა. რადგან მაშინ ტანსაცმლისა და ცეხსაცმლის გამოცვლა იშვიათად ხდებოდა, ეს ამბავი **ვუკოლ ბერიძეს** შინ დიდ ამბად მიუტანია. გავიდა რამდენიმე კვირა თუ თვე და შოთა ბატონ ვუკოლის ოჯახში მივიდა. ვუკოლის მეუღლე ქალბატონი **ლიზა (ელისაბედი)** სტუმარს საზეიმო შეძახილით მიეგებაა:

– შოთა, მომილოცავს ახალი კოსტიუმი! – შემდეგ შოთას ახედ–დახედა და დააყოლა:

– თუმცა ამ ტანსაცმლის პატრონს ახალი კი უნდა გეყიდა!

არადა, ბატონ შოთას სწორედ ის ახალშეძენილი კოსტიუმი სცმია!

დასასვენებელი შარვალი

წინა საუკუნის 50-იან წლებში **ქეთევან ლომთათიძეს** გურიიდან ბიძა და ბიცოლა ჩამოუვიდნენ. აქ ბიცოლამ ბალტიისპირეთში გამოშვებული შარვლის ტოტებით დასაკიდი ნახა, ძალიან მოეწონა და ქმარს უთხრა: *ნახე, რა კარგია, ჩვენც ვიყიდოთო.*

– ნუ გადამრიე, ქალო, რად მინდა შარვლის დასაკიდი, სად მაქვს მე დასასვენებელი შარვალი?! – მიუგო ქმარმა.

ალექსი ჭინჭარაულისა და იათო კოტეტიშვილის გაკაფიება

იათო (იათამზე) კოტეტიშვილი ადრე სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე ცხოვრობდა. როცა იქვე, ახლოს, „ცეკას“ ახალი მრავალსართულიანი შენობა წამოჭიმეს და იქაურობა გაამშვენიერეს, იმ სახლის ფასადიც მოაპირკეთეს, სადაც იათო ცხოვრობდა. ამასთან დაკავშირებით **ალექსი ჭინჭარაულმა** თავის მოკაფიე იათოს დაუწერა:

„იათოს აპირკეთებენ,
ფასადს ავლებენ გრანიტსა;
ზედ დააწერენ რუსულად:
ტუტ შინაბერა ხრანიტსა“.

ეს რომ **სოსო ჩხუბიანაშვილმა** წაიკითხა, „აღშფოთდა“, ასეთ მშვენიერ ქალზე ამისი თქმა როგორ შეიძლებაო, და, თავის, მხრივ იათოს მიუძღვნა:

„როცა მაისის ვარდები
შენს კარ-მიდამოს მიათოვს,
იქ დაიწეროს სახელი:
კოტეტიშვილი იათო!“

ალექსიმ კი თავისი ლექსი ასე გააგრძელა:

„იაზიჩესკიე ბოგი,
იათამზე ხრანიტე!
ქალი იყავი საგრანტე,
ახლა გახთი საგრანიტე“

იათო ალექსის ვალში არ დარჩა და უპასუხა:

„იაზიჩესკიე ბოგი,

იათამზე ხრანიტე,
ვ ეტოი მაგილუ
ლექსო პახარანიტე!“

არტელი და ატელიე

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღებ წერით გამოცდაზე **თამაზ ფოფხაძემ** საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის (მზექალა შანიძის) მოადგილე **ალექსი ჭინჭარაულს**, რომელსაც „ორიანისა“ და „ოთხიანის“ დამოწმება ევალებოდა, აბიტურიენტის ნაწერი *„საკოლმეურნეო ცხოვრების ასახვა კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებაში“* წარუდგინა, — *ნახე, იქნებ „ოთხიანი“ გამოვუყვანოთო*. ალექსიმ ნაწერი „სამიანზე“ შეაფასა და თამაზს ლექსით დაუბრუნა:

„თამაზ, შენ თუ ამ ნაწერში
ოთხიანი ხატელიე,
ამ პინგვინმა გაარჩიოს
არტელი და ატელიე!“

„პინგვინს“ უნიჭო აბიტურიენტებს ვეძახდით.

მეია და ლალის დისერტაციები

მეია (სალომე) ყუბანეიშვილმა და **ლალი ავალიანმა** საკანდიდატო დისერტაციები ერთ დღეს დაიცვეს. მეიას თემა იყო *„აკაკი წერეთლის პოემები“*. მან ოცდაათი დადებითი ხმა მიიღო და ორი — უარყოფითი. ამის გამო ალექსი ჭინჭარაულმა მას ასეთი „ლექსპრომტი“ გაუგზავნა:

„არ მიაჩნია აკაკის, სულმნათს,
დისერტანტის დანაშაულად,
რომ მისი შრომა შეაფასეს
ოცდაათ თუმნად და ორ შა(ვ)ურად!“

ლალის თემა იყო *„პაოლო იაშვილის შემოქმედება“*. პირველმა ოფიციალურმა ოპონენტმა პროფესორმა **ვიოლეტა ცის-**

კარიშვილმა მას ორიოდე შენიშვნა მისცა, მაშინ როდესაც მეორე ოპონენტმა, იმხანად დოცენტმა **რევაზ მიშველაძემ**, იგი შენიშვნებით „დააბრჩო“. ლალის „დესერტაცია“ არა ჰქონია. ყოველივე ეს ალექსი ჭინჭარაულმა ლალისადმი მიძღვნილი „ლექსპრომტით“ ასე გამოხატა:

„პროფესორს ერთობ არ უთქვამს ნაკლი,
მაგრამ დოცენტი გამოდგა ნაგლი...
ვატყობ, რომ რეზო ცუდად დაშვრება,
ლალის ამაოდ ებეჭ-მაჭრება“.

„მძიმე“ სამსახური

დრამატურგი **ვასო (ვასილ) პატარაია** სოხუმში კომპოზიტორ **გუგული (დავით) თორაძეს** შეხვდა, რომელსაც იქ ვიღაც უცხოელი ხელოვნების მოღვაწე, ხანშიშესული მანდილოსანი, საქმეზე ჩამოეყვანა. მათ თარჯიმნად ახალგაზრდა, მომხიბვლელი მოსკოველი რუსი ქალი ახლდათ. ბატონ გუგულის ქალები რესტორანში მიჰყავდა, ბატონი ვასოც მიიპატიჟა და თამადადაც დააყენა. კომედიებისა და სკეტჩების ავტორმა თამადამ სტუმრები რომ ქართული სუფრის შნოსა და ლაზათს ჯეროვნად აზიარა, აღფრთოვანებულმა უცხოელმა ქალბატონმა იგი მხურვალედ გადაკოცნა და დიდი მადლობა გადაუხადა.

— ნება მიბოძეთ, — მიუბრუნდა ბატონი ვასო თარჯიმანს, — თუ აქამდე ჩვენ გვემსახურებოდით, ახლა თქვენ მოგემსახუროთ და უცხოელის ეს კოცნა რუსულად გითარგმნოთ! — და მარწყვივით ქალს ორივე ლოყაზე ხმაურიანად აკოცა.

რიგი

ვასო პატარაიას შვილიშვილს, **გივი მიქაძისა** და **ლალის** ქალიშვილ **თამრიკოს** პატარაიების იუმორის ნიჭი გამოჰყვა. როცა თამრიკოს კლასელი ამხანაგი გათხოვდა, **გივი ლომიძემ** თამრიკოს უთხრა: *ახლა შენი გათხოვების რიგი დადგაო.*

— არა, გივი ბიძია, — იუარა თამრიკომ, — მე დიდი სამამულო ომის მონაწილის შვილი ვარ და გათხოვებაც ურიგოდ მეკუთვნის!

საბჭოთა პერიოდში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს რიგში დგომა არ ევალებოდათ.

„მოლოკო“

მძიმე 1990-იანი წლებია. ჩვენმა მეზობელმა **გივი მიქაძემ** თავის პატარა შვილიშვილ **ნიკა ისაკაძეს** შედედებული რძის კონსერვი *„მოლოკო“* მისცა. ბავშვმა უცებ გამოსანსლა იგი და ბაბუას მოსთხოვა: *კიდევ მინდაო*. გივიმ ნიკას კონსერვზე დაახედა და უთხრა:

– იცი, აქ რუსულად რა აწერია – *„მოლოკო“*! ჰოდა, იგი უნდა მ ო ლ ო კ ო, შენ კი შეჭამე!

მატარებლის ხმის მიხედვით მწერლების ჩამონათვალი

გასული საუკუნის 60-იან წლებში ლიტერატორთა წრეში გამიგონია: მატარებელი ფეხს რომ აიდგამს, ისმის: **შშ-აა-ნშშ-ი-ა-შშვ-ლი, შშ-აა-ნშშ-ი- ა-შშვ-ლი, შშ-აა-ნშშ-ი- ა-შშვ-ლი!**

სიჩქარეს რომ მოუმატებს: **მაშაშვილი-მოსაშვილი, მაშაშვილი-მოსაშვილი, მაშაშვილი-მოსაშვილი!**

ხიდზე რომ გადადის: **დადიანი-რადიანი, დადიანი-რადიანი, დადიანი-რადიანი!**

სადგურში რომ შევა, მიაყვირებს: **ეე-უუ-ლიი!**

ნოდარ დუმბაძის რიგითი ჩალაპარაკება

როლანდ ბერიძის ნაამბობი:

ხელოვნების სახლში თეიმურაზ დოიაშვილის ახალგამოსული წიგნის *„ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების“* განხილვა მიმდინარეობდა. ხალხით გაჭედილი დარბაზის ბოლო რიგში ვიჯექი. შემოვიდა **ნოდარ დუმბაძე**, ჩემს გვერდით თავისუფალი სკამი შენიშნა, წამოვიდა და დაჯდა. ამ დროს ტრიბუნაზე გურამ პეტრიაშვილი იდგა და რომელიღაც წიგნზე ლაპარაკობდა.

– წიგნი გასაგები ენით უნდა იყოს დაწერილი. – ამბობდა ის, – ამას წინათ ფილოსოფიური ხასიათის ერთ ნაშრომს ბევრი ვუტრიალე, მაგრამ ვერაფერი გავუგე და ჩემს ძმას ვაჩუქე.

– ძმას რაღას ერჩოდი?! – ჩაილაპარაკა ნოდარმა.

ჩემს ირგვლივ ფრუტუნი შეიქმნა. – რა თქვა? რა თქვა? – ყველამ თავი უკან მოაბრუნა და კითხვამ მთელ დარბაზს გადაუარა. სხდომის პრეზიდიუმშიაც კისერი წაიგრძელეს:

– რაო, რაო? – კითხულობდნენ ისინიც.

ამომრჩევლები ნოდარ დუმბაძესთან

შალვა გზობავას მონათხრობი:

ჩემი ძმა, გურამი, ლეჩხუმში, ჩვენს მშობლიურ სოფელ ორბელში, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. სოფლისათვის საბარგო მანქანის შეძენა უნდოდა და, რადგან უმაღლეს საბჭოში ჩვენი დეპუტატი ნოდარ დუმბაძე გახლდათ, გადაწყვიტა, შუამდგომლობა მისთვის ეთხოვა. მაშინ ის ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი იყო და რედაქციაში მივაკითხეთ. ბატონმა ნოდარმა თბილად მიგვიღო, მოგვისმინა და მინისტრთა საბჭოში დარეკა:

– ახლა ჩემთან ჩემი ამომრჩევლები სხედან. მე ლეჩხუმის დეპუტატი ვარ. **ჯანსულ ჩარკვიანი** კი მეუბნება, მთავრობას **ლანჩხუთი** და **ლეჩხუმი** ერთმანეთში აერია, თორემ შენ ლანჩხუთის დეპუტფტი უნდა იყო, ლეჩხუმიდან მე ვარ და იქაური დეპუტატობა მე მეკუთვნისო, მაგრამ ლეჩხუმელებმა ნამდვილად მე ამირჩიეს. ჰოდა... ბატონმა ნოდარმა მოსაუბრეს ჩვენი სათხოვარიც ამგვარივე ღიმილით გადასცა.

მისმა შუამდგომლობამ გაჭრა. ღამდენიმე თვის შემდეგ სოფელმა ორბელმა ახალი საბარგო მანქანა შეიძინა.

იოლი გამოსავალი

ზაურ ბოლქვაძემ ნოდარ გრიგალაშვილსა და მე გვიამბო:

–ჯანსულ ჩარკვიანი ავად იყო და საავადმყოფოში იწვა. მე და გურამ ფანჯიკიძემ მისი ნახვა გადავწყვიტეთ. შევთანხმდით, ხვალ ამა და ამ საათზე დაგირეკავ და წავიდეთო. მოხდა ისე, რომ იმ დღეს რაღაც გადაუდებელი საქმე გამომიჩნდა და წასვლა მეორე დღისთვის გადავდეთ. დათქმულ საათზე გურამმა კვლავ დამირეკა,

მაგრამ ისევ დაკავებული აღმოვჩნდი და ნახვა მესამე დღისთვის გადავადებინე. მესამე დღესაც რომ ვერ მივდიოდი, გურამს ვუთხარი: ახლა შენ მარტო წადი და მე შემდეგ პირდაპირ სასაფლაოზე, დაკრძალვაზე, მოვალ-მეთქი.

ამაზე მაშინ გულიანად ვიცინეთ. მაგრამ იმ ზაფხულს ჯერ ზაური გარდაიცვალა, მერე — გურამი. ამ ხუმრობამაც ის სილაღე, იუმორისტული ძალა და პეწი დაკარგა, რაც მაშინ ჰქონდა.

რეზო ინანიშვილი და სურათები

1959 წლიდან, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, კარგა ხანს თებერვალ-მარტში სამხედრო შეკრებებზე დავყავდით.

სხვათა შორის, ამ შეკრებებზე თითქმის ყოველთვის გადამდგარი ოფიცრები ატომური საფრთხის წინააღმდეგ თავდაცვას „გვასწავლიდნენ“. ერთ-ერთ მეცადინეობაზე, როდესაც რუსმა მეთაურმა ჩამოგვითვალა საშუალებანი, რაც ატომური ბომბის სროლის დროს უნდა გამოგვეყენებინა, დაგვისახელა ოყნა. ერთმა, არ ვიცი, ხუმრობით თუ სერიოზულად იკითხა: *ამ დროს ოყნა სად უნდა ვიშოვოთო.* მეთაურმა ჩაიცინა და ჩაილაპარაკა: *ამ დროს ოყნას კი არა, იმ ადგილს ვერ იშოვი, სადაც ოყნა უნდა გაიკეთოო.*

ამ შეკრებებზე ჩვენთან ერთად იყო რევაზ ინანიშვილი, რომელიც მაშინ კინოსტუდიაში მუშაობდა და ჩიოდა: სამსახურში იმდენად დატვირთული ვარ, მწერლობისთვის დრო და ენერგია აღარ მრჩებაო. მაშინ რეზოს თან ჰქონდა ვიღაც-ვიღაცის ფოტოსურათები. აგვიხსნა: ამათ, რაც კლიენტებს აღარ მიაქვთ, ფოტოგრაფებისაგან იაფად ვყიდულობ და ტიპაჟების შესაქმნელად ვიყენებო.

რედაქტორის პრაქტიკულობა

გურამ ფანჯიკიძემ, როცა ალმანახი „განთიადი“ დააარსა, ახლად ჩამოყალიბებულ სარედაქციო კოლეგიის წევრებს სთხოვა: ახალგაზრდა მდივანი ქალი მომიძებნეთო და იქვე დააყოლა: იყოს საქმიანი და არავითარ შემთხვევაში ლამაზი!

პატარა მარიამის სიზუსტე

როცა **დავით კოტორაშვილის** ვაჟი **გიორგი** საკანდიდატო დისერტაციას იცავდა, დისერტანტს, ექვსი წლის მარიამის მამას, წინა ღღით ვაჟი, **იოანე**, შეეძინა. სადისერტაციო ბანკეტისათვის მორბენალ და სამშობიაროდან შინ დაბრუნებულ გაწამაწიაში მყოფ დავითს შინ შესვლისას ტელეფონის ზარი შეეგება. შვილიშვილი პატარა **მარიამი** რეკავდა და პაპას „ატყობინებდა“, ძამიკო შემეძინაო. დავითი მოეწყვარულა შვილიშვილს და ჰკითხა, საიდან რეკავო. როცა მოისმინა, ბებოსთან ვარო, უთხრა: *მიულოცე ბებოს ძამიკოს დაბადებაო.*

— არა, ბებომ კი არა, ძამიკო დედიკომ გამოაჩინა! — გაკვირვებული „უხსნის“ პაპას მარიამი.

უცნაური ინტუიცია

„გარეჯობაზე“ ვარ. ეს მეორე „გარეჯობა“ ტარდება და ზღვა ხალხი ესწრება, — ღრმა ფლატეს პირას ხალხი დაახლოებით ხუთხუთი მეტრის სიგანის ნაკადებად ურთიერთსაპირისპიროდ მიედინმოედინება. დავინახე, ჩემ წინ ხუთი-ექვსი წლის კოჭებამდე გრძელკაბიანი გოგონა მოდის. დავიხარე, მივუალერსე და გვარი ვკითხე. გავცოცდი, როცა მოულოდნელად მომიგო, **დარჩიაო**.

მამა ახლდა, — მომაღლო, თხელი აღნაგობის, წვერულვაშიანი ახალგაზრდა კაცი. მხატვარი ვარ, წარმოშობით ოზურგეთიდანო, მითხრა.

მართლაც საოცარია: მშობლებს იქ უამრავი ბავშვი დაჰყვებოდა და არავის გამოვლაპარაკებივარ, რაღა ეს ერთადერთი და ისიც ჩემი გვარისა „შევარჩიე“?! ეს გოგონა, **თეა დარჩია**, მოგვიანებით სუხიშვილების ქორეოგრაფიული ანსამბლის ბრწყინვალე პრიმა მოცეკვავე გახლდათ.

ნანატრი მომსახურება

დიმიტრი დარჩიას ნაამბობი:

ვალიკო მაჩაიძე სამსახურში კიბის თავზე დგას და ხედავს: თავიანთი თანამშრომე-ლი, ლამაზი და მომხიბვლელი ქალი **ქეთევან ტუსკია** ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ამოდის.

– როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ქეთო? – შეეგება ვალიკო თანამშრომელს.

– რაღა, როგორა ვარ, გული ხელით მიჭირავს! – ამბობს ქეთევანი.

– შე კაი ქალო, მეტი თუ არაფერი გაწუხებს, მაგას მე დაგიჭერ ხელში! – იღიმება ვალიკო.

თავისა და კუჭის ჰარმონიულობა

ჩემმა მეგობარმა პროფესორმა კერძო უმაღლესი სასწავლებლის წინააღმდეგ რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა, ზოგი თავისი სახელის, გვარის, თანამდებობისა და სამეცნიერო ტიტულის სრული ხელმოწერით, ზოგი – ფსევდონიმით.

– მერედა რა გამოვიდა აქედან? – ვეკითხები.

– ის გამოვიდა, რომ, როცა ასეთ სასწავლებელში სამადლოდ ადგილი ვიშოვე, კუნტრუშით მივირბინე სამუშაოდ. მცირე ყოვნის შემდეგ დააყოლა:

– ასეთია ცოცხალი და ჯანსაღი დამოკიდებულება თავსა და კუჭს შორის, – კიდევ პაუზა, – სოციალისტურ და საბაზრო ეკონომიკას შორის!

დაბნეულობაც ამას ჰქვია!

რეზო სურგულაძის ნაამბობი:

ზვიად გამსახურდიას დროს პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებლები რომ ჩამოყალიბდა, ერთ ასეთ უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის მისაღებ გამოცდაზე **მანანა დათუკიშვილთან** ერთად ვარ. ზეპირ გამოცდაზე გვიზის უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული შესანიშნავი გარეგნობის ჭაბუკი. როცა ბილეთის ვერც ერთ საკითხზე ხმა ვერ ამოიღო, მანანა ეკითხება:

– აბა, გვითხარი, ვისი დაწერილია *„დიდოსტატის მარჯვენა“*?

ამ თხზულების გარჩევა ბილეთში ცალკე საკითხად იყო შეტანილი. პასუხად კლავ დუმილია.

– კარგად დაფიქრდით!... დაწერილია გა..., გამ..., – ეშველება მანანა.

ისევ დუმილი.

– გამ..., გამს..., გამსა..., გამსახ...,

– ზვიად გამსახურდია, პატივცემულო! – უცებ წამოიძახა მან და ანთებული თვალები შემოგვანათა.

– ზვიადი თუ?... – არ ეშვება მანანა.

– ?

– ზვიადი თუ კო...,

– მერაბ კოსტავა! ასე ვიბნევი გამოცდაზე, პატივცემულო! – ისევ აღფრთოვანებით წამოიძახა მან და სახე გაებადრა.

ველარ მოვითმინე და აღშფოთებულმა ორიანი დავუწერე.

– გადაირიე, ეს ერთი იმათგანია, ვინც ნამდვილად ფულს შემოიტანს, და მაგასაც უარი ვუთხრათ? – წარბშეკვრით მეუბნება რექტორი. მერე გავიგე, მისთვისაც დადებითი ნიშანი გაეფორმებინა.

ამოსობა

ეს ამბავიც **დიმიტრი დარჩიას** ნაამბობია: საქართველოში პედაგოგიურმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა **იან ამოს კომენსკის** დაბადების 300 წლისთავი. ჩატარდა სამეცნიერო სესიაც. როცა სესიაზე მოსულმა **ოთარ ტაბიძემ** მოსაწვევ ბარათში ამოიკითხა, რომ ერთ ფრიად სოლიდურ მეცნიერს მოხსენებად გამოჰქონდა „*იან ამოს კომენსკის ფსიქოლოგიური შეხედულებანი*", ჩაილაპარაკა:

– ყოჩაღ, ამასაც დაუწყია ა მ ო ს ო ბ ა! (ბატონმა ოთარმა კომენსკის მეორე სახელი „ამოს" გაათამაშა).

ოთარ ტაბიძის ფუნაგორიები

ჩვენ და მარქსი

როდესაც ვთარგმნეთ მარქსი მალულად,
მაშინ დაგვენძრა მაქსიმალურად!

მოსკოვური დეკადების გამო

ატყდა ცეკა და, ტეკადა,
უნდა გავმართოთ დეკადა,
უნდა წავიდეთ მოსკოვში
მუხლების მოსადრეკადა.

უნივერსიტეტის იუბილეს გამო

უცხოელებს ტოლს არ ვუდებთ,
არაფერში ვეპუებით,
ანკეტებით, ბანკეტებით
ვეჩრებით და ვეკუებით.

კახური მოზაიკა

(თელავში იქაური რაიკომის პირველი მდივნის,
თეიმურაზ ბადურაშვილის,
მიერ გამართული ღრეობის შემდეგ)

გზებზე სუფრები გაშლილი,
ქალები ვნებააშლილი,
კაცთა ვირებთან კავშირი
და ... თემო ბადურაშვილი!

გლოვა თუ სიმღერა

ვალიკო (ვალიკუნა) მაჩაიძე და **გივი ნიორაძე** მეგობრებთან ერთად სუფრას უსხედან. შესარხოშებულმა ვალიკომ სიმღერა წამოიწყო. ჩვეულებისამებრ გივი რომ არ აჰყვა, ხელით ანიშნა, რას შერებიო?

– ვერა, დღეს ვერ ვიმღერებ, სიდედრი მყავს გარდაცვლილი. – განმარტა გივიმ.

– შე კაი კაცო, სიდედრი მე ცოცხალი მყავს და ვმღერი და შენ გარდაგეცვალა და სიმღერაზე უარს ამბობ? – „გაიკვირვა" ვალიკომ (მთხრობელი დიმიტრი დარჩია).

ცოტა რამ ფრიდონის „ცოლის" შესახებ

მურმან თაქდიშვილი მეგობარ **შოთა ამირანაშვილის** ქალიშვილის ქორწილშია. პატარძლის სახელია **ირმა**, სიძისა – **ფრიდონი**. თამადამ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო დიდი ყანწით შესვა და ალავერდი, როგორც გამორჩეულ, საპატიო სტუმართან, მურმანთან, გადავიდა. მურმანმა სადღეგრძელო ასე დაიწყო:

– „ვეფხისტნაოსნის“ მკითხველებმა (ასეთები კი მთელ მსოფლიოს მოიცავს) აქამდე ვიცოდით, ტარიელის შესაფერისი იყო ნესტან-დარეჯანი, ავთანდილისა – თინათინი. გაურკვეველი რჩებოდა საკითხი, თუ ვინ აღმოჩნდებოდა ფრიდონის სადარი. ამიერიდან კი გრკაეულია: **ფრიდონის ჯუფთია ირმა!**

გამომცდელის გასაჭირი

ერთ წელიწადს ლიტერატურის ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმღებ საგამოცდო კომისიაში შეგვიყვანეს. როდესაც ტრადიციისამებრ კომისიის თავმჯდომარე **მზექალა შანიძემ** 31 ივლისს შეგვკრიბა და საგამოცდო პირობებს გვაცნობდა, გვაუწყა, რომ აბიტურიენტებს საწერად ძალიან მარტივი თემები ეძლევა, რუსეთში ასე არ არის და ჩვენც მათ უნდა მივბაძოთო. მაგალითად, რატომ არ შეიძლება, თავისუფალი თემა იყოს მუსიკის სფეროდანო და დაასახელა რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები, რომლებიც მე ყურმოკვრით თუ გამეგონა.

– სწორია!.. კარგია! – ისმოდა აქეთ-იქიდან. მე კი შეიშმუშნე.

– რა, თქვენ არ მეთანხმებით? – მომმართა ქალბატონმა მზექალამ.

– როგორ არ გეთანხმებით, ძალიან კარგია, – მივუგე მე, – ოღონდ იმაზე ვფიქრობ, რა უნდა ვქნა, ამგვარი თემა მე რომ შემხვდეს გასასწორებლად!

უკვე გამოცდაზე ვართ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **მზექალა შანიძის** თავმჯდომარეობით ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდა მიმდინარეობს. ჩემთან მოდის **მერი გუგუშვილი** და მეუბნება: *წამოდი, ნახე, **ჭელიძე** მიზის, მგონი **გიზოს** შვილიაო.*

გიზო ჭელიძის ბიჭებს ორივეს ვიცნობდი (მათთან სახლში თბილისსა და ლიხაურშიაც ნამყოფი ვიყავი) და მათ კარგ მოსწავლეობაზე სხვებისაგანაც გამეგონა. ვნახე, მისი უფროსი ვაჟი **ლადო (ვლადიმერი)** არის. საგანგებოდ ღრმად და მკაცრად გამოვცადეთ, მოგვეწონა და „ხუთიანისთვის“ თავმჯდომარესთან გავგზავნეთ.

ლადო ორ საათზე მეტ ხანს იდგა რიგში და, როცა ქალბატონმა მზექალამ გამოცდა დაუწყო, მიეედი, იქვე ჩამოვჯექი და ვუსმენ.

ქალბატონი მზექალა ხან რას ეკითხება და ხან – რას. ლადომ ზოგს შესანიშნავად უპასუხა, ზოგს – საშუალოდ. გამომცდელი უცებ ეკითხება:

– კახეთის, ბახტრიონის, ომში რატომ მიიღეს მონაწილეობა თუშებმა და მთის სხვა ხალხებმა?

ლადომ ასე ახსნა:

– საქართველოს დამპყრობელთა, საერთო მტრის, წინააღმდეგ ქართველი ხალხი გაერთიანდა.

მზექალამ უარის ნიშნად თავი გადააქნია და საგამოცდო წიგნაკში „4"-ანი მოხაზა. უკმაყოფილოდ შეეიშმუშნე. ახლა მე მომიბრუნდა და მიხსნის:

–ამაზე ნიკო ბერძენიშვილს აქვს გამოკვლევა...

– კი, ბატონო, – სიტყვა ჩამოვართვი, – მე გიორგი ლეონიძისაგანაც მომისმენია, რომ სპარსელთა მიერ კახეთის დაპყრობის გამო თუშებმა და სხვებმაც კახეთში, ალაზნის ველზე, საძოვრები დაკარგეს... მაგრამ ბავშვებს ამას არ ასწავლიან, ისე ასწავლიან, როგორცა თქვა.

შევატყვე, ქალბატონ მზექალას ჭკუაში აღარ დაუჯდა, ამ კითხვასთან დაკავშირებით დაეკლო ნიშანი და, რადგან ბილეთში ცალკე საკითხად გიორგი ლეონიძის *„ქართლის ცხოვრებაზე"* დაწერილი ლექსი ჰქონდა, ლადოს ეკითხება, *რა ნაწილებისაგან შედგება „ქართლის ცხოვრებაო"*. ლადომ რიხიანად ჩამოთვალა ისინი და დაუმატა: *„ფარნავაზიანი" პირველი ქართული თხზულე-ბაა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწიაო.*

ახლა ქალბატონი მზექალა დაიბნა და მე მომიბრუნდა, *რას ამბობსო? ავუხსენი, რომ ეს რევაზ ბარამიძის შეხედულებაა და მას იმეორებს-მეთქი.*

ქალბატონ მზექალას აღარაფერი უთქვამს და მის მიერ დაწერილი „4" „5"-ად გადააკეთა.

კვლავ უნივერსიტეტში

ორიოდე წლის შემდეგ უნივერსიტეტში ისევ მისაღებ გამოცდაზე ვარ. კომისიის თავმჯდომარეა **ივანე ქავთარაძე**. მეორე დღეა მიმდინარეობს ქართული ენისა და ლიტერატურის ზეპირი გამოცდა. ვინაიდან წინა დღეს ბევრი მაღალი ნიშანი დაიწერა, ხოლო ჩარიცხვისას რექტორატს რომ არ ეწვალა, ერთნაირი, მაღალნიშნიანი აბიტურიენტები არ ჰყოლოდა, უნივერსიტეტის მიმღებმა საგამოცდო კომისიამ გამოცდა გაამკაცრა, — ორ-ორ გამომცდელს თითო გამომცდელი დაგვიმატეს და აუდიტორიაში ვიდეოთვალი დაგვიდგეს. თუ წინა დღეს ჩემი მეწყვილე პედაგოგიკის ინსტიტუტის თანამშრომელი **დარეჯან ბერიძე** იყო, ახლა კახეთის სკოლის მასწავლებელი **კოკროშვილი** (სახელი აღარ მახსოვს) დაგვიმატეს.

მე წესად მქონდა, სანამ გამოცდას დავიწყებდი, ვციდილობდი, დაძაბულობა მომეხსნა, რაღაცა მეხუმრა და შინაური გარემო შემექნა.

ახლაც ასე მოვიქეცი, მაგრამ ბავშვებმა უმალვე იგრძნეს გამკაცრებული ატმოსფერო და თავისი ნებით პირველი გამოსვლა არავინ ინება.

— ახლა იძულებული ვარ, — ვთქვი მე, — თქვენი საგამოცდო წიგნაკები ეშმაკივით ავჭრა და ოთხი აჭრის შემდეგ ვისიც მაღლა მოექცევა, ის გამოვიძახო.

— ნახეთ, მე თუ არ შემხვდეს! — ჩაილაპარაკა წინ მჯდომმა გოგონამ, რომელსაც შიშისაგან ნიკაპი ჩაყვითლებოდა.

ავჭერი და რიგი მართლაც იმ გოგონას შეხვდა!

რაღაცა კიდევ ვიხუმრე, აუდიტორია და ისიც გავაცინე, გამოსაცდელი ცოტა, 12-ოდე, გვყავდა და გამოკითხვას ნელ-ნელა შევუდექით.

ეს გოგონა, მახსოვს, ზემო იმერეთიდან, მეშახტეთა (ტყიბულისა თუ ჭიათურის) რაიონის სოფლიდან იყო. კარგად გვპასუხობდა, სასკოლო მასალა მშვენივრად, პატიოსნად ჰქონდა დასწავლილი, მხოლოდ ეს იყო, გამორჩეული, ცინცხალი ნიჭი არ ემჩნეოდა და, ბევრისაგან განსხვავებით, უმაღლეს სასწავლებლში მომუშავე რეპეტიტორის ხელი აკლდა. ამიტომ სამივე გამომცდელმა იგი „ოთხისათვის“ კომისიის თავჯდომარის მოადგილესთან

გავგზავნეთ („ორიანსა“ და „ოთხიანს“ კომისიის თავმჯდომარის მოადგილეების, ხოლო „ხუთიანს“, როგორც წესი, კომისიის თავმჯდომრის დადასტურება სჭირდებოდა).

გადის ხანი, პარალელურად რამდენიმეს ვცდით. უცებ აუდიტორიის კარი იღება, ინეზა კიკნაძემ ის გოგონა შემოგვიგდო და მოგვაძახა, *ბატონმა სოსომ მაგას „ოთხიანი“ კი არა, „ორიანი“ ეკუთვნისო.*

ბატონი სოსო, **იოსებ ბოცვაძე**, კომისიის თავსჯდომარის ერთ-ერთი, მაგრამ ფაქტობრივად (ალბათ, ასაკისა და ცენზის გამო) პირველი მოადგილე გახლდათ. წერითი ნაწერების გასწორებისას ჩემი ყოფილი ლექტორის, **ელენე ბაბუნაშვილის**, მეწყვილე ვიყავი. ქალბატონმა ელენემ ჩემთან მოხვედრილ ნაწერებს (დაახლოებით 30 ცალი იქნებოდა) ქვემოდან ახედა და ერთის შესახებ, რომლის ქვემო ყუა მელნით ოდნავ იყო გათხუპნული, გამანდო: *ეს ბატონი სოსოს პაროლიაო. ამიტომ პირველად ის გავასწორე.*

როცა ბატონი სოსო ჩვენთან შემობრძანდა, ჩემს ნაწერებს მარჯვენა ზედა კუთხეში ორი თითით ხელი დააველო, ზემოთ აწია და საფეხურებად ჩამოშლილებს ქვემოდან ხმადაბლა „თვლა“ დაუწყო, მე პირდაპირ ვუთხარი: *თქვენ რომ ნაწერი გაინტერესებთ, აგერ არის, უკვე გავასწორე.* უმალვე მკითხა, *როგორიაო? — თუ ხელს მომიწერთ, „ოთხიანს“ დავუწერ-მეთქი.* გამომართვა და არც გადაუხედავს, ხელი ისე მომიწერა. მის თვალწინვე მეც „ოთხიანი“ გავაფორმე და ხელი მოვაწერე.

ინეზას სიტყვები აუდიტორიაში მეხივით გავარდა. ვუყურებ ამ ჩვენს გამოცდილ მერცხალივით გოგონას — ციე წყალში ამოვლებულ წიწილასავით მობუზულს ნაცრისფერი ადევს. დავსვი. ვეკითხები, *რა გკითხეს და რა ვერ უპასუხე-მეთქი?* ენას ვერ იღებს. *კარგი, დამშვიდდი, მერე მიპასუხე, მართლა „ორიანს“ ხომ არ დაგიწერთ-მეთქი.* მისი გამოკითხვა მთელმა აუდიტორიამ მოისმინა და შეშინდა. ვისაც ვცდიდით, მათაც პასუხი შეწყვიტეს.

ცოტა ხნის შემდეგ გაიხსენა. ბატონ სოსოს ჯერ უკითხავს: საქართველოში რეალიზმის შემომტანნი ვინ არიანო?

—შენ რა უპასუხე?

— ვერაფერი ვუპასუხე?

– არ იცი, ვინ არიან საქართველოში რეალიზმის ფუძემდებლები? – ვიკვირვებ მე.

– ფ უ ძ ე მ დ ე ბ ლ ე ბ ი როგორ არ ვიცი, – დანიელ ჭონქაძე, გიორგი ერისთავი, ლავრენტი არდაზიანი, მაგრამ მან შ ე მ ო მ ტ ა ნ ნ ი მკითხა.

მეორე კითხვა: ვინ არიან საქართველოში სახალხო პოეტები?

– მე ვუპასუხე: გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე. სწორი არ არისო და დამისახელა: სოფრომ მგალობლიშვილი...

– ს ა ხ ა ლ ხ ო პოეტები გკითხა, თუ ხ ა ლ ხ ო ს ნ ე ბ ი? – ვაწყვეტინებ ჩამოთვლას. შეკრთა, ჩანდა, ხალხოსნები ჰკითხა და დაიბნა.

მესამე კითხვა: როგორ იქნება სახელობითში „მან“ და „იმან“. პასუხი აღარ ახსოვდა.

რაღას ვიზამდით, „სამიანი“ გავუფორმეთ.

გადის კიდევ ცოტა ხანი, ისევ მოდის ინეზა და ბატონი სოსოს შეუვალ მოთხოვნას გადმოგვცემს: *დაუწერეთ თუ არა იმ ბავშვს „ორიანიო“.*

ეს უკვე მეტისმეტი იყო. აუდიტორიიდან სასწრაფოდ გამოვედი და კომისიის თავმჯდომარისაკენ გავქანდი. ბატონ ივანეს დერეფანში შევეფეთე. მტკიცედ და ნერვიულად ვეუბნები:

– გამოვცადეთ ბავშვი, რომელსაც, ჩვენი რწმენით, „ოთხიანი“ ეკუთვნის, ბატონი სოსო მოითხოვს, „ორიანი“ დავუწეროთ, ვაპროტესტებ ამას!

მაშინვე შევნიშნე, ბატონ ივანეს ჩემი საქციელი არ ეპიტნავა, მითხრა, მომიყვანეო. შემოვბრუნდი და ეს გოგონა თან არ მომყოლია? ჩემ უკან დგას. ბატონი ივანე ეკითხება:

– „...ბუმბერაზ მთანი ცათამდის...“ – „ცათამდის“ რომელ ბრუნვაში დგას?

– ნათესაობითში! – უპასუხა ისე, არც დაფიქრებულა.

ბატონმა ივანემ საგამოცდო წიგნაკი ხელიდან გამოსტაცა. ბავშვმა ერთი კი შესძახა „მიცემითიო“, მაგრამ მან ჩვენ მიერ დაწერილი „სამი“ მყისვე „ორიანად“ გადააკეთა.

ამ საცოდავმა გოგომ განწირული ხმით შებღავლა და კედელზე ხელის ცეცებით კიბეზე ნელ-ნელა დაეშვა.

ბატონი ივანე მომიბრუნდა, *მიდი, გამოცდა გააგრძელეო.*

— ბატონო ივანე, გამოცდა გავაგრძელო კი არა, ახლა იმაზე ვფიქრობ, წავიდე, გამოცდა მივატოვო და აქედან ის ამბავი გავიტანო, რომ თქვენ აბიტურიენტს ერთ კითხვაზე „ორიანს“ უწერთ და თან რას ეკითხებით?!

ვხედავ, მოდის **თეიმურაზ მაღლაფერიძე**. წინ გადავუდექი და ვეკითხები: „...ბუმბერაზ მთანი ცათამდის“ — რომელი ბრუნვაა „ცათამდის“?

თეიმურაზი თავიდან მიშორებს, *რა ვიცი მეო.*

ახლა **გრივერ ფარულავა** მოდის და კითხვას იმასაც ვუმეორებ. ხელს დაბლა ისე იქნევს, არც შეჩერებულა.

მოდის **მურმან სუხიშვილი**. თუ ჩემი კურსელები, თეიმურაზი და გრივერი, ლიტერატურისმცოდნეები არიან, მურმანი ენათმეცნიერია. იწყებს მსჯელობას: *ერთვის „მდის“ თანდებული, მაშასადამე...*

პასუხს აღარ დავუცადე, ბატონ ივანეს მივუბრუნდი:

— გამოქვეყნებული მაქვს ორთაბახიანი გამოკვლევა — „თანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა *«ვეფხისტყაოსანში»*“ და ამის გამო ვიცი მისი რაობა. ბავშვებს კი სკოლაში ასწავლიან, რომ ახალ ქართულში „ნართანიან“ მრავლობითს ნათესაობითი, ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვები არ მოეპოვებათო, თქვენ კი რას ითხოვთ?!

ბატონი ივანე საშინლად შეწუხდა. დამიყვავა და დამიყვავა. მითხრა, საგამოცდო კომისიას რომ ვადგენდი, ალექსანდრე ბარამიძემ ძალიან გაქო და მიხარია, რომ უფრო მეტი აღმოჩნდიო. შემეხვეწა: ეს შეცდომა მაპატიე და დაივიწყეო.

თუ მაშინ გამოცდები არ დავტოვე, მხოლოდ იმიტომ, რომ გამოცდიდან წინა წელს გავიქეცი და ვინმეს არ ეთქვა, *რალა შენ გიწევს ყველგან გაქცევაო* (ამაზე ქვემოთ მოვყვები). რაც შეეხება დავიწყებას, დავიწყებით ვერ დავივიწყე და იმიტომ ვიგონებ, მოამავალმა თაობებმა იცოდნენ: იმდენად საშინელი ვითარება იყო მაშინდელ გამოცდებზე, რომ ზოგიერთი პატიოსანი და კარგი მეც-

ნიერიც რამდენ მიუტევებელ, რბილად რომ ვთქვათ, უსამართლობას სჩადიოდა.

სიმკაცრე საქმეს ვერ შველოდა

მგონი, 1973 წელი იდგა. ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღებ გამოცდაზე ვარ მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. კომისიის თავმჯდომარე გახლდათ ბრწყინვალე პიროვნება **ლეო კვაჭაძე**. რექტორი ბრძანდებოდა ქალბატონი **ნათელა ვასაძე**, რომელსაც, საერთოდ, ინსტიტუტში და, კერძოდ, ამ გამოცდაზე რკინისებური დისციპლინა ჰქონდა დამყარებული. მიმდინარეობდა წერითი გამოცდა და, თუმცა ნაწერებს გასასწორებლად შუადღისას გვაძლევდნენ, დილის 8 საათზე, ვიდრე გამოცდა დაიწყებოდა, იქ უნდა ვყოფილიყავით. თავშეყრილი ვიყავით ერთ დიდ, ტერასებიან აუდიტორიაში, რამდენიმე კაცი თავმდგმურად გვეყენა და იქიდან ერთი წუთითაც გამოსვლის უფლება არ გვქონდა. არაფერს ვაჭარბებ, საპირფარეშოში წასვლისას, გინდ ქალი ყოფილიყავი, გინდ კაცი, ერთ-ერთი თავმდგმური საპირფარეშოს კარებამდე გვაცილებდა და იქ გველოდებოდა.

. როგორც ყველა უმაღლეს სასწავლებელში, გამომცდელები აქაც წყვილ-წყვილად ვიყავით დაყოფილი და გვევალებოდა, ერთი და იგივე ნაწერი ორიევს წაგვეკითხა და ნიშანი მერე დაგვეწერა. ვწერდით კი მხოლოდ „სამიანს“, დანარჩენი ნიშნების – „ორიანის“, „ოთხიანისა“ და „ხუთიანის“ – დაწერის უფლება მას შემდეგ გვქონდა, როცა ორივე გამომცდელი შეფასებაზე შევთანხმდებოდით, კომისიის თავმჯდომარეს წარვუდგენდით, ის ნაწერს შეამოწმებდა და ნიშანს ხელმოწერით დაგვიდასტურებდა. გვეძლეოდა 30–35 ცალი ნაწერი, რომლის გასწორებასაც თითეული თითქმის მთელ დღეს ვუნდებოდით და მეწყვილის კუთვნილი ნაწერების გაცნობის დრო აღარ გვრჩებოდა. ბატონ ლეოს რატომღაც (ალბათ, მთელი პასუხისმგებლობა მას რომ ჰქონოდა) მოადგილეები არ ჰყავდა. ამიტომ საღამოს 11 და 12 საათზე მასთან თავს იყრიდა ბევრი ნაშრომი, რომლებსაც ის ვეღარ აუდიოდა და ღამის ორ-სამ საათზე დაჟინებით გვთხოვდა, ჩვენი შეფასებისთვის ერთხელ კიდევ გადაგვეხედა. არადა, უკვე ვთქვი,

მეორე დღეს დილის, 8 საათზე, ინსტიტუტში უნდა ვყოფილიყავით და დასვენების საშუალება აღარ გვეძლეოდა.

უმალვე შევნიშნე, ბატონს ლეოს, ამ უაღრესად პატიოსან კაცს, ამგვარი ბატალიების გამოცდილება არა ჰქონდა. მაგალითად, ჩვენ მიერ წარდგენილ ნაწერებზე, როცა ნიშანს გვიდასტურებდა, ნამუშევარს მხოლოდ ხელს აწერდა და ნიშანს არ სვამდა. მე ჩუმად გავაფრთხილე: თქვენ ამით, საშუალებას გვაძლევთ, თუ ჩვენ ვიკადრებთ, რა ნიშანსა გვინდა, ის დავწეროთ, დაწყებული „ორიანიდან“ დამთავრებული „ხუთიანით“-მეთქი.

პირველ დღესვე, როცა ღამის სამი საათი დაიწყო, ხმამაღლა განვაცხადე:

— მეტი ძალა აღარა მაქვს, შინ მივდივარ. მაქვს ორი ნაწერი „ორიანზე“ და ექვსი „ოთხიანზე“ შეფასებული, ყველას ვუწერ „სამიანს“, პასუხისმგებელი ინსტიტუტი იყოს. თუ ხვალაც ასე გაგრძელდა, მე გამოცდებს ვტოვებ. ბატონმა ლეომ ერთი კი თქვა, *ასე არ შეიძლებაო*, მაგრამ არც მას და არც ჩვენს თავმდგმურებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

დადგა მომდევნო დღე. მეორე თუ მესამე ნაწერს „ოთხიანი“ ეკუთვნის და ბატონ ლეოს ვთხოვე, სანამ თავისუფალი ბრძანდებოდა, წაეკითხა. უარი მითხრა, *ჯერ შენი მეწყვილე გაეცნოსო*. კიდევ ავუხსენი, ერთმანეთისას ხელს ვერ მოვკიდებდით, სანამ ჩვენ-ჩვენსას არ მოვრჩებოდით. არ დამეთანხმა.

ცოტა ხანში „ხუთიანის“ ნაწერი შემხვდა. ამასობაში აუდიტორიაში **ბიძინა ქიქოძე** შემოვიდა, რომელიც, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი გახლდათ და მაშინ პრორექტორი იყო. ვთხოვე, ეს ნაწერი წაეკითხა. წაიკითხა და მითხრა: *ალბათ, ამაში „ხუთიანის“ დაწერა შეიძლება, მაგრამ მოიცადეთ, ასეთი ნამუშევრები კიდევ იქნება და ერთმანეთს შეადარეთო*.

ერთი სიტყვით, მოვიდა საღამოს 11-12 საათია და იგივე ვითარება შეიქმნა, რაც წინა დღეს. ახლა, როცა ღამის პირველ საათს გადაშორდა, უკვე გადაწყვეტილად განვაცხადე: კვლავ იძულებული ვარ, ამ „ოთხიანებს“ „სამიანები“ დავუწერო, სხვების ცოდვაში ფეხს კიდევ ვერ ჩავდგამ, ხვალ აქ აღარ მოვდივარ, სოფელში წავალ და იქ მსხალსა და ვაშლს შევჭამ-მეთქი.

ამ გადაწყვეტილების მიღებაში იმანაც შემიწყო ხელი, რომ დილით, სანამ ნაწერებს მოგვიტანდნენ, ინსტიტუტის კომკავშირის მდივან **მზია ჭელიძესთან** შელაპარაკება მომიხდა.

მზიას შორიდან ვიცნობდი. მე ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში სისტემატიურად დავდიოდი, რომლის დირექტორი **ნიკო ჭელიძე** ბრძანდებოდა. მზია, როგორც მახსოვს, მისი ქალიშვილი გახლდათ და მამის კაბინეტში შემსვლელი და გამომსვლელი ამ ლამაზი და მომხიბლველი ყმაწვილი ქალისათვის რამდენიმეჯერ მომიკრავს თვალი.

მზიამ თავის კაბინეტში შემიყვანა და წინ ჩემი გასწორებული ნაწერი დამიდო, — *აი, აქა და აქ შეცდომებია და თქვენ არ შეგინიშნავთო.* გაირკვა, მას ციტატები ქრესტომათიის სახელმძღვანელოსათვის შეედარებინა და სხვაობა სხვა მელნით აღენიშნა. ამაოდ ვუმტკიცებდი, რომ განმაზოგადებელ და დამაკონკრეტებელ სიტყვებთან, როგორიცაა „საზოგადოდ“, „საერთოდ“, „კერძოთ“, „სახელდობრ“, მძიმე შეიძლება დაისვას როგორც ამ სიტყვებთან, ისე მომდევნო, განსაზღვრულ სიტყვებთან–მეთქი.

განსაკუთრებული აღშფოთება გამოთქვა გალაკტიონის „*დროშები ჩქარას*“ ციტატაზე. აბიტურიენტს ეწერა: „მათ ხსოვნას ქვეყანა *სანთლებით* აინთებს...“. რა თქმა უნდა, „*სანთლებით*“ შეცდომაა, უნდა „*სანთლებად*“. მე ვთხოვე, ე. წ. გარჩევის სახელმძღვანელო გადაეშალა. გადაშალა და ვაჩვენე, რომ ეს სიტყვა მქაც ამგვარივე შეცდომით იყო დაბეჭდილი. იხტიბარი არ გაიტეხა და მითხრა, შეცდომაზე ხაზი მაინც უნდა გაგესვაო. მაშინ წონასწორობა დავკარგე და ღრძოდ ვუთხარი:

— ანეკდოტი თუ გაგიგონიათ, კურდღელი რომ გარბოდა, *ვისაც სამი კვერცხი აქვს, ერთ კვერცხს აჭრიანო.* რომ ჰკითხეს: *რას გარბიხარ, შენ ხომ ორი კვერცხი გაქვსო?* მან უპასუხა: *ჯერ აჭრიან და მერე ითვლიანო.* ასეა თქვენთანაც, — წესდებაში გიწერიათ, ამდენი და ამდენი წითელი ხაზის შემდეგ ესა და ეს ნიშანი უნდა დაიწეროსო. თქვენ კი ამ ხაზებს თვლით და იმას არ ითვალისწინებთ, ბავშვი როგორ აზროვნებს. რა, ამ ბავშვს სახელმძღვანელოს ავტორებისა და გამომცემლების შეცდომის გასწორება მოვთხოვო?! ეს კი არა, როცა ვატყობთ, აბიტურიენტი ნიჭის პატრონია, იძულებული ვართ, ისეთ შეცდომებზე თვალი დავხუჭოთ,

რომლის სწავლა შეიძლება და ისწავლის. ნიჭის სწავლა კი არ შეიძლება!

მეორე დღეს **გურამ შარაძის** ხელით ბატონ ლეოს „განცხადება“ გავუგზავნე – *ოჯახური პირობების გამო საშუალება არა მაქვს, გამოცდები გავაგრძელო-მეთქი.*

აგვისტოს ბოლოს თბილისში რომ ჩამოვედი, ერთმა, ამ გამოცდაზე მყოფმა, მითხრა: კარგი ჰქენი, გამოცდა რომ მიატოვე, შენ შემდეგ გონზე მოვიდნენ და გამოცდა შედარებით უკეთესად წარიმართაო.

ფერწერა თუ გადაწერა

თბილისის სამხატრო აკადემიაში ქართული ენისა და ლიტერატურის მიმღებ საგამოცდო კომისიაში ვარ (თავმჯდომარე **ნოდარ ალანია**). წინა წლებში აქ „შპარგალკიდან" გადაწერა იმდენად დამკვიდრებული ყოფილა, რომ, გადაწერის საშუალება რომ არ მივეცით, ერთი საათის შემდეგ ყველა (!) აბიტურიენტმა დემონსტრაციულად კალამი დადო და თემის შესრულებაზე უარი განაცხადა. შეიქმნა უჩვეულო, საგანგაშო ვითარება. რექტორმა და აკადემიის ცენტრალურმა მიმღებმა საგამოცდო კომისიამ გვთხოვეს: მომავალ წლებში გამომცდელებად ისევ თქვენ მოგიწვევთ და ნამდვილი გამოცდა მაშინ დაიწერგოთ. ახლა კი, მიღება რომ არ ჩაგვეშალოს, ცოტა ხანს თვალი დახუჭეთ, დადებითი ნიშნის მისაღებად ამ მცირე დროში, რასაც მოასწრებენ, დაე, გადაწერონ. ვინც უკეთ მომზადებულია, ის უკეთესად მოახერხებს გადაწერას და ცოდნის საერთო შეფარდებითი სურათი დიდად დარღვეული არ იქნებაო.

მეტი რაღა ჩარა იყო: ჩვენც თვალი მოვხუჭეთ. ამ დროს იმ აუდიტორიაში, სადაც მე ვიყავი, რექტორმა კარი შემოაღო და, თურმე, ფერწერის ფაკულტეტს დაეძებდა, ხმამაღლა მკითხა:

– აქ ფერწერაა?

– არა, გადაწერა! – არ დამიყოვნებია, მეც ხმამაღლად მივუგე.

„ბამბანერკა“

რევაზ ძნელაძის ნაამბობი:

აგვისტოს ხვატია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაგანია მისაღები გამოცდებია. ის იყო, ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი ნამუშევრები დასაშიფრავად წაიღეს და, ვიდრე გასასწორებლად მოიტანდნენ, დაქანცულ გამომცდელებს სულის ამოთქმის საშუალება მოგვეცა. გაიბა საუბარი – ძირითადად გამოცდებზე, კერძოდ, საპროტექციოდ როგორ აწუხებენ.

– კარების გაღება-დახურვას ვერ ავუდიეარ. – აბობს რევაზ მიშველაძე, – მათ მიერ მოტანილი „ბამბანერკები“ სართულებად მიწყვია...

მე გაგონილს მოვყევი: ამა და ამ ისტორიკოსმა ქალმა ასე მოტანილი „ბამბანერკა“ თავის მეგობარ ქალს აჩუქა. რამდენიმე ხნის შემდეგ პროფესორს ეს ქალი ახალ კაბაში გამოწყობილი ხვდება.

– რა კარგი კაბა შეგიძენია. – აღფრთოვანდა პროფესორი.

– ეს ის ნაჭერია, შენ რომ მაჩუქე! – ამბობს დაქალი.

თურმე, იმ „ბამბანერკის“ ყუთში, შოკოლადის ნაცვლად, ძვირფასი საკაბე ნაჭერი დებულა.

მეორე დღეს რევაზ მიშველაძე ღიმილით მეუბნება:

– კაი ეშმაკი ვინმე ხარ, რა მიქენი ეს, – ორმოცივე „ბამბანერკა“ რომ გამახსნევინე!

უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი

ესეც **რევაზ ძნელაძის** ნაამბობია:

უნივერსიტეტში ფაკულტეტის პარტორგანიზაციის დახურულ კრებაზე საკავშირო „ცეკას“ დახურული წერილი განიხილება, სადაც საუბარია საბჭოთა კავშირში არსებულ კორუფციაზე, კერძოდ, სად რა დანაშაულია აღმოჩენილი – ამა და ამ ქალაქებში ფარულად, დახლის ქვეშ, სპეკულიანტურ ფასად რა და რა საქონელი იყიდება.

მიღებული წესით, გამომსვლელები ვალდებული არიან, დოკუმენტს არამარტო მხარი დაუჭირონ, არამედ მომეტებულად აქონ და ადიდონ.

– უმნიშვნელოვანესი დადგენილებაა, – ამბობს **რევაზ მიშველაძე**. – მარტო ის რადა ღირს, რომ გვაკვალიანებს და აქედან ვგებულობთ, თუ სად რა იშოვება!

კვდომის პროცესი ძნელია

კორნელი დანელია შემომხვდა, საავადმყოფოდან მოდიოდა, სადაც მომაკვდავი **არნოლდ ჩიქობავა** იწვა და ენახა. ბატონ არნოლდს მისთვის უთქვამს: *სიკვდილი ძნელი კი არ არის, კვდომის პროცესია ძნელიო.*

ბატონი არნოლდი 10 წლის გარდაცვლილი მაინც იქნებოდა, მელიფტემ ჩვენი სადარბაზოს ლიფტის ჭის ფსკერზე არნოლდ ჩიქობავას პასპორტი იპოვა და მე მომცა. მასში ბატონი არნოლდის გარდაცვალება სათანადოდ იყო აღნიშნული. გაოცებული ვარ, ჩვენს სადარბაზოში საიდან მოხვდა ეს პასპორტი. ჩვენი სახლი მრგვალ ბაღთან, მცხეთის ქუჩის დასაწყისში, მდებარეობს, ბატონი არნოლდი კი ილია ჭავჭავაძის გამზირზე „მზიურის" ჩასასვლელთან ცხოვრობდა. ეს პასპორტი შემდეგ იზოლდა ჩანტლაძეს გადავეცი.

თაგვი და კატა

–ვაიმე, აჩიკო, მიშველე, სამზარეულოში თაგვია! – სისხამ დილაზე სასოწარკვეთილი ხმით აღვიძებს **არჩილ ბეგიაშვილს** მეუღლე, **ნანა მამულაშვილი**.

– მერე და, მე კატა ვარ? – დინჯად ამბობს ძილბურანში მყოფი არჩილი და ძილის შესაბრუნებლად მეორე გვერდზე გადატრიალდა.

ჩხაიძე და ჩხეიძე

ჩემს დაქორწინებას საშველი რომ არ დაადგა, ჩემმა კურსელმა მეგობარმა გიგი **ხორნაულმა** უნივერსიტეტში წამიყვანა და იქ მომუშავე ახალგაზრდა ლექტორი ქალი გამაცნო. წინასწარ საგანგებოდ გამაფრთხილა: *ხუმრობა გიყვარს და არ იხუმროო.*

გაცნობა უღიმღამო გამოდგა. გამოცოცხლება ისევ იმ ახალგაზრდა ქალმა სცადა. რაღაც ეშმაკად საუბარი „ჩხაიძე“ და „ჩხეიძე“ გვარებზე ჩამოვარდა. დაიჩემა ერთი და იგივე გვარიაო. მე არ დავეთანხმე და ახსნა დავიწყე: ჩხაიძეები გურულები, წარმოშობით ყველა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანიდან არიან, ჩხეიძეები კი იმერლები გახლავთ-მეთქი.

– არა და არაო! – არ ცხრება ის, – ბოლოს და ბოლოს ერთ ასოშია განსხვავებაო. – მოიყვანა ბოლო საბუთი.

– ქალსა და კაცს შორისაც ერთ ასოშია განსხვავება, მეტში კი არა. – უნებურად წამომცდა მე.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დამდურებულებივით ნირწამხდარნი წამოვედით. გზაში გიგიმ საყვედურებით ამავსო. ამის მეტს შენს საქმეში აღარ ჩავერევიო.

გავიდა რამდენიმე წელი და მე და ის ქალი უნივერსიტეტის მიმღებ საგამოცდო კომისიაში ერთად აღმოვჩნდით. ჩემი მეწყვილე იყო და მალე დავმეგობრდით. ხუმრობას არც მაშინ ვუღალატე, *დღის მეწყვილეს* ვეძახდი.

ბიოლოგიც ამას ჰქვია

მეგობრის ცოლი შემომიჩნდა, ჩემს შვილს შესანიშნავი ბოტანიკის მასწავლებელი ჰყავს და გაგირიგებო. რატომღაც მაძალებდა, *შინ მოგიყვანო*. ეს ის დროა, გარიგებისა ჯერ კიდევ რომ არაფერი მწამდა, მაგრამ ვიფიქრე: *ამით ერთგვარ პატივს ვცემ ამ ჩემს კეთილისმსურველს-მეთქი* და დავთანხმდი.

მომიყვანა უშველებელი ქალი. უშველებელი, ფართო პირისახე, უშველებელი მკლავები, მკერდი... გურიაში საწნახელისათვის გამზადებულ დიდზე დიდ მორს *ქორთუხს* ეძახიან და უმალვე იგი გამახსენდა.

რაღა უნდა მექნა: რომ დარწმუნებულიყო თავისი მოწაფის მშობლის კეთილ განზრახვაში, ყოველნაირად ვცდილობდი, კარგი გამოვჩენილიყავი. გადმოვიღე ჩემი წიგნები და ვუკითხავ საინტერესო ადგილებს. ვაჩვენე ვახტანგ მეექვსის ე. წ. კვადრატული ლექსი, რომელიც თარაზულად ერთ სტროფად იკითხება, ვერტიკალურად – ორ სტროფად, აზრი კი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. ვკითხე, სხვადასხვა წელს აღდგომა სხვადასხვა თვესა და

რიხვში რატომაა და გავაცანი ვახტანგ მეექვსის ლექსი, რომლის მიხედვითაც ხელის გულზე ხდება აღდგომის გამოანგარიშება და ა. შ.

ეს ამბავი დეკემბერში ხდება. ჩემს კარის მეზობელს წოდორეთში აგარაკი აქვს და იქ საოცრად საგვიანო ტყემალი უდგას. მქონდა იქიდან მოტანილი ტყემლის ორი პატარა ტოტი, რომელსაც ფოთლები არ ჰქონდა, მაგრამ წითელ-წითელი ნაყოფი დაუზიანებლად ესხა. შეხედა ამას და გაიკვირვა, *ასე გვიან როგორ შემორჩენილაო*. ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ სოფელში წასაღებად და დასათესად შუშის ქილაში ატმის კურკები მეყარა. მკითხა, **ხომ დასათესავად გინდაო** ?

უცებ სხვა ხასიათზე დავდექი და ვუთხარი, *არა-მეთქი*. მერე „ავუხსენი": გამოვიგონე ემულსია, რომელსაც წავუსმევ ნებისმიერ კურკებს და ერთ თვეში იმავე ნაყოფს იძლევა-მეთქი. გაიცინა, რატომ მატყუებო. უკან არ დავიხიე: ეს ტყემალი სწორედ ასეა მიღებული, თორემ ამ დროს ტყემალი ვის გაუგონია-მეთქი.

ერთი სიტყვით, დავაჯერე. რომ მიდიოდნენ, გავიგონე, ჩემს მეგობარს ლიფტში ეუბნებოდა: *ძალიან საინტერესო კაციაო*.

ეს ამბავი ამ ჩემი მეგობარი ქალის დაქალებს ვუამბე და გულიანადაც ვაცინე.

ბოლოს ჩემზე კი ესა ვთქვი:

„თუმცა ქალები ბევრი არჩია,
მაინც უცოლოდ დარჩა დარჩია".

მიძღვნილი ლექსი

ოზურგეთში მივემგზავრებოდი და მატარებელში ახალგაზრდა, ძალიან ლამაზი და მიმზიდველი ქვრივი ქალი გავიცანი. ქმარს 14 წლისა მოეტაცებინა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ავარიაში დაღუპვოდა. ახლა 35 წლისაც არ იყო, უკვე რძალი ჰყავდა. ჩვენს კუპეში იმყოფებოდა ტიციან თუ გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი ახალგაზრდა კაცი, რომელიც, თურმე, პოეტობდა, და მან ამ ქალბატონს ლექსი დაუწერა.

თბილისში რომ დავბრუნდით, მე და ეს ლამაზმანი ერთმანეთს შევხვდით. „მისაყვედურა“: *იმ ბიჭმა ლექსი დამიწერა და შენ რატომ არ მიწერო. დავპირდი, დაგიწერ-მეთქი.* რამდენიმე კვირის შემდეგ ტელეფონით დაპირება რომ შემახსენა, წინა ღამით პირველი თოვლი მოვიდა და მეც **ირაკლი აბაშიძის** ბრწყინვალე ლექსი „*პირველი თოვლის სიმღერა*“, როგორც მისადმი მიძღვნილი ჩემი საკუთარი ქმნილება, ჯერ წავუკითხე და მერე ჩავაწერინე. ოღონდ დედნისეული „იმერეთში“, „ქუთაისი“, „ვერის ბაღი“ შევცვალე ჩემს ბიოგრაფიასთან დაკავშირებული სახელებით: „გურიაში“, „ოზურგეთი“, „კუს ტბა“.

ალბათ, ზედმეტი არ იქნება მკითხველისათვის ამ ლექსის შეხსენება. პირველი სტროფი:

„წუხელ თოვდა.
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს“.

ბოლო სტროფი:

„მიხარიან
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
წვიმაც, ქარიც უსაქმურად დანაბერი,
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!“

ძალიან მომიწონა. მერე და მერე მეუბნებოდა, ჩემგან ამან და ამან გადაიწერაო.

გავიდა ხანი, ალბათ, ერთ წელზე მეტი. ტელეფონით მიკავშირდება, *რადიო ჩართეო.* თურმე, ამ ლექსზე შექმნილ სიმღერას გადმოსცემდნენ. მის რძალს უთქვამს: *მოდი, დედა, შენს ლექსს მღერიანო.* მაშინ სიმართლე ვუთხარი. იცინა.

მარტოსული თუ...

ჯერ კიდევ დაბერებული არ ვიყავი, ერთმა ახალგაზრდა ქალმა თავის ნათესავთან წვეულებაზე დამპატიჟა. უარი ვუთხარი.

— წამოსულიყავი, გაერთობოდი, რა მარტოსული ხარ! — ზედმეტში გადადის ის.

— მარტოსული კი არა, მარტო სული და გული ვარ! — ვიგერიებ თავდამსხმელს.

აკაკი შანიძის ამბები

მუქარა

ლექციაზე რომელიღაც თავისებური აღნაგობის სიტყვა **აკაკი შანიძემ** ვერა და ვერ გაიხსენა. საკმაო ხანს იწვალა და ბოლოს „მუქარით" თქვა: — ვერსად წამივა, ჩაწერილი მაქვს და, შინ რომ დავბრუნდები, შავ დღეს დავაყრიო.

პატიოსანი და უპატიოსნო ჯგუფი

ჩემი პარალელური კურსის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს **აკაკი შანიძის** ლექცია კვირაში ორჯერ ჰქონდათ: ერთ დღეს დილით, პირველ კორპუსში, მეორეჯერ — საღამოს, მეორე კორპუსში. ზამთარია, მეორე სემესტრი ისე აეწყო, საღამოს რამდენიმე ლექცია ყველა ჯგუფელმა გააცდინა. ბატონი აკაკი დღისით პირველ კორპუსში მოსულებს ეუბნება:

— თქვენ რა კარგად დადიხართ, თქვენი პარალელური ჯგუფი ჯერ ერთხელაც არ მოსულა!

ქართველის სირცხვილი

აკაკი შანიძე ბოლომდე იბრძოდა, რომ საშუალო სკოლებში ძველი ქართული ანბანის სწავლება შემოეღოთ. მიამბო: ბოლნისის სიონის ეზოში გახლდით და მასწავლებელმა ქალმა ტაძრის კედლის ხუცურ-ასომთავრულ წარწერაზე მკითხა, რა წერია იქო? მე მივუგე, ასე წერია: „შემირცხვენია ქართველი, ვინც მე ვერ წამიკითხოსა!".

დამნაშავე ცოლი

აკაკი შანიძის და **თეოლინე** ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში **კონსტანტინე ლეჟავაზე** იყო გათხოვილი. კოლექტივიზაციის დასაწყისში კონსტანტინე გააკულაკეს, ხოლო 1932 წელს, როგორც მაშინ ეძახდნენ, ვითარცა „შავსიელი", დააპატიმრეს და ზესტაფონში გამოამწყვდიეს.

ამის გამო ბატონი აკაკი არგვეთაში დასთან ჩავიდა. დამ უამბო, რომ ქმარს არ აჩვენებენ, კვირის ბოლოს „*პერედაჩი*" — სადილი და თეთრეული — მიაქვს და უკან გამონაცვალსა და ცარიელ ჭურჭელს უბრუნებენ.

ბატონ აკაკის სამუშაო წამოღებული ჰქონდა და დასთან დარჩა. კვირას სატუსაღოდან დაბრუნებული გასარეცხი თეთრეული და ალუმინის ქვაბი თავად ჩაიბარა და საცვლების თავებში წერილს დაუწყო ძებნა. ბოლოს, ქვაბის ძირში, ძროზე, ქიმიური ფანქრით მინაწერი აღმოაჩინა. მორიგი „პერედაჩის" დროს პასუხად მან კონსტატინეს იმავე ქვაბის ძროზე ლექსად დაუწერა:

„სიძის ნახვა მომენატრა,
ვეწვიე შინაო.
თურმე იმან ზესტაფონში
ნახა სხვა ბინაო.
თეოლინე არას მაჭმევს,
მშია, მწყურიაო,
დასაჭერი ეს ყოფილა,
შენ რას გერჩიანო!"

ცნობათა ბიურო

სანამ უნივერსიტეტის წინ, კორნელი კეკელიძის ქუჩაზე, კოოპერატიულ ბინას აიშენებდა, ბატონ აკაკის კარგა ხანს კოტე ფუთურიძემ ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე თავის ბინაში ერთი დიდი ოთახი დაუთმო, ტელეფონი გაუყვანა და, რომ არავის შეეწუხებინა, ნათესავები და მეგობრები გააფრთხილა, აუცილებელი შემთხვევის გარდა, არ დაერეკათ. იმხანად ამ ტელეფონში ხშირად ერთვოდა რუსთაველის მოედანზე მდებარე აეროპორტის სალაროს ცნობათა ბიუროს ტელეფონი.

ერთ დღეს რეზო სურგულაძე ამ ცნობათა ბიუროში რეკავს და ხარკოვის თვითმფრივანის გაფრენის დროს კითხულობს.

– ეს ცნობათა ბიურო არ არის, მაგრამ, მოითმინეთ და, საათს ამ წუთში მოგახსენებთ. – ესმის მამაკაცის ნაცნობი ხმა. როცა პასუხი მიიღო, იცნო, რომ ეს ხმა აკაკი შანიძისა იყო, და ძალიან გაოცდა.

რეზო კოტე ფუთურიძის ვაჟს, თემურს, მეგობრობდა, ხშირად დადიოდა მასთან და ბატონ აკაკისთანაც არაერთხელ უსაუბრია და ჭადრაკიც უთამაშია. ამ ამბის შემდეგ, როცა ფუთურიძეების ოჯახში მივიდა, მან ყურადღება მიაქცია, რომ აკაკი შანიძეს გაზეთ „ზარია ვოსტოკადან" თვითმფრინავის ფრენის განრიგი ამოუჭრია და ტელეფონთან კედელზე მიუმაგრებია.

გამოუჯავრდი წიგნს

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში **აკაკი შანიძისა** და **ალექსანდრე ბარამიძის** ხელმძღვანელობით „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობს.

– გამოუჯავრდი მაგ წიგნს აქეთ! – გურულად უქცევს ბატონი აკაკი და ხელით „ვეფხისტყაოსნის სიმფონიის" წიგნზე მანიშნებს.

„გამოუჯავრდიო", სოფელში საქონლის, პირუტყვის გამოდენაზე იტყვიან ხოლმე, ბატონი აკაკის თხოვნასა და ხუმრობას ადვილად ვხვდები და წიგნს უმალვე ვაწვდი, ისიც ღიმილით მართმევს.

მეგობრის გამხნევება

1928 წელს **აკაკი შანიძემ გიორგი ახვლედიანთან** ერთად მონაწილეობა მიიღო ორიენტალისტთა XVII საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც ინგლისში, ოქსფორდში, გაიმართა. როდესაც იმ დღეებზე გვიამბობდა, ბატონმა აკაკიმ გაიხსენა: ლონდონში ყოფნისას ქალაქის ქუჩების სქემა მე მქონდა და გზის გაგნებაც მე მევალებოდა. პეტერბურგთან შედარებით ავტომანქანების მოძრაობა აქ ბევრად უფრო ხშირი იყო. ერთ დღეს, ქუჩაზე გადასელა რომ დავაპირეთ და წინ

მივდივარ, ავტომანქანამ ისეთი სისწრაფით ჩამიქროლა, ორივენი შევკრთით.

– ფრთხილად, აკაკი, მანქანამ არ გაგიტანოს! – ხელს მკიდებს გიორგი.

– ნუ გეშინია, გიორგი, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მანქანას გავეტანე! – ვამხნევებ მეგობარს.

პატარა მოგონება კონსტანტინე გამსახურდიაზე

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენ კომისიაში მუშაობისას **აკაკი შანიძეს** წავუკითხე „ლიტერატურულ გაზეთში" გამოქვეყნებული **კონსტანტინე გამსახურდიას** მოგონებების, „*ლანდებთან ლაციცის*", ის ნაწილი, რომელიც მას ეხებოდა. ბატონი კონსტანტინე მოგვითხრობს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლისას ლექციაზე პატკანოვისა და ილია ჭავჭავაძის პოლემიკის ტენდენციურად გაშუქებისა და შემდეგ დეკანატში ქართულად ლაპარაკის გამო ნიკო მართან კონფლიქტი მომივიდა, რის გამო, პროტესტის ნიშნად, უნივერსიტეტი დავტოვეო. ბინად აკაკი შანიძესთან ვიყავი და მას რჩევა ვთხოვე, სასწავლებლად სად წავსულიყავი. „აკაკიმ მომიტანა ევროპის რუკა. თვალები დამიხუჭა და მითხრა: საეგებიოდ დაადევი რომელიმე ქალაქს თითი. თითი მოხვდა კენიგსბერგს და მეც ამ ქალაქში გავეშურეო.

ბატონ აკაკის ამ სიტყვებზე გაეღიმა და თქვა: რუკისა და თვალების დახუჭვის ამბავი არ მახსოვს: კენიგსბერგი კი იმიტომ შევარჩიეთ, რომ პეტერბურგთან ახლოს იყოო. ის კი მართალი გახლდათ, მარი რომ გაუჯავრდა, ქართულად დეკანატში რად დამელაპარაკეო. ეს მარმა თვით მე შემომჩივლა. მარი ცოტათი კარიერისტი იყო. ივანე ჯავახიშვილი არ გაჯავრდებოდა. ერთხელ ივანეს (მაშინ პრივატ–დოცენტი იყო) ლექციის შემდეგ გამოვედევნე და რუსულად ვკითხე, სახლში როდის იქნები–მეთქი. საღამოობით მუდამ შინ ვარო, – ქართულად მიპასუხა. სხვა დროს მასთან რუსულად არასდროს აღარ მილაპარაკია.

ბოლოს ბატონმა აკაკიმ ასეთი ეპიზოდი მოიგონა:

კონსტანტინემ კენისბერგიდან წერილი გამომიგზავნა, სადაც წერდა, ჩემი სატრფო მარო დონდუა მომიკითხეო. მე ასეთ ქალს არ ვიცნობდი. ახლაც მგონია, ეს მისი ფანტაზიის ნაყოფი უნდა ყოფილიყო. პასუხად კი სახუმარო ლექსი გავუგზავნე:

„მოგიკითხო? რომ არ ვიცნობ დონდუას ქალს, იმ შენს
მაროს?!
ღმერთმა ტკბილად შეგაბეროთ და სიკეთით მოგახმაროს.
შენ მანდ იყო, ის კი – აქა, ვა, თუ ვინმე დაემუშტრა?
ასეთია ეს ცხოვრება – ასე ამბობს ზარატუშტრა!“

ქუდი

ანტირელიგიურმა მოძრაობამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მოჰყვა, საქართველოში განსაკუთრებულად მძაფრი ხასიათი 1923–24 წლებში მიიღო, რის გამოც ისტორიულ–კულტურული ძეგლები, მეტადრე, ეკლესია–მონასტრებში დაცული განძეულობა, განადგურების საფთხრის წინაშე აღმოჩნდა და ბევრი განადგურდა კიდეც. ამ საქმის მოსაგვარებლად სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის დავალებით 1924 წლის პირველ აპრილს გურიაში **აკაკი შანიძე** და **შალვა ამირანაშვილი** ჩავიდნენ. მათ აქ დაადგინეს და აღნუსხეს დაღუპული ნივთები, გადარჩენილები აღწერეს, დიდი და უფრო მნიშვნელოვანი თბილისში წამოიღეს, ნაწილი კი, ა. შანიძის ინიციატივით, ოზურგეთში დაარსებულ *„გურიის საეთნოგრაფიო მუზეუმში“* მოსათავსებლად დატოვეს. როგორც შ. ამირანაშვილი თავის მოხსენებით ბარათში წერს, *„ა. შანიძემ ადგილობრივ ხელისუფლებას ხაზგასმით მიუთითა იმ მიუტევებელ უყურადღებობა-უვიცობაზე“*, რასაც იქ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებისადმი იჩენდნენ.

ბატონმა აკაკიმ იმუამინდელი მივლინების ერთი ასეთი შემთხვევა გაიხსენა:

– როდესაც შემოქმედის მონასტრის ეზოში სანაგვეზე მიყრილი საეკლესიო ნივთები ვნახე, ხმამაღლა შევიცხადე: ეჰ, იაკობ შემოქმედელო, წამით წარმოიდგენდი, რომ შენი რჯულის შენივე ხალხი ასე ბარბაროსულად მოეპყრობოდა სულით და გულით, დიდი გარჯით შესრულებულ შენს ნასაქმარს?!

(იაკობ შემოქმედელი, გვარად დუმბაძე, იყო XVII საუკუნის თვალსაჩინო პოეტი და საეკლესიო მოღვაწე, შემოქმედის მიტროპოლიტი).

საღამოს ოზურგეთში რომ ჩამოვედი, ერთ ადგილას მიხმეს. შევედი. ოთახში სამი-ოთხი კაცი დამხვდა. ციოდა. ტყავის ქურთუკები აცვიათ, ტყავისაევე ქუდები ახურავთ და ფეხზე დგანან.

– თქვენ, პროფესორო, თურმე, ეკლესიაში შედიხართ, ქუდს იხდით, ლოცულობთ და ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწევით! – მკაცრად მეუბნება ერთი.

– რომ ვლოცულობდე და რაიმე ანტისაბჭოთას ვლაპარაკობდე, სიმართლე არ არის! – მტკიცედ ვამბობ მე, – რაც შეეხება ეკლესიაში შესვლასა და ქუდის მოხდას, ეს სწორია. მე, მართლაც, ეკლესიაში და, საერთოდ, შენობაში შესვლისას ქუდს ყოველთვის ვიხდი. ასეა ეს მიღებული... აი, ახლაც, თქვენთან რომ შემოვედი, ქუდი მოვიხადე, თქვენ კი ყველას გახურავთ!...

ერთმანეთს უხერხულად გადახედეს.

– კარგი, კარგი, ხალხის წინაშე უფრო თავდაჭერილად უნდა მოიქცეთ! – უსიამოვნოდ ჩაილაპარაკა იმანვე და გამომიშვეს.

– ასე მიშველა ქუდის ამბავმა, – ღიმილით ასრულებს ბატონი აკაკი თხრობას.

წყნეთში

1966 წლის ზაფხულის ცხელი დღეებია. ყოველდღე ან დღეგამოშვებით **აკაკი შანიძესთან** (თბილისში) ბინაზე დავდივარ და მისი და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ვარიანტებიანი ტექსტის გამოცემაზე ვმუშაობთ. წიგნს გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბაში აწყობენ, ჩვენ ერთად, და ბატონი ალექსანდრე ცალკე, ვაკეთებთ კორექტურას და ვაზუსტებთ ცალკეულ ადგილებს.

– ნამეტანი ჩამოცხა, ხვალ ჩემი სიძე მანქანით წყნეთში ამოგიყვანთ და იქ ვიმუშაოთ, – მეუბნება ბატონი აკაკი.

მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე, ლელას მეუღლე რობერტ კახაძეს წყნეთში ავყავარ.

– სანამ მუშაობას შევუდგებოდეთ, მანამ ჩემს აგარაკს დაგათვალიერებინებთ. – მკლავში ხელს მკიდებს ბატონი აკაკი და ეზოში გავდივართ.

– აი, გახედე, იმ ტოტზე ჩიტის ბუდეა. აბა, ისე კი არ არის საქმე, ზოგიერთს რომ ჰგონია! – იღიმება მასპინძელი.

დათვალიერებას რომ მოვრჩით და, ის იყო, სამუშაო მაგიდასთან მივედით, ბატონი აკაკი იქვე სანახევროდ აშლილ ჭადრაკის დაფაზე მითითებს და ღიმილით მიხსნის: გუშინ რობერტს ვეთამაშებოდი. მან ეს სვლა გააკეთა, მე ასე ვუპასუხე და ნახე, როგორი შამათი მიიღო.

– ასე რომ ეთამაშა? – ვაკეთებ მე სხვა სვლას.

ვარჩევთ ამ და სხვა ვარიანტებსაც და სიძე მაინც წაგებული გამოდის.

– ჭადრაკის მოყვარული თუ იყავით, არ ვიცოდი, – ამბობს და მთავაზობს, ერთი ხელი ვითამაშოთო.

მე დიდი მონდომებითა და დაკვირვებით ვაკეთებ სვლებს, ის ჩქარობს. ამის შედეგი იყო, რომ პარტია მე მოვიგე. მეორე ხელზე კი მან მეტი გულმოდგინება გამოიჩინა და მომიგო.

– წუხელ ფეხბურთს უყურე? – მეკითხება ბატონი აკაკი.

მაშინ მსოფლიო ჩემპიონატი ტარდებოდა ფეხბურთში და თითოეული მატჩის ტელერეპორტაჟი მეორე დღეს მეორდებოდა.

– კორეამ რა დღე აყარა საბჭოთა კავშირს! – ახალგაზრდულად იცინის მხცოვანი მეცნიერი და ტელევიზორს რთავს.

თუმცა საბჭოთა კავშირისა და კორეის ნაკრებთა წინა დღის თამაში ორივეს ნანახი გვქონდა, თავიდან ბოლომდე კვლავ ვუყურეთ. ამასობაში სადილობის დროც მოვიდა.

ქალბატონმა ლელამ სუფრასთან მიგვიწვია. სხვა საჭმელებთან ერთად არის ინდაურის საცივი, ღომი და სულგუნი. ბატონმა აკაკიმ ჩემს თეფშს ხელი წააელო.

– ნუ შეწუხდებით, თვითონ გადავიღებ? – ვეწინააღმდეგები მე.

– თქვენ კარგ ნაჭრებს შეარჩევთ! – კვლავ იღიმება ბატონი აკაკი და თეფშზე ინდაურის ბარკალსა და გულმ-

კერდის ნაჭრებს მილაგებს. საჭმელს რამდენიმე ჭიქა შავი „ადესის“ ღვინოც მივაყოლეთ.

– დღეს მუშაობა არ გამოგვივიდა, ხვალ თბილისში ჩამოვალ და ჩვენს საქმეს იქ მივხედოთო. – სუფრიდან წამოშლისას ამბობს ბატონი აკაკი.

უკვე ნაშუადღევი იყო, მე და ბატონი რობერტი მანქანით წყნეთის დაღმართს დავუყევით.

ცხელი დღე და ცხელი ჩაი

ნასადილევს **აკაკი შანიძეს** ჭადრაკის თამაში უყვარდა, რომლის დროსაც, რადგან დიაბეტი აწუხებდა, გვერდზე უშაქრო ცხელი ჩაი ედგა და ნელ-ნელა წრუპავდა. ერთ დღეს იგი ჭადრაკს თავისი დისშვილის ქმარს, **ლევან კიკნაძეს**, ეთამაშება. დისშვილმა, **ნელი ლეჟავამ**, უმალვე ჩაი მიართვა. ბატონი აკაკი მონუსხულივით დასჩერებია ჭადრაკის დაფას.

– ბიძია, გაცივდება ჩაი. – შეახსენა ნელიმ.

– დამაცათ, კაცო, ცხელი ჩაის თავი მაქვს ახლა, მოდი ერთი აქ და ნახე, რა ცხელი დღე მადგას!

„დარჩია“ სახელისა და გვარის შესახებ

აკაკი შანიძემ ჩემ თვალწინ გამოიკვლია „დარჩი", „დარჩია" სახელთა წარმომავლობა, საიდანაც, მისი აზრით, მიღებულია ჩემი გვარი – „დარჩია" და *ამავე ფუძის შემცველი გვარები – „დარჩიაშვილი“, „დარჩიძე“* და სხვა.

სანამ ამ გამოკვლევას გამოაქვეყნებდა, მითხრა, რომ ფშაველიც „დარჩია“ კაცის სახელია (მე მახსოვდა თბილისის მელიქი დარჩია), ისე როგორც ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონში“ ნახსენები „ბერიძე“ სახელია („ბერიძე მყვანდა ქმარია“). მიამბო ხევისბერ დარჩია მისრიაულზე, რომელმაც ამ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ თამარ მეფისა და ლაშარის ჯვარნიშნები არაგვის ხეობიდან თავის სახლთან ახლოს, იერის ხეობაში, გადაიტანა. ამის გამო მას ლექსი გამოუთქვეს:

ნურც დარჩენიხარ დედასა,
შე მისრიათ დარჩიაო!
თამარ-ნეფე და ლაშარი

ერთ დღეს, დათქმულ დროს, ბატონ აკაკისთან ბინაზე მივედი. ვხედავ, კარებში პატარა ქაღალდია გარჭობილი და ზედ წერია:

„შე მისრიათ დარჩია, ბინის ქირის გადასახდელად გაეედი და ახლაევე დავბრუნდები".

ორი წუთიც არ გასულა, ლიფტი ჩერდება და იქიდან ბატონი აკაკი გადმოდის. ხელში მისივე დანატოვარი ქაღალდი რომ შემნიშნა, სახეზე ღიმილი მოეფინა.

ნიკო კეცხოველის შესახებ

აკაკი შანიძესთან ერთად ოჯახის წევრები სადილად ვსხედვართ, — იგონებს ბატონი აკაკის დის შვილიშვილი **ზაზა კიკნაძე**. — სიტყვა მოსწრებულ სიტყვა-პასუხზე ჩამოვარდა და აკაკიმ გვიამბო:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მსუბუქი მანქანით მე, **ნიკო ბერძენიშვილი** და **ნიკო კეცხოველი** აეროდრომზე რომელიღაც დელეგაციის დასახვედრად მივდივართ. წინ, მძღოლის გვერდით, ვზივარ. მე და ნიკო ბერძენიშვილი სხვადასხვა ამბებს ვყვებით. ნიკო კეცხოველი თავისთვის ზის. უნივერსიტეტის რექტორობიდან ახალგადაყენებულია, საოცრად დაღონებულია, დანა პირს არ უხსნის და საუბარში მონაწილეობას ოდნავადაც არ ღებულობს.

(ბატონი აკაკი 1948–1950 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ, მაგრამ აკადემიის პრეზიდიუმის ადმინისტრაციულ საქმიანობაში მონაწილეობას შემდეგაც ღებულობდა. ჩანს, ეს ამბავი 1953 წლის ივლის-აგვისტოში ხდება. ბატონი ნიკო უნივერსიტეტის რექტორი 1945 წლის ივლისიდან 1953 წლის ივლისამდე ბრძანდებოდა. ცნობილია, რომ იგი სახელგანთქმული რექტორი გახლდათ. მან ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ დაწესებულებას, მის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს უამრავი სიკეთე მოუტანა. მაგრამ, ამავე დროს, ყველას მიმართ იყო მოურიდებელი და მკაცრი).

— კარგი რა, ნიკო, — მივუბრუნდი კეცხოველს, — რა მოგივიდა, შე კაცო, გამაგრდი, ცოტა ხანში ეს ყველაფერი გაგივლის.

– ეჰ, ჩემო აკაკი, კი, გამივლის, მაგრამ, სანამ გამივლიდეს, გაძლება არ უნდა?! – მიპასუხა თუ არა, ელვის სისწრაფით მივუგე:

– ნიკო, ჩვენ შენ გაგიძელით, შენ კი ამას ვეღარ უნდა გაუძლო?!

– მოხდა ნამდვილი საოცრება. ნიკომ დევივით გადაიხარხარა, კარგა ხანს იცინა და თანამგზავრებს გამოგვეცხადა ძველებურად ხალისიანი, ჩინებულად მოსაუბრე, მრავალმხრივი მამულიშვილური მეცნიერული და ლიტერატურული იდეებითა და ინტერესებით აღსავსე ნიკო კეცხოველი.

„ნუ გააღებ დარიალსა“

აკაკი შანიძეს დაბადების 80 წლისთავი საქართველოში საკმაოდ ფართოდ აღინიშნა. შეხვედრა მოვუწყვეთ ლიტერატურის ინსტიტუტშიაც. მისასალმებელ სიტყვაში **ბესო ჟღენტმა** გაიხსენა აკაკი შანიძის ქართული ეროვნული ჰიმნი *„ალიფაშას ხმაზე“* და რიხიანად დაიწყო:

> „აბა, ფხიზლად, ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
> წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
> ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგან ცალსა!
> ყური ვუგდოთ გურჯი ბოლაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!... “

ამ ლექსს არავინ ახსენებდა. თავად ავტორიც გულდაგულ მალავდა. ახალგაზრდებმა მის შესახებ უფრო ყურმოკვრით ვიცოდით და ბევრს წაკითხულიც არ გვქონდა. ახლა კი ბატონი ბესო ამას ასე მოურიდებლად და ხმამაღლა წარმოთქვამდა. განსაკუთრებით შეგვაშინა სიტყვებმა „და *ნუ ვაღებთ დარიალსა*“. დარბაზი ერთბაშად შეიშმუშნა და გამოცოცხლდა. ბესო უნიჭიერესი ორატორი იყო, მაშინვე იგრძნო დარბაზის განწყობილება და ლექსს ერთბაშად მიაყოლა: დიახ, დიახ, ნუ გავაღებთ დარიალსაო. მაშინ იქიდან დენიკინი მოდიოდა და ნუ შემოვუშვებთო, და მისებურად – ჰი, ჰი, ჰიო, – ჩაიქირქილა. სიცილი მთელ დარბაზს გადაედო!

აკაკის სახლ-მუზეუმის გახსნა

1998 წლის 27 სექტემბერს **აკაკი შანიძის** მშობლიურ სოფელ **ნოღაში** მისი სახლ-მუზეუმი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა (უსახსრობის გამო იგი მალევე დაიხურა და დღემდე ასეა).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ნოღაში მრავალი სტუმარი ჩავიდა. სტუმრებს წინ მოეგებნენ სოფლის წარმომადგენლები და უნივერსიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკან **ამირან გომართელს** განუცხადეს: ჩვენ, სოფელს, გადაწყვეტილი გვქონდა, ეს ღონისძიება ჩაგვეშალა და სოფელში არც შემოგვეშვით. აქ გაუსაძლისი ვითარებაა, შუქი არა გვაქვს, ხელფასებს და პენსიებს არ იძლევიან და ა. შ. მაგრამ მერე ვთქვით, აკაკი შანიძეს რა ბრალი მიუძღვის ამაში და ბოიკოტი გადავიფიქრეთო.

საზეიმო სხდომის დაწყება 12 საათისთვის იყო დანიშნული და იგი იმერეთის გუბერნატორ **თემურ შაშიაშვილს** უნდა გაეხსნა, მაგრამ იგი არა და არ ჩანდა. თურმე, იმავე დღეს ქუთაისში მასვე გაუხსნია ე. წ. *გამარჯვების მემორიალი*. იგი შემდეგ მიხვილ საკაშვილის მთავრობამ ააფეთქა, რასაც ორი ადამიანის, დედა-შვილის, სიცოცხლე შეეწირა.

ორი საათი რომ შესრულდა და გუბერნატორი მაინც არ ჩანდა, ამირან გომართელმა საზეიმო მიტინგი გახსნა და სიტყვა **ზურაბ ჭუმბურიძეს** მისცა. ამ დროს ბატონი თემურიც მობრძანდა და ზურაბის შემდეგ გამოვიდა. მან თავისი გამოსვლა იმით დაიწყო, რომ *ნოღელებს ერთი დიდი სასიხარულო საქმე უნდა მოგილოცოთო*. და ხალხს რომ ეგონა, ახლა გვეშველებაო, გუბერნატორმა განმარტა: ***ნოღა ინტერნეტქსელში ჩაირთოო***.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ინტერნეტქსელი და კომპიუტერი რა ხილი იყო, არავინ იცოდა!

კურიოზები

დიდ მეცნიერებზე ბევრჯერ გაიგონებთ კურიოზულ ამბებს, რომლებიც მათ თავიანთი საკვლევაძიებო საქმიანობის უზომოდ გატაცების გამო ყოფით ცხოვრებაში ხვდებათ ხოლმე. უმეტესად ამგვარი მონათხრობი ტყუილია ან გაზვიადე-

ბული. ვის არ სმენია ნიუტონის დაბნეულობაზე. ერთი ვარიანტი ასეთია: თითქოს მან ბაყაყი დაიჭირა, ჯიბის საათი ამოიღო, პულსი გაუსინჯა, ბოლოს საათი მდინარეში გადააგდო და ბაყაყი ჯიბეში „ჩაიდო".

გამიგონია კი არა, მგონი, წამიკითხავს: ვითომც, ივანე ბერიტაშვილი ვარაზისხევით უნივერსიტეტში ქანაობითა და კოჭლობით ამოდიოდა. როცა აღმართი აათავა, მაშინ მიხვდა, რომ ცალ ფეხს ქვაფენილზე ადგამდა, მეორეს – ტროტუარზე.

ფილოლოგები ჰყვებიან: ცნობილ პედაგოგსა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენ **სილოვან ხუნდაძეს** ცოლმა ჩხუბისას მიახალა: *ძაღლმა მიგაკვდა სულშიო.* სილოვანმა მას დინჯად აუხსნა: *„ძაღლმა მიგაკვდა"* კი არა, *„ძაღლი მიგაკვდა"* უნდაო.

სინამდვილე, როგორც მათმა შვილიშვილმა ნანა თოთიბაძემ გადმოგვცა, ამგვარი ყოფილა: უამრავი საქმით დაღლილ სილოვანის მეუღლეს პატუ (პარასკევა) მიქელაძეს დაუჩივლია: *ამისთანა ცხოვრებას ძაღლმა მიაკვდა სულშიო.* სილოვანის ენობრივ შენიშვნაზე ქალს უკან არ დაუხევია და მეუღლისათვის იუმორით შეუტევია: *სილოვან, ძაღლმა მიაკვდა მაგ შენს გრამატიკასო.*

ამ ამბავსაც ფილოლოგთა წრეში გაიგონებთ: ერთი მოღვაწის პანთეონში დაკრძალვის სათხოვნელად **აკაკი შანიძე** და **გიორგი ახვლედიანი** მთავრობაში გიორგი ძოწენიძესთან (ზოგიერთის თქმით, – გიორგი სტურუასთან) მივიდნენ. კაბინეტში ბატონი აკაკი შევიდა. დამხვდურმა მას აუხსნა: პანთეონში ადგილი აღარ არის. ცოტა გვადროვეთ, ახალ პანთეონს გაეხსნით და შემდეგ მწერლები და მეცნიერები, რამდენიც გნებავთ, *კედით* და *კედით*, ადგილი სავსე გვექნებაო.

– *კედით* და *კედით*, ასე ბრძანეთ არა? ხომ ვამბობდი, ეს ფორმა არსებობს–მეთქი! – გახარებული აკაკი ფეხზე წამოიჭრა და აღფრთოვანებული გარეთ გამოვარდა. გიორგი ახვლედიანმა სახეგაბრწყინებული მეგობარი რომ დაინახა, იფიქრა, საქმე გაკეთებულიაო.

იმასაც ჰყვებიან: აკაკი შანიძეს უთხრეს, თქვენი ქალიშვილი *მაშინამ* გაიტანაო. აკაკიმ უპასუხა: *მაშინამ* კი არ გაიტანა, *მანქანა* დაეჯახაო.

როგორც აკაკი შანიძის შვილებმა, ქალბატონებმა **მზექალამ** და **ლეილამ**, დამიდასტურეს, არც ერთი და არც მეორე ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება. ორივე ანეკდოტია.

რაც შეეხება „კვდით" ფორმას, ისიც გამიგონია: როცა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი გააფართოვეს, მაშინ, თითქოს, მთავრობის ერთ წარმომადგენელს, **ბენო გოგუას**, რომელიც კულტურას განაგებდა, ეთქვას: ა, ბატონო, ახლა ადგილები გვაქვს, *კვდით* და *იმარხეთო*. მაგრამ ესეც მოგონილი უნდა იყოს.

სხვა ამბები

სიტყვის ძალა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტ-ეკონომიის ლექტორი **ოთარ ტატიშვილი**, ბრგე და ჩაფსკენილი კაცი, დისციპლინის მკაცრი მომთხოვნი იყო. პირველი დღიდანვე გაგვაფრთხილა, რომ ლექციაზე დაგვიანებით შემოსვლას, ჩურჩულსა და მოძრაობას არაფრით დაუშვებდა. გაგვაფრთხილა და თავის სიტყვას განუხრელადაც ასრულებდა. ყველას გეშინოდა მისი, დავემორჩილეთ და ლექციებზე გასუსულები ვისხედით.

ერთ დღეს რასა ვხედავ: ლექცია 10–15 წუთის დაწყებული იქნება, კარები შემოაღო ჩვენმა კურსელმა, ყოველმხრივ საუკეთესო სტუდენტმა **ირინე ქერქაძემ**. შემცბარი შემოვიდა, კარებთან დადგა და მიკნავებული ხმით იკითხა, თუ შეიძლებაო.

დიდი და ტერასისისებური მაღალი აუდიტორია იყო. ბატონი ოთარი შუა ოთახში იდგა და გეესაუბრებოდა. უმალვე გეელნაკბენივით შებრუნდა და უხმოდ, ნელა, შემპარავი ნაბიჯით კარებისაკენ წავიდა. მოსულს ამაღლებული იატაკიდან თავზე დაადგა და მონუსხულივით უყურებს. აუდიტორიაში სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა.

– რატომ დააგვიანეთ? – ბოლოს დაბალი ხმით, მაგრამ სუსხიანი კილოთი კითხულობს ლექტორი და ეგრძნობთ, ამას მეხის გავარდნა მოჰყვება.

– არ დამიგვიანია... დამაგვიანდა! – ცოტაოდენი დუმილის შემდეგ კვლავ ამოიკნაველა ირინემ.

ბატონმა ოთარმა ღრმად ჩაისუნთქა, ნერვიულად მოკუმულ ბაგეებზე რაღაც ღიმილისმაგვარმა გადაურბინა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– აჰ, რა ხართ ეს ფილოლოგები! – შემდეგ დაუმატა: – კარგი, დაბრძანდით!

გაოცებული დავრჩით, ირინეს გამბედაობამ, გულწრფელობამ და სიტყვის ნიუანსის ცოდნამ ასე რომ გაჭრა!

„დეკამერონი“ – პედაგოგიკის სახელმძღვანელო?

თამაზ კარანაძე, რომელიც ათეული წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიკის კათედრას განაგებდა და სხვადასხვა ფაკულტეტზე ამ საგანს ასწავლიდა, ჰყვება:

– ფილოლოგიის ფაკულტეტზე (ფილოლოგიას ხაზს ვუსვამ!) პედაგოგიკაში გამოცდები რომ მოახლოვდა, სტუდენტი გოგონა მეკითხება: რომელი სახელმძღვანელოთი მოვამზადოთო. კაცმა რომ თქვას, ამაში მოულოდნელი და საძრახისი არაფერია. მაგრამ, რადგან თავიდანვე და შემდეგ ყველა ლექციის ბოლოს საჭირო ლიტერატურას საგანგებოდ ვაწერინებდი, ამ შეკითხვამ გამაღიზიანა და ვუთხარი: „დეკამერონით“.

... და რას ვხედავ, გოგონა ამას იწერს და ირგალივ მყოფი 10–15 სტუდენტი რაიმე რეაქციას არ ამჟღავნებს!

სამჯერ მიწაში გავლა

იმის აღსანიშნავად, რომ **ნიკოლოზ ბარათაშვილს** ბედმა სამჯერ არგუნა დასაფლავება (განჯაში, დიდუბესა და მთაწმინდაზე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მისაღებ გამოცდაზე წერით ნამუშევარში აბიტურიენტს ეწერა: „*ნიკოლოზ ბარათაშვილმა სამჯერ გაიარა მიწაში*".

დამატება თუ გარემოება?

ენათმეცნიერი **ლევან კიკნაძე** ფეხბურთის დიდი მოყვარული იყო და სტადიონზე ხშირად დადიოდა. ერთხელ, უკვე სტუდენტი აღარ ვიყავი, თამაშს ვესწრები და ვხედავ, ის ჩემ წინ, ოდნავ გვერდზე, ზის. მოედანზე დაძაბული ორთაბრძოლა მიმდინარეობს. აი, ჩვენები უტევენ და კარის აღების საუკეთესო შემთხვევას ხელიდან უშვებენ. სტადიონს გმინვა აღმოხდა. ვიღაც შორიახლოს ყვირის: *დამატება უნდოდა, დამატებაო!*.

– დამატება და გარემოება არ გინდა კიდევ?! – ჩვეული სიდინჯით უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ბატონმა ლევანმა.

პატივისცემა

საქართველოში რომ არეულობა დაიწყო, **თემურ მირიანაშვილი** ქართული ლიტერატურის კვლევიდან პოლიტიკაში გადაეშვა და ზედიზედ ყოველ წელიწადს მწვავე პუბლიცისტურ სტატიებს ბეჭდავდა. დადგა ის დროც, რომ პრესის ფურცლებზე ის და **ლევან ბერძენიშვილი** საშინლად, დაუნდობლად ერთმანეთს შეეჯახნენ. რადგან მაშინ ლევანი ძალიან გასუქებული იყო, თემურმა სტატიის ბოლოს დაუწერა, *ნამდვილი კიკა ხარო*.

პლეხანოველი კიკა უშნოდ მსუქანი, ღაბაბიანი, რაღაც მიზეზის გამო გონებაჩამორჩენილი ახალგაზდა კაცი იყო. წინა საუკუნის 50-იან და მომდევნო რამდენიმე ათეულ წლებში მას ყველა თბილისელი იცნობდა და ზოგი სიბრალულით, ზოგიც თავშესაქცევად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა – გამოელაპარაკებოდნენ და ალაპარაკებდნენ.

შეეცდებით: როგორც **ხრუშჩოვსა** და **ბულგანინს** თავიანთი აღზევების დროს ინდოეთში ჩასვლისას კისერზე ყვავილების წნული ჩამოჰკიდეს, ახალგაზრდებს კიკასთვისაც მსგავსი ასხმა გაეკეთებინათ, პლეხანოვზე დაატარებდნენ, უკან ჯგროდ მიჰყვებოდნენ და აძახებინებდნენ: *ხრუშჩოვი ეარ, ხრუშჩოვიო* (ხრუშჩოვს იგი სიმსუქნითა და მოტელეპილი თავით მართლაც ჩამოჰგავდა).

ერთხელაც საახალწლოდ აბანოში ვიყავი. იმდენად ზედმეტი ხალხი შემოეშვათ, საშხაპეებთან უშველებელი რიგები იდგა. უცებ საშხაპეები გათავისუფლდა, მათ ბანაობა

მიატოვეს და ერთ ადგილას ხმაურითა და მხიარული შეძახილებით შეგროვდნენ. დაბანვას რომ მოვრჩი, მათთან მივედი, ძლივს გავძვერი და ვხედავ: საბანაო ქვის ტახტზე კიკა დაუწვენიათ, ზოგს მისი ერთი მკლავი უჭირავს, ზოგს მეორე, ასევე – ფეხები და მთელს თავსა და ტანს, არა *მე მიმიშვი* და არა *მეო*, სიცილ-ხარხარით ბანდნენ...

ახლა თემურის სტატიას დავუბრუნდეთ. იგი პირველად გაზ. *„ლიტერატურულ საქართველოში“* დაიბეჭდა და დაიბეჭდა აღნიშნული ბოლო ფრაზის გარეშე. ამაზე თემურმა გაზეთის მთავარ რედაქტორ თამაზ წივწივაძესა და სხვა თანამშრომლებს დიდი საყვედური უთხრა, მაგრამ ყველამ იუარა, ჩვენ არ გაგვიკეთებიაო. ბოლოს გაირკვა: იგი კომპიუტერზე ტექსტის ამკრეფ ქალს თვითნებურად ამოელო, რომელმაც თვითდაჯერებულად განაცხადა, *კიკას რას ერჩითო?!*

უცნაური ის იყო, რომ თემურმა ეს წერილი ორ სხვა გაზეთშიც გამოაქვეყნა და ორივეგან იგივე გამეორდა: შედარება ორივეჯერ და იმავე მოტივით კომპიუტერის ასოთამწყობმა ქალებმა ამოიღეს!

კიკას დასაფლავების შესახებ კუკიის მესაფლავე ამბობს: *„თბილისელი კოლორიტებიდან აქ **თენგიზ კერესელიძე** – პლეხანოველი კიკა – მარხია. მის დაკრძალვას უამრავი ხალხი ესწრებოდა. ნაღდმა თბილისელმა ბიჭებმა უზარმაზარი ქელეხი გადაუხადეს“* (ჟურ. „სარკე“, 2003, № 31, გვ. 14).

„აღიარება“

ცხოვრებაში რაღაც-რაღაცეები ვაკეთე, მაგრამ „აღიარება“ სხვა რამეში მივიღე.

როცა 75 წლისა გავხდი, **ზაზა კიკნაძემ** დაბადების დღე ტელეფონით მომილოცა და მითხრა: შეგიძლია იამაყო იმით, რომ ცხოვრებაში იმას მიაღწიე, რაც საქვეყნოდ სახელგანთქმულმა პირებმა, მათ შორის მსოფლიოს ბელადებმა, ვერ შეძლესო. შენს ასაკამდე ვერ მიაღწიეს ვერც მარქსმა და ენგელსმა და ვერც ლენინმა და სტალინმაო.

– გეყოფა, გეყოფა-მეთქი და „მადლობა“ გადავუხადე.

3. ლიტერატურის ინსტიტუტის ცხოვრებიდან

კორნელი კეკელიძის „წუხილი“

ზოგჯერ „ზევიდან მითითებით“ ინსტიტუტში გადმოჰყავდათ ცეკასა თუ სხვა პარტიულ სამუშაოზე მყოფი მუშაკები, რომლებიც ლიტერატურასა და მეცნიერებაში არაფერს წარმოადგენდნენ. ლიტერატურის ინსტიტუტიდან ასე დაითხოვეს ცნობილი მეცნიერები – **გრიგოლ კიკნაძე** და **დავით კობიძე**, თანაც, ამგვარი ფორმულირებით: *„ინსტიტუტის გაძლიერების მიზნითო“*. ერთი ასეთი გადმოყვანისას **კორნელი კეკელიძეს** უკითხავს: რატომ გააკეთეს ესო?

– ინსტიტუტის გასაძლიერებლადო. – უპასუხია **გიორგი აბზიანიძეს**.

– მერედა, ის ადგილები რომ დასუსტდეს, საშიში არ იქნება? – ცოტაოდენი დუმილის შემდეგ ჩაულაპარაკია ბატონ კორნელის და თვალები ეშმაკურად ასციმციმებია.

„პირუთვნელი“ სოციალისტური შეჯიბრება

საბჭოთა ხელისუფლების დროს შრომით კოლექტივებს შორის ე. წ. *სოციალისტური შეჯიბრებები* იმართებოდა. ასეევე იყო მეცნიერებათა აკადემიაშიც, სადაც ინსტიტუტების „შეჯიბრება“ აკადემიის განყოფილებათა მიხედვით ეწყობოდა. ყოველი წლის დასაწყისში აღირიცხებოდა, წინა წელს ინსტიტუტის თანამშრომლებმა რამდენი ნაშრომი გამოაქვეყნეს, რამდენმა დაიცვა ან დასაცავად გადასცა დისერტაცია, სად რა ლექცია და მოხსენება იქნა წაკითხული და ა. შ. გამარჯვებულ ინსტიტუტს გარდამავალი დროშა გადაეცემოდა ხოლმე. ერთ წელიწადს ეს შეჯიბრება ორჯერ ჩატარდა. პირველად ოქტომბრის რევოლუციის რომელიღაც მრგვალ თარიღთან დაკავშირებით, მეორედ – წლიური. წლიურ შედეგებს ჩვეულებრივ ინსტიტუტის სწავლული მდივანი წერდა, მაგრამ, რადგან იმ წელს პირველი შეჯიბრება რევოლუციას მიეძღვნა, ეს საქმე, ვითარცა ადგილკომის თავმჯდომარის მო-ადგილეს,

მე დამევალა. ბევრი ვიშრომე, პატიოსნად, დოკუმენტურად აღვრიცხე ყველაფერი, სათანადოდ გავაფორმე და ათი თვის ეს მონაცემები აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში წარვადგინე.

გაიდა ხანი და გვაცნობეს, რომ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (მაშინ მისი დირექტორი **გიორგი წერეთელი** გახლდათ).

დამთავრდა წელი. ინსტიტუტს კვლავ მოსთხოვეს სოციალისტური ვალდებულების განაღდების წლიური ანგარიში. ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა **რამაზ (ნუკრი) კობიძემ** მთხოვა: რადგან 10 თვის შედეგები შენ დაწერე, ბარემ მას ნოემბრ-დეკემბერიც დაუმატეო. სასტიკად ვიუარე. ბოლოს, მოცემული ვადა რომ ამოიწურა და ვნახე, სწავლულ მდივანს არაფერი გაეკეთებინა, ჩემი შედგენილი 10 თვის ანგარიში შეუსწორებლად, მხოლოდ სათაურის ცვლილებით გადავაბეჭდვინე და აკადემიაში ისე წარვადგინე.

და იცით, რა მოხდა? გამარჯვებული ჩვენი ინსტიტუტი გამოვიდა!

დიახ, ნამდვილად ასე იყო: **10 თვის შედეგები რომ 10 თვისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, ამავე მონაცემმა წლიური გამარჯვება გვარგუნა!**

მთავრობამ მოგვატყუა!

როცა ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერი-თანამშრომლის თანამდებობაზე ვმუშაობდი, ხელფასი 80 მანეთი თუ ოდნავ მეტი მქონდა. აქედან საშემოსავლოსა და უშვილობის გადასახადს მიქვითავდნენ. ამ დროს ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ, დაადგინა: ამა და ამ რაოდენობის ხელფასი აღარ დაიბეგრებოდა. ამის შემდეგ ხელფასს სრულად მაძლევდნენ. მაგრამ ასე გაგრძელდა მხოლოდ ნახევარ წლამდე. შემდეგ დაქვითვა ისევ დაიწყეს, როგორც მანამდე იყო და აღებული დასაბეგრავი ფულიც ზედ მიაყოლეს. ძალიან გამიჭირდა, როცა ხელფასი ხელზე უკვე მეოთხედამდე შემცირებული მომეცა.

მაშინ მიღებული იყო და შეკითხვა გავუგზავნე გაზეთ „თბილისის“ რედაქციას: უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ თავისი დადგენილება შეცვალა თუ რა მოხდა-მეთქი?

რედაქციიდან მივიღე წერილობითი შეტყობინება: თქვენი შეკითხვა თბილისის საქალაქო საბჭოს გადაეგზავნა და იქ ამა და ამ კაცს ამა და ამ ოთახში მიაკითხეთო.

მივედი. როგორც კი განვუცხადე, ვინც ვიყავი, შესანიშნავი გარეგნობის კაცი ფეხზე წამომიდგა, შემომეგება, ხელი ჩამომართვა, დამსვა და ქება დამიწყო: რა კარგი ახალგაზრდა ბრძა-ნებულხართ, რომ ცხოვრების მაჯისცემას თვალყურს ასე ადევნებთ, ოღონდ მხედველობიდან ერთი ნიუანსი გამოგპარვიათო: იმავე დადგენილებით, დამატებით დასვენების დღედ შაბათი ცხადდება. და, თუ ამას გადავთვლით, რაც ხელფასი იბეგრებოდა, შეღავათი კიდევ მეტი გამოვაო.

არ დავეთანხმე. გაზეთი ამოვიღე და ვაჩვენე: დადგენილება პუნქტობრივად არის ჩამოყალიბებული და შაბათის უქმედ გამოც-ხადება ცალკეა მოცემული-მეთქი.

სახეზე აიჭრა, სიბრაზე ველარ მოთოკა და შემომიტია: შე კაცო, ინტრიგანი ხომ არ ხარ, ნახე, ეს ჩვენი სამოქმედო დებულება ჩემი დაწერილი კი არაა, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგზავნილია და მეტს რასა მთხოვო.

პირველი, რაც თავს შემოვუძახე, ეს იყო: წონასწორობა არ დამეკარგა და უხეშად რაიმე არ წამომცდენოდა. წყნარად მივუგე: თქვენმა ზეპირმა ახსნამ არ დამაკმაყოფილა. გთხოვთ, წერილობით გამცეთ პასუხი. თქვენს პასუხს მოსკოვში გავაგზავნი და იქ შევა-მოწმებ. ახლა კი ყოველივე ამას „თბილისის“ რედაქციას ვაცნობებ-მეთქი.

ფეხზე წამოვდექი. მანამდეც რამდენიმეჯერ, თითქოსდა სხვათა შორის, მკითხა, სად მუშაობო, ახლა კი შეკითხვა მკაცრად გამიმეორა: რისი გეშინია, რატომ მალავ, სად მუშაობო?

— ამ საკითხისათვის ჩემს სამსახურს არავითარი მნიშ-ვნელობა არა აქვს, მაგრამ, რადგან ასე გაინტერესებთ, მოგახ-სენებთ: ამა და ამ ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად ვმუშაობ-მეთქი. — დავემშვიდობე და წამოვედი.

მეორე დილით ჩვენი ინსტიტუტის მთავარი ბუღალტერი **ლენა შავგულიძე** სამსახურში ატირებული დამხვდა: *სად იყავი, ბიჭო, სად გვიჩიენლეო.* ბოლოს: *მაჩაბელი გიბარებს და მიდიო.*

მივედი. **კოტე მაჩაბელი** აკადემიის მთავარი ბულალტერი იყო. გამომკითხა, *რა იყოო?* ყველაფერი მოვახსენე და დავძინე: *გულწრფელად მაინტერესებს, თავისი გადაწყვეტილება მთავრობამ შემდეგ განიხილა და შეცვალა თუ მარტივად... მოგვატყუა-მეთქი?* ბატონმა კოტემ ხელი მკლავზე მომკიდა და ხმადაბლა მითხრა: *კი, კი, მთავრობამ მოგვატყუა და შენ შენს საქმეს მიხედეო.*

— აგაშენათ ღმერთმა, სხვა რამ არც მე მაწინტერესებს-მეთქი, — მადლობა გადავუხადე და წამოვედი.

ჩემი მეგობარი გივი ანდღულაძე

დედა ანდღულაძე მყავდა, გივიც დედაჩემის სოფლიდან, ძიმითიდან, არის, მაგრამ ნათესავად არ მერგება, მხოლოდ სკოლელი მეგობარია. როცა ძიმითის საშუალო სკოლის მეცხრე კლასში გადავედი, ის ერთი წლით წინ იყო და საუკეთესო სწავლით გამოირჩეოდა. გამოირჩეოდა აგრეთვე ჭადრაკის თამაშით. ჩვენ, მოსწავლეებს, ხომ მუსრს გვავლებდა, მასწავლებლებსაც არანაკლებ დღეს აყენებდა. შეიყვანდნენ სამასწავლებლოში და ხან ერთი მასწავლებელი ეთამაშებოდა და ხან — მეორე. გივი ერთხანს თბილისის საქალაქო საბჭოში ინჟინრად მუშაობდა. იმ დროს იქაურ თანამშრომლებთან **მიხეილ ტალმა** ჭადრაკში რამდენიმე (ოცამდე) დაფაზე ერთდროული სეანსი ჩაატარა და ყველა მოიგო, გარდა ერთისა: მხოლოდ გივიმ შეძლო ყაიმის მიღწევა.

გივი და მისი მეუღლე **ზირა ღლონტი**, ორივე, შობა დღეს არიან დაბადებული და, სანამ დროება არ გაფუჭდებოდა, ამ დღეს ყოველთვის მათთან ვიყავი. ახლა, ორ ათეულ წელზე მეტია, თავი ძლივს გაგვაქვს და დღესასწაულებს ერთმანეთს მხოლოდ ტელეფონით ვულოცავთ.

ორმოცი წლის წინათ მორიგ დაბადების დღეზე, საღამოს, გივისა და ზირას ჩვეულებისამებრ შინ ვესტუმრე. ორი კვირის ნაგრიპალი ვიყავი და იმ დღეს გარეთ პირველად გამოვედი. გივი შინ არ დამხვდა. ზირას ვუამბე ჩემი ავადმყოფობის შესახებ და სხვათა შორის დავსძინე: *ახლა ჩვენი სამსახურის მშენებარე კოოპერატიულ ბინას სართული დაუმატეს და, ფული რომ მქონდეს, ერთოთახიანისათვის შევიტანდი-მეთქი.*

ზირა გამოცოცხლდა და მეუბნება: *აუცილებლად შედი, ფულს ჩვენ მოგცემთო.*

მაშინ მე დეიდაჩემის ეზოში, სადაც ვცხოვრობდი, მეორე სართულზე ერთი პირი აგურით მიშენებული 12 კვადრატული ოთახი მეჭირა, რომელსაც 8 კვადრატული შუშაბანდი და საერთო სამზარეულო ჰქონდა. საერთო საპირფარეშო კი პირველ სართულზე იყო. უკაცრავად სიტყვაა, რამდენჯერ დაბლა ჩამოვსულვარ, მათ შორის სიცხიანი, და საპირფარეშოს რიგში მიყურყუტია. ასევე იყო იმ ავადმყოფობის დროსაც.

ზირას შემოთავაზება, როგორც იტყვიან, ერთ ყურში შევუშვი და მეორეში გამოვუშვი. ერთოთახიან ბინას პირველ შესატანად 1 900 მანეთი სჭირდებოდა, მე კი შინ 300 მანეთამდე მიჭყაოდა.

მოვიდა გივი და შემოსვლისთანავე ზირამ ჩემი ბინის ამბავი აუწყა.

— ერთოთახიანი რაა, — ამბობს გივი, — შეხვალ და უბინაო იქნები, ოროთახიანი მაინც უნდა აიშენო, მეცნიერი კაცი ხარ, და ამის უფლება გაქვს!

— გივი, იცი, ოროთახიანის პირველი შესატანი რამდენია? — 5 500 მანეთი.

— მერე რაა, მაგას ჩვენ მოგცემთ! — დაბეჯითებით ამბობს გივი.

ზირას ასაკოვანი უშვილო დეიდა ჰყავდა. იმხანად თერჯოლაში თავისი სახლ-კარი გაყიდა და საცხოვრებლად ოზურგეთის სოფელში დასთან, ზირას დედასთან, გადავიდა, ფული კი ზირასა და გივის მისცა.

სტუდენტობისას ფსიქოლოგიას **ბარნაბა ხაჭაპურიძე** გვასწავლიდა. ერთხელ გვკითხა: *რომელია უფრო ძნელი, გადაწყვეტილების მიღება თუ შესრულებაო?* ჩვენ დაუყოვნებლივ და ერთხმად ვუთხარით, რა თქმა უნდა, *შესრულებაო.* ყველა ჩვენგანის გასაკვირად მან პირიქით ბრძანა: *არა, უფრო ძნელი და მთავარი გადაწყვეტილების მიღებააო.* მაშინ ეს შეხედულება სისულელედ მომეჩვენა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მის სისწორეში ბევრჯერ დავრწმუნდი, მათ შორის, როცა გივის შემოთავაზება მივიღე.

მეორე დღეს დათქმულისამებრ გივის ჩემს სამსახურთან ახლოს, რუსთაველის ძეგლთან, შევხვდი. სასტუმრო „ივერიის“ სახინკლეში შემიყვანა. პატარა თოვლი იდო და ყინვისაგან ქუჩები მოსარკული იყო. ნაბახუსევებმა ხინკალსა და ლუდს არაყიც მივაყოლეთ და, ცა და დედამიწა ქუდად და ქალამნად რომ აღარ მიგვაჩნდა, მაშინდელი პლეხანოვისაკენ დავეშვით.

იქ მდებარეობდა ე. წ. ტექბიურო, საიდანაც ცნობის აღება იყო საჭირო, რომ სხვა ბინა არ გერიცხებოდა. რატომღაც ამ ცნობის მიღება ძალიან ჭირდა და მას თვეები სჭირდებოდა. გივი აქ ნამსახური ყოფილა, შევიდა და ათ წუთში ეს ცნობა გამომიტანა. მომეჩვენა, ოროთახიანი ბინა უკვე გარანტირებული მქონდა, მაგრამ, ქვემორე მოვყვები, თურმე, გოლგოთის აღმართს შევდგომივარ!

...ასე იყო თუ ისე, ბინათმშენებლობაში შევედი. მოწაფეები ავიყვანე და ორ წელიწადში ნასესხები ფული პატრონს მივუტანე. ფუ-ლი არ გამომართვა. მითხრა:

– ახლა შენ ამ გახრიგინებულ ცარიელ ბინაში რომ შეხვალ, ავეჯი დაგჭირდება. ჯერ ეს ფული მე არ მინდა და ავეჯი იყიდეო.

ასეც მოვიქეცი. ბინაშიც შევედი. ამ დროს გამომიჩნდა მუშტარი, რომელმაც შემომთავაზა: ვაკეში, მრგვალ ბაღთან მდებარე, ჩემი ოროთახიანი ბინა, რომლის მხოლოდ 60 პროცენტი იყო გადახდილი, გადამეცვალა საბურთალოზე, ხილიანის (ჩიქოვანის) ქუჩაზე, მდებარე დაახლოებით იმავე ფართის კოოპერატიულ ბინაზე, რომელიც პატრონს დახსნილი (მთლიანად გადახდილი) ჰქონდა. უარი რომ ვუთხარი, ჯერ დამატებით 5 ათასი მანეთი შემომთავაზა და მერე –10 ათასი მანეთი. არც ეს ვქენი.

რა მივიღეთ: თუ ამ პირობას მივიღებდი, მაშინ გივი ანდღულაძემ საბურთალოზე, თბილისის ცენტრში, მაჩუქა ოროთახიანი ბინა და ზედ 5ათასი მანეთიც დამისართა!

ნინო ჟვანიას სიკეთე

ძალიან გამიჭირდა ლიტერატურის ინსტიტუტის კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში შესვლა და შემდეგ – ბინის მიღება.

მანამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით *ოქტომბრის რაიაღმასკომში* საერთო სიით ერთი სული ოროთახიან ბინის მიღებაზე ვიყავი აღრიცხული. ამასობაში ირაკლი აბაშიძემ, თავის ქალიშვილს რომ ერთი ბინა მიეღო, ლიტერატურის ინსტიტუტის მშენებარე შვიდსართულიან, ექვსსადარბაზოიან ბინაზე (მცხეთის ქუჩა № 8) მთავრობას ერთი სართული დაამატებინა. ზემორე ვთქვი, **გივი ანდღულაძის** დახმარებით, გადავწყვიტე, ამ დამატებით სართულზე მიმეღო ოროთახიანი ბინა.

ჩემი გადაწყვეტილება კოოპერატივის თავმჯდომარეს, ჩვენს თანამშრომელსა და მეგობარს, **შალვა რატიანს**, მოვახსენე. ჩვენი სიახლოვე იმგვარი იყო, რომ მოველოდი, გადამეხვეოდა და მაკოცებდა. სახტად დავრჩი, ცივად რომ შემხვდა და უარი მტკიცა, *შენ ჯერ კოოპერატიულ ბინათმშენებლობის აღრიცხვაზეც არა ხარო.*

ამ აღრიცხვის საქმე მალე მოვაგვარე. იმავე ოქტომბრის რაიაღმასკომში, სადაც თავმჯდომარე **რესან კონცელიძე** იყო, ერთი სული ოროთახიანი კოოპერატიული ბინის მიღების აღრიცხვაზე დაუბრკოლებრივ ამიყვანეს. მაგრამ ეს გადაწყვეტილება ორჯონიკიძის რაიაღმასკომის თავმჯდომარე **დავით (ბათუ) იაკობაშვილმა** არარად ჩააგდო და მოითხოვდა, ერთოთახიანის აღრიცხვაზე გადავსულიყავი. ორჯონიკიძის რაიაღმასკომში აღრიცხვა იმიტომ იყო აუცილებელი, რომ ლიტერატურის ინსტიტუტი ამ რაიონში შედიოდა, ვითომცდა ოქტომბრის რაიონი თბილისს არ ეკუთვნოდეს და აქ სხვა წესები არსებობდეს. რა თქმა უნდა, ამ რაიონების წესებსა და კანონებს შორის განსხვავება არ იყო, მაგრამ მათ მაშინდელ თავმჯდომარეებს შორის განსხვავება ნამდვილად არსებობდა: **რესან კონცელიძე პატიოსანი კაცი გახლდათ**! (და ეს მარტო ჩემი აზრი არ არის. საზოგადოება ასე იცნობდა ამ პიროვნებას).

დიდად სამწუხაროდ, ჩვენი ბინათმშენებლობის კოოპერატივის თავმჯდომარე შალვა რატიანი დ. იაკობაშვილს გვერდში დაუდგა (და არა მარტო ამ საქმეში), მაშინებდა, *ამასაც დაკარგავო*, და მაძალებდა, დამეწერა განცხადება ერთოთახიანზე გადასასვლელად (ბიჭებმა იცოდნენ, თუ რა ფასი ედო ვაკეში ბინას და რა ხეირს ნახავდნენ აქედან!).

ვერ მომტეხეს იმიტომ, რომ ბინათმშენებელ კოოპერატივში უმაღლეს ორგანოდ ოფიციალურად მიჩნეული იყო კოოპერატივის საერთო კრება. მე კი გვერდში მთელი ინსტიტუტი დამიდგა და, რაც მთავარია, – კოოპერატივის წევრები, განსაკუთრებით, **ეთერ შარაშენიძე**, რომელიც კოოპერატივის წევრი იყო, და აგრეთვე არაწევრი, ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარე **ნოდარ ალანია**, რომელიც ამ საქმეზე ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივან **ფილიპე მახარაძესთანაც** კი მიმყვა (თუმცა უშედეგოდ!).

გარდა ამ ხალხისა, ჩემს მხარეზე იყო კანონი, რომელიც ოფიციალურად განმარტავდა: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდების 25-ე მუხლის თანახმად – საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად მიღებულ პირს კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელიც დამტკიცებულია სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ეძლევა ერთი ან რამდენიმე ოთახისაგან შემდგარი ცალკე ბინა მისი ოჯახის წევრთა რაოდენობისა და საბაიო შენატანის შესაბამისად.

კოოპერატივის მარტოხელა წევრისათვის მიცემული ბინა შეიძლება აღემატებოდეს 12 კვადრატულ მეტრს (12 კვ. მეტრი იყო სანიტარული ნორმა – **ბ. დ.**), ამასთან მარტოხელებს ეძლევათ, როგორც წესი, ერთოთახიანი ბინა.

უფრო მეტი ფართობის ბინა შეიძლება მიეცეს იმ შემთხვევაში, როცა კოოპერატივის წევრს ან მისი ოჯახის წევრს აქვს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება.

«მეცნიერ მუშაკთა საბინაო უფლებების შესახებ» მოქმედი დადგენილების თანახმად – მეცნიერ მუშაკებს, კანონით დაწესებული საცხოვრებელი ფართობის ნორმის გარდა, უფლება აქვთ დამატებით დაიკავონ ცალკე ოთახი, ხოლო, თუ ცალკე ოთახი არ არის, დამატებითი საცხოვრებელი ფართობი არანაკლებ 20 კვ. მეტრისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მარტოხელა მეცნიერ მუშაკს უფლება აქვს კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში აიშენოს ოროთახიანი ბინა".

და, აი, აგვისტოს საშინელ სიცხიან დღეს, როცა უნივერსიტეტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში მისაღებ საგამოცდო კომისიაში ვარ, აქედან ვითავისუფლებ თავს და დიდი რიგისა და ლოდინის შემდეგ უძილო, დაღლილი და დაქანცული **დავით იაკობაშვილის** კაბინეტში შევდივარ. იგი თავის სამუშაო მაგიდასთან მარტო ზის. მასთან მიდგმულ მაგიდასთან ჩემით ვჯდები. ჩემ უკან, კედელთან, სხდომების ჩასატარებელ გრძელ მაგიდასთან, ზის პროკურორის ფორმიანი კაცი.

— ბატონო დავით, — დავიწყე ნახევრად ხუმრობის ტონით, — ცოლს ვერ ვირთავ, რადგან უბინაო ვარ, თქვენ კი ბინას არ მაძლევთ, რადგან უცოლო ვარ. მიხსენით ამ გამოუვალი მდგომარეობიდან; ინსტიტუტი მაძლევს ოროთახიანი ბინის აშენების უფლებას და გთხოვთ, გამომაყენებინოთ მეცნიერთათვის ზედმეტი ფართის მიცემაზე არსებული კანონი!

ბატონმა დავითმა მგლის ფერი დაიდო და მეუბნება:

— ასეთი კანონი არ არსებობს!

თან მქონდა და გავუწოდე სათანადო ამონაჭერი გაზეთ „კომუნისტიდან" და ცნობა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოდან, რომელსაც ხელს აწერდა **ვიქტორ შარაშენიძე**. იგი შემდეგ იუსტიციის მინისტრი გახდა.

— ეს მე არ ვიცი! — იყო მისი შეუვალი პასუხი.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბოლოს მოვთხოვე:

— მაშინ მომეცით წერილობითი ცნობა, რომ ეს გამონაკლისი არ არსებობს!

დავითმა დიქტოფონში ჩასძახა თავის თანამშრომელ ნოდარ კალანდაძეს, რომ ჩემთვის ასეთი ცნობა მოეცა.

ნ. კალანდაძემ ოფიციალურ ბლანკზე დ. იაკობაშვილის ხელმოწერით მომცა ტიპური წესდების 25-ე მუხლიდან ამონაწერი, რომ „მარტოხელებს ეძლევათ, როგორც წესი, ერთ-ოთახიანი ბინა".

ამაო გამოდგა კალანდაძესთან კამათი, რომ გამოთქმა „როგორც წესი" გამონაკლისსაც გულისხმობდა.

აღელვებულ-აღშფოთებულმა ხელის კანკალით დ. იაკობაშვილის სახელზე დავწერე განცხადება, რითაც ვთხოვდი ხელმოწერით დაედასტურებინა, რომ მეცნიერ-მუშაკთათვის აღნიშნული შეღავათი არ არსებობს და, მიუხედავად მდივანი გოგოს თავგანწირული წინააღმდეგობისა, დ. იაკობაშვილთან უნებართვოდ შევედი.

დ. იაკობაშვილმა ჩემს განცხადებას დააწერა: *„ამხ. კალანდაძეს, გაეცით პასუხი“.*

ვეღარ მოვითმინე, დ. იაკობაშვილს მივაძახე, *უნამუსო ყოფილხართ-მეთქი,* ჩემი განცხადება ხელიდან გამოვტაცე და წყლიან გრაფინს ხელი დავავლე... იქ მყოფი პროკურორის ფორმიანი კაცი ამდგარიყო, მწვდა ხელში და გრაფინი წამართვა.

...მოვდივარ რუსთაველზე განადგურებული, ჭკუადაბინდული. უნივერსიტეტში წასვლისა და გამოცდებში მონაწილეობის ძალა უკვე აღარ შემწევდა.

მოულოდნელად შემომხვდა **ნოდარ ჭოლოკავა**. მან დამამშვიდა, *ნინო ჟვანიასთან მიგიყვან და ყველაფერი კარგად იქნებაო.*

საღამოს, ათ საათზე, ნოდარ ჭოლოკავამ თავისი მანქანით წყნეთში ამიყვანა. კარგა ხანს ველოდეთ და დაახლოებით ღამის პირველი საათისათვის ქალბატონი ნინო თავის სიძე ზეზვა ღუღუნიშვილთან ერთად ამობრძანდა. მითხრა: *ახლა ამაზე ან შენ ან მე რატომ უნდა გვაწუხებდნენო? ტელეფონის ნომერი მომცა: ხვალ 11 საათზე სამსახურში დამირეკეო.*

დავურეკე. მდივანმა ქალმა მითხრა, *თათბირი აქვსო.* ვთხოვე, *მისგან ნება მაქვს მიღებული და ჩემი გვარი და სახელი მოახსენეთქი.* მალე მიპასუხა: *გიბარებს, ახლავე მოდიო.*

მივედი და მდივანმა პირდაპირ თათბირზე შემიშვა. ქალბატონმა ნინომ დამინახა თუ არა, „გაცოფებულმა“ დამიწყო ყვირილი და ლანძღვა: *შენ ვინ ყოფილხარ?! მეცნიერი კი არა, ხულიგანი ყოფილხარ... აკადემიაში კა არა, ციხეში უნდა იჯდე! ეს რა გიკადრებია ბატონი დავითისათვის!*

ღრმად ჩავისუნთქე და მხოლოდ ერთზე ვფიქრობ: შევაგინო თუ რა მწარე ვუთხრა და ისე მოვშორდე აქაურობას!

ქალბატონი ნინო მლანძღავს და ვხედავ, ტელეფონის ნომრებს კრებს. უცებ ხმას დაუწია და ყურმილში მშვიდად ამბობს:

— ბათუ, ახლა ჩემთან დარჩია არის და, რა დღეც მაგას ვაყარე, ჰკითხე (რამდენიმე კაცის სახელი და გვარი ჩამოთვალა). გუშინაც მითხრა, ძალიან შეწუხებულია. ახლავე მოვა შენთან, არ გააჩერო, გამოცდებზეა.

მერმე მე მომიბრუნდა და თითქმის დაყვავებით მითხრა:

— გაიქეცი და ბოდიში მოუხადეო.

რა ბეწვზე გადავრჩი, რომ ამ გათამაშებულ ამბავში არ ჩავიჭერი და ქალბატონ ნინოს შეურაცხყოფა არ მივაყენე!

დავით იაკობაშვილმა მაშინ ოროთახიანი ბინის აღრიცხვაზე კი ამიყვანა, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ, როცა ჩვენი ბინა აშენდა და ანაწილებდნენ , მან და შალვა რატიანმა კვლავ მაწვალეს.

ბოლოს დავსძენ, ეს სწორედ ის შალვა რატიანია, რომლის ქალიშვილმა, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა **ირმა რატიანმა** 2006 წელს სამსახურიდან გამაგდო.

. **მინაწერი:** თუკი მანამდე შალვა რატიანს, როგორც მეგობარს, სიყვარულით ვეპყრობოდი, ამ ამბის შემდეგაც მის მიმართ სიძულვილის გრძნობა არ დამუფლებია. თავს ვაჯერებდი, *ამას აღმასკომი აიძულებს–მეთქი*. მას შემდეგ, რაც მან ამ კოოპერატივის თავმჯდომარეობისას ინსტიტუტის თანამშრომლების, განსაკუთრებით **მირიან აბულაძის** მიმართ, უკეთურება ჩაიდინა, არ ვაჭარბებ, მთელმა ინსტიტუტმა, უპირველესად მისმა მეჯვარე **ნოდარ ალანიამ**, მას ზურგი შეაქციეს, მე კი ყოველნაირად ვცდილობდი, მის მიმართ მაინც სითბო გამომეჩინა. მოვიდოდა ის ინსტიტუტში, დაჯდებოდა თავის მაგიდასთან და, სალამზე პასუხის გარდა, არავინ გამოელაპარაკებოდა. რამდენიმჯერ წინ დავჯდომივარ და რაღაც საუბარი წამომიწყია.

. გარდაცვალებამდე ორი თუ სამი თვით ადრე შალვა რატიანი ჩვენი სახლის წინ შემომხვდა, ნასვამი იყო, კარგა ხანს ვილაპარაკეთ. მეფერა და მეფერა, *პატიოსანი კაცი ხარო*. მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ, მაღალმა ღმერთმა იცის, გული ძალიან მატკინა, საშინლად განვიცადე.

სამეცნიერო რეფორმა

2006 წლის ოქტომბერში ლიტერატურის ინსტიტუტშიაც ჩატარდა ე. წ. სამეცნიერო რეფორმა. რუსთველოლოგიის განყოფილება გადაკეთდა რუსთველოლოგიის სამეცნიერო ცენტრად. შემცირდა შტატები, — იგი განისაზღვრა 6 ერთეულით: ცენტრის ხელმძღვანელი, ერთი მთავარი, ერთი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და სამი მეცნიერ-თანამშრომელი. მე, როგორც ამ განყოფილების წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა, განცხადება შევიტანე მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ადგილის დასაკავებლად. საბუთების მიღების ბოლო დღეს ამავე საშტატო ერთეულზე განცხადება შემოიტანა **ნესტან სულავამ**, რომელიც ადრე რუსთველოლოგიის განყოფილებაში მუშაობდა, შემდეგ სამეცნიერო დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ იყო გადაყვანილი და აქედან რამდენიმე თვით ადრე იქნა გათავისუფლებული. მანამდე ქალბატონი ნესტანი ამავე თანამდებობაზე სხვა განყოფილებაში აპირებდა გადასვლას, ინსტიტუტში ხმამაღლა აცხადებდა, *ბორიას ვერ დავუპირისპირდებიო.*

ეს გადაწყვეტილება და შემდგომი ამბები განსაზღვრა ერთმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ:

მონოგრაფიულად შევისწავლე XVII საუკუნის სასულიერო პოეტისა და მოღვაწის **იაკობ დუმბაძე-შემოქმედელ-სამებელის** ცხოვრება და შემოქმედება; ვაჩვენე, რომ მის კალამს ეკუთვნის ჩახრუხაული საზომით შესრულებული სახოტბო თხზულება *„ქება მეფისა არჩილისა“*, რომელიც მანამდე XII-XIII საუკუნეთა მიჯნის სასულიერო პირისა და მწერლის **იოანე შავთელის** „აბდულმესიად“ მიაჩნდათ, ხოლო მასში შექებულია არა დავით სოსლანი და თამარ მეფე, როგორც ეგონათ, არამედ იაკობის თანამედროვე მეფე-პოეტი არჩილ მეორე და, საერთოდ, ქრისტიანობა და ქრისტიანობისათვის თავდადებული მეფეები. „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში ნახსენები შავთელის „აბდულმესია“ კი დაკარგულია. აქვე დავსძენ: ჩემი ეს მონოგრაფია (*„იაკობ შემოქმედელი“*) წიგნად გამოვაქვეყნე 2009 წელს (575 გვ.) და მან (უკვე მერამდენეჯერ ვამბობ) მიიღო *სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის* ისტორიულ-ლიტერატურული პრემია.

ამ ჩემი ნაშრომის მითვისება (სულ ცოტა თანაავტორობა) მოინდომა ჩემმა უახლოესმა „მეგობარმა“ **აკაკი ხინთიბიძემ**. ბევრი ვეცადე, ამ სამარცხვინო საქმისაგან იგი მეხსნა, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გავხდი, 2000 წელს გამოვაქვეყნე ბროშურა – *„ერთი პლაგიატობის კვალდაკვალ“* (64 გვ.).

ამის გამო ბატონი **აკაკის** უმცროსმა ძმამ **ელგუჯა ხინთიბიძემ** სალამი შემიწყვიტა, რომელსაც მანამდე ბევრი ვეხვეწე, ამ საქმისაგან ძმა და მეც გადავერჩინე.

და, აი, **ელგუჯა ხინთიბიძემ**, მანამდე რომ ვერაფერი დამაკლო, ამ „რეფორმის“ დროს მიყელა. თავისიუნივერსიტეტელ ხელქვეით თანამშრომლებთან ერთად ლიტერატურის ინსტიტუტში „რეფორმის“ ჩასატარებლად მობრძანდა. ამ დროს (და ახლაც, 2011 წელს, ამ სტრიქონების წერისას) ბატონი ელგუჯა უნივერსიტეტსა და აკადემიაში ძლევამოსილი პირია, მან „დიდებულად“ შეასრულა ხელისუფლების მიერ მინიჭებული ჯალათის როლი და დრო მიპოვა, „ძმის სისხლი“ აიღო.

ვინაიდან ირმა რატიანი და რევაზ სირაძე მაღალანაზღაურებად საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში შესასვლელად მიისწრაფოდნენ, ეს კი ელგუჯა ხინთიბიძის გარეშე შეუძლებელი იყო, ამ ყოვლისშემძლე კაცს გვერდში ამოუდგნენ. ჯერ ნესტან სულავა დამიპირისპირეს, მაგრამ მოვასწარი და ვაჩვენე, ქალბატონი ნესტანი რა ვაიმეცნიერი, მამალი პლაგიატი და უბადრუკი მოაზროვნეა! ამიტომ მაშინ ლიტერატურის ინსტიტუტში მისი გაყვანა ვერ შეძლეს. ბატონმა ელგუჯამ შემდეგ უპატრონა მას და უკეთეს ადგილას დასვა. **ირმა რატიანმა კი კონკურსის ჩატარება ერთი წელი და სამი თვე აჭიანურა, მაგრამ, კონკურენტი რომ ვერ მიპოვა, რუსთველოლოგიის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის შტატი გააუქმა!**

აფერისტობა სჯობს, თუ უვიცობა?

ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა **ირმა რატიანმა**, რომელსაც ქართული ლიტერატურის ინჩიბინჩი არ გაეგება, ინსტიტუტიდან გაყარა გამოჩენილი, ღვაწლმოსილი და, რაც მთავარია, მოქმედი და უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარები, დაიტოვა, მიიღო და დააწინაურა საკმაოდ ბევრი არაფრით გამორჩეული,

სუსტნი და უბადრუკნი. ამავე დროს, დიდი ზარ-ზეიმითა და... **დიდი კურიოზებით** აღნიშნა მამის, **შალვა რატიანისა**, და მამამთილის, **ჯანსულ კორძაიას**, დაბადების 75-ე წლისთავი.

აქ მხოლოდ **ერთ კურიოზს** წარმოვადგენ.

შალვა რატიანი ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი იყო, 49 წლისა გარდაიცვალა და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რაიმე გამორჩეული, მნიშვნელოვანი ნაშრომი არ შეუქმნია. ის უფრო, რბილად და მიმტევებლურად რომ ვთქვათ, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდა.

და, აი, 2009 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის სახელით ცალკე წიგნად ქვეყნდება შალვა რატიანის ვითომ ცნობი ნაშრომი – *„ფილადელფოს კიკნაძე, პუბლიცისტური ნარკვევი“*. წიგნის რედაქტორია ინსტიტუტში თანამშრომლად დატოვებული **ნონა კუპრეიშვილი**. ანოტაციაში, რომელიც, წესით, რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს, წერია: „წინამდებარე მონოგრაფიული ნარკვევი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელისა და იდეოლოგის, ბერმონაზონ ფილადელფოს კიკნაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეცნიერულად შესწავლის პირველი მცდელობაა. ნარკვევი გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწერა და იგი დღემდე არსად გამოქვეყნებულა“. ბოლოს აღფრთოვანებითა და სიამაყით აღნიშნულია დიდი პერსპექტივა, რასაც ჩვენს ლიტერატურასა და მეცნიერებას ეს ნაშრომი მოუტანს: „მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია შალვა რატიანის მონოგრაფიული ნარკვევი – «ფილადელფოს კიკნაძე» ჩაერთოს სამეცნიერო ბრუნვაში და მისი შედეგები მომავალმა მკვლევარებმა გაითვალისწინონ შემდგომი მუშაობისას“.

რომ ეს ნაშრომი უცნობია და პირველად ქვეყნდება, ამასვე აღნიშნავს ლიტერატურის ინსტიტუტის შრომათა კრებული „ლიტერატურული ძიებანი“. აქ სათაურით „ახალი წიგნები“ იგი ასეა დასახელებული: „ნარკვევი გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწერა, თუმცა მისი გამოქვეყნება მკვლევარს არ დასცალდა“ (№ 30, 2009, გვ. 304).

იმ მკითხველს, რომელიც ამას დაიჯერებს და ოცნებით ხორცს შეასხამს იმ შედეგებს, რაც ამ ნაშრომის *„სამეცნიერო ბრუნვაში ჩართვას“* მოჰყვება (არადა, რატომ არ უნდა დაუჯეროს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილ და ამჟამად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემავალ სახელმწიფო სამეცნიერო რეფორმაგავლილ ინსტიტუტს?!), ცივი წყალი უნდა გადავასხა: **შალვა რატიანის ეს ნაშრომი უცნობი და საარქივო არ არის. იგი გამოქვეყნებული იყო, სულ ცოტა, 34 წლის წინათ! დაბეჭდილია 1975 წელს გამოსულ ამავე ინსტიტუტის ნაშრომთა კრებულში – *„ახალი ქართული ლიტერატურის საკითხების“* მეექვსე წიგნში** (გვ. 29–59).

ამ ფაქტთან დაკავშირებით დაისმის კითხვები: თუ შალვა რატიანის საოჯახო არქივში ეს ნაშრომი სხვისი „აღმოჩენილია“ და არა თავად ირმა რატიანისა (ბატონი შალვას ერთადერთი **ფილოლოგი** შვილისა), ინსტიტუტის დირექტორის, იმავე ირმა რატიანის, უნახავად და უნებართვოდ მისი გამოქვეყნება, მეტადრე ინსტიტუტის გრიფით, ხომ წარმოუდგენელია?! არადა, ქართული ლიტერატურის მკვლევარმა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა თავისი კოლეგა მამის ნაშრომის ასავალ-დასავალი არ უნდა იცოდეს?! და ბოლოს, რაც მთავარია, **როგორ უნდა შევაფასოთ ეს კურიოზი – საქმე ა ფ ე რ ი ს ტ ო ბ ა ს თ ა ნ გვაქვს თუ უ ვ ი ც ო ბ ა ს თ ა ნ?! რომელი მივიღოთ, რომელი ურჩევნია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს?!**

ისიც საყურადღებო და ნიშანდობლივი ხომ არ არის, რომ რეფორმაგამოვლილ ლიტერატურის ინსტიტუტში, მის დირექციასა და 7-სულიან სამეცნიერო საბჭოში, ალმანახ „ლიტერატურული ძიებანის“ 6-სულიან სარედაქციო კოლეგიაში, 9-სულიან სარედაქციო საბჭოში“, აღარაფერს ვამბობ მის რედაქტორსა და პასუხისმგებელ მდივანზე, კაცი არ აღმოჩნდა, დაეჭვებულიყო და შეემოწმებინა: იმ პერიოდში, როცა ნაშრომების ბეჭდვა უფასო და ადვილი იყო, ამისთვის პრემიებსაც იძლეოდნენ, ინსტიტუტის თანამშრომელს თავისი ეს პატარა ნაშრომი გამოუქვეყნებელი რატომ უნდა დარჩენოდა?

იგივე უნდა გავიმეორო ამ წიგნის რედაქტორსა და მის რეცენზენტზე. თუ ნონა კუპრეიშვილი ამ ნაშრომს ფილადელფოსის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მონოგრაფიად მიიჩნევს, აგრეთვე ინსტიტუტში დატოვებული და ცოტაოდენ აღზევებულიც მირანდა ტყეშელაშვილი უფრო შორს მიდის – მას 1832 **წლის შეთქმულებისადმი** მიძღვნილ მონოგრაფიად ასახელებს (ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, № 18, 2009). თავად ბატონი შალვა კი ნარკვევის ბოლოს სამართლიანად წერს: „ფილადელფოს კიკნაძე არ არის ღირსი დავიწუებისა. მის ნაფიქრალ-ნაღვაწს მონოგრაფიული შესწავლა ესაჭიროება“ (გვ. 57).

ეს კაი ხალხი ხომ არ ეპირფერებიან ინსტიტუტში დამტოვებელ თავის კეთილისმყოფელ დირექტორს და შეგნებულად ბუქავენ მამამისის ნაშრომს?! მირჩევნია ასე იყოს, ვიდრე ვიფიქრო, ქართული ლიტერატურის ისტორიას არ იცნობენ და მონოგრაფიასა და ჩვეულებრივ სტატიას ერთმანეთისაგან ვერ არჩევენო. თქვენ რა გირჩევნიათ, ძვირფასო მკითხველო? სადღაც წაკითხული მაქვს და ნუ შეგაშინებთ შეგონება: **მლიქვნელი დაჩოქილი თავდამსხმელია!**

შარვალს ნიფხავს ეძახდნენ

როცა ლიტერატურის ინსტიტუტში მომუშაავე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაზე განიხილავდნენ პოემის სტრიქონს: „*ომგადახდილსა მშვენოდეს მე ენიანი კაბანი*“, „კაბა“ სიტყვასთან დაკავშირებით **აკაკი შანიძემ** „შარვლის“ შესახებ აღნიშნა, რომ იგი ჩვენში სპარსული ენიდან შემოსული სიტყვაა და მთაში „ნიფხავს“ ეძახდნენო.

– მთაში ერთი ეცვათ და მას „შარვალს“ დაარქმევდნენ თუ „ნიფხავს“, სულერთია, ჩვენ ეს არაფერს გვაძლევსო, – ღიმილით დასძინა **ივანე გიგინეიშვილმა**.

სარგის კაკაბაძე

პენსიაზე მყოფი, ხანდაზმული სარგის კაკაბაძე ორიოდე თვის განმავლობაში ჩვენთან, ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში, დადიოდა და აქ ჩვენ მიერ მომზადებულ „ვეფხისტყაოსნის“ ფოტოპირებზე მუშაობდა (ამ მუშაობის შედეგები მან გამოაქვეყნა 1966 წელს გამოცემულ თავის წიგნში – „*შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი*“). ბატონი

სარგისი მაშინ, ცოტა არ იყოს, სამეცნიერო წრიდან გარიყულივით მოჩანდა. ჩვენ კი, ახალგაზრდები, ამის გამოც მას დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით. საათი არ ჰქონდა და ხანდახან გვეკითხებოდა, რომელი საათიაო. მაშინ ჩვენ, რუსთველოლოგიის განყოფილების ახალგაზრდა თანამშრომლებმა, ფული შევაგროვეთ და მაჯის საათი ვუყიდეთ. ძალიან გაიხარა! ერთ საღამოს, როცა მუშაობა დაამთავრა, შინ მიგვიპატიჟა და შესანიშნავი, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე სუფრა გაგვიშალა. ვიყავით: ლია ანდღულაძე, ციალა (მარიამ) კარბელაშვილი, რიმა ფირცხალაიშვილი, მზია ჩაჩავა და მე.

ეს შეხვედრა შესანიშნავი და დაუვიწყარი გამოდგა, რადგან მასპინძლებმა იქვე, ზედა სართულზე, განთავსებული მაშინ მიუწვდომელი **დავით კაკაბაძის** სურათების გალერეა დაგვათვალიერებინა!

ჭადრაკი

ჭადრაკში ლიტერატურის ინსტიტუტის პირველობა ჩატარდა. ქ ა ლ თ ა შორის გამარჯვებულს მივუძღვენი ლექსი:

ვისაც მოუხდა შენთან თამაში,
დამერწმუნება ყველა ამაში:
ბიჭი ყოფილხარ, ბიჭი ყოფილხარ...
ქალის კაბაში!

ის, ცოტა არ იყოს, მამაკაცური აღნაგობისა გახლდათ და ამის გამო თავს კარგა ლამაზი რისხვაც დამატეხა.

კარგი რითმა

თამარ ბარბაქაძის დაბადების დღეზე სუფრას ემსახურება თამარის მეგობარი, ახალგაზრდა ქალი **ჯილდა გელაშვილი.**

– **ჯილდა–ჯილდო**! – ამბობს რითმას გურამ ოდიშარია, როცა ჯილდამ მორიგი კერძი შემოიტანა.

— აი, მესმის, პოეტი, რა კარგი რითმა გამოძებნა! მე, უბედური, მთელი ცხოვრება რითმაზე ვმუშაობ, და ამაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე: **ჯილდა–მინდა**. — იღიმება აკაკი ხინთიბიძე.

ხელფასის რიგში

ლიტერატურის ინსტიტუტში თანამშრომლები ხელფასის რიგში ვდგავართ. ეს უკვე ის დროა, მეცნიერთა ხელფასები მიზერული რომ გახდა. მეცნიერებათა დოქტორის, ანუ წამყვანი მეცნიერ–თანამშრომლის, ხელფასი ხელზე 55 ლარია, ოდნავ მეტია დირექტორისა და სამეცნიერო დარგში მისი მოადგილისა, 55–ზე ნაკლები — სხვა მუშაკებისა.

— ოჰ, შემიწუხდა გული, რა ნელა მიდის ეს რიგი! — ჩაილაპარაკა ერთმა.

— რიგი და დროის გაჭიმვა მაშინ ნახეთ, ახლა რომ ხელფასებს მოგვიმატებენ! — გამოვეპასუხე მე.

— როდის? საიდან? — ერთბაშად აღმოხდა რამდენიმეს.

— სულ მალე. ახლა პროსტიტუციის კანონს ამუშავებენ, მიიღებენ, ქვეყნის ბიუჯეტი აივსება და ხელფასს მოგვიმატებენ, აბა, რა იქნება! — „განვმარტავ“ მე.

ყველა გაკვირვებული თვალებით მიყურებს, მხოლოდ ერთი, მზია ჩაჩავა, ეშმაკურად მეკითხება:

— მეძავებს დაბეგრავენ ხომ?

იმ დღეებში ტელევიზიასა და პრესაში ცხარე კამათი მიმდინარეობდა პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე და ზოგი ბიუჯეტის შევსების მოტივსაც იშველიებდა!

გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ი ს ა მ ბ ე ბ ი

დიდი ბავშვი

გიორგი ლეონიძე 1957 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1966 წლის ზაფხულამდე) ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ. მას, როგორც მრავალმხრივ მოღვაწეს, დიდ მწერალსა და მეცნიერს, ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმეებისათვის მუხლჩაუხრელ და თავდადებულ მამულიშვილს, გამორჩეულსა და თვითმყოფად პიროვნებასა და დირექტორს, რა თქმა უნდა, მთელი ინსტიტუტი, მცირე გამონაკლისის გარდა,

განსაკუთრებული სიყვარულით, მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობოდა. მისი დირექტორული მუშაობის თავისუფალი სტილი რამდენადმე განსხვავდებოდა კორნელი კეკელიძის მიერ ინსტიტუტში დანერგილი მკაცრი სამეცნიერო-აკადემიური სტილისაგან, რაც, ცოტა არ იყოს, ზოგიერთს, უფრო ძველ მუშაკებს, კიდეც ეხამუშებოდათ. ბატონმა გიორგიმ ინსტიტუტში ცხოვრებისეული სილაღე შემოიტანა. თანამშრომლები, მეტადრე ახალგაზ-რდობა, ხშირად ეხვდებოდით ერთმანეთს სუფრაზე. ბატონი გიორგი პურმარილის დიდად დამფასებელი გახლდათ, უაღრესი თავმდაბლობით გამოირჩეოდა და, რაგინდ უბრალო და ღარიბული სუფრა გქონოდა, არ დაგძრახავდა. თუმცა, თუ თამადობა არ მოეწონებოდა, თქმა იცოდა, რა „პრავეზია“ ფუჭდებაო.

თავად დიდებული თამადა გახლდათ. პირველად ბატონი გიორგი სუფრაზე 1960 წლის აგვისტოს ცხელ დღეს ვნახე. მაშინ ინსტიტუტს ჩეხი ქართველოლოგი იერომირ იედლიჩკა ესტუმრა და მას ტკბილეულის, ხილეულის, კონიაკისა და შამპანურის სახელდახელო სუფრა გაუშალა. ბატონმა გიორგიმ ითამადა და რა ითამადა! მე თვითონ საქართველო სულ სხვანაირად, უაღრესად ლამაზად და აღმატებულად დამანახვა.

ერთხელ სუფრაზე ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები უჩა ცინდელიანი, თამაზ ბარამიძე და სხვები ისე კარგად მღეროდნენ, ბატონმა გიორგიმ იხუმრა: ესენი ილია აბულაძეს უნდა ჰყავდეს და მე სოლომონ ყუბანეიშვილი და ვალიკო მაცაბერიძე?! (ილია აბულაძე, ხელნაწერთა ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი, სოლომონ ყუბანეიშვილი და ვალერიან მაცაბერიძე სწორედ ზემოთ ნახსენები აკადემიზმის განსახიერებანი იყვნენ და ქეიფითა და მოლხენით არ გამოირჩეოდნენ).

გიორგი ლეონიძეს ზოგიერთი უცნაურობაც ახასიათებდა. მაგალითად, ზოგჯერ ინსტიტუტის ოთახებში ჩამოიელიდა და ქალებს უსაყვედურებდა: *კიდევ აქა ხართ, ოჯახები არა გაქვთ, შვილები არა გყავთ, წადით შინ და ქმარ-შვილს მიხედეთ!*

მაგრამ ხან იმავე ქალებს სამსახურის გაცდენისა და დაგვიანებისთვისაც დაუბუხუნებდა:

— არა, ასე არ შეიძლება, ოჯახი ოჯახია, მაგრამ სამსახურიც სამსახურია!..

ამგვარი თავისებურებების გამო ინსტიტუტში მას-ზე გაიგონებდით, – *დიდი ბავშვიაო.*

სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, ბატონ გიორგის სხვაგან და ჩვენთანაც ჰყავდა მოწინააღმდეგეები და მტრებიც. ჯონდო ბარდაველიძეს აღწერილი აქვს, დიდი ფოლკლორული ექსპედიციის მოწყობისთვის როგორ დააბრალეს მას ანგარება, რის გამოც ინსტიტუტში თითქმის ერთი თვე 5–6 კაციანი რევიზორთა ჯგუფი მუშაობდა. ან როგორ გააშავეს ის პარტბიუროს წევრად არჩევისას (გაზ. „კალმასობა“, 1999, სექტემბერი, № 7, გვ. 8–9).

ეს, უმეტესად ფარული, ოპოზიციონერები ხელიდან არაფერს უშვებდნენ. როცა იმხანად ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების ორ ხანდაზმულ და ფრიად დამსახურებულ მეცნიერს თავში სისხლის გაჟონვა დაემართა (მაშინ მათ ავადმყოფობა გადაიტანეს და კარგა ხანს იცოცხლეს და იმუშავეს), ამასაც აბრალებდნენ. მაშინ გავრცელდა ლექსი:

„თუ გსურს, კაცი გაყო ორად
ან ინფარქტით მოკლა,
დაუნიშნეთ დირექტორად
ლეონიძე გოგლა.

ბუდე ლიქვნთა მანქანების,
ჭორთა, მითქმა-მოთქმის,
რიშელიეს გაქანების,
თათქარიძის მოდგმის!“

წარმოიდგინეთ, ამ ლექსს მაშინ მაინცადამაინც არ აღეუშფოთებივართ. იმდენად კარგად გვესმოდა ჩვენი დირექტორის ფასი, ამ პასკვილსაც კი ერთგვარ მეგობრულ შარჟად აღვიქვამდით.

ღვინჯუას მენიუ

ბატონი **გიორგი** სამსახურში უფრო მეტად დღის მეორე ნახევარში მოდიოდა, ზოგჯერ მაშინ, როცა თანამშრომლები შინ მიდიოდნენ ან წასული იყვნენ. სამაგიეროდ, თავის კაბინეტში გვიან საღამომდე რჩებოდა და მუშაობდა.

ერთ დღეს, 1960 წლის ბოლო თუ მომდევნო წლის დასაწყისია, ბატონმა გიორგიმ ტელეფონით გვაცნობა: არ წახვიდეთ, მოვდივარ და ახალ მოთხრობას გაგაცნობთო.

ეს ის დროა, დიდი პოეტი თავის განთქმულ მოთხრობების ციკლზე, „*ნატერის ხეზე*“, მუშაობს.

დააგვიანდა. შეწუხდნენ მშიერი თანამშრომლები. რომ მოვიდა, წაგვიკითხა ბრწყინვალე მოთხრობა „ღვინჯუა“. გიორგი ლეონიძის მთელი შემოქმედება, მხატვრული და სამეცნიეროც, საოცრად მდიდარი, ძარღვიანი, მონოლითური ენით არის შესრულებული და ეს მოთხრობა ამ მხრივ კიდევ უფრო გამოირჩევა. სიტყვის ჯავარითა და ფერადოვნებით განსაკუთრებით გეხიბლავს სუფრის აღწერა.

მონუსხულივით ეუსმენთ მწერალს და, როცა ნათლისღების სუფრის აღწერას შეუდგა, ამბერკი გაჩეჩილაძემ წამოიძახა:

— აღარ შეგვიძლია, ბატონო გიორგი, ახლა ჩვენ ამ მენიუს ვერ გავუძლებთო!

ტუიას ხალი

ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება ლიტერატურის მუზეუმში გალაკტიონ ტაბიძის არქივს ამუშავებს. იქვეა ამავე განყოფილების თანამშრომე-ლი, ლამაზი და მომხიბვლელი ქალი ტუია (მარინე) ჭყონია, რომელსაც გიშერივით ხალი ამშვენებს. დირექტორი, გიორგი ლეონიძე, მოვიდა და თავის თანამშრომლებს დახედა. ამ დროს (ვიღაცას ნაჩიქლები ჰქონდა) ლიტერატურის ინსტიტუტის ბუღალტერიაში რევიზია ზის და ყველაფერს ამოწმებს. ტექსტოლოგები დაინტერესდნენ რევიზიის მუშაობით და დირექტორს ჰკითხეს, *როგორ მიდის საქმეო*. ბატონმა გიორგიმ არაფერი უპასუხა, იქვე ქაღალდს ყუა მოახია, რაღაც დაწერა და წავიდა. ნახეს, ეწერა:

„ჩემს ინტრიგანებს
თქვენი აზრები და განზრახვები
შაეია, როგორც ტუიას ხალი!
გ. ლეონიძე, 1963 წ., დეკ“.

ცეცხლის შენთება

1961 წელს დამლაგებლებს მასტიკასთან შერევისას ბენზინი აუფეთქდათ და ინსტიტუტის შენობა ხანძარმა თვალის დახამხამებაში მოიცვა. ჯერ ცეცხლმა და შემდეგ მეხანძრეთა მიერ გამეტებით მიშვებულმა წყალმა შენობა ძლიერ დააზიანა. ამაზე მწერალთა კავშირში ზოგიერთი ქილიკობდა: ლეონიძემ ინსტიტუტი დაწვაო. ამ ხმამ ბატონი გიორგის ყურამდეც მიაღწია.

ერთ დღეს, სამუშაო საათებში, ინსტიტუტის თანამშრომლები ნოდარ ალანია და ბენო დობორჯგინიძე დირეტორს ქუჩაში გადაეყრნენ.

–აქა ხართ, სამსახურში არ დადიხართ! – მისებურად დაიბუხუნა ბატონმა გიორგიმ.

–შესვენებაზე დასანაყრებლად გამოვედით და, აი, უკან ებრუნდებითო. – თავი იმართლა ნოდარმა.

–არა, არა, არ დადიხართ! თუმცა, – დააყოლა დირექტორმა, – როგორც საჭიროა, არც მე დავდივარ!

იმხანად გიორგი ლეონიძეს ერთი თანამშრომელი უპირისპირდებოდა, ინსტიტუტისადმი გულგრილობას აბრალებდა და ხმას ავრცელებდა: ჩვენი დირექტორი ნაშუადღევს მწერალთა კავშირში მაგიდიდან თავის სამუშაოს აკრეფს და იტყვის, წავედი ახლა ლიტერატურის ინსტიტუტში ჩემს კრეტინებთანო. იგივე სიცილით კი არა, ჭიხვინით ჰყვებოდა: მკითხეს, დირექტორს ინსტიტუტში თუ ხვდებიო, მე მივუგე: – შარშან ტელევიზორში რომ ახალი წელი მოგვილოცა, მას მერე მისთვის თვალი არ მომიკრავს-მეთქი.

ახლა, ამ შეხვედრისას, თავისი კოლეგის ეს პოზიცია და ნაუბარი რომ იცის, ბენო დობორჯგინიძე დირექტორს „იცავს“ და „ამხნევებს“:

–რასა ბრძანებთ, ბატონო გიორგი, თქვენი ყურადღება ჩვენ არ გვაკლია, როგორ არ დადიხართ, ახლახან არ იყო, რომ ჩამოგვიარეთ და ცეცხლი შეგვინთეთ!

–რას ამბობ, კაცო, როდის შეგინთეთ ცეცხლი! – უცებ იფეთქა ბატონმა გიორგიმ.

ნოდარი და ბენოც მაშინვე მიხვდნენ, რამაც გააღიზიანა დიდი პოეტი, და ახსნა დაუწყეს, რომ „ცეცხლის შენთება“ შე-

ფუცხუნების აზრით იყო ნათქვამი და არა პირდაპირი გაგებითო.

მეტად აღარ შემაწუხოთ!..

ნოდარ ალანია პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმღებ საგამოცდო კომისიაში იმყოფებოდა. გიორგი ლეონიძემ მას ვიღაც კახელი კაცი გააცნო და უთხრა: ამისი შვილი ამა და ამ ფაკულტეტზე აბარებს და მიმიხედე, არვინ დამიჩაგროსო.

მოვიდა სექტემბერი. გახარებული ნოდარი, დავალება შეუსრულე და ვასიამოვნებო, ბატონი გიორგის კაბინეტში მის სიძე ლეო ქავთარაძესთან ერთად თამამად შეეიდა და ქაღალდებში თავჩარგულ დირექტორს ახარა:

– იმ ბავშვს არა მარტო ქართულ წერაში, თქვენი სიძის მეშვეობით სხვა საგნებშიაც წავუკარით ხელი და სტუდენტი გახდაო.

– ჰოდა, თუ კაცი ხარ, მასეთ საქმეებზე მეტად აღარ შემაწუხო! – საყვედურის ტონითვე ბრძანა ბატონმა გიორგიმ.

ნოდარი და ლეო სახტად დარჩნენ. მანამდე ლეო ნოდარს სიცილით იმასაც კი ეუბნებოდა, პურმარილი ვაკისრებინოთო.

–თუ გახსოვს, ვინ იყო ის კაცი? – უცებ ფიქრებიდან გამოერკვა ბატონი გიორგი.

ბატკნის გადარჩენა

ამ ამბავს ინსტიტუტში სიცილით ჰყვებოდნენ:

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს გიორგი ლეონიძემ რამდენიმე თანამშრომელი მამაკაცი წყნეთში, თავის აგარაკზე, წაიყვანა, – *ბატკანი მყავს და კარგი ჩაქაფული და მწვადები ეჭამოთო.*

როცა მივიდნენ, ბატონმა გიორგიმ თქვა: დღეს ამ ბატკანს რაღაც მოწყენილობა შევატყევ, დაავადებული არ იყოს, არ გვაწყინოს, შევამოწმებინოთო.

გრიგოლ კაკიაშვილმა ბატკანი მანქანაში ჩასვა და ვეტექიმთან აფრინა. მოვიდა და კარგი ამბავიც მოიტანა – ბატკანს ცუდი არაფერი სჭირსო.

– ჰოდა, თუ ჯანმრთელია, ცოდვაა, ნუ დაეკლავთო, – დასძინა ბატონმა გიორგიმ და სტუმრები, რაც შინ ებადა, იმით გაისტუმრა.

საყვარელი ოჯახის მეგობარია?

გიორგი ლეონიძე ინსტიტუტის დირექტორობის დროს სხვადასხვა ამბავთან დაკავშირებით თავისი სახელით ხშირად უგზავნიდა მისალოც თუ სამგლოვიარო დეპეშებს რუს და საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა მწერლებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს. დეპეშის შინაარსს იგი უმ-ეტესად თავის მოადგილეს ან სწავლულ მდივანს აცნობდა. მათ კი ტექსტისათვის საბოლოო სახის მიცემა და რუსულად თარგმნის ორგანიზაცია ევალებოდათ. ერთხელ, რუსი მწერლისადმი გასაგზავნი დეპეშა რომ წაიკითხა, სადაც ასეთი ხელმოწერა იყო – „*დრუგ სემიი გოგლა*“, ბატონმა გიორგიმ წამოიძახა:

– არ ვარგა, „დრუგ სემიი“ რუსეთში საყვარელს ნიშნავს, მოაწერეთ უბრალოდ: „გიორგი ლეონიძე!“

ესეც შემოწმება!

ინსტიტუტის სწავლული მდივანი გრიგოლ კაკიაშვილი დირექტორის მითითებით მთელი ორი კვირის განმავლობაში სამსახურში თანამშრომელეთა გამოცხადებას ამოწმებდა. დღეში სამ-ოთხჯერ ჩამოივლიდა ხოლმე. ერთ დღეს ასეთი შემოვლისას ადგილზე იმდენად ცოტანი აღმოვჩნდით, რომ გრიგოლმა სიაში ჩვენ ჩაგვწერა და არა ისინი, ვინც სამსახურში არ იმყოფებოდა. ჩვეულებრივ კი გამცდენთა სიები დგებოდა.

და, აი, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დისციპლინის საკითხი განიხილება. პროექტის მიხედვით, ხელფასიდან თითოეულს ყოველი უმიზეზო გაცდენილი დღის საფასური უნდა დაექვითოს. გრიგოლი კითხულობს გამცდენთა სიას და გაცდენილ დღეთა და დასაქვითავი თანხის რაოდენობას, რასაც დამსწრეთა თავის მართლება და ყაყანი მოსდევს. უცებ რასა ვხედავ, ჩემს გვარსაც ასახელებს. ვიდრე მე გავაპროტესტებდი, ალექსანდრე ბარამიძე ეკითხება, რომელ დღეს არ იყოო.

გაირკვა, ეს დღე სამშაბათი ყოფილა. ამ დღეს კი აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში „ევეხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია მუშაობდა და მეც მისი მონაწილე ვიყავი. მაშინვე მივხვდი შეცდომის მიზეზს: ბატონ გრიგოლს დავიწყებოდა, რომ იმ დღეს დამსწრეთა სია შეადგინა და არა გამცდენთა. ალექსანდრე ბარამიძე წამოდგა და დინჯად დაიწყო:

–როგორ უნდა ვენდო იმ აღრიცხვას, როცა თანამშრომელი მთელი დღე ჩემ გვერდით თავაუღებლივ მუშაობს და მას გამცდენთა სიაში ვხედავ?!

–სწორია, სწორი, არ ვარგა ეს სია!, – ყველასგან მოულოდნელად ალექსანდრე ბარამიძეს კვერს უკრავს გიორგი ლეონიძე. შემდეგ თავის სწაელულ მდივანს მიუბრუნდა:

–გრიგოლ, მეცნიერებთან, მათ ხელფასთან გვაქვს საქმე, მეტი ყუადღებაა საჭირო!:

ასე გადარჩა სამ ათეულზე მეტი თანამშრომელი რამდენიმე დღის ხელფასით დაჯარიმებას!

გიორგი ლეონიძის სტუმრობა

სოფლიდან პურ-მარილი ჩამომიეიდა და ინსტიტუტის თანამშრომლები – ნოდარ ალანია, მირიან აბულაძე, ვახტანგ ჭელიძე, მერი გუგუშვილი და გივი ლომიძე – შინ წავიყვანე. ინსტიტუტის შენობიდან რომ გავდიოდი, ქიცა (გრიგოლ) ხერხეულიძე შემომხვდა და ისიც დავპატიჟე. მან მითხრა: დირექტორთან საქმე მაქვს, ვნახავ და წამოვალო. არ დაუგვიანია: ის იყო, სუფრასთან ვსხდებოდით, კიდეც მოვიდა და მითხრა: გიორგი ლეონიძე დაგიპატიჟეო. რომ ეშორდებოდი, მკითხა, სად მიდიხარო. ვუთხარი, სადაც მოვდიოდი და ვთხოვე,შეწამობრძანებულიყო. ჯერ იუარა, მე რომ არ დაეუპატიჟებივარო, მაგრამ ავუხსენი, ვერ გნახათ და, თუ წამობრძანდებით, ძალიან გაუხარდება–მეთქი.

შუა ქეიფში ვიყავით, როცა ბატონი გიორგი თავის სიძე ოთარ გვინჩიძესთან ერთად მობრძანდა. ქიცა და ნოდარი ბრწყინვალე დეკლამატორები იყვნენ და გიორგი ლეონიძის ლექსებს შესანიშნავი ოსტატობით წარმოთქვამდნენ. ნაირფერად იღვრებოდა პოეტის ლექსები: „ყიეჩაღის პაემანი“, „სი-

მღერა პირველი თოვლისა“, „ნინოწმინდის ღამე“, „საათნავა“, „მაშ, რა ეუყოთ, პოეტებო“, „ოლე“ და სხვები. დიდად ვილხენდით. მერიმ, *თეთრი ხორცი გიყვართო*, ბატონ გიორგის ინდაურის მკერდის ნაჭერი გადუღო.

– საიდან იცი, ქალო, შენ ეს? – კმაყოფილი კითხულობს პოეტი.

ახლა მერი ბაჟეს იღებს და ამ თეთრ ხორცზე აელებს.

– რა მიქნი, ქალო, ეს, რად დამისვარე?! – ხელებს შლის ბატონი გიორგი.

გულიანად ვიცინით. აღარ მახსოვს, მანამდე იყო თუ შემდეგ, ბატონმა გიორგიმ თქვა, ხორცს საწებელი არ უნდაო.

ქიცას სადღეგრძელოს დროს ბატონი გიორგი ექსპრომტად ამბობს:

„ვინ არის ბიჭი, რომ დასდევს
კაკიაშვილი ჭოლოკით!
– ქიცაა ხერხეულიძე,
დიდი ლეონიძეოლოგი".

– ბოლოს რიტმი კია დარღვეული, მაგრამ არა უშავს, ექსპრომტია. – თვითონვე დააყოლა.

ეს ლექსი ზოგიერთმა ჩაიწერა. მე არ ჩამიწერია და ვერ დავიჩემებ, რამდენად ზუსტად დამამახსოვრდა. შესაძლებელია, პირველი და მეორე სტრიქონი ასე ყოფილიყო: „*ვინ არის ბიჭი, თმათეთრი, გრიშა რომ დასდევს ჭოლოკით*“.

1981 წელს მეორედ გამოვიდა ქიცას წიგნი „გიორგი ლეონიძის პოეზია“, მაგრამ ავტორი მის გამოსვლას ვეღარ მოესწრო, გიორგი ლეონიძე კი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო.

მარშალ გრუზინსკოი პოეზიი...

ლიტერატურის ინსტიტუტის დერეფენში იუზა (იოსებ) ლორთქიფანიძე, ქიცა (გრიგოლ) ხერხეულიძე, მირიან აბულაძე და კიდევ რამდენიმე თანამშრომელი დგანან და „პურის ჭამისთვის“ წასასვლელად ემზადებიან. დაინახეს: დირექტორის კაბინეტიდან ინსტიტუტის სწავლული მდივანი გრიგოლ კაკიაშვილი დაფეთებული და აჭარხლებული გამოვარდა. ეტყობა, დირექტორმა იგი რაღაცაზე „შეახურა“. მალე კაბინეტის კარი ისევ იღება და თავად გიორგი ლეონიძე გამოდის.

– სმირნა! – ყველასგად მოულოდნელად იუზა ლორთქიფანიძემ დაიყვირა, ბრახუნა სამწყობრო ნაბიჯებით დირექტორისაკენ გაემართა, მის წინ „დაერჭო“, „ჩესტი“ აუღო და ყვირილითვე მოახსენა:

– ტავარიშჩ მარშალ გრუზინსკოი პოეზიი! ბაიცი ბრონე-ბუტილკოვიხ ვოისკ გენერალა ხერხეულიძე... საპურმარილოდ მივდივართო.

ბატონმა გიორგიმ გაიღიმა, იუზას აკოცა, წელზე ხელი მოხვია და სხვებთან ერთად კაბინეტში შეიყვანა. მცირე საუბრის შემდეგ ეს „ჯარისკაცები“ ბატონ გიორგისთან ერთად „ორთაჭალის ბაღისაკენ“ გაემართნენ.

კახელები და გურულები

1964 წლის 21 მაისს გიორგი ლეონიძემ თავის კაბინეტში მიხმო. გურიაში მოგზაურობიდან ახალდაბრუნებულია (17–19 მაისს მოიარა ოზურგეთისა და ლანჩხუთის რამდენიმე სოფელი). მკითხა: ამა და ამ სოფლებში ვიყავი, შენი სოფელი რომელია და სად მდებარეობსო.

ავუხსენი, ეგნატე ნინოშვილის სოფლიდან რომელ მხარეს და რამდენ კილომეტრზე მდებარეობდა. ცოტა ფიქრის შემდეგ მეუბნება:

– გურია საქართველოს ევროპაა.

მანამდე გიორგი ლეონიძე გურიაში ორიოდეჯერ იყო ნამყოფი, – პირველად ჩოხატაურის რაიონში, თავისი თანატოლი პოეტის გრიგოლ მეგრელიშვილის („მთის ნიავი“) ხსოვნის აღსანიშნავად. ბატონი გიორგი, ისე როგორც ნიკო კეცხოველი, თურქეთის ფრონტზე დაღუპულ ამ ახალგაზრდა შემოქმედს ხშირად ახსენებდა და მის პოეტურ ნიჭსაც დიდად აფასებდა.

გამოხდა ხანი. ბატონი გიორგის მორიგ დაძახილზე მის კაბინეტში ისევ შევდივარ. რამდენიმე კაცი უზის.

– ეს კაცი გურულია, – ჩემზე უთითებს, – ესენი ჩემი მეზობლები, პატარძეულელები არიან. – ახლა მე მომიბრუნდა, – ნატანებში საპატიო კოლმეურნედ ამირჩიეს და მანდარინს მიგზავნიან; ამათ კი წყალი გამოვუყვანე, ყველაფერს ვუკეთებ, ახლა კი მომდგომიან და გადასახადს მთხოვენ.

გამეღიმა. სტუმრებს გავხედე, – იშმუშნებოდნენ.

დაპატიჟებასაც ცოდნა უნდა

ინსტიტუტის წინ, სარდაფში, რესტორანი „გემო“ იყო. ერთხელ იქ ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამ-შრომლებს შესვენებისას დაწყებული სადილი გაუგრძელდათ და ქეიფში გადაეზარდათ. ერთ–ერთმა თანამეინახემ ვიწრო სარკმლიდან დაინახა და ფეხსაცმლებით იცნო, რომ ინსტიტუტის უფროსი თაობის თანამშრომელმა ამბერკი გაჩეჩილაძემ ჩაიარა. მოქეიფეებმა უმალვე კაცი დაადევნეს და სუფრაზე მიიწვიეს. ბატონმა ამბერკიმ მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო შესვა, მადლობა გადაიხადა და სასწრაფოდ წავიდა.

არ გასულა ნახევარი საათი, სარდაფში ინსტიტუტის მნე ვალიკო ყუშიტაშვილი გაჩნდა და მოქეიფეებს აცნობა: დირექტორი გეძახით, ახლავე უნდა წამოხვიდეთო. ისინიც უმალვე აიშალნენ და რამდენიმე წუთის შემდეგ გიორგი ლეონიძის კაბინეტში ფეხაკრეფით შეიძურწნენ. იქვე იდგა ბატონი ამბერკიც.

– რასა ჰგავს ეს, სამუშაო საათებში რესტორანში სხედხართ! – ბრაზობს დირექტორი. ყველა შეშინებულია, დაგვსჯისო. რამდენიმე საყვედურის შემდეგ კი მან ჩაილაპარაკა:

– თქვენ ქეიფი და დროსტარება არ გცოდნიათ. ისიც არ იცით, ვინ უნდა დაპატიჟოთ (ლხინითა და ქეიფით არც ხანდაზმული ბატონი ამბერკი გამოირჩეოდა).

კუჭის ჭიხვინი

მირიან აბულაძე გვიამბობს:

ინსტიტუტის მანქანით სამსახურში მოვდიოვართ. უცებ წინ მჯდომი გიორგი მოგვიბრუნდა და გვეკითხება:

– გინდათ, კუჭის ჭიხვინი მოგასმენინოთ?

პასუხისათვის არ დაუცდია, მძღოლს მანქანას ტროლე-იბუსის გაჩერებასთან შირიახლო მდგომი შოთა ძიძიგურის წინ აჩერებინებს.

– შოთა, კარგ სუფრაზე მიედივართ, გეპატიჟებით, წამოდი! – არც მისალმებია, ისე მიმართავს.

– აუ, ლექციაზე მივდივარ, არაფრით შემიძლია! – იუარა შოთამ.

– კარგი, აბა, რა გიყო! – უთხრა და მძღოლს ანიშნა, წავიდეთო. ცოტა რომ გამოვშორდით, გიორგი გაღიმებული მოგვიბრუნდა:

– გაიგონით, კუჭის ჭიხვინი?! (შოთა ძიძიგური სუფრის დიდი მოყვარული, მოქეიფე და მომლხენი კაცი ბრძანდებოდა).

მძღოლის ერთგულება

გიორგი ლეონიძე თავისი სამსახურებრივი მანქანით წყნეთიდან თბილისში მოდის. როგორღაც ცეკას მდივანი დევი სტურუა დამგზავრებია და მოჰყავს. საუბრისას სტუმარი რაღაც საკითხზე გიორგის არ დაეთანხმა. მძღოლი **ჯიმშერ მჭედლიშვილი** თავს უკან აბრუნებს და დევის ეუბნება:

– ეი, შენ ახლა ამას ასწავლი? – და ხელით გიორგი ლეონიძეზე ანიშნებს.

მეღვინე და პოეზია

ეს ამბავი ადრე ინსტიტუტში მომისმენია. ახლახან მისი სიმართლე რევაზ ბარამიძესა და კოტე ჩოლოყაშვილთან დავაზუსტე.

რომელიღაც თარიღთან დაკავშირებით საზეიმო შეხვედრას უწყობდნენ და **გიორგი ლეონიძე** თელავში ჩაბრძანდა. შეკრებამდე დრო ჰქონდა და ქალაქში მარტომ გაისეირნა. მოინახულა ის ადგილები, სადაც ახალგაზრდობაში ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილსა და სხვებთან ერთად დრო უტარებია. ჩავიდა ღვინის სარდაფში. ზორბა ტანის მხარბეჭიანი მეღვინე ხალისიანად შეეგება მოსულს და ღვინის დაჭაშნიკება შესთავაზა. ბატონმა გიორგიმ რამდენიმე ძველი მეღვინე მოიკითხა და, თუ რა და რა ღვინოები ჰქონდა, მასპინძელს დაინტერესდა.

მეღვინემ უცებ სახელდახელო სუფრა გაშალა და რამდენიმენაირი ღვინო დოქებით ჩამოდგა.

– ვხედავ, უბრალო კაცი არა ხართ, ვინ ბრძანდებით? – ორიოდე ჭიქის გადაკერის შემდეგ იკითხა მეღვინემ.

ბატონი გიორგი ხუმრობის ხასიათზე დადგა და უპასუხა: „საქთევზმრეწვის“ ტრესტის მმართველი ვარო.

პოეტს გაზეთგადაფარებული კასრის თავზე მოწოდებული ყველი, პური, მწვანილი, წნილი, შავი და ქარვისფერი ღვინოები ახალგაზრდობას აგონებდა, ნეტარებით იგონებდა და ჰყვებოდა თელავში გატარებულ შთამბეჭდავ ეპიზოდებს. შაუბარ-საუბარსა და ღვინის ნება-ნება სმაში დრომაც გაირბინა.

ამ დროს რაიკომსა და რაიაღმასკომში ერთი ამბავი ატყდა. შეხვედრის დრო ახლოვდებოდა და ღონისძიების თავიდათავი არ ჩანდა. დატრიალდნენ, გაიკითხ-გამოიკითხეს და ღვინის სარდაფსაც მიაკითხეს.

მასპინძელსა და მის სტუმარს ღვინო შესამჩნევად მოჰკიდებოდათ. მელვინე კარგ ხასიათზე დამდგარიყო და ბატონ გიორგის სიცილითა და მხიარულებით ზურგზე ხელს უტყაპუნებდა. რაიონული მთავრობის ჩინოსნებს მელვინის ფამილარობა არ მოეწონათ და თვალები დაუბრიალეს, – იცი, ვინ არის ეს კაცი? ეს პოეტი გიორგი ლეონიძე გახლავსო!

– პოეტი? ამხელა კაცი ლექსებსა წერს?! – გაიოცა მელვინემ და ჩაილაპარაკა, – აფსუს ღვინო!

თბილისში დაბრუნებულმა ბატონმა გიორგიმ სხვადასხვა სახეობის ძვირფასი თევზეულობა შეიძინა და თელავში იმ მელვინეს გაუგზავნა.

ნოდარ ალანიას ამბები

ნოდარი უაღრესად სიცოცხლის მოყვარული, ხალისიანი, იუმორის ფრიად დამფასებელი და ამ ნიჭით დიდად დაჯილდოებული იყო. მას არ გამოეპარებოდა იუმორით ოდნავ შეფერადებული სიტყვა თუ შემთხვევა, მაშინვე აიტაცებდა და წინ წამოწევდა. ერთხელ ერთ ჩვენს საერთო მეგობარზე, რომელსაც თავის მოვლა ძალიან უყვარდა, ბენო დობორჯგინიძემ თქვა: *იგი, ბიჯო, ყურძენს იმიზა ჭამს, რომ იცის, სასარგებლოა.*

ნოდარი ამ უწყინარ, მაგრამ ფრიად დამახასიათებელ ხუმრობას ხშირად იგონებდა და ღიმილით იმეორებდა.

*

ნოდარი, ახალბედა სტუდენტი, რამდენიმე მეგობართან ერთად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საერთო მეგობრის სანა-

ხავად მიეიდა. როცა გარეთ იდგა და მის გამოსვლას ელოდებოდა, შავებში ჩაცმული ქალი მიუახლოვდა და მკვეთრი მეგრული აქცენტით შეეკითხა: *შვილო, ჯანმრთელი ხომ ხარო?* ნოდარი გააკვირვა ამ შეკითხვამ, მაგრამ მალე გაირკვა, რაც აწუხებდა.

– ჩემი შვილი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აბარებს, – აუხსნა ქალმა, – ყველა საბუთი ხელთა მაქვს, ოღონდ ჯანმრთელობის ცნობა მაკლია; თვითონ სოფელშია, ჩამოსვლას ვერ ასწრებს და, იქნებ, სამედიცინო შემოწმებაზე მის მაგივრად გახვიდეო.

ნოდარი მაშინვე უყოყმანოდ დასთანხმდა და კომისიაზე გავიდა.

– შენა ხარ, ბიჭო, არსენა? – როცა ქაღალდში ჩახედა, გაფართოებული თვალებით ეკითხება სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე.

– დიახ. – მიუგო ნოდარმა.

ეს შეკითხვა რომ ისევ და ისევ გაუმეორეს და ნოდარიც ერთსა და იმავე „დიახს“ ბეჯითად გაიძახოდა, კომისიის წევრებში ჩოჩქოლი ატყდა, თავმჯდომარემ კი რისხვით წამოიძახა:

– ასეთი აფერისტობით შოულობ ხომ ფულს?!

... და ნოდარი დააპატიმრეს.

თურმე, ეს არსენა ტუბერკულოზით ყოფილა დაავადებული, სამედიცინო შემოწმებაზე რამდენიმეჯერ გასული და „დაბრაკული“.

ნოდარის დაკავების ამბავმა გარეთაც გამოაღწია. მაშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი არტემ ბოჯგუა გახლდათ. მის ერთ ქალიშვილს ნოდარი და მისი მეგობრები იცნობდნენ და ერთ-ერთი ბიჭი ამ გოგონასთან გაიქცა.

დაპატიმრებულ ნოდარს გაახსენდა, რომ შინ ანთებულ ნავთქურაზე მოსახარშავად ლობიო ჰქონდა შემოდგმული და ნერვიულობამ კიდევ უფრო აიტანა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ტუსაღი გაათავისუფლეს. მაშინ ის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ზედა თავში, დეიდასთან, ცხოვრობდა. ომი ახალდამთავრებული იყო, ტაქსი და სხვა ტრანსპორტი იშვიათად დადიოდა და ნოდარი შინისაკენ ფე-

ხაჩქარებით, გაეშურა. მიეიდა და ... ლობიო და ქვაბი დამწვარ-დახრუკული დახვდა.

*

სტუდენტობისას, სტუდბილეთი შინ რომ რჩებოდა, უფრო კი, ალბათ, ახალგაზრდული ონავრობით, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კარისკაცს, როგორც ვეძახდით, ძია მოსეს, რომელიც მეორე სართულზე ასასვლელ კიბესთან ხარიხის თავში იდგა და უსტუდბილეთოდ არავის ატარებდა, ნოდარი ჩქარი ნაბიჯებით ჩაუვლიდა, არც შეხედავდა, საქმიანი ხმით მიუგდებდა – *ალანიასთან მივდივარო* და გზას განაგრძობდა. ამას ისე თამამად და დამაჯერებლად აკეთებდა, ძია მოსე ერთხელაც არ დაინტერესებულა, ვინ იყო ეს ალანია, ვისთანაც მისვლა ასე დაუბრკოლებლდ იყო შესაძლებელი.

ერთხელაც უნივერსიტეტის გამოჩენილ რექტორ ნიკო კეცხოველს ნოდარი თავის კაბინეტში რაღაც საქმეზე გამოძახებული ჰყავდა. საუბარი ცოტათი მას შემდეგაც გაუგრძელდა, რაც ლექციების დაწყების ზარი დაირეკა. *არ გაგატარებენო*, და ბატონმა ნიკომ გაყოლა დააპირა. ნოდარმა, *ნუ შეწუხდებით, არ მინდაო*, დერეფანი სწრაფად განელო და ძია მოსეს ნაცადი ხერხით ჩაუარა.

– მოიცა, მოიცა! – მოესმა ნოდარს რექტორის ხმა, რომელიც მას უკან მაინც მიჰყოლოდა.

– რატომ გაუშვი დაგვიანებული და თანაც უსაბუთო? – ბატონი ნიკო ძია მოსეს მიადგა.

– რა ვიცი, კაცო, მითხრა, ალანიასთან მივდივარო! – დაიბნა კარისკაცი.

ნოდარმა ბატონ ნიკოს გულახდილად გაუმხილა თავისი ეშმაკობა. ამის შემდეგ ნოდარი ძია მოსესა და სხვა კარისკაცებსაც დაუახლოვდა და სტუდბილეთს კვლავ აღარავინ სთხოვდა.

*

ესეც ნოდარის სტუდენტობის დროინდელი ამბავია. ის იაგო ვარდოსანიძესთან ერთად ახლანდელ დიმიტრი უზნაძისა და მაშინდელ კამოს ქუჩაზე ბეუან ჯაფარიძესთან იმყოფებოდა. რაღაცასთან დაკავშირებით აელიპი ზურაბაშვილზე,

როგორც დიდ ფსიქიატრზე, ჩამოვარდა სიტყვა. ნოდარმა თქვა: *კი, მჯერა, რომ უდიდესი სპეციალისტია, მაგრამ შემიძლია, მოვატყუო და თავი გიჟად მოვაჩვენოო.* მაშინ ნოდარი უნივერსიტეტის თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობდა და გარდასახვის უნარი გამახვილებული ჰქონდა. მეგობრები არ დაეთანხმნენ: *ფსიქიატრებმა იმდენი ნიუანსი იციან, ვერაფერს გამოაპარებო.* დადეს სანაძლეო პურ-მარილზე.

იქვე იყო ფსიქიატრიული საავადმყოფო და სამიენი გადავიდნენ. ბეჟანის მამა ვიქტორ ჯაფარიძე რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი და, როგორც თერაპევტი, ფსიქიატრიული საავადმყოფოს კონსულტანტი გახლდათ. ბეჟანი ავლიპის მამის სახელით მიადგა: *ჩვენს ბათუმელ მეგობარს, ახალგაზრდა მწერალს, რაღაც გადახრებს ვამჩნევთ და მოვიყვანეთო.* ის იყო, ბატონ ავლიპის ვიღაც ავადმყოფზე კონსილიუმი დაემთავრებინა, ჯერ არ დაშლილიყვნენ და ნოდარიც იქვე მიიღეს.

– რა გაწუხებთ, ყმაწვილო? – ეკითხება ბატონი ავლიპი ნოდარს.

ნოდარი „მოწყენილი“, თავჩაღუნული ზის და მარცხენა ტუჩსა და ლოყას ზევით და ქვევით ათამაშებს.

– როცა დავდივარ, ქვევიდან ხმები მესმის, ვიღაც მეძახის, *ნოდარ, ნოდარო.* – ხმადაბლა, დაყოვნებით, თავაუღებლივ პასუხობს ნოდარი.

– როგორია ეს ხმები? – ისევ ბატონი ავლიპი ეკითხება.

– ნოტიო ხმებია. – კელავ პაუზით ჩაილაპარაკა „ავადმყოფმა“.

– თქვენ ჭკვიანი, განათლებული ყმაწვილი ბრძანდებით, განა შეიძლება ხმები ნოტიო იყოს? – საუბარში ჩაერია კონსილიუმის ერთ-ერთი მონაწილე.

ნოდარი უცებ ზეზე წამოიჭრა, თვალები გადმოკარკლა და „ნერვებაშლილმა“ დაიყვირა:

– თეოფილე გოტიეს თუ აწუხებდა ყვითელი და ლურჯი აზრები, მე არ შეიძლება სველ-სველი ხმები მომდიოდეს?!

საუბარი აღარ გაგრძელებულა. ბატონმა ავლიპიმ ბეჟანი განზე გაიხმო და *დატოვე, დავაწვინოთო,* ურჩია.

ბეჟანმა მოიმიზეზა, *ბათუმში ოჯახს გავაგებინებთ, მოვამზადებთ და მოვიყვანთო,* და მადლობით გამოემშვიდობა.

იმ საღამოს ნოდარს 40 გრადუსამდე სიცხე მისცა, ბოდავდა. ორი-სამი დღე ყბამოღრეცილი იყო, თაებრუ ესხმოდა. სანაძლეო მხოლოდ თვის შემდეგ მოითხოვა და მაშინ კი ბიჭებმა კარგად მოილხინეს.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოფნიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბეჟანს მამა ეკითხება: *ვინ ავადმყოფი გყავდათ ავლიპისთან, სად არის და რას შერება ახლა ისო?*

ბეჟანი დაიბნა და რაღაც მიკიბ-მოკიბა, ბოლოს მარჯვედ მოიგონა, *ნოდარის ამხანაგი იყო ბათუმიდანო.* ვიქტორმა იყნოსა, ახალგაზრდებმა რაღაც იეშმაკეს და შვილს თითი დაუქნია, *მეტი არ გაბედო ასეთი რამეო.*

*

ნოდარის ერთი მეგობარი დაბადების დღეს იხდიდა; სურსათის ყიდვასა და მოტანაში ნოდარიც ეხმარებოდა. ხელსაყრელ ფასად თევზი რომ ვერ იშოვეს, იუბილარმა გამოაცხადა, *თევზი ამოვარდაო.* საღამოს რომ გოჭზეც იგივე გაიმეორა, ნოდარმა უთხრა: *მაშინ „ჟვაჩკები" ვიყიდოთ და სტუმრებს დავურიგოთო.*

*

ერთ დღეს **შალვა ნუცუბიძე**, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტის გვერდით ცხოვრობდა, სამსახურში გვეწვია და ლიტერატურის თეორიის განყოფილების ოთახში შევიდა. ხელში ბზის ხელჯოხი უჭირავს. განყოფილების ხელმძღვანელი მამია დუდუჩავა და ყველა იქ მყოფი დიდი მოწიწებით შეეგებნენ სტუმარს.

– რომელია **ნოდარ ალანია**? – იკითხა სტუმარმა.

გივი ლომიძე ოთახიდან გავარდა და ნოდარი მოიყვანა, რომელიც მოკრძალებით წარუდგა ლეგენდად ქცეულ მეცნიერს.

– ამას ხომ ხედავ, ზურგზე გადაგამტვრევ! – ბატონმა შალვამ ტროსტი მრისხანედ აღმართა. ყველა შეცბა.

– ახლა არავინ არაფერს კითხულობს, – განაგრძობს ბატონი შალვა, – ყველა წერს, შენ რამ წაგაკითხა ჩემი წერილი?!

თურმე, იმ დღეებში ბატონი შალვას წერილი გამოქვეყნებულა, სადაც აკაკის ლექსი უნებლიეთ ილიას მიეწერება თუ პირიქით. ეს შეცდომა ნოდარს შეუმჩნევია და პატარა ბარათით ავტორისათვის უცნობებია. თან დაუყოლებია: *თქვენმა მტრებმა ბოროტად არ გამოიყენონ, გაასწორეთო.*

ბატონი შალვა ნოდარის გასაცნობად და მადლობის სათქმელად მობრძანებულიყო.

*

ვაკის პარკის რესტორანში სუფრაა გაშლილი. თავმოყრილთაგან მეტი მწერლები არიან. სუფრაზე მიპატიჟებული გახლდათ **ნოდარ ალანიაც**, რომელიც იმ დღეს მისაღებ გამოცდაზე იმყოფებოდა და აგვიანებდა. წინა დღეებში თბილისში ხმა დაირხა, *მისაღებ გამოცდაზე ქრთამის აღების გამო დანომრილი ფულით ესა და ეს დაიჭირესო.* ამაზე საუბრისას უცებ **ჯანსულ ჩარკვიანი** სერიოზული ხმით ამბობს: *რომ არ ჩანს, ნოდარ ალანიაც დაჭერილი არ იყოსო.* ერთ ახლობელ მანდილოსანს თვალებში შიში ჩაუდგა. **ნოდარ დუმბაძემ** ის ასე დაამშვიდა: *ნუ გეშინია, ნოდარ ალანია ფულს არ იღებს და მწვადებს არ ნომრაენო.*

*

სამსახურიდან შინ დაბრუნებული **ნოდარი** ხედავს: მეუღლეს მისი ხალათი გაურეცხავს, ჯიბიდან მანამდე ჭორად დარხეული ამბის დამადასტურებელი ქალის სამიჯნურო ბარათი ამოუღია, მაგიდაზე ჭიქის ქვეშ ამოდვია, თვითონაც მაგიდას უზის და ხელსაქმობს.

ნირწამხდარი ნოდარი სკამზე დაეშვა და გულისფანცქალით ჩხუბს ელოდება. ერთხანს იცადა და შემდეგ მოთმინებადაკარგული ცოლს მიუბრუნდა:

– ლილი, დავიწყოთ, თუ ეიწყებთ, აღარ შემიძლია, გასკდა გული!

ქალბატონი ლილი ის ქალი არ გახლდათ, ამგვარ რამეებს გამოსდევნებოდა.

*

ლუცინა გუგუშვილი და ილია აბულაძის დისშვილი **ლეილა (ქიცო) თუშმალიშვილი** დიდუბის პანთეონში ბატონ ილიას საფლავზე მიდიან. გზაში ნოდარი შემოხვდათ, ოდნავ ნასვამი იყო და გოგონები ოჯახში მიიპატიჟა. მათ იუარეს, ახლა არ შეგვიძლია, პანთეონში მივდივართო. თხოვნა და უარი რომ რამდენიმეჯერ გამეორდა, ნოდარმა თქვა: *ახლა პირაღმა დაეწვები და პანთეონიც აქ იქნებაო.*

*

ლენინგრადში თორმეტგოჯა ნაწლავზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ქირურგმა **ანატოლი კურიგინმა** ნოდარს მკაცრი და ხანგრძლივი დიეტა დაუნიშნა: ალკოჰოლიან სასმელებს დიდხანს არ უნდა გაჰკარებოდა. ის კი არა, უთქვამს, *ერთ ხანს მაგარი ჩაის დალევასაც ერიდეო.*

თავიდან ნოდარი დარიგებას კარგად ასრულებდა. უსუფროდ ყოფნა მას არ შეეძლო და, სუფრაზე რომ არ მოეწყინა, თამადად მას ვაყენებდით (მერედა, რა ნაღდი და ცოცხალი სადღეგრძელოების თქმა იცოდა!). მაგრამ ასეთ შეზღუდვებს წლამდეც ვერ გაუძლო, ქეიფს თანდათან უმატა და მალე ჩვეულ ფორმაში ჩადგა.

ერთ დღეს, გვარიანად შეზარხოშებული ნოდარი ცოტნე კიკვიძემ შინ მიაცილა. ნოდარმა ლილის უბრძანა, *სუფრა გაგვიშალეო.* ცოტნე შეეხვეწა, *ღვინო არ გვინდა, ჩაი დავლიოთო.* ნოდარმა თავი მოისაწყლა და ღიმილით უპასუხა:

– ხომ იცი შენ, ჩემდა ჩაი არ შეიძლება!

*

ნოდარი თავისი დაბადების დღეს, 28 ნოემბერს, ყოველწლიურად საკმაოდ გრძელი სუფრით აღნიშნავდა. ბოლოს ამას ოპერაციის, ანუ გადარჩენის დღე, 11 ივნისიც, დაუმატა. როცა 50 წლისა გახდა, დიდი ქეიფი მცხეთის პრესტიჟულ რესტორან „ფაცხაში" გადაიხადა. ვინ არ იყო იქ?! პირველი თამადა კოტე ჩოლოყაშვილი გახლდათ.

ნოდარის გარდაცვალების შემდეგ ეს ტრადიცია ლილიმ განაგრძო, შემდეგ – ძმამ, ილომ. საფლავზე გასვლის შემდეგ ერთხანს რესტორანში მივდიოდით. რაც დრო აირია, ილოს

ბინაში ვიკრიბებოდით. ცოტ-ცოტა რამე ჩვენც მიგვქონდა, მაგრამ ძირითადად ეს ილოს ხარჯზე ტარდებოდა, რისთვისაც ის მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდა.

1994 წლიდან, ილოს გარდაცვალების შემდეგ, ნოდარის ახლო მეგობრები ჩვენ-ჩვენი მცირე ხარჯით ამ დღეს ნოდარის საფლავზე აღვნიშნავდით.

გადიოდა წლები და ჩვენი საძმო თანდათან მცირდებოდა. გარდაიცვალნენ: გურამ აბესაძე, გივი და ვაჟა ჭანიშვილები, მირიან აბულაძე, ანდრო მირიანაშვილი, რეზო გოგელია... ბოლოს დავრჩით: ცოტნე კიკვიძე (2001 წლის მარტში ისიც გარდაიცვალა), გურამ ბარნოვი, ბორის დარსაძე, გივი ლომიძე და მე. ხშირად გვიერთდებიან მიხეილ ქავთარია და თეიმურაზ დოიაშვილი. ადრე შიგადაშიგ შეძლებისდაგვარად დადიოდნენ: აკაკი ხინთიბიძე, გალაქტიონ (კუსა) სიხარულიძე, შოთა ვაშაყმაძე. ერთ წელიწადს შოთა ვაშაყმაძემ ცხვარი იყიდა და საბურთალოზე, თავის ბაღში, იქ მოწეული ღვინითა და სხვა ხარჯით ეს დღე თვითონ გადაიხადა (სხვათა შორის, ჩვენი მცირე ჯგუფი ბოლო ორ წლამდე ილოს გარდაცვალების დღეს, 6 აპრილს, მის საფლავზეც გავდიოდით).

2000 წლის 28 ნოემბერია. გაციებული ვიყავი და გარეთ პირველად წინა დღეს გავედი. თუმცა მძიმე, განუკურნებელი სენითაა დაავადებული, ცოტნე კიკვიძე დილით ტელეფონით მიკავშირდება და ნოდარის საფლავზე გასვლის საათზე ვთანხმდებით. ვიცი, დღეს კიდევ უფრო ცოტანი ვიქნებით. გივი ლომიძე თბილისში არ იმყოფება, გურამ ბარნოვი და ბორის დარსაძე (გარდაიცვალა 2004 წლის ბოლოს) შეუძლოდ არიან.

შინ პომიდვრის ახალი მწნილი მქონდა, სახაჭაპურეში იმერული და ფენოვანი ხაჭაპურები ვიყიდე და ნოდარის საფლავზე ადრიანად მივედი. სხვა დროსაც ნაადრევად მივდიოდი, რადგან წესად მაქვს, შეკრებამდე იქვე, შორიახლოს, მდებარე ჩვენი თანამშრომლების – ელენე ვირსალაძის, ქსენია სიხარულიძის, თამარ ოქროშიძის, იოსებ მეგრელიძისა და დავით გამეზარდაშვილის – საფლავებს ჩამოვუარო. ახლაც ასე გადავწყვიტე. ხელბარგი რომ არ მეტარებინა, ნოდარის საფლავს ზანდუკის მსგავსი რკინის სათავსო ახლავს და შიგ ჩავდევი. ადრე ილო მასში საფლავის მოსაელელ ნივთებს ინახავდა და ბოქლომით კეტავდა. ახლა იგი ღია დამხვდა. სა-

ხურავის ახდისას დავინახე: შიგ ღვინო და პურ-მარილი ეწყო. ვიფიქრე, *ვინმე ჩვენიანია მოსული და მისი მოტანილი იქნება-მეთქი.*

ცოტაც და ცოტნე კიკვიძე, მიხეილ ქავთარია და თეიმურაზ დოიაშვილი ერთად მოვიდნენ. *უნივერსიტეტში სამეცნიერო სესიაზე ვიყავით, იქიდან მოვდივართ. ამიტომ ხელცარიელები ვართ, რაც გვაკლია, აქვე ვიყიდითო.*

ვუთხარი: *არაფერი არ გვინდა, ვიღაც ჩვენიანს ყველაფერი მოუტანია-მეთქი* და სათავსოდან ჩემს მოტანილთან ერთად ამოვალაგე: ოთხი ბოთლი ღვინო, ლავაში პურის, ხაჭაპურისა და ნამცხვრების ნაჭრებით სავსე პარკი, შემწვარი გოჭის, შემწვარი და მოხარშული ქათმებისა და მწვადის ნაჭრებიანი მეორე პარკი, რომელშიც კიტრის, წიწაკისა და ჯონჯოლის მწნილიანი პატარა პარკი იდო, და კიდევ მესამე ცალკე პარკი. მასში ბაჟეთი სანახევროდ სავსე კილოიანი მინის ქილა იდო.

ვდგავართ და ველოდებით პურ-მარილის მომტანს. ყურადღება მივაქციეთ, რომ საფლავის ქვაზე ნოდარის დაბადებისა და გარდაცვალების შემოკლებით დაწერილი ციფრები „24–76“ (ე. ი. 1924–1976 წწ.) ახლა მეორენაირ თარიღებსაც აღნიშნავდა: ნოდარის გარდაცვალებიდან 24 წელი იყო გასული და დაბადებიდან – 76 წელი.

ამასობაში საფლავების მომვლელმა ქალმა ჩამოიარა. ვკითხეთ: *ხომ არ დაგინახავთ, აქ ვინ იყოო. არავინო,* გვიპასუხა.

ბოლოს და ბოლოს მოსული გამოჩნდებაო, ვთქვით და პური გავტეხეთ.

გადის დრო და არავინ ჩანს. ის იყო, შეხვედრას ვამთავრებდით, ბოთლში ორიოდე ჭიქა ღვინო გვქონდა დარჩენილი, რომ საფლავების მომვლელმა ქალმა ამოიარა. მოვიპატიჟეთ, ჭიქით ღვინო მივაწოდეთ და კითხვა ისევ გავუმეორეთ: *ვიღაც ნამყოფია, პურმარილი მოუტანიაო.*

– უიმე, – უცებ წამოიძახა ქალმა, – ეს პურ-მარილი მე ჩავდეო. მესაფლავე დაასახელა, მისთვის ვიღაცას ორმოცისა თუ წლისთავის ხარჯი მიუცია. *მან მე მომაბარა და აქ შევუნახეო.*

ყველას სიმწრის სიცილი წაგვსკდა. რაღას ვიზამდით, ღვინო არა, მაგრამ საჭმელი მაინც ბევრი იყო. მომვლელ ქალს ხუმრობით მივამადლეთ: *თქვენსაზე ბევრი არაფერი მოგვიკლია, ა, ბატონო, ჩვენს მოტანილ ხაჭაპურებსა და პომიდერის მწნილს გიტოვებთო* და წამოვედით.

ვახტანგ (გუგული) ბააკაშვილის ამბები

მოლაღური

ვახტანგ (გუგული) ბააკაშვილი უაღრესად კეთილშობილი კაცი გახლდათ. იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში ისეთი პატიოსანი, ნიჭიერი, კეთილი, თავაზიანი, თავმდაბალი, მოსიყვარულე და, რაც ამჟამად მაინტერესებს, იუმორით დაჯილდოებული პიროვნება, როგორიც ის იყო. გული მწყდება, რომ მან მეცნიერებაში ის მემკვიდრეობა ვერ დატოვა, მის ცოდნასა და ნიჭს რომ შეესაბამება.

უნდა გენახათ, რა ნიჭიერად, გონივრული შეწირვებითა და გათვლებით, თამაშობდა ჭადრაკს. თითოეული მისი კომბინაცია სწორედ რომ ხელოვნების დონეზე იდგა! ჭადრაკშივე ჩანდა მისი კეთილშობილებაც. ხშირად ეთამაშებოდა ერთ ჩვენს თანამშრომელს, რომელიც, ცოტა არ იყოს, ბოღმიანი კაცი გახლდათ. გამარჯვებული დამარცხებულისაგან ღებულობდა დამარცხებულის ხელწერილს, რომელსაც გამარჯვებული წერდა და დამარცხებული ხელს აწერდა. ერთი ასეთი ხელწერილი დამამახსოვრდა. გუგულიმ მას ხელმოსაწერად მისცა ასეთი ხელწერილი: „*ვარ მოლაღური!*“ მან კი – გუგულის: „*ვარ ჩეჩმა!*“

დასჯილთა სიმღერა

გუგულიმ საშვიდნოემბრო პარადზე გაუსვლელობისათვის შაე სიაში მოხვედრილი თავისი მეუღლისა და ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილების ქალების სახელით ასეთი ლექს-განცხადება დაწერა:

„ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ გიორგი ციციშვილს,

ნინო მახათაძის, ლიანა კეკელიძის, ლალი ძოწენიძის ერთსულოვანი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

დავბერდით, დავჩაჩანაკდით,
ძნელი ყოფილა ბებრობა,
ძალა არ შეგვწევს, თორემ გვსურს
აღვნიშნოთ შვიდნოემბრობა.

ის აღარა ვართ, რაც ვიყავთ,
(ლერწამს რა უნდა მუხასთან),
სად ძალგვიძს გასვლა პარადზე,
ჩვენ უნდა ვისხდეთ ბუხართან.

იმედი არის, გაგვიგებთ,
არ მოგვთხოვთ ახალგაზრდობას,
სხვა მხრივ კი მუდამ ვეცდებით
არ ვუღალატოთ თქვენს ნდობას!"

ლატარიის ბილეთი

ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები **გუგული ბააკაშვილი** და **იგორ ბოგომოლოვი** სამეცნიერო მივლინებით მოსკოვს იმყოფებოდნენ. ერთად დაბინავება ვერ მოახერხეს და სხვადასხვა სასტუმროში ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთსა და იმავე ბიბლიოთეკასა და არქივში მუშაობდნენ და ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ. ერთ დღეს იგორმა თავისთვის 5–6 ცა-ლი ლატარიის ბილეთი იყიდა და ამდენივე გუგულის აჩუქა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, საღამოს, როცა იგორი სასტუმროში დაბრუნდა, ფოიეში გაზეთი „ვეჩერნაია მოსკვა" იყიდა, რომელშიც ლატარიის გათამაშების ცხრილი დაებეჭდათ. უმალვე ოთახში ავიდა, ლატარიის ბილეთები შეამოწმა და ნახა, არც ერთი ცხრილს არ გაეკარა. აიღო ტელეფონი და გუგულის ეუბნება: ლატარიის გათამაშების ცხრილი შევიძინე, ჩემმა ბილეთებმა სიკეთე არ ქნეს და ახლა შენი შევამოწმოთო.

–კარგი, მოვიტან ჩემს ბილეთებს, – ეთანხმება გუგუ-
ლი.

სინამდვილეში სასტუმროში დაბრუნებისას გუგულიმაც იყიდა ეს გაზეთი და ნანახი აქვს, რომ არც ერთი არ აღ-მოჩნდა მომგებიანი. ახლა მან ლატარიის ნაცვლად გაზეთი დაიდო წინ და იგორს იქიდან კარნახობს ლატარიის სერიებსა და ნომრებს.

–არა, ახლოსაც არ გაეკარა! – უპასუხებს იგორი პირველ ციფრებზე. გუგული მეორე ლატარიის ციფრებს უსახელებს.

–ვაიმე, „მოსკვიჩს“ ერთი ნომერი დააკლდა! – შეიცხადა იგორმა,– აფსუს, თანამიმდევრობით რომ არ ვიყიდე!

მესამე ბილეთის ციფრებზე იგორის მოკლე პასუხია:

–არა!

მეოთხეზე იგორს აღელვება ეტყობა და გუგულის სერიასა და ნომერს ამეორებინებს. გუგულის რა ენაღელებოდა, რაც ყველაზე დიდი მოგება იყო, იმისი სერია და ნომერი დაახეთქა.

–აბა, ახლა ეს ციფრები ბოლოდან წამიკითხე! – ერთხელ კიდევ ამოწმებს იგორი.

–რა გემართება? – „იკვირვებს“ გუგული და ციფრებს ნელ-ნელა, გამოთქმით წარმოთქვამს. იგორი ხმას არ იღებს.

– ჰო, რა იყო, რატომ გაჩუმდი, მოვიგეთ?! – „ვერ ითმენს“ გუგული.

– ახლავე მოვდივარ შენთან! – როგორც იქნა, ყურმილში გაისმა იგორის ხმა.

შემდეგ იგორი ჰყვებოდა: ვიფიქრე, დიდი მოგება ერთბაშად რომ ვახარო, ვაითუ, გული შეუწუხდეს, მივალ, სიხარულს ნელ–ნელა შევაპარებ და მერე მოგებას ამაღამვე „დავასველებთ"–მეთქი.

არადა, გარეთ საშინელად ყინავდა. გუგულიმ მეგობარი დაინდო და ეუბნება:

–რა ხდება, რატომ არაფერს მეუბნები? ბარემ დანარჩენებიც შევამოწმოთ! – და კვლავ დიდმოგებიან ციფრებს ასახელებს. მაშინ კი მიხვდა იგორი, რა მოგებაც ეჭირათ ხელთ!

„ნოვატორობის“ ჟინით შეპყრობილთათვის

ეს „ნოვატორული“ ლექსიცა და მისი წინასიტყვაობაც გუგული ბააკაშვილს ეკუთვნის:

ჩვენი საუკუნის 60–70–იანი წლები დაუცხრომელი პოეტური ძიების წლებია. ყველა ეძებს: დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც... ზოგიერთმა იპოვა კიდეც და მსწრაფლ შექმნეს ახალი პოეტური მიმდინარეობანი: პირველი პოეტური მიმდინარეობა: „ჩემს ჭენებას არ აქვს საზღვარი“, მეორე – „ფეხებზე მკიდია მე ჩემი მკითხველი“, მესამე – „ენას არა აქვს ძვალი“ და სხვა. ამჯერად წარმოგიდგენთ ერთ ნიმუშს პოეტური მიმდინარეობიდან – „ჩემს ჭენებას არ აქვს სა-ზღვარი“.

გრძნობა გათელა დილამ

არეულია ერთმანეთში დღეები, ღამეები და სკორე,
მთვარე შეეჯახა მზეს.
ცაში თვითმფრინავი ღმუის და გალობს,
ნეტავ რას ფიქრობს ჩემი ბიცოლა?

ატომი დაშალეს...
მემწვანილე მწვანილს გაჰყიდის,
იასამანი თუჯს და ფოლადს მიუზღავს წილს...
და თუ სამყარო დაინგრევა ან აშენდება,
ბუნების კანონს, სულერთია, ვერავინ შეცვლის!

ძირშივე აღმოვფხვრათ ძველის გადმონაშთი,
აქა-იქ დღესაც რომ დააბიჯებს.
ნუ მივაწვდით მკითხველს იმგვარ დაწერილს,
რასაც იგი გრძნობს და გაიგებს*.

ტალახში ამოსვრილ ბიჭუნას ვუმზერდი,
ვარსკვლავებს ვინ დათვლის ცაზე?
და მე მომაგონდა ჩანჩქერი, ნილს ბორი...
გრძნობა გათელა დილამ!...

---

* ავტორი გულისტკივილით აღიარებს, რომ აქ რითმა გაეპარა და აზრიც გასაგებად ნათქვამი დაურჩა.

„დეპეშა" ტაშკენტიდან

გუგული ბააკაშვილი თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა იმ ფინალურ მატჩს დაესწრო, რომელიც 1964 წლის ნოემბერში ტაშკენტს ჩატარდა და ჩვენმა გუნდმა პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა. გუგულიმ იქიდან ინსტიტუტს მოსალოცი დეპეშა გამოუგზავნა, ოღონდ არა თავისი, არამედ ინსტიტუტელი მეგობრისა და კოლეგის **გივი მიქაძის** ხელმოწერით. გუგული ტაშკენტს ისე გაემგზავრა, დირექციისაგან ნებართვა არ აუღია. მაშინ შრომით დისციპლინას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა და სამსახურის გამცდენი მკაცრად ისჯებოდა. მაგრამ გუგულის სხვისი სახელით დეპეშის გამოგზავნა ამის გამო არ დასჭირვებია. ხუმრობის მთელი მარილი ის იყო, რომ პროფესორი გივი მიქაძე, ძველი ქართული ლიტერატურის ეს შესანიშნავი მკვლევარი, გუგულის ძლიერი მეტოქე ჭადრაკში, ფეხბურთის მოყვარული სულაც არ გახლდათ, სტადიონზე აქ არ დადიოდა და ტაშკენტში მისი გაფრენა ინსტიტუტში ყველას გაგვიკვირდა.

სანამ დეპეშას განცხადებათა დაფაზე გამოაკრავდნენ, მანამდე იგი ინსტიტუტის დირექტორს **გიორგი ლეონიძეს** გააცნეს. ბატონი გიორგი დეპეშამ ძალიან აღაშფოთა. საქმე ის არის, რომ იმხანად სოხუმში ძმასთან ჩასული გივის მამა, ცნობილი მოღვაწე ვარლამ მიქაძე, ავად გამხდარა და ორიოდე დღის წინათ გივის დირექტორისათვის სოხუმში წასასვლელად და მამის ჩამოსაყვანად რამდენიმე დღით სამსახურში გამოცხადებისაგან გათავისუფლება უთხოვია.

დეპეშიდან კი ჩანდა, სოხუმის ნაცვლად, მას თავი ტაშკენტის სტადიონზე ამოუყვია.

გადის დღეები და გიორგი ლეონიძე დერეფანში მეგობრებთან მდგომ გივი მიქაძეს, ისე, რომ არ მისალმებია, კუშტად ეუბნება, ჩემთან შემოდიო.

— თუ ფეხბურთზე წასვლა გნებავდათ, პირდაპირ გეთქვათ, საამისოდ ვარლამს ავად რადა ხდიდით? — კაბინეტში წარბშეკვრით საყვედურობს დირექტორი.

გივის ჯერ ის გაუკვირდა, რომ თავაზიანობითა და ყურადღებით გამორჩეული პოეტი დერეფანში მას არ მიესალმა და მამის ამბავი არ ჰკითხა, ფეხბურთის ხსენებისას კი სულ

ტყემალზე შემოჯდა. როცა დეპეშის ამბავი გაიგო, არც გაღიმებია, მთელი ძალით იცავდა თავს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მანამდეც ბატონ გიორგის რატომღაც ისე ჰქონდა შთაგონებული, რომ გივი ფეხბურთის გულშემატკივარ ახალგაზრდათა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც ყოველი მატჩის მეორე დღეს ინსტიტუტში გაუთავებლად მასზე მსჯელობდნენ და კამათობდნენ. რამდენიმეჯერ დანანებით კიდეც უთქვამს: ეს სერიოზული მეცნიერი, მიკვირს, როგორ არის ფეხბურთს ასე გადაყოლილიო. ამაზე ჩვენ შეფარვით ვიცინოდით და დირექტორისთვის ერთხელაც არ აგვიხსნია, რომ საქმე პირიქით იყო.

ახლა დაბეჯითებით თქმა მიჭირს, მაგრამ ისიც სავარაუდოა, გუგულის ხუმრობა გარკვეულწილად დირექტორის ამ შეხედულებით ყოფილიყო შთაგონებული.

ბატონი გიორგი დეპეშის გამო იმდენად იყო განაწყენებული და გაგულისებული, რომ ვერც გუგულიმ და ვერც სხვამ სიმართლის თქმა ერთხანს ვერ გაბედეს.

არადა, გივი იმ დროს ალექსანდრე ბარამიძესა და გაიოზ იმედაშვილთან ერთად გამალებით მუშაობდა „ქართული ლიტერატურის ისტორიის" მეორე ტომის გამოსაცემად და დირექტორს მასთან მომდურება ხელს არ აძლევდა. რაც მოხდა, სი-ცილით მას შემდეგ აღიარეს, როცა ერთი წვეულებიდან შინ შექეიფიანებულნი ბრუნდებოდნენ. ბატონმა გიორგიმ ბატონ გივის ხელი გაუწოდა და უთხრა:

— კარგი, რაც იყო, იყო, შევრიგდეთო.

სამშობიარო სახლის წინ

როცა რევაზ ბარამიძემ მსუბუქი ავტომანქანა შეიძინა. ტარებას გუგული ბააკაშვილი ასწავლიდა. რევაზი მანქანას თავის სახლთან ახლოს, კობის ქუჩაზე მდებარე სამშობიარო სახლის ეზოში, აყენებდა.. აქედან სამსახურის შემდეგ თბილისის ზღვაზე მიდიოდნენ და იქ მყუდრო გარემოში ვარჯიშობდნენ. მათ ზოგჯერ რომან მიმინოშვილიც მიჰყვებოდა.

ერთ დღეს გუგული და რეზო სამშობიარო სახლის ეზოში მანქანის გამოსაყვანად რომ შევიდნენ, რომანი გარეთ, ჭიშკართან, გაზეთში გახვეული საგზლით — პურითა და ძეხვით — დატოვეს.

ახალგაზრდები იყვნენ და მასწავლებელსა და მოსწავლეს თავში ონავრული აზრი მოუვიდათ: სეირი იქნება, რომანის მეუღლესთან ვინმეს დავარეკვინოთ და ვათქმევინოთ: სამშობიარო სახლიდან გაწუხებთ. თქვენმა მეუღლემ, ჩემი ცოლიაო, აქ ვიღაც ქალი მოიყვანა და ამშობიარა. არ გვცილდება, სულ პალატაში ტრიალი სურს. ახლა რაღაც ფუთით ხელში ჭიშკართან დგას და ვერ ვიშორებთ, შემოსვლა უნდა. ძალიან გთხოვთ, თქვენს მეუღლეს თქვენვე მოუაროთ, მობრძანდეთ და შინ წაიყვანოთ!

ადვილი წარმოსადგენია, რა სანახაობაც დატრიალდებოდა: 10–15 წუთში ტაქსი ჩერდება, იქიდან რომანის მეუღლე ლია მახარაძე გაფითრებული სახით გადმოდის და გაწიწმატებული ქმარს თავს აცხრება, აქ რა გინდაო?! დაბნეული რომანი გაკვირვებით ეკითხება, შენ აქ საიდან გაჩნდიო?

... დიახ, ალბათ, ასე იქნებოდა და, ვინ იცის, კიდევ უფრო უარესიც, მაგრამ გუგულიმ და რეზომ მეგობრები — რომანი და ლია — „დაინდეს“, რომანს ეს მზაკვრული აზრი გაანდეს და ამით გამოწვეული სიცილით დაკმაყოფილდნენ.

რომან მიმინოშვილის ლექსები

ლიტერატურის ინსტიტუტში ძველი ბერძნული მწერლობის ორად ორი სპეციალისტი — **გუგული ბააკაშვილი** და **რომან მიმინოშვილი** — გვყავდა, რომლებიც ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებაში ირიცხებოდნენ და ბერძნულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე მუშაობდნენ. ესენი და რუსთველოლოგიის განყოფილების თანამშრომლები სხდომებს წლების განმავლობაში ერთად ვმართავდით. წლიური ნაშრომების განხილვისას ორ-ორი რეცენზენტი იყო საჭირო. და, რადგან სხვა სპეციალისტი არ გვყავდა, მეორე რეცენზიის წერა ერთმანეთის ნაშრომებზე გუგულისა და რომანს თავად უხდებოდათ. უნდა მოგესმინათ მათი რეცენზიები, — იმდენ და ისე მკაცრ შენიშვნებს დაახვავებდნენ, პირდაპირ ტყავს აძრობდნენ ერთმანეთს. არადა ერთიცა და მეორეც რეცენზიებს არა ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს, არამედ თ ა ვ ი ა ნ თ, ს ა კ უ თ ა რ ნაშრომებზე თ ვ ი თ ო ნ ვ ე წერდნენ!

ამ მეთოდმა ერთხელ კურიოზი გამოიწვია.

გუგული ორ წელიწადს ზედიზედ ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარე იყო. როცა პირველი და მეორე წლების ანგარიშს კრებას აბარებდა, როგორც წლიური ნაშრომების რეცენზირებისას აკეთებდა, ადგილკომის, ანუ თავისი, წლიური მუშაობა ორივეჯერ მკაცრად შეაფასა. გუგულის შემდეგ ადგილკომის თავმჯდომარე **რევაზ ბარამიძე** გახდა. მან თავის წლიურ ანგარიშში უცვლელად გადმოიტანა გუგულის ანგარიშის ტექსტი. გამოვიდა რა? თუ თავის წლიურ ანგარიშებში გუგული თავის თავს აკრიტიკებდა, ახლა რეზო გუგულის თხრიდა და მიწასთან ასწორებდა. როცა რეზომ ტრიბუნაზე ძალიან გაუტია და გაუტია, გუგულიმ დარბაზიდან შესძახა:

— ე, ე!

რეზო მაშინღა მოეგო გონს და კრიტიკა შეწყვიტა.

რომანი, ნიჭიერი მეცნიერ-მკვლევარი, მწერალი-მთარგმნელი, ხშირად იუმორისტულ ლექსებსაც წერდა. 1970 წელს მან *„ნიანგის ბიბლიოთეკის“* სერიით იუმორისტული ლექსების ბროშურაც გამოაქვეყნა — *„ბურთი ჩვენი არსობისა“*.

მირიან აბულაძე კარგა ხანს დისერტაციის დასაცავად თავს არ იწუხებდა, თუმცა შესანიშნავი ნაშრომები ჰქონდა გამოქვეყნებული. რომანმა გამოიყენა მირიანის ერთ-ერთი ლექსის სიტყვები.

„თხუთმეტი წელი ლექსებსა ვწერდი...
ვწერდი და ვხევდი
თხუთმეტი წელი.
ყველა ნახევი,
ყველა ნამღერი —
როგორც ბალღები
უკან დამდევენ თხუთმეტი წელი!...
უკან დამდევენ
ფეხშიშველები ჟივილ-ხივილით...
ხან მომძახოდნენ,
ხან კი მომდევდნენ ისევ მდუმარედ —
ვით დღენაკლული
მისდევს მზეს მთვარე...“

ამ სიტყვების კვალობაზე რომანმა მირიანს კედლის გაზეთში დაუწერა:

„სად მიდიხარ, მირიან?
ლექსები მოგყვირიან
როგორც ჩვილი ბავშვები.
ჰქენი დისერტაცია,
დაგვაყენე საშველი!“

¤

ქიცა (გრიგოლ) ხერხეულიძე ლიტერატურის ინსტიტუტის მშვენება გახლდათ. გახლდათ ლექსის ბრწყინვალე შემცნობი და დეკლამატორო, სუფრაზე მომლხენი, მომღერალი და მოცეკვავე. რომანმა მას ასეთი კაფია დაუწერა:

„თუკი ღვინო დავთმო, თუნდა — არაყიცა,
ვიყო არაკაცი, მერქვას არაქიცა!“

მახსოვს, სუფრაზე **მუხრან მაჭავარიანმა** და შემდეგ **ოთარ ჭელიძემ**, *რაღაც აკლიაო*, მისი შევსება მოინდომეს, მაგრამ არ გამოუვიდათ და თქვეს, *იყოს ასეო*.

¤

საახალწლოდ კედლის გაზეთში რომანმა სოლომონ ყუბანეიშვილს ნიკოლოზ ბარათაშვილისებურად მიულოცა:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
სტამბა იხილოს მორიგმა ტომმა!“

¤

შალვა რატიანი, ფეხბურთის *„ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ის იყო“*. როცა მოსკოვის „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“ სლავა მეტრეველი გადმოვიდა, რომანმა შალვას კედლის გაზეთში დაუწერა:

„დარეტიანდა რატიანი, რატინიანი,

¤

ერთ დღეს ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილების ოთახში ალექსანდრე ბარამიძემ შეუსწრო ახალგაზრდებს, რომლებიც ჭადრაკს თამაშობდნენ (მათ შორის გუგული ბააკაშვილი). ბატონმა ალექსანდრემ ახალგაზრდებს შეუყვირა, *რასა ჰგავს ესო*, და მაგიდაზე მუშტი დაჰკრა. ამაზე რომანმა „ბალადა“ დაწერა, რომელიც ასე იწყებოდა (ეს ის დროა, ვინ ვის – მიხეილ ტალი თუ მიხეილ ბოტვინიკი):

„მოჭადრაკენი შემოკრბეს, ამაზე ჰქონდათ ცილობა:
ტალსა თუ ნიჭი ამშვენებს, ბოტვინიკს – გამოცდილება“.

იმავე ოთახში იჯდა, მაგრამ თამაშსა და, საერთოდ სპორტულ გარჩევებში, არასოდეს ერეოდა შერმადინ ონიანი. ბატონმა ალექსანდრემ მას მიმართა: *შერმადინ, სამუშაო საათებში თქვენც ამას სჩადიხართ?!* ლექსში ეს ასე აისახა:

„ჩემო, შერმადინ, ნუთუ შენამდი
აღწევს ჭადრაკის ციებ-ცხელება“.

ბალადა მთავრდებოდა სტრიქონით (ვითომცდა ბატონმა ალექსანდრემ წარმოსთქვა):

„გამოიცან, ვინც მასწავა, სიტყვა უყვარს «საკურტაკე»“.

აქ იგულისხმება იოსებ მეგრელიძე, რომელმაც იმჟამად გამოაქვეყნა ნაშრომი *„«კურტაკი» და «საკურტაკე» «ვეფხისტყაოსანში»*“. შემდეგ ბატონი ალექსანდრე ამაზე იცინოდა: სოსო არაფერ შუაში არ იყო, საქმეზე შეეედი ოთახშიო.

¤

ლიტერატურის ინსტიტუტში ფოლკლორის არქივს იცავდა და განაგებდა **ვალერიან მაცაბერიძე**. არქივში სხვა მასალებთან

ერთად მაგნიტოფონი და მასში ჩაწერილი ზღაპრები ინახებოდა. არქივის ოთახს კარების შიგნით რკინის გისოსებიანი მეორე კარი ება.

რომანმა კედლის გაზეთში გისოსებს იქით მდგარი ვალიკოს სურათი მოათავსა და ქვემოთ ერთსტროფიანი ლექსი დაურთო (დამამახსოვრდა ბოლო ორი სტრიქონი):

„... ლომს რა უნდა გალიაში,
ზღაპრებს – მაგნიტოფონში?!“

¤

მარტის ერთ დღეს რაღაც თარილთან დაკავშირებით აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში საზეიმოდ გამართულ ფოლკლორის განყოფილების სესიას მთელი ინსტიტუტი დაგვასწრეს. უღიმღამო მოხსენებები მოვისმინეთ. ბოლოს, სესიის მუშაობის შეაჯამებისას, სხდომის თავმჯდომარემ, ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელმა მიხეილ ჩიქოვანმა თქვა: *შესაძლებელია, დღევანდელი მოხსენებები ძალიან მალალი დონით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ, უეჭველია, ამ სესიას მაინც ექნება თავისი რეზონი!*

წამოვედით და გაბრაზებულებმა ხელზე დავიხვიეთ სიტყვა „რეზონი“ და ვიძახდით: „რეზონი, რეზონი!“

მაშინ სიიაფე იყო, შევკრიბეთ ფული და „ივერიის“ რესტორანში შევედით. ჩემ წინ იჯდა **რომან მიმინოშვილი**, ჩემს გვერდით – **მაყვალა კუჭუხიძე**. როცა შევქეიფიანდით, მაყვალამ რომანს სთხოვა, ლექსი დამიწერეო. რომანმა ქაღალდის „სალფეთქზე“ დაწერა და მაყვალას გადმოაწოდა:

„მარტი იმარტებს თუ არ იმარტებს,
ამას არა აქვს ახლა რ ე ზ ო ნ ი,
მოვა აპრილი, სითბოც იმატებს,
დადგება შენი კოცნის სეზონი!“

თან დააყოლა: *შეგიძლია, „კოცნის“ მაგივრად სხვა სიტყვაც ჩაწეროო.*

„დესერტაციის“ თამადა

ნინო (ციალა) მახათაძის სადოქტორო დისერტაციის ბანკეტზე თამადად მისი მაზლი, პროფესიით გეოლოგი, ცნობილი პიროვნება **გივი ბააკაშვილი** იყო. როცა ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს სადღეგრძელოს რიგი დადგა, მან განაცხადა: ცალკე მინდა ვადღეგრძელო საბჭოს ის წევრები, რომლებმაც დისერტანტს დადებითი ხმა მისცეს და ცალკე – ის ორი წევრი, რომლებმაც „შავი ჩაუგდესო“.

– რომ არ ვიცით, ვინ მისცა შავი? – იკითხა სიმონ ყაუხჩიშვილმა.

– როგორ, როცა ვადღეგრძელებთ, ფეხზე არ წამოდგებიან და მადლობას არ გადაიხდიან? – „გაიკვირვა“ თამადამ.

ქართული მწერლობის სადღეგრძელოს დროს ბატონმა გივიმ მოგვმართა:

– მეცნიერ-ლიტერატორები ბრძანდებით. ჩემმა მეგობარმა საბავშვო ლექსი დაწერა, არ უბეჭდავენ. ერთი ამიხსენით, რატომ იწუნებენ? – და ყალბი პათეტიკით წარმოთქვა:

„ძია ნიკო, ძია ნიკო!“ –
იძახოდა მერი.
გამოვარდა ძია ნიკო: –
„დედიშენის მზემან,
თუ ცელქობას არ მოიშლი,
არ აგცდება ცემა!“

შალვა ნუცუბიძისა და ბესო ჟღენტის შეხვედრა

ვისაც ბესო ჟღენტი უნახავს, იცის, წარბ-წამწამებიანად თეთრი კაცი იყო. ერთ დღეს, ფეხსაცმლებიანად ყველაფერი თეთრი რომ ეცვა, ბატონ ბესოს შალვა ნუცუბიძე შემოხვდა. ბატონმა შალვამ ახედ-დახედა მეგობარს და უთხრა:

– ჩემო ბესო, კაცი ვერ გაიგებს, სად იწყები და სად მთავრდები!

ბესო ჟღენტის „სენტენცია“

1964 წლის ნოემბერია, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ ტაშკენტური მატჩის მეორე დღე. ინსტიტუტის თანამშრომლები, აღფრთოვანებული იმით, რომ ჩვენი ფეხბურთელები, როგორც იქნა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ, საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების ოთახში ვართ თავშეყრილი და წუხანდელ ამბებზე ვხორხოცებთ და ვმხიარულობთ. შემოვიდა ამ განყოფილების ხელმძღვანელი ბესო ჟღენტი და გაბადრული სახით გამარჯვება მოგვილოცა. იკითხა, ჩვენებმა მართლა კარგად ითამაშესო?

– როგორ, თქვენ რადიორეპორტაჟი არ მოგისმენიათ? – გავიკვირვეთ ჩვენ.

– ფეხბურთის გულშემატკივარი არა ვარ. არ მიყვარს იმიტომ, რომ ულოგიკოა. აბა, რა არის ეს, ქუთაისის „ტორპედომ“ ძლიერ გუნდებს მოუგო, სუსტებთან წააგო?!

– მნიშვნელობა აქვს, სად თამაშობენ, – განმარტება დაიწყო ერთმა, – ქუთაისის „ტორპედომ“ ძლიერ მეტოქეებს შინ, საკუთარ მოედანზე, მოუგო...

– სწორედ ეს არის ულოგიკობა, – სიტყვას აწყვეტინებს ბატონი ბესო, – ლექსის წერაში კი, ბატონო, მაგრამ, სადაც უნდა დამსვათ, ილია ხოშტარიამ ლაპარაკში როგორ უნდა მაჯობოს! – იცინის ბატონი ბესო და ვიცინით ჩვენც.

–რადიორეპორტაჟის დროს ნათესავთან სტუმრად ვიყავი და იძულებული გავხდი, იმ ღამეს იქ დავრჩენილიყავი. – განაგრძობს ბატონი ბესო.

–რატომ? – ვეკითხებით.

–რატომ და, მთელი ქალაქი ფეხზე რომ დადგა, ქუჩაში გამოვიდა და ზეიმობდა, შევშინდი: ისევ ხელი არ მტაცონ და არ მომთხოვონ, რაღაც გვითხარიო... ასე იყო 1956 წლის 9 მარტს, სტალინის დასაცავად მთელი ქალაქი რომ ბობოქრობდა, რუსთაველზე მივდივარ, ხელი მტაცეს, გალავანზე შემაყენეს და მიხრეს: თქვენი აზრი გვაინტერესებსო. საქართველოსა და სტალინზე სათქმელის მეტი რა მქონდა და მაშინ იოლად გამოვედი. აგრამ, ახლა იგივე რომ გამეორებულიყო, რა მექნა, ფეხბურთზე რა ვიცი და რა უნდა მეთქვა?! – სიცილით ამთავრებს ბატონი ბესო და ჩვენც გულიანად ვიცინით.

ერეკლეს ხმალი

ბესო ჟღენტს ინსტიტუტში კრებებსა თუ განყოფილებათა სხდომებზე რამდენიმე „ახლებურად მოაზროვნე“ ახალგაზრდა ხანდახან უხეშადაც ეკამათებოდა. მათ, იმხანად ჩინეთში მძაფრად მოქმედი ახალგაზრდების სახელწოდებათა მსგავსად, ხუმრობით „ხუნვეიბინებსა“ და „ძაოფანებს“ ეძახდნენ. როდესაც ასეთი შინაარსის მოხსენებები უნდა მოესმინათ, ბესო განყოფილების თანამშრომლებს თავიდანვე „ამშვიდებდა“:

— ნუ გეშინიათ, ახლა იქნება მიწისძვრები, რყევები, წყალდიდობები, მთები მთებს დაეჯახება, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება!

ერთ-ერთ სხდომაზე **ირაკლი კენჭოშვილმა** რაღაც საკითხთან დაკავშირებით რომელიღაც უცხოური წიგნი, როგორც უცნობი, ისე დაასახელა.

— კაცო, რატომ გგონიათ, ის წიგნი ერთ ეგზემპლარად გამოვიდა. ჩვენც წავიკითხეთ იგი — და მოჰყვა და მოჰყვა მის კრიტიკას (სხვათა შორის, სხვა წიგნთან დაკავშირებით ირაკლის ასევე მოუვიდა ალექსანდრე ბარამიძესთანაც).

ერთხელაც, როცა ბატონი ბესო ერეკლე მეორეზე კეთილად ლაპარაკობდა, **ირაკლი კენჭოშვილმა** რეპლიკა ესროლა: *ერეკლე კრეტინი იყოო* (ცნობილია, საქართველოს რუსეთთან დადებული ხელშეკრულების გამო ერეკლეს, ამ ბოლო დროს კიდევ უფრო, არა ერთი და ორი აძაგებდა და აძაგებს).

— რატომ იყო, კაცო, ერეკლე კრეტინი?! — მძაფრად გამოეპასუხა ბატონი ბესო, — იგი ყოველთვის ქვეყნის სასიკეთოდ ფიქრობდა და იბრძოდა, მეფე იყო და, თუ საქართველოს კარგავდა, უპირველესად თავისთვის და თავისი შთამომავლებისთვის კარგავდა. იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო. ისეთი ლომგული მებრძოლი ბევრი ჰყავდა საქართველოს?! ბოლოს და ბოლოს შენხელა წელზე ხმალი ეკიდა!

ირაკლი კენჭოშვილი პატარა ტანის, მოცუნცულე კაცია და ამ შედარებამ ხარხარი გამოიწვია.

ერთხელ, როცა ჩვენს მწერლებზე შეუსაბამო ჩანაწერები გაუხსენეს, ბატონმა ბესომ იკითხა: **ცოცხალი ბერია გინახავს**?!

ესეც რეცენზია!

ერთმა მეცნიერმა და მწერალმა ლიტერატურის ინსტიტუტში თანამედროვე ლიტერატურის მკვლევარს გულისამაჩუყებელი წარწერით თავისი ახალგამოსული რომანი გამოუგზავნა. მკვლევარს მეცნიერ-მწერლის ადრინდელ რომანებზე არაერთი აღფრთოვანებული რეცენზია ჰქონდა გამოქვეყნებული.

– ნახე, ნახე, რეცენზიაც თუა შიგ, არ შეგეშინდეს, უსათუოდ დადებითი იქნება! – „ამხნევებს“ წიგნის მიმღებს **როლად ბერიძე** (ყველა ეხვდებოდით, ეს მეცნიერ-მწერალი თავის რომანებზე რეცენზიებს თვითონვე წერდა).

მირიან აბულაძის „დესერტაციაზე“

მირიან აბულაძემ საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დღესვე ფუნიკულიორის რესტორანში დიდი პურობა გამართა. როცა თამადებად დაასახელეს გიორგი ციციშვილი, კოტე ჩოლოყაშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე და იოსებ ლორთქიფანიძე, ქიცამ დაიძახა:

– ერთი გლეხი მაინც გაგვირიე!

ბ ე ნ ო დ ო ბ ო რ ჯ გ ი ნ ი ძ ი ს ა მ ბ ე ბ ი

„ა“ და „ბ“ ჯგუფები

ბენო დობორჯგინიძე გულის შეტევის გამო საავადმყოფოში იწვა. მის სანახავად მივიდა **გივი ლომიძე**. ჯერ პალატაში არ შეუშვეს, ძალიან მძიმედ არისო. გივი შეეხვეწა, *ერთი წუთით შევალ, მოვიკითხავ და მაშინვე გამოვალო.*

შევიდა. ბენო წევს და თვალები აქვს დახუჭული. გივის ხმა რომ გაიგონა, თვალები არ გაუხელია, ისე ეუბნება:

– გივია, ბიჯო, ნახე მაგერ გაზეთ „კომუნისტში“ სტატისტიკური სამმართველოს ცნობაა დაბეჭდილი, ეკონომიკის „ა“ და „ბ“ ჯგუფებს შორის რა საშინელი თანაფარდობა ყოფილა.

გივი გაოცდა. ჯერ კიდევ დილის თერთმეტი საათი იყო და მომაკვდავ კაცს გაზეთი ისე წაეკითხა, დაგეგმილი და გამოსული პროდუქციის ამსახველ გრძელ ცხრილებსაც კი გაცნობოდა.

– რად მინდა მაგის გაცნობა, – პასუხობს გივი, – მაღაზიებში ვერ ვხედავ, რა გვაქვს და რა არა?!

პეტრე და პეტრიწი

ბენო დობორჯგინიძეს საავადმყოფოში წოლა სხვა დროსაც მოუწია და მის სანახავად ამჯერად **ვახტანგ ჭელიძე** და **გივი ლომიძე** ერთად მივიდნენ.

ბენოს იმხანად ერთ მეცნიერთან მწვავე პოლემიკა ჰქონდა. აქაოდა ავადმყოფს ესიამოვნებაო, მოსულებმა მას ამბავი მოუტანეს, რომ ამ მეცნიერის წიგნი ბაქოში, საკავშირო იდეოლოგიურ თათბირზე, მკაცრად გაუკრიტიკებიათ, ენაც კი დაუწუნებიათო.

– ეს წიგნი, ბიჯო, **პეტრე შარიას** თარგმანია. პეტრემ რუსული ენა კი იცის, მაგრამ მაგის ნააზრევს **პეტრე** კი არა, **პეტრიწი** ვერ თარგმნის! – განმარტავს მისუსტებული ბენო.

„ზავიკიანი“ ღორი

ბენო დობორჯგინიძე ნოდარ ალანიასთან ერთად ნაძალადევის ბაზარში ღორის საყიდლად შევიდა. ახალგაზრდა კახელ კაცს უცნაური, ხბოსხელა ღორი გამოუყვანია, რომელსაც ხვეული ჯაგარი აქვს.

– რა ღირს, ბიჭო, ეს ნაზარდა? – გურულად მოუქცია ბენომ.

ბიჭმა გაკვირვებით ახედა მუშტარს. ზედვე ეტყობა, არ იცის, „ნაზარდა“ გურულად ბურვაკს რომ ჰქვია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ფასს მაინც ამბობს:

– 800 მანეთი.

– რა ამბავია, „ზავიკაში“ მახდევინებ ამდენს? – ისევე იმავე სტილით ეუბნება ბატონი ბენო.

აი, იმედი!

იურიდიულ ფაკულტეტზე შესასვლელად სოფლიდან ჩამოდის ბენო დობორჯგინიძის დისშვილი, რომელიც ახალდაქორწინებული იყო და იმ იმედით, ამ ზაფხულსვე სტუდენტი გავხდებიო, ცოლოურისთვის უთქვამს, იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობო. მას ვერ წარმოედგინა, თუ ბიძამისი მოუწყობელს დატოვებდა! ამ დროს ბატონი ბენო თავის სოფელში, მამათში, ისვენებს და იქიდან ნოდარ ალანიას სწერს:

– ჩემო ნოდარ! იელისის ბოლოს ჩვენი აკადემიის გამომცემლობაში ჩემი წიგნის საკორექტურო თაბახები იქნება. პირველ აგვისტოს ჩემს დისშვილს ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდა აქვს, ჩაიჭრება, ორში თუ არა, სამში ან ოთხში წამოვა და გამოატანეო.

იგივე იმედი!

მეორე წელს ბატონი ბენოს ეს დისშვილი ისევე გადის იმავე საგანში გამოცდაზე და შინ ისევე ხელცარიელი ბრუნდება.

–რა ქენი, ბიჭო? – ეკითხება ბენო.

–რა ვქენი, ბიძია და, იმ შენმა ამხანაგებმა წამართვეს „შპარგალკა“ და გამომაგდეს გარეთ!

–იმ შენმა ამხანაგმა რა ქნა?

–იმან, ბიძია, დაჯდა... „აკოშკასთან“, გადაჰყო ხელი გარეთ და თავიდან ბოლომდე გადაიწერა.

–ე, ბიჭო, შენც დამჯდარიყავი იმ ფანჯარასთან, რომელი კენედი შენ მყავდი, ვინმეს რომ ტყვია ესროლა?!

იმ დროს კენედი ახალმოკლული იყო.

თიკნის მუცელში აპეტელება

ნოდარ ალანია და **ბენო დობორჯგინიძე** ე. წ. მავნე გადმონაშთებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის დროს „ცეკამ“ ზუგდიდში მიავლინა. თუმცა ყველაზე დიდი უარსაყოფი და დასაგმობი წესი მთავრობის მიერ მივლინებულთათვის ქეიფების გამართვა იყო, მათ ბუნების წიაღში შესანიშნავი სუფრა გაუშალეს. სულო და გულო, რაღა არა იყო იქ, მათ შორის თიკნის ხორციც. თიკანი იქვე დაკლეს და შამფურზე წამოაგეს.

როდესაც თბილისში ბრუნდებოდნენ, მატარებელში ბენომ „ცეკაში“ წარსადგენი მოხსენებითი ბარათის წერა დაიწყო. ნოდარს ანგარიში მკაცრი ეჩვენა. ნამეტანია ეს, ხალხი გადაგვყვა და ჩვენ...

– აჰა, აპეტელდა მუცელში თიკანი! – მიაძახა ბენომ მეგობარს.

დამუნათება

გიორგი ზაუტაშვილმა, კარგმა ლიტერატორ-მკვლევარმა და სამეგობრო კაცმა, ოჯახური საქმე ვერა და ვერ ააწყო. ომიდან ორივე ფეხით ხეიბრად დაბრუნებულს რამდენიმე ცოლთან მოუხდა განშორება. მესამე ცოლთანაც, უფრო სიდედრთან, გაუთავებელი კონფლიქტი ჰქონდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სიდედრმა, სიმნოზა კაფაროღლიმ, მას ჩვენთან, სამსახურში, უჩივლა. დირექტორმა საქმის გასარჩევად პარტორგანიზაციის მდივანი ბენო დობორჯგინიძე და ადგილკომის თავმჯდომარე ვახტანგ ჭელიძე გაგზავნა. ბინაზე გიორგისა და სიდედრს შორის დაუნდობელი პოლემიკა გაიმართა. გაწიწმატებული ქალი ბინის გაყოფას მოითხოვდა: მაგან ისეთი რამ მკადრა, ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელიაო და რაღაც ამბის მოყოლა წამოიწყო.

–ეგ არ თქვა, მაგაზე ხომ დაგამუნათეო! – სიტყვას აწყვეტინებს გიორგი.

–რაო, რა ქენი, გიორგი? – ყურებს არ უჯერებს ბენო.

–დავამუნათე, ორჯერ დავამუნათე! – თავდაჯერებით იმეორებს გიორგი.

ბენო ვახტანგს ჩუმად ეკითხება, რას ნიშნავს ეს სიტყვაო. ვახტანგი მხრებს იჩეჩავს.

–სიდედრი დაამუნათე? არა გრცხვენია, გიორგი, ეს გააკეთე და აღიარებ კიდეც? – აღშფოთებას ვერ მალავს ბენო.

– კი, ნამდვილად დავამუნათე! – კვლავ თავისას გაიძახის გიორგი.

– ჰოდა, თუ სიდედრი დაამუნათე, ჩვენ რაღას წამოგვიყვანე აქ?! – გულმოსული ბენო აჩქარებული ნაბიჯით გარეთ გამოვიდა. მალე ვახტანგიც გამოდის და ბენოს ეუბნება:

–ჩვენ რაღაც გლახა გვგონია და ეს სიტყვა ცუდს არ უნდა ნიშნავდესო.

ამ ამბის შემდეგ ამ სიტყვას ინსტიტუტში ბევრნი ვეძებდით და ლექსიკონების მიხედვით ვაზუსტებდით.

ნატვრა

სოლომონ ყუბანეიშვილი საოცარი, თავაუღებელი მშრომელი კაცი გახლდათ, საათობით შეეძლო ჯდომა და მუშაობა. ბენო დობორჯგინიძე ერთხანს ინსტიტუტის კედლის გაზეთის რედაქტორი იყო და საახალწლო იუმორისტულ რუბრიკაში „*ვინ რა ინატრა?*“ ბატონ სოლომონს „ათქმევინა“:

— ნეტავი, სახლში წასვლა არ იყოს, დილით ხომ ისევ მოსასვლელი ვართ!

ბურვაკი და ბურაკი

აკაკი ხინთიბიძის სადოქტორო დისერტაციის ბანკეტის სანოვაგის საყიდლად ბაზარში წავიდნენ: **ბენო დობორჯგინიძე**, აკაკის სიძე **გერმანე** და **გივი ლომიძე**. ბენო თავკცობს, საყიდლების სიაც მას აქვს მიბარებული. ბოლოს ჩახედა სიას და ამბობს: *ახლა დაგვრჩა ბურაკიო* და 8 კილოგრამ ჭარხალს ყიდულობს.

შინ რომ დაბრუნდნენ, მასპინძლები გაოცდნენ, *ამდენი ჭარხალი რად გვინდაო?!*

თურმე, როცა სიას კარნახობდნენ, ბენოს „ბურვაკის“ ნაცვლად „ბურაკი“ ჩაუწერია, *ბურაკს* კი გურიაში, როგორც რუსულშია, *ჭარხალს* ეძახიან.

რა თქმა უნდა, ბურვაკის ხორცი შემდეგ ცალკე იყიდეს. ჭარხალიც არ „იზარალეს“ და მხალი გააკეთეს.

გადაწითლდა სუფრა და ბატონ ბენოს ჭარხალს აქედან და იქიდან „თავაზიანად“ აწოდებდნენ.

ყიდვის მეთოდები

გივი ლომიძე ბენო დობორჯგინიძესა და თავის სიძეზე, ალიოშა მუჯირზე, ხუმრობს: არსებობს ყიდვის ორი მეთოდი და ნიმუშებად ასახელებს:

აი, **ბენო** მიდის გოჭის საყიდლად და გამყიდველს ტკბილად ეკითხება: რა შესანიშნავი გოჭია, რა ღირს ეს გოჭი?

— ასი მანეთი. — არის პასუხი.

— ასი კი არა, მე თუ მკითხავ, ორასი ღირს. მთელი ბაზარი რომ შემოიარო, ასეთს ასე იაფად ვერსად ნახავ! არადა, როგორ მიყვარს გოჭის ხორცი, რა გემრიელი და მარგებელია. ფული რომ მქონდეს, ნამდვილად მეტს მოგცემდი, მაგრამ 80 მანეთის მეტი კაპიკი არა მაქვს. მადლს იზამ და ღმერთი დაგიფასებს, ცოლშვილში გაგახარებს, მომეცი 80 მანეთად. და ყიდულობს 80 მანეთად.

ალიოშა კი უტევს:

— რა ღირს ეს ნამცეცა გოჭი... რა ამბავია 100 ლარი. მოგიკვდა და მერე ყიდი? — გამყიდველი გაოცებული შეჰყურებს, — ნაპარევი გექნება მაგი, ახლავე დავუძახებ მილიციას...

ბოლოს და ბოლოს გოჭს ალიოშაც 80 მანეთად ყიდულობს. — იცინის გივი.

შ ო თ ა მ ი ქ ა შ ა ვ ი ძ ი ს ა მ ბ ე ბ ი

მომჭირნეობა

შოთა მიქაშავიძე სასტუმრო „თბილისის“ წინ დგას, სასაუზმედ შესვლა უნდა, მაგრამ მარტო ვერ შესულა და ვინმე ნაცნობის გამოჩენას ელოდება. გამოიარა **გიორგი ზაუტაშვილმა**, რომელსაც იმჟამად ავადმყოფობა მისძალებოდა და ფერმიხდილად გამოიყურებოდა.

— რას მიირთმევ, გოგია? — როცა მაგიდას მიუსხდნენ, ჰკითხა შოთამ და ძვირფასად გაფორმებული მენიუ გაუწოდა.

— ნახევარ ულუფა ბორშს შევჭამ, მეტი არაფერი მინდა! — ისე თქვა გიორგიმ, მენიუსაკენ არც გაუხედავს.

შოთამ სხვა საჭმელებთან ერთად ერთი „ბორშიც“ შეუკვეთა.

ოფიციანტმა საუზმესა და მწვადებს ერთი მათლაფა „ბორშიც“ მოაყოლა და გიორგის წინ დაუდგა.

—ნახევარი ულუფა გითხარი, სავსე რად მოატანინე? — იწყინა გიორგიმ.

—შენც ნახევარი მიირთვი და დანარჩენი დატოვე, — ურჩია შოთამ.

—კი, მაგრამ ნახევარი ულუფა ზარალში რატომ უნდა წავიდეს? — ჭირვეულობს გიორგი.

–გოგია, ნუ გადამრიე, სამი პირი ცოლ-შვილი დატოვე და თავი არ მოგიკლავს, ახლა ამ ნახევარი ულუფა წყალწყალა „ბორშის“ დატოვება ასეთი რა გახადა?! – შეუტია შოთამ.

„ძვირფასი“ დისერტაცია

ინსტიტუტში **შოთა მიქაშავიძე ანდრო მირიანაშვილს** ფულზე ჭადრაკს ეთამაშება, აგებს და არ იხდის. მაშინ ანდრომ მას გადაბეჭდილი და გადასაცემად გამზადებული დისერტაცია, თან რომ ჰქონდა, დაუმალა. შოთამ დისერტაცია ერთ ხანს ეძება: მაგიდის უჯრები გამოაღო, ხან აქ შეიხედა, ხან იქ. ბოლოს, რომ ვერ იპოვა, ხელი ჩაიქნია:

– მაგის უკეთესი არაფერი შევიდა მის ოჯახშიო! – ჩაილაპარაკა და ისევ ჭადრაკის დაფას მიუჯდა.

ს ხ ვ ა ა მ ბ ე ბ ი

დისერტაციის მეორე დღე

საკანდიდატო დისერტაცია რომ დავიცავი, მეორე დღეს ერთმა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც ჩემთან შეხუმრებული იყო და ცოტ-ცოტას კიდეც მეთამაშებოდა, „გამარჯვება“ მომილოცა და მკითხა, თავს როგორ გრძნობო. ვუპასუხე:

– ვარ ისე რა, განცდებგამოელილი, დაღლილი, კმაყოფილიცა და ბედნიერიც, ერთი სიტყვით, როგორც პატარძალი ქორწილის მეორე დღეს.

კაცთან წოლა

მერი გუგუშვილი და ლია ანდღულაძე სამეცნიერო მივლინებით მოსკოვში მატარებლით მიემგზავრებიან. მერის მხარეს თავთან, სიფრიფანა ტიხრით გამოყოფილი გვერდითი კუპედან მამაკაცის ხვრინვა და ფშვინვა მთელი ღამის განმავლობაში ისე ახლოს და ძლიერად ისმოდა, მეორე დილით გაუთხოვარმა მერიმ იხუმრა: მამაკაცთან წოლა გამოვცადეო.

მყუდრო ბინა

ლია ანდღულაძე მოსკოვში სამეცნიერო მივლინებისას ბინად ერთ მარტოხელა, მოხუც ქალთან ჩერდებოდა. როცა

ეს ქალი გარდაიცვალა და მოსკოვში მორიგი მივლინებით უნდა წასულიყო, ლიამ ძმას, **ლევანს**, შესჩივლა: *აღარ ვიცი, სად დავბინავდეო.*

–სასტუმროში მოგაწყობ. – შესთავაზა ლევანმა.

– იმ რიარიაში რა გამაძლებინებს?! – იურა ლიამ, – ისეთი ადგილი მინდა, ჩემთან ერთად სხვაც იყოს, მაგრამ ხელს არ მიშლიდეს.

– მაგას ვერ შევძლებ, – მიუგო ლერიმ, – ასეთი ერთადერთი ადგილი ლენინის მავზოლეუმი ვიცი.

ოჰ, ეს დისერტაციები!

როდესაც შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 20–მდე საკვალიფიკაციო თემა დაამტკიცეს და დასამტკიცებელი კიდევ ბევრი დარჩა, ალექსანდრე კალანდაძემ წამოიძახა:

– რა ამბავია, გვეყოფა, დაიღუპა საქართველო!

მაშინ **დავით გამეზარდაშვილმა** თქვა: მთელი მეცხრამეტე საუკუნე ქართველობამ აზნაურის წოდების ძიებასა და მოპოვებისთვის ბრძოლას შეალია, ახლა მეოცე საუკუნეს სამეცნიერო ხარისხისათვის ბრძოლაში ატარებსო.

წვრილ-წვრილი და მსხვილ-მსხვილი აზრები

ლიტერატურის ინსტიტუტში ერთ ყოფილ ასპირანტზე სიტყვა ჩამოვარდა: *სად არის, რომ არა ჩანს, დისერტაცია დაიცვა თუ არაო.*

–არაო. – ვიღაცამ თქვა.

–რა აქტიური კაცია და რატომ? – გაიკვირვა მეორემ.

–იმიტომ, რომ სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს! – თქვა **შალვა რატიანმა.**

–როგორ თუ სადოქტოროზე, ჯერ საკანდიდატოც არ და-უცავს? – ისევ გაიკვირვა მეორემ.

–როგორ და, ორიეზე ერთად მუშაობს: წვრილ–წვრილ აზრებს მარცხნივ წერს და მხვილ–მსხვილ აზრებს – მარჯვნივ. – განმარტა შალვამ.

დროის ხარკი

ნოდარ შამანაძემ სადოქტორო დისერტაცია გვიან, 1998 წელს, დაიცვა. თემა იყო *„ქართული ხალხური ლეგენდა“*. ავტორეფერატში უწერია: „საბჭოური რეჟიმის ბატონობისას ეს ჟანრი მხოლოდ ათეისტური თვალსაზრისით განიხილებოდა“. გამოქვეყნებული ლიტერატურის სიაში კი მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გამოსული ნაშრომები აქვს დასახელებული: ორი მონოგრაფია, 8 სამეცნიერო სტატია და 6 მოხსენებათა თეზისი, დაწყებული 1963 წლიდან, დამთავრებული 1985 წლით.

მე სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი იმ საბჭოს წევრი გახლდით, რომელსაც ეს დისერტაცია უნდა განეხილა. დაცვამდე რამდენიმე დღით ადრე ნოდარს ინსტიტუტში ვხვდები და ვეუბნები:

— ავტორეფერატში ასე და ასე გიწერია. მოემზადე, დაცვისას უნდა შეგეკითხო: თუ საბჭოთა რეჟიმი ლეგენდების მხოლოდ ათეისტური თვალსაზრისით განხილვის საშუალებას იძლეოდა (შენი ნაშრომები კი მაშინ არის დაწერილი და დაბეჭდილი) და, თუ მათში საკითხი ამ კუთხით გაქვს შესწავლილი, მაშინ, რა თქმა უნდა, დოქტორის ხარისხი არ გეკუთვნის. თუ მეცნიერულად არის გაშუქებული, მაშინ როგორ მოახერხეთ ამდენი ნაშრომის საინსტიტუტო გეგმით დამუშავება და შემდეგ გამოქვეყნება? რამდენადაც ვიცი, რაიმე წინააღმდეგობა არ შეგხვედრია, მეტადრე, რეპრესია არ განგიცდია.

ნოდარი დაიბნა. ბოლოს მითხრა:

— კარგი შეკითხვაა, მაგრამ ჩემი ძმა ხარ, ვიცი, არ გამწირავ.

... და საჩუქრად თავისი წიგნი — *„როგორ შემაყვარეს იოსებ სტალინი“* მაჩუქა

„მიხვედრა“

რიმა ფირცხალაიშვილის საკანდიდატო დისერტაციის ბანკეტზე თამადად **გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე** ბრძანდებოდა. შუა ქეიფში ერთი სადღეგრძელოს წარმოთქმისას თამადამ დისერტანტი

მოიკითხა. იქით გასძახეს, აქეთ გასძახეს, მაგრამ ასე უცებ ვერ იპოვეს.

– საქმეზე იქნება, ალბათ! – თქვა ვიღაცამ.

– რა საქმეზე? – კითხულობს თამადა და დასძენს, – ალბათ, სადოქტორო დისერტაციაზე დაიწყო მუშაობა!

სონას ავტორეფერატი

ლიტერატურის ინსტიტუტის მნემ (თუ დირექტორის მოადგილემ სამეურნეო ნაწილში) ფილოლოგიის დარგში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. მეორე დღეს **თეიმურაზ ფირალიშვილმა** ინსტიტუტის კანცელარიაში იკითხა:

– აქ ერთი დამლაგებელი სონა იყო, მისი ავტორეფერატი ხომ არ გექნებათ?

თეიმურაზის მანქანა

თეიმურაზ ფირალიშვილს ერთხანს უცნაური, თაგვივით პატარა და აბუზული, ძველი, ჩეხური, თავისი ხელით აღდგენილი, ცუდად შეღებილი მანქანა ჰყავდა. პირველად რომ ვნახეთ, ყველას გაგვიკვირდა, მსგავსი არაფერი გვენახა. ჯონდო ბარდაველიძემ იხუმრა: *შეხედეთ, მანქანას არ მოგაგონებსო?!*

ერთ დღეს თეიმურაზი სამსახურში დაგვიანებით მოვიდა. გზაში მანქანა გაჩერებოდა. შუა ქუჩაში, ორივე მხრიდან რომ მანქანები დაქროდნენ, მას „კაპოტი" აუხდია და იქიდან დაფეთებული კატა ამომხტარა. წინა საღამოს კატა მანქანის ღრიჭოში შემძვრალა და თბილ ძრავასთან მოკალათებულა. დილას, როცა მანქანა დაიქოქა და ძრავა გახურდა, კატა აწრიალებულა, აქეთ იქით მიწყდომია და სადენები დაუზიანებია.

ასეც მართალი, ისეც მართალი

ყმაწვილ და ლამაზ ქალ **მაყვალა კუჭუხიძესაც**, როგორც მაშინ ბევრ ჩვენგანს, რეპეტიტორობა შველოდა. იმ დროს, როდესაც ის მეგობრებს შესჩიოდა: *თუ მოწაფეები არ მომივიდნენ, არ ვიცი, რა მეშველებაო*, **გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე** გამოჩნდა და ეკითხება, *რა გაგჭირვებიაო*. მაყვალამ მოკლედ მოახსენა: *ბავშვები*

მინდაო. ქიცამ ეს სხვანაირად გაიგო, ორი თითი ზევით ასწია და მაყვალას „ეთანხმება“:

— კი, კი, ტყუპ-ყუპები!

არადა ორივენი ასეც მართლები იყვნენ და ისეც.

ტელეფონი

1974 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის კოოპერატიულ ბინაში შევსახლდით და ტელეფონებიც დავიდგით. რამდენიმე თვის შემდეგ **გივი ლომიძე** ერთ-ერთი ჩვენი თანამშრომლისა და მობინადრის ტელეფონის ნომერს მეკითხება და ვუთხარი. რამდენიმე დღის შემდეგ სხვისას მეკითხება და ისიც ვუთხარი. ასე რამდენიმეჯერ რომ გამეორდა და დემურ გრიგოლიას ტელეფონიც ჩავაწერინე, რომელიც ინსტიტუტიდან კარგა ხნის წასული იყო, გაიკვირვა, *საიდან იცი ამდენი ნომერიო*. მოვატყუე,:

— ჩვენი სახლის ტელეფონების წიგნი მაქვს-მეთქი.

— ასეთი არსებობს, სად იშოვე?

— ლენამ მომცა. — კვლავ ვტყუი.

ლენა (ელენე) შავგულიძე გივი ლომიძის მეუღლის, ლამარა შავგულიძის, მამიდა იყო და ათეული წლების განმავლობაში ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარბუღალტრად მუშაობდა.

— რამდენი ხანია? — დაინტერესდა გივი.

— დიდი ხანი არ არის, ერთი თვე თუა, მეტი არა.

— ჩვენთვის არც კი უთქვამს! — აშკარად ჩანს, დაიბოღმა გივი.

— მიდი და მოგცემს. — „დავაიმედე“.

როგორც კი გივისთან საუბარს მოვრჩი, მყისვე ლენას ინსტიტუტში ტელეფონით დაველაპარაკე, ყოველივეს მოვუყევი და შევეხვეწე: ახლა გივი თქვენთან მოვა და უთხარით, ტელეფონების წიგნის ორად-ორი ცალი დამრჩა, ერთს ამას და ამას ვუნახავ (ის რაიაღმასკომში რაღაც გართულების გამო ჯერ ჩვენს ბინაში გადმოსული არ იყო) და მეორესაც, უფროსობას რომ დასჭირდეს, ვინახავ და ვერ გავცემო.

ქალბატონმა ლენამ ჩემი ეს თხოვნა ცივად მიიღო, თუმცა არც უარი უთქვამს. სასწრაფოდ ინსტიტუტში წავედი. ვხედავ, გივი ბუღალტერიიდან გაღიმებული გამოდის. აშკარა იყო, ქალბატონ ლენას სიძისთვის არ „ელალატა“.

არ არსებული წიგნი

ჩემი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი **ვერა კილაძე** ავად გახდა და თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იწვა. შესანიშნავი მასწავლებელი გახლდათ, ძალიან გვიყვარდა, მარტოხელა ქალი იყო და მას სამნი — **ნანული სამსონია, ჯუმბერ მიქატაძე** და მე ვპატრონობდით. ოზურგეთის საავადმყოფოში მისთვის იმდენი პენიცილინი გაეკეთებინათ, ყურის პრობლემა შექმნოდა. საჭირო გახდა, ამავე საავადმყოფოს ყელ-ყურის განყოფილებაში გადაგვეყვანა. მაშინ ეს იოლი არ იყო. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ბრწყინვალე პიროვნება და ექიმი **თამაზ თოხაძე**, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელ **რევაზ ბარამიძესთან** მეგობრობდა. კვირა დღე იყო, დახმარებისათვის რეზოს სახლში დილიდანვე ვურეკე, მაგრამ შინ არც ერთხელ არ აღმოჩნდა. უკვე გვიანი რომ გახდა და შემდეგ ოჯახის შეწუხება უხერხული იქნებოდა, ისეთი რამე უნდა მომეგონებინა, რეზოს აქეთ დაერეკა. ასეთი რამ კიდევაც მოვიფიქრე. რეზოს მეუღლეს ვეუბნები:

— ინსტიტუტში მოგვივიდა ამერიკელი პროფესორის თუმანოვის *საქართველოსა და სომხეთის ისტორია*, ვებერთელა წიგნი, 1 300 გვერდზე მეტია (ამერიკაში ამ დარგში ასეთი პიროვნება მართლაც მოღვაწეობდა). მისი განაწილება ინსტიტუტის დირექტორმა ალექსანდრე ბარამიძემ მე, როგორც სწავლულ მდივანს, დამავალა (იმ პირობით, რომ ერთს მე ავიღებდი). გავანაწილე და იგი რეზოს, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარსა და არმენოლოგის მამას, ვარგუნე. მაგრამ ბონდო არველაძემ წამართვა: გიგლა (რეზოს ვაჟი — გიორგი ბარამიძე) ჯერ ასპირანტია, მე კი მოქმედი არმენოლოგი ვარო. რა ვქნა, აღარ ვიცი-მეთქი?

ამ ხერხმა გაჭრა. ღამის 12 საათს გადაშორებული იყო, რეზო ტელეფონით დამიკავშირდა. ნათქვამი გავუმეორე. ველოდი, ის ბონდოზე რაიმე ცუდს იტყოდა, რადგან რეზო ინსტიტუტის მებაღეობის კოოპერატივის თავმჯდომარე ბრძანდებოდა და ნაკვეთების განაწილებისას მასა და ბონდოს შორის კარგა მწვავე შელაპარაკება მოხდა. თუ რეზო თხოვნაზე უარს მეტყოდა, „დავემუქრებოდი“, ბონდოს ყველაფერს გადავცემ, რაც მითხარი-მეთქი! მაგრამ

ამჯერად მოვტყუვდი: რეზომ ბონდოზე არაფერი თქვა. მხოლოდ მორჩილად მითხრა, ეს წიგნი როგორმე უნდა მაშოვნინოო.

ბოლოს სიმართლეში გამოვუტყდი. მგონი, კმაყოფილი დარჩა, რომ საჩხუბარი არაფერი ჰქონდა. ჩემი თხოვნა კი ზედმიწევნით შეასრულა.

ავტოინსპექტორი გოგონები

თბილისის მილიციაში ერთი სიახლე შემოიღეს: ავტოინსპექტორებად გოგონები **ნონა** და **ნანა** დანიშნეს. ეს სიახლე ჩვენს პრესასა და რადიო-ტელევიზიაში ფართოდ გაშუქდა. ბეჭდავდნენ და უჩვენებდნენ მათ სურათებს. ორივე უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში რაღაც გასარკვევი საკითხები დაგროვებოდათ და შინაგან საქმეთა სამინისტროში მომუშავე გურამ ცერცვაძემ ისინი შინ მომიყვანა.

გოგოები აღტაცებითა და სიცილ-კისკისით ჰყვებოდნენ, თუ რომელი გამოჩენილი პიროვნებები დააკავეს. მათ შორის ახსენეს პროფესორი **რევაზ ბარამიძე**. ავიღე ტელეფონი და რეზოს ვეკითხები:

— რომელმა ავტოინსპექტორმა ქალმა გაგაჩერა?

— ესეც იცი? — იკვირვებს რეზო.

— რას ჰქვია, ვიცი! თბილისის მილიციის სამმართველოდან მომართვა მოგვივიდა (მაშინ ინსტიტუტის სწავლული მდივანი გახლდით), თქვენმა თანამშრომელმა პროფესორმა რევაზ ბარამიძემ მოძრაობის წესი უხეშად დაარღვია, აბუჩად აიგდო ინსპექტორი, აქაოდა, ახალგაზრდა ქალი არისო, და არ დაემორჩილა მას. გვთხოვენ, ეს სამეცნიერო საბჭოზე განვიხილოთ და რეაგირება მოვახსენოთ.

— თითქოსდა ჩვენ მეგობრულად დავშორდით? — შეფუცხუნდა რეზო.

ამ საუბარში რომ ვართ, ნონამ პარალელური ტელეფონი აიღო და გვისმენს.

— მაინც ვინ იყო ეს გოგო? — ორივე გოგონა შესანიშნავი გარეგნობისა იყო და მეგონა, ამას აღნიშნავდა.

— ვინ იქნება, გოგო რომ მილიციაში მუშაობას დაიწყებს? — ნერვებს ვერ თოკავს რეზო.

უცებ ნონამ იფეთქა:

— ასე ხომ, ბატონო რევაზ? აკი მაშინ გვამხნევებდი, ყველა საშუშაო საპატიო არისო?!

როცა საქმეში გაერკვა, რეზომ ბევრი ბოდიში უხადა ნონას, ჩემზე კი კარგა ხანს ნაწყენი იყო.

ესეც ჩვენი ფალავანი!

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამრეც კიბეებიანი უზარმაზარი აუდიტორია აბიტურიენტებითაა სავსე. მიმდინარეობს ბოლო მისაღები წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. საწერი თემებია:

1. „გრიგოლ ხანძთელის დახასიათება“, 2. „სოციალური მოტივი ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში“, 3. „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა“ და 4. თავისუფალი თემა — „ჩემი საყვარელი სოფელი (ან ქალაქი)“. მოვიხედეთ და ყველა თავისუფალ თემას არ წერს?! საგანგებოდ ჩამოვუარე და ერთადერთი აბიტურიენტი აღმოვაჩინე, რომელსაც *„გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა"* აერჩია. ამის გამო მის მიმართ ყველა, გამომცდელი და თავმდგომიც (ასეთნი კი ათამდე ვიყავით), სიმპათიურად განვეწყვეთ. მანაც იგრძნო ჩვენი მისადმი ყურადღება, მოწიწება და, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებული, თემის შინაარსობრივ მხარეზე შეკითხვა არ შეიძლებოდა, იგი წამოდგა და ჩვენი აღმაფრენა ერთბაშად მიწასთან გაასწორა. გვეკითხება: „მე და ღამე" ერთად იწერება თუ ცალ—ცალკეო.

ვანის სასტუმროში

1979 წლის ოქტომბერში ფართოდ აღნიშნა **კორნელი კეკელიძის** დაბადების 100 წლისთავი. 21 ოქტომბერს მშობლიურ სოფელში, მიქელეფონში (ვანის რაიონი), დიდი ზეიმით გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი. ამ ზეიმს დავესწარით ჩვენც, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებიც, წინა საღამოს გვიან ჩასულები, მასპინძლებმა მაშინვე ვანის სასტუმროში დაგვაბინავეს. თბილისში დაბრუნების შემდეგ გავიგეთ, რომ ჩვენს გამო, აქაოდა მეცნიერები ჩამოდიანო, სასტუმროდან იმ დღეს

გამოუსახლებიათ ჩვენი კოლეგები, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის მეცნიერ–თანამშრომლები – მიხეილ ქავთარია, გრიგერ ფარულავა, ლამარა ქაჯაია, ლეილა ქავთარაძე და რუსუდან კავილაძე, რომლებიც სახლ-მუზეუმის მოსაწყობად იქ კარგა ხნით ადრე ჩაბრძანებულან და იმ სასტუმროში ცხოვრობდნენ.

ასე „დაუფასდათ" მათ ძვირფასი მასწავლებლის მუზეუმის მოწყობაზე გაწეული დიდი შრომა, როდესაც ჩვენ, ლიტერეტურის ინსტიტუტიდან ჩასულებს, უფროსი თაობის წარმომადგენლები, დამსახურებული მოღვაწენი, ცოტანი გვერივნენ და უმეტესობა ახალგაზრდობა, სამეცნიერო ხარის-ხდაუცველი მუშაკები გვახლდნენ.

მ ა მ ი ა დ უ დ უ ჩ ა ვ ა ს ა მ ბ ე ბ ი

„ვეფხისტყაოსნის" კადრები

1962 წელს „ვეფხისტყაოსნის" ვარიანტებიანი გამოცემის მომზადებისას (იგი 1966 წელს დაიბეჭდა), როდესაც განიხილეს პოემის სტრიქონი – *„გითხრობს, გკადრებს: ნუ ამოგვწყვედ, არის შენგან არ საქნელი"* – **აკაკი შანიძემ** მო-იგონა: პოემის 1937 წლის საიუბილეო ტექსტის დამდგენ კომისიაში ხელნაწერებს ამუშავებდა ორი ჯგუფი ილია აბულაძისა და მამია დედუჩავას ხელმძღვანელობით. იმდინა-რეობდა მძიმე, დაძაბული და ქანცგამცლელი შრომა. ამ სტრიქონზე მსჯელობისას მაშინ **მამია დედუჩავას** დაუმოწმებია ის ხელნაწერები, რომლებიც „გკადრებს" სიტყვას „გ"-ს გარეშე წარმოგვიდგენენ და უთქვამს:

– ა, ბატონო, თვითონ რუსთველი ამბობს, *„კადრებს ნუ ამოგვწყვეტთო!"*.

ნამუსზე შეგდება

მამია დუდუჩავამ თავისი ბავშვობის დროინდელი ერთი შემთხვევა ღიმილით მოიგონა:

ჩემს სოფელში, საჭამიასერზე (ჩოხატაურის რაიონი), ჩემგან ცოტაოდენი მოშორებით ხანდაზმული ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. შვილები ქალაქში იყვნენ დასახლებული და, ჩვეულებრივ ორი-სამი დღით, ხანგრძლივად კი ზაფხულობით ჩამოდიოდნენ. ამ კაცს ეზოს კიდეში კახამბალი ედგა. სოფელში ნამყენი ბლები რატომღაც იშვიათი იყო და ისე, რომ დამწიფებას არ აცლიდნენ, მთელი კუთხის ბიჭები ამ ბალს ესეოდნენ. რა არ სცადა პატრონმა, – ხის ქვედა ტანი ტრიფოლიატის ეკლით შეჭედა, ავი ძაღლი ჰყავდა და ქვეშ დააბა, – მაგრამ ვერაფერს გახდა. ნასვამი იყო და ისიც კი ქნა, ხის ძირში სკამლოგინი დაიდგა და ღამის გათევა მოინდომა. რომ დაიძინა, მოზრდილმა ონავარმა ბიჭებმა საწოლიანად წაიყვანეს და საქათმის ქვეშ მოათავსეს...

ცოტა რომ წამოვიზარდე და ხეზე გასვლა შევძელი, მეც დავიწყე ამ ბალზე აპარვა. ერთხელაც, შინ რომ არავინ მეგონა, ჩემს ამხანაგთან ერთად ამ ბალზე ავძვერი, გადმოვიხედე და ვხედავ: მისი შვილი, მამაჩემის ტოლა კაცი, ქალაქურად კოხტად ჩაცმული, ჩვენკენ იხედება და მოდის. ფეხები ამიკანკალდა. ვიფიქრე, როგორც მამამისი გვემუქრებოდა, ან თოფს გვესვრის, ან ჩამოსვლისას წალდით ფეხებს მოგვაჭრის მეთქი. ის კი უცებ შედგა და გვეძახის:

– ბალზე ხართ? ფრთხილად იყავით, არ ჩამოცვივდეთ!

ჩვენ გავისუსეთ, ის სახლისაკენ შებრუნდა, თეთრტილოგადაფარებული „ტაბურეტკა" მოიტანა, ზედ თეფშებით პატარა ჭიქა და არყიანი გრაფინი დადგა, ამოგვხედა და ტკბილად გვეუბნება:

– ბიჭებო, ბალი ახლა მატლიანია, არ გაწყინოთ, რომ ჩამოხვიდეთ, აგერ არაყია და დააყოლეთო! – თქვა და წავიდა.

სირცხვილით დავიწვი. თოფი ესროლა, მერჩია, ცოცხალმკვდარი ჩამოვიძურწე. არაყს ხელს როგორ ვახლებდი!... ამის შემდეგ იმ ბლისკენ არც გამიხედავს.

სურნელოვანი გვარები

გურამ ასათიანმა გვიამბო: პირველ კურსზე პირველი ლექცია **მამია დუდუჩავამ** ჩაგვიტარა. **პოპიკო იაშვილი** და **იაგო ვარდო-**

სანიძე ერთად ისხდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ბატონმა მამიამ რამდენიმეჯერ შენიშვნა მისცა, მაგრამ, ისევ რომ გააგრძერძეს, გვარები ჰკითხა. რომ მოისმინა ი ა შ ვ ი ლ ი და ვ ა რ დ ო ს ა ნ ი ძ ე ო, უთხრა, ძალიან ს უ რ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი გვარები კი გქონიათ, მაგრამ, ხელს მიშლით და გარეთ მიბრძანდითო. ორივე გარეთ გააძევა.

წიგნი და ხანძარი

ხანძარმა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა დააზიანა. ხანძრიდან რამდენიმე დღის შემდეგ **მამია დუდუჩავა ამბერკი გაჩეჩილაძეს** ეუბნება:

— ყოჩაღ, ამბერკი, თქვენმა შრომებმა ინსტიტუტი მთლიანად დაწვას გადაარჩინა.

ამბერკის თვალებში კმაყოფილების სხივმა გაუელვა. მამია კი აგრძელებს:

— თქვენს წიგნებთან რომ მისულა, აშიშინებულა და ცეცხლი ჩამქრალა.

ახლა კი მიხვდა ბატონი ამბერკი ბატონ მამიას მაღვალაკობას და სასწრაფოდ უპასუხა:

— მე კი ასე მითხრეს, ცეცხლი თქვენს წიგნებში გარეულმა წყალმა შეაჩერაო.

ენციკლოპედია უკვდავების გარანტიას ვერ იძლევა

ამბერკი გაჩეჩილაძე მამია დუდუჩავასთან შედის და ხელში ახალგამოსული *„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“* მე-3 ტომი თითგაჩრილი უჭირავს. მამია მიხვდა, ამბერკის თითი იმ გვერდზე ედო, სადაც მის შესახებ სტატია იყო დაბეჭდილი და მიაძახა:

— ამბერკი, უკვდავებისათვის ენციკლოპედია საკმარისი არ არის!

თარსი ცამეტი

ამბერკი გაჩეჩილაძეს საშინლად აფრთხობდა „13“ რიცხვი. ამბობენ: ერთხელ სასტუმროში მხოლოდ მე-13 ნომერი იყო თავისუფალი, ამბერკი შიგ არ შევიდა და ღამის გათევა ფოიეში ამჯობინაო. ჩემი ყურით მომისმენია, ის კოტე მარჯა-

ნიშვილის დაღუპვას მე-13 ვაგონით მგზავრობას უკავ-შირებდა. ამავე მიზეზით ხსნიდა „აპოლონ 13“ რაკეტის წარუმატებლობასაც.

ერთხელ **მამია დუდუჩავა** ვერის ბაზარში ქათმის საყიდლად შევიდა. გლეხმა ქათმები 13 მანეთად დააფასა.

– დამიკელიო, – სთხოვა მამიამ.

– დაგიკლოთ კი არა, ახლა ერთმა ნასწავლმა, „ცილინდრიანმა“ კაცმა, 13 მანეთად რომ დავუფასე, 14 მანეთი მომცაო.

მამიამ გლეხს ყველაფერი დაწვრილებით გამოკითხა და მიხვდა, რომ ეს „ნასწავლი კაცი“ ამბერკი გაჩეჩილაძე იქნებოდა.

მეორე დღეს ბატონ მამიასა და ბატონ ამბერკის შორის ასეთი საუბარი გაიმართა.

– გუშინ ვერის ბაზარში ქათამი იყიდე?

– კი, ვიყიდე.

– რა მიეცი?

– 13 მანეთი დამიფასა, არაფრით არ დამიკლო და, რა მექნა, 14 მივეცი.

სხვა ამბები

უჯანჯღარო ღვინო

ლიტერატურის ინსტიტუტის შვიდი-რვა თანამშრომელი პატარა ავტობუსით ბაღდადის რაიონის ერთ სოფელში გასვენებაზე მივდივართ. ეს ის დროა, წყლითა და შაქრით ღვინის კეთება ჩვენში ახალფეხმოკიდებულია. შროშა რომ გავიარეთ, **გიორგი კალანდაძემ**, წარმოშობით ამ სოფლელმა, აქაური ამბავი გაიხსენა:

ერთი კაცი ეზოს ღობავდა: მიჯრით, მიტყუპებით აკაციის სარებს ასობდა. რამდენიმე მეზობელი ეხმარებოდა. გვალვისაგან მიწა გამომხმარი იყო, მის დასალბობად ვედროთი წყალი მოჰქონდათ და ასველებდნენ. მასპინძელი დილიდანვე თავის ღვინოს აქებდა. სადილად რომ დასხდნენ, დიდი ზარ-ზეიმით ჭიქები შეავსო და ამაყად განაცხადა:

–აბა, მიირთვით, ნახეთ, რა ღვინოაო. ერთმა მოსვა და აღტაცებული ხმით მასპინძელს დაეთანხმა: – მართლაც, დი-

დებულია... ოღონდ, – დააყოლა ბოლოს, – სარების დასასობადო.

რაკი სიტყვა ფალსიფიცირებულ ღვინოზე ჩამოვარდა, **გივი ლომიძე** ჰყვება: – იმერეთში ერთ სოფლელ კაცს ქელეხისთვის ღვინო უნდოდა და სამტრედიაში მეღვინეს მიაკითხა. მისი ღვინო მთელი ქვემო იმერეთში დიდად განთქმული იყო.

– მინაშვილზე ამბობ? – ეკითხება რომელიღაც ჩვენგანი.

– სახელი და გვარი არ მახსოვს, ასხელებდნენ კი. – აგრძელებს თხრობას გივი:

– მას უთქვამს: საჭირო კასრები კარგად გამორეცხეთ და წყლით სავსე დამახვედრეთო.

დადგა გასვენების დღე. არც ღვინო ჩანს და არც მეღვინე. ის ის არის, ხალხმა მოსელა უნდა დაიწყოს, ეს მეღვინე ეზოში ჯიბეში ხელებჩაწყობილი ჩამოვიდა. აფორიაქებული მასპინძელი უმალვე მივარდა და სასოწარკვეთილი ეუბნება: რა მიქენი, ღვინო სად არისო?

– ნუ გეშინია, აქ არა ვარ, „ბოჭკები" მზად გაქვს, ხომ? რამდენიმე კაი ბიჭი მომეცი! – საქმიანად ამბობს მეღვინე, ჯიბიდან რაღაც ფერად ფხვნილს იღებს, ცოტ-ცოტას კასრებში ყრის. – ეს ეყოფაო, დანარჩენს ჯიბეში იდებს და ბიჭებს მიმართავს: მოდით ახლა და მაგრად აჯანჯღარეთო.

– ათიოდე წუთი აჯანჯღარეს და ისეთი ღვინო გამოსულა, უკეთესს ვერას ინატრებდი! – ღიმილით დაასრულა გივიმ თხრობა.

გასვენებაში მივედით. მისამძიმრების შემდეგ კარმიდამოს ვათვალიერებთ. მარანში მომსახურე მეზობლები ქვევრიდან ღვინოს იღებენ, მიგვიპატიჟეს და ორშიმოთი ღვინო მოგვაწოდეს. **გრიგოლ კაკიაშვილმა** ღვინო მოსვა – დააჭაშნიკა. ვითარცა კახელისა და ბრგე აღნაგობის მსმელ კაცს, ვეკითხებით, როგორიაო.

– კარგია, ოღონდ ცოტა ჯანჯღარი აკლია! – დინჯად ამბობს ის.

უკან დაბრუნებისას ერთმა თქვა: მე ღვინო არ მომეწონა და არ დამილევია, არაყი ვსვიო. იგივე გაიმეორა მეორემაც. მე ვთქვი, წყალი მწყუროდა და სამი-ოთხი ჭიქა ღვინო დავლიე–მეთქი.

– როგორც კი თბილისში ჩავალთ, სასწრაფოდ ექიმთან მიდი და შაქარი გაისინჯე! – „მარიგებს" **შოთა მიქაშავიძე**.

ვერ ვხედავ ცას?

იაკობ შემოქმედელზე შექმნილ ზემორე ნახსენებ ჩემს ვრცელ გამოკვლევას, რომელიც ჯერ წლების განმავლობაში კრებულებსა და ჟურნალ-გაზეთებში ნაწილ-ნაწილ ქვეყნდებოდა, სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარება გაუჭირდა. ოღონდაც არავის საწინააღმდეგოს დასაბუთება არ უცდია, ზოგიერთი ათვალწუნებით შეხვდა ჩემს დებულებას: რომ თითქმის ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში XII–XIII საუკუნეთა მიჯნის პოეტისა და საეკლესიო მოღვაწის, **იოანე შავთელის**, ნაწარმოებად მიჩნეული „*აბდულმესია*" სინამდვილეში არის XVII საუკუნის სასულიერო პოეტისა და მღვდელმთავრის **იაკობ შემოქმედელ-სამებელ-დუმბაძის** თხზულება „*ქება მეფისა არჩილისა*" და მასში შექებულია არა **დავით სოსლანი** და **თამარ მეფე**, არამედ მეფე-პოეტი **არჩილ** მეორე, ქრისტიანობა და მისთვის თავდადებულნი, მეფენი.

როცა ამაზე ვსაუბრობდით და მურმან თავდიშვილს ვუთხარი, რევაზ სირაძე ჩემს მიგნებას არ იზიარებს-მეთქი, მიპასუხა:

– გახსოვს, ბავშვობისას გურიაში როცა ვჭიდაობდით, დამარცხებულად ის მიიჩნეოდა, ვისაც გულაღმა წააქცევდი და ზეცას დაანახვებდი. და იყო ერთი ამბავი: მოწინააღმდეგეს ბეჭებზე კი დასცემდი, მაგრამ ის ორივე ხელს თვალებზე აიფარებდა და იძახდა, *ცა არ დამინახავსო*. ბრძოლა და ბურხლაობა მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე თვალებზე აფარებულ ხელებს არ ჩამოაწევინებდი და ქუთუთოებს არ გადაუწევდიო.

გამეცინა, კარგად შეადარა.

ვიკტორ ნოზაძის წიგნები

ლიტერატურის ინსტიტუტის სწავლული მდივნობის დროს აკადემიის პრეზიდიუმში რაღაც საქმეზე მიმავალს **ალექსანდრე ბარამიძემ** დამავალა, ვიქტორ კუპრაძესთან შეიარე და ნოზაძის წიგნს გამოგატანსო. დავალება შევასრულე. **ვიქტორ კუპრაძეს** ალექსანდრე ბარამიძისაგან ვიკტორ ნოზაძის წიგნი „ვეფხისტ-

ყაოსანის ღმრთისმეტყველება“ ენათხოვრა. ის ის იყო, ბატონ ალექსანდრეს კაბინეტში დავბრუნდი, ბატონი ვიქტორი ბატონ ალექსანდრეს ამ წიგნზე ტელეფონით ელაპარაკებოდა, თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა და რაღაც-რაღაცებს კიდევაც ეკითხებოდა.

ახლა ამ ამბავს იმიტომ ვიხსენებ, რომ, თუ უამრავი საქმით დატვირთული, არარუსთველოლოგი, არაქართველოლოგი, არაფილოლოგი, გამოჩენილი მათემატიკოსი ვიქტორ კუპრაძე **ვიკტორ ნოზაძის** წიგნით ინტერესდება და მას საფუძვლიანად ამუშავებს, ამ დროს აღმოჩნდა: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რევაზ სირაძე**, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტში რუსთველოლოგიის განყოფილებას ათ წელზე მეტ ხანს „განაგებდა“ (შემდეგ მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა უჭირავს), **ვიკტორ ნოზაძის არც ერთ წიგნს არ იცნობს**. არადა, ვიკტორ ნოზაძეს, სტატიებს რომ თავი დავანებოთ, რუსთველოლოგიაში ხუთი სქელტანიანი სამაგიდო წიგნი აქვს გამოცემული!

ეშმაკობა, რომელმაც არ გაჭრა

ჩემს წიგნებში ნაჩვენები მაქვს, **რევაზ სირაძე** თუ რა მდარე მეცნიერია და თავისი აფერით როგორ მიიკვლევს გზას მეცნიერების „მწვერვალებისაკენ“. არც ერთ ჩემს კრიტიკაზე ხმა არ ამოუღია, გატრუნულია და მუჭში ხრუხნის და ხრუხნის ამ გზით აქედან და იქიდან მიღებულ ფულებს. ვინც კი ჩემი ეს კრიტიკა წაიკითხა, თითქმის ყველა მეკითხება, *რა გიპასუხაო?* ამ დუმილის საწინააღმდეგოდ **თეიმურაზ მირიანაშვილმა** ერთი თავისი ეშმაკობა მასწავლა: *რაიმე შეცდომა შეგნებულად დაუშვი და ეგებ ამაზე წამოიკიდო და გიპასუხოსო.*

მოვსინჯე: ჩემს წიგნებში აღნუსხული მაქვს, ეს ჩვენი გმირი (სირაძე, სირაძე!) ერთსა და იმავე სტატიას რაიმე მითითების გარეშე როგორ იმეორებს წიგნებიდან წიგნებში და წიგნებიდან ჟურნალებსა და კრებულებში, ამით კი როგორ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი დიდად ხელხვავიანი და ნაყოფიერი მკვლევარია. ჩემი „*რუსთველოლოგიური გამოკვლევების*“ პირველ ტომში ერთ ასეთ ნიმუშად დავასახელე მისი სტატია **გალაკტიონ ტაბიძისა** და **ვასილ კანდინსკის** შემოქმედებათა მსგავსების შესახებ. და სა-

თაურში, სარჩევსა და პირთა საძიებელში ამ ცნობილი ფერმწერის გვარში პირველი „ნ“ ასო გამოვტოვე და დავწერე „კადინსკი“, ციტატებში კი სწორად დავტოვე. აგერ თითქმის ორი წელი გადის და კვლავ დუმილია. უფრო მეტიც, იგივე სტატია მან უკვე, მე რომ ვიცი, მეოთხეჯერ გაიმეორა ბოლო წიგნში „ესეები და თარგმანები“ (2011), რა თქმა უნდა, აქაც მიუთითებლად.

ახლა ჩემს გულუბრყვილობაზე მეცინება: ბატონ რეზოს მე ეშმაკობაში ვაჯობებ?!

უფროსებზე ზრუნვა

1979 წელს ინსტიტუტის სწავლულ მდივნად დამნიშნეს. დღე არ გავიდოდა, რაღაც საქმეზე აკადემიის პრეზიდიუმში მისასვლელი არ ვყოფილიყავი. ერთხელაც მივდივარ და ვხედავ: პრეზიდიუმის თანამშრომლებს დერეფანში გრძელი რიგი გაუმართავთ და იმპორტულ ხელის საბან საპონებს ყიდულობენ. იმხანად ჩვენში რატომღაც, იმპორტულის გარდა, მოსკოვისა და ლენინგრადის კარგი საპნებიც გაწყდა და მაღაზიებს აზერბაიჯანული და სომხური ნაწარმი შემორჩა, რომლებსაც მაშინ არ ეკადრულობდით.

საპონს ყიდის ჩემი მეგობარი **იური კლდიაშვილი**, სიებით დგანან კანცელარიის გამგე **თინა კასრაძე** და საოქმო განყოფილების უფროსი **ვალია ნინუა**, კეთილი და სათნო მანდილოსნები.

–მომცემ-მეთქი? – ხელით ვანიშნე იურის.

– დაიცადე და მოგცემ. – ხელითვე მანიშნებს ისიც.

ვიცდი, მაგრამ სანამდე შეიძლება ცდა – რიგი არ კლებულობს, პრეზიდიუმის თანამშრომლები მოდიან და ემატებიან.

– მე საპონი არ მეკუთვნის? – მივმართავ ქალბატონ თინას.

მან ისე შემომხედა, მაგრძნობინა: საიდან უნდა გეკუთვნოდეს, რომ ხედავ, პრეზიდიუმის თანამშრომელთათვის არის მოტანილი და არა ინსტიტუტებისათვისო.

ცოტა ხნის შემდეგ იმავე კითხვით მივმართე ქალბატონ ვალიასაც. ისიც ხმას არ იღებს და უარს თვალით მეუბნება.

– მე თქვენზე ვზრუნავ, აქ ხშირად მიწევს მოსვლა და თქვენთვის ხელის ჩამორთმევა, თორემ ამდენს როგორ შეგაწუხებდით-მეთქი! – ხმამაღლა ვამბობ მე.

ხუმრობამ გაჭრა. თუ პრეზიდიუმის თანამშრომლებს 25–25 ცალ საპონს აძლევდნენ, მე 20 მომცეს.

რევოლვერით შუა აზიაში

1982 წლის 5 ნოემბერს ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები შუა აზიაში ექსკურსიაზე გავფრინდით. ეგრეთ წოდებული პროფესორის ჩანთით მივდიოდი. მეგობარმა, **გურამ ცერცვაძემ**, იგი დამიწუნა, *ძალიან პატარა არისო* და მის ნაცვლად თავისი, ერთმანეთში რომ იდება, იქიდან ამოღებული ერთი მოზრდილი გერმანული ტყავის ჩანთა გამატანა. აეროპორტში შემომწმებლებს ჩანთა ხელში შევუთამაშე და ავუხსენი: ორიოდე პირველსაჭირო ნივთი მიმაქვს, სხვა მხრივ ჩანთა ცარიელია და ხელზე დამიტოვეთ-მეთქი. არ დამთანხმდნენ და ჩამაბარებინეს.

შუა აზიაში მოვიარეთ ტაშკენტი, სამარყანდი, ბუხარა, ჩიმკენტი, ჩიმგანი და ათი დღის შემდეგ, როცა უკან ვბრუნდებოდით, ტაშკენტში ჩვენი თვითმფრინავი ორი საათის დაგვიანებით გამოუშვეს. როგორც აგვიხსნეს, იმ დღეებში ალმა-ათიდან თვითმფრინავი გაეტაცებინათ. ამიტომ ჩვენ და ჩვენი ბარგი დამატებით საგანგებოდ და საგულდაგულოდ შეგვამოწმეს.

გურამს, მის ქალიშვილსა და მათთან მცხოვრებ მის დისშვილს იქ ცოტ-ცოტა საჩუქარი ვუყიდე და იმავე ჩანთით მივუტანე. როცა ჩანთა გაცალა და წმენდდა, გურამის დისშვილმა იქიდან უცებ ამოიღო ... რევოლვერი!

გურამი მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა და, ბავშვებს ხელი რომ არ ეხლოთ, იარაღს თურმე კარადის უკან შენახული ერთ-ერთი ამ ჩანთის „ზმეიკიან“ უჯრაში მალავდა. ჩანთის გატანებისას ეს არ გახსენებია.

კიდევ კარგი, მოგზაურობისას იგი არც მე და არც აეროპორტის ზედამხედველებს არ გვინახავს, თორემ ხათაბალას ვერც მე და ვერც გურამი გადავურჩებოდით. უბედურებას ის გამოიწვევდა, რომ გურამს სამსახუროებრივ იარაღთან ერთად ეს რევოლვერი უნებართოდ, გაუფორმებლად ჰქონია.

პატარა აფერა, რომელმაც გაჭრა...

წინა საუკუნის 70–იან წლებში კარგა ხანს ლიტერატურის ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარის მოადგილე და კულტურულ-მასობრივი სექტორის გამგე ვიყავი. იმ დროს მეცნიერ–თანამშრომლებს სხვებთან შედარებით დიდი ხელფასები გექონდა და ჩვენი პროფკავშირი მდიდარი ორგანიზაცია იყო. თავმჯდომარედ სიცოცხლით სავსე, დაუდგრომელი ბუნების კაცი ნოდარ ალანია გახლდათ. ინსტიტუტში ბლომად გვყავდა ახალგაზრდობა, სასმელ-საჭმელი არ გვიჭირდა, წასვლა–წამოსვლა იოლი იყო და მეტი რა გვინდოდა, წელიწადის ყველა თვეში, უფრო ზაფხულობით, ნაირ–ნაირ ექსკურსიებს ვაწყობდით. ხანდახან იმდენი მსურველი იყრიდა თავს, ყველა ვერც კი მიგვყავდა. ვისარგებლე ამ „სისუსტით“ და სახუმაროდ გამოვაკარი განცხადება, რომ ამა და ამ დღეებში ვაწყობდით ექსკურსიებს და ჩამოვწერე ოთხი მარშრუტი, სადაც სამში ისეთი ადგილები შევიტანე, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. აი, ეს მარშრუტები:

1. მცხეთა–ანანური–ყაზბეგი–ორჯონიკიძე;
2. ბორჯომი–შატბერდი–არტანუჯი;
3. აბასთუმანი–ზარზმა–ბერთა–ოპიზა;
4. ახალციხე–პარხალი–ოშკი–ხახული.

სახარჯო ფულს ვაგროვებდით და პირველ, ჩრდილოეთის, მარშრუტზე შედარებით მეტი თანხა ჩავწერე, სამხრეთის მარშრუტები კი, თითქოსდა რესპუბლიკის გარეთ არ გავდიოდით, ძალიან იაფად გამოვიყვანე.

მაშინ თურქეთში წასვლა კი არა, იქით გახედვაც აკრძალული იყო. ინსტიტუტის ახალგაზრდები მოდიოდნენ და სიაში ეწერებოდნენ. ბევრი მუშტარი აღმოაჩნდა სამხრეთის მარშრუტებს. მეხვეწებოდნენ, სამიოდეში ჩამეწერა. მე, რა თქმა უნდა, ერთხანს თავპატიჟს ვიდებდი, უარს ვეუბნებოდი, ბოლოს, „დიდი ხათრით“ სურვილს ვუსრულებდი. ნოდარს სიებს ვაცნობდი და გულიანად ვიცინოდით, – მათში ერთიც არ გამოერია ისეთი, ბრმად არ გენდობოდა და დაფიქრებულიყო, სად მდებარეობდა ეს ძეგლები!

არარსებული ქურქები

იმ დროს ქურქები დიდ მოდაში იყო და საპირველაპრილოდ გამოვაკარი სახუმარო განცხადება: *ინსტიტუტში მიღე-ბულია ქალის ქურქები („დუბლიონკები“). მსურველებმა წარმოადგინონ დასაბუთებული განცხადებები.* ფასი, რაც შეიძლებოდა, დაბალი დავადე. მეტი დამაჯერებლობისათვის ისიც დავსძინე, რომ, ვინც მწერალთა კავშირის წევრია, იქ მიიღებს და აქ არ მიეცემა.

შემოვიდა და შემოვიდა განცხადებები. სასაცილო ის იყო, რომ აქაც იმხელა სიზარმაცე გამოეჩინათ, ყველა განცხადება ერთი დედნიდან მოდიოდა, ერთმანეთისაგან გადაწერილი იყო: *ამა და ამ წლიდან ვმუშაობ ინსტიტუტში, პროფკავშირიდან არასდროს არაფერი მისარგებლია და გთხოვთ, ამჯერად ერთი ქურქი მაინც შემახვედროთო.*

ვარიანში

ინსტიტუტის თანამშრომლები ექსკურსიაზე ვართ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში. ჩვენთან არიან ჩვენი ლამაზი გოგონებიც **მაყვალა კუჭუხიძე** და **როდამ ზანდუკელი**. სუფრაზე ვალოდია აზარიაშვილმა ასეთი ლექსი მომიძღვნა:

ბორის დარჩიას

(ექსპრომტად, როცა მაყვალას ნატუჩარი ჭიქიდან ღვინო დალია)

მისმინე, ბორის დარჩია,
ძველს გაგახსენებ მოდასა,
ეს მამულები რომ მოგცენ,
შენ აქ ხელმწიფედ რომ დაგსვან,
ვის აირჩევდი დედოფლად –
მაყვალასა თუ როდამსა?
23. VI. 73 წ.

წუღრუღაშენი

ექსკურსია მოვაწყვე **ბოლნისსა** და **დმანისში**. ზოგი ჩვენგანი იქ ნამყოფი იყო, მაგრამ გამეგონა და წუღრუღაშენის XIII საუკუნის

გუმბათოვანი ტაძარი არც ერთს გვენახა, რომელიც, მითხრეს, ბოლნისთან ახლოს მდებარეობს და ყველაზე მაღალი გუმბათი აქვსო.

თბილისის საექსკურსიო ბიუროდან ექსკურსიამძღოლად გამოგვაყოლეს **ალმანზორ თავაძე**, რომელსაც თავიდანვე პირობა ჩამოვართვი — გვაჩვენებდა წუღრუღაშენს.

დავათვალიერეთ ბოლნისის სიონი, დმანისის ციხე-ნაქალაქარი, მაგრამ აღმოჩნდა, ჩვენს ექსკურსიამძღოლს წუღრუღაშენი არა სცოდნია, თუმცა ეს არა და არ იტეხა. წუღრუღაშენის გზა ხან ვის ვკითხეთ და ხან — ვის. მიგვასწავლიან, ვივლით, ვივლით და მივადგებით ბოლნისის ტაძარს, წამოვალთ იქიდან და ჩავუვლით აბანოს. ასე გამეორდა რამდენიმეჯერ. ბოლოს და ბოლოს, ერთმა გზა სწორად მიგვასწავლა, მაგრამ მდინარე ბოლნისისწყალი ადიდებული აღმოჩნდა და ტაძრამდე მაინც ვერ მივაღწიეთ.

ძალიან გავნერვიულდი, იმდენად, რომ, ვითომც დიდი გამრტყმელი ბიჭი ვიყავი, ალმანზორისაკენ გავიწიე. ჩვენი დაძაბულობა განმუხტა **დავით გოგოჭურმა**, რომელმაც ასეთი ლექსი წაგვიკითხა:

„ბორისო დარჩიაულო,
რა ვაჟკაცი ხარ, რა მშვენი,
ერთ დღეში ორჯერ გვაჩვენე
სიონი თლილად ნაშენი,
ცხრაჯერ გვაჩვენე აბანო,
ვერც ერთხელ წუღრუღაშენი!“

ატენში

ინსტიტუტის თანამშრომლები ექსკურსიაზე ატენში წავედით. ხანდაზმულობის მიუხედავად, ჩვენთან ერთად წამობრძანდა ყველა ჩვენგანისათვის საყვარელი ქალბატონი **თამარ ოქროშიძე** და წამოიყვანა მწერალი **დემნა შენგელაია**, რომელზედაც ის ახალდაქორწინებული იყო. მაშინ ვალოდია აზარიაშვილმა რამდენიმე სტროფიანი სახუმარო ლექსი დაწერა, სადაც ასეთი სტრიქონი იყო: *„ეს დემნა რას აგვედევნა“.*

ჩვენ ვცდილობდით, ნელა გვევლო, რათა ამ საპატიო ხან-დაზმულებს არ გასჭირვებოდათ. მაგრამ ორივე ყოჩაღად დაგვ-ყევბოდა. მაშინ ბატონმა დემნამ იხუმრა:

— ველოსიპედივით ვარ, რომ გავჩერდე, წავიქცევი!

ჩხუბი

აკაკი შანიძის დისშვილი და ლევან კიკნაძის მეუღლე **ნელი ლეჟავა** დიდხანს ლიტერატურის ინსტიტუტის კანცელარიის გამ-გედ მუშაობდა. გარეგნობით, სათნოებით, გულითადობით, კეთილ-შობილებით, იუმორით, — ერთი სიტყვით, ყოველმხრივ შემკობილი მანდილოსანი გახლდათ. ის ყველას გვხიბლავდა და მუდამ მოწიწებითა და პატივისცემით ვეპყრობოდით. ერთ დღეს ქალბა-ტონი ნელი თავის თანამშრომელ **დარეჯან დანელიას** წაეჩხუბა. დარეჯანი ჩვენთან საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდა და სამუშაო სტაჟისათვის ერთხანს შიკრიკად მუშაობდა. ისიც შესანიშნავი, თვალ-ტანადი გოგონა, წესიერი და თავაზიანი მუშაკი გახლდათ, მაგრამ რაღაც დავალება ჯეროვნად ვერ შეასრულა და ჩხუბიც ამას მოჰყვა. ამაზე მე, როგორც ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, დარეჯანისათვის ოფიციალური საყვედური უნდა გამო-მეცხადებინა. ამის ნაცვლად ასეთი ლექსი დავწერე:

„დაო დარეჯან, ნეტავ რას დავობ,
რად სდებ გულს და სულს მწარე ხავს და ობს,
ვინ არს და სად არს, ნელისა სადარს
იპოვის უფროსს და მერე დაგმობს?!
ამას ვინ ელის, უარს ეტყვი ნელის,
უარი, რა უარი, მერე რავარი!
ვინც ამას შვება, არ გაიშვება,
არ გაიშვება გაუთხოვარი!“

უბედურებაზე უბედურება

კარგა ხანს ვფიქრობდი, ეს ამბავი დამებეჭდა თუ არა. წიგნის სათაურში ნახმარი სიტყვა „ნაღვლიანი“ მასთან შედარებით ცოტა

კი არა, ყოვლად შეუსაბამოა. ეს ის უბედურებაა, ლომი რომ ვერ გადაიტანს, მუხაც ვერ გაუძლებს. რაკი შემოტანა გადავწყვიტე, მერე იმაზე ვფიქრმაც მაწვალა, სად მომეთავსებია იგი...

ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი **ცისანა (ელზა, ელისაბედ) გენძეხაძე** ერთ დროს უბედნიერესი ქალი იყო. ჰქონდა სიყვარულით შექმნილი ბრწყინვალე ოჯახი და ემსახურებოდა იმ საქმეს, რაც მისი მოწოდება იყო. მეუღლე **ნოდარ ჯმუხაძე**, შესანიშნავი ინჟინერი, საქართველოს რესპუბლიკის ახალი ტექნიკის დანერგვის მთავარი სამმართველოს უფროსი გახლდათ. ჰყავდათ ნანატრი ქალ-ვაჟი – **ნიკა** და **ნათია**. ცისანამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და, რადგან მაშინ ასპირანტურაში ჩასაბარებლად სტაჟს ითხოვდნენ, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მეცნიერ-ბიბლიოგრაფად დაიწყო მუშაობა. აქ განყოფილების ხელმძღვანელ **ალა ოთაროვასთან** ერთად შეადგინა და გამოაქვეყნა **შექსპირსა** და **ტარას შევჩენკოზე** ქართულად არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიები. შემდეგ სამუშაოდ ლიტერატურის ინსტიტუტში გადმოვიდა და გატაცებით შეუდგა თანამედროვე ქართული მწერლობის კვლევა-ძიებას.

1978 წელს **ჟუჟუნა ქვლივიძესთან** ერთად გამოსცა წიგნი *„თანამედროვე ქართული პროზისა და კინოდრამატურგიის საკითხები“* („მეცნიერება“).

იმ დროს, როდესაც ბედნიერებას ბედნიერება დაემატა და ნიკა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, უბედურებას უბედურება მოჰყვა, – ცისანამ წელიწად-ნახევარზე ნაკლებ დროში მეუღლე და ორივე შვილი მიწაში ჩააწვინა.

პირველკურსელი ნიკა, ისე რომ თანაკურსელების გაცნობაც ვერ მოასწრო, ავად გახდა. წაიყვანეს მოსკოვში და დაუდგინეს ლიმფო-სარკომა. დიაგნოზი ჯერ მხოლოდ მამას გაუმჟღავნეს. ნოდარმა ამ ელდას ვერ გაუძლო და 1982 წლის 27 იანვარს გულის შეტევით გარდაიცვალა.

ნიკას მოსკოვშივე გაუკეთეს ოპერაცია და ცხრა (!) კილოგრამი ელენთა ამოკვეთეს. 21 წლის ნიკა 1983 წლის 5 იანვარს გარდაიცვალა...

აქედან ოთხ თვეში ათი წლის ნათია მწვავე ლეიკოზით გარდაიცვალა.

დარჩა ცისანა მოხუც დედასა და ასაკოვან დაუოჯახებელ დასთან ერთად.

მაშინ პირველად მივხვდი, რომ მიმართვა – *„შენს მწუხარებას ვიზიარებ თუ მონაწილე ვარო“* – ჩვეულებრივი ლტონი სიტყვები არ ყოფილა. ძალა არ მეყო, ცისანას მწუხარება გამეზიარებინა. ნოდარის პანაშვიდებისა და დაკრძალვისას ბინაში ავედი და ჭირისუფლებს მივუსამძიმრე, მაგრამ ნიკასა და ნათიაზე ეს ვერ შევძელი. ყველა პანაშვიდზე და დაკრძალვისას იქ ვიდექი, ოღონდ ვერც ერთხელ კიბეს ვერ შევყევი, ბინაში ვერ ავედი და ცისანას ვერ შევხედე; დაკრძალვისას საფლავთან ახლოს მისვლა ვერ გავბედე. რა თქმა უნდა, ქელეხებზეც არ ვყოფილვარ. და როცა ნათიას დაკრძალვის დღეს, საღამოს, ცისანამ ტელეფონით მისაყვედურა, *200-კაციანი სუფრა ცარიელი როგორ დამიტოვეთო*, საშინლად შევწუხდი და ჩემი სიგლახის გამო თავი შემძულდა.

ჯანსულ ჩარკვიანმა ცისანას ეს ტრაგედია ასე გამოხატა:

სამი ღამე
(ცისანა გენძეხაძეს)

ზეთისხილის მთისკენ ილტვის შენი სევდის ნათელი,
ღვთისშობელის ლოცვას ვიტყვი სამი თაფლის სანთელით.
სამი ღამე, სამი ბორცვი, სამი შესანდობარი,
შენი სისხლი, შენი ხორცი – ბედის სამი ბორბალი.

ჩვენი დღე და ჩვენი ხვედრი ღმერთის მოძღვრებისაა,
არ არსებობს მკვდრების ღმერთი, ღმერთი ცოცხლებისაა!

გავიდა ცოტა ხანი. ინსტიტუტის სწავლული მდივანი ვარ და აკადემიის პრეზიდიუმიდან ტელეფონით მაცნობეს: დიდი სამამულო ომის დამთავრების ამა და ამ წლისთავის აღსანიშნავად განზრახული გვაქვს, გამოვცეთ წიგნი – *„დიდი სამამულო ომის ასახვა ქართულ მწერლობაში“*. იგი ჰონორარიანი იქნება და, როგორც კი წარმოადგენთ, მაშინვე დავბეჭდავთო.

ამ საკითხზე ცისანა მუშაობდა, მაგრამ როგორ გავბედო და შევატყობინო. რომ მაგრად მიმალანძღოს, *რა მეწიგნებაო*, ღირსი არ ვიქნები?!

მთელი დღე ვებრძოლე თავს და ბოლოს, როგორც იყო, ეს ამბავი ტელეფონით გავაგებინე. ვუთხარი: მიცვალებულსაც პატრონობა სჭირდება, როგორმე ეს ნაშრომი დაამთავრე, გამოეცი, დისერტაცია დაიცავი, ხელფასი მოგემატება, ბავშვი აიყვანე და ნიკას სახელზე გაზარდე–მეთქი.

გავჩუმდი: რისხვას რომ ველოდი, ცისანა საოცრად გამოცოცხლდა, *შევეცდები, თუ შევძელიო.*

მაშინ დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში **გიორგი მერკვილაძე** ბრძანდებოდა. ჩვენ ერთ კაბინეტში ვისხედით, ყველაფერი ეს გავაგებინე და ვთხოვე, ამ ნაშრომისათვის ხელმძღვანელობა გაეწია.

ცისანა ენერგიულად შეუდგა საქმეს და გამოსცა წიგნები: 1985 წელს – *„დიდი სამამულო ომის ასახვა ქართულ საბჭოთა პროზაში“* („მეცნიერება“); 1989 წელს **ქეთევან ჯავახიშვილთან** ერთად – *„მიხეილ ჯავახიშვილის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“* („მეცნიერება“, 336 გვ.); 2004 წელს – *„ლიტერატურული მერიდიანები“*, რომელიც ნიკასა და ნათიას ხსოვნას მიუძღვნა („ინტელექტი“, 360 გვ.); 2005 წელს მ. ჯავახიშვილის შვილთაშვილ **მარინე შიშნიაშვილთან** ერთად – *„მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკიდან“* („მერანი“, 365 გვ.), რომელიც 2011 წელს ტექსტის მცირეოდენი გადაადგილებით მეორედ გამოსცა გამომცემლობა „ინტელექტმა“; 2006 წელს – *„მამულის თავისუფლებაზე მეოცნებენი“*, სადაც XX საუკუნის სამოციანელთა ახალი ლირიკული პოემებია განხილული („ზეკარი“, 149 გვ.) .

აღარაფერს ვამბობ იმ სტატიებზე, რომლებიც არც ერთ წიგნში არ შესულა.

და, აი, დადგა 2006 წლის ოქტომბერი. იმ დროს, როდესაც ცისანას ორი რამ ასულდგმულებდა, – შვილების მეგობრების სწავლა-განათლებაზე ზრუნვა და ქართული ლიტერატურის კვლევა-ძიება, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად მოვლენილმა ცხოვრებით გაზულუქებულმა ამ წიგნის მკითხველისათვის უკვე

ნაცნობმა **ირმა რატიანმა** ე. წ. სამეცნიერო რეფორმისას იგი სამსახურიდან, ინსტიტუტიდან, გააგდო!!!

რა ვქნა, ჩამოვთვალო ინსტიტუტში დატოვებული ის თანამშრომლები, რომლებიც ასაკით ცისანაზე უფროსნი არიან ან სამეცნიერო საქმიანობით ცისანაზე ბევრად უმცროსი?! ვახსენო ამ სისხლიან საქმეში ხელგასვრილი **მანანა კვაჭანტირაძე**, რომელიც განყოფილების ხელმძღვანელი გახლდათ და ცისანას დაცვა უპირველესად მას ევალებოდა?! გაუკეთებია მას რამე ცისანას ნაშრომებზე უკეთესი და, რაც მთავარია, სასარგებლო?!

სამსახურიდან დათხოვილთაგან ქალბატონმა ირმამ ზოგიერთი კონსულტანტად დატოვა, ზოგიერთს ხელშეკრულებითი სამუშაოები მისცა, რამდენიმე კიდევ გრანტებში ჩართო.

ცისანას – არაფერი!

რა ვქნა, მათგან ჩამოვთვალო **ერთი** თუ **ორი** წიგნის ავტორები, რომლებიც კონსულტანტებად დანიშნა?! ან რა გრანტები გაიცა და ჯერჯერობით სარგებელი არ ჩანს?!

როცა ინსტიტუტში დატოვებულთაგან საკმაო ნაწილი ძლივძლივით დაჯახირობს, ცისანა კვლავ წარმატებით აგრძელებს ქართული კულტურისა და ლიტერატურის, სამსახურს. გადაცემული აქვს და „ინტელექტი“ ბეჭდავს **ოთარ ჭილაძის** ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილ მის წიგნს.

2009 წელს თბილისის მერიამ *„მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის“* ცისანა გენძეხაძე დააჯილდოვა სიგელით, პრემიითა და მედლით.

ფელეტონები

ეტიმოლოგიური ძიებანი

მე იმ მეცნიერთა უმცირესზე უმცირესთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებსაც მტკიცედ სჯერათ და ამას თავიანთ ნაშრომებში შესანიშნავად აჩვენებენ, რომ მსოფლიოს ცივილიზაციის აკვანი საქართველოა, რომ ჩვენგან წავიდა და მსოფლიოს ყველა კუთხეს მოეფინა არა მარტო კულტურის უმთავრესი ღირებულებანი, არამედ წვრილმანი, საკულტურო ელემენტებიც. თუმცა ჩვენში, საქართველოში, მე და ჩემისთანა თითო-ოროლა პატრიოტ მკვლევარს ათვალწუნებით გვიყურებენ (რა თქმა უნდა, შურის გამო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ტაშის დამკვრელიც ბევრი გვყავს), სამშობლოს დაუცხრომელი სიყვარული კვლავ აღგვაგზნებს, რათა შეუპოვრად გავაგრძელოთ ჩვენი საკვლევაძიებო საქმიანობა ამ დარგში და დავეხმაროთ ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ, გერმანელ და სხვა ერებს, შეიცნონ თავიანთი ამა თუ იმ კულტურული მოვლენის არსი და წარმომავლობა. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, საქართველოდან მათი შეძენა. ამჯერად საუბარი გვექნება ორ საკითხზე.

1. კოლეჯი, კოლეჟი

აქამდე აპრიორულად და უყოყმანოდ მჯეროდა, რომ ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ნაწილობრივ ავსტრალიის ქვეყნებში სწავლა-განათლება საქართველოდან შევიდა, მაგრამ ერთია რწმენა და მეორე მისი მეცნიერული დამტკიცება. და აი, საკმარისი იყო, თბილისიდან სამოციოდე კილომეტრზე ქართლის ერთ პატარა სოფელში, ქ ვ ე მ ო ჭ ა ლ ა შ ი, სამაისო ბლის საჭმელად წავსულიყავი, რომ ამ დიდ საერთაშორისო პრობლემასაც საბოლოოდ აეხადა ფარდა.

ყველას, ქართველსა თუ არაქართველს, ყურმოკვრით თუ თვალხილულად, უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან მაინც მოეხსენება, რომ **კოლეჯი** აქეთ, ინგლისსა, და იქით, ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლეს ან საშუალო, ხოლო **კოლეჟი**

საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში საშუალო სასწავლებელსა ჰქვია.

საიდან წარმოდგება ეს სახელწოდებანი?

ქვემო ჭალაში, როდესაც ხუთი ბლის ხე მოვიარეთ და თეთრი, შავი, ქართული და გოგრა ბლით კარგად დავნაყრდით, პატარა მდინარის პირას ჩეროში წამოვწექით და ადვილად გაგვიგებს მკითხველი, ვითარ დაგვეუფლებოდა პატრიოტული განწყობილება. ელოცავდით მამა-პაპათა სისხლით მორწყულ ქართულ მიწას, მის მშვენებასა და სინოყიერეს. ვატყობდი, ამგვარი განწყობილების გაღვივებაში განსაკუთრებული სტიმულის მომცემი იყო ქართული ბალი. ბევრჯერ დავუტკბივარ, მაგრამ ვერ ვიტყვი, ოდესმე ეს მოემოქმედებინოს ალიქმელიქ ბალს.

ამგვარ ნეტარებაში ვიყავი, რომ უცებ ჩემმა მასპინძელმა სიტყვა **კორეჭი** ახსენა. ბევრი გამოკითხვის შემდეგ მან ამიხსნა, რომ აქ **კორეჭი** თურმე პატარა მდენარეს ეწოდება.

აქამდე გამხელას ვერ ვბედავდი, მაგრამ შინაგანად კარგად ვრგძნობდი, რომ ეს პატარა სოფელი – ქვემო ჭალა, რომელსაც ერთი მხრიდან სამთავისის დიდებული ტაძარი სდარაჯობს, ხოლო მეორე მხრიდან სხვილოს ციხე თავს გადმოჰყურებს, დიდი კულტურული მადნის მფლობელი უნდა ყოფილიყო. ვგრძნობდი და წინათგრძნობაც გამიმართლდა!

კორეჭი – ეს ხომ იგივე **კოლეჯია!**

აბა, დაუკვირდით, ძვირფასო მკითხველებო! თქვენ ეგნატე ნინოშვილის ავტობიოგრაფიიდან კარგად მოგეხსენებათ, რომ ძველად პატარებს წერა-კითხვის სწავლებას მდინარის პირას აწყებინებდნენ: წყალში ჩააყენებდნენ, წყალივით კითხვა ეცოდინებაო. რასაკვირველია, ამისათვის პატარა მდინარეს მიმართავდნენ, აბა, დიდ მდინარეში რა უნდოდათ. სწავლის გულისთვის შვილს ხომ არ დაახრჩობდნენ?! ეს პატარა მდინარე კი **კორეჭი** იყო.

მაშასადამე, პირველი სწავლა-განათლების ადგილი **კორეჭი** ყოფილა. რაღა საკითხავია, შემდგომ ცოდნის ზრდასთან ერთად ამ სიტყვის მნიშვნელობაც გაიზარდა, გაფართოვდა და, საერთოდ, სასწავლებელს **კორეჭი** დაერქვა.

როდესაც ძველად ბერძნები და ევროპელები ჩვენში მოვიდნენ და ოქროს საწმისი გაიტაცეს, ბუნებრივია, მათ ხელს გააყოლეს კაკლის ხეებიც და სწავლა-განათლებაც თავისი სახელწოდებით – **კორეჭი.** ვინაიდან მათ **ჭ** ბგერა არა აქვთ, იგი შეცვალეს მისი დაწერილობის მსგავსი **ჯ** და **ქ** ბგერებით. **რ** კი, ვინც ენათმეცნიერებაში ოდნავ ჩახედულია, კარგად იცის, ასიმილაციისა თუ დისიმილაციის გზით გადაკეთდება **ლ**-დ.

ასე და ამრიგად, საქართველოდან წაღებული კ ო რ ე ჭ ი ევროპულად გადაკეთდა **კოლეჯად** და **კოლეჟად.** სამწუხაროდ, შემდგომ, როდესაც ქართველებს სხვა კულტურული აღმაფრენები მოგვეძალა, სიტყვა კ ო რ ე ჭ ი და მისი გადატანითი მნიშვნელობა დაგვავიწყდა იმდენად რომ დღეს ლექსიკონებშიც ვეღარ შეხვდებით მას და მისი ხსოვნა ჯერ-ჯერობით ქართლის ერთი პატარა სოფლის ანაბარად არის მიტოვებული. ნუ დავუკარგავთ მსოფლიოს ამ სიტყვას!

2. შამპინიონი

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ ევროპული და მსოფლიო კულტურის ძირები, ჩვენი ვალია, გამოვიძიოთ ხსენებული ქვეყნების ადგილობრივი წარმოშობის კულტურის თუ ყოფა-ცხოვრების მოვლენები.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ეს ისედაც საყოველთაოდ თვალნათელია, როგორ შემოვიდა მოდად ჩვენს სუფრასა და მაღაზიებში სოკო, კერძოდ, ქამასოკო, რომელსაც რუსულად და სხვა ენებზეც **შამპინიონი** ეწოდება.

სპეციალურ ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ახსნილი, რომ **შამპინიონ** ფრანგული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს სოკოს. ახლა ჩვენი ვალია, შევისწავლოთ, როგორ მიიღო საფრანგეთში ამ სიტყვამ ეს მნიშვნელობა.

ვინც სოკოს ტრფიალია და მის საძებრად ფეხი დაუსვენებია, ადვილად დაეთანხმება ქვემოთ წარმოდგენილ არგუმენტს:

ჩვენ, სოკოზე მონადირე თბილისელები, სოკოს საკრეფად დავდივართ თბილისის შემოგარენში – კუსა და ლისის ტბათა, წყნეთისა და მანგლისის ტერიტორიებზე. მოგეხსენებათ, ეს ადგილები იმ თბილისელთა დასასვენებელი ადგილე-

ბიცაა, რომლებსაც დამიზნებულ თოფზე უფრო ეშინიათ სოკოსი და მისკენ თვალი მხოლოდ ზიზღით თუ წაუვა. სამაგიეროდ, მათ შაბათ-კვირას აღნიშნულ ადგილებში ბლომად მიაქვთ სამწვადე ხორცი, ყველი, კიტრი, პომიდორი, კვერცხები ... და, რაც მთავარია, – შამპანურები.

„ნაშთი ჩვენი დიდების“ ისტორიის მანძილზე ბევრი აღგვილა პირისაგან მიწისა, მაგრამ თბილისელ დარბაისელ მოქალაქეთა საშაბათკვირაო ნასადილევი თუ ნაქეიფარი თვეებიდან თვეებსა და წლებიდან წლებს გადაეცემა. აქ შერლოკ ხოლმსობა სულ არ არის საჭირო, ერთბაშად შეგიძლიათ დაადგინოთ, ამა თუ იმ ადგილას რამდენ კაცს „უჭამია პური“ და რა მიურთმევია. უხვად რჩებათ კიტრის, პომიდვრის, ეაშლის, მსხლის ნაფცქვენები, კვერცხის ნაჭუჭები, მთელი პურები... ქაღალდები, ცელოფნის პარკები, ბოთლები და, რაც მთავარია, შამპანურის ბოთლები და საცობები.

ამის შემდეგ წარმოიდგინეთ, მკითხველო, ამ ადგილებში დადიან ქორულებ მხედველი სოკოს მოყვარულები. აი, ერთმა თვალი მოჰკრა თეთრად განაბულ ქამასოკოს. ხუთ-ათ ნაბიჯიანი ნახტომი და... ხელში შემორჩა ქაღალდის ნაგლეჯი, კვერცხის ნაჭუჭი, შამპანურის საცობი და ასე შემდეგ, შორიდან და ახლოდანაც ასე რომ ჰგვანან ქამასოკოს!

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საფრანგეთი შამპანურის სამშობლოა, ხოლო შამპანურის ბოთლი დიდხანს ძლებს და მისი თეთრი პლასტმასის თავსახურავი ძალიანა ჰგავს ქამასოკოს, ადვილი მისახვედრი იქნება ქამასოკოს ფრანგული სახელის **შამპინიონის** წარმოშობა.

უნდა ვიგულისხმოთ, როგორც თბილისელი სოკოს მაძიებლები, პარიზელებიც სოკოს საძებრად თავიანთი დედაქალაქის შემოგარენში გაეფინებოდნენ. აი, მათაც დაინახეს რაღაც თეთრი. მათაც უმალვე გაუელვებს ფიქრი – ქამასოკოა! მიირბენენ და ხედავენ, შამპანურის თავსახურაია! ასე ხდება ერთხელ, ორჯერ, ასჯერ, ათასჯერ, ათიათასჯერ... გულში ჩუმად თუ ხმამაღლა ხმაურობს სიტყვები: **შამპანურ, შამპანიურ ...** ამ ძახილსა და დავიდარაბაში ეს სიტყვა გადაკეთდება **შამპინიონად** – ქამასოკოს სახელად.

ვისაც ფსიქოლოგიისა რამე გაეგება, ყოველად შეუძლებელია, ამ განმარტებაში რაიმე ეჭვი შეეპაროს. ერთადერთი,

რაც ჩვენს არგუმენტს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს, ის არის, რომ დაუჯერებელია, ფრანგები ისე უწესრიგოდ იქცეოდნენ და თავიანთ ნამუსრევს ისე ურცხვად ტოვებდნენ, როგორც ეს თბილისის შემოგარენში ხდება. აგრამ, თუ გაითვალისწინებთ, რომ **შამპინიონი** ძველთაძველი, რამდენიმე ათეული საუკუნის წინათ შექმნილი სიტყვა ჩანს, ძნელი არ უნდა იყოს დავუშვათ, იმ დროს შეიძლებოდა ფრანგებშიც გამორეულიყვნენ უკულტურო მოქალაქეები, რომლებიც უწესრიგოდ, ნადირებივით იქცეოდნენ და ანაგვიანებდნენ ტყეებს, დასასვენებელ ადგი-ლებს.

როდესაც აღნიშნულ საკითხს ვეხებით, პირველყოფილ ადამიანთა შეგნებიდან და მოქმედებიდან უნდა ამოვიდეთ და არა ცივილიზებული ადამიანის საქციელიდან!

ესეც კიდევ ერთი ჩვენი წვლილი მსოფლიო კულტურის ისტორიაში!

ქართული გენის კვალდაკვალ
(ჰელმუტ კოლი)

ბუნებრივია, ჩვენს საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია შარშან, 1990 წლის ბოლოს, გაზეთებში – **„შარავანდსა“** (№ 4) და **„ლიტერატურულ საქართველოში“** (№ 50) გამოქვეყნებულმა **„სენსაცია, სენსაცია“** წერილმა **„სადამ ჰუსეინი – სტალინის შვილიშვილი, ჯორჯ ბუში?..“** სადაც საყოველთაოდ გამხელილია ადრე მხოლოდ ვიწრო წრისთვის კარგად ცნობილი ორი უდავო ჭეშმარიტება, რომ მსოფლიოს უძლი-ერესი და უმდიდრესი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ახლო აღმოსავლეთის ასევე გამორჩეული სახ-ელმწიფოს, ერაყის, პრეზიდენტები შთამომავლობით ქართველები არიან! სახელდობრ, **ჯორჯ ბუში** სრულებითაც არ ყოფილა **ბუში**: ის კანონიერი შვილია ცნობილი თეატრალური რეჟისორის **გასილ ყუშიტაშვილისა,** ხოლო **სადამ ჰუსეინი სტალინის** უფროსი ვაჟის, **იაკობ ჯუღაშვილის,** მემკვიდრეა.

მაშინ არ ვიცოდი და ჰა, ჰა, როდის – 2004 წლის დასაწყისში– გაზეთ **„კვირის პალიტრაში“** წავაწყდი იმ უტყუარი ჭეშმარიტების საბუთს, რომ სადამ ჰუსეინი *„წიგნებს*

მართლაც დიდი სიამოვნებით ყიდულობდა – ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ყურანის სხვადასხვა გამოცემას და ***იოსებ სტალინის ნაშრომებს****. ალბათ, სადამი სტალინთან სულიერ ნათესაობას გრძნობდა, დიდ პატივს სცემდა მას, როგორც მხედარმთავარსა და პოლიტიკურ მოღვაწეს"* (29 დეკემბერი, 2003 – 4 იანვარი 2004 წ., №52, გვ. 36).

შვილიშვილს პაპასთან სულიერი და ხორციელი ნათესაობა ექნებოდა, აბა არა?!

და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენამდე გამოჟონა ცნობამ, რომ **რეიგანის** მეუღლე **ნენსი** (ბავშვობაში – **ნელი**) დედმამიანად ამერიკაში ცხენოსნობაზე ჩასული სუფთა **გურულები** არიან. ჩვენები ახლაც ღიმილით იგონებენ, ლანჩხუთში როგორ შეიცხადა **ნელის** ბებიამ მისი **„ვინცხა არტისტზე"** გათხოვება. ხმამაღლა მოთქვამდა თურმე: ***ამ უღმერთოებმა*** (მშობლები ჰყავდა მხედველობაში) ***რავა დამიღუპეს სიმწრით გამოზრდილი ბალანა.*** ეჰ, რა იცოდა უბირმა, სოფლელმა მოხუცმა ქალმა, მისი **სიძე** მერე რამხელა კაცი გახდებოდა!

დიდი აღმოჩენები იმიტომაცაა დიდი, რომ იგი ხშირად სხვა საკითხებსაც შუქსა ფენს და თავის ადგილს მიუჩენს მანამდე ამოუხსნელ მოვლენებს. ახლა ჩვენთვის ადვილი მოსახვედრია, თუ **ჯორჯ ბუში** რატომაა ასე თავგადადებული, – შიმშილისაგან იხსნას და სასმელ-საჭმელი მიაწოდოს საბჭოთა ხალხს! ცხადია, იმიტომ, რომ იმედი აქვს, აქედან ცოტაოდენი თავის სისხლსა და ხორცს, ქართველ ხალხსაც, შეხვდება!

რა თქმა უნდა, არც ის იყო შემთხვევითი, **ედუარდ შევარდნაძე** ამდენს რომ დადიოდა ამერიკაში და **ბუშსა** და **ბეიკერთან** შინაურულად ჩაცმული მთად და ველად ნადირობასა და თამაშობაში გემოზე ატარებდა დროს.

ისიც ბუნებრივია, რომ ხსენებული გაზეთების ინფორმაციამ კანონიერი სიამაყის გრძნობა დაბადა ჩვენში და დაუოკებული წადილი აღგვიძრა, შეეიტყოთ, კიდევ რომელი სახელმწიფოს მეთაურის ძარღვებში ჩუხჩუხებს ქართული სისხლი?

ჩვენი მკითხველი (და არა მარტო მკითხველი) საზოგადოების ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო წერილში გაკ-

ვრით აღნიშნულმა ცნობამ, რომ **ჰიტლერის** პირველი ცოლი ქუთაისელი **დათეშიძის ქალი** იყო, თუმცა ეს ადრეც გვქონდა გაგონილი. მართლაც, არც დასავლურ და არც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამაზე სიტყვაც არ არის დაძრული, მაგრამ ჩვენ ხომ თითქმის ამ ნახევარი საუკუნის წინათ ვიცოდით, რისთვის დაიწყო დიდი სამამულო ომი: **ჰიტლერმა სტალინს** მოსთხოვა, ***მომე ფეროიო*** (ე. ი. ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანაო. ზუსტად ვერ გეტყვით, შესაძლებელია, ეს ადგილები ისტორიულად **დათეშიძეთა** გვარს ეკუთვნოდა!). **სტალინმა** არ მისცა „ფეროი“! მაშინ ის იყო, **ჰიტლერმა** მისი ძალით, ომით ხელში ჩაგდება მოინდომა!

ჩვენთვის არც ის იყო საიდუმლო, რომ ომის დროს ზესტაფონი და ქუთაისი დაბომბვას **დათეშიძის ქალმა** გადაარჩინა. როცა მან ქმრის ეს ავი განზრახვა შეიტყო, თურმე, მეუღლეობრივი სინაზით შეევედრა მას: ***ადოლფ, რას შობი, კაცო, ამას ეცი პატივიო,*** და მუცელზე ხელი დაიდო. ***ეს ბომბები, აგერ არის მოსკოვი და, იმას ურტყი, რამდენიც გინდაო!***

დიახ, ყველაფერი ეს გაგონილი გვქონდა, მაგრამ სულ სხვაა გაგონილი და სულ სხვა – დაბეჭდილის, თანაც ორჯერ დაბეჭდილის, საკუთარი თვალით ხილვა!

ახლა გასაკვირი არაა, რედაქციებში წერილების ნაკადი და ტელეფონების ზარი რომ არ წყდება. ყველა პატრიოტი ქართველი დაუინებით სვამს კითხვებს: ბოლოს და ბოლოს, ***ჰიტლერსა და დათეშიძის ქალს ჰყავდათ თუ არა შვილი და თუ ჰყავდათ, სად არის, რა ბედი ეწია მას?***

დღეს ამ საკითხების გარკვევა ჩვენი ჰუმანიტარული და, ასე გასინჯეთ, ტექნიკური ინტელიგენციის უპირველესი ამოცანაა. თქმა არ უნდა, ის ძალები, რომლებიც ქართული დასავლური უახლესი ემიგრანტული ლიტერატურის ზუსტი, უშეცდომო გადმოწერით და ამით ფუნდამენტური ორიგინალური ნაშრომების შექმნითა და სამამულო მეცნიერების არნახულ სიმაღლეზე აყვანით არიან დაკავებულნი, ყველანი ერთიანად ამ საქმეზე უნდა გადავიყვანოთ და მაგრად ჩავაბათ!

მაგრამ, ვიდრე ამ მიმართულებით ფართო კვლევა-ძიება დაიწყებოდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდებოდეს, მინდა დაინტერესებულ პირთა ყურადღება მოვაქციო შემდეგ წყალგაუვალ ფაქტებს:

ჯერ ერთი, რატომ მაინცდამაინც **ედუარდ შევარდნაძის** საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს მოხდა გერმანიის გაერთიანება და ბერლინის ყრუ კედლის აღება? ვისაც **ასხენ თვალნი ხედვად და ყურნი სმენად,** მიხვდებიან: ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ შინაურობაში, დიდი ნდობისა და სისხლხორცეული ნათესაობის შედეგად. გადამთიელს, აბა, ვინ ენდობა ან ვინ რას გაუკეთებს?! ვისთან პირადი ურთიერთობით მოახერხა ეს **ედუარდ შევარდნაძემ?** დიახ, **ჰელმუტ კოლთან! შევარდნაძეს** ეს კაცი თავის ახლობლად და ჯიგარად რომ არ მიაჩნდეს, დამეთანხმებით, არც ერთ ნაბიჯს არც და ვერც გადადგამდა!

მეორე: ჩვენთვის ჩასაცმელ-დასახურავის, სასმელ-საჭმლის, სიგარეტების გამოგზავნაში, მოკლედ, ჩვენს რჩენაში ეს გერმანელი კაცი **ჯორჯ ბუშს** რატომ ამოუდგა მხარში? მარტივი ჭეშმარიტებაა, იურიდიულად და მორალურად სხვას არავის, მხოლოდ მშობლებსა და შვილებს ევალებათ ერთმანეთის რჩენა და პატრონობა. აქედან გამომდინარე, **ჰელმუტ კოლს** საქართველო და ქართველი ხალხი მშობლიურად რომ არ ესახებოდეს, უეჭველია, ამ მოწყალებას არც და ვერც გაიღებდა!

მესამე: გვარი **კოლი** არაფერს გეუბნება? ცნობილია, რომ გერმანელებს ჩვეულებრივ ისეთი სახელები და გვარები აქვთ, საქართველოში მსგავსს ვერაფერს გაიგონებ. ამ დროს კი ეს გვარი როგორ ესადაგება ჩვენში ფართოდ გავრცელებულ სახელს – **კოლია!** არაფერი შავდება იმით, რომ ჩვენში **კოლია** სახელია, **ჰელმუტისათვის** – გვარი, ბოლოს და ბოლოს, ფსევდონიმებზე რომ არაფერი ვთქვათ, ხომ ცნობილია, გვარები ძირითადად ადამიანთა სახელებიდან არის მიღებული!

თუ ვინმე ურწმუნო თომა გამოდგება და იტყვის, **კოლია** რუსული სახელიაო, ჩვენ პასუხი ამაზეც გვაქვს: კი, ბატონო, ასე იყოს. მაგრამ ქართულში რომ გვაქვს გვარი **კოლელიშვილი,** ამას სადღა წაუხვალთ?!

მეოთხე: განა ცოტას ნიშნავს პორტრეტული მსგავსება? აბა, ირგელიე მიმოვიხედოთ, რამდენ ჩვენს ნაცნობ ქართველს მოგვაგონებს ამ გერმანელის გარეგნობა! მაგალითად, ვინც **გივი ბოჯგუას** არა მარტო ნაწერებით, პირადადაც იცნობს, უმალვე დამეთანხმება, სახითა და ტანით, როგორც გაჭრილი

ვაშლი, ისე ჰგვანან ისინი ერთმანეთს! ჰოდა, მადლობა უფალს, ახლა ჩვენში გენეტიკის კანონები არც აკრძალულია და არც უარყოფილი!

მეხუთე: რადგან გენეტიკა ვახსენეთ, განა ისიც საკითხავი არ არის, ეს კაცი საიდან მოექცა გერმანელი ხალხის სათავეში, ვისგან მიიღო მან ეს გენი?

თუ ყველა ამ ფაქტს ერთიანად განვიხილავთ, ასი პროცენტით **დათეშიძის ქალამდე** და მის პატივცემულ მეუღლე **ადოლფ ჰიტლერამდე** მივალთ!

დიახ, მე რომ მკითხოთ, დღესავით ნათელია, რომ **ჰელმუტ კოლი ჰიტლერისა** და **დათეშიძის ქალის** ღვიძლი შვილი და მემკვიდრეა! მას შემდგომში შესწავლა და დაზუსტება ოდნავადაც არ სჭირდება და, უმჯობესია, ჩვენი მეცნიერები საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიისა და ჩინეთის მთავრობათა მეთაურების გვარტომობრივი საიდუმლოს ამოცნობის კვლევისაკენ წარვმართოთ! თუ ამ სახელმწიფოთა პირველი კაცებიც ქართველური მოდგმისანი აღმოჩნდნენ, მაშინ ჩვენი უახლოესი მეზობლების, ირანისა და თურქეთის, ხელმძღვანელთა ქართველობის დამტკიცება, რაც კიდევ უფრო იოლად შეიძლება, სრულებითაც აღარ დაგვჭირდება, – საკმარისია, შინაურ შუღლსა და აშლილობას მოვუაროთ, გარეშე ძალებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტია ხელთა გვაქვს!

1991 წ.

ვმკურნალობთ წყევლით!

დღეს, ეროვნული გამოღვიძებისა და კაცთმოყვრული, სამართლიანი იდეების აღორძინების ვითარებაში, არ შეიძლება უდიდესი კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობით არ მივიღოთ თავისუფლების წყალობით მოპოვებული იმ მივიწყებული თუ ულმობლად გადაგდებული მამაპაპური ადათწესების განახლება და ხალხის სამსახურში გრიალით ჩაყენება, რამაც ისინიც კი გამოაცოცხლა და დოვლათის შექმნის სანეტარო გზებზე დააყენა, ვისაც ადრე ხელის განძრევა ეზარებოდა, ანდა ბედნიერების მოსაპოვებლად გული ტოტალიტარიზმის კანონებით აკრძალული საქმიანობისაკენ მიუწევდა!

ვაი, რა სიბნელეში ვიყავით! – წელებს ვიწყევლიდით და რა ფულებს ვფლანგავდით ელსადგურების მშენებლობაში მა-

შინ, როდესაც გვერდით, თურმე, იმდენი ბიოდენებით დამუხტული ექსტრასენსი გვყოლია, მთელ მსოფლიოს უკლებლივ რომ გააჩახჩახებს!

და აი, ახლა კიდევ ერთი მიღწევა: გაზეთმა „თბილისმა“ (5. II. 90) გვაუწყა, რომ კოოპერატივ **„იბერიაში“** დიდი წარმატებით დაუნერგავთ **„მსოფლიოში ყველაზე უძველესი მეთოდით – შელოცვით მკურნალობა“.**

მკურნალობის ამ მეთოდის უნივერსალობა ჩემთვის ჯერ კიდევ ამ 30 წლის წინათ იყო ცნობილი, როდესაც იგი ერთმა ჩემმა თანასოფლელმა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა კაცმა, წარმატებით გამოიყენა ... ღორებზე. ვინ მოთვლის, ჩუმი ბუტბუტით აღვლენილი ლოცვა-კურთხევით რამდენი მოწყენილი ღორი გადაურჩენია მას და ამით დაზაფრულ პატრონთა ოჯახებში რამდენი სიხარული და მხიარულება შეუტანია! თანაც (ვიცი, არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნო), ეს პატიოსანი კაცი ამას აკეთებდა სრულიად უფასოდ და უანგაროდ. რა სათქმელია ის ცხელი ხაჭაპურები ან შესუნელებული დედლები, ჩურჩხელები და მოხარშული ჭყინტი სიმინდები, შავი ღვინო და თაფლის არაყი, გულუხვად რომ უმასპინძლდებოდნენ ამ ღვთისნიერ კაცს! განა მადლს მადლით არ უნდა მიეგოს?!

ერთხელ ამგვარი პურ-მარილით შეზარხოშებული რომ იყო, ჩემს კითხვაზე – *მაინც რას ულოცავ, რას ეუბნები ამ ღორებს, ასე რომ გადარიე ეს ხალხი-მეთქი,* – მან საიდუმლო ღიმილით გამანდო:

არაფერს ისეთსო, გურულად პატარა ლექსი გამოვთქვი, მოგეხსენება, სამეგრელოში ნამუშევარი ვარ და, ცოტა მეგრულიც შევურიეო:

„ღორო, ღორო, ჩქიმ ღორე,
პატრონს მიაჩხინკორე!
ჰა, ბალახი პურწკლე, პურწკლე,
პატრონს სულში მიაკურკლე!..“

ამას ვერც ერთ „ლოცვანში“ ვერ შეხვდებით, მაგრამ პატრონზე კარგად ზემოქმედებს. დიდი ოსტატობა არის საჭირო, რომ ეს სიტყვები ისე წარმოთქვა, საჩოთირო შინაარსის სარითმო სიტყვები გამოკვეთილი და გასაგები არ იყოს.

ახლა, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს იმის გარკვევას, რამდენად ზნეობრივია ის, რომ შენ ხაჭაპურს მირთმევ და ღორის პატრონს კი მის სკორეს უგზავნი. მთავარი ისაა, რომ აღარაფერი ვთქვათ ღორის გადარჩენაზე, პატრონი კმაყოფილია. ეს დალოცვილი მლოცველი კარგ გუნებაზე დგება და, ასე გასინჯეთ, უსარგებლოდ არც მე ვრჩები: რამდენჯერაც ეს ამბავი გამახსენდება, იმდენჯერაც ღიმილიანი ნეტარება მთელ სხეულში დამივლის ხოლმე.

ხედავთ, რამდენი სიკეთე მოაქვს ღორის შელოცვით მკურნალობასაც კი!

ამ ბოლო დროს ბევრად წინ წავიდა შელოცვით მკურნალობის ტექნიკა და გასაკვირიც არ არის, ფასებმაც შესაბამისად აიწია. როგორც აღნიშნული გაზეთი იუწყება, ***„ძალზე დამტკიცებულად ითვლება, რომ შემლოცველი წარმოადგენს გამტარს ფსიქოენერგეტიკულ ველსა და ავადმყოფს შორის, ხოლო შემლოცველის სიტყვები კი არის კოდი, გასაღები ამ ფსიქოენერგეტიკული ველისა“***.

მერედა კომბინირებული მრავალფეროვნებით აღბეჭდილი მკურნალობის რა ფართო ასორტიმენტია გამოყენებული – **„ბიოდენები პლუს შელოცვის დიდი უნარი... ფიტოთერაპიის ჩათვლით“**! საამაყო ქართველი მანდილოსანი ექსტრასენსი **„თავის დამზადებულ ხსნარებს და მალამოებს ჩუმაკის მეთოდით მუხტავს ხელებიდან გამომდინარე ბიოდენებით და თან ულოცავს ამ წამლებს, რაც მათ უფრო მაღალეფექტურს ხდის“**. ცხადია, ამდენ ამბავს ვერც ერთი ავადმყოფობა წინ ვერ დაუდგება!

ჰოდა, შელოცვას რომ ამდენი შეუძლია, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ მისი მეორე მხარე – მკურნალობა წყევლით?! განა წყევლა შელოცვაზე ნაკლებ ძველია ან ნაკლებ ეფექტური? გავიხსენოთ თუნდაც *„გადაცემა ხატზე“*. მისი ძალა და სამართლიანობა ბაბუაჩემს თავისი თვალით უნახავს: მის მეზობელს, თურმე, ვიღაცამ სამზარეულო სახლი დაუწვა, რომელიც მეოთხე კანში ამოსული აბრეშუმის ჭიით ყოფილა გამოტენილი. ამდგარა ეს კაცი და სრულიად სამართლიანადაც თავისი დამღუპველი ხატზე გადაუცია: *ღმერთო, გეხვეწები, ჩემი სახლის დამწველი ისე დაალპე და იმდენი მატლი დაახვიე, რამდენი ჭიაც შიგ დაიწვაო!*

ერთი წელიც არ იყო გასული, მდინარე სუფსამ რომ გამორიყა ორი კვირის დამხრჩვალი და მატლებდასეული მახლობელი სოფლის მცხოვრები, ერთი ხანში შესული ცალთვალა კაცი, რომლის დამფრთხალი მეზობლები გაკვირვებული ამბობდნენ: ვერ წარმოგვედგინა, თუ ამას რაიმე ავკა-ცობის ჩადენა შეეძლოო! მეტის თქმას კი ვერ ბედავდნენ, ან რა უნდა ეთქვათ, ფაქტი წინ რდოთ!

რამდენი ბაბუა და პაპა ყოფილა ძველად ამ ქვეყნად და, ალბათ, იშვიათად თუ გამოერეოდა ისეთი, ერთი-ორი ამგვარი შემთხვევის მომსწრე ან გამგონი მაინც არ ყოფილიყოს!

დაწყევლის, სახელდობრ, ხატზე გადაცემის ეს მეთოდი უაღრესად საჭირო და ზედგამოჭრილი იქნება ჩვენი დღევანდელობისათვის, როდესაც ასე მასშტაბური გახდა და ლამის ეროვნული ფენომენის სახე მიიღო ერთმანეთის ღრღნამ და ხოცვამ!..

ყველასათვის ცხადია, მოწინააღმდეგის, თუნდაც მოყვასის, განადგურების ამჟამინდელი ბუმი დიდ დროს, ენერგიასა და სახსრებს მოითხოვს. თოველივე ამის დაზოგვა შეიძლება ერის კეთილდღეობას მოხმარდეს!

მაგალითად, გაწყენინა შენმა თანამშრომელმა, მეზობელმა, ამხანაგმა, ანდა არც არაფერი დაგიშავა, პირველად ხედავ მას, მაგრამ რაღაც თვალში არ მოგდის! რა თქმა უნდა, უმალვე შენში მძლავრად აღიძვრება სურვილი მისი „ჭკუაზე მოყვანისა“ – დაცინვის, გალახვის, მიწასთან გასწორების, სულაც მოსპობისა! ახლა მეოცე საუკუნის ბოლოა. რაინდობის დრო წასულია და ამას მკლავის სიძლიერით ვერ მიაღწევ! საჭიროა იარაღი – დანა, სატევარი, რევოლვერი, ავტომატი, ბომბი!.. მართალია, ესენი მაინცდამაინც ძნელი საშოვარი არ არის, მაგ-რამ საკმაოდ ძვირია!

კარგი, ყველაფერი ეს მოაგვარე, გულის საწადელს მიაღწიე და ეს შენი მოწინააღმდეგე თუ მოყვასი იმქვეყნად გაისტუმრე, ყველა შემთხვევაში, ვინც უნდა იყო შენ, თავს საფრთხეში იგდებ! თუ ათიდან არა, ოციდან ერთი შემთხვევა ხომ მაინც არის დანაშაულის გამოელენისა და დაპატიმრებისა? კარგი, არ დაგხვრეტენ, ისიც ხომ ხდება, 10–15 წელს უსჯიან და მთელი ორი წლის განმავლობაში თავს პატიმრო-

ბას ვერ აღწევენ! ერთი წელიც რომ მოგისაჯონ და გაზეთში დაწერონ, ღირსეულად დაისაჯაო, განა სასჯელი არ არის?

ჰოდა, ყველა ამ ხარჯისა და საშიშროებისაგან გაგათავისუფლებთ ჩემი კოოპერატივი! მოხვალთ ჩვენთან, მოიყვანთ ბატკანს ან მამალ ინდაურს (ზოგჯერ ყვინჩალაც საკმარისი იქნება, უკიდურეს შემთხვევაში – შემწვარი გოჭიც), გადაიხდით 30-დან 50 მანეთამდე. Iმისდა მიხედვით, რამდენად წონიანი კაცის წინააღმდეგ იბრძვით, ანდა რა ზომის დასახიჩრებას ითხოვთ (აქვე შევნიშნავთ: ისიც სათქმელია, ეს ბატკნები, ინდაურები, გოჭები და ყვინჩილები მნიშვნელოვანწილად აამაღლებს ჩვენს მძიმე სასურსათო მდგომარეობას!).

მეყოლება უმაღლესი დონის მაწყევარი თანამშრომლები, აი, ისეთები, ნოდარ დუმბაძის პერსონაჟი, ოლღა ბებია რომ იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ, თუ ოლღა ბებიამ ერთხელ ზურიკელას გაუმჟღავნა, მე რომ გწყევლი, ბებია, ჩემი ძუძუები გლოცავენო, – ჩვენთან ეს შემარბილებელი საშუალებანი თავიდანვე გამორიცხული და სხვა შესაბამისი ორგანოებით გამკაცრებული იქნება!

რასაკვირველია, გვეყოლება დიპლომიანი ექსტრასენსები (ამ დიპლომის აღება უსაშველოდ ძვირი არ ჯდება. თუ ფასი არ მომატებია, 500 მანეთი ყოფნის!). გამოვიყენებთ ბალახებს, ხსნარებს, მალამოებს, მაგრამ ძირითად სამკურნალო იარაღად მაინც წყევლა დარჩება!

რაც შეეხება ფსიქოენერგეტიკულ ველს, გამტარებს, კოდებს, ჩუმაკისა და სხვათა მეთოდებს, ფიზიკის ცოდნა სულაც არაა საჭირო, ისედაც მისახვედრია, ესენი თავისთავად წარმოიქმნება და თავზე საყრელად იქნება!

მგონი, ბევრი მტკიცება საჭირო არაა, ეს მეთოდი რამდენად მშვიდობიანად, უნივერსალურად, უხიფათოდ, ინტელექტურად მოაწესრიგებს ჩვენს გამოფხიზლებულ ეროვნულ სიძლიერეს – ერთმანეთის შეჭმასა და ხოცვას!

განა ის ცოტაა, მე, კოოპერატივის თავმჯდომარე, და ჩემი მაწყევარი (ჯვარი მწერია!) თანამშრომლები ქართველები რომ ვართ და კაი გვარიან თანხას გამოვკრავთ ხელს? განა მტკიცება უნდა იმას, რომ, რამდენადაც მდიდარია თითოეული მოქალაქე, იმდენად მდიდარი და ძლიერია ერიც?! მოდი ახლა და, ნუ დავწვრილმანდებით და ნუ ვილაპარაკებთ ფულის შოვ-

ნის გზების მეცნიერულ და მორალურ მხარეებზე! მთავარი ისაა, კლიენტები და ჩვენც კმაყოფილი ვიქნებით და, თუ ჩვენ მოვრიგდებით, სხვას ამ საქმესთან რა ხელი აქვს?!

ახლა ყველაფერი რეკლამაზეა დამოკიდებული! დიდი იმედები გვაქვს ინტელიგენციის, განსაკუთრებით, ჟურნალისტებისა! ყველაფერი მათ აქტიურობასა და დამაჯერებელ ტონზეა დამოკიდებული!

გთხოვთ, გვეწვიოთ ჩვენს გამაჯანმრთელებელ წყევლის კოოპერატივში! იჩქრეთ, იჩქარეთ, მოწინააღმდეგემ არ დაგასწროთ მოსვლა!

1990 წ.

აი, გონება და გამოგონება!

უნდა გამოვტყდე, ეჭვიანი კაცი ვარ და, როცა ქართველმა პროფესიონალმა პატრიოტებმა (ბოლო წლებში ასე ვარსკვლავთცვენად და წარმმართველ ძალად რომ მოგვევლინენ) საქართველოს ბედნიერი მომავლის განსაზღვრისას საოცარი ნიჭიერებითა და ოსტატობით გვერდი აუქციეს იმ ეკონომიკურ სისულელეს, რომ საქართველო თავის მოთხოვნილებას მარცვლეულზე მხოლოდ 6 პროცენტით, ხოლო ენერგორესურსებზე 18 პროცენტით იკმაყოფილებს, დანარჩენი საშოვარ-საყიდელ-სამათხოვროა, და აღთქმული სამოთხის ძიებისას მინერალურ და მტკნარ წყლებთან ერთად გეზი მეორე ბუნებრივ მადანზე – ქართველი კაცის იშვიათ ინტელექტზე – აიღეს, ვიმეორებ, ეჭვიანი კაცი ვარ და ყოველივე ამას ალმაცერად ვუყურებდი. თურმე, ვცდებოდი და მერე როგორ ვცდებოდი! ჩემს ამ უმეცრებაზე უმალ თვალი ამეხილა, როცა ახლახან თბილისის ვაგზალზე ქართული ნიჭის, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, ბიზნესმენობის უიშვიათეს მიღწევას გავეცანი, **– ცნობათა ბიურო ფასიანი გამხდარა!**

დიახ, **ფასიანი**! ამას გვაუწყებს სარკმელთან გამოკრული, გაკრული, მაგრამ ადვილად გასაგები ხელით ნაწერი პატარა ქაღალდი. იქვეა სადგურის უფროსის ზ. კაპანაძის ბრძანების გადაბეჭდილი ტექსტიც: *„რკინიგზის ტრანსპორტზე მგზავრთა ნაკადის შემცირებასთან დაკავშირებით და, აქედან გამომდინარე, სამგზავრო სადგურის საფინანსო და მუშა-*

მომსახურეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ებრძანებ: ... 2. ცნობათა ბიუროს მომსახურებისათვის (!) დაწესდეს გადასახადი 5 000 კუპონის ოდენობით".

ხუთი ათასი კუპონი, 6–7 კგ. პურის ფასი, დასაწყისისთვის ცუდი არ არის. ბრავო, შესანიშნავი მოტივირებაა! დასაბუთება და მშრომელებზე ზრუნვა სწორედ ამას ჰქვია!

ყველა დამეთანხმება, გონებამახვილობისა და სარგებლიანობის მიხედვით, ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების" რუსი ოფიცრის მიერ ბუზის გამოყენების გენიალური მიგნება ამ გამოგონების წინაშე ფერს კარგავს კი არა, სულაც არაფერია! მაგრამ, ვაითუ, მგზავრთა ნაკადი კიდევ მეტად შემცირდეს და მათთვის ორი ხელბარგიდან ერთის ჩამორთმევა გახდეს საჭირო!

უვიც ხალხს რა გამოლევს და შეიძლება ვინმემ იკითხოს, რა ცნობათა ბიუროა ასეთი, ფულს რომ თხოულობსო. რასაკვირველია, რკინიგზის სადგურის ცნობათა ბიურო ახლა, ივლისში, ვერ გეტყვის მარტისთვის, დაპირებულ პურის ფქვილს როდის დაგვირიგებენ ან მაის-ივნისის ხელფასი და პენსია როდის იქნება, მაგრამ შეკვეცილი და დაპატარავებული საქართველოს მატარებლის მიმოსვლის განრიგისა და ტარიფებზე ზოგიერთი ცნობის მოწოდება ნამდვილად შეუძლია. ვამბობთ, შეუძლიაო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ყოველთვის ზუსტი პასუხი მოვთხოვოთ. მაგალითად, არავითარი აზრი არა აქვს მგზავრობის ღირებულების კითხვას. რად გინდა ცოდნა, სალაროში ოფიციალური ფასით ბილეთს მაინც ვერ იშოვი. აქ საუბარი არ ეხება ბილეთების შეკვეთისა და წინასწარი აღების საფასურს. იგი წასვლის დღეს ნაყიდ ბილეთებშიც ყოველთვის მტკიცედ ზის! მხედველობაში გვაქვს ბილეთების ე. წ. სახელშეკრულებო ფასები (როგორც ახლა მოდაშია და ჯერჯერობით წიგნებს აწერენ): მოლარეს რა თანხაზეც მოურიგდები, იმას გადაიხდი. რაც შეეხება მატარებელთა წასვლასა და ჩამოსვლას, საერთოდ და მის განრიგს კერძოდ, ცნობათა ბიუროს ამაზე, თუ ზუსტი არა, მიახლოებითი პასუხი ყოველთვის აქვს. მაგალითად, ესა თუ ის მატარებელი დღეს გავა თუ არა, შუადღემდე შეიძლება ვერ გითხრას, მაგრამ ნაშუადღევს ნამდვილად გეტყვის. ასევე: რომელ საათზე გავა, დანამდვილებით მან კი არა, მამაზეციერმაც არ იცის, მაგრამ,

რომელზეა დაგეგმილი, საღამოს პირას აუცილებლად გაცნობებს.

და მერე, ეს პატარა საქმეა?!

თუ ძველ, დრომოჭმულ დროს გნებავთ დაუბრუნდეთ, მატარებელთა მიმოსვლის გრაფიკი და ტარიფები ქართულ და რუსულ ენებზე შავ დაფაზე თეთრი დიდი ასოებით რომ ეწერა ან ელექტროტაბლო გიჩვენებდათ, რა ბილეთები იყიდებოდა, მატარებლები რომელ ლიანდაგზე ჩამოდგებოდა ან კიდევ ავტომატური ტაბლო სხვა სადგურების ცნობებს იძლეოდა, – ტყუილა ელით, არაფერი გამოგივათ!

ხო დაინახე, შე კაცო, არც ერთმა ამან არ გაამართლა!

ჩემი თვალით ვნახე, ერთი დედაკაცი როგორ იწყევლებოდა და შენც ახლა ადგები და დაიწყებ ყვირილსა და ჩივილს, ყოველმხრივ სისხლს გვწოვენო. არ იქნები მართალი. ეს შენი ფული გადამთიელს ხომ არ მიაქვს, შენს სისხლსა და ხორცს დარჩება. ხომ იცი, რამდენი და რამდენადაც მდიდარი ადამიანი ჰყავს ერს, იგი იმდენად მდიდარი და ძლიერია! გავა დრო, სრულყოფილ ცივილიზებულ საზოგადოებას შევქმნით და შენი ხელშეწყობით გამდიდრებული თანამემამულე შენ არა, მაგრამ შენს შთამომავლებს უთუოდ მიხედავს!

თუ დამიჯერებ, ასეა. ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდე, საჩივრით შენც იმას მიიღებ, რაც ამას წინათ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა მიიღო, – რა თქმა უნდა, წყენა! როცა საქართველოს რკინიგზამ ხელის ერთი დაკვრით ბილეთების ფასი 3 ათასი კუპონიდან ერთბაშად 300 ათას კუპონამდე გაზარდა, შიმშილით გონებამისუსტებულ პროფესორთა და დოცენტთა ერთი ჯგუფი გაბრიყვდა და სულ ზევით, მთავრობის პირველ კაცებს თხოვნა გაუგზავნა, გეიშველეთ რამე და ისე მოგვიხერხეთ, ჩვენი ერთი თეის ხელფასით ლანჩხუთამდე მგზავრობა შევძლოთო. როცა პასუხი **რკინიგზის მესვეურისგან** მიიღეს (ცხადია, დასაბუთებული უარი!), მთავრობის კაცთა ყურადღებით გულაჩუყებულ მეცნიერებს თვალზე ცრემლი მოადგათ და გულწრფელად შეუხდნენ: უცხოელების უამრავი მიღებებითა და მასპინძლობით გართულ ჩვენს საფიცარ მოღვაწეებს ჩვენი განცხადების გაცნობასა და რკინიგზაში გადაგზავნისათვის დრო როგორ დავაკარგვინეთო.

არც ის გარემოებაა გასაზვიადებელი, რომ ამ საცნობარო სამსახურის შესახებ ჯერჯერობით ყველაფერი არ ვიცით და, შეიძლება, ზოგი რამ გზადაგზა დასამუშავებელ-დასახვეწი იქნეს. მაგალითად, არ ვიცით, 5000 კუპონი ერთი ცნობა ღირს თუ ორი ან სამი. ალბათ, ერთი ეღირება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სპეკულაციის წყარო გახდება. ღოგორ? სულ უბრალოდ: მე მაინტერესებს ქუთაისის მატარებელი, შენ – ბათუმისა. მე თუ ცნობათა ბიუროსაგან ორივეზე მივიღებ პასუხს, რა შემიშლის ხელს, ერთი შენ მოგყიდო, თუნდაც იაფად?!

აქ უთუოდ საჭიროა ამ გამოგონების ავტორმა (თუ ავტორებმა) რაღაც დამცავი მექანიზმები შეიმუშაონ, თორემ, როგორც ეს სამგზავრო ბილეთებზე ხდება, ქორვაჭართა ხელში მან შეიძლება ასტრონომიულ ფასებს მიაღწიოს.

ისე კი, შემოსავალი რომ მეტი იყოს, რკინიგზის ცნობათა ბიუროების ტარიფები აუცილებლად უნდა გაიზარდოს. გარეუბნის მატარებელთა ცნობებზე, ერთხანს მაინც, შეიძლება კუპონი დარჩეს, მაგრამ უფრო შორს მიმავალ მატარებლებზე, თუ კუპონი მართლაც გვსურს გავამაგროთ, უთუოდ საჭიროა, რუსული რუბლები და ამერიკული დოლარები მოვითხოვოთ.

დამეთანხმებით, ფასიანი უნდა გახდეს აგრეთვე რკინიგზის სატელეფონო ცნობათა ბიუროც (ვთქვათ, ტალონების წინასწარი გაყიდვის გზით), თორემ ეს ჩვენი ვაგზლების ბიუროები სულ მალე გაკოტრდებიან.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ხელთა გვაქვს საუკუნო გამოგონება და მას ათვალწუნებით ცქერა და ჩივილი კი არა, გულში ჩახუტება უნდა.

ჩემი ღრმა რწმენით, განეითარებული ქვეყნები ამ გამოგონებას კისრისტეხით შეისყიდიან და ჩვენი ეკონომიკა წელში გაიმართება. თუ ღმერთი გაგვიწყრება და ეს საუცხოო გამოგონება უცხოური აღმოჩნდება, როგორც ფასიანი საპირფარეშოების შემოღება, გულის გატეხა მაინც არ გვმართებს. დაილოცოს რომის იმპერატორი ვესპასიანე – მან აღმოაჩინა, რომ საპირფარეშოებში აღებულ ფულს სუნი არ უდის. ჩვენ ახლა, რამდენიმე თვეა, შევძელით, გეზი აგვეღო წინ – რო-

მისაკენ! რაკი ფასიან საპირფარეშოებს გემო გავუგეთ, უეჭველია, სხვა გაფასიანების შემთხვევებშიაც ასე იქნება!

1994 წ.

გაუმარჯოს სიღატაკეს – მეცნიერების წინსვლის საფუძველს!

„ღირდა თუ არა სხვა სიცოცხლეზე
ოცნება ჩუმი და ფერმიხდილი?
მე გზა არ ვიცი უახლოესი –
ერთდერთი გზა არის სიკვდილი“.
(გალაკტიონი, „მას გახელილი დარჩა თვალები“)

ჭეშმარიტებაა, დიდი თუ მცირე მეცნიერული და ტექნიკური აღმოჩენა-გამოგონება სიღარიბისა და გაჭირვების შედეგია. ადამიანს გაუჭირდა ფეხით სიარული და ჯერ ცხენზე შეჯდა, შემდეგ ველოსიპედი და ავტომობილი გამოიგონა. ასევე მიედით თვითმფრინავამდე. კი, გარკვეული წვლილი ამაში ფრინველებსაც მიუძღვით (ადამიანს შეეხარბა მათი ნავარდი), მაგრამ ძირითადი მაინც გაჭირვება იყო: ცუდმა გზებმა და ავტოინსპექტორთა თვითნებობამ ადამიანი აიძულა ზეცაში ეძებნა სავალი, ანუ გამოსავალი.

აი, ამ მარტივი ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, დღეს, როდესაც „დეპოდან“ გამოვედით, მაგრამ არ ვიცით, ვის ტრაქტირში შევყოთ თავი, სრულიადაც არ არის საგანგაშო (პირიქით, მისასალმებელია), რომ ჩვენი ინტელიგენცია, კერძოდ, მეცნიერები, სიღარიბის ზღვარს გასცდნენ და სიღატაკის გზაზე ვაჟკაცურად მილასლასებენ. თუმცა ამ დიად გზას ზოგმა ვერ გაუძლო და შიმშილით დაეცა, მაგრამ იმ სანუკვარ ცივილიზაციამდე მისვლისათვის, რასაც საბაზრო ეკონომიკა გვპირდება, ეს არაფერია.

ზოგიერთ სწავლულს ეს ვერ შეუგნია და შიმშილთან ერთად სიშიშვლესა და ათასგვარ ხელმოკლეობას უჩივის: კალამი, ფანქარი, ქაღალდი, წიგნი ვერ შეგვიძენიაო, ნაშრომი ვერ გადაგვიბეჭდვინებიაო... იმასაც კი წუწუნებენ, საკვლევაძიებო საქმიანობისათვის ყველა პირობა მოიშალაო. მაგრამ

ესეც არაფერია. დალოცვილები იმას კი არ აფასებენ, რომ ყველაზე დაცულები არიან, – თუ რაიმე გაუგებრობა არ მოხდა, ქურდი მათ არ ეტანება და ყაჩაღი.

გაგეცინება იმ ფუჭ მითქმა-მოთქმაზე, ერთი მწერლისა და მეცნიერის ერთ რადიოგამოსვლას რომ მოჰყვა. ამ მოღვაწემ, რომელმაც თავს დროულად უშველა, მეცნიერება მიატოვა და ხალხისთვის სამსახური სახელმწიფო მეთაურის მრჩევლობაში პოვა, მორიგი რადიოსაუბრისას თქვა, *მე პატივს ვცემ იმ მეცნიერს, ვინც სავაჭრო ჯიხურში ჩადგებაო.* ზოგი ამაზე აშკარა ირონიით ქირქილებს, ასეთი გენიოსი და სასახელო კაცის პატივისცემას თუკი დავიმსახურებთ, სავაჭრო ჯიხურებში დგომა ნამდვილად ღირსო. მეორენი გამომწვევად შენიშნავენ, ჯიხურში ჯერ თვითონ დადგეს და სხვებს მერე მოუწოდოსო. ოპონენტები არც ამ უკანასკნელთ დაჰკლებიათ, *დამდგარა და მეტი რაღა გინდათო!* – გესლიანად შენიშნავენ ისინი.

ოდი, ახლა ჩვენებურად ერთმანეთს ნუ დავერევით! ჯრთი ცხადია, – სიმართლე ითქვა: ვაჭრობაში მეცნიერთა გადასროლა, როგორც ადრე იტყოდნენ, ნამდვილად დიდებული და ყოველმხრივ მოგებიანი საქმეა. ჯერ ერთი, ეს კუჭგამომხმარი მეცნიერები ცოტაოდენ რუსულ ფულს შეავლებენ ხელს, სამარის კარამდე მისვლის დროს გაიხანგრძლივებენ და უკუბოდ დასაფლავებას გადარჩებიან (სიმღერას „თქვენი კუპონი – ჩვენი კუბონი“ ზოგი ახლა შებრუნებულად აკრიმანჭულებს). თუ ახალ პროფესიაზე გადართვა გაუჭირდებათ და ამდენს ვერ შეძლებენ, იმდენს მაინც მოახერხებენ, საწერ „პასტასა“ და ქაღალდს შეიძენენ. მეორეც: ვაჭრობას გამოაცოცხლებენ. როგორ ფიქრობთ, ქუჩებსა და მოედნებზე „მალბოროთი“ და „სნიკერსებით“ ხელგამოწვდილ 10-12 წლის მოზარდებს ხალხი უფრო ენდობა და საყიდელს მისგან შეიძენს თუ ცნობილი მეცნიერებისაგან?

ოღონდ უნდა შევნიშნოთ, აქ გარკვეული დოზების დაცვა აუცილებელია: რაკი ლუარსაბ თათქარიძის იდეების გამარჯვებას მივაღწიეთ და, როგორც იქნა, ახალგაზრდებს წიგნი ხელიდან გავაგდებინეთ, ახლა ისე არ გამოგვეიდეს, მომავალ თაობას რადარა გზით ნაშოვნი ლუკმა პირიდან მთლიანად გამოვაცალოთ და ბებერ პროფესორებს შევაჭამოთ.

ისე უნდა დავგეგმოთ, მათ 16-17 წლამდე გაზრდა ვაცალოთ, შემდეგ ჩვენი ზრუნვა აღარ დასჭირდებათ,

დიახ, ვაჭრობაში გადასვლა მეცნიერთა ერთ-ერთი, მაგისტრალური, გზათაგანია!

თუ სურთ შიმშილით არ დაიხოცონ, მეცნიერებს შეუძლიათ ისარგებლონ თავიანთი (ზოგიერთს რომ ჰგონია გამორჩეული) ჭკუა-გონებით: ჩამოაყალიბონ პარტიები, როგორც ეს მცირე ნაწილმა გააკეთა. მთავრობაში შეაღწიონ, და ქონების განაწილების მიზნით გაჩაღებულ ხელჩართულ ბრძოლაში თავით გადაეშვან ან შექმნან სხვადასხვაგვარ (ვთქვათ, პოლიტიკური პატიების, თუნდაც გაზეთების) სახელთა გამომგონებელი კოოპერატივები და ფირმები. რაც შეეხება რეპეტიტორობასა და კერძო უმაღლესი სასწავლებლების გახსნას, არ ღირს, – ყველა ამგვარი ჩალიჩი მალე ჩაილურის წყალს დალევს. რატომ? მშობლები და ნათესავები სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. ყური რომ არ ვათხოვოთ ყიამყრალთა ყრანტალს, – *ვაჭარ-სპეკულიანტთა და ქურდ-ყაჩაღთა ქვეყანაში რა სწავლა გინდათ, უნარიანი კაცი საშოვარზე გასულს ერთხელ გაჰყვება და მეტიც არა უნდაო*, სამაგიეროდ უთუოდ ანგარიშგასაწევია მეორეთა მოსაზრება, თუმცა დიდი თავაზიანობით არც ის გამოირჩევა: თავიანთმა დოცენტობა-პროფესორობამ, კანდიდატობა-დოქტორობამ, აკადემიკოსობამ და სხვა მრავალმა ცენზმა ამ მშიერგუდა „მეცნიერ-მუშაკებს“ რა ხეირი დააყარა, მათ მიერ გაცემულმა უმაღლესი განათლების დიპლომმა ჩვენ რომ გვარგოსო.

სწორს ამბობს და მოკალი, თუ გინდა!

თუმცა ეს ასეა, გადარჩენის გზები, როგორცა ვთქვით, ბევრია. სამწუხაროდ და სავალალოდ, საქმე ისეა მოწყობილი, მეცნიერები, როგორც ასეთები, ერთხანს უნდა დარჩნენ. საქმე ის არის, რომ 1941-42 წლებში, გაგანია ომის დროს, როცა გერმანელები კავკასიას გარს ერტყნენ, სტალინმა მაშინ, ცხადია, პროფოკაციულად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დააარსა და ახლა, ეროვნული სულის აღორძინებისა და წარსულის სულმოუთქმელი გინების ჟამს, მისი დახურვა დიდად არა, მაგრამ ოდნავ უხერხული კი იქნება.

ამიტომ იძულებული ვართ, მოთმინებით ვუყუროთ იმ სწავლულთა საკუთარ წვენში წვასა და ხრაკვას, რომლებიც

თავიანთ მოწოდებას ასე ბრმად და სულელური სიჯიუტით ვერ შელევიან.

თუმცა, თუკი ამდენ პენსიონერს ვიტანთ, კუპონები არ გვენანება და პენსიები არ გაგვიუქმებია, განა მეცნიერები რამდენად მეტ კუპონს ღებულობენ, რომ მათ გაძლებამდე, ანუ „თავისი დღით“ სიკვდილამდე, არ ვაცალოთ?

ჰოდა, აკი ვაცლით კიდეც, ეჭრით და ეჭრით ამ კუპონებს და ხელფასებს 4-5 თვეზე მეტად არ ეუგვიანებთ. სამაგიეროდ, შედეგებიც არ აყოვნებს. აი, რამდენიმე უახლესი მიღწევა, რომელიც შოკურ თერაპიას მოჰყვა:

ერთმა ახალგაზრდა ფიზიკოსმა თავისი სამსახურის ახლოს, გაზონებში და უბნის ბიჭების ბურთის სათამაშო მოედანზე, შესანიშნავი სიმინდის ყანა ააბიბინა. ძალ-ღონით სავსე მოწიფულ კაცს დღეში 300 გრამმა პურმა (აქედანაც მაღაზიამ ცოტა რომ „მოუტეხა“) და დაპირებულმა პურის ფქვილმა კუჭი რომ ვერ გამოუძღო, ყანის დამწიფებას ვეღარ დაუცადა, ჭყინტზე ჭყინტი, დაუმდიდრებელი ტაროები მოტეხა, მახვილი დანით მარცვლები ჩამოათალა, ხორცსაკეპავში გაატარა, მოხარშა და სულგუნზე ოცნებით ახალი მოდის ღომი ყლაპაყლუპით შესანსლა. როგორი იყოო, რომ ჰკითხეს, ქართველი კაცის უმადურობით უპასუხა, რა ვიცი, კი ვჭამეოდა!

სიღატაკე და შიმშილი არანაკლებ მიღწევებს ბადებს ჰუმანიტარულ მეცნიერებაშიც. ცნობილია, რომ ერის ისტორია არა იმდენად მიწაში, რამდენადაც ენაშია დამარხული. ახლოვთ, ჩვენმა დიდმა ილიამ ყურადღება მიაქცია ქართულ ენაში „წყალი“ სიტყვის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას, **წყლისადმი** განსაკუთრებულ მოწიწებას: **წყალობაო, საწყალიო, მოწყალეო**... და დასვა საკითხი: ქართველი ერის პირველსაცხოვრისი ისეთი ხომ არ ყოფილა, სადაც *წყალი ჭირდაო*.

ეროვნული თვითმყოფადობისთვის ჩვენმა წარმატებულმა ბრძოლამ ამ ჰიპოთეზას საგრძნობი დამაჯერებლობა შესძინა. ადრე მოედნებზე, რკინიგზის სადგურების წინ და უკან (ზოგან – გვერდითაც), შადრევნები ამოქუხდა, ნანატრი ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მისაღწევად ავმოძრავდით თუ არა, ეს წყლებიც უკვალოდ და უმოწყალოდ გაქრა. მავანი ამაზე რას ამბობს და მავანი – რას. ისინიც,

ვინც ემყარებიან ეროვნულ მოძღვრებას – *საქართველოს მარტო მინერალური და მტკნარი წყლები არჩენსო* – დარწმუნებული გახლავან, ეს ჩვენი სიმდიდრენი საზღვარგარეთ არიან წაბრძანებული, მალე ჩამობრძანდებიან და კაკას მოგვიტანენ.

აბა, ვის შეუძლია ამიხსნას, **საიდან მოდის სიტყვა „ჭა“?** დარწმუნებული ვარ, არც ერთ თქვენგანს.

ენათმეცნიერი არა ვარ, მაგრამ აღნიშნულმა გაჭირვებამ საშუალება მომცა, ეს საიდუმლოება ამომეხსნა. ჭლეულს, ივლისში, თბილისიდან ბათუმის მატარებლით მგზავრობის *მესამე დღეს* ნატანებში ჩავაღწიეთ. გაჩერებიდან ერთი საათის შემდეგ ერთი ჩვენი მგზავრი, ახალგაზრდა კაცი, ახლანდელი ბიზნესმენური მიხრა-მოხრა რომ ჰქონდა, თავის სამ გოგონასთან გაბრწყინებული სახით დაბრუნდა და თურქული ზეთის პლასტმასის ბოთლით წყალი მოიტანა. გოგონები ჟივილ-ხივილით ეცნენ და ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ წყალს. სული რომ მოითქვეს, ჭურჭელს გახედეს და აბუზღუნდნენ, *მამა, ეს რა წყალი მოგვიტანე, შლამის გემო აქვსო.*

– რას ამბობთ, შვილებო, ჭის წყალია! იცით, რა ჭყლეტა-გლეჯაში მაქეს აღებული?! – გაცხარდა მამა.

ბავშვები რას გაუგებდნენ, მე კი ამ გზაზე წელიწადში რამდენჯერმე მიხდება მგზავრობა და ყველაფერს მივხედი, უწყლობით გაწამებულმა მგზავრებმა აქვე, სადგურთან, ერთ ოჯახში ჭას მიაგნეს. პატრონს ვინ დაეკითხა, ზედ დაეხვივნენ. რა ჭა აუვიდოდა .ამდენ აქეთ-იქით მიმსვლელ-მომსვლელ ბათუმისა და ოზურგეთის მატარებლებს.

– მამა, შეხედე, ჭიებია შიგ!– არ ცხრებოდა უფროსი ქალიშვილი.

– ჭია იქნება, აბა რა? ჭის წყალი იმიტომ ჰქვია, ჭია უნდა იყოს, – ეს უკვე მე ვიყავი.

ევრიკა! ეს ხომ აღმოჩენაა! დიახ, „ჭის წყალი“ აუცილებლად **ჭიის წყალსა** ნიშნავს.

მაგრამ ყველა აღმოჩენას, მათ შორის ენათმეცნიერულსაც, მაშინ აქვს ფასი, თუ იგი ცხოვრებაში გამოიყენება.

ასეთ აღმოჩენაზეც მოგახსენებთ: მინერალურ წყლებთან ერთად გაქრა ჭიქებიც, ადრე 10, 20 და 30 კაპიკად რომ ეყარა. არა, ჯიხურებში როგორი და რამდენიც გინდა, იმდენია, მა-

გრამ ვერც ერთი ხელფასი მათ ვერ შესწვდება. Iქნებ, გვიშველოს ეტიმოლოგიამ!

რას ნიშნავს **ჭიქა?**

სულ ძველად, ცხადია, მინის, მეტადრე ბროლის, ჭიქები არ იქნებოდა. არქეოლოგიური გათხრებით ვეცნობით, მაშინ ჩაი არ იყო და ღვინოს ჩვენი წინაპრები დიდი რქით, ანუ ყანწებით, მიირთმევდნენ, არაყს – პატარა რქით, ანუ...?

რა ერქვა ამ პატარა ყანწს, **ჭიქის** წინაპარს?

ცნობილია, ზოგი საერთო ქართველური სიტყვა თანამედროვე ქართულს არ შემორჩა და იგი ქართველურმა ენებმა – მეგრულმა ან სვანურმა – შემოგვინახეს. ასეთია სიტყვა „ჭიჭე“, რომელიც მეგრულში ფართოდ იხმარება და ნიშნავს *პატარას*. ყველას მოგისმენიათ ცოცხალი მეგრული სიმღერა „ჭიჭე ტურა“. აღნიშნული სიტყვა დასტურდება აგრეთვე გურულსა და ქვემო იმერულ დიალექტებში. პატარა ბაყაყს აქ „ყვაჭიჭას“ ან „ღვაჭიჭას“ ეძახიან. ძველ ქართულ'ში ბაყაყს „მყვარი“ ერქვა. **ყვაჭიჭა,** ცხადია **მყვარჭიჭედან** მოდის. აქედან განვითარდა **ღვაჭიჭა.** აი, ეს **ჭიჭე** სიტყვა უნდა იყოს შემორჩენილი **ჭიქა** სიტყვაშიც. თუმცა გიორგი როგავამ დაბეჭდვა მომასწრო, ამ დროებამ დაადასტურა აკვანში წოლისას რომ გავარკვიე: თავიდან იყო **ჭიჭე რქა** და მისი ჩქარ-ჩქარი ხმარებისა და გამოთქმის შედეგად მივიღეთ მისი შეკუმშული ფორმა – **ჭიქა.**

რაკი ჭიქა პატარა რქა ყოფილა, თუ გვსურს ჩვენს ძველისძველ სუფთა ქართველობას დავუბრუნდეთ, შევეშვათ მამაპაპური თეთრი და ფერადი მინა-ბროლის ჭიქებისათვის თავის ხოცვას და დავუბრუნდეთ სახელოვან პაპისპაპურ **ჭიჭე რქას...** დიდ და პატარა რქოსნებს რა გამოლევს და მისი შოვნა არ გაგვიჭირდება.

ბუნებრივია, სინანული გვიპყრობს იმის გამო, რომ დღეს ცოცხლები აღარ არიან ჩვენი გიგანტი მეცნიერები: ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ივანე ბერიტაშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე და სხვები და სხვები. თუმცა ცხოვრებაში მათაც ბევრი გაჭირვება ნახეს და გადაიტანეს (სხვაგვარად არც ექნებოდათ ის მიღწევები!), მაგრამ დღევანდელ ჩვენს ყოფას რომ მოსწრებოდნენ, მიღწევები, აი, მაშინ გენახათ!

ყველა ასპექტს აქ ვერ შევეხები, მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: განა ცოტას მოგვცემენ თავად მეცნიერები, როგორც კვლევის ობიექტები? ჩვენ ვიცით, რამდენ ხანს ძლებს მშიერი ან მწყურვალი ადამიანი, მაგრამ აქამდე არავის გამოუკვლევია, შოკური თერაპიის დროს დაშოკვიდან გაფშეკამდე როგორ მოქმედებს სამეცნიერო ხარისხი. ამის დადგენას კი დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, გვეცოდინება, თუ თავს არ უშველის და ჯიხურებში არ წავა, ეს მძიმე ბარგი, მეცნიერება რომ ჰქვია, ქვეყანას და ხელისუფლებას ზურგით სათრევად სანამდე ექნება.

და ბოლოს, ვინც უნდა ბევრი იძახოს, – რის მეცნიერება, რა მეცნიერება, წადი, სიმონ, თავს უშველეო! – მე მაინც იმათ მხარეს ვარ, ვინც ქართველური ომახიანობით შესძახებს: *გაუმარჯოს სილატაკეს – მეცნიერების, პროგრესის საფუძველს!*

1994 წ.

საამაყო აქცია

დღეს არ დარჩენილა მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის წამყვანი საინფორმაციო საშუალება, რომელსაც, როგორც სენსაციური მოვლენა, არ გადაეცეს ცნობა იმის შესახებ, რომ გუშინ ადრე დილით გურიაში, ზემო **წიწმატგორაში**, სოფლის ადმინისტრაციული სასახლის პირველ სართულზე სარატოვის გამოშვებულ „ლეჟანკაზე“ უვადო შიმშილობისათვის წამოწვა ამ სოფლის მკვიდრი, ადგილობრივი ჩაის მიმღები პუნქტის მწონავი **ბუჭუნა თავრიკაძე**.

ბატონი ბუჭუნა, რომელიც ახლახან 30 წლისა შესრულდა, კერძო ფასიანი უმაღლესი სასწავლებლის, ქვემოწიწმატგორას სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მეორე კურსის სტუდენტია და ფართო პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევა: თავმჯდომარეობს მის მიერვე დაარსებულ გურიის ნაციონალურ-დემოკრატიულ-მონარქისტულ პარტიას – „**გაშპი-გავარდის**“. ეს პარტია გურიის სამთავროს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და გურიელთა დინასტიის აღდგენისათვის დაუცხრომლად იბრძვის. მაგრამ ამჯერად (და სენსაციურიც

ეს არის!) შიმშილობის ამ აქტს პოლიტიკური მიზნები არ დაუსახავს.

ბატონი ბუჭუნა წინა დღეს მაყრად ახლდა თავის მეზობელსა და თანაკლასელ **ჰამლეტა ბუღარაძეს**. როცა მან ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო სამლიტრიანი ჯიხვის ყანწით დალია და ახალჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი მხურვალედ ჩაკოცნა, ადგილზე დაბრუნებისას ყველას გასაგონად ხმამაღლა განაცხადა: პატარძალი **ფაჩუ ბაჩუნია** მომეწონა და იგი ჩემი უნდა გახდესო!

მაშინ მაყრებმა და წვეულებმაც ყველაფერი ღვინოს დააბრალეს და იგი არა თუ ჩაქოლეს, სასიყვარულო ღიმილითაც დააჯილდოვეს. მაგრამ მეორე დღეს „პახმელიაზე გამოსვლა“ რომ არ ინება და ხსენებული მოთხოვნით უვადო შიმშილობა გამოაცხადა, არც ფსიქიატრი იყო საჭირო, არც ნევროპათოლოგი და კარდიოლოგი, ყველასათვის ცხადი გახდა: ჯან-ღონითა და ენერგიით აღსავსე ბუჭუნას ღვინო კი არ ავარდნოდა თავში, არამედ, პირიქით, სიყვარული ჩავარდნოდა გულში.

ამ ამბავმა პირველად მთელი სოფელი აღაშფოთა. ზემო და ქვემო წიწმატგორელები კითხულობდნენ: საიდან, როგორ, რომელ კანონში წერია ამგვარი რამო?

ბუჭუნამ მისთვის დამახასიათებელი შეუვალი ლოგიკით აუხსნა ხალხს, რომ სულისშემხუთველი ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ქართველმა ხალხმა დავკარგეთ როგორც ეროვნული, ისე წმინდა პიროვნულ-ადამიანური თავისუფლების გრძნობა და 70 წლის განმავლობაში იძულებული ვიყავით, უსაზღვრო და მრავალფეროვანი ამქვეყნიური სიამოვნებანი, საკუთარი ნება-სურვილები და მისწრაფებანი, ურომლისოდაც ცხოვრებას სრულფასოვანი სიტკბო არა აქვს, ბარბაროსულად მოგვეკლო და დაუნდობლად ჩაგვეკლა სულსა და გულში. ჩვენი ვალია, აღვიდგინოთ ის შინაგანი და გარეგანი შეუზღუდველი თავისუფლება, რომელიც ქართველ ერს უძველეს ხანაში, ტყეში, ლაღი ბუნების წიაღში, ცხოვრებისას გვქონდაო. კანონზე, იურიდიულ გაფორმებაზე, კი ვიტყვი: ამას დიდი ამბავი არ უნდა, მისთვის ცალკე შიმშილობას გამოვაცხადებთ და პარლამენტს ვაიძულებთ, თუ ერთი წაკითხვით არა, 30 წაკითხვის შემდეგ მაინც მიიღოსო.

– თქვენი გამკვირვებია, ბატონებო, – დაასკვნიდა ბატონი ბუჭუნა, – რა დიდი ფილოსოფია და მსჯელობა უნდა იმას, რომ ქალი მას უნდა ეკუთვნოდეს, ვისაც მეტად მოსწონს და უყვარს იგი. მე გუმანით ვატყობ და ეჭვი არ მეპარება, ფაჩუ ბაჩუნია მე უფრო მომწონს და მიყვარს, ვიდრე ბატონ ჰამლეტასო.

ამ ახსნა-განმარტებით თვალახელილი თანასოფლელები ერთბაშად და უკლებლივ ბუჭუნა თავრიკაძის მხარეზე გადავიდნენ, მხურვალე თანაგრძნობა და თანადგომა გამოუცხადეს და, ასეთი ბიჭი შიმშილით არ დაგვეღუპოსო, ვისაც რა შეეძლო, დაუყოვნებლივ და დაუნანებლივ მისკენ მიარბენინებდა. ვის საცივი და ღომი მიჰქონდა, ვის – კვერცხმოვლებული, სავსე მთვარის მსგავსი დიდი კეცის ხაჭაპურები, ვის – შემწვარი გოჭი და მრგვლად მოხარშული, შესუნელებული დედლები და ვის კიდევ – რა და რა (ეჰ, ჩემო მშობლიურო მშრომელო დამშეულო ხალხო, ამ მენიუს წაკითხვას გაუძლებ ახლა შენ?!).

ბუჭუნა მადლობით ხვდებოდა თანასოფლელებს და ღიმილით უხსნიდა მათ, რომ შიმშილობის აქციის დროს ასე ძვირფასი საჭმელი კი არა, უბრალო შეჭამადის მირთმევის უფლებაც არა აქვს, მით უფრო, ასე აშკარად და სხვების დასანახავად. ამ უარით შეშფოთებული ხალხის დაშოშმინება ბუჭუნას ერთმა მეგობარმა სცადა:

– ნუ გეშინიათ, მეზობლებო, – ხმამაღლა და უშიშრად ამბობდა იგი, – იმ ქორწილში მეც ვიყავი და ისე მაგრად შევუბერეთ, ჩვენს ბუჭუნას კიდევ ორი დღე რომ ხემსიც არ ჩაუვიდეს პირში, არაფერი უჭირსო.

წიწმატგორელები ჭკვიანი ხალხია და კარგად მოეხსენებათ, ერთი გაძღომით შორს ვერავინ წავა. მათ ცოტა ის აიმედებთ, ბატონი ბუჭუნა იმ ძალის კაცია, ქვიდან რომ რბილი გამოაქვს. ჩაის პუნქტის მწონავად გასვლა მოახერხა თუ არა, ორ თვეში „უიგულს“ მოაჯდა, თვე-ნახევარში „ვოლგაზე“ გადაინაცვლა. აბა, ოდა-სახლის გადიდება, დიდებულად ჩაცმა-დახურვა და „გზებზე სუფრის გადაფენა“ რა სახსენებელია!

– როგორ დავიჯერო, ეს გენიოსი ბიჭი ისე გაბრიყვდეს, თავი შიმშილით მოიკლასო! – ერთმანეთს ჩუმ-ჩუმად ამხნევებენ წიწმატგორელები.

ასე კი ამბობენ, მაგრამ გული უსკდებათ, ბატონმა ბუჭუნამ პროტესტის ისე მრისხანე სახეობას არ მიმართოს, როგორიც პირის ამოკერვაა. არადა, მის ირგვლივ შეკრებილი გოგო-ბიჭები ამაზე უკვე ხმამაღლა მსჯელობენ და უფრო შორსაც მიდიან: არჩევენ, კიდევ რისი ამოკერვა შეიძლება.

სხვათა შორის, შესასწავლია, პირის ამოკერვის საპროტესტო აქტის ეს უნიკალური სახეობა ჩვენების მიგნებულია, თუ საზღვარგარეთიდანაა შემოპარებული. თუ ჩვენების გამოგონებაა, შეუძლებელია, განვითარებულ, ინტელექტურ ქვეყანაში მას მოწონება და წარმატება არ ერგოს. ჰოდა, ეს კი ქართული ინტელექტის ერთი იმ მიღწევათაგანი იქნება, რომელმაც ფულზე გაყიდვისა თუ ბარტერული წესით გაცვლის შედეგად ნავარაუდევი და დაგეგმილი დოლარები უნდა მოუტანოს გაფიცვების მეოხებით აღმავლობის გზაზე მდგარ საქართველოს რესპუბლიკას.

ფრთხილ და თადარიგიან კაცს რა გამოლევს და ზემოწიწმატგორაშიაც გამოჩნდნენ ასეთები, რომლებმაც თქვეს: ბუჭუნა რომ ცამდე მართალია, ცხადზე ცხადია, მაგრამ, თუ დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება გვინდა, მთლად მართალი არ ვიქნებით, პატარძალსაც არ ვკითხოთ, რას ფიქრობსო.

საგანგებოდ გამოყოფილ დელეგაციას ფაჩუ ბაჩუნიამ ჩათეთქვილი სახით, მაგრამ საღი გონებით უპასუხა: გადაჭრით ახლა ვერაფერს მოგახსენებთ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დედამთილს როგორ შევეწყობიო.

ამის შემდეგ ისე მოხდა, ჰამლეტასაც ჰკითხეს აზრი. დაბეჯითებით ვერც მან თქვა რამე. – ცოტა მადროვეთო, – განაცხადა. ბოლოს კი თანაგრძნობის ღიმილით დაუმატა: თუ უკეთეს საცოლეს გამომინახავთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო.

საქმეში ჩახედულ ხალხს მოეხსენება, ბატონი ჰამლეტა ასე კი ამბობს, მაგრამ გადამთიელს დაუთმობს თავის ცოლს და არაეითარ შემთხვევაში – ბუჭუნა თავრიკაძეს. საქმე ის გახლავთ, რომ ჰამლეტა ბუღარაძე აჭარა-გურიის მეგობრობის

საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტია და კატეგორიული მოწინააღმდეგე გურიის დამოუკიდებლობისა, რისთვისაც, როგორც მოგახსენეთ, ბუჭუნა თავრიკაძე თავგამოდებით იბრძვის. გურიის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ბატონი ჰამლეტასათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა. იგი კვირაში ორჯერ ბათუმში ჩადის, 100—100 რუბლად თითო „პაჭკა“ სიგარეტ „პრიმას“ ყიდულობს და შემდეგ ზემო და ქვემო წიწმატგორაში 200-200 რუბლად ჰყიდის. გურიის დამოუკიდებლობის შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, ეს სარჩო მოეშლება და შიმშილით მოკვდება. ამიტომაა, ბუჭუნა თავრიკაძის მიმართ მას ბიოლოგიური ზიზღი აქვს, თუმცა ამას არათუ ამჟღავნებს, საგულდაგულოდ და ოსტატურად ნიღბავს, იმდენად ოსტატურად, რომ იგი ქორწილშიაც დაჰპატიჟა და მაყრადაც წაიყვანა.

ითვალისწინებენ რა ამ გარემოებას, წიწმატგორელები ატყობენ: აღნიშნული საქმის მოგვარებას ბატონი ბუჭუნას შიმშილობის აქტი არ ეყოფა, და იმაზე მსჯელობენ, კიდევ რა დამატებითი ღონისძიებები გაატარონ. წამოყენებულ იქნა წინადადება: ქუთაისში, გორში, თბილისში, თელავსა და კიდევ რამდენიმე ქალაქში ჩაატარონ მიტინგები, მოაწყონ მჯდომარე, აქა-იქ თავდაყირა მდგომარე აქციები, საქართველოს საკვანძო ადგილებში გადაკეტონ რკინიგზა და საავტომობილო მაგისტრალები.

ოღონდ არის ერთი „მაგრამ“, რაც ამ ფართომასშტაბიანი საპროტესტო ღონისძიებების განხორციელებას ხელს უშლის: საჭიროა ბევრი ხალხი, — გურულები ამას არ ეყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ მცირე დრო ჰქონდა, ბატონმა ბუჭუნამ ამაზეც იფიქრა და დახმარებისათვის ფარულად სამეგრელოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობის პარტიის *„ჩქიმ ჯარგვალის“* ლიდერს **ჩაგუ კვაწარახიას** მიმართა. ის ამ შემთხვევაში იმედს იმაზე ამყარებს, რომ, თუმცა ფაჩუ დედით გურულია და გურიაში დაბადებული და აღზრდილი, მაგრამ სამაგიეროდ მამამისი გურიაში ჩამოსიძებული სუფთა სისხლის მეგრელია. ბატონი ჩაგუ კი მშობლიური ქვეყნის და ხალხის უდიდესი პატრიოტია. მას საკუთარი ძალისხმევით აგორებულ მიტინგებზე ხშირად უყვარს პოეტური სტრიქონის (რა თქმა უნდა, მეგრულად) გამეორება: „ჩემში წვეთიც არ

არის სისხლი არა მეგრელის". ჰოდა, შორსმჭვრეტელურად ასკვნის ბატონი ბუჭუნა, – თუ უნდა, გენაცვალე, მეგრელი ქალის ბედნიერება, რა საჭოჭმანოა, მე უნდა დამიჭიროს მხარიო.

პოლიტიკური მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ: თუ ჩაგუ კვაწარახია დაიყოლიეს, პრობლემის უდანაკარგოდ მოგვარებისათვის ერთი კვირაც არ იქნება საჭირო, მაგრამ საეჭვოა ეს ალიანსი შედგესო.

საქმეს ის ართულებს, რომ ბუჭუნა თავრიკაძე და მისი პარტია უკომპრომისოდ მოითხოვენ გურიისათვის ფოთის დაბრუნებას. ამის მისაღწევად პარტია „გაშპი–გავარდი" შარშან საჯავახოში რიონის გადაკეტვასა და ფოთის უწყლოდ დატოვებას აპირებდა, მაგრამ მაშინ ამის შესრულებას აფხაზეთის ომმა შეუშალა ხელი (იმჟამად უცხოური მანქანების საშოვრად ბევრმა ლომგულმა გურულმა მიაშურა აფხაზეთს). ჩაგუ კვაწარახიამ „გაშპი-გავარდის" ეს განზრახვა, შეუძლებელია, არ იცოდეს, მაშინ როდესაც თავისი პარტიის წესდებასა და პროგრამაში შავით თეთრზე გარკვევით უწერია, რომ *„ჩქიმ ჯარგვალი"* ბოლომდე დაიცავს სამეგრელოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის ხელყოფას ცოცხალი თავით არავის დაანებებს.

რაც შეეხება საქართველოს სხვა კუთხეებს, ისინი დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ბუჭუნა თავრიკაძის აქციას, მაგრამ თავიანთი მოშიმშილეების აქციებით იმდენად არიან გართული, წიწმატგორელთა ფართომასშტაბიან ღონისძიებებში მონაწილეობას, ალბათ, ვერ შეძლებენ.

საზღვარგარეთი კი, მეტადრე მაღალგანვითარებული, ცივილიზებული ქვეყნები, იმდენად აქციის შედეგებით არ არიან დაინტერესებულნი, რამდენადაც მისი კულტურული და ზნეობრივი მხარით. საოცარია, – ერთხმად წერენ მათი მიმომხილველები, – იმ ქვეყანას, რომელიც დღეს უკიდურეს ეკონომიკურ კრიზისსა და საშინელ სიდუხჭირეს განიცდის, ძალა და ენერგია კიდევ შესწევს, სიყვარულის ნიადაგზეც იშიმშილოსო!

ერთ კორესპონდენტს ბუჭუნა თავრიკაძისათვის კიდევაც უკითხავს: არ დაკმაყოფილდებით, თუ ფაჩუ ბაჩუნია თქვენს სიყვარულს ყოველმხრივ და სრულყოფილად გაიზიარებს,

ოღონდ ქმრის ოჯახში დარჩებაო? ბატონ ბუჭუნას ამაზე მრისხანედ უპასუხნია: რაო, საყვარლობანას გეთავაზობთ, ვაუბატონო?! ქართველ ქალს ერთი ბეწო მწიკვლიც რომ შეენიშნო ან გავიგონო, თუნდაც ეს თურქეთში მოგზაურობის უამს იყოს, დოლარების შოვნას რომ გულისხმობს, იმავე დღეს თავს მოვიკლავო.

– აი, რას ნიშნავს დიდი კულტურა და რუსთველის ტრადიციებზე აღზრდაო! – აღფრთოვანებული სიამაყით წერდა ეს კორესპონდენტი და იმეორებენ სხვები. მხოლოდ ერთ, აფრიკის რომელიღაც ახალგაღვიძებულ სახელმწიფოს პრესაში გაუონილა საპირისპირო შეფასება:

– „პადუმაეშ“, – წერდა, თურმე, ეს ველური გაზეთი, – იმ ქვეყანაში, სადაც ყველა პატიოსანი კაცი შიმშილობს, ერთი უქნარასა და თავრიკას შიმშილი რომ მიემატოს, რა დიდი ამბავიაო. თუმცა რაღა შორს მივდივართ, ნიჰილისტური დამოკიდებულება შეიძლება ჩვენშიაც აღმოვაჩინოთ.

– თქვენ რას ფიქრობთ, ბიძია **ასალო**? – ჰკითხეს ძველ კომუნისტს, 85 წლის **ასალო ბუხუტაძეს**, რომელსაც პარტიული ბილეთი არ გადაუგდია და შენახული აქვს, მაგრამ განახლებულ არც ერთ კომუნისტურ პარტიაში ჯერ თავი არ აღუდგენ-შეუყვია. მან მტკიცე რწმენით უპასუხა:

– შარშან ცხენი რომ მომპარეს, მათრახი გავყიდე, თორემ მაგ საქმეს ერთ საათში მოვაგვარებდიო.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები!

1994 წ.

1994 წლის ნოემბრის თბილისური დიალოგები
(ნატურალისტური მინიატურები)

1. თამარ მეფის გამზირზე

გამზირს ნაირ-ნაირ საბჭოთა და სხვა უცხოურ მანქანათა გიჟურ ქროლვაში უადგილო ადგილას მოარღვევს ძველი, გახუნებულტანსაცმლიანი, ინტელიგენტური გარეგნობის შუახანს გადაშორებული კაცი. ხელში ბადურა უჭირავს, შიგ ცოტა-ცოტაოდენი კარტოფილი, პომიდორი, ხახვი და მწვანილეუ-

ლობა მოუჩანს. გულისფანცქალით შევყურებ: აი, ახლა ეს მანქანა გაიტანს და, აი, ახლა ეს! შიშისაგან შიგადაშიგ თვალებსაც ვხუჭავ. როგორც იქნა, გამოაღწია. შეშფოთებული და აღშფოთებული მივვარდი და შევყვირე:

– რას აკეთებ, კაცო, სად გადმოდიხარ?

– ერთადერთი თავისუფლება, რაც მივიღეთ და ყველას შეგვიძლია გამოვიყენოთ, ეს არის, ქუჩაზე, სადაც გინდა, იქ გადახვალ-გადმოხვალ და ამითაც არ ვისარგებლო?!

– მერედა, სიცოცხლის ფასად?

– დიახ, სიცოცხლის ფასად!

მოდი და ახლა ასეთ ხალხს ელაპარაკე!

2. ტროლეიბუსში

ჩემ წინ მსხდომნი საუბრობდნენ:

– ბესო თქვენი ბინიდან წავიდა?

– კი, ახლა, ოქტომბერში, მუხიანის დასახლებაში გადაცვალა და გადავიდა.

– რატომ, ასე შორს როგორ წავიდა?

– რატომ და, მისი ქვედა მეზობელი სადღაც, საბაჟო დეპარტამენტსა თუ საგადასახადო ინსპექციაში, მოეწყო და მისი ბინიდან ისეთი ნაირ-ნაირი საჭმელების სანი ამოსდიოდა, ცარიელ პურზე მყოფმა კაცმა ამას ვეღარ გაუძლო და გაეცალა. ხედავ, რა ძალა აქვს ოპტიმიზსა და სიცოცხლის წყურვილს, როგორ უშველა თავს?!

– ხუმრობ, არა? ფულისთვის გააკეთა, ხომ?

– სულ უსახსროდ დარჩა, გასაყიდი აღარაფერი ებადა და მთავარი, ალბათ, მართლაც უფულობა იყო, საჭმლების სუნის გამო მივდივარო, თვითონ მან მითხრა, თვითონ მან გაგვანდო, თუმცა ეს ღიმილითა და ხუმრობის კილოთი გვითხრა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გადასვლის ძირითადი მიზეზი თუ არა, ამის ერთ-ერთი ბიძგის მიმცემი სწორედ საჭმლების სუნი უნდა ყოფილიყო.

–კარგი, მაგრამ შენ როგორღა უძლებ?

– მე მის ქვემოთ ვცხოვრობ და სუნი ჩემთან ნაკლებად ჩამოდის.

*

ჩემ უკან მსხდომთაგან მესმის:

– კაცო, რა მოუვიდა გიორგის, ამ საღსალამათ კაცს?

– სასწორმა მოკლა.

– როგორ თუ სასწორმა?

–სასწორმა და თავისმა პატიოსნებამ!

– ეერაფერი გავიგე, რას ამბობ!

– რა და, მაგ საწყალს შინ ზუსტი სასწორი ჰქონდა, ვიღაცამ, მაგის ცოდვით სავსემ, გერმანიიდან ჩამოუტანა. პურის საყიდლად თეითონ დადიოდა და, რაც ბარათებზე გადავედიო, ჩვეულებად ექცა, პურს წონიდა; ხედავდა; ცალკე პურის ქარხანა და ცალკე მაღაზია როგორ აკლებდა... მაგრამ რას იზამდა, შვილიშვილებს ლუკმას ხომ არ მოაკლებდა!...

–ოჰ, წავწყდით, შიმშილმა მოკლა?

–არა, შიმშილმა არა! ხომ იცი, გიორგი რა საოცრად მშრომელი კაცი იყო. კასპისა თუ ქარელის რაიონის რომელიღაც სოფელში მიწა აიღო, ქერი დათესა, არაუშავდა მოსავალი მიიღო, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს ხორბალში გადაუცვალა. თვითონაც და ოჯახის წევრები უბრალოდ და უპრეტენზიოდ ცხოვრობდნენ და სიდუხჭირეს არ უჩიოდნენ. მხოლოდ ეგ იყო, ეს ძალადობა და უნამუსობა ვერ აიტანა და გული გაუსკდა.

– გადამრევ, კაცო, რა უცნაური ლაპარაკი იცი!... მაგაზე მილიონჯერ მეტ ძალადობასა და უნამუსობას ვერ ხედავდა, ვიდრე 100-200 გრამი პურია, და ის არ მოქმედებდა?

– რა თქმა უნდა, ყველაფერი მოქმედებდა, მაგრამ არა იმდენად, როგორც სასწორი. რამდენჯერ უთქვამს: ისე როგორ დავეცით და გავთახსირდით, კაცს დღეში 300 გრამ პურს ვაძლევთ, სხვას არაფერს, და იმასაც ვაკლებთო. და ეს გრძელდებოდა პურის ყველა აღებაზე. ხომ იცი, წვეთი წყალი განუწყვეტლივ ერთ ადგილს რომ ეცემა, კლდეს ხვრეტს და, რა გასაკვირია, ამ განუკითხაობამ და უნამუსობამ, წვეთ-წვეთობით და გამუდმებით რომ ეღვრებოდა გულში, გული გაუგლიჯა.

ეჰ, პატიოსნებავ, პატიოსნებავ, დიდი უცნაური ვინმე ხარ შენ, – კაცს კიდეეაც ააშენებ და კიდეეაც დააქცევ!

3. ილია ჭავჭავაძის გამზირზე

მეგობართან ერთად მივდივარ. იგი აღელვებით, ხელების გაშლით თავისი ოთხი წლის შვილიშვილზე საკმაოდ ხმამაღლა შემომჩივის:

– გადამრევს ეს თითისტოლა ბიჭი, ისე უწმაწურ სიტყვებს ხმარობს, ყურში არ შეიშვება. ვერ გამიგია, სად სწავლობს, საბავშო ბაღში არ დავატარებთ და შინიდან გარეთ არ ვუშვებთ!...

– პარლამენტის სხდომების გადმოცემებს რომ ბოლომდე უსმენთ და ასმენინებთ, აბა, რა გეგონათ! – ჩაგვილაპარაკა უცნობმა, რომელიც უკნიდან წამოგვეწია და ისე ჩაგვიარა და გაგვისწრო, ჩვენთვის არც შემოუხედავს.

რა უცნაურობაა: შეხედავ და დარბაისელი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, არადა ყურს გიგდებს და საუბარში უბოდიშოდ გერევა!

4. მეტროში

ავტობუსი და სამარშრუტო ტაქსი რუსულ ფულზეა და ჩემთვის მიუწვდომელია. ტროლეიბუსი იშვიათად თუ გამოჩნდება. თანაც, შიგ შეაღწიო კი არა, სახურავზე აცოცებული, უკანა ბუფერზე შემომდგარი და კარებზე ჩამოკონწიალებული ახალგაზრდებით ისეა დახუნძლული, ახლოს ვერ მიეკარები. ამიტომ ერთადერთი ტრანსპორტი, რითაც ვსარგებლობ, მეტროა. საამისოდ ჯერჯერობით, ასე თუ ისე, კუპონებიც მყოფნის, ვაგონებში შესვლა-გამოსვლისათვის – მკლავებისა და მუხლების ძალაც, ხოლო ელექტრონის გამორთვისას – გამძლეობაც, ჩაბნელებულ გვირაბში საათობით ველოდო მატარებლის დაძვრას.

აი, ახლაც გვირაბში ვართ გაჭედილი. მადლობა ღმერთს, ვხიარ და წინიდან მოწოლას ადვილად ვიტან. დაქანცულმა ვიფიქრე, სიბნელეა და წავიძინებ-მეთქი, მაგრამ ამ ჭყლეტასა და ყაყანში რა დამაძინებს!

– ბატონი მიხეილი მართლა შიმშილით გარდაიცვალა? – კითხულობს ჩემ წინ მდგომი კაცი, რომელიც ორივე ხელით

ზედა სახელურს ჩასჭიდებია და მუხლებით მუხლებზე მაგრად მაწვება.

— დიახ, შიმშილით, სწორედ შიმშილით! — უპასუხა მეორემ, მის გვერდით მდგომმა კაცმა, რომელიც მასავით სახელურზეა ჩამოკიდებული.

ვიღაცამ ვიღაცას ჩაულაპარაკა: გახსოვს, ერთ ცნობილ მოღვაწეზე გაზეთში რომ ეწერა, შიმშილით მოკვდაო, და შემდეგ მისმა ოჯახმა და სამსახურმა გააპროტესტეს, ტყუილია ესო.

— ჰო, მიცვალებულს ამით არაფერი ეშველებოდა და ოჯახმა და სამსახურმა, ალბათ, თავი უხერხულად იგრძნეს. — იყო უხალისო პასუხი.

— როგორ, კაცო, კითხვას აგრძელებდა პირველი, — ბატონი მიხეილი... გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი, ის კი არა, ორი აკადემიის წევრი, საზღვარგარეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი და შიმშილით სიკვდილი?!

— კი, ყველაფერი ასე იყო, მაგრამ რა?... შენ იცი, რამდენია მეცნიერის ხელფასი? სექტემბრის მეორე ნახევრიდან, პურსა და სხვებზეც ფასები რომ უსაშველოდ გაიზარდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მეცნიერებათა დოქტორს, წამყვან მეცნიერ-თანამშრომელს, აგრეთვე განყოფილების ხელმძღვანელს დაენიშნა 4 მილიონი კუპონი, ინსტიტუტის დირექტორს — 4 მილიონ 200 ათასი, თვით აკადემიის პრეზიდენტს — 4 მილიონ 600 ათასი. აკადემიკოსობის 3 მილიონია, აკადემიის წევრ-კორესპონდენტებისა — მილიონ-ნახევარი. თითქმის ამგვარივეა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა ჯამაგირიც. ესეც გამოწერით არის. ცხადია, ხელზე კიდევ უფრო ნაკლებს ღებულობენ. თანაც, თავის დროზე ვინ იძლევა! აპრილის მეორე ნახევრის, მაისის, ივნისის, ივლისისა და აგვისტოს პირველი ნახევრის ხელფასი აგვისტოს ბოლოს მიიღეს, ასჯერ და ათასჯერ ძალადაკარგული და გაუფასურებული.

ბატონ მიხეილს დღეში ორი ტრანსპორტი, ტროლეიბუსი და მეტრო, სჭირდებოდა. .ავტობუსისთვის რუსული ფული სადა ჰქონდა!. 30 დღეში ამას 6 მილიონი კუპონი უნდა. ასე რომ, ბატონ მიხეილს თავისი ჯამაგირი, ჰა-ჰა, ტრანსპორტისათვის თუ ეყოფოდა. სხვა ხარჯები? კარგი, ძველმანებით

გავდივართ და ჯერჯერობით ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე არაფერს ვამბობთ, მაგრამ გაზი, ელექტრონი, ტელეფონი, წყალი, საპონი, ასანთი, კალამი, ქაღალდი, წიგნი?.. აგერ საათი გაჩერდა და გასაწმენდია, აგერ ტელევიზორი გაფუჭდა და ათასი სხვა რამე. ხომ იცი, რა, ფასებიც აქვს! ყველაფერ ამას შელეოდა? თუნდაც შელეოდა, ეს ხელფასი მარტო პურის ფულად ეყოფოდა? დღეში 300 გრამი პური ადამიანს შეიძლება იმ შემთხვევაში ეყოს, თუ რამდენიმე თავი ნოყიერი კერძი, ხილი და მწვანილეულობა ექნება. მაგრამ მარტო პური, ერთი კილოგრამი რომც იყოს, შეიძლება იკმარო ერთ დღეს, ერთ კვირას, თუნდაც ერთ თვეს, თეეობით კი — ნამდვილად არა! ბატონი მიხეილი მხოლოდ ხმელა პურზე იყო, ისიც არ ჰქონდა საყოფად; ორგანიზმი გამოეფიტა, დაავადდა. ჯერ კუჭმა და ნაღვლის ბუშტმა შეაწუხეს, მერე — გულმა. როგორ იმკურნალებდა, წამლებს რა ფასები ადევს! ერთი თვის წინათ გაყინულმა ოთახებმა, შინ და სამსახურში, მაგრად გააციეს, მაღალი სიცხეები მისცა, ათი დღე იწვა, ასკოფეინისა და კალცექსის ყიდვის საშუალებაც არ ჰქონდა, ვიღაცამ სამადლოდ მიუტანა, მორჩა კიდეც, შემდეგ ორი კვირა სამსახურშიც იარა და ის იყო, იმ დღეს მოულოდნელად გარდაიცვალა.

— ხედავთ, — ჩაერია ერთი საუბარში, — პროფესორის თეორია ჯამაგირი, დიდი-დიდი, 16—17 კილოგრამ პურს ყიდულობს, ისიც სახელმწიფო ფასით, კომერციულს — 2—3 კილოგრამს.

—კომერციულს რომ შევეშვათ, —გააგრძელა მსჯელობა მეორემ, — თუ ამ ხუთი წლის წინანდელი პურის ფასით ვიანგარიშებთ, მისი ხელფასი 5 მანეთს არ აშორდება.

— თუ ტროლეიბუსით მგზავრობის ფასით ვიანგარიშებთ, — სიტყვა ჩამოართვა მესამემ, — 3 მანეთამდე იქნება, „ბორჯომის“ წყლის ფასის მიხედვით — 80 თუ 88 კაპიკი, გაზის მიხედვით — 30 კაპიკი.

ამას გულიანი სიცილი მოჰყვა.

— აი, უყურეთ, როგორ აგვიბნია გზა-კვალი მილიონებმა, — მგონი, ისევ პირველი ლაპარაკობდა,

— ამ ხუთი წლის წინათ პროფესორის ხელფასი (გაზს და „ბორჯომს“ თავი დავანებოთ!) 3 მანეთი ან 5 მანეთი რომ ყოფილიყო, გავგიჟდებოდით, ახლა არაფერი, გვეცინება კიდეც.

—როგორ დავიჯერო, მეცნიერებათა აკადემიაში ასე მცირე ხელფასებია, — ისევ მიუბრუნდა ჩემ წინ მდგომი თავის მოსაუბრეს.

—ამაზე ბევრად მეტი ფოსტის მუშაკებს აქვთ. დანამდვილებით ვიცი, საფოსტო განყოფილების უფროსსა და ტელეგრაფისტს 12-12 მილიონი კუპონი ეძლევათ, ფოსტალიონს — 15 მილიონი...

კერძო საუბრები ისევ შეწყდა და ყველა ამ დიალოგში ჩაება. ზოგმა რა თქვა და ზოგმა — რა. ერთმა ირონიულად იკით-ხა: ვერ გამიგია, ფოსტა და ფოსტალიონი რაღა საჭიროა? ჟურნალ-გაზეთები ისე გაძვირდა, ვინღა გამოიწერს? რაც გამოწერილი გექონდა, რამდენი ხანია, აღარ მოგვდის, ახლა მა-თი გამოსვლაც შეწყდაო. დეპეშა და წერილიც ისე გაძვირდა, ვეღარ გაგზავნი; რომც გაგზავნო, ყველაფერი ისეა მოშლილი, ადგილზე ფოსტამდე ვერ აღწევსო. მეორემ თქვა: ჩემმა მეზობელმა გოგონამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება ძლივს დაამთავრა, ახლა საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში მუშაობს და ოქტომბრის თვის ჯამაგირი 60 მილიონი კუპონი აიღოო. მესამემ ახსნა დაიწყო: წერილები, დეპეშები და ტელე-ფონი რომ გააძვირეს, ამის გამო აქვთ ასეთი ხელფასებიო. მეოთხემ გვერდით მჯდომს გადაულაპარაკა: ჩემი ძმა საკუთ-რების დაცვის პოლიციის განყოფილების უფროსია და 23 თუ 25 მილიონი კუპონი ეძლევაო. ამ სიტყვაზე ზოგი პოლი-ციელთა და სამხედროთა შემოსავალს შეეხო. ისიც თქვეს, რამდენად მეტია ხელფასები პოლიციისა და სამხედრო უმაღლეს სასწავლებლებში. მაშინ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ხელფასია 4 მილიონნახევარი, პოლიციის აკადემიის რექტორის ხელფასი 242 მილიონია.

— ჩემმა ბიძაშვილმა, — ჰყვება ახალგაზრდა კაცი, — ხუთი წლის წინათ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა — „სახალხო მსაჯულთა როლი მართლწესრიგის განმტკიცებაში განვითარებული სოციალიზმის დროს“. ახლა მანდ პროფესორად აირჩიეს და ხელფასი 15 მილიონ კუპონზე მეტი აქვსო.

– პოლიციასა და სამხედროებს რას ჩააცივდით, რაც უნდა იყოს, ტყვიასა და სიკვდილთან აქვთ საქმე, – გაწიწმატდა ვიღაც, – მეტროს დამლაგებლის ჯამაგირი იკითხეთ, 15 მილიონი აქვს!

– რაო, 15 მილიონი? რას ამბობთ, მეტროს დამლაგებლებს და გასასვლელში მდგომთ, გააჩნიათ თვეებს, 28 მილიონიდან 50 მილიონამდე კუპონი აქვთ. – არის თავდაჯერებული პასუხი.

– ზუსტად შემიძლია მოგახსენოთ, –ხანდაზმული კაცის ხმა არის, – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის უფროსის ხელფასია 15 მილიონ 400 ათასი კუპონი, ამ კათედრის რიგითი მასწავლებლისა, რომელსაც რაიმე სამხედრო ჩინი ან სამეცნიერო ცენზი არ გააჩნია, – 11 მილიონ 600 ათასი, და ეს მაშინ, როცა სხვა კათედრების გამგეებს 4 მილიონ 200 ათასი აქვთ, კათედრის პროფესორს კი – 4 მილიონი.

– ეჰ, არც ერთი ეს ჯამაგირი არაფერია, მაგრამ საკითხავი ის არის, როგორ უნდა ისუნთქო იმ ქვეყანაში, სადაც პროფესორის შრომას ფოსტალიონისა და დამლაგებლის შრომაზე ოთხჯერ ნაკლები დაფასება აქვს! – დაასკვნა ვიღაცამ.

– ვაჰ, რომელია ძნელი?! – ეს ისევ გაწიწმატებული წიწმატობდა, – პროფესორი ზის თბილ ოთახში და წერს და კითხულობს, ფოსტალიონმა კი ამ საშინელ ამინდში მძიმე ტვირთმოკიდებულმა კარდაკარ უნდა იაროს!...

– ამიტომაცაა, ალბათ, ასე ცოტა სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის სპიკერის ხელფასები, – გამოეპასუხა სხვა.

– ამას წინათ ტელევიზორში ითქვა, სახელმწიფო მეთაურს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, 5 მილიონ-ნახევარი კუპონი აქვსო, პარლამენტის სპიკერს – 5 მილიონიო.

ამაზე უშველებელი ხარხარი ატყდა. მე კი გამახსენდა: ერთხელ ტელევიზიის ენამოსწრებულმა ჟურნალისტმა ამ ფაქტით როგორ ჩასჩარა პირში ბურთი დაბალ ხელფასზე მოწუწუნე რკინიგზელებს, რომლებიც გაფიცვით იმუქრებოდნენ.

– მთავრობის წევრთა ჯამაგირი რა სახსენებელია! – სიცილს არ აჰყვა და სერიოზული კილოთი მიუბრუნდა თავის მოსაუბრეს ჩემ წინ მდგომი.

– მე და ჩემისთანები და ჩემზე უკეთესები ორას გრამ ყველს ვეღარ ვყიდულობთ და სამტრედიაში ვერ ჩავსულვართ, ისინი კი „მეტეხში“ ზღაპრულ ბანკეტებს მართავენ, ხან მოსკოვსა და პეტერბურგში მიფრინავენ და ხან პარიზსა და ნიუორკში. მე ის მადარდებს, ბატონმა მიხეილმა თავს რატომ ვერ უშველა?

– თავს იმან უშველა, – ისევ დინჯია პარტნიორის პასუხი, – ვინც მოწოდებით მეცნიერი არ იყო. ასეთები სად არ წავიდნენ და რა საქმეს არ მოჰკიდეს ხელი. ბატონი მიხეილი ჭეშმარიტი მკვლევარი და მამულიშვილი, საოცრად ფაქიზი ბუნების კაცი გახლდათ. ამერიკაში მიიწვიეს სამუშაოდ, საუკეთესო პირობები შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა: აქაურობას ვერ მოვშორდებიო. თუ რაიმე შემიძლია, ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმაროო. სხვათა შორის, ერთხანს კერძო, ფასიან უმაღლეს სასწავლებელშიაც იმუშავა. არც იმას მიაქცია ყურადღება, რომ იგი დროსა და ენერგიას ართმევდა და არც იმას, – მისი ხელმძღვანელები მეცნიერებაში ხელმოცარული საქმოსნები იყვნენ, თავიანთვის კარგი ხელფასები დაინიშნეს, მას კი მეათედსაც არ აძლევდნენ. ორი სასწავლო წელი დაჰყო იქ. წამოსვლის მიზეზად უთქვამს: ერთი ნიჭიერი და მონდომებული სტუდენტიც რომ მყოლოდა, თავს არ გავანებებდიო.

– მაინც არ მესმის, ამოდენა მეცნიერი შიმშილით როგორ მოკლეს, ვინმე გულშემატკივარი როგორ არ გამოუჩნდა?! – არ ცხრებოდა ჩემ წინ მდგომი.

– ვინ უნდა გამოსჩენოდა?! უთქმელი კაცი იყო. მისი მეგობრები მეცნიერები და კულტურის მუშაკები იყვნენ და მათაც ისევე უჭირდათ, როგორც მას. ან, ერთი მითხარი, სანამდე შეიძლება სხვისი ხელის შემყურე გაძლოს კაცმა? შენ ხომ იცი, ამ ვაჭრუკანა და ფულიღლეტია ნათესავებმა რა იციან: ერთხელ მოვლენ, მოგელაქუცებიან, გაგლოკავენ, მერე ჭკუის სწავლებას დაგიწყებენ, როგორ უნდა იცხოვრო და ყველაფერი აკეთო ფულის საშოვნელად. იმასაც აგიხსიან, ინგლისსა და ამერიკაში პროფესორები მეეზოვედ მუშაობენო.

ისე ბატონ მიხეილს ამგვარი შემთხვევაც ჰქონია: მის მეზობლად დურგალი მუშაობდა, ახალგაზრდა კაცი. ბატონი მიხეილის თავმ-დაბლობითა და საინტერესო საუბრებით მოხიბლულა და მისი სიდუხჭირის შემყურეს ერთხელ ყოყმანითა

და მოკრძალებით შეუთავაზებია, ჩემთან გამუშაებთო. ბატონ მიხეილს გულ-წრფელი მადლობა გადაუხდია და გულითადად აუხსნია: ისეთი სამუშაოები მაქვს, ვერ მივატოვებო, თანაც არც ისე ხელგამომავალი კაცი ვარ, თქვენ რომ გამოგადგეთო.

–გაუქმებულა, ჩემო ძმაო, მეცნიერება და ეგ არის. უთუ ქვეყანას იგი აღარ სჭირდება? – ახლა საქვეყნო საქმეს გადასწვდა ჩემ წინ მდგომი და მუხლი შეინაცვლა.

– როგორ არ სჭირდება! ახლახან არ იყო, მთავრობამ ბათუმში უშველებელი სამეცნიერო კონფერენცია რომ გამართა?

– ვიცი. ტელევიზიით რამდნჯერმე გადმოსცეს სახელმწიფოს მეთაურის მიერ თვითმფრინავში მიცემული ინტერვიუ. დიდი სჯა-ბაასი გექონდაო, როგორ გადავარჩინოთ შავი ზღვაო.

ისე მომეჩვენა, ვიღაცამ ჩაიხითხით-ჩაიფრუტუნა. მერე ვხედავ, ამ თვითმფრინავში მე თვითონ ვზივარ და ვისმენ ინტერვიუს, – რამდენიმე თვეში ყველაფერი კარგად იქნებაო.

უკან ბიძგი ვიგრძენი. დაღლილობას თავისი გაუტანია, ჩამძინებია, გამომეღვიძა და ვხედავ: შუქი მოსულა და დავძრულვართ. საათს დავხედე. გვირაბში საათი და ოცი წუთი ემდგარვართ. დღეს იოლად გადავრჩი. გუშინ 3 საათს ვიდექით.

ვაუჩერს რომ 5 დოლარი დავუმატოთ, პასპორტის შესაძენად საკმარისი იქნება?

ვაუჩერი, ვაუჩერი, ვაუჩერი... – არის ერთი აჟიოტაჟი ტელევიზორში, რადიოში, სამთავრობო პრესაში. ასჯერ თუ ათასჯერ გვიხსნიან, რომ ეს არის ფასიანი ქაღალდი, რითაც შეგვიძლია შევიძინოთ ის ნაწილი საზოგადოებრივი ქონებისა, რომელიც კერძო საკუთრებაზე გადასვლისას თითოეულ მოქალაქეს ერგო. განსაკუთრებით გამოყოფენ და ხაზგასმით აღნიშნავენ იმას, რომ ვაუჩერი გვეძლევა უ ფ ა ს ო დ, იგი ჩვენი საკუთრებაა და უფლება გვაქვს, როგორც გვინდა, ისე მოვეპყრათ მას, – გავყიდოთ, გავაჩუქოთ, უცნობსაც ვუანდერძოთ, თუნდაც დავხიოთ და გადავყაროთ!

უფლებები, მართლაც, შეუზღუდავია! სარგებელი? ერთი ვაუჩერის ნომინალური ღირებულება, ანუ ღირებულება, რომელიც მას მიეწერება, 30 ამერიკული დოლარია, რეალური ფასი საბაზროა – 10 დოლარის ფარგლებში მერყეობს. აღნიშნული აუიოტაჟი ნაკლებად შეიმჩნევა საზოგადოებაში. საკვირველია, რომ მკვეთრად და ათასგვარად ურთიერთდაპირისპირებული ხალხი ყველაზე მეტ სიდინჯეს სწორად ამ უცხო ხილის მიმართ იჩენს. მაგრამ, ბუნებრივია, არიან ურჩი გონებისანიც, რომელთაგან ზოგი სკეპტიკურად უყურებს ვაუჩერს, ზოგი, აქედან მეტი გამოვადნოვო, ნაირ-ნაირ კითხვებს სვამს:

– როგორ, კაცო, ამ უზარმაზარი ქონებიდან მეტი არ გვერგო? 30 დოლარად აპრილის ბოლოს „დეზერტირების ბაზარში" გოჭი იყიდებოდა. ჰა, თუ გნებავთ, ორი, სამი გოჭი იყოს! – კითხვის ნიშნად ქცეულა ერთი.

– ჩემს სოფელში რომ კოლმეურნეობა დაიშალა და ღორის ფერმა გაუქმდა, მარტო იქიდან მეკუთვნოდა დედაღორი და გოჭი! – იცინის მეორე.

– შარშან დაბადებულ ბავშვს და 70 წლის კაცს ერთნაირი წილი უდევს ამ ქონების შექმნასა და განაწილებაში? – გაოცებულია მეორე.

– წელს მარტში მამა დავასაფლავე, მთელი მისი დღე და მოსწრება საზოგადოებრივ შრომაში იყო ჩაფლული. ნუთუ მას არაფერი ერგება, მის მემკვიდრეს რომ გადმომცემოდა? – წუწუნებს მესამე.

ამ და სხვა ამგვარ კითხვებზე რიყის ქვასავით ისეთი შეუვალი პასუხები არსებობს, გონიერი კაცი მის განმეორებით მოსმენას ნამდვილად არ ისურვებს! მოკირკიტე კითხვის დამსმელებს განსაკუთრებული რისხვით მათივე გონიერი მეგობრები უსწორდებიან.

გამოგიტყდებით, რაღაც ახირებული კითხვები მეც დამებადა და ცხოვრებაში ჩახედულ ერთგულ მეგობართა რისხვით ჭკუის სწავლებას ვერც მე გადავურჩი.

– შე კაი დედმამიშვილო, მეცნიერი კაცი ხარ, რა ვაუჩერი აგიტყდა, რას მიედ-მოედები, რომელი საზოგადოებრივი ქონებიდან ელოდები წილს, როცა შენი საკუთარი დღისით და მზისით დაგიკარგავს? შენ არ იყავი, 1986 და 1988 წლებში

წიგნები რომ გამოეცი, ჰონორარი ხელზე არ მოგცეს და შემნახველ სალაროში 10 ათასი მანეთი გადაგირიცხეს, მოუარე მას? ხელზე გამოტანის უფლება არ გქონდა და შენც იგი შაეი დღისთვის გადანახულად იგულვე, რა დაგრჩა დღეს იქიდან? – 28 ათასი კუპონი! მაშინ 10 ათასი მანეთი მსუბუქ ავტომანქანა „ჟიგულს“ ყიდულობდა, ანდა – 10 ტონა შაქარს. დღეს 28 ათას კუპონად მანქანის ერთ რომელიმე ჭანჭიკს იყიდი? ან რამდენ მილიგრამ შაქარს შეიძენ? ადექი ახლა და იმ შენი 10 ათასი მანეთის შესაბამისი ვაუჩერი მოითხოვე, იმავე წამს მოგართმევენ!

– გახსოვს, ამ სამი წლის წინათ რომ გამოაცხადეს: ვინც შემნახველ სალაროში ფულს შემოიტანს, ერთი წლის შემდეგ გაორმაგებულს დავუბრუნებთო? დიახ, ლაპარაკია სახელმწიფოზე, სახელმწიფო შემნახველ სალაროებზე და არა კომერციულებზე! შენ არ გქონდა და არ შეგიტანია, მაგრამ, ხომ იცი, რამდენმა გაყიდა რაღაც-რაღაცები და თავიანთი ნაამაგარი შემნახველ სალაროებს ბოლო კაპიკამდე მიაბარა. ისიც გეხსომება, პრესაში რომ გამოაქვეყნეს: გაითვალისწინეს რა ხალხის ინტერესები, შეტანის ვადა ამდენი და ამდენი ხნით გაგრძელებულიაო. ჰოდა, რამდენად იყო მაშინ ხალხის ინტერესები გათვალისწინებული და რა ხვიშტიც მიიღო იქიდან ხალხმა, კარგად მოგეხსენება! შენისთანა გულუბრყვილოებს ვაუჩერობანას თამაშის დროს ამ ფულის დაბრუნების სურვილიც უღიტინებს, ალბათ, გულში! არა, შვილოსა, სათქვენო საქმე არ არის ეს, მას თავისი პატრონი ჰყავს!

– ვერ ხედავ, ის, ვისაც ეს რეფორმები აბარია, კობრას გაქვაებული სახით რა იოლად და თავისუფლად საუბრობს გაღატაკებასა და სიკვდილზე? ანდა, რომ მისჩერებიხარ ტელევიზორის ეკრანს და ისმენ მათ ახსნა-განმარტებებს, რაიმე განსხვავებას ხედავ მათსა და იმ კომერციული ბანკების პრეზიდენტ ბიჭ-ბუჭებს შორის, რომლებმაც ათიათასობით ადამიანი პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს, რა გამომეტყველება აქვთ და რა ენით საუბრობენ ისინი, რამდენს აზის კეთილგანწყობილებისა და ინტელექტის თუნდაც მცირეოდენი ნიშანი? ისეთი გრძნობა არა გაქვს, ეკრანს რომ მიუახლოვდე, ხელს გამოაპარებენ და ჯიბეში ჩამიყოფენო?

– მომწყდით აქედან, სატანა ყოფილხართ თქვენ, შეიძლება ყველაფრის ასე გაბიაბრუება?! – ვეღარ მოვითმინე ამდენი სისაძაგლის მოსმენა და ვიფეთქე მეც... ისინი კი ვიფრინე, მაგრამ ჭირმა თავი მაინც არ დამალა.

ტელევიზორით გავიგე, როგორც იქნა, ქართულ პასპორტებს ვეღირსეთ, ქართულ პასპორტებს! ხალხნო, გესმით, ქართულ პასპორტებს! რამოდენა ბედნიერებაა ეს!

ტაში შემოვკარი, შევეხტი და შევეკუნტრუშდი, სიხარულის ცრემლები ღაპაღუპით ჩამომდის სახეზე... მაგრამ რად გინდა, იქვე ტელევიზორიდან ციცი წყალი გადამასხეს! პასპორტის ფასი 25 დოლარი ყოფილა, დაზღვევისა თუ რაღაც ეშმაკის – 10 დოლარი, სულ – 35 დოლარი. ჩემი, ანუ პროფესორის, თვიური ხელფასით, რომელიც პურის ბარათის საშუალებით მხოლოდ 20 კილოგრამამდე პურს ყიდულობს, ამდენს კი არა, პასპორტის სურათის გადაღებასაც ვერ მოვახერხებ. ისიც აღსანიშნავია, როცა პასპორტისათვის საჭირო საბუთებს ავსებ, აქაოდა „ბლანკის“ ფურცლებს არ გვაძლევენ, ჩვენი ხარჯით ვაბეჭდვინებთო, დამატებით კიდევ რამდენს გადაგახდევინებენ.

– არ გინდა პასპორტი, პირადობის მოწმობით დაკმაყოფილდი, იქ ყველაფერი გამარტივებულია, მამის სახელიც კი არ არის აღნიშნული და ბევრად იაფია. სურათის გადაღება და „ბლანკების“ შეძენა კი გაგიჭირდება, მაგრამ, საერთოდ, რა შედარებაა! პასპორტი საზღვარგარეთ წასვლისათვის არის აუცილებელი. შენ შენი ხელფასით შინიდან ფეხს ვერ დგამ და რად გინდა პასპორტი? შინაობაში და საიქიოს წასასვლელად პირადობის მოწმობა, ანუ „საიქიოს პასპორტი“, ამ „საზღვარგარეთის პასპორტს“ თავისუფლად ცვლის! – არ მეშვებიან ცხოვრებაში ჩახედული ჩემი გონიერი მეგობრები.

ქართველი კაცისათვის ისე გაიზარდა საზღვარგარეთის ცნება, ვატყობ, თუნდაც მარტო ამისთვისაც აუცილებელია, გქონდეს პასპორტი. დღეს საზღვარგარეთია არა მარტო ამერიკა და გერმანია, თურქეთი და პოლონეთი, მოსკოვი და კიევი, ბაქო და ერევანი, არამედ... ახლახან გვაცნობეს, თავისი პასპორტი გამოუშვია ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას. სხვა მხრივ რომ მოახერხო, თუ საკუთარი პასპორტი ჯიბეში არ გიდევს, საერთაშორისო კანონის მიხედვით, გორს ზევით

ფეხს ვერ გადგამ. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნება ჩვენთვის საზღვარგარეთი ენგურს იქითა მხარე და მას კიდევ საქართველოს რომელი კუთხე დაემატება!

გარდა ამისა, კი, მე ეკონომიკურად კასტრირებულ მეცნიერთა საზოგადოებას ვეკუთვნი, მაგრამ მორალურადაც იმდენად რატომ უნდა დავმდაბლდე და არარაობად ვიქცე, რომ მოქალაქეობის სრულყოფილად აღმნიშვნელი დოკუმენტიც არ მქონდეს! ეს არის ადამიანობა, პატრიოტობა, თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის შვილობა?!

შარშანწინ, ქართულ კუპონებს რომ პირველად ხელი შევაელე, თვალებზე სიხარულის ცრემლები მომადგა. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ ვიგრძენი, რა სატირლადაც გამხდომოდა საქმე. ნუთუ ქართული პასპორტის გამოსვლის გამო წამსკდარი სიხარულის ცრემლებიც ტირილად და ვაებად გადამექცევა?!

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე, ვიფიქრე, – იქნებ ვაუჩერმა მიშველოს–მეთქი. თვე-ნახევარს რომ ვიშიმშილო, იმ ხმელა პურზეც უარი ვთქვა და ხელფასიდან როგორმე პასპორტის სურათისა და „ბლანკების“ ფული გადავირჩინო, საიდანღაც რაღაც სასწაულით 5 დოლარიც რომ ვიშოვო, დანარჩენი, ეგების, ვაუჩერის საშუალებით დავფარო-მეთქი.

იმ ჩემს სატანა მეგობრებს აღარ დავეკითხე, ტელეფონის მითითებულ ნომერზე ტელევიზიას მივმართე. თავადაც გული-ანად ამიხსნეს, მომცეს ტელეფონის ნომრები თბილისის მერიის, ამ სამინისტროსა და იმ დეპარტამენტისა. პასუხი ყველასგან უარყოფითი იყო. მაიმედებდნენ, წარმოებაში ვაუჩერის ჩადების შემდეგ, თუ გაგიმართლდა, მოგებას ნახავ, ახლა კი მაგ საქმეში ვერ გამოგადგებაო.

დიახ, მოლოდინი ბევრისა არის, ნაღდი არ ჩანს მხოლოდ. ყურში კი სატანას ხმები მიწივის: წადი, წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია!

1995 წ.

მინაწერი: ბოლოს და ბოლოს, ჩემი ვაუჩერი 3 ლარად გავყიდე. მას 2 ლარი დაეუმატე და ერთი კილო ხორცი ვიყიდე.

გთავაზობთ ახალ სიტყვას

ყველა წიგნიერ კაცს მოეხსენება, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და მდიდრდება ენაც, განსაკუთრებით მისი ლექსიკური შემადგენლობა. ახალ საგნებსა და მოვლენებს შესაბამისი სახელები ერქმევა, ხოლო გარდასულთ თავიანთი აღმნიშნელი სიტყვები თან მიჰყვება. საშინელებაა, როცა საგნებსა და მოვლენას შესატყვისი სახელწოდება არა აქვს.

ვფიქრობთ, ყველა დაგვეთანხმება, ამგვარ მდგომარეობაშია ჩვენი პარლამენტი. რა მოკლე და სხარტი გამოთქმით შეიძლება გამოიხატოს მისი მუშაობა, სხდომების მიმდინარეობა? გამოგვადგება ძველი სახელები – **კამათი? სიტყვით გამოსვლა? აზრთა გაცვლა-გამოცვლა? დისკუსია? დებატები? დიალოგი?**

არა, ბატონებო, არც ერთი ეს სიტყვა სინამდვილეს სრულყოფილად არ აღნიშნავს. ძველ და ახალ პარლამენტში ხსენებული ტერმინების შინაარსის ქმედებანი ცოტაა, და ეს მაშინ, როდესაც ხშირია *სიმღერა, ყვირილი, კივილი, ისტერია, ხელ-ფეხით ბრახუნი, საცემრად გაწევა, წუწაობა, დედის გინება* და ა.შ. საჭიროა მოინახოს ისეთი სიტყვა, რომელიც, თუ ყველა ამ მოქმედებას არა, უმთავრესს მაინც მოიცავს.

ვინაიდან ყველაფრის შემოქმედი ღმერთია, ბუნებრივია, დახმარება ისევ მას უნდა ვთხოვოთ, თორემ, აშკარაა, ვერც ერთი ენათმეცნიერი ან სამეცნიერო დაწესებულება უამისოდ ამ საქმეს თავს ვერ დაადგამს. ამიტომ იყო, მე, როგორც არჩევნების აქტიური მონაწილე და პარლამენტის ქომაგი, ამისათვის ზენაარს ყოველდღე შემწეობას ვთხოვდი და შიგადაშიგ სანთლებსაც ვუნთებდი. ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება და ამ სამი წლის წინათ ეს სიტყვა მამცნო.

1991 წლის ნოემბრის ბოლოსა თუ დეკემბრის დასაწყისში ერთ ჩემს მეგობარს გავუარე, რომ რაღაც საქმეზე წავსულიყავით. ცოტაოდენი თავისუფალი დრო გვქონდა და მასპინძელმა შემომთავაზა: მოდი, თუ ტელევიზორში პარლამენტის სხდომის გადმოცემა არის, ვნახოთ, სეირს ვუყურით და გავერთოთო (ვაი, ასეთი სეირის ყურებასა და გართობას!).

ამის თქმაზე მისი ორი წლის შვილიშვილი კოტიკო თევდორაძე, საოცრად ჭკვიანი და გონიერი ბავშვი, სასწრაფოდ ლოჯიაში გაბაჩუნდა, უმალვე დაბრუნდა და სიხარულით გვამცნო: **კალაკალობენ, ბაბუ, კალაკალობენ!**

მართლაც, პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია მიმდინარეობდა, დარბაზი დუღდა და გადმოდუღდა. მაშინ „კალაკალობენ" „ლაპარაკობენ" სიტყვის ბავშვურად დამახინჯებულ ფორმად მივიჩნიე, შემდეგ და შემდეგ კი შევატყვე, ეს ასე არ არის, მისი შინაარსი ბევრად უფრო ღრმა და მრავალფეროვანია და ყველაზე მეტად ასახავს ჩვენი პარლამენტის მუშაობას.

ჯერ ერთი: როგორც ვთქვით, იგი თავისი ჟღერადობით ძალიან წააგავს „ლაპარაკობენ" და „კამათობენ" სიტყვებს.

მეორე: მასში აშკარად გამოსჭვივის „კვლა" ზმნის ფუძე – ***კალ*** (შეადარეთ: **მო-ვ-კალ**), თანაც გაორმაგებული სახით – ***კალ-კალ***! ეს კი, უთუოდ დამეთანხმებით, ზუსტად შეესაბამება ჩვენი პარლამენტის სულისკვეთებას.

მესამე: ნუთუ ცოტას ნიშნავს, რომ მასში ორჯერ იკვეთება „კალა" სიტყვა? ალბათ, გაგიგონიათ მუქარა: დამაცა, პირში ადუღებულ „კალას" ჩაგასხამო. მართალია, ასეთი მუქარა ჩვენი პარლამენტის სხდომაზე არ მომისმენია (თუმცა, ყველა სხდომის ტრანსლაცია არ მინახავს და შეიძლება კიდევაც იყო!), მაგრამ სხვა სიტყვებითა და ქმედებით განა იგი ჩვენი პარლამენტისთვის უცხოა?!

მეოთხე: აღნიშნული სიტყვა ძალიან მეტყველია უცხოური გაგებითაც. არაბულად „კალი" ნიშნავს *კალიუმის წყალჟანგს*, ***ძლიერ ტუტეს***, რუსულად კი „კალ" – *განაყალს, სკორეს* (უკაცრავად ვარ, მაგრამ, რა ექნა, ლექსიკონში ასე წერია!). ეს, რაც ერთი შეხედვით ჩანს. ვინ იცის, ამ სიტყვის შემდგომი ჩაღრმავებით შესწავლა ჩვენი პარლამენტის მუშაობის კიდევ რა და რა თვისებას გამოავლენს.

გარდა ამისა, რა მომხიბვლელად მოქნილი სიტყვაა! აი, პრესასა და რადიო-ტელევიზიაში კალაკალობა „კოლოკოლივით" რა ლაღად და მსუბუქად შეიძლება გაუღერდეს: *დღეს პარლამენტი იმავე საკითხზე აგრძელებს* ***კალაკალობას***; *ვინც ბევრს* ***იკალაკალებს***, *თავის „ბაგაჟს" მეტად გამოაჩენს; ცოტა კიდევ* ***წავიკალაკალოთ*** *და დასვენება გამოვაცხადოთ;* ***მო-***

კალაკალენო, ნუ დაგავიწყდებათ, მთელი საქართველო გიყურებთ და ა. შ.

დიდებულია, არა!

დამერწმუნებით, ყოველმხრივ ასე შემკობილი სიტყვის შექმნას ორი წლის ბავშვი კი არა, ღვთის შეუწევნელად სოლომონ ბრძენიც ვერ შეძლებს. და, რადგან ღმერთი ხალხთან ურთიერთობას ანგელოზების მეშვეობით ამყარებს, ხოლო იკონოგრაფიაში ანგელოზები ბავშვების სახით არიან წარმოსახულნი, ეჭვი აღარ მეპარება, წარმოდგენილი სიტყვა ღვთის ნაბოძებია და იგი უნდა დაინერგოს!

მინაწერი: აღფრთოვანებული მკითხველი, ვიცი, მოთმინებას დაკარგავს და პირში მეცემა: აქამდე სად იყავი, შე კაი კაცო, ამ ზედგამოჭრილ სიტყვას სამი წელი როგორ მალავდიო. მოგახსენებთ: პირველი პარლამენტის მუშაობას რომ თვალს ვადევნებდი, ვფიქრობდი, ახალარჩეული პარლამენტია, პარლამენტური მუშაობის გამოცდილება არა გვაქვს, მსგავსი ექსცესები ინგლისისა და იაპონიის პარლამენტებშიაც ხდება, მალე ყველაფერი დაიხვეწება და კორექტულ-ინტელექტურ ფორმას მიიღებს-მეთქი. მეორე პარლამენტმა კი დამარწმუნა, ესა ვართ და, სანამ მადლიანი სტალინური ხელი არ შეგვეხება, რამდენი არჩევნებიც უნდა ჩავატაროთ, ასეთებად დაერჩებით. საგნის უსახელოდ დატოვება კი, ცხადია, ერთი დღითაც არ ვარგა!

1995 წ.

ტელეფონი, ანუ ადამიანი ადამიანისთვის მგელია

შარშან, შუა ნოემბერს, ფიზიკის პროფესორმა როსტომ ფალავანდიშვილმა ტელეფონის გადახდილი ქვითარი ჯიბეში ჩაიდო და წლიური ნაშთის დასაფარავად სატელეფონო რაიონულ კვანძში გასწია. როსტომს უყვარდა თქმა: ტელეფონს კი არ უნდა ემსახურო, თვითონ უნდა გემსახურებოდესო და წესად ჰქონდა, იანვარში წინასწარ იხდიდა მთელი წლის სააბონენტო საფასურს. დიდი ხნით განმტკიცებული ჩვევისათვის არც შარშან უღალატია, თუმცა ამას მთელი მისი თვის ჯამაგი დასჭირდა და, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, ლუკ-

მა-პურის შესაძენად დროდადრო თავის მამაპაპურ ნალოლიავებ ბიბლიოთეკას თითო-ოროლა უნიკალურ წიგნს აცლიდა და ჩალის ფასად ყიდდა.

იმ დღეს ლექცია პირველ საათზე ეწყებოდა და გადაწყვიტა: დარჩენილ თვე-ნახევარში, ალბათ, ტელეფონის გადასახადი კიდევ აღარ მოიმატებს და დილით ბარემ იმ წლიურ ნაშთსაც გადავიხდი, რაც მაისსა თუ ივნისში გაძვირებით დაგროვდაო. აქედან სტამბაში გავიელი, რადგან გამოცემის ყველა იმედი ამოიწურა, ხუთი წლის წინათ დასაბეჭდავად ჩაშვებული წიგნის ხელნაწერ-დედანს შინ წამოვიღებ, რომ არ დაიკარგოსო.

დილის ათ საათს ცოტა იყო გადაშორებული, როსტომი უკვე კვანძში იმყოფებოდა. გაოცებული დარჩა, უშველებელი რიგი, ერთი ალიაქოთი, ჩხუბი, ყაყანი, გნიასი და წყევლა-კრულვა რომ დახვდა.

– ნამუსი არ გაქვთ, ყაჩაღები ხართ. ექვსი თვეა ხელფასი არ ამიღია. პურის ფულს ვმათხოვრობ, ტელეფონის ფული საიდან უნდა მოგცეთ! – გაჰკიოდა სახეშეშლილი შუახნის ქალი.

– „მხედრიონელებზე“ ნაკლები არ არიან ეს უთოფო ყაჩაღები! – კვერს უკრავდა ქვითრით ხელში სალაროდან მომავალი ჭაღარა მანდილოსანი.

დარბაისელი გარეგნობის მქონე კაცი რიგში მდგომ ნაცნობს წყნარად უამბობდა:

– წელს, მარტში, ჩემმა მეუღლემ რაიონიდან ჩამოსულ ჩემთან მცხოვრებ ჩემს ძმიშვილს, მეორე კურსის სტუდენტს ფული გაატანა და დაავალა: ყოველგვარი სატელეფონო გადასახადი, მათ შორის სამი კვარტალის სააბონენტო თანხაც, გადაგვიხადეო. ეს ჩვენი ცოდვით სავსე ბიჭი მარტო კომპიუტერებში მისულა და მხოლოდ საქალაქთაშორისო დაველიანება დაუფარავს. როცა შვებულებიდან დავბრუნდი და დავალიანების უწყება მომიეიდა, მაშინვე, სექტემბრის პირველ რიცხვებშივე, მთელი წლის მთლად ბოლომდე ვერა, მაგრამ თერთმეტი თვის საფასური სალაროში ერთბაშად შევიტანე. ორი თვის შემდეგ, ამ ერთი კვირის წინათ, რასა ვხედავ: ტელეფონი გამომირთეს. ორი თვისა რომ ნაადრევად შევიტანე, ის არაფერია! ჰოდა, ზუსტად ვერ გეტყვით, რისთვის, ვითო-

მდა თავიდან გიდგამთო თუ სხვა რამის გამო, ცალკე 65 ლარი გადამახდევინეს და ცალკე – დეკემბრის თვის გადასახადი. გესმით, 65 ლარი! მასწავლებლის ერთი წლისა და კიდევ მეტი ხნის ხელფასი! რა მექნა, ჩემი უტელეფონობა არ ეწყობა, ზუგდიდში ღრმად მოხუცი მშობლები მყავს. ამისათვის, რაც მებადა, ყველაფერი გავყიდე.

– რომ არ გადაგეხადა, ტელეფონს კიდეც გაგიყიდდნენ. ახლა დიდ ფულს თუ მისცემ, არც რიგს მოგთხოვენ და არც სამსახურიდან დახასიათება-შუამდგომლობას, ტელეფონს თბილისის ნებისმიერ უბანში დაგიდგამენ! ამას საიდან მოახერხებენ, თუ ჩვენისთანებს არ წაართმევენ! – უპასუხა მოსაუბრემ.

– თვიური სააბონენტო გადასახადი ისე გაზარდეს, ახლა მასწავლებლების, პროფესორების ხელფასების მეათედზე მეტს შეადგენს. – ამბობს ისევ პირველი.

– ჰო, სარგებლობენ იმით, რომ ამ დასაწვავს ვერ შევლევიართ და ზრდიან და ზრდიან ფასებს. კარგი თუ გინდა, ეს „ქუჩა“ არც უნდა შეიტანო სახლში. შევიტანთ და მერე უმისოდ ვეღარ ვძლებთ! ახლახან შეებულებას გურიაში ვატარებდი, – ჰყვება მესამე, – მომენატრა შვილიშვილის ხმა. მიდიხარ ოზურგეთის ფოსტაში თბილისში დასარეკავად და ყოველთვის უარს გეუბნებიან: ხან – ხაზი არ არისო, ხან – დენი არ ჰყოფნისო, ხან კიდევ – რას. მაგრამ არის ეგრეთ წოდებული კომერციული ხაზი. იგი ყოველთვის შეუფერხებლად მუშაობს, ოღონდ უსაშველოდ ძვირია, ორ სიტყვას ვერ მოაბრუნებ და ხუთი ლარის გადასახადი ხელში გიჭირავს!

– ჰო, აშენებული რომ ჰყავთ, ამიტომაა ამ ცხვირმოუხოცელ გოგოებს და უვიც ქალებს მასწავლებლებსა და მეცნიერებზე თხუთმეტ-ოცჯერ მეტი ხელფასი აქვთ და ამ ჯარიმებითა და სხვა ათასგვარი ხრიკებით ნაირ-ნაირი შემოსავალი კიდევ! – ისევ პირველი მოსაუბრე ავლებს პარალელს.

– ჰმ, საოცარი ამბავია, მთავრობა გვაქებს, ჭეშმარიტი გმირები ხართ, მადლობა თქვენ, ამდენს რომ უძლებთ, ცოტა კიდევ მოითმინეთ და აყვავებულ ქვეყანაში იცხოვრებთო. ნეტავ, სანამდე შეიძლება ამ ყოფის მოთმენა?! – საუბარმა უკვე პოლიტიკური ხასიათი მიიღო.

– გახსოვთ, თენგიზ სიგუა რომ პრემიერ-მინისტრი იყო და გვპირდებოდა, სამ წელიწადში ყველაფერი გამოსწორდება და ბედნიერები ვიქნებითო?

– ხა, ხა, ხა, ხა, ხა! – გამხიარულდა რიგი.

ვიღაცამ ისევ თენგიზ სიგუას დანაპირები კენიის ხორციც ახსენა.

– მთავრობის მეორე კაცი იმას რომ ვერ გაარკვევს, შეგეძლება თუ არა კენიიდან, კამბოჯიდან თუ ჯანდაბიდან ხორცის შემოტანა, სხვას რას გაარკვევს! – და ამას ისევ გულიანი ხარხარი მოჰყვა.

– ის გახსოვთ, თებერვალი იყო თუ მარტი, აჟღურტულებული ტელეჟურნალისტი მერაბ ბერაძე ვიცე-პრემიერ რომან გოცირიძეს საზეიმო ტონით ეკითხებოდა: აი, კონკრეტულად რომელი თვიდან იგრძნობს ხალხი შვებასო. ბატონმა რომანმა რა სერიოზულად და თავდაჯერებით უპასუხა: ახლა ჩვენ ეს აპრილი და მაისი გაგვიჭირდება, როგორმე უნდა გადავიტანოთ. ივნისიდან, უფრო ივლის-აგვისტოდან, ხოლო სექტემბრიდან კი ყველა თვალნათლივ დაინახავს, რასაც მივაღწევთო.

– ხა, ხა, ხა, ხა!...

– მერე შევიტყვეთ, თვითონვე აღიარა, თურმე, ისიც ვერ გაარკვიეს, ის კრედიტი თუ ნაჩუქარი ფული როგორ გამოეყენებინათ!

– შემდეგ მისი შემცვლელი ვიცე-პრემიერი და კოლეგა თემურ ბასილია წინა სექტემბრის ბოლოს თუ ოქტომბერში, პურის ფასი რომ ცაში აახტუნეს, არ გვპირდებოდა: ოთხი-ხუთი, მაქსიმუმ ექვსი-შვიდი თვე გავუძლოთ, წარმოება ამუშავდება და გვეშველებაო? – ხა, ხა, ხა, ხა!...

– ახლა დაბეჯითებით გვეუბნებიან: ამ საუკუნის ბოლოს ყველაზე მდიდარი ქვეყნები გერმანია და საქართველო იქნებაო.

– ხა, ხა, ხა, ხა!...

– ჰოდა, იქამდე რაღა დარჩა! თუ ამას გულით ამბობენ, რატომ მაიცადამაინც მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, ჩვენ, ინტელიგენციამ – მასწავლებლებმა, ექიმების უმრავლესობამ, მეცნიერებმა, კულტურის მუშაკებმა უნდა მოვითმინოთ? Iქნებ, ცოტა სხვებსაც – კავშირგაბმულობის, მეტროს, ძალისმიერ

და სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლებმაც მოითმინონ, მათი და ჩვენი ხელფასები ერთმანეთს ცა და დედამიწასავით რომ დააშორეს? როცა გვიჭირს, ერთნაირად გაგვიჭირვოთ ყველამ! აბა, ეს საქმეა: აქაოდა, ტელეფონს შეჩვეული კაცი უიმისოდ ვერ გაძლებსო და ყელში გვწვდნენ და გვახრჩობენ?! – ამ გულუბრყვილო მსჯელობაზე არავის გაუცინია.

სალაროსა და ქვითრის გამოსაწერი ოთახის სარკმელებთან ყვირილი და წყევლა-კრულვა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. ამ საუბრისა და დავიდარაბაში როსტომის რიგიც მოვიდა. მან სარკმელთან მოსულ წარბშეკრულ ქალს ქვითარი გაუწოდა და უთხრა: იანვარში მთელი წლისა გადავიხადე, ახლაც განსხვავებას მთლიანად მოგართმევთ.

ქალმა ტელეფონის ნომერი ჩაიწერა და თავისი მაგიდისაკენ გასწია. ის იყო, დავთარი გადაშალა, რომ თავზე სამი გოგონა დაადგა. ათი-თხუთმეტი წუთი ისაუბრეს. როცა გოგონები ოთახიდან გავიდნენ, სახეკუშტმა ქალმა დავთარს კარგა ხანს უკირკიტა, შემდეგ როსტომთან მივიდა და ჰკითხა: თქვენ ხომ ბუხაიძე ბრძანდებითო.

– არაო, – უპასუხა როსტომმა და თავისი გვარი და ტელეფონის ნომერი გაუმეორა.

ქალი ისევ დავთარს მიუჯდა. ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა და აჩქარებული ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. როცა დაბრუნდა, როსტომს ეახლა და გაანდო: ახლა წავედი და სია შევამოწმე, ტელეფონის გამოსათიშავად ხომ არ იყავით გადაცემულიო. კვლავ დავთარს მიუჯდა, საანგარიშოს თითი გაჰკრა და გამოჰკრა, რაღაც-რაღაცები წერა და, როგორც იქნა, როსტომს გამოწერილი ქვითარი გადასცა, თან დააყოლა: თქვენმა შემოტანილმა თანხამ თვე ვერ დაფარაო.

როსტომმა სალაროში გაიგო, რომ ერთი ლარით დაეჯარიმებინათ. გველნაკბენიით პირველ სარკმელს მიაშურა და რაღაც არაადამიანური ხმით დაიღრიალა:

– ქალბატონო, გიმეორებთ, იანვარში მთელი წლის საფასური წინასწარ გადავიხადე, ახლა ნოემბერში, თვე-ნახევრით ადრე, დანარჩენი მოგართვით. ნუთუ თქვენ ვერ ხვდებით ან ისეთი არავინ გყავთ, რომ დააფასოს, რას ნიშნავს ეს, რა სარგებელს გაძლევთ ამით და რა დაგაკელით იმით, რომ გაზრდილი, დიახ, გაზრდილი, შემდეგ მომატებული სა-

ფასური ცოტა ხნით დაგიგვიანეთ? მადლობის, წახალისების მაგივრად ჯარიმა მეკუთვნის? რატომ აკეთებთ ამას?!

– ტელეფონი რომ გამოგვეთიშა, მაშინ რაღას იტყოდით? – წარბშეკრულმა ქალმა ეს ისე მშვიდად წარმოთქვა, როსტომი დაიბნა. ერთხანს გაშეშებული იდგა, მერე თავში გაუელვა, უფროსთან შევალო. მაგრამ უმალვე თვალწინ წარმოუდგა ახმახი რუსის ქალი, რომელიც იმგვარივე ლოგიკით ლაპარაკობდა, როგორც წარბშეკრული. უფრო მეტიც, ერთს უტიფრად „უმტკიცებდა“, საბონენტო გადასახადი იანვრიდანვე ექვსასი ათასი კუპონი ღირდაო (მომსვლელთაგან ვინ იცოდა, ეს ახმახი ქალი, უფროსად რომ აცხადებდნენ, მთავარი ბუღალტერი იყო).

როსტომმა საათს დახედა. სტამბაში გაელა კი არა, უკვე ლექციაზეც აგვიანდებოდა. კარგად ხედავდა და გრძნობდა, აქ სამართლიანობისა და კეთილშობილებისათვის ბრძოლას აზრი არა ჰქონდა. აბუჩად აგდებული და გაბიაბრუებული ნაცემი ძაღლივით კიბეს დაუყვა. უცებ ვიღაც მერცხალივით გოგონა შემოაფართქალდა და მხურვალედ გადაკოცნა, – როგორ ბრძანდებით, ბატონო როსტომ?

როსტომმა იცნო თავისი ყოფილი სტუდენტი გოგონა, რომელიც კავშირგაბმულობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწაელობდა. ისიც გაახსენდა, ამ ვერცხლისწყალივით მოძრავ და ხალისიან ახალგაზრდას ფიზიკის კურსის მომზადება ძალიან გაუჭირდა. მაშინ როსტომმა გაითვალისწინა მისი ხალასი ბუნება, სიბეჯითე და მონდომება, ნიჭისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიუცია, დიდხანს არ გაუწვალებია, ისე დაუწერა დადებითი ნიშანი.

მოდურად და კოხტად ჩაცმული ყმაწვილი ქალი ახლა როსტომს ღიმილითა და სიყვარულით თვალებში შესციცინებდა. როცა წონასწორობადაკარგულმა პროფესორმა გაიგო, რომ გოგონა აქ ინჟინრად მუშაობდა, ანაზდად, თავისდაუნებურად, ნასტუდენტარს ჰკითხა:

– ახლა ჩემი თვიური ხელფასი 6 ლარი და 60 თეთრია, და ისიც გამოწერით. შენი რამდენია?

– ვაიმე, ბატონო როსტომ, მე იმდენად მეტი მაქვს, სირცხვილით ვერ ვიტყვი! – ყოყმანის შემდეგ ბორძიკით უპასუხა ქალმა და ყურებამდე გაწითლდა.

როსტომმა მაინც ათქმევინა გოგონას, – ხელზე 84 ლარს ვღებულობო. მერმე შუბლზე ეამბორა მას და მადლობით გამოემშვიდობა.

მიდის როსტომი და ფიქრობს: რა კარგი იქნებოდა, ერსა და ქვეყანას როგორ გამოადგებოდა, კაეშირგაბმულობის მინისტრს და ამ დარგის სხვა მესვეურებს, თუ იმდენი არა, იმის ნახევარი სირცხვილის გრძნობა და სინდისის ქენჯნა მაინც ჰქონოდათ, რაც ამ გოგონამ გამოხატაო. იმ მომენტში აფორიაქებულ და დაბეჩავებულ პროფესორს იმაზე აღარ უფიქრია, საქართველოსეულ საბაზრო ეკონომიკის პირობებში კაეშირგაბმულობის სამინისტროსა და მინისტრის ზემდგომ ორგანოთა შესახებ სინდისსა და ნამუსზე საუბარი რამდენად გონიერული და მიზანშეწონილი შეიძლება ყოფილიყო!

1996 წ.

ვივა კონკურს-ლატარიებს!

ჩვენი გაზეთის (და არა მარტო ჩვენი გაზეთის!) მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ რამდენიმე თვე მთელი საქართველო ტელევიზიით თვალყურს ადევნებდა, თვალყურს ადევნებდა კი არა, მთლიანად ჩართული იყო ფირმა „კოკა-კოლას“ მიერ გამოცხადებულ კონკურს-ლატარიაში: კოკა-კოლას მოყვარულ თუ არამოყვარულ მყიდველთაგან ვისაც ბედმა გაუღიმა და შეხვდა ამ ღვთაებრივი სასმელის ის ექვსი ბოთლი, რომელთა საცობებზე აღნიშნულია თითო ასო წარწერისა „ევრო 96“, დაჯილდოვდა ინგლისის საგზურით ევროპის ფეხბურთელთა პირველობაზე დასასწრებად, რომელიც ახლა ტარდება. იმთავითვე ცხადი იყო, ბედი გაუღიმებდა იმას, ვინც ბევრ „კოკა-კოლას“ იყიდდა. როგორც რეკლამა გვეუბნებოდა, მართლაც, იდილიური შემთხვევაა: იცხოვრე ფეხბურთით, სვი „კოკა-კოლა“ და მუქთად ისეირნე ინგლისში! არანაკლებ მიმზიდველია „ბორჯომის“ მიერ გამოცხადებული კონკურსი-ლატარია. ყიდულობ ნამდვილ „ბორჯომს“, „პახმელიიდან“ უმტკივნეულოდ გამომყვან ამ უებარ საშუალებას, ააძრობ ან აახევ ეტიკეტს, სუფთა მხარეზე დააწერ შენს სახელს, გვარს და ბინის ტელეფონის ნომერს, გაგზავნი ტე-

ლევიზიაში და დაელოდები „ბარაბანის“ დატრიალებას. თუ ბედი წაღმა დაგიტრიალდა და შენი გაგზავნილი ეტიკეტი ამოიღეს, პრიზიორი ხდები, თუ არა და, რასა ჰკარგავ? – „ბორჯომი“ ხომ შესმული და შერგებული გაქვს!

ამ ღონისძიებას დიდი სახალხო და ეროვნული მნიშვნელობა აქვს და, რა შედარებაა, ათასგზის უფრო კეთილშობილურია, ვიდრე 30-იან წლებში „შამპანიურთან“ დაკავშირებით სტალინის განზრახვა იყო. როგორც მაშინდელი საბჭოთა კავშირის (ფუი ეშმაკს!) სოფლის მეურნეობის მინისტრი იგონებს, სტალინს მისთვის უთქვამს, იმდენად უნდა გავზარდოთ „შამპანიურის“ წარმოება და შევამციროთ მისი თვითღირებულება, რომ იგი საყოველთაო-სახალხო სასმელად იქცესო.

ამ გორელმა იმდენი ქნა, რომ ეს გაზიანი, პირში შაქრის რწყილებდამსევი ღვინო მართლაც საყოველთაო სასმელად გახადა და შემდეგ, „პერესტროიკის“ ბელადებს ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სამწლიანი მწყობრი ღონისძიება რომ არ გაეტარებინათ, ვინ იცის, ფართო მასებში სანამდე გასტანდა მისი ბათქაბუთქი!

თუმცა უცხოური წარწერებით დამშვენებული „ბორჯომი“ ყოველ ნაბიჯზე – მაღაზიებში, ჯიხურებში, ტროტუარებზე, შუა ქუჩაში – ბლომად არის გამოდგმული და ჩამწკრივებული, მაგრამ ყველა ხედავს და დასამალი რა არის, მისი შეძენის სურვილი საქართველოში, რატომღაც, ძლიერ კი არა, კატასტროფულად შემცირდა. ეჭვი არაა, „ბორჯომის“ ხსენებული კონკურს-ლატარია ამ ანტიალკოჰოლურ სასმელს ისევ აქცევს საყოველთაო მოხმარების საგნად.

აუ, ყველას ვინ მოთვლის, რამდენი სხვა ამგვარი კონკურს-ლატარია ტარდება ტელევიზორში და კიდევ მეტი ცხოვრებაში! უკეთესი გამოგონება რა გინდა: ნაყინის გულში კაფსულით ერთლარიანი მოათავსო და შემდეგ ქუჩა-ქუჩა იყვირო: – აბა, მოგებიანი „მაროჟნიაო“!

ახლა მკითხველს გვინდა მოვახსენოთ იმ კონკურს-ლატარიის თაობაზე, რომელიც ფარულად, მაგრამ ყოველდღიურად, თურმე, მიმდინარეობს, დაწყებული 1994 წლის ოქტომბრიდან, როცა პურის ფასებს სადაღე გვარიანზე მეტად მივუშვით. ერთხანს იგი თბილისის მასშტაბით ტარდებოდა, მერე

მ თ ე ლ ი საქართველო მოიცვა, – ენგურის ხიდიდან წითელ ხიდამდე და გორის რაიონიდან მესხეთ-ჯავახეთამდე.

კონკურს-ლატარიის წესი აქაც მარტივი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომია: თვალისა და ხელის შეელებით უნდა გამოვიცნოთ, დახლზე დალაგებული თუ დაყრილი პურებიდან რომელია დადგენილ-დაწესებული წონის შემცველი. ვინც ამას შეძლებს, მას 600-გრამიანი პური „უტალონოდ“ და ნახევარ ფასად ეძლევა. ამავე დროს, ჯილდოვდება სიგელით „ოქროს თავთავი“, ხოლო მისი სურათი, ოქროს ვარაყში ჩასმული, და თვით გამოცნობილი პური გამოიფინება დიდუბეში, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ეზოში, საგანგებოდ დამზადებულ სტენდზე.

მკითხველისთვის, ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა, რატომ ტარდება იგი ფარულად, უაღრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში. დიახ, იმიტომ, რომ პურ-ფუნთუშეულის მრეწველობის მუშაკებმა ამ კონკურსისათვის საგანგებოდ არ სცადონ პურის ზუსტი წონის დაცვა და ყველასათვის ნათელი იყოს ჩვენს სახელმწიფოში არსებული რეალური ვითარება.

ამ წლი-ნახევრის განმავლობაში კონკურსის შედეგები ასეთია: გამოელინდა მხოლოდ ცხრა გამარჯვებული – ოთხი – 600-გრამიან პურში, ორი – 800-გრამიანში, ერთი – 900-გრამიანში და ერთი კიდევ – კილო-ნახევრიან „ბუხანკაში“.

მკითხველს რომ გულზე არ შემოეყაროს, აქვე განვმარტავთ: ასე საოცრად დაბალი მაჩვენებელი სრულებითაც არ ნიშნავს ჩვენი ხალხის ნიჭისა და მიხვედრილობის დაბალ დონეს. არა, ნამდვილად არა! იგი გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ არც ერთი გამომცხვარი პური სტანდარტული არ არის. ზოგი მეტია 30 გრამით, ზოგიც 50, 70, 90, 100 და 150 გრამითაც (დიახ, მეტი! თქვენ, რა, „ნაკლები“ გნებავდათ, დამეწერა?).

რა თქმა უნდა, ეს ფაქტი საზოგადოებაში დიდ უკმაყოფილებას იწვევს. მართალია, როცა არ ვაკლებთ და მეტს ვიძლევით, ცალკე პიროვნებისათვის კარგია, მაგრამ დღეს პირადული კეთილდღეობითა და კმაყოფილებით ვინ შემოიზღუდება? ხომ ფაქტია, რომ, თუ ასე მეტ-მეტი პური გაეცით, ეს ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელს შეუშლის.

დროა, ამაზე იფიქროს პურ-ფუნთუშეულის თავკაცმა სოზარ პურჭამაძემ!

გაირკვა, სანამ საბარათო სისტემა არსებობდა და პურის პრივატიზაცია მთლიანად არ დამთავრდა, **ზედმეტწონიანი** პურის გამოშვების ჩვეულებას არაფერი ეშველა. ვნახოთ, ახლა როგორ წარიმართება საქმე, როცა ეს პროცესები დასრულდა და პურის ფასებს აღვირი სულ წავხსენით, თუ „კოკა-კოლასა“ და „ბორჯომის“ მსგავსი კონკურს-ლატარიების მოწყობა დაგვჭირდა, ავშენდით და ეს არის!

1996 წ.

აი, მიგნება, ბრავო!

მოვიდა 1997 წელიც. ის წელი, რომელიც, 1992 წლის მთავრობის დაპირებით, საქართველოს გაფურჩქვნისა და აყვავების მესამე წელი უნდა ყოფილიყო. ალბათ, ხუმრობდნენ ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მესვეურები. ჩვენ კი მას ბაჯაღლო სიმართლედ ვღებულობდით. მთელი სერიოზულობით უნდა განვაცხადო: თუ თანამედროვე ტერმინით ვიტყვით, ცუდი „შაყირი“ არ გამოსვლიათ!

დიახ, დადგა 1997 წელი და მას იმედიანი და გაცინებული სახეებით შევეგებეთ, ტელევიზორის ეკრანზე ვტლიკინებთ და ვტლინკაობთ, ვიმხიარულებთ თავს, მაგრამ ეს ოხერი მხიარულება არა და არ გამოგვდის. როცა ამა თუ იმ ანეკდოტსა თუ ოხუნჯობაზე სიცილით მუცელზე ვსკდებით, თვალწინ მაინცადამაინც მაშინ წარმოგვიდგება საქართველოს დაპატარავებული რუკა, შინ და გარეთ სამათხოვროდ ხელგაწვდილი ქართველი, ათიათასობით ახალგაზრდისა და ნაადრევად წასული პენსიონერების ცხელი საფლავები და, ძნელია, თავი მარტო იმით ინუგეშო, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანაა ან რესტორან „ევროპასა“ და სასტუმროების – „მეტეხისა“ და „საქართველოს“ რესტორნებში მუსიკა გრიალებს და „გრიალებს“ შენი სისხლისა და ხორცის მქონე ერთი ნაწილი.

ამ დროს ცოტაოდენ გაიმედებს და ერთი სული გაქვს, ტელევიზიის მეორე არხზე როდის გამოჩნდება მიხეილ ცაგარელი, ჰოროსკოპის ეს სწორუპოვარი მინდია, და აგვიხსნის,

რას გვაუწყებენ ვარსკვლავები. ეუსმენთ, ერთი მხრივ, ბატონ მიხეილს, რომელიც სფინქსის გაქვავებული სახით და ფოლადის ენით გვესაუბრება კოსმიურ საიდუმლოებაზე, – ამა თუ იმ ბედის ვარსკვლავზე გაჩენილნი როგორნი არიან და რა მოელით, მეორე მხრივ, მის პაციენტებს, – ჩვენი კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს, კინოსა და თეატრის მოკაშკაშე ვარსკვლავებს, რომლებიც აჟღურტულებულნი გულღიად და დიდი ხალისით წარმოაჩენენ თავიანთი შინაგან ბუნებასა და შინაურ ყოფას. ეუსმენთ და გაოცებული და აღფრთოვანებული ვრჩებით იმ სრული ჰარმონიის გამო, რომელიც, თურმე, ცის ვარსკვლავთა გადაწყვეტილებებსა და მიწიერ ვარსკვლავთა ცხოვრებაში სუფევს.

დიახ, დიდი მოუთმენლობით ველოდებოდით დღეებისა და თვეების გასვლას და ახალი წლის დადგომას თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი გამოჩენილი ეკონომისტები, ბატონები თემურ ბასილია და ვლადიმერ პაპავა სერიოზული სახით და მტკიცე მსჯელობით გვარწმუნებდნენ უახლოესი მომავლის სიდიადეში.

გახსოვთ, როდესაც ლარი შემოვიღეთ და ყველაფერზე ფასმა აიწია, კერძოდ, სამარშუტო მიკროავტობუსებით ქალაქში მგზავრობა 1000 მანეთი რომ ღირდა, 25-ის მაგივრად 30 თეთრი გახდა, ხოლო საქალაქთაშორისო ავტობუსებით მგზავრობის ფასი 15000 მანეთი, 3 ლარისა და 75 თეთრის ნაცვლად, 4 ლარით შეიცვალა, ხალხი აყაყანდა, ფულის შეცვლას გაძვირება მოჰყვაო. მაშინ ჩვენი ეკონომიკის ამ კარუზოებმა ტელევიზიით გვისალბუნეს და დაგვამშვიდეს: ეს დროებითი ამბავია, საბაზრო ეკონომიკა მას მალე დაარეგულირებსო.

ჩვენ, არა მარტო ფულის, არამედ იუმორის არმქონეებმა, მათი ნათქვამი ისე გავიგეთ, ყველა ფასმატება, მათ შორის აღნიშნულიც, რამდენიმე თვეში გაქრებოდა, სახელდობრ, მგზავრობა კიდევ უფრო გაიაფდებოდა. სინამდვილეში, ერთწლიანი დარეგულირება ასე მოხდა: 30-თეთრიანი მგზავრობა ჯერ 40 თეთრი გახდა და შემდეგ 50, 4-ლარიანი ჯერ 5-ით შეიცვალა და შემდეგ – 6-ით.

არა, ვერ დავიჯერებ, რომ, როგორც ძველად იტყოდნენ, ეს აღმატებული გვამები შემცდარიყვნენ, მით უფრო ვერ

ვიფიქრებ, გვატყუებდნენ. ისინი უთუოდ „შაყირობდნენ“, გვართობდნენ და ჩვენ კი ამას ვერ ვხვდებით და არ ვუმადლით. ჩვენი ბრალია, რომ ვერ წარმოგვიდგენია, კაცი, რომელიც ქრისტეს ჰგავს თუ ბაძავს და ერთხელაც არ გაიღიმებს, ან წვერ-ულვაშს ისე დაიყენებს, ძველ ბერძენ ბრძენთაგან ვერ გამოარჩევ, შეიძლება ასე ოსტატურად ხუმრობდეს!

რა, თუკი კარგად გაიცნობიერებ, სასაცილოზე მეტი არ არის ის გარემოება, რომ მოსახლეობა დახარჯული ელექტროენერგიის მეათედის გადახდასაც ვერ ახერხებს და ამ დროს მის ღირებულებას 30 პროცენტით ვადიდებთ და კიდევ ორი თვის თავზე მის გაზრდას ისევ 30 პროცენტით ვაპირებთ? თანაც, როდის ხდება ეს და რა სახით, – ზუსტად საახალწლოდ, თოვლის პაპის ხონჩაზე დადებული!

ბრავო, აზრისა და ქმედების სითამამესა და სიდიადეს!

მაგრამ შესაშინებელი აქ არაფერია, აქვე ამუშავდება ხალხის დამცავი მექანიზმი. მაშინ როდესაც გაჭირვებული ხალხი ახალი წლიდან პენსიებისა და ხელფასების მომატებას ელოდა, ზოგი 100 პროცენტით, ზოგი არანაკლებ 40 პროცენტით, გავიგეთ, რომ პირველი იანვრიდან ყველა პენსიონერი მიიღებს დანამატს 1 ლარსა და .30 თეთრს, ოღონდ ეს თანხა მას კი არ მიეცემა, არამედ პირდაპირ „საქენერგოს“ ანგარიშზე გადაირიცხება. ამით საქართველოს პენსიონერთა მარაქას კიდევ ერთი პენსიონერი – „საქენერგო“ – ემატება. დანამატს მიიღებენ აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებიც და ბევრად უფრო მეტსაც – 3 ლარს, ოღონდ ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ ჰქონიათ, მთლიანად გადაერიცხა იგი „საქენერგოს“ თუ ნაწილობრივ, – 2 ლარი.

გენიალური მიგნებაა, არა?!

აქამდე გენიალურ მიგნებად მიგვაჩნდა ხელფასების ამჟამად არსებული ე. წ. პროგრესული დაბეგვრა, როდესაც ხელფასის ზრდასთან ერთად დასაბეგრავი თანხა პროცენტულად იზრდება და ყველა თვის ხელფასი იანგარიშება წინა თვეების ხელფასთა ჯამით. თუ თვიური ხელფასი გაქვს 30 ლარი, ოქტომბერში დაგექვითება 300 ლარიდან, ნოემბერში – 330, ხოლო დეკემბერში – 360 ლარიდან. თანაც, თუ 50 ლარზე იქვითება 10 პროცენტი, 100 ლარიდან და შემდეგ დასაბეგრავი

პროცენტი ორმაგდება და სამმაგდება. ამის შემდეგ აღარ გიკვირს, ისედაც მწირი ხელფასიდან ხელში ხვიშტი რომ გრჩება!

ან კიდევ გენიალური გამოგონება არაა პარლამენტართა ძირითადი ხელფასისა და დანამატის ოქროს პროპორცია და მისი მიმართება სხვათა, მაგალითად, პროფესორის ხელფასთან. განა პარლამენტართა ხელფასის დანამატი არ მოგაგონებთ იმ ოინბაზ ჭიანჭველას, კომუნისტების დროს საზღვარზე რომ გადადიოდა და სპილო გადაჰყავდა, რომელსაც აქეთ-იქიდან თითო პურის ნაჭერი ჰქონდა შემოდებული? სპილოს გადაყვანისათვის საბუთის მოთხოვნაზე ჭიანჭველამ მესაზღვრეს რა რიხიანად უპასუხა, ეს ჩემი ბუტერბროდიაო.

პარლამენტარებს რომ ბუტერბროდი ეკუთვნით, ეს სადავო არ არის და გაოცებას ის იწვევს, როცა მათ სპილოსოდენა ბუტერბროდს ვუბოძებთ, სხვებს ხმელი პურის ყუის მოთხოვნილება უჩნდებათ. ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილება კი სახელმწიფოს უჭირს.

მაშ, ასე: ხელფასზე გიმატებ 3 ლარს, რვალარნახევრიან პენსიაზე – 1 ლარსა და 30 თეთრს და, როგორც „კოლმეურნის ქორწინებაში“ უორა შავგულიძე პაპიროსს ყველას მიაწოდებ-წაუჩვენებს და ჯიბისკენ გააქანებს, მეც დანამატს „საქენერგოში“ გავაქანებ. შენ, მოქალაქე, ხომ მოგებული ხარ, – ხელფასი და პენსია მოგემატა და ელექტრონის საფასური ნაწილობრივ გადაიხადე, მეც, სახელმწიფო, მოგებული ვრჩები, – ყველას ვაჩვენებ, რომ დანაპირები ხელფასი და პენსია მოგიმატე. ხელფასის დანამატი 3 ლარი პროგრესული დაბეგვრის დროს გამომადგება. ხომ იცით, ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც ხეირია!

– ვერაფერს გენიოსურს ამაში მე ვერ ვხედავ, – მეკამათება ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარი, – ყოველ შემთხვევაში, ორიგინალური არ არის. ისე, როგორც პარლამენტში წარმოდგენილი კანონპროექტები სხვებისგანაა გადმოწერილი, ესეც ნიკო კეცხოველის ნააზრევიდანაა აწაპნილი.

– გადამრეს ეს კაცი! როგორცთუ ნიკო კეცხოველისაგან?

– როგორ და, – მიხსნის ჩემი მეგობარი, – გახსოვს, ჩვენი სტუდენტობისას ქართლოს კასრაძემ უნივერსიტეტის სცენაზე რექტორი ნიკო კეცხოველი რომ გამოაჯავრა, თუ

სხვა რამის გამო იყო, კარგად არ მახსოვს, ბატონი ნიკო მას დაემუქრა, სტიპენდიას მოგიხსნიო. ქართლოსი არ შეშინდა, მუქარა ფეხებზე დაიკიდა: სტიპენდია არ მაქვს და ვერ მომიხსნიო.

– დაგინიშნავ და მოგიხსნიო! – რა დაუნდობლად უპასუხა ბატონმა ნიკომ. ჰოდა, პენსიისა და ხელფასის ეს მომატებაცა და წართმეულიც იგივე არ არის? ახლა არ დამიწყო იმის მტკიცება, ეს ანეკდოტია და არა ნამდვილი ამბავიო! – დაასრულა განმარტება ჩემმა მეგობარმა.

ღმერთო დიდებულო, რას არ გაიგონებს კაცის ყური!

მე კი ოპტიმისტი ვარ და, რამდენიც უნდა გამამტყუნონ, მაინც აღტაცებით შევძახებ: **აი, მიგნება, ბრავო!**

1997 წ.

კონსტიტუციის სრულყოფისათვის, ანუ ძირს პატიოსნება და გაუმარჯოს აფერას!

ეს ტრაგიკომედია 1999 წლის 31 ოქტომბერის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან ზუსტად 21–ე დღეს შემემთხვა. როცა არჩევნების მეორე (დიახ, მეორე!) დღესვე დაპირებული 24-საათიანი შუქის ნაცვლად სინათლე ჩვენს ფანჯრებში თვალის ჩაკვრით უმალვე გაქრა, წყალსაქაჩების უდენოდ დარჩენის გამო წყალმაც თავი დაგვიკრა და ცარიელმა ონკანმა მომაკვდავივით ამოიხროტინა, დოლარის კურსი ერთი ხელის წამოკვრით მაღლა ახტა, ბაზარზე ფასები მასვე მიჰყვა და ზედაც გადაახტა, ის სასაცილო და სატირალი პენსიები და ხელფასები კვლავაც უნამუსოდ არა და არ ჩანდა, გაოგნებული, მშიერი ხალხი კი სინანულით იძახდა, მოგვატყუეს, მოგვატყუესო, მაშინ მე თავი ყინჩად მეჭირა, ამაყად დავიარებოდი და ბრბოდ ქცეულ ჩემს თანამემამულეებს მედიდურად ზევიდან დავყურებდი.

ვინც მიცნობს, უთუოდ გაიკვირვებს და იტყვის: არქივებსა და სიძველეთსაცავებში მძრომიალემ, დღენიადაგ ჭიან ხელნაწერებში თავჩარგულმა, უხელფასო ხელფასის შემყურე ამ დროულმა კაცმა, ნეტა, საამაყო და თავმოსაწონი რა პოვაო?! მოგახსენებთ: სხვა არაფერი, მხოლოდ ის, რომ თავს მოტყუებულად არ ვგრძნობდი.

როცა წინასაარჩევნოდ მმართველი პარტია „მოქალაქეთა კავშირი“ და ხელისუფლება ათასპირ ტყავში ძვრებოდნენ და დაპირებებს დაუნანებლად და ხელგაშლილად იძლეოდნენ, მე მათ ირონიული ღიმილი ვუყურებდი და შესანიშნავად ვიცოდი, ყოველივე ეს ისეთივე სიცრუე და თვალთმაქცობა იყო, როგორც წინა წლების არჩევნებისას აღთქმული სიკეთე და კეთილდღეობა.

შარშინდელ საარჩევნო მარაქაში არ გამრიეს, თორემ მეც მინდოდა ტელევიზიის პირველი არხით გამოვსულიყავი და, ჩვენი მსახიობების დარად, პირმომღიმარსა და თავისუფალ პოზაში მჯდომს, საქვეყნოდ გამეცხადებინა: მე მხარს ვუჭერ მმართველ პარტიას, რადგან იგი ყველაზე კარგად ტყუის!

რაღა დავმალო, საკუთარ თავზე ისეთი წარმოდგენა შემექმნა, ჩემი მოტყუება შეუძლებელი მეგონა, თუმცა იმაში კი ნამდვილად მოვტყუვდი, რომ ველოდი, მთავრობა იმ გაძვალტყავებულ პენსიებსა და ხელფასებს წინასაარჩევნოდ მაინც დაარიგებდა. ვერ გავითვალისწინე, რომ ჩვენი საზოგადოება იმდენად კასტრირებულია, მთავრობა ჩინებულად გრძნობდა, არჩევნებში უიმისოდაც იოლად გავიდოდა.

ამგვარ ნარცისის მდგომარეობაში რომ ვიყავი, სრულიად მოულოდნელად გამაცურეს და მერე როგორ!

ის იყო, ფული სესხად ვიშოვე; შედარებით იაფფასიან აფთიაქში გულისა და წნევის შედარებით იაფი წამლები ვიყიდე და „დეზერტირების“ ბაზრისაკენ გავსწიე. საცაა დაბინდებოდა, შინ არაფერი გამაჩნდა და ეისწრაფოდი, რაიმეს ყიდვა მომესწრო.

ვაგზლის მოედნის ქვედა კუთხეს რომ მივაღწიე, ჩხუბი და აყალმაყალი მესმის:

– შენ რატომ უნდა ამოიღო, რატომ? სხვამ ამოიღოს!

ვხედავ, შიშველი მაგიდის ირგვლივ ახალგაზრდებს წრე შეუკრავთ, ხელთ მარაოსებურად გაშლილი კარტები და დასტად ფული უჭირავთ, წინაც ფული უყრიათ. მათ რომ გავუსწორდი, ერთ-ერთი მათგანი, ლამაზი და კოხტად ჩაც-მული ახალგაზრდა კაცი, ჩემკენ შემობრუნდა, განსაკუთრებული მოწიწებით თავი დამიკრა, მომიბოდიშა, გაგაჩერეთო, მთხოვა, ერთი წუთის ამბავია, ვთამაშობთ და, თუ ძალიან არ შეგაწუხებთ, ამ ტომსიკიდან სამი ბურთულა ამოგვიღეთო.

ბანქოს თამაშს ათვალწუნებით კი ვუყურებ, მაგრამ ახალგაზრდებს ხათრი ვერ გავუტეხე. რომელიმე მათგანს რომ არ სწყენოდა, შავ თოფრაკში ხელი ღრმად ჩავყავი, ბურთულები ერთმანეთში კარგად ავრიე და სამი ბურთულა, რომლებზედაც ციფრები ეწერა, ცალ-ცალკე ამოვიღე.

– მოვიგეთ, მოვიგეთ! – უცებ აყვირდა მარცხნივ მდგომი, ჩემი მიმწვევი ლამაზი ბიჭი, – აი, ნახეთ, აი, ნახეთ! – რატომღაც მე მომმართავს და კარტებსაც მე მაჩვენებს, – ახლა ჩვენ ორმაგად შეგვიძლია მოვიგოთ! – აღტაცებით ხტუნავს ის.

კარტებს ერთი კი უაზროდ დავხედე, მაგრამ მისი არაფერი გამეგება და გარკვევა არც ახლა მიცდია.

– ბიჭებო, ღმერთმა ყველანი ყოველთვის მოგებული გამყოფოთ! – დავლოცე ისინი და წასასვლელად ნაბიჯი გადავდგი თუ არა, ლამაზი ბიჭი მკლავში მწვდა.

– სად მიდიხართ, ეს ჩვენ მოვიგეთ, ნახევარი თქვენ გეკუთვნით, – მითხრა და ხელში მქონე ფულის თელა ფაციფუცით დაიწყო.

გამელიმა და წასასვლელად ისევ ნაბიჯი გადავდგი. კოხტა ბიჭი ისევ მწვდა მკლავში:

– ამ ფულის ნახევარი თქვენ გეკუთვნით და მე ხომ არ დავიტოვებ? – ნაწყენი კილოთი მეუბნება იგი.

– არა, ბიჭებო, ამ თანხის ამღები მე არა ვარ! – გადაჭრით ვიმეორებ და ისევ წასვლას ვაპირებ.

ლამაზი ბიჭი კელავ არ მიშვებს. აქედან, რა თქმა უნდა, ერთ თეთრსაც არ წავიღებ, მაგრამ ახლა მე სულ სხვა რამ მაოცებს: იმ დილით ჩემმა ნათესავმა ქალმა, ეთერმა, „*ხვაგისა და ბარაქის კვერი*“ შემაჭამა, ფულს იშოვიო, ნუთუ ის მართლდება?!

ეთერი, მამაჩემის ბიძაშვილის შვილი, 50 წელს მიტანებული მანდილოსანია, ორი შვილისა და ხუთი შვილიშვილის პატრონი, პროფესიით ჟურნალისტი, თავის დროზე აქტიური კომკავშირელი და შეუპოვარი ათეისტი, ეროვნულ მოძრაობაში უმალვე თავით გადაეშვა და მორწმუნე გახდა, მაგრამ რა მორწმუნე! ყველა მკითხავი, ნათელმხილველი თუ ექსტრასენსი, ჯადოსმკეთებელი ხოჯა, აღმოსავლური და დასავლური ჰოროსკოპები და ათასგვარი ავგაროზი, თილისმა და ტაბუ

ზედმიწევნით გაიცნო, შეისწავლა და იცოდა. როგორც მკვლევარსა და მეცნიერს, დიდად მაფასებდა, მარტოხელად დარჩენილსა და სიღატაკეში ჩავარდნილს თანამიგრძნობდა და ყველანაირად ცდილობდა, დამხმარებოდა.

ორი დღით ადრე ტელეფონით დამელაპარაკა: ვიცი, შენ არ გწამს, მაგრამ ისეთი რამ ვისწავლე, ფულს შემოგიტანს და სულს მოგათქმევინებსო და სხაპასხუპით ამიხსნა, თუ როგორ მზადდებოდა ეს „*ხეკისა და ბარაქის კერი*“.

– ვიშოვე იერუსალიმიდან ჩამოტანილი ცომი. მასთან ერთად პურის ფქვილს, შაქარსა და რძის ფხვნილს მოვზელ, ორ დღეს გავაჩერებ, მერე სამად გავყოფ, ერთ ნაწილს ერთ ღარიბ მეზობელს მივცემ, მეორეს – მეორე ღარიბ მეზობელს, მესამეს შენთანვე გამოვაცხობ და შეჭამ. ნუ იცინი, ლალიმ გააკეთა ეს და, სულ რომ არ ელოდა, რუსეთიდან შვილმა ფული გამოუგზავნა.

ეთერი დილით მესტუმრა. პურის ფული მქონდა, მაგრამ დენი არ იყო, ლიფტი არ მუშაობდა, ტკბილმა კერძმა კი მშვენივრად დამანაყრა და ეს ხანდაზმული კაცი პურისთვის რვა სართულზე ფეხით ჩასვლა-ამოსვლას გადამარჩინა.

იმ დღეს ფულის მორიგ სასესხებლად მივდიოდი. ხელფასისა და გრანტის რა თანხაც მაქვს მიუღებელი, სესხებასაც იმ ფარგლებშიც ვებედავ. ვალი 500 ლარამდე დამიგროვდა. მადლობა ღმერთს, მევალეები ნათესავები არიან და პროცენტულ გადასახადს არ მთხოვენ. ახლა შორეული ნათესავი უნდა შემეწუხებინა, რომელიც პრივატიზაციის წყალობით ვეებერთელა სასურსათო მაღაზიის მფლობელია და არ ვიცოდი, ფულს პროცენტით მასესხებდა თუ უპროცენტოდ.

როცა კერი შევჭამე და კარებში ერთად გამოვედით, ეთერმა მითხრა: ნახე, ფული დღესაც თუ უპროცენტოდ არ იშოვოო. მისი სიტყვა ამისრულდა. იმ დალოცვილმა, რაც ვთხოვე, 60 ლარი, უპროცენტოდ მასესხა და თან დააყოლა: როცა იშოვი, მაშინ მომიტანეო. ეთერს უკვე სათქმელი ჰქონდა, ჩემმა კერმა გაამართლაო, მაგრამ ეს რა ხდება? თუ ვიკადრებ, 60 ლარს და კიდევ მეტს, მუქთად ვშოულობ! რასაკვირველია, ისე არ დავეშვები, ბანქოში მოგებულ ფულს ხელი ვახლო, მაგრამ ამ სინამდვილეს, შემთხვევითია იგი თუ კანონზომიერი, ვერსად გაექცევი!

– დიდი მადლობა, ბიჭებო! გითხარით, ამ ფულს მე ვერ წავიღებ, ღმერთმა თქვენ მოგახმაროთ! – მტკიცედ ვთქვი და წამოსასვლელად ენერგიულად გავიწიე, მაგრამ ლამაზი ბიჭი ისევ წინ ამესვეტა და მეუბნება:

– მაშინ ერთი პატივი კიდევ გვეცით, კარგი ხელისა ბრძანებულხართ და ბურთულები ერთხელ კიდევ ამოგვიღეთ!

ძალიან მეჩქარებოდა, მაგრამ ვერც ახლა ვთქვი უარი. თოფრაკისაკენ ხელი წავიღე და ამ დროს ჩემს მოპირდაპირე მხარეს მდგომი მოთამაშე, გაუპარსავი და ახმახი, 35-38 წლის კაცი, ლამაზ ბიჭს ღრენით ეუბნება:

– რატომ აკეთებ ამას, კაცს კაპიკი ფული ჯიბეში არა აქვს და შენ კი გინდა ფული მოაგებინო!

– ექნება, როგორ არ ექნება, სულ უკაპიკოდ როგორ იქნება? – პასუხად მესმის აქეთ-იქიდან.

– ჩემი ფული რა შუაშია, მე ხომ არ ვთამაშობ? – გავიკვირვე მე.

– არა, მაგრამ წესია ასეთი! – ხმადაბლა მიხსნის ლამაზი ბიჭი.

მეჩქარება, არ მინდა დრო კამათში დავკარგო და ჯიბიდან იმ 48 ლარს ვიღებ. რომელიც ნასესხები 60 ლარიდან წამლების ყიდვის შემდეგ დამრჩა.

– აი, ხომ ხედავ, აქვს! – ამაყად აცხადებს ლამაზი ბიჭი და მის წინ გროვად დაყრილ ფულს ჩემკენ აჩოჩებს,

– ხომ ხედავ, აქვს! ა, ბატონო, შენ თვითონ დათვალე! – გამარჯვებულის იერით არ ეშვება ის ახსნას, თავის ფულებს, რომელიც ხელში უჭირავს, მე მაჩეჩებს, ჩემსას ბოდიშის მოხდით იღებს, აქედან მსხვილ კუპიურებს, 40 ლარს ახმახს წინ უყრის, დანარჩენ ოთხ ორლარიანს უკან მიბრუნებს და მეუბნება: გთხოვთ, ამოიღოთ.

ერთმა გულმა მითხრა, ჩემი ფული ამეღო და ჯიბეში ჩამედო, მაგრამ ახალგაზრდებს უნდობლობა არ ვკადრე. უფრო მეტიც: ის ფულები, რომლებიც ლამაზმა ბიჭმა ხელში ჩამჩურთა, მის წინ დაეყარე. ერთი ბურთულა რომ ამოვიღე, ახმახის ხმა მესმის, არ გეშინია, რომ წააგო? ეგონა, ამას ლამაზ ბიჭს ეუბნებოდა და მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ, როცა მეორე ბურთულა ამოვიღე, ჩვენი თვალები

ერთმანეთს შეხვდნენ და ახმახმა იგივე უკვე გარკვევით მე გამიმეორა, გაოცებით მივუგე:

– რატომ უნდა მეშინოდეს, მე ხომ არ ვთამაშობ?

– შენ უკვე თამაშობ! – მშვიდად და, მეჩვენება, აგდებით მეუბნება ახმახი.

– ერთხელ კიდევ ვაცხადებ, მე არ ვთამაშობ! – გადაჭრით და ხმამაღლა ვიმეორებ და, დროზე რომ მოვრჩე ამ ამბავს და ბაზარს მივუსწრო, დანარჩენ ორ ბურთულას დაუყოვნებლივ ზედიზედ ვიღებ.

– ფუ, არ წავაგეთ! – „სასოწარკვეთით“ დაიყვირა ლამაზმა ბიჭმა, თვალის დახამხამებაში კარტები მაგიდაზე დაყარა, ჩემ წინ გროვად დაყრილი ფული ერთი ხელის მოსმით ახვეტა, ამხმახს წინ დაუყარა და იქაურობას გაშორდა. ახმახმაც ისინი ფაციფუცით აკრიფა და, ჩემიც ზედ რომ მიაყოლა, ხელებში ვეცი, ჩემი თანხა სად მიგაქვს-მეთქი?

– მე შენთვის ფული არ გამომირთმევია, ვისაც მიეცი, მასვე მოჰკითხე! – ცივად ამბობს ის და მიდის.

წინ გადავუდექი, *მე ხომ არ ვთამაშობდი-მეთქი*, მაგრამ, ცხადი იყო, ეს არ ედარდებოდა მას, ადვილად მომიშორა და ხალხს შეერია. ახალგაზრდების ჯგუფმა უმალვე ალყაში მომაქცია.

– ბიძაჩემო, ხომ ხედავ, ჭამე და გაჩერდი ახლა!

–ბაბუ, მოგება გინდოდა? ვინ მოგაგებინებს აქ?! – ყოველი მხრიდან სეტყვესავით მაყრიან და ისინიც ხალხს ერევიან.

მიწასთან გასწორებული ვარ. ვხედავ, მშველელი არავინაა. იმდენად ფულის დაკარგვა არ მაშფოთებს, რამდენადაც ჩემი გულუბრყვილობა და მათი ძალადობა და ყოველად უნამუსობა.

კარგა ხანს გაოგნებული ვიდექი, მერე რეტდასხმული უნებურად ჩაბნელებულ ქუჩას გავყევი. სახლამდე ფეხით მივედი. მომაგონდა, რომ შინ საჭმელი არაფერი მებადა. იქვე სანთლით განათებულ საარდაფში ჩავედი და მათგან დაბრუნებული 8 ლარიდან ოთხი ლარი ყველში მივეცი. იქიდან პურის საყიდლად ასევე სანთლით განათებულ ჯიხურს მივადექი. ჩავიყავი ჯიბეში ხელი და ვნახე, მარტო ერთი ორლარიანი მაქვს. ბევრი ვეძებე, სარდაფშიც დავბრუნდი და ვი-

კითხე, მაგრამ მეორე ორლარიანს ვერსად მივაგენი. არ ვიცი, ხელს ამოყვა და დამივარდა, თუ ყველის გამყიდველს გადავაყოლე.

ეს ერთი წიხლიც ვიგემე, წყედიადადქცეული სადარბაზოს რვა სართული ხელის ცეცებით ავიარე და გაყინულ და ჩაბნელებულ ოთახში ლასლასით შევაბიჯე. ერთ ხანს უკუნეთში უაზროდ ვიჯექი, შემდეგ ნავთის ლამპა ავანთე და ტელეფონით ეთერს ვახარე:

– ჩემო ეთერ, ეს რა კარგი რამ მაჭამე, 60 ლარი უპროცენტოდ მასესხეს და ბანქოს მოთამაშეებმა 60-იც საჩუქრად ზედ დამიყოლეს-მეთქი და წვრილად მოვუყევი, რაც ფულის წართმევამდე მოხდა. ბოლოს დავუმატე, ვითომც ჯიბეში ფული ძალით ჩამიტენეს და ისე გამომიშვეს.

უნდა მოგესმინათ ეთერის აღტაცება, როგორ კისკისებდა და ხარობდა იგი! მაგრამ ხუთიოდე წუთის შემდეგ, სინამდვილე რომ გავაცანი, ვიგრძენი, როგორ გაშრა ქალი.

სამი დღის შემდეგ ეს ამბავი მთელმა ჩემმა სანათესაომ, სამეგობრომ და სამსახურმა იცოდა. ერთმანეთს ასკდებოდნენ და ისე ჰყვებოდნენ, ზოგი მსუბუქად და ზოგიც საკმაოდ ღრძოდ იკვირვებდა, პროფესორი კაცი მეთორმეტე საუკუნის ამბებს იკვლევ და ასე როგორ ამჩატდი, მაგათთან კარტი რამ გათამაშაო. ამაოდ ვუმტკიცებდი, არ მითამაშია-მეთქი, მაგრამ ვის ესმოდა, ისინი მაინც თავისას გაიძახოდნენ. ახლა უკვე იმდენად მოტყუება და ფულის დაკარგვა აღარ მაღიზიანებდა, რამდენადაც მათი დამცინავი ღიმილი.

ახლობლებმა მანუგეშეს, მაგ 42 ლარს შეგიგროვებთ და მოგცემთო. რომც შეეგროვებინათ, არ გამოვართმევდი. ამის შემდეგ, ბუნებრივია, მათთან ფულის სასესხებლად მისვლა აღარ ვარგოდა და უცნობი კაცისაგან იაფად, ხუთპროცენტიანი დანარიცხით 60 ლარი ისევ ვისესხე (გირაოდ *„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა“* და *„ქართული საბჭოთა ენციკლობედიის“* სრული კომპლექტები დავუტოვე).

გავიდა ერთი თუ ორი კვირა, ისევ ვაგზლის მოედანზე ვარ და, რომ მეგონა, ეს აფერა ერთდროული აქტი იყო და ისინი ერთხანს აქაურობას არ გაეკარებიან-მეთქი, ვხედავ, უკლებლივ ერთად არიან და იმავე მეთოდით მსხვერპლთა მოტყუებას არხეინად აგრძელებენ. იქვე, 50-ოდე მეტრის და-

შორებით, ასეთივე მეორე ჯგუფი „საქმიანობდა“. ახლომახლო დავდექი და ხან ერთი ჯგუფის „მუშაობას“ ვუყურებდი და ხან – მეორისას. გულახდილად უნდა ვთქვა, მათი ოსტატობით აღტაცებული დავრჩი, ოღონდ ვერ ამეხსნა, როგორ არავისი არ ეშინოდათ.

მალე საქმეში ჩახედულებმა ამიხსნეს: ესენი და მსგავსი ჯგუფები სხვაგანაც, კარგა ხანია, თავისუფლად მოქმედებენ, ლიცენზია მოეპოვებათ და, გეგმის შესაბამისად, ბიუჯეტში ფული შეაქვთო. ერთმა დააზუსტა: მაინცდამაინც მოტყუების ეს ხერხი არ ექნებათ გაფორმებული, მაგრამ პოლიციასთან შეკრებულები არიან, მათ ფულს ცალკე უხდიან, ამიტომ არავინ მისდევეთ, რაც უნდათ, იმას აკეთებენო.

როცა პოლიციასთან კავშირზე ეჭვი გამოვთქვი, მანვე ღიმილით ამიხსნა: ვერ ხედავ, რამდენი თვეა, პოლიციას ხელფასი არ მიუღია, ტყვიას შუბლს უშვერენ, მაგრამ გინახავს ან გაგიგონია, რომელიმე პოლიციელს ამის გამო განცხადება დაეწეროს და სამსახურიდან წასვლა ეთხოვოს?

ცნობისმოყვარეობამ წამძლია. პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ბევრ მაღალ ჩინოსანს ვიცნობ და ჩემი თავგადასავალი მოვუყევი. ყველამ აღშფოთება გამოთქვა: ჩვენ მათ სასტიკად ვებრძვით და ნუთუ ქალაქში კიდევ არიანო?! მივასწავლე, ამა და ამ ადგილას არიან-მეთქი. თვეები გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ვერ შევატყვე, ისინი ვინმეს შეეწუხებინა. ახალგაზრდებმა კი განმიმარტეს:

– დემოკრატიულ ქვეყანაში ყველა მოქალაქე თავისუფალია. ვერ ხედავ, რომ აფერა სახელმწიფოსაგან ნებადართულია? როგორ ფიქრობთ, ვაუჩერები და პრივატიზაცია რა იყო? ამდენი ლატარია, ლოტო და ფორტუნა, ტელევიზიის ყველა არხი რომ მოიცვეს, აფერა არ არის?! კი, ბატონო, ამით ზოგიერთმა ჩვენმა გასაცოდავებულმა, თავმოყვარეობადაკარგულმა გამოჩენილმა მსახიობმა ციტაოდენი თითების გასალოკი იშოვა, მაგრამ ეს შველის საქმეს?!

– გაზეთებისა და ტელევიზიის ინფორმაციებს, ესა და ეს ფირმა ამდენ დოლარად ამა და ამ ქვეყანაში სამუშაოდ მსურველებს აგზავნისო, რამდენი გაჭირვებული წამოეგო და უკანასკნელი ლუკმაპურის ფული დაკარგა, ბიჭი ხარ და მათ მომწყობებს რაიმე გაუბედე! როგორ, უანგაროდ იცავენ მათ

სამართალდამცავი ორგანოები? ან სად არიან ადამიანთა უფლებების დამცველი ნაინაირი დაწესებულებები?

– იმაზე მეტი აფერა რაღა გინდა, შევარდნაძის მთავრობამ ხალხს სალაროებში რომ ფული შეატანინა, ერთი წლის შემდეგ ორმაგად მიიღებთო და მერე სამი თითის კომბინაცია უჩვენა?! თანაც, რა ცინიზმით გააკეთეს ეს! გამოაცხადეს: მთავრობამ გაითვალისწინა ხალხის ინტერესები და სალაროში ფულის შეტანის ვადა 10 დღით გააგრძელაო!

ამდენმა ახსნა-განმარტებამ და ჩიჩინმა თავისი გაიტანა და, როცა საქართველოს რადიოს პირველ პროგრამაზე „გერმანული ტალღის“ გადაცემა – *„მსოფლიოს ყველაზე დიდი აფერისტი“* – მოვისმინე, საშინლად გული დამწყდა, რომ მისი გმირი უცხოელი იყო და არა ქართველი. კვაჭის მშობელ ქვეყანას ნამდვილად არ ეკადრება ეს!

ღრმადა ვარ დარწმუნებული: ამ საქმეში მანამ ვერ გაეხდებით მსოფლიო ჩემპიონი და მეორე-მესამე ადგილიდან ნაბიჯს წინ ვერ წავდგამთ, ვიდრე ჩვენი ყოფა-ცხოვრების ეს მხარე ამგვარ ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში იქნება და იგი სახელმწიფო სტატუსს არ მიიღებს. თუ გვინდა მსოფლიოში ამ მხრივაც პირველები ვიყოთ, უწინარესად ყველა თვალსაჩინო ადგილას კვაჭის ძეგლები უნდა აღვმართოთ, ხოლო კონსტიტუციაში დავაფიქსიროთ, რომ, მიზნად ისახავს რა პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის გააფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გამოვლენა-გამოყენებისა, ჩვენს სახელმწიფოს პრიორიტეტულ საქმედ მიაჩნია აფერის მასობრივი დანერგვა და აღორძინება, მის წინააღმდეგ გამოვლენილი ყოველგვარი ქმედება კი სასტიკად ისჯება.

მაშ, ასე, მივდივართ წინ: **ძირს პატიოსნება და გაუმარჯოს აფერას!**

2000 წ.

ელისო დარჩიას მშობლები და შთამომავლები
(*გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!*)

მშობლები და და

როგორც ბებიამ და ბაბუამ სხვადასხვა დროს თავად იცოდნენ თქმა და მათ შვილები და მეზობლები ემოწმებოდნენ, **ელისო** ბაბუა დაბადებული უნდა იყოს 1858 წელს, გარდაიცვალა 1963 წლის ივლისში, **კესა** ბებია მასზე ორი წლით უმცროსი იყო და ორი წლით გვიან, ისიც ივლისში, გარდაიცვალა. დასაფლავებული არიან ბათუმში.

ბაბუას მამას ერქვა **ალექსანდრე (აცანდრე)**, დედა იყო **მატა ქილიფთარი**. მე არც ერთს არ მოვსწრებივარ. არც მათი საფლავი შენახულა. მამაჩემს ვკითხე: *ბაბუა (ელისო) შეძლებული კაცი იყო და მშობლების საფლავები რატომ არ შეინახეთ-მეთქი?* მიპასუხა: *ძველად ჩვენთან საფლავს უფრო ხის „რეშოტკებისაგან“ („რეშოტკა“ – ცხაური) ღობავდნენ ან იშვიათად გამოთლილ ქვას ადებდნენ. მისი განახლება კი საბრძნო* (ე. ი. ტაბუდადებული) *იყოო.*

ლანდად მახსოვს მატას ძმისა და რძლის – **ლავრენტი ქილიფთარისა** და **კაკილას** – დაკრძალვა. ბაბუამ ერთზე და მეორეზეც შინ სუფრა გაშალა და რამდენიმე სული ე. წ. *წამყოლი* წაიყვანა.

ბაბუას ჰყავდა ერთადერთი და **ფოტინე**, რომელიც გათხოვილი იყო სოფელ ჩოჩხათში (ლანჩხუთის რაიონი) **გურგენაძეზე** (სახელი არ მახსოვს). მათ ჰყავდათ ორი შვილი – ქალ-ვაჟი (სახელები არ მახსოვს). თვალწინ მიდგას ომიანობის დროს ცალკე ფოტინესა და ცალკე მისი ვაჟის სტუმრობა. ფოტინე მეფერებოდა, ვაჟს ხარები ჰყავდა და ბაბუას ეზო დაუხნა და სიმინდი დაუთესა. ქალიშვილი ადგილობრივ ხუცისშვილზე თბილისში იყო გათხოვილი. მე რომ თბილისში ჩამოვედი, ტარასი ბიძია მათ რომელიღაც შთამომავალს იცნობდა. მაშინ იმდენი ჭკუა არ მქონდა, იგი მეც გამეცნო.

1. მატრონე დარჩია (1891–1955) + სევერიანე შალიკაშვილი, თბილისი

4 შვილი:

I. **კუკურა (ამირან)**, II. **კუჭუნა (ტარიელ) შალიკაშვილები**. პირველი იყო დაბადებული 1919 წელს, მეორე – 1923 წელს. ორივე ომში დაიღუპა.

III. **მზია შალიკაშვილი** (1927 წ.) + **სერგო მუხაშავრია**, ძიმითი. ჰყავთ სამი ვაჟი:

1. **თემურ სერგოს ძე მუხაშავრია** (1950) + **ნანა ნაკაიძე**, ბათუმი. აქედან – ერთი შვილი:

ა) **შორენა თემურის ასული მუხაშავრია** (1974) + **რომან ზოიძე**, ბათუმი.

2.. **თენგიზ სერგოს ძე მუხაშავრია** (1952–2007) + **ლეილა გობრონიძე**. ჰყავთ ორი შვილი და ორი შვილიშვილი:

ა) **ხათუნა თენგიზის ასული მუხაშავრია** (1975) + **შალვა ვასაძე**, მერია (ოზურგეთი), აქედან – **ლიზა შალვას ასული ვასაძე** (2010).

ბ) **სერგო თენგიზის ძე მუხაშავრია** (1979) + **ნატო ანდღულაძე**, ძიმითი. შვილი – **ლიკა სერგოს ასული მუხაშავრია** (2005), ძიმითი.

3. **მელიტონ სერგოს ძე მუხაშავრია** (1956) + **ანელი ქურიძე**, თბილისი. ჰყავთ ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

ა) **ირაკლი მელიტონის ძე მუხაშავრია** (1983) + **თამილა ჩიტიშვილი**, თბილისი. აქედან ორი შვილიშვილი: **ნიკა ირაკლის ძე მუხაშავრია** (2005) და **ქეთევან ირაკლის ასული მუხაშავრია** (2010).

ბ) **მზია მელიტონის ასული მუხაშავრია** (1986).

IV. **ცისანა შალიკაშვილი** (1929– 2003) + **აკაკი კურტანიძე**, თბილისი. ჰყავთ ორი შვილი და ორი შვილიშვილი:

1. **მერაბ კურტანიძე** (1951), თბილისი.

2. **მარინე კურტანიძე** (1957) + **სოსო ბექაური**, თბილისი. აქედან ორი შვილი და ორი შვილიშვილი:

ა) **დავით სოსოს ძე ბექაური** (1976) + **თამუნა მარცვალაძე**, თბილისი. აქედან შვილიშვილი – **მარიამ დავითის ასული ბექაური** (2006).

ბ) **ვერა ბექაური** (1985) + **გიორგი ჩუტკარაშვილი**, თბილისი. აქედან შვილიშვილი – **ანა გიორგის ასული ჩუტკარაშვილი** (2007).

2. პოსტე (კონსტანტინე) დარჩია (1896–1964) + ბაბი (ბაბილინე) ლეჟავა, ფოთი

2 შვილი:

I. **შოთა (გულიკო) დარჩია** (1924–1987) + **თინა ლეჟავა**, ფოთი. ჰყავთ ორი ვაჟი და ერთი ქალი:

1. თენგო შოთას ძე დარჩია (1945) + ნანი გოგოლი, ფოთი. აქედან ერთი შვილი და ერთი შვილიშვილი:
ა) **შოთა თენგოს ძე დარჩია** (1974–2005) + **ირმა დარსანია**. შვილიშვილი – **ანი შოთას ასული დარჩია** (1994).

2. თემურ დარჩია (1947) + ლალი გულუა (ფოთი). აქაც ერთი შვილი და ერთი შვილიშვილი:
ა) **თინიკო დარჩია** (1976) + **ანზორ ბერიაშვილი**, თბილისი. შვილიშვილი – **აკაკი ანზორის ძე ბერიაშვილი** (2000), თბილისი.

3. ნანა (ქეთევან) დარჩია (1953) + რომანოზ ჟვანია, ფოთი. აქედან ერთი შვილი და ორი შვილიშვილი:
ა) **ინგა რომანოზის ასული ჟვანია** (1972) + **რობერტ ქირია**, ფოთი. შვილიშვილები: **ლერიკო რობერტის ძე ქირია** (1995) და **სანდრო რობერტის ძე ქირია** (1997).

II. **ლამარა დარჩია** (1930–1993) + **კარლო (გივი) ჩაჩავა**, ფოთი. ჰყავთ ორი შვილი და სამი შვილიშვილი.

1. კახა კარლოს ძე ჩაჩავა (1960) + ლილია სინიაკოვა, თბილისი. შვილი:
ა) **კესო კახას ასული ჩაჩავა** (1987) + **ოთარ დარგუაშვილი**, შვილიშვილი – **სალი ოთარის ასული დარგუაშვილი** (2007).

2. ნუკრი (პაატა) კარლოს ძე ჩაჩავა (1965) + თინიკო თავდიშვილი, თბილისი. ჰყავთ ორი შვილი:
ა) **გივი პაატას ძე ჩაჩავა** (2005) და
ბ)**ვალერი პაატას ძე ჩაჩავა** (3011).

3. ფილიპე დარჩია (1898–1974) + დარეჯან ტოროტაძე, ლანჩხუთი

3 შვილი:

I. **გიუშა (შოთა) დარჩია** (1930–1998) + **მედიკო ქინძლაძე**, ლანჩხუთი. ჰყავთ ორი შვილი და 4 შვილიშვილი:

1. **დათო (ავთანდილ) შოთას ძე დარჩია** (1956) + **ნანა ბურდილაძე**, თბილისი. შვილები:

ა) **შოთა ავთანდილის ძე დარჩია** (1987).

ბ) **თეონა ავთანდილის ასული დარჩია** (1989).

2. **გოტო (ვახტანგ) შოთას ძე დარჩია** (1964) + **თამარ წილოსანი**, ლანჩხუთი. ჰყავს ორი შვილი და ერთი შვილიშვილი:

ა) **სოფიო ვახტანგის ძე დარჩია** (1988) + **ლევან გოგიშვილი**, ლანჩხუთი. აქედან – **საბა ლევანის ძე გოგიშვილი** (2009), თბილისი.

ბ) **დავით ვახტანგის ძე დარჩია** (1994), ლანჩხუთი.

II. **გიზუნა (მიხეილ) დარჩია** (1935–1979), ლანჩხუთი.

III. **ლეილა დარჩია** (1938) + **ლუტუშა (დიმიტრი) ორმოცაძე**, ლანჩხუთი. ჰყავს ორი შვილი, სამი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი.

1. **ლია ორმოცაძე** (1965) + **რაინდი ბრეგვაძე**, თბილისი. აქედან:

ა) **რევაზ რაინდის ძე ბრეგვაძე** + **ლიკა მენაბდე**, თბილისი. აქედან – **ლიზი რევაზის ასული ბრეგაძე** (2007) და **მაშო რევაზის ასული ბრეგაძე** (2009).

2) **ალექსანდრე ორმოცაძე** (1968) + **ნატო (ნატალია) ოდოშაშვილი**, ლანჩხუთი. აქედან:

ა) **ლიკა ალექსანდრეს ასული ორმოცაძე** (1990) + **გიგა ხიზანიშვილი**, ფოთი. აქედან – **ნიკოლოზ გიგას ასული ხიზანიშვილი** (2009).

ბ) **ნინო ალექსანდრეს ასული ორმოცაძე** (1992) + **ჭაბუკა გვარჯალაძე**, ლანჩხუთი.

4. ტარასი დარჩია (1902–1971) + გოგუცა წილოსანი, თბილისი

3 შვილი:

I. **კუსა (ნათელა) დარჩია** (1931) + **ნუკრი სულაბერიძე**, თბილისი. აქედან ერთი შვილი, ერთი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი.

1. **მანანა (ქეთინო) ნუკრის ასული სულაბერიძე** (1954) + **დავით მდინარაძე**, თბილისი. აქედან:

ა) **ნათია დავითის ასული მდინარაძე** (1984) + **ბესო (ბესარიონ) კლარჯეიშვილი**, თბილისი. აქედან კი – **დავით ბესარიონის ძე კლარჯეიშვილი** (2010).

II. **გურამ დარჩია** (1933–2002) + **ზამირა მორჩილაძე**, თბილისი. აქედან ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

1. ნინო გურამის ასული დარჩია (1961) + პაპუნა სიამაშვილი, თბილისი. აქედან:

ა) **მაკა პაპუნას ასული სიამაშვილი** (1983).

ბ) **სოფიო პაპუნას ასული სიამაშვილი** (1986).

2. ეკა (ეკატერინე) გურამის ასული დარჩია (1967) + გელა მიმინოშვილი, თბილისი. აქედან:

ა) **ლაშა გელას ძე მიმინოშვილი** (1991).

ბ) **სალომე გელას ასული მიმინოშვილი** (1994).

III. **ჟორა (გიორგი) დარჩია** (1935) + **იზოლდა კვაჭანტირაძე**, თბილისი. აქედან:

1. მამუკა გიორგის ძე დარჩია (1971) + სოფიო ავლოხაშვილი, თბილისი. აქედან:

ა) **თამარ მამუკას ასული დარჩია** (1996).

ბ) **გიორგი მამუკას ძე დარჩია** (1997).

5. მარო დარჩია (1906–1992) + დალმანტი (დომენტი) ვადაჭკორია, ბათუმი

3 შ ვ ი ლ ი:

I. **აკაკი (კაკო) ვადაჭკორია** (1931–2003) + **მედიკო ჩხარტიშვილი**, ბათუმი. ჰყავს სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

1. ზაირა აკაკის ასული ვადაჭკორია (1957) + რაულ გოცირიძე, ბათუმი. აქედან ორი შვილი:

ა) **ზურაბ რაულის ძე გოცირიძე** (1990).

ბ) **ლუკა რაულის ძე გოცირიძე** (1998).

2. ქეთინო აკაკის ასული ვადაჭკორია (1960), ბათუმი.

3. გელა აკაკის ძე ვადაჭკორია (1965) + **თეა ლაბაძე**, ბათუმი. აქედან:

ა) **აკაკი (კაკო) გელას ძე ვადაჭკორია** (2005).

ბ) **ნიკოლოზ გელას ძე ვადაჭკორია** (2007).

II. **სოსო ვადაჭკორია** (1934–1983) + **ციური გოგუაძე**, ბათუმი. ჰყავს სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი:

1. <u>ინგა სოსოს ასული ვადაჭკორია</u> (1968) + <u>აკაკი კალანდაძე</u>, მუხრანი. აქედან ორი შვილიშვილი:

ა) **შალვა აკაკის ძე კალანდაძე** (1992).

ბ) **ირაკლი აკაკის ძე კალანდაძე** (1993).

2. <u>ირმა სოსოს ასული ვადაჭკორია</u> (1970) + <u>რუბენ გურგენიძე</u>, ბათუმი. აქედან:

ა) **შორენა რუბენის ასული გურგენიძე** (1989).

3. <u>ირაკლი სოსოს ძე ვადაჭკორია</u> (1971) + <u>მაია გურგენაძე</u>, ბათუმი. აქედან:

ა) **სალომე ირაკლის ასული ვადაჭკორია** (1994).

ბ) **სანდრო ირაკლის ძე ვადაჭკორია** (2003).

III. **ნუგზარ ვადაჭკორია** (1941–1991) + **მზია ღლონტი**, ბათუმი. ჰყავთ ერთი შვილი და ერთი შვილიშვილი:

1. <u>დავით ნუგზარის ძე ვადაჭკორია</u> (1987) + <u>ეკა მენაბდე</u>, ბათუმი, აქედან:

ა) **ნუგზარ დავითის ძე ვადაჭკორია** (2011)

6. შაქრო დარჩია (1909–1996) + ლიდა ანდღულაძე, სილაური

შვილი:

1. **ბორის დარჩია** (1936), თბილისი.

7. ილია დარჩია (1912–1953) + სონია ინწკირველი, ფამფალეთი

შვილი:

I. **ომარ დარჩია** (1935- 1999) + **მაყვალა მდინარაძე**, ფამფალეთი. ჰყავთ ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი.

1. <u>ნინო ომარის ასული დარჩია</u> (1960) + <u>გიორგი შათირიშვილი</u>, თბილისი. ჰყავთ ორი შვილი:

ა) **თამარ გიორგის ასული შათირიშვილი** (1991).

ბ) **ქეთევან გიორგის ასული შათირიშვილი** (1992).

2. ილო (ილია) ომარის ძე დარჩია (1963) + ნანა ფილფანი, თბილისი. ჰყავთ სამი შვილი:

ა) მარიამ ილიას ასული დარჩია (1990) + გიორგი ქებურია, თბილისი.

ბ) ომარ ილიას ძე დარჩია (1993).

გ) ნიკოლოზ ილიას ძე დარჩია (2006).

8. მარკელისა (მარგო) დარჩია (1915–1988) + ლადიკო (ვლადიმერ) დოლონაძე, თბილისი

შ ვ ი ლ ი:

I. ავთანდილ დოლონაძე (1938–2000) + ჟუჟუნა შეფირული, თბილისი. ერთი შვილი:

1. გია ავთანდილის ძე დოლონაძე (1972 ?), რუსთავი (?).

ბორის დარჩიას წიგნების ნუსხა[7]

1. **ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით**, თბ, „მეცნიერება“, 1975, 207 გვ.

გამოხმაურება: [მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი], ისევ ვეფხისტყაოსანი, გაზ. „სახალხო განათლება“, 16.03. 1977, №22, გვ. 2. ანოტაცია დაიბეჭდა ფრანგულ ჟურნალში: „Bedi Kartlisa“, ტ. XXXV, 1977, გვ. 295, 6.

2. **ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა**, თბ. „მეცნიერება“, 1986, 247 გვ.

გამოხმაურება: მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, მეფე პოეზიის კარებთან, გაზ. „თბილისი“, 22 ნოემბერი, 1988, № 268, გვ. 5; ლევან მ ე ნ ა ბ დ ე, სოლიდური მონოგრაფია ვახტანგ მეექვსის პოეზიის შესახებ (მაცნე, ელს, 1990, № 4, გვ. 154–160); დიტო ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე, პასუხად ჩემს კეთილმოსურნეებს, ანუ ვის ეკუთვნის აფორიზმი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 5–11 ნოემბერი, 2007, № 45, გვ. 15.

3. **ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო**, თბ., „მეცნიერება“, 1988, 440 გვ.

გამოხმაურება: მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, მეფე პოეზიის კარებთან, გაზ. „თბილისი“, 22 ნოემბერი, 1988, № 268, გვ. 5; მ ი ს ი ვ ე, ფსევდონიმით: მირიან რ ო ხ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, ჟურ, „სკოლა და ცხოვრება“, 1989, № 1, გვ. 75; თამაზ ფ ო ფ ხ ა ძ ე, კვლევის საგანია ვახტანგ მეექვსის პოეზია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 17. 11. 1989, № 46, გვ. 6; ლევან მ ე ნ ა ბ დ ე, სოლიდური მონოგრაფია ვახტანგ მეექვსის პოეზიის შესახებ (მაცნე, ელს, 1990, № 4, გვ. 154–160); გივი მ ი ქ ა ძ ე, ვახტანგ VI-ის ერთი ტაეპის გაგებისათვის, გაზ. „სიტყუაჲ“, მაისი-ივნისი, 1998, № 6, გვ. 7.

---

[7] 2000 წელს გამოვეცი ბროშურა „ერთი პლაგიატობის კვალ-დაკვალ“ (64 გვ.), მაგრამ, რადგან ის შევიტანე ჩემს წიგნში „იაკობ შემოქმედელი“, ამ სიაში აღარ აღმირიცხავს.

4. **უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში** – გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008, 330 გვ.

გამოხმაურება: წიგნი რუსთველოლოგიაში შექმნილი საგანგაშო ვითარების შესახებ – გაზ. „მწერლის გაზეთი“, 1–15 თებერვალი, 2009, № 1, გვ. 16.

2011 წელს ვნახე, ინტერნეტში ამ წიგნზე ვიღაცას მოუთავსებია ცნობა, რომ იგი მიუწვდომელიაო. სინამდვილეში ეს წიგნი ვაჩუქე ცენტრალურ ეროვნულ, სამეცნიერო ეროვნულ, ბათუმისა და ოზურგეთის ცენტრალურ საქალაქო, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, თელავის უნივერსიტეტისა და სხვა ბიბლიოთეკებს. იყიდება თბილისის რამდენიმე წიგნის მაღაზიაში.

5. **იაკობ შემოქმედელი** – მონოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009, 575 გვ.

გამოხმაურება: მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, ფილოლოგიური მეცნიერების სირცხვილი და ახალი სენსაციური აღმოჩენა, „მწერლის გაზეთი“, 16 ივნისი – 30 ივნისი, 2009, № 10, გვ. 14. მ ი ს ი ვ ე: დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში, თბ., გამომცემლობა „ჰარმონია“, 2010, გვ. 128.

წიგნის სურათი დაიბეჭდა ჟურალ „ჩვენი მწერლობის“ ყდის მეორე გვერდზე (7 აგვისტო, 2009, № 16).

ამ წიგნში შესული, ადრე სტატიებად გამოქვეყნებული უმთავრესი და არსებითი ნაწილის შეფასება: ალექსი ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, სიტყვა ლექსი „ვეფხისტყაოსანში“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 8 სექტემბერი, 2006, № 31, გვ. 13.

6. **რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I**, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010, 580 გვ.

გამოხმაურება: მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, წმინდანის სისხლზე წმინდა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ივნისი, 2011, № 100, გვ. 11.

7. **ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ)** – მონოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011, 252 გვ.

გამოხმაურება: წიგნის სურათი დაიბეჭდა ჟურალ „ჩვენი მწერლობის“ ყდის მეორე გვერდზე (5 აგვისტო, 2011, № 16).

8. **სალაღობო და ნაღვლიანი ამბები** – წინამდებარე წიგნი.

პირთა საძიებელი

ეს საძიებელი არსებითად სარჩევის მაგივრობას წევს. უთუოდ ზედმეტია და აქ არ ავსახე ორივე „დამატების“, აგრეთვე „ფელეტონების“ გამოგონილ პერსონაჟთა სახელები და გვარები.

ბოლო ამობეჭდვისას ტექსტი ცოტაოდენ დაიძრა, ამიტომ, შესაძლებელია, აქ-იქ გვერდთა სათვალავის სიზუსტე დარღვეული აღმოჩნდეს.

ა

აბაშიძე ასლან 209.
აბაშიძე ირაკლი 299, 322.
აბესაძე გურამ 352.
აბზიანიძე გიორგი 316.
აბულაძე ილია 351.
აბულაძე იუსტინე 265.
აბულაძე მირიან 223, 327, 340, 342, 344, 352, 361–362.
ავალიანი ლალი 277–278.
ავთანდილი („ვეფხისტყაოსანი“) 126, 285.
აზარიაშვილი ვალოდია 394.
ალანია ილო 352.
ალანია ნოდარ 295, 323, 327, 337–338, 340, 346–354, 269–370, 391.
ალექსანდრია ნანა 172.
ამირანაშვილი ირმა 285–286.
ამირანაშვილი შალვა 305.
ამირანაშვილი შოთა 285.
ამირეჯიბი ჭაბუა 268.
ამირხანაშვილი ივანე 6.
ანანიაშვილი ნინო 141
ანდღულაძე (ვინმე ტრაქტორისტი) 108.
ანდღულაძე ბარნაბა 167.
ანდღულაძე გია 162.
ანდღულაძე გივი 152, 319–322.
ანდღულაძე გიორგი 60, 113, 161–167, 223.
ანდღულაძე ვენერა 153.
ანდღულაძე თენგო 163.
ანდღულაძე ლევან 375.
ანდღულაძე ლია 332, 374–375.
ანდღულაძე ლიანა 167.
ანდღულაძე მამია 163.
ანდღულაძე მიშა 152.
ანდღულაძე ნანიკო 161.
ანდღულაძე ნესტორ 152.
ანდღულაძე როინი 167, 247.
ანდღულაძე-დარჩია ლიდა 113.
ანდღულაძე-კუკულაძე ნინო (ნინიჩქა) 165, 220, 232, 247.
ანთიძე რუბენ 196–197.
არაბული გიორგი 315.
არახამია ქეთევან 141–142.
არდაზიანი ლავრენტი 290.
არველაძე ბონდო 203, 379.
არველაძე სერგო 203.
არველაძე სინო (სვიმონ) 203.
არობელიძე რეზო 180–181.

არსენა 346.
არჩილ მეორე 328.
არძინბა ვლადისლავ 179.
ასათიანი გურამ 384.
აღმაშენებელი დავით ნ დავით აღმაშენებელი.
ახვლედიანები 269.
ახვლედიანი გიორგი 303, 312.
აჯიაშვილი ჯემალ 228.

ბ

ბააკაშვილი გივი 365.
ბააკაშვილი ვახტანგ (გუგული) 270, 354–361, 363.
ბაბუნაშვილი ელენე 289.
ბაგრატ ბატონიშვილი 7.
ბადურაშვილი თეიმურაზ 284.
ბალახაშვილი იაკობ (ჟაკი) 255–256.
ბარათაშვილი ნიკოლოზ 263, 314, 262.
ბარამიძე ალექსანდრე 122, 224, 249, 261, 265, 291, 303, 306, 340, 359, 363, 367379, 388.
ბარამიძე ელზა 184.
ბარამიძე თამაზ 335.
ბარამიძე მარინე 250.
ბარამიძე ნინო 256.
ბარამიძე რევაზ 206, 250, 287, 344, 360–361, 379–381.
ბარბაქაძე თამარ 333.
ბარდაველიძე ჯონდო 335, 377.
ბარნოვი გურამ 134, 352.
ბარქაია ვლადიმერ 185.
ბასილაშვილი ევა 205.
ბასილაშვილი ოლეგ 205.
ბასილაძე გია 199.
ბასილაძე ვიტალი 199–200.
ბასილია თემურ 447, 454.
ბაქრაძე დიმიტრი 198.
ბეგიაშვილი არჩილ 297.
ბეიკერი 404.
ბერაძე მერაბ 447.
ბერიტაშვილი ივანე 249, 265, 311.
ბერიძე (სახელი) 308.
ბერიძე გიორგი 246.
ბერიძე დარეჯან 288.
ბერიძე ვუკოლ 275.
ბერიძე ირაკლი 246–247.
ბერიძე როლანდ 191, 279, 368.
ბერიძე ფილიპე 226.
ბერძენიშვილი ლევან 315.
ბერძენიშვილი ნიკო 199, 262, 265, 287, 309.
ბიძინაშვილი გულვარდი 115.
ბლაგიძე ვახტანგ 61.
ბოგომოლოვი იგორ 355–357.
ბოლქვაძე ზაურ 82, 197, 280–281.
ბორჩხაძე ჟორა 173–174.
ბოტვინიკი მიხეილ 363.
ბოცვაძე სოსო (იოსებ) 289–290.
ბოჯგუა არტემ 347.
ბოჯგუა გივი 406.
ბრეჟნევი 176.
ბუში ჯორჯ 403–405.
ბუხვალდი არტურ 13.

გ

გამეზარდაშვილი დავით 203, 353, 375.
გამეზარდაშვილი მინა 203.
გამყრელიძე თამაზ 6.
გამსახურდია ზვიად 119, 209–210.
გამსახურდია კონსტანტინე 229, 304.
გაფრინდაშვილი ნონა 172.
გაჩეჩილაძე ამბერკი 336, 343, 384–385.
გეგენავა ქეთევან 149.
გელაშვილი ჯილდა 333.
გენძეხაძე ცისანა (ელზა, ელისაბედ) 395–398.
გერმანე 372.
გვინჩიძე ოთარ 341.
გზობავა გურამ 280.
გზობავა შალვა 280.
გიგანი ირმა (მარია) 251.
გიგინეიშვილი ივანე 266, 332.
გობრონიძე იური 191.
გოგებაშვილი იაკობ 205.
გოგელია ნანული 199.
გოგელია რეზო 352.
გოგიაშვილი გურამ 197.
გოგიჩაიშვილი გრიშა 183.
გოგიჩაიშვილი გურამ 241.
გოგიჩაიშვილი თამაზ 183.
გოგიჩაიშვილი კარლო 184.
გოგიჩაიშვილი ტიტე (ტიტუშა) 184.
გომელაური თამაზ 246–247.
გოცირიძე რომან 447.
გოგოჭური დავით 393.
გოგოხია ლილი 351–352.
გოგუაძე ანანია 90.
გოგუაძე გაბრიელ 90, 97.
გოგუაძე დათიკო 89.
გოგუაძე ემენი 14–15.
გოგუაძე ენვერ 48.
გოგუაძე ვაჟა 56.
გოგუაძე ვალოდია 162.
გოგუაძე ვარლამ 48.
გოგუაძე ვახტანგ (ტიტეს ძე) 100.
გოგუაძე ვახტანგ (ფილოსოფოსი) 210.
გოგუაძე კვიროსი 89–90.
გოგუაძე კოკოლა (ნევრო) 23.
გოგუაძე კონსტანტინე 98.
გოგუაძე ლალი 38.
გოგუაძე ლეო 94–97.
გოგუაძე მიხეილ (ჭუკულო) 61–62.
გოგუაძე ნატო 57.
გოგუაძე ნუგზარ 55.
გოგუაძე ტიტე 58.
გოგუაძე ჯაბულო 88–91.
გოგუაძე-დარჩია მერი 106, 110.
გოეთე 16.
გოგსაძე ეთერ 139.
გოგუა ბენო 312.
გოლიაძე ლადო 248–250.
გომართელი ამირან 311.
გორგილაძე ლეო 272–273.
გორდელაძე ლეილა 157–159.
გორკი მაქსიმ 274.

გოროზია ვაჟა 272.
გოტიე თეოფილე 349.
გრიგალაშვილი ნოდარ 280-281.
გრიგოლია დემურ 250, 378.
გრიგოლია ერეკლე 250.
გრივმ კორნელიუს ვან 12.
გრიშაშვილი იოსებ 290.
გუგუნავა დავით 162.
გუგუშვილი ლუცინა 351.
გუგუშვილი მერი 386, 341, 274
გურამიშვილი დავით 191.
გურგენიძე კონსტანტინე 71.
გურიელი 115.
გუჩმანიძე-ანდღულაძე ნინა (ნინო) 163-168.

დ

დადიანი 279.
დადიანი ნინო 71.
დავით აღმაშენებელი 7, 240.
დავით სოსლანი 328, 387.
დათუკიშვილი მანანა 283.
დათუნაშვილი ილია 185.
დანელია დავით 184.
დანელია დარეჯან 394.
დანელია კორნელი 297.
დარსაძე ბორის 352-353.
დარჩია (მელიქი) 308.
დარჩია აკაკი 15, 49.
დარჩია ამალია 124.
დარჩია ამირან 103.
დარჩია ახმედ 103.
დარჩია ბენია 54.
დარჩია ბორის 157, 218, 222-224,258-259, 299, 392-393.
დარჩია გაბო 170.
დარჩია გვანცა 57
დარჩია გიგა 45
დარჩია გივი 139.
დარჩია გიორგი 39-40, 80.
დარჩია გიორგი (ოთარის ძე) 100.
დარჩია დათიკო 51.
დარჩია დიმიტრი 54, 282, 284-295.
დარჩია დომენტი 129, 134.
დარჩია ვაჟა 16, 26, 38, 50, 54, 74, 131, 225.
დარჩია ელისო 2, 8, 19, 70, 162.
დარჩია ერემი 48-49.
დარჩია ვერიჩქა 51.
დარჩია ზაალი (ზალიკო) 43, 47, 61, 85, 126.
დარჩია ზაირა 100.
დარჩია ზაქრო 22.
დარჩია თეა 282.
დარჩია თენგიზ 222.
დარჩია თეოფილე 71.
დარჩია იასონ 15-16, 40, 70-72, 76, 97, 104.
დარჩია ილია 64, 69, 77, 170-172.
დარჩია ილო (ილია) 7, 172.
დარჩია იმედა 88.
დარჩია იური (იოვანეს ძე) 56.
დარჩია იური (სანდროს ძე) 80.
დარჩია კაკო 23.

დარჩია კალისტონ 31–32, 49.
დარჩია კარლო 69.
დარჩია კობა 34.
დარჩია კოსტა (პოსტე) 63, 77.
დარჩია ლამარა 197.
დარჩია ლელა 56.
დარჩია მამია (პლატონის ძე) 23.
დარჩია მამია 222.
დარჩია მარკელისა 17, ეე–78.
დარჩია მარიკა 140.
დარჩია მარლენ 221
დარჩია მატრონე 64, 77.
დარჩია მიშა 35.
დარჩია ნიკოლოზ 256.
დარჩია ნინო 7, 172.
დარჩია ოთარი 99.
დარჩია ომარი 171–176.
დარჩია პავლე (პუჭუა) 88.
დარჩია პროკობი 15–16, 28, 32, 40, 53–54, 70.
დარჩია რევაზ 88.
დარჩია როინი 100.
დარჩია როლანდ 100, 178–179.
დარჩია სალომე 57–58.
დარჩია სესილი 222.
დარჩია სისონა 194.
დარჩია სოფორე 38.
დარჩია ტარასი 66, 78, 223.
დარჩია ფილიპე 77, 171.
დარჩია შაქრო 15, 46, 79–80, 123.
დარჩია შოთა 140.
დარჩია ციალა 34, 41–45, 119.
დარჩია ჯაბულო 31, 51.
დარჩია–ვადაჭკორია მარო 60, 64, 67, 75, 77.
დარჩია–მექვაბიშვილი აგრაფინე 146.
დარჩია–ტუღუში მარია 89, 97–101, 104–105.
დარჩია–ქილიფთარი ბაისო 130.
დარჩია–ქილიფთარი კატუშა 24–25, 129.
დევაძე ცაცა 161.
დევიდსონ ალფერდ 12–13.
დიასამიძე დ. ი. 197.
დობორჯგინიძე ბენო 337–338, 346, 368–372.
დობორჯგინიძე ივანე 73.
დობორჯგინიძე მიშა 135–136.
დობორჯგინიძე პეტრე 135.
დოიაშვილი თეიმურაზ 279, 352–353.
დოლაქიძე ავთო 237–238.
დოლიძე ლონდა 165.
დოლიძე ომარ 260
დოლიძე რომან 210.
დოლიძე სიმონა 181.
დონაძე ალექსი 169–170.
დონდუა მარო 304.
დუდუჩავა ალექსანდრე 194.
დულაჯოვი დარიკო 109–110.
დუდუჩავა მამია 350, 382–385.
დუმბაძე იაკობ *ნ შემოქმედელ–სამებელი იაკობ.*
დუმბაძე ნოდარ 157, 279–280, 350, 411.

ე

ებრალიძე მამია 14.
ეგორაშვილი ეთერ 222.
ევგენიძე ნადია 170.
ეკა 106.
ელბაქიძე მაკა 5.
ელცინი 209.
ენგელსი 29.
ერისთავი გიორგი 290.
ეული (სანდრო) 279.

ვ

ვადაჭკორია აკაკი (კაკო) 194–197.
ვადაჭკორია გელა 7, 195–196.
ვადაჭკორია დალმანტი (დომენტი) 75, 195
ვადაჭკორია ერმილე 195.
ვადაჭკორია კესა (კესარია) 2, 19, 62–68, 171.
ვადაჭკორია ზაირა 7, 77, 195–196.
ვადაჭკორია ქეთინო 7, 195–196
ვაჟა-ფშაველა 89, 308.
ვანგა 47.
ვარდოსანიძე იაგო 348, 384.
ვასაძე გივი 41.
ვასაძე ნათელა 292.
ვაშაყმაძე შოთა 352.
ვახტანგ მეექვსე 256, 262, 298.
ვეკუა ილია 249.
ვეკუა რეზიკო 250.
ვირსალაძე ელენე 353.

ზ

ზანდუკელი როდამ 392.
ზაუტაშვილი გიორგი 371, 373.
ზვიადი 175.
ზიკინა 175.
ზიკინა ლიუდმილა 175.
ზიკო 175.
ზურაბაშვილი ავლიპი 206, 348–349.
ზურიკელა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) 411.

თ

თავამაიშვილი ავთანდილ 174.
თავაძე ალმანზორ 393.
თავაძე ციალა 182.
თავდიშვილი მურმან 2, 6, 199–200, 256, 285, 387.
თავდიშვილი ქეთინო 199.
თათქარიძე ლუარსაბ („კაცია-ადამიანი?!“) 417.
თამარ მეფე 308, 328, 387.
თაყაიშვილი არლი 268.
თაყაიშვილი ექვთიმე 168.
თაყაიშვილი ვალიკო 169.
თინათინი („ვეფხისტყაოსანი“) 286.
თოთიბაძე ნანა 312.
თორაძე გუგული (დავით) 278.
თორთლაძე გია 212.
თოხაძე თამაზ 379.
თუმანოვი 379.
თუშმალიშვილი ლეილა (ქიცო) 351.

ი

იაკობაშვილი დავით (ბათუ) 323–326.
იამანიძე შოთა 185.
იაშვილი (ტრაქტორისტი) 108.
იაშვილი პაოლო 277, 345.
იაშვილი პოპიკო 384.
იედლიჩკა იერომირ 334.
ილარიონი 11.
ილიკო 11.
იმედაშვილი გაიოზ 359.
იმნაძე ჯემალ 184.
ინანიშვილი რევაზ 281.
ინწკირველი კარპეზ 72, 171.
ინწკირველი ლალი 260.
ინწკირველი ოთარ 172–173.
ინწკირველი რამიზი 173.
ინწკირველი სონია 72, 170.
იოსელიანი ოთარ 253, 257.
იოსელიანი ჯაბა 47.
ისაკაძე ნიკა 279.

კ

კავილაძე რუსუდან 382.
კავსაძე დავით (დათაშკა) 195.
კაკაბაძე დავით 332.
კაკაბაძე სარგის 332.
კაკიაშვილი გრიგოლ 339–342, 386–387.
კალანდარიშვილი ელისო 5.
კალანდაძე ალექსანდრე 375.
კალანდაძე გიორგი 285.
კალანდაძე ნოდარ 325.
კამო 348.
კანდელაკი ომარ 29.
კანდინსკი (კადინსკი) ვასილ 389.
კარანაძე თამაზ 314.
კარბელაშვილი ციალა (მარიამ) 244, 352.
კარტოზია ბონდო 252.
კასრაძე თინა 389.
კასრაძე ქართლოს 456.
კატო 106.
კაფაროლლი სიმნოზა 371.
კახაძე რობერტ 306.
კეკელიძე კორნელი 198, 302, 316, 334, 381.
კეკელიძე ლიანა 355.
კენედი 370.
კენჭოშვილი ირაკლი 367.
კერესელიძე თენგიზ (კიკა) 316.
კეჭაყმაძე იოსებ 196.
კეცხოველი ნიკო 262, 309, 343, 347–348, 456.
კვაჭანტირაძე მანანა 5, 398.
კვაჭაძე ზინაიდა 220.
კვაჭაძე ლეო 292–295.
კვაჭაძე სონია 220.
კიკვიძე ცოტნე 215, 266, 351–353.
კიკნაძე გრიგოლ 316.
კიკნაძე ზაზა 230, 309, 316.
კიკნაძე ინეზა 289–290.
კიკნაძე ლევან 308, 314, 394.
კიკნაძე ფილადელფოს 329–331.
კილაძე აკაკი 21.
კილაძე ალია 74, 107, 110.

კილაძე ბ. 89.
კილაძე ბელა 97, 99.
კილაძე გრიგოლ (გრიშა) 35, 52–53, 232–233.
კილაძე გურამ 139.
კილაძე გური 117.
კილაძე ვალამა (ვარლამ) 30.
კილაძე ვასილა 30.
კილაძე ვერა 379.
კილაძე ვლადიმერ (ლადიმა) 4, 30.
კილაძე თამარ 33.
კილაძე ლამარა 95, ლამარა 233.
კილაძე ლევან 55.
კილაძე ლერი (აკაკის ძე) 21.
კილაძე ლერი 122.
კილაძე ლიუდიკა 21–22.
კილაძე მალაქი 24, 109.
კილაძე მირიან 98–99.
კილაძე მიშა 146.
კილაძე ნევრო 21, 122.
კილაძე პეტრე 70.
კილაძე ჟორა 53, 95, 224.
კილაძე სამსონ 30, 86.
კილაძე სერაპიონ 136–139.
კილაძე სილოვან 87.
კილაძე სიმონა 117.
კილაძე ტარიელ (ჯაგა) 147.
კილაძე ჯუმბერ 21.
კილაძე-ქართველიშვილი გოგოლა (გუგული) 156–161.
კლდიაშვილი იური 389.
კობიძე დავით 316–317.
კობიძე რამაზ (ნუკრი) 250, 317.
კობიძე ირაკლი 250.
კოკროშვილი 288.
კოლელიშვილი 406.
კოლი ჰელმუტ 403, 405–406.
კომენსკი იან ამოს 284.
კონდრადენკო ნელი 262.
კონცელიძე რესან 323.
კოპლატაძე თინა 271.
კორძაია ჯანსულ 329.
კოსტავა მერაბ 284.
კოტეტიშვილი ვახუშტი 10.
კოტეტიშვილი იათო (იათამზე) 264, 276.
კოტორაშვილი გიორგი 282.
კოტორაშვილი დავითი 282.
კოტორაშვილი იოანე 282.
კოტორაშვილი მარიამ 282.
კოჭლაშვილი ნოდარ 230–231.
კულუხაშვილი 201.
კუკულაძე ივანე (ვანიჩქა) 220, 232.
კუკულაძე იური 25, 185.
კუკულაძე ნესტორ 185.
კუკულაძე ჟორა 232–233.
კუნჭულია ივანე 48–49.
კუპრაძე ვიქტორ 388.
კუპრეიშვილი ნონა 329–331.
კურიგინი ანატოლი 351.
კუჭუხიძე მაყვალა 364–365, 377, 392.

ლ

ლეკიშვილი ნიკო 179, 210.
ლენინი 102, 219, 375.
ლეონიძე გიორგი 287, 290, 334-345, 358-359.
ლეჟავა გერონტი 24.
ლეჟავა კონსტანტინე 299.
ლეჟავა ნელი 308, 394.
ლეჟავა ტარიელ 38.
ლეჟავა ჯუმბერ 188.
ლიზა (ელისაბედი) 275.
ლოლაშვილი ივანე 151.
ლომაძე აგვისტი 91-93.
ლომაძე ამირან 109.
ლომაძე აფრასიონ 22-23, 123, 128.
ლომაძე ბადრი 112.
ლომაძე ბუხუ (ბუხუტი) 17, 111-113, 131.
ლომაძე გაიოზ 99-100.
ლომაძე ვალოდი (ბიჭია) 74, 106.
ლომაძე ია (იაკო) 56.
ლომაძე სანდრო 102-103, 128.
ლომაძე სანდრო (სანდრიკა) 56.
ლომაძე საშურა 105.
ლომაძე სეილან 34.
ლომაძე სერგო 81, 92, 104, 129, 140.
ლომაძე შოთა 147.
ლომაძე-ქილიფთარი ვაშაში 105.
ლომაძე-ცინცაძე ირინე 133.
ლომთათიძე გიგა 256.
ლომთათიძე მამუკა 256.
ლომთათიძე ნათელა 253-257.
ლომთათიძე ქეთევან 275.
ლომიძე გაგა 5.
ლომიძე გივი 263, 278, 350, 352, 368-369, 372, 378-379, 386.
ლომიძე თამარ 5.
ლორდქიფანიძე (გვარი) 266-267.
ლორთქიფანიძე გურამ 134.
ლორთქიფანიძე იუზა (იოსებ) 267, 342, 368.
ლორთქიფანიძე კონსტანტინე 277.
ლორთქიფანიძე ნიკო 86.
ლორია პარმენ 194.
ლუბა 106.

მ

მალაზონია ზაალ 149.
მალაზონია ივანე 144, 14 9.
მალაზონია ლია 149.
მალაზონია მიხეილ (მიშა) 144-151.
მალაზონია სონია 148.
მამეიშვილი მანუჩარ 1 69.
მამულაშვილი ნანა 297.
მარი ნიკო 304.
მარუაშვილი გიორგი 257.
მარუაშვილი ინგა 257.
მარუსია (ივანე ქილიფთარის მეუღლე) 28.
მარქსი 29, 284.

მაღლავფერიძე ვასილ (ვასიკო) 91.
მაღლაფერიძე თეიმურაზ 91, 291.
მაჭავარიანი მუხრან 362.
მაშაშვილი (ალიო) 279.
მაჩაბელი კოტე 319.
მაჩალაძე ნინო 58.
მაჩაიძე ვალიკო (ვალიკუნა) 282, 285.
მაცაბერიძე ვალიკო 364.
მახათაძე ნანა 243.
მახათაძე ნინო (ციალა) 355, 365.
მახარაძე ფილიპე 323.
მგალობლიშვილი სოფრომ 290.
მგელაძე აკაკი 208.
მგელაძე გურამ 245.
მდივანი თენგიზ 202.
მდინარაძე-დარჩია მაყვალა 175-176.
მეგრელიშვილი ავთანდილ 100.
მეგრელიშვილი გრიგოლ („მთის ნიავი") 343.
მეგრელიშვილი თამარ 100.
მეგრელიშვილი რეზო 33-34.
მეგრელიძე იოსებ 353, 364.
მეგრელიძე შამშე 274-275.
მეგრელიშვილი-როყვა მაყვალა 131.
მელაძე მაია 196.
მელუა გერონტი 152.
მენაბდე დარეჯან 5.
მერკვილაძე გიორგი 397.
მესხი მიხეილ 185, 190.
მეტრეველი კოლია 187.
მეტრეველი როინ 261.
მეტრეველი სლავა 190, 363.
მექვაბიშვილი თამაზ (მიხეილ) 14.
მექვაბიშვილი იაშა 146.
მექვაბიშვილი საშა 173.
მექვაბიშვილი-ქილიფთარი ელცაბედ (ელისაბედ) 129.
მეძმარიაშვილი ელგუჯა 242.
მიმინოშვილი რომან 360-365.
მინაშვილი 386.
მინდია („გველის მჭამელი") 89.
მირიანაშვილი ანდრო 227, 352, 374.
მირიანაშვილი თემურ (თეიმურაზ) 205, 228, 314, 388.
მისრიაული დარჩია 308.
მიქატაძე ჯუმბერ 379.
მიქაშავიძე შოთა 373-374, 396.
მიქაძე გივი 278-279, 358-359.
მიქაძე ვარლამ 258.
მიქაძე თამრიკო 278.
მიქელაძე პატუ (პარასკევა) 312.
მიშველაძე რევაზ 277, 296-297.
მონრო მერილინ 157.
მოსაშვილი (ილო) 279.

მოსე 347.
მჟავანაძე ვასილ 220.
მურვანიძე მიხეილ 274.
მუსხელიშვილი ნიკო 249, 261, 265.
მუჩიაშვილი ჯემალ 257.
მუხაშავრია იმედა 248.
მუხაშავრია მელიტონ 6–7.
მუხაშავრია მზია 6.
მუხაშავრია სერგო 7.
მუხაშავრია სევერიანე 162.
მუჯირი ალიოშა 372–373.
მჭედლიშვილი ჯიმშერ 344

ნ

ნადარეიშვილი თამაზ 179.
ნადირაძე ჯურხა 127.
ნანა 380.
ნონა 380.
ნენსი 404.
ნესტან-დარეჯანი („ვეფხის-ტყაოსანი“) 286.
ნიკო 365.
ნიკოლაძე ნიკო 302.
ნინიაშვილი თორნიკე 242.
ნინოშვილი ეგნატე 74, 256, 342, 400.
ნინუა ვალია 389–390.
ნიუტონი 311.
ნიშნიანიძე შოთა 226.
ნოდია ოთარ 228.
ნოზაძე გუგული 234–235.
ნოზაძე (ჩილაია) ვიქტორ 9, 388.
ნოზაძე პეტრე (გურამ) 233–235, 266.
ნუცუბიძე შალვა 250, 366.

ო

ოდიშარია გურამ 333.
ოლღა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“) 411.
ონიანი შერმადინ 363.
ორაგველიძე მიხაკო 181–183.
ორახელაშვილი მარიამ 90, 97.
ორველაშვილი ნიკო 219.
ორჯონიკიძე (სერგო) 323.
ოქროშიძე თამარ 263, 353, 293.
ოყრეშიძე მედეა 177, 263.

პ

პავლიაშვილი ლევან 204.
პაპავა ვლადიმერ 454.
პატარავა მ. 197.
პატარაია ვასო (ვასილ) 278.
პატარაია ლალი 278.
პატიაშვილი ჯუმბერ 182, 236.
პატიეშვილი ანზორ 166.
პატიეშვილი ზაირა 157.
პატკანოვი 304.
პაპელიშვილი გივი 114.
პეტრიაშვილი გურამ 272, 279.
პეტრიაშვილი რობერტ 272.
პეტრიწი 369.
პეტროსიანი ტიგრან 172.
პუშკინი ა. 274, 292.

ჟ

ჟვანია 77.
ჟვანია ზურაბ 86.
ჟვანია ნინო 322, 325–326.
ჟორდანია თედო 198.
ჟღენტი ბესო 310, 366–367.
ჟღენტი მარინა 242–244.
ჟღენტი მარიკა 258.
ჟღენტი მატა 257–259.

რ

რადიანი (შალვა) 279.
რამიშვილი გურამ 264.
რატიანი ირმა 5–6, 327, 329–331, 398.
რატიანი შალვა 322, 324–327, 329–221, 363, 375–376.
რეიგანი 404.
როგავა გიორგი 421.
როდალი კარლ 12.
როსტევანი („ვეფხისტყაოსანი“) 126.
როყვა აცანდრე (ალექსანდრე) 91.
როყვა გრამიტონ 32.
როყვა დიანოსა 16–17.
როყვა მაშო 26.
როყვა მილორსი 29.
როყვა პავლე 40.
როყვა ჯემალ 47.
რუსთველი შოთა 9, 164, 191, 217, 302–303, 375, 381–382.
რუსიძე კაპიტონ 194.

ს

სააკაშვილი მიხეილ 59, 213, 216, 258 260.
სადამ ჰუსეინი 403–404.
სალუქვაძე გენო 152, 192.
სალუქვაძე მოსე 162.
სალუქვაძე–ანდღულაძე ზინა 164.
სალუქვაძე–დარჩია ოლღა 101.
სალუქვაძე–ევგენიძე ნადია 105.
სალუქვაძე–ლომაძე სონია 102, 128.
სამსონია ელზა 142.
სამსონია ლილი 241.
სამსონია მამია 140–141, 208.
სამსონია მიხეილ (მიხო) 141–143.
სამსონია ნანული 379.
სარიშვილი ავქსენტი (აქვსენტი) 36.
სარიშვილი ანთიმოზ 69, 73.
სარიშვილი ელისო 8.
სარიშვილი თამაზ 58.
სარიშვილი მამია 22–23, 79.
სარიშვილი ნატაშა 214.
სიგუა თენგიზ 446.
სიორიძე იური 80.
სირა 14.
სირაძე 14.
სირაძე ვანდა 100.
სირაძე რევაზ 5–6, 329, 387–388.
სირია 14.

სიხარულიძე ავთანდილ 191.
სიხარულიძე გალაკტიონ (კუსა) 352.
სიხარულიძე ქსენია 353.
სიხარულიძე ლეილა 160.
სიხარულიძე ჟანი 197.
სოროსი 244.
სოსლანი დავით *ნ დავით სოსლანი.*
სოსელია გივი 174.
სოსელია ზურაბ 74.
სტალინი იოსებ 4, 30, 36–37, 127, 192, 195, 208, 223, 367, 376, 403–404, 418.
სტურუა გიორგი 312.
სტურუა დევი 344.
სულაბერიძე ტიტე 227.
სულავა ნესტან 327–329.
სურგულაძე რეზო 231, 283, 302.
სუხიშვილი მურმან 291.
სხირტლაძე თინა 228.

ტ

ტაბიძე გალაკტიონ 290, 294, 337, 381, 389.
ტაბიძე ოთარ 284.
ტაბიძე ტიციან 345.
ტაკიძე აკაკი 109–110.
ტალი მიხეილ 320, 363.
ტარასოვი იოსებ 144.
ტარიელი („ვეფხისტყაოსანი") 286.
ტატიშვილი ოთარ 313.
ტერეზი (ჯაბულო დარჩიას მეუღლე) 31.
ტერეზი (ნიკოლოზ ქილიფთარის მეუღლე) 101.
ტიტო ბროზ 183.
ტულუში ერმილე 39–40.
ტულუში ზურაბ 26.
ტულუში ოლიფანტე 98, 104.
ტოროტაძე-დარჩია დარეჯან 171.
ტუსკია ქეთევან 282.
ტყეშელაშვილი მირანდა 331.

უ

უგულავა გიგი 217.
უგრეხელიძე გელა 100.
უზნაძე დიმიტრი 348.

ფ

ფანჯიკიძე გურამ 11, 280–281.
ფარულავა გრივერ 291, 382.
ფაცაცია გერმანე 247–248.
ფერაძე ლიანა 277.
ფირალიშვილი თეიმურაზ 377.
ფირცხალაიშვილი რიმა 332, 377.
ფლორენცია 106.
ფოფხაძე თამაზ 277.
ფრიდონი 285–286.
ფრიდონი („ვეფხისტყაოსანი") 285.
ფუთურიძე კოტე 302–303.

ქ

ქავთარაძე ივანე 288, 290.
ქავთარაძე ლეილა 382.
ქავთარაძე ლეო 338.
ქავთარია გრანი 273.
ქავთარია მიხეილ 212, 352–353, 382.
ქათამიძე გიორგი 44.
ქანთარია გიორგი 192–193.
ქართველიშვილი გურამ 156–161, 272–274.
ქართველიშვილი დიმიტრი 272.
ქართველიშვილი მატრონე 158.
ქარჩხაძე ჯემალ 226.
ქაცარავა მამუკა 218.
ქაჯაია ლამარა 382.
ქერქაძე ირინე 313.
ქილიფთარი ავთანდილ 106, 108, 110.
ქილიფთარი ამირან 48.
ქილიფთარი ანიჩქა 101.
ქილიფთარი არონ 130.
ქილიფთარი ბესარიონ 39, 104.
ქილიფთარი ბიჭიკო 132.
ქილიფთარი ბიჭიკო (ნესტორის ძე) 26–27.
ქილიფთარი გელა (ყირიმას ძე) 37.
ქილიფთარი გელა (შალვას ძე) 25.
ქილიფთარი გია 37.
ქილიფთარი გიორგი 37.
ქილიფთარი გიორგი (ჟორა) 101.
ქილიფთარი გოგილა (გიორგი) 130–131.
ქილიფთარი გურამ 100, 132.
ქილიფთარი გური (ვარლამის ძე) 23.
ქილიფთარი დათიკო 23.
ქილიფთარი დესპინე 52.
ქილიფთარი ეთერ 124–131.
ქილიფთარი ეკა 134.
ქილიფთარი ვალიკო (ვალერიან) 104.
ქილიფთარი ვაჟა 104.
ქილიფთარი ვიქტორ (ვიტკა) 101.
ქილიფთარი ზაური 24, 33, 100.
ქილიფთარი თებრონე 132.
ქილიფთარი თეოფილე 104.
ქილიფთარი თინა 108.
ქილიფთარი იაკინთე 74.
ქილიფთარი ივანე (ივანკა) 27–28.
ქილიფთარი იორდანე (ნიკოლოზის ძე) 101.
ქილიფთარი იორდანე (სარდიონის ძე) 132.
ქილიფთარი კიტა 106.
ქილიფთარი ლადიმა (ვლადიმერ) 130.
ქილიფთარი ლადიკო (ვლადიმერ) 25, 129.
ქილიფთარი ლამარა 131.
ქილიფთარი მაკა 138.

ქილიფთარი მასიკო 39.
ქილიფთარი მირიან 51, 101.
ქილიფთარი მიხაკო 71.
ქილიფთარი ნიკოლოზ 101–111.
ქილიფთარი ნიტიფო (ნიკიფორე) 129.
ქილიფთარი ოლეგი 24, 54–55, 61, 126.
ქილიფთარი რუსუდან 100.
ქილიფთარი სარდიონ 23.
ქილიფთარი ტასია 130.
ქილიფთარი შაკურა (შალვა) 25, 107–108.
ქილიფთარი ყირიმა 37, 131.
ქილიფთარი-დარჩია ლუბა 25.
ქილიფთარი-დარჩია მატა 62.
ქილიფთარი-კილაძე ნადია 107.
ქიქოძე ბიძინა 293.
ქობალავა ბელა (იზაბელა) 269.
ქობალია ივანე 272.
ქორთუა ნიკოლოზ 205–206.
ქუთათელაძე გენრიეტა 177.
ქუმსიშვილი დიმიტრი 267.
ქუტიძე შაქრო 61.

ღ

ღლონტი გალაქტიონ 253, 262.
ღლონტი მათე 93.
ღლონტი-ანდღულაძე ზირა 152, 320–321.
ღუღუნიშვილი ზეზვა 326.

ყ

ყვარელაშვილი გივი 238–239.
ყუბანეიშვილი მეია (სალომე) 277.
ყუბანეიშვილი სოლომონ 335, 362, 272.
ყუშიტაშვილი ვალიკო 343.
ყუშიტაშვილი ვასილ 403.

შ

შავგულიძე ლამარა 378.
შავგულიძე ლენა (ელენე) 319, 376–379.
შავგულიძე ჟორა (გიორგი) 456.
შავთელი იოანე 328, 387.
შავიშვილი კიტა 210.
შალვაშვილი ლეილა 305.
შალიკაშვილი ირაკლი 78.
შალიკაშვილი კუკურა (ამირანი) 64, 77.
შალიკაშვილი კუჭუნა (ტარიელი) 64, 77.
შალიკაშვილი მზია 77.
შალიკაშვილი სევერიანე 77.
შალიკაშვილი ცისანა 77.
შამანაძე ნოდარ 376.
შამელაშვილი რაფიელ 227.
შანიძე აკაკი 249, 301–312, 332, 340, 382, 394.
შანიძე თეოლინე 301.
შანიძე ლელა 306–307, 312.
შანიძე მზექალა 277, 286–287, 312.

შარაბიძე თამარ 5.
შარაშენიძე ეთერ 323.
შარაშენიძე ვიქტორ 325.
შარაძე გურამ 295.
შარვაძე ნელი 114.
შარია პეტრე 369.
შაშიაშვილი თემურ 311.
შაშკინი დიმიტრი 216.
შაჰნაზარი გივი 228.
შევარდნაძე ამბროსი 208, 223.
შევარდნაძე ედუარდ 53, 125, 134, 179, 182, 208-209, 222, 238, 242, 258, 404-405.
შევარდნაძე პრომეთეოს 137.
შელია მალხაზ 244-246.
შემოქმედელი-სამებელი ია-კობ 5, 43, 198-200, 239, 305, 328, 387..
შენგელაია დემნა 393-394.
შიშნიაშვილი მარინე 297.

ჩ

ჩანტლაძე იზოლდა 297.
ჩარკვიანი ჯანსულ 251, 290, 350, 396.
ჩაჩავა გივი (კარლო) 6-7, 197-198.
ჩაჩავა კახა 7, 126.
ჩაჩავა ნუკრი (პაატა) 6-7, 126.
ჩაპლინი ჩარლზ 9, 13.
ჩაჩავა მზია 332, 334.
ჩაჩანაშვილი სოფა (სიფარა) 2, 7-8, 221, 251.
ჩერჩილი 37.
ჩეჩელაშვილი დოდო 199-200.
ჩილაია ნოზაძე ვიკტორ 6.
ჩიქობავა არნოლდ 297.
ჩიქოვანი მიხეილ 364.
ჩოლოყაშვილი კოტე 205, 274, 344, 352, 368.
ჩოლოყაშვილი რუსუდან 5.
ჩუბინიძე-ნოზაძე მარო 233-234.
ჩუმაკი 411.
ჩხაიძე თედორე 137.
ჩხაიძე-ანდღულაძე ათინო 163, 167.
ჩხაიძე-კილაძე ლუბა 86.
ჩხარტიშვილი-ვადაჭკორია მედიკო 195.
ჩხარტიშვილი-ქილიფთარი გოგოლა 132.
ჩხარტიშვილი-ქილიფთარი სონია 130.
ჩხეიძე ირმა 251.
ჩხუბიანაშვილი სოსო 276.

ც

ცაიშვილი სარგის 250.
ცაიშვილი ცირა 250.
ცერცვაძე გურამ 235-241, 380, 290-291.
ცინდელიანი უჩა 335.
ცინცაძე არონ 133.
ცინცაძე დავით 133.
ცინცაძე კოლია 133, 170.
ცინცაძე კონსტანტინე 133.
ცინცაძე მერაბ 6, 133.
ცინცაძე სოლომონ 133.

ცინცაძე ფლორენცია 133.
ცინცაძე-კილაძე ანუშკი 87.
ცისკარიშვილი ვიოლეტა 277.
ციციაშვილი აბონ 172.
ციციშვილი გიორგი 120, 274, 355, 368.
ციციშვილი თამარ 263-264.
ცქვიტინიძე-ქილიფთარი მარგალიტა 130-132.

ძ

ძალაძე სიმონა („სიმონა") 74.
ძიძიგური შოთა 275, 344.
ძნელაძე რეზო 296.
ძოწენიძე გიორგი 312.
ძოწენიძე ლალი 355.

წ

წერედიანი დავით 226.
წერეთელი აკაკი 191, 197, 277, 350.
წერეთელი გიორგი 268, 317.
წივწივაძე თამაზ 315.
წითლიძე გივი 181.

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 66, 347.
ჭავჭავაძე ილია 10, 297, 304, 350, 381, 413, 419.
ჭანიშვილი გივი 352.
ჭანიშვილი ვაჟა 352.
ჭანტურია ტარიელ 219.
ჭანუყვაძე შოთა 220, 263.
ჭაჭიაშვილი პეტრე 202.
ჭელიძე გიზო 10, 263, 286.
ჭელიძე ვახტანგ (ფილოსოფოსი) 224, 341, 369, 371.
ჭელიძე ვახტანგ (ფეხბურთელი) 240-241.
ჭელიძე ლადო (ვლადიმერ) 286-287.
ჭელიძე მზია 294-295.
ჭელიძე ნიკო 294.
ჭელიძე ოთარ 362.
ჭილაძე ოთარ 398.
ჭინჭარაული ალექსი 10, 276-278.
ჭოლოკავა ნოდარ 325.
ჭონქაძე დანიელ 290.
ჭუმბურიძე ზურაბ 311.
ჭყონია მარინე (ტუია) 337.

ხ

ხარაძე ევგენი 262.
ხაჭაპურიძე ბარნაბა 321.
ხელაძე ვარლამ 169.
ხელაძე ჯულიეტა 98-100.
ხერხეულიძე გრიგოლ (ქიცა) 341-342, 362, 368, 377-378.
ხინთიბიძე აკაკი 5, 43, 177-178, 191, 204, 252, 263, 328, 333, 352, 372.
ხინთიბიძე ელგუჯა 5, 43, 328.
ხინთიბიძე ელენე 153-156.
ხინთიბიძე ვანიჩქა 153.
ხინთიბიძე იაგორ 162.
ხინთიბიძე კობა 162.
ხინთიბიძე ომერი 162.
ხორნაული გიგი 297-298.

ხოსეინა 231.
ხოშტარია ილია 366.
ხრუშჩოვი 4, 30, 73, 138, 210, 220, 315.
ხუნდაძე სილოვან 312.
ხუროძე ადოლფ 263.
ხუხუნი თინიკო 6.
ხუხუნი რუსიკო 6.

ჯ

ჯაბუა ვასო 182.
ჯავახიშვილი ივანე 286, 304.
ჯავახიშვილი მიხეილ 397–398.
ჯაიანი მარინა 226.
ჯანჯღავა ტატიანა 254–255.
ჯაფარიძე (ალიოშა) 294.
ჯაფარიძე ბეჟან 348–349.
ჯაფარიძე ვიქტორ 348–349.
ჯიშიაშვილი ნატალია 258–259.
ჯიშიაშვილი ნიკოლოზ 259.
ჯმუხაძე ნათია 395–397.
ჯმუხაძე ნიკა 395–397.
ჯმუხაძე ნოდარ 395.
ჯულაშვილი იაკობ 403.

ჰ

ჰიპოკრატე 208.
ჰიტლერი ადოლფ 404–405, 407.

Boris Darchia

Cheerful and Sad Stories

(In Georgian)

Tbilisi, 2012

The mainstream of the book includes humorous, comic, and funny real stories. Some feletones and fiction also take certain part in the book, but more or less they manage to depict the reality of that time. The definite section of the book describes the sorrowful and real pains occurring in our life.

The book is published for wide range readers of our society.

სარჩევი

წინასიტყვა 3
შესავლის მაგიერ. წერილი გაზეთ „ერის“ რედაქციას.....9
პირველი ნაწილი. **სოფლებისა და რაიონული ცენტრების ამბები**..... 14
სილაური..... 14
მამათი.....134
ძიმითი.....151
ბაილეთი და ბახვი.....168
სოფელი ოზურგეთი..... 169
ლიხაური.....169
ფამფალეთი..... 170
ოზურგეთი..... 176
გურიანთის კონჭკათი..... 180
შრომა და ნატანები..... 181
ლესა.....183
ლანჩხუთი..... 184
ბახმარო..... 190
ჩოხატაური.....192
ბათუმი..... .192
ქუთაისი.....198
საირმე..... 201
ზესტაფონი.....202
კაცხი.....203
სერბაისი..... 203
გორი.....204
ქვემოჭალა..... 204
შილდა..... 205
თელავი.....205
მეორე ნაწილი. **თბილისური ამბები**..... 208
1. სხვადასხვა..... 208
2. მეცნიერთა, მწერალთა და სხვა მოღვაწეთა ამბები.....260
3. ლიტერატურის ინსტიტუტის ცხოვრებიდან..... 317

მეოთხე ნაწილი. **ფელეტონები**..... 400
დამატება პირველი. **ელისო დარჩიას მშობლები და შთამომავლები**..... 467
დამატება მეორე. **ბორის დარჩიას წიგნების ნუსხა**..... 474
პირთა საძიებელი.....476
მოკლე ანოტაცია ინგლისურ ენაზე..... 494